



K269.152  
3

# සමෘතාචාරකාල



ԱՐԴՅՈՒՆԱԳՐԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՏՎԱԿՐԱՐԱԿԱՆ ԽՈ-ՑՈՒ ՀԱՅԱՍՏԱՆ կը 9.



საქ. პარტგმონმცემლობის მე 2-ე სტამბა  
მთავლიტი № 46 ა შეკვ. № 3223 ტირაჟი - 5000

ရ.ၯ၁ၬ၆၀၂၃၀၉၀



# အခေါင်းနှစ်

(1885 - 1915)

၇၅၄၅

ဒေါက်တာ

၁၅၃၄

K 269.152  
3

|         |         |
|---------|---------|
| ଶତାବ୍ଦୀ | ଶତାବ୍ଦୀ |

ଫର୍ମର୍ଜିଟ୍. ରା ଗୁମନିଶ୍.—ଏର. ସିନାରାତ୍ନନ୍ଦୀ  
ପାଦାଯଳ ପାରମନନ୍ଦା—28/X-33 ଟ.  
ଶେଲୋସ ମନ୍ତ୍ର. ରାଜାବେଶ୍ଵରାଧ—5/II-34 ଟ.  
ଶୀର୍ଷାଶୀ—5,000

ମତାବ୍ଲେଟ୍‌ରେ—46  
ଶୋମିଶ୍ଵାର.—62×94  
ସାବ. ପ୍ରକାଶ. ନିମ୍ନ.—40,000  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣତା ନଂ 3223



Գ. Աշեղյան (1866—1933)

გიორგი ლასხიშვილი უსათუოდ შესანიშნავი და შესამჩნევი პიროვნება იყო.

ჩევნი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის დამწერი, როცა  
ის მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამდევს მოუახ-  
ლოვდება, უსათუოდ შენიშვნავს და შეამჩნევს გიორგი ლასხიშვილის  
პიროვნებას. ამ ორ საუკუნეთა უღელტეხილზე გიორგი ლასხიშვილი  
სათავეში უდგა იმ მოძრაობასა და იმ პარტიას, რომლებსაც ჩევნი  
ამჟამად იმრიგად აღარავინ იხსენიებს, მაგრამ თვისის დროზე ამ  
პარტიასაც ამ მოძრაობაშიც თავისი სახელი ერქვა და ჩევნ საზო-  
გადო ცხოვრებაში ერთგვარი აღგილიც ჰქონდა დათმობილი.

როგორი იყო ეს სახელი და ეს აღვილი, ამაზე ქვევით ვიტყვით.

გიორგი ლასხიშვილის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის  
ასპარეზზე გიმოსკრა შოხვედა იმ დროს, როდესაც რუსეთის იმდროინ-  
დელი იმპერია შძლიავრი და ღუნიერი ნაბიჯით დაადგა სამრეწველო  
განვითარების გზას.. ნაშევრად ბატონ-ყმური რუსეთი—ქვეყანა, სა-  
დაც ძალუმად ჭარბობდა სოფლის მეურნეობა, თავისითავად დაქ-  
ვეითებული და პირველყოფილ იარაღ-ხელსაწყოს ამარა დარჩენი-  
ლი, კანს იცვლის, იხდის ქველ სამოსელს, თანდათან ახალ ფერსა და  
ახალ იქრს ღებულობს.

მაგრამ მჩეულობის განვითარების დაუბრკოლებლად წინ შას-  
ვლას თავისი შესაუერისი პირობები ჭირდება. მონარქიულ-ბატონ-  
ყმური რუსეთი საამისოდ ვერ წარმოადგენდა ხელსაყრელ პირობებს.  
ამ ნიდაგზე ისახება და ჩაირა ვითარდება ერთოვარი წინააღმდე-  
ვობა მთავრობასა და მჩეულობის ინტერესების წარმომადგენელთა  
შორის.

მაგრამ მარტო ეს როდია.

მრეწველობის გაჩენა იწყებს პროლეტარიატის გაჩენასაც, შრო-  
მისა და კაპიტალის ინტერესების ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე ძა-  
ლებად დარაჩმება. რაც დრო მიღის ამ ინტერესთა ჭინააღმდეგობა  
უფრო და უფრო შიშვლდება, უფრო და უფრო მწვადება.

ერთი სიტყვითა და მოკლედ,—ეს ისეთი დროა, რომელიც  
ძირიან-ფესვიანა ცვლის ძველი ჯხოვრების როგორც გარეგნულ სახეს—  
ისე მას შინაარსს.

საზოგადო ცხოვრების მთავარ ძალებადა და ბერკეტად კლა,  
სთა ბრძოლის საკითხები ისმება.

ასეთია ეს ხანა მთელ იმდროინდელ რუსეთის სამეფოში.

მაგრამ მთლიად ასეთი როდია ის ჩვენში—საქართველოში.

აქაც თითქმის იგივე ცვლილებები ისახება ცხოვრების წილში, აქაც იგივე მსვლელობა ეძღვება, იმავე გზით მიიმართება საწარმოო ძალთა განვითარება, მაგრამ საქართველო „განაპირა“ დაპყრობილი ქვეყანაა. ბატონიშვილის ნაშთები აქ უფრო მძლავრიდაა შემონახული და დაცული. ხიზნების მდგომარეობა იგივე ბატონის ბრძანებლობის ქვეშ დარჩენილი ყმის მდგომარეობიდან თითქმის არ განიჩევა. აქ არის „შეოჩენილი „დროებით-გალდებული“ გლეხობაც.

მრეწველობის განვითარება აქ ხელოვნურად მოდუნებულია. მას აქ გასაქანს არ აძლევენ. საქართველოს არა აქვს თუნდაც ის კულტურული და დაქუცმაცებული თვითმართველობის ორგანიზაცია, როგორიცაა რუსეთის „ზემსტვო“, რომელსაც ჩვენში „ერობას“ ეტყოდენ.

ეს „განსაკუთრებული პირობები“, ცოტა არ იყოს, შლის საერთო სურათის გამოსახულებას ჩვენში და კლასთა ძალების განაწილებას თუმცა საერთოდ იმავე წესით ამჟარებს, მაგრამ მათ ურთიერთობაში ვერ იძლევა ისეთ გარკვეულ დამოკიდებულებასა და განწყობილებას, როგორც შიუა რუსეთში.

თუ ოთხმოცანი შლების მეორე ნახევარს ავიღებთ, რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში და მოძრაობაში ორ უთანასწორო კვალსა და გეზს შეეგამნეთ. ერთი მხრით მიდის ხალხოსნური მოძრაობის და აზროვნების მთავარი გეზი. ხალხოსნებს სწამთ, რომ რუსეთი განსაკუთრებული და თავისებური ქვეყანაა, რომ რუსეთში არ არის აუცილებელი და საჭირო კაბიტალიზმის მოვლენა და განვითარება, რომ რუსული სასოფლო „ობშიჩინა“ უკვე ზეიცავს იმ მარცვალს, რომელზედაც შეიძლება ტანი იყაროს მომავალმა სოციალისტურმა საზოგადოებამ. მაგრამ ასეთი შეხედულება და ამ შეხედულებაზე დამყარებული სამოქმედო პროგრამა/ ამჟამიდ უკვე ერთგვარი ეჭვის ქვეშა დაყენებული. არიან შეურყეველი ხალხოსნები და მათ სრულად და უცვლელად სწამთ ის, რაც საზოგადოდ სწამლათ იმთავითვე ხალხოსნებს, მაგრამ იმავე ხალხოსანთა წრეში გამოჩნდა ერთი წყება ხალხი, რომელიც უკვე სხვანაირი პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებს ისიხავს.

მოკლედ „ხალხოსნების“, „ნაროდიკების“ მთლიანი ჩანაკი ორ ნაწილად იყოფა: ერთ მხარესაა „ჩერნი პერედელ“, მეორეზე ნაროდნაია კოლია „ჩერნი პერედელი“, თითქმის ისევ ძეელ გზას ადგია, სამაგიეროდ „ნაროლნაია კოლია“ - ში უარყოფილია „ხალხში სიარული“

და მშვიდობიანი ქადაგება. აქ უკვე პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებაა წინ წამოწეული, მშვიდობიანობის ნაცვლად ბომბებითა და ღინიმიტით გამოსვლა ორის ალიარებული, როგორც სამოქმედო პროგრამის მთავარი მუხლი, ტერორი მიჩნეულია როგორც პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღი.

მეორე კვალი, მეორე გეზი ჯერ კიდევ სუსტია, როგორც სუსტია და მცირერიცხოვანი თვით კლასი, რომელსაც ის ემყარება. ჩვენ მარ ქსიზმს ვვლისხმობთ, რასაკვირველია; მარქსიზმს, რომელიც სრულებით არ აპირობდა ხალხოსნური, ღბშჩინის“ დაიმედებით და კაპიტალიზმის წყევლა-კრულვით კაპიტალისტური უბედურების გაქრობასა და მოსპობას.

„—კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში გამოიწვევს სამრეწველო პროლეტარიატის განვითარებასა და მისი მჭიდრო მებრძოლადან შეკავშირებას. სწორედ პროლეტარიატი, სამრეწველო ცენტრებში თავმიყრილი და მებრძოლ ლეგიონებად დარაზმული, წესს აუგებს კაპიტალიზმს.“

ასეთი იყო მარქსისტების მსჯელობა.

ია, ეს დროა, როდესაც ახალგაზრდა ლასხიშვილი ამთავრებს სწავლას ქუთაისის გიმნაზიაში და უმაღლესი ცოდნის მისაღებად რუსეთს მიერგზავრება. ლასხიშვილი ოდესის უნივერსიტეტში მიიღეს.

თავის მოგონებებში ლასხიშვილი ცოცხლად და თითქმის მხატვრულად ავგიწერს იმ დროს, რომელიც მან გაატარა ქართულ სათვისტომოში. პირველი ორი წელიწადი ისე გასულა, რომ ლასხიშვილი არ დაახლოებია იმდროინდელი ახალგაზრდოვის საიდუმლო წრეებს.

ბოლოს ესეც მოხდა, ლასხიშვილი ხალხოსანთა წრის წევრი შეიქნა, მაგრამ... საესებით და მთლიანად, როგორც ჰყავს, ის არა-სოდეს არ გაჰყოლია ხალხოსნების გეზს.

ლასხიშვილი ასე ამბობს იმის თაობაზე:

„—ზე არასოდეს არ დამეიწყებია, არც შემეძლო დამევიწყებია, რომ მე შეფის მთავრობის მიერ დაპყრობილი და დაჩაგრული ჰვენის შეილი ვიყავ, რომ სწორედ ამიტომ მე პირველ და უწინარეს ყოვლისა ჩემი ერისა და ქვეყნის განთავისუფლების მიზანი და ამოცანა არ უნდა გამეშვა ყურადღებიდან.“

მით უმეტეს არ მოსწონდა ლასხიშვილს მარქსიზმი, მისი საერთაშორისო სოლიდარობისა და კლასთა ბრძოლის თეორია; ამიტო-

მაც იმთავითვე შეიძულა მან მარქსიზმი. ჩვენ იმას ვერ გამოუდევბით, თუ რა დროს მოხდა სახელმობ ეს ამბავი წლისა თუ თვის ჩვენებით, ჩვენთვის ისიც საკმარისია გავიხსენოთ და აღვნიშნოთ, რომ, გ. ლასხიშვილი მოელი თავისი საზოგადო და სამწერლო ასპარეზზე მუშაობის მანძილზე ერთი მთავარი მოძულარი იყო მარქსიზმის, იყო დაუცხრომელი მებრძოლი მარქსიზმის წინააღმდეგ.

ამაზე შემდეგ, ჯერ კიდევ ლასხიშვილის ხალხოსნურ წრეში ყოფნის ამბავს დაუბრუნდეთ.

არც ხალხოსნებში ყოფილა ლასხიშვილი ურყევი და მაგარი მოწმუნე იმ აზრების, რასაც ხალხოსნები ქადაგობდენ და აღიარებდენ. ხალხოსნების პოლიტიკური რადიკალიზმი ლასხიშვილისათვის უფრო სიტყვის დასამშვენებელი ბარაქა იყო, მას ბევრად უურო პრატიკული ზომები და ამოცანები ინტერესებდა, რომელიც „ქართველ ერს“ გამოიყვანდა თუ თავისუფლების ასპარეზზე არა, ასწევდა მას იმ სიმაღლემდე მაინც, რომ რუსეთის შილა-ნაწილებს გათანასწორებოდა.

არ ვიციო, ყოველ შემთხვევაში ავტორი ამის შესახებ ბევრს ართვერს ამბობს, სხვა წყაროები კი ჩვენ არ მოვეპოვება, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო სტუდენტი—ლასხიშვილის მოღვაწეობა იმ წრეში, რომელსაც ის დაუახლოედა. ვიციო მხოლოდ ის, რომ პლიციამ ჩქარა ამ წრის კვალს მიაგნოდა სხვებთან ერთად ლასხიშვილიც დაპატიმრეს.

დიდი სასჯელი თავდაპირველად ამ საქმის გამოისობით არავის შეხვედრია. თვით ლასხიშვილს კი ის აკმარეს, რომ ეტაპით გამოისტუმრეს საქართველოსაკენ, თუმცა ეტაპით მოგზაურობა შუა-გზაზე თავის ხარჯით წასელაზე შეუცვალეს.

ლასხიშვილი ისევ თავის ქუთაისს ესტუმრა.

ეს იყო, აქედან უნდა შედგომოდა ის დამოუკიდებლად საარსებო გზის გაყოლის.

და, აი, აქ რა მოხდა!

ახალგაზრდა, ცხოვრებასთან ბრძოლაში ჯერ კიდევ მოუტეხავი და მოუთელავი ლასხიშვილი, თავისებურად, მაგრამ მაინც ბრძოლისა და წინააღმდეგობის კაცი, ეს ესაა ციხიდან გათავისუფლებული და, მაშასადამე, მებრძოლის სახელით დაჯილდოებული ლასხიშვილი, ერთბაშად და ხელიერობირად იცვლის ხასიათსა და გუნებას.

ქედმაღლობის წინ თავმდაბლობა, ამაყობის ნაცვლად მოჭრალება და მოწიწება.

ნუ დაძრახავთ! მისი საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა. ვინ იცის, რა თვალით შეხედავს იმ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო? ამიტომ საჭიროა გავლენიანი პირების (და რაც შეიძლება მეტის!) გაცნობა და დააბლოვება, რომ როგორმე და რამენაირად შეაგრძო-მონ მისი თავი „ნამესნიკს“, რომელსაც, რასაკვირველია, „ყველა-ფერი შეუძლია“.

მარტო ესეც არ ქმარა.

ვთქვათ, რომ არაფერიც არ უქნეს, სრულებით დაანებეს თავი. თავის რჩენა ხომ საჭიროა, ჯამიგირისა და ადგილის გაჩენა, ხომ აუცილებელია?

ადგილიც გამოჩნდა!

სათავად-აზნაურო ბანკში „შემფასებელი“-ს ადგილი შეიქნა თავისუფალი. სახელი თუმცა ბევრი არაფერი, სახრავი კი ჩინებული ახლაցს ამ ადგილს, მაგრამ ამ ადგილზე ბევრია მიგე სებული. ვის არ ენატრება გემრიელი ლუკმა, ვის არ ეხალისება მისი ხელში ჩიგ-დება?

სხვებთან ერთად ბეჭის საცდელად ლასხიშვილიც შეუდგა სამ-ზადისს.

შეიქნა მომხრეების შოვა, „პარტიის“, მოწყობა და პოზიციების გამაგრება.

სხვათ შორის, სათავად-აზნაურო ბანკში ისეთი ადგილის მი-საღებად, როგორიც იყო შემფასებელის ადგილი, საჭირო იყო სა-ბუთის წარდგენა იმის შესახებ, რომ ადგილის მსურველს, ვითარცა თავადს თუ არა, აზნაურს მაინც, ჰყავდა ამდენი-და-ამდენი ყმა.

ლასხიშვილი გვარად აზნაური ტუ, მაგრამ ყმების საბუთის შოვა ტლიერ გაუჭირდა ამ ბანკში ალიგის შოვას მოწყურებულ ახალგაზრდას. ბოლოს მან ამ სიძნელესაც გაართვა თავი, იშოვა საბუთი ყმის შესახებ.

აჯობა ლასხიშვილმა ყველა თავის მოქიშპებებს.

სათავად-აზნაურო ბანკი, ბანკი დაარსებული იმ განზრახვით, რომ ისედაც უმიშაწყლოდ „გათავისუფლებულ“ გლეხობას არ მის-ცემდა მიწის შეძენის საშუალება, რომ მამული თავად-აზნაურობას არ გამოსცლოდა ხელიდან, ბანკი, რომელიც დაარსებული იყო იმ თანხებით, მთავრობას რომ აღროვა თავად-აზნაურობას და თვითონ კი ამ ფულს „ვიტყვნი პლატეის“ სახით გლეხებს აძრობდა ზურ-გიდან—აი ის სავანე, სადაც პლოვა მყუდრო ნივთსაყუდარი ახალ-გაზრდა ხალხოსანმა, ყოფილმა სტუდენტმა, ესაა მთავრობის საწი-ნააღმდეგო მოქმედებისათვის ციხიდან გამოშობილმა ლასხიშვილმა.

„—სირცხვილით ვიწოდიო!“ ამბობს, როცა ამ თავის ამბავს გვიყვება, გიორგი ლასხიშვილი. ძნელია ამის დაჯერება! სირცხვილს რომ ასე შეეწუხებია და დაეწვა, მაშინ ის სრულებით არ გაეკარებოდა ამ საქმეს, მაგრამ ის არამც თუ გაეკარა, კიდეც შეიშნო და შეეთვისა ამ თავის ახალ საქმესა და ხელობას.

მაგრამ აქ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ გამოჰკრა ხელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალალდმა სტუდენტი ლასხიშვილის შესახებ იმდენი იჩინა, სანამ არ მიაღწია, საღაც „ჯერ იყო“, იქედან კი მოვიდა ფიცხელი განკარგულება ლასხიშვილის დატუსალებისა და დასავლეთ ციინბირის ერთ შორეულ კუთხეში გადასახლების შესახებ.

თვითმმკრობელობა რომ ისეთი უტვინო არ ყოფილიყო, ასე „უპრაგონოდ“ არ გააციმბირებდა ის ამ ახალგაზრდას, რომელიც, შეიძლება არასოდეს არ ყოფილა მაინცა და მაინც მთავრობასთან შეურიგებელი ბრძოლის დაწყების გუნებაზე, მით უმეტეს ახლა, როდესაც ეს მყუდრო და თბილი ალგი იშოვა.

ამის გარკვევასა და გამოძიებაში არავინ შესულა.

როდესაც ლასხიშვილი ამ თავის შორეულ წარსულის ამბებს იგონებს, როცა ის თავის ცხოვრების სარბიელის შეთავსებისას სწერს მოგონებების ამ სტრიქონებს, ის თავს კერ იკივებს და სიმწრით კითხულობს:

„— რატომ, რატომ მარგუნეს ასეთი მძიმე სასჯელიო?“

ნართლაც-და, რატომ?

უსტ-კამენგორსკში დაუთქვეს ბინა ლასხიშვილს.

ჯერ ისედაც სათუო ხალხოსნობა ლასხიშვილის ციმბირის ამ შორეულ კუთხეში სრულებით გახუნდა და ფერი დაეკარგა. საგულისხმოა განსაკუთრებით ლასხიშვილის მემუარების ის ადგილი, სადაც ის თავის ციმბირში ყოფნის დროინდელ აზრთა ევოლუციას მოგვითხრობს.

გამოვიდა გ. პლეხანოვის წიგნი: „ჩვენი უთანხმოებანი“ („Наши разногласия“) ვინ იცის, რა გზითა და რა საშუალებით ჩავარდათ ეს წიგნი უსტ-კამენგორსკის გადასახლებულებს ხელში. წიგნი, როგორც ჰგავს, ყველას დიდი ინტერესით წაუკითხავს და წიგნის შინაარსს დიდი კამათი და მითქმა-მოთქმა გამოუწვევია გადასახლებულებს შორის.

პლეხანოვი მომავალი რევოლუციის წინამძღვრად და მეთაურად პროლეტარიატს სახავდა.

— რატომ? განა გლეხების მუშებზე უკეთეს მდგომარეობაში  
იმყოფები? განა გლეხობა უფრო რიცხვად მრავალი არა?

აი, რა მოსაზრებები წამოაყენეს ხალხოსნებმა პლეხანოვის წინააღმდეგ. მათ არ ესმოდათ თუ რა დიდი განსხვავება იყო, მართლაც-და მუშავიათ ჟედარებით უფრო გატყვევებულსა და გატირვებულ, მაგრამ, თუნდა ერთი ფანჩა, კერძო საკუთრების პატრიონ გლეხსა და ყოველგვარ კერძო საკუთრებას (გარდა თავის სამუშაო ძალისა, რასაკიც ველია!) მოკლებულ მუშა-პროლეტარს შორის?

ეს არ ესმოდათ ხალხოსნებს, ეს ვერ გაიგო ვერც ლასხი-  
შეიომა.

„თავისიანებოან“ კი ლასხიშვილს ძველთაგან ეროვნული სა-  
კითხი გერ შეეთანხმებია.

„ეროვნებათა ოვითგამორკვევა“, მართლაც, რომ არ იყო ნა-  
თელი შინაარსით გამოკვეთილი პოლიტიკური ლოზუნგი. მაშინ ჯერ  
კიდევ არ ასებობდა ამ ლოზუნგის ლენინური გაგება „თვითგა-  
მორკვევა სრულ ჩამო შორებაშლე და დამოუკიდებელ  
სახელმწიფოს დაარსებამდე“.

რაც დრო მიღიოდა ეს გათიშვის მიწებები არ ისპობოდა, პი-  
რიქით უფრო და უფრო მწვავდებოდა. უფრო და უფრო მეტი სა-  
კითხები გადავიდა საღაო და საკამათო საკითხების სიაში. ბოლოს,  
განსხვავება და უთანხმოება იძღვნად გაიზარდა, რომ უკვე ოღარ  
შეიძლებოდა ხალხოსნობის საზღვრებსა და ჩარჩოებში ჩატევა. სა-  
კირო შეიქნა ახალი მსოფლმხედველობის, ახალი მრწამსისა და მიმარ-  
თულების შემუშავება.

თავდაპირველად ეს მსოფლმხედველობა ერთობ ბუნიოვანი და უფერულია. ეს უკიდურესი რაღიკალიზმი ბრძოლის საშუალებათა შერჩევაში (ტერორი), ადგილად ვგუება უბრალო ლიბერალურ ღონისძიებებს „მთელი ხალხის“, „მთელი ერის“ მიმართ. რასაკირველია, აქ კრინტიც არ არის დაძრული კლასობრივ დაყოფასა და კლასობრივ ინტერესების სხვადასხვაობაზე. საზოგადოდ ამ სახელდახველოდ შორი-შორს დალამბულ სამოსელს ჩინებულად აჩნია აშ-კარა ბორიულაზიულ-ნაციონალისტური ზრისების მუქი ზოლები.

მისი პატრონისათვის, ალბარ, ეს ბონებრივიც იყო.

შარქსიზმი სრულებით უცხო და გაუვებარი რამ მცნება იყო  
ლასხიშვილისათვის, ხალხოსნური მიმართულებაც აღარ ჭრის შის  
თვეალს, არ იტაცებს მის გრძნობებს; ლასხიშვილი ახალ გზას ეძებს.  
ის ვერ პოულობს ამ გზას, მაგრამ ის უამისოდაც იოლად მიდის.  
საშუალო ლიბერალური კულტუროსანი მოსაქმე ზოგიერთ ძველი

ხალხოსნური სიტყვა-პასუხითან შემორჩენილი გამოთქმებით — აი ასე—  
თია ციმბირიდან ჩამობრუნებული ლასხიშვილი.

რა დახვდა მას იმ-ქამად საქართველოში?

აქ ერთი მხრით არსებობს და მოქმედობს ეკრელ-წოდებული „მოწინავე“ ინტელიგენცია თავადა-აზნაურობის წრიდან გამოსული. მას ჩინებულად აქვს შეგნებული, რომ „მამულს“ ახლა სხვანაირი „სამსახური“ ესაკიროება, მან იცის; რომ ცხოვრება ახალი გზით მიიმირთება, რომ თავადა-აზნაურობა ქველის უკან გამოკიდებით თავს ვერ გადაირჩეს, რომ საჭიროა დროისათვის ალლოს აღება და ახალ პირობებთან შეგუება, ხოლო თვით თავადაზნაურობა, როგორც „ქვეყნის მარილი“ და „ერის წინამდლოლი“ მაშინ შეასრულებს თავის „მაღალ დანიშნულებას და მოწოდებას“, როდესაც ამ „ახალ გზის“ დაადგება.

ამ წრეში, ამ ბანაგში ცნობილი მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე მოქმედობს და მეთაურობს, მისი თანამებრძოლნი გაზით „ივერია“-ს გარშემო იყრიან თავს.

მაგრამ არსებობს კიდევ წრე ეკრელ-წოდებული „მესამე დასი“ ეს მარქსისტული მოძღვრების მიმდევართა წრეა. მათი სამოქმედო ასპარეზი იგივე და იმგარია, როგორც რუსეთში ლეგალური მარქსისტების. მათი მარქსიზმი მოშინაურებული მარქსიზმია, საქამად „შელამაზებული“ და იმზომამდე შეკვეცილი, რომ მეფის ცენზურის ნების კურწით გაძრობას აღვილად ახერხებს. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ მუშათა უბნებში დაარსებულ რევოლუციონურ წრეებთან, რომლებიც ფართედ შლიან მარქსიზმის დროშას, რევოლუციონურ სიტყვას შეუკვეცილად ამბობენ და არა არსებულ წესწყობელებასთან შეგუებით, არამედ მისი სრული დანგრევით აპირობენ თავიანთი შიზნების განხორციელებას.

საეჭვოა, რომ იმ დროს ლასხიშვილმა მუშათა რევოლუციონური წრეების არსებობის ზესახებ იცოდა რამე, მაგრამ ირამც თუ ასეთი წრეები, „მესამე დასის“ მოშინაურებული მარქსიზმიც მოუნელებელი და მიულებელი ხილი იყო ლასხიშვილისათვის.

ლასხიშვილს არჩევანი არ გაჭირებია.

თუ მაშინ, როცა ის უფრო ახალგაზრდა ხალხოსნური ბურუსით უფრო გატაცებული არ დაერიდა და ბანქში „ოცენშიკიკის“ ადგილის ხელში ჩასაგდებად იმის მოწმობაც კი იშვია, რომ მის ქველს ყმები ჰყავდა, რომ ის ამდენისა და ამდენი სულის მფლობელი იყო, ახლა რაღა შეუშლილა ხელს, რომ იმავე გზით მისულიყო ბან-

ქის დირექტორთან ილია ჭავჭავაძესთან და მისთვის „ივერია“-ში თანამშრომლის ადგილი ეთხოვა?

დიდი მოქმედებითა და ბოლოშით მიადგა კარზე ლასხიშვილი ცნობილ მწერალს და უფრო ცნობილ ბანკირს. საღაო ბევრი არა-ფერი უფოილა. ლასხიშვილი „ივერია“-ს თანამშრომელი შეიქნა. არის მათ შორის ზოგიერთი შეუთანხმებელი საკითხი, მაგრამ „ივერია“-ს პატრონი ფართე ბუნების კაცია, წვრილმანებში გამოკიდება მას არ უყვარს. მეორე მხრით ახალი თანამშრომელიც ყადრიანი ადამიანია, იცის, სად რომელ საკითხს უნდა შემოუაროს მორიცებით.

ერთი სიტყვით, საქმე გაიჩარხა, განეთის პატრონიცა და მისი თანამშრომელიც ერთმანეთის კმაყოფილი არიან.

ლასხიშვილი მუშაობს, ვითარცა ერთი მთავარი თანამშრომელი გაზეთის და თავისუფალ დროს კულტურისან მოსაქმე ადამიანის სამუშაოსა და ნოლვაწეობას ანდომებს. სახალხო ლექციებზე რომელიმე საკითხის გარჩევა (მაგალითად, დედამიწა ტრიალობს, თუ მზე უვლის დედამიწას გარშემო?), საკირაო სკოლების მოწყობა და სხვა რამე ასეთი—აი მისი სამუშაო პროგრამა.

მაგრამ დრო მაინც მიდის.

ცხოვრების წიაღში ჩასახულ ძალთა განწყობილება ვითარდება, კლასთა წინააღმდეგობა უფრო და უფრო გარკეცულსა და გამოკვეთილ სახეს ღებულობს. ჩენ ცხრაასიან წლების დამდევს ვუახლოვდებით. არაა დიდი გულთმისნობა საკირაო, რომ შეატყო, რა სწრაფი ნაბიჯით მოდის და მოარღვევს ხელშემშლელ ზღუდებს რევოლუციის აქაფებული ნიაღვარი. დღითი-დღე კი არა წუთ-წუთად იზრდება და მატულობს მუშათა კლასის რევოლუციონური განწყობილება. ხშირია გაფიცვები; იშვიათი როდი შემთხვევები. როდესაც ეს გაფიცვები პოლიტიკური მოსაზრებებით იმართება. დემონსტრაციები და მანიფესტაციები ჩვეულებრივ მხბავად გაღაიქცა, მათი საფრთხოები დაიკარგა.

„ივერია“-ს ბჭეთა შეგნით შეანათა ახალმა სხივებმა.

არც ილია ჭავჭავაძე, არც მისი მახლობელი თანამშრომლები მოტყუებულიან.

— ცხოვრების საფუძვლები ინგრევა, რევოლუციია ხელიერთბირად მოსპობს თავადაზნაურობის გამობრუნების და მისი ცხოვრების სათავეში ჩაღვიმის იმედის.

ასეთია ივერიელთა აზრი და ბჭობა.

— მთავრობისაკენ! რევოლუციის წინააღმდევე! — ასეთია მათი ლომუნები და ბრძოლის სათადარიგო მარიფათი.

არ იცის კაცმა, რა აღტაცებითა, თუ დაღონებით შეხვდა ლასხიშვილი მომავალი რევოლუციის უტყუარი ნიშნების გამოვლინებას, მისთვის კი ერთი რამ ცხადი შეიქნა, სახელდობ ის, რამ ივერიელთა საბედისწერო ფართხალი უაზრო და უვარვისი იყო.

ლასხიშვილს სწამდა რომ მისი „ეროვნული იდეალები“-ს (ქართველი ხალხის განთავისუფლება) განხორციელება ზეიძლება არა რევოლუციონური მოძრაობისათვის წინააღმდეგობის გაწვევით და რევოლუციისთან ბრძოლით, არამედ რევოლუციონურ მოძრაობის უკან გაყოლით, რევოლუციონურ მოძრაობის ბანაკში მოქცევით და, თუ ვინიცუმაა რევოლუციამ გაიმარჯვა, მაშინ რევოლუციაში მონაწილის უფლების წარდგენით. სწორედ ისეთი ამბავი უნდა მომხდარიყო, როგორც ერთ არაქშია ნითქვამი: მხეცებმა, რომ, თურმე, დათვი მოკლეს და როცა საქმე განაწილებაზე მივიღა, საიდგანლაც კურდლელი გამოჩნდა:—მეც წილი დამიდევითო.

— შენ არახის უნახავხარ ამ საქმეში, მოშორდი აქაურობასო — შემოძახეს თურმე მხეცებმა.

— მე ვიყავი, დათვი რომელშევაშინე, და ტყიდან რომ გამოვაგდე თორებ თქვენ იმას ხელში ჭერ ჩაიგდებდითო — უპასუხა თურმე კურდლელმა ასეთი ფილოსოფიის კვალით აპირებდა წასვლას ლასხიშვილი და ამიტომ ის „ივერია“-ში რასაკვირველია, ველირ მოიცდიდა.

ამ ნიადაგზე მოხდა ივერიელებისა და ლასხიშვილის ერთმანეთთან დაშორება.

მტრული განტყობილებით არ მისულა ლასხიშვილი „ივერია“-ს რედაქტორიაში და დაშორების ქამსაც მათ შორის არ გამქრალა თბილი და ტყბილი დამოკიდებულება.

ერთი კია, ამჟენ ხანს რომ იოლად მიღიოდა, ჯერ-ჯერობით რომ თავის საკუთარ მსოფლმხედველობის სისტემაზე რომ არ ფიქრობდა და არც დარღობდა ლასხიშვილი, ახლა მას, ძალა-უნებურად, დაჭირდა ამ ფიქრებისა და დარღებისაკენ შემობრუნება.

ერთხელ კიდევ შეათვალიერა მან თავისი ძეველი პოლიტიკური სამოსელის ნაფლეთები. სახარბიერო იქ ვერაფერი იპოვა. არც ის მართლმადიდებელი ხალხოსნობა, არც მისი ესერულად შეცვლილი სახე ლასხიშვილს გულს არ უხარებდა.

მუშათა კლასთან და მის პარტიასთან დაახლოებაზე არც კი უფიქრია ლასხიშვილს.

ის და მისი რამოდენიმე მეგობარი გამომგონებლობას შეუდგენ.



არ აჩქარებულია; თითქმის ბარე ორი წელიწადი მოანდრშეც ამ ჭინასწარ ძეგბასა და მიგნებას. დაკვირვებამ და გამოცდილებამ ჩვენი მკვლევარები /იმ დასკვნამდე/ მიიყვანა, რომ სოციალურ ლოზუნებზე პირშინდად ხელის აღება საშიში და სახიფათო ამბავი იყო. სადემაგოვით, ხალხის გადასაბირებლად საჭირო იყო დიდი და მდიდარი შეპირებები. ასეთი რამეთი გულუხვად დაამშვენეს ლას-და უმთავრესი „ეროვნული“ საკითხი გახდათ. ამ საკითხის ზორბად გამოყვანისათვის ლასხიშვილმა თავის მეგობრებითურთ ბევრი ოფლი დააჭირეს.

ასე და ამრიგად შეიქმნა და შეუდგა არსებობას ეგრედ წოდებული „ქართული სარევოლუციო პარტია სოციალისტური და გარეულისა“. მთავარი

გინ არის ამ პარტიის მრევლს რომ შეადგენს, ამ პარტიის რიგებს რომ ამშვენებს?

პირველ ყოვლისა აქ არ არის არც მუშები, არც გლეხები. მათ ინტერესებს რომ აქ არავინ იცავს, ეს უკვე ჩინებულად აქვს შესმენილი მუშათა კლასსაც და გლეხების ფართო მასებს. თითო-ოროლა ქარავანს დაცილებული, წამლადო, რომ იტყვიან—ისე, ამ პარტიაში შეიძლება მუშაც იყო გარეული და გლეხიც, მაგრამ ეს არ შეადგენდა არავითარ თვალსაჩინო ნაწილს ამ პარტიის გამყოლ-თა რიცხვიდან. ქალაქისა და სოფლის წერილ-ბურჯუაზიული ფენები, სილარიბის „შარწუხებით გამჭარებული და ამიტომ უფრო „გამედუ-ლად“ მეტყველი და მღალადებელი თვალ-აზნაურობა. უფრო სწო-რად რომ ვთქვათ, ამ თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელსაც შა-მულ-დედულზე უკვე სანახევროდ მაინც ხელი აქვს დაცლილი. ქალა-ქის წერილი მესაკუთრეები, საშუალო და წვრილი ჩინოვნიკობა (ქართველობა, რასაკვირველია, ფედერალისტების პარტია ქართული პარტია იყო)—ი ეს მაყარი და ეს ამალა მისდევს ჩვენი ფედერა-ლისტების დაფა-ზურნას.

სოციალიზმის სუნიც არ გაპკარებია ამ ახალ პარტიის, ეს მხო-ლოდ სადემაგოვით სამყაული იყო, რასაკვირველია. რევოლუციას კი იმდენად ეხებოდა ეს პარტია, რამდენადაც თვით რევოლუცია ეხე-ბოდა მას, მის წიაღთა შინა თაგმოყრილ ჯარსა და ჯამაათს. რევო-ლუციამ კი ფრიად დაურიდებელი და მეტად საგრძნობი შეხება იცის.

ეს იყო საგარეო, საუქმიდლისოდ გამოსაწყობი ტაიასაცმელი ამ მეტად გძელი და გადატყლარქული სახელის პატრონი პარტიისათვის. პრაქტიკული სტმიდლისოთ საჭირო და გამოსადევი პროგრამა კი გაცილებით უფრო შეკვეცილი და შეთხელებული ჰქონდათ ფედერალისტებს.

საქალაქო არჩევნებში გარევი, ბანქობიაში მონაწილეობა, აქაიე სალმე საოპოზიციო გამოსვლა—ის მთელი იმდროინდელი სამოქმედო ასპარეზის ფარგლები სოციალისტ-ფედერალისტების პარტიისა.

მაგრამ ასეთი დაკინინებული ცხოვრება არ უხდებოდა და არაფერს სასიკეთოს უქადაგ „სარევოლუციო“ პარტიას „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებისას“, საჭირო იყო რაიმე გამოსხმაურება, მაგრამ ისე მაინცა და მაინც არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური. ეს „სარევოლუციო პარტია“ ვაგლახად არაფერს სარევოლუციოსა და რევოლუციონერს არ ეკარებოდა ჩენწი.

გასაგებიცაა!

აქ ეს საშიში და სახიფათო იყო. სამაგიეროდ, სრულებით ადვილი იყო საზღვარგარეთ სადმე უცხოეთში, თუნდა, ვთქვათ, ყრილობის მოწყობა. სალაპარაკოდა და სახშაუროდ ისეთი რამე პირდაპირ სულზე მისასწრები წამალი იქნებოდა.

შეიკრიბა ეს ყრილობაც!

ეს ამბავი 1904 წ. მოხდა, და დღესაც არ იცის კაცმა, რატომ ჰქვია ამ ამბავს ყრილობა. მართლაც-და, რაც იმ დროს უენევაში ქართველი კაცი თუ ქალი ცხოვრობდა, მგონი, ყველა მიიპატიუეს და ბევრი მათგანი კიდეც დაესწრო ამ წვეულებას, ქიდეც დასხდენ, გუნდებიერადაც იმუსაიფეს, მაგრამ ეს ქართულ პურისჭამას უფრო ჰგავდა, ვიდრე რომელიმე გარკვეული სახის პოლიტიკური პარტიის ყრილობას.

პო, შეიძლება, ყრილობა იმიტომაც შეარქვეს ამ ამბავს, რომ მას რამოდენიმე საქართველოდან ჩასული „დელეგატი“ დაესწრო, როგორც მაგალითად, თვით ლასხიშვილი.

ამასობაში, 1905 წელმაც მოაღწია.

გასაკვირალი აქ ისაა, რომ, რაც, უფრო უახლოვდება მთელი რუსეთი (თვით საქართველოც, ვინაიდან საქართველო რუსეთის ფარგლებში და საზღვრებში იყო მოქცეული) რევოლუციის ქარიშხალის ამოგარდნას, მით უფრო ნაკლებ უნარს იჩენს ფედერალისტების პარტია მდგომარეობის გარკვევაში.

უკვე გადაიარა მთელ რუსეთზე 9 იანვრის ამბებით განშვეულმა პოლიტიკური გაფიცების გრიგალმა, ბევრგან უკვე შეიარაღებული შეტაკებაც კი მოხდა. აჯანყების სუნი დატრიალდა პაერში. ახლა შეიძლება მხოლოდ ბრმა ვერ ხედავდეს და ყრუს არ ესმოდეს მოზღვავებული ამბების აზრი და შინაარსი.

ფედერალისტებს კი ან არ ესმით, უფრო კი განგებ ეჭედლებიან შეუსმენელთა წრეს, ისინი ბრძოლას თავს არიდებენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათი პარტია „სარევოლუციო“ პარტია გახდა.

ვითარდება და ძლიერდება რევოლუციონური მოძრაობა, მაგრამ თეთმშერობელობა თავის უაქმეს წაგებულად არ თვლის, ის იარაღს არ ჰყოს, ბრძოლას თავს არ ანებებს. გარშემო გიჩვიზი გაუდის მემამულეთა სახლ-კარს—გლეხებისაგან ცეცხლ წავიდებულებს, მაგრამ ამ ცეცხლს მალე მეორე ცეცხლიც ერთვის. იწვის გლეხების ქოხები, მთელი სოფელი ცეცხლის აღშია გახევული. ეს დამსჯელი რაზმები „აშვეიდებენ“ და „აწყნარებენ“ სოფელ-ქვეყანას.

თითქოს გლეხების ინტერესების საგანგებოდა და საგულდაგულოდ დამცველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია სრულებით არ ჩანს ბრძოლის ველზე.

მემუარების ავტორი ლასხიშვილი ძალიან დიდი მორიდებითა და სიფრთხილით სწერს ამ ხანის შესახებ. აქ, მართლაც, რომ სიფრთხილე მართებთ ფედერალისტებს. რას იყორვებს, მაგალითად, იმის გახსენება, თუ როგორ ისახელა თავი ეროვნულმა ბაშიბუზუქებმა აბდუშელიშვილმა და ამილახვარმა თავიანთი შავი რაზმით, როდესაც ისინი თვით მთავრობის დამსჯელ ექსპედიციებსაც კი „სჯობნიდენ“ სასტიკობაში. ენანგება, ისე ჰგავს, ლასხიშვილს ამ შავი საქმის რაინდების შესახებ შესაფერისი სიტყვის თქმა, ქება კი, ძალიანაც რომ უთქვამდეს გული, მაინც არ ეთქმის. ამიტომაა, რომ ის სრულ დუმილს არჩევს და ამ დიდ მოვლენას სრულებით არ იხსენიებს.

პარტო შავი რაზმი ხომ არ ყოფილა! შევების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხომ, წითელი რაზმიც დაარსეს გლეხებმა და შეიარაღებულ მოძალადებს კუდით ქვა ასროლიეს. ან ამის შესახებ, რატომ არაფერს სწერს ლასხიშვილი თავის მოგონებებში? პასუხი იგივეა, მაგრამ პირშებრუნებით: თანაგრძნობის სიტყვა არ ემეტება ლასხიშვილს და, რაც არ უნდა იყოს, ყოფილი სარევოლუციო პარტიის ყოფილი მეთაურისაგან წითელი რაზმის მუშაობას აუგის სიტყვა არ ეკუთვნის.

ბარალაც, რომ:

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა,  
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!“

იცის ხანში შესულობამ მეხსიერების შოტლუნგება. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი წერილმანი იშლება და კვალს აღარ ტოვებს; მისი გახსენება უკვე არამც თუ ძნელი, შეუძლებელიცა, მაგრამ არას მოვლენები, რომლების დავიწყება ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად, სრულებით წარმოუდგენელია ფედერალისტების პარტიის მეთაურ კაცს არ ახსოვდეს. 1905 წლის დამლეცს ფედერალისტების შიგერ საქართველოში შემოზიდული იარალის ამბავი და საკუთრად, თუნდა ის გარემოება, საიდან, რომელი წყაროდან იშოვა ფედერალისტებმა ამ იარალის შესაძენი თანხები?

ლასხიშვილს დაიაღაც ახსოვს ეს ამბავი, მაგრამ რაღაც ხინოებულად და თავისებურად. მას ახსოვს იარალის გამოგზავნის ამბავი, დაწვრილებით მოგვითხრობს ის, თუ რა დიდი შრომა გასწია ამ საქმეზე, ვთქვათ, ინექნერმა დეკანზიშვილმა, მაგრამ სრულებით არ ახსოვს (შეიძლება არ უნდა, რომ ახსოვდეს?), თუ ვინ შეაჩერა ხელში ფედერალისტებს ამ იარალის საყიდელი ფული? არც ის ახსოვს, რატომ იყო, რომ ამავე ფულების მიღებაზე და მოსმარებაზე ყველა იმდროინდელი რუსეთის რევოლუციონურმა პარტიისმა უარი თქვეს?

ნუ-თუ შეიძლება ყოველივე ეს გულმავიწყობას მიგაწეროთ?

თუ ეს გულმავიწყობის ბრალია, მით უმეტეს საწყენია ის, რომ ამბავთან დაკავშირებით ბევრი რამე საგულისხმო და საინტერესო იმპების გახსენება შეეძლო ლაბასიშვილს. მაგალითად, თუნდაც ის, რა ყაირათით და ოსტატობით მუშაობრივა ამ იარალის მყიდველი ვინც იყო, ეს ყოვლად გაუქმებული არაფრის მაქნისი გძელი ლულა, რომ შეიძინა რომელიც ყველაფრიდ ვარგოდა, მაგრამ სისროლ საბრძოლველ იარალად კი არა.

არის, თუ არა საჭირო კიდევ შეცხერდეთ ან მემუარის დამწერის პიროვნებაზე, ან იმ სიგანეზე, რომელსაც ის ეხება, უმთავრესად ფედერალისტების პარტიაზე?

მეონი, აღარ ლირს!

სათქმელი დაგვრჩა მხოლოდ ორიოდე სიტყვა.

1905 წლის რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებასა და რეაქციის გამარჯვების შემდეგ ფედერალისტების პარტია ნელ-ნელა დაინგრა და დაიშალა. მას წყებ-წყებად გამოაკლდა და ჩამოშორდა სხვადასხვა ჯგუფები და ფენები. რეაქციის გამძარებამაც შეუწყონელი ფედერალისტების პარტიის დაშლას.

ଶ୍ରୀପଦାଶ୍ରମକୁ ନାଟକ୍ୟାମିତା ଓ ଡାର୍ଶନିକିଲିଙ୍କ ଦେଖିବାରେ  
ଅବସ୍ଥା ଲାଗିଥିଲା ଏହାର ସାହିତ୍ୟରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

„—რა მისცა, ბოლოსა და ბოლოს, ხალხს 1905—06 წ. წ. რე-  
ვოლუციაში?

პასუხს იქვე თვითონ იძლევა.

„—თითქმის არაფერი!

„საგულისხმო ნათქვებია! საგულისხმოა არა მარტო ლასხიშვილის, არმედ მთელი იმ პარტიის დასახასიათებლად, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა.

მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ კი ბევრი რამე სასაჩ-  
გებლო გამოიტანა 1905 წ. რევოლუციიდან. ტუშლა ხომ ამ უწოდა-  
მას მუშათა კლასის უკვდავმა ბელაზმა ლენინმა გენერალური რეპ-  
ტიცია.

1917 წლის ოქტომბერს ეს საუკეთევო რეპეტიცია უძლოდა  
წინ.

სწორედ ეს გენერალური რეპეტიცია გამოიყენეს მუშათა კლასის ბელადებმა ღენინმა და სტალინმა; მათი ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა არაც თუ დაამარცხა თვითმპყრობელი მეფის მთავრობა, არამედ ძირიან-ფესვიანად ამოაგდო კაპიტალისტური წყობილება და მსოფლიოს მეექენედზე ურყევი საფუძველი ჩაუყარა ახალი სოციალისტური ცხოვრების აშენებას. მუშათა კლასი ამ ახალ ცხოვრებას უკეთ აშენებს და ამ შეორე ხუთწლედში მის მიზანს შეადგენს ადამიანის აზროვნებაშიაც კი მოსპოს კაპიტალიზმის ნაშთი და გავლენა.

ლასხიშვილის მოგონებებს მაინც თავისი მნიშვნელობა აქვს.  
რაც პა უნდა იყოს, ის ფრიად საგულისხმო დოკუმენტი არის გან-  
ვლილ ბრძოლათა გასაშუალებლად და ამ ბრძოლის იმრიგად დასანა-  
ხავთ, როგორც ეს წარმოდგენილ ჰქონდა ჩევნი დროის ლიბერა-  
ლურ ნაციონალისტებს, რომლებიც თავიანთ თავს რატომდაც სო-  
ციალისტებს უწოდებდენ და თავიანთი თავი რევოლუციონერებად  
მიაჩინდათ.

ଯେତେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

hr. 2100m 25-52 p<sup>☆</sup> day 15/8/61. 16233434

1-224-3039-1 7 22233/25-6.

## ჭ ი ნ ა ს ი ტ უ პ ა რ ბ ა

ამ მოგონებათა პირველი თორმეტი თავი უკვე დაიბეჭდა „სახლოხო ფურცელში“ 1913 წელს, როცა მე მეორედ ვიყავ გაძევებული საქართველოდან და ხარკოვში ვცხოვრობდი. შაშინ, შესავალში, სხვათა შორის, ვწერდი:

„შეიძლება ზოგმა სთვესას, რა მნიშვნელობა აქვს ჩემსა და, საზოგადოდ კერძო ადამიანის თავგადასავალს, რა ინტერესი აქვს ამის საქვეყნოდ გამოტანას, მით უმეტეს ჩვენს პატარა ქვეყანაში, სადაც ყველანი ერთობანეთს ვიცნობთ, სადაც განსაზღვრულ დროის ერთი ინტელიგენტის ცხოვრება თითქმის არ განსხვავდება მეორის ცხოვრებისაგან. ეს შენიშვნა, შეიძლება, ერთის მხრით მართალიც იყოს, მაგრამ მე მაინც განზრახვას არ ვტოვებ, რადგან ჯერ ერთი, ჩემი თავგადასავალი განსაზღვრულ ხნის ქართველ ინტელიგენციის თაობისაა, იმის დროის აღწერაა, იმის ძიება—მუშაობის, ლხინისა და ჭირის, ფიქრისა და განზრახვის, შეცდომისა და გამარჯვების ოღნებსხვაა. ეს კი ერთგვარი საზოგადოებრივი დოკუმენტია, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაინც ექნება და ინტერესს მოკლებული მასალა არ იქნება ჩვენი საზოგადოებრივობის მომავალი ისტორიკოსისათვის“.

ამავე მოსაზრებით მე ამ უამად განვავრდე ჩემი მოგონებანი. უნდა ვთქვა, რომ იმ თავითვე მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნდა მე-მუარები, ამიტომ მქონდა შენახული სხვა და სხვა ამონაწერები, თარიღები, შეხვედრები, საუბრები; მაგრამ, სამწუხაროდ, თვითმპრობელობის შავბნელ დროში დაუსრულებელ ჩხრეკისა და დაპატიმრებათა დროს ყველა ეს მასალა წამართვეს და დამექარება. ახლა ვწერ თითქმის ზეირად და ამიტომ, შესაძლებელია, ბევრი რამ გამომრჩეს, დამავიწყდეს.

მოგონებანი შეიცავს ოც და ოთ წელიწადს. განზრახვა მაქვს მოკლე ხანში განვაგრძო ჩემი მოგონებანი და ავწერო უკანასკნელი ეტაპი ჩემი საზოგადოებრივი მუშაობისა 1915 წლიდან 1920 წლამდე—ეს დიდი საერთაშორისო ომისა და დიდი რევოლუციების შესანიშნავი ხანა.

გიორგი ლახსიშვილი

# I

ქუთაისის გიმნაზიაში.—ოჯგვარი გაფლენა: რევო-  
ლუციონური მოძრაობისა და გროველი

გიმნაზიის ქუთაისი დავისრულე ქუთაისში 1885 წელს და იმავ  
წლის შემოღომაზე გაცემგზავრე ოდესაში, უნივერსიტეტში შესახ-  
ვლელად.

ცნობილი კომპოზიტორი გრიგი სწერს ერთ-ერთ თავის ავტო-  
ბიოგრაფიულ ნაწყვეტში: როცა მშობლებმა ლეიპციგს გაშგზავნეს  
სასწავლებლადამ, ოცნებებით გატენილ ტომარას წარმოვადგენდიო.  
უნივერსიტეტში მიმავალ ბევრ ახალგაზრდასაც შეუძლია იგივე  
სთვევის თავის თავზე. რა და რა ოცნება არ მიცემებდა მაშინ  
თავს და არ მაღლებდა?! ხან პროფესორად წარმოვიდგენდი ჩემს  
თავს, ხან სამშობლოს და რუსეთს ვანთავისუფლებდი, ან კიდევ  
ცნობილ მწერლის სახელის მოხვეჭაზე ვფიქრობდი.

ასეთი სხვადასხვაობა ოცნებათა, უკვე ამტკიცებდა, რომ  
გარეკეული რამ ჩემს მომავალზე არაფერი მქონდა და მხოლოდ  
მქონდა და ბუნდევან ფიქრებით ვლელავდი. ის კი უნდა ესთვეა,  
რომ უმთავრესად პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ვოცნებობდი, თუმცა  
დაახლოებითაც არ მქონდა წარმომადგენილი, თუ სახელმობრი რო-  
გორი უნდა ყოფილიყო ეს მოღვაწეობა, რასაკვირველია, როგორც  
საკუთარ სამშობლოსი, ისე მთელის რუსეთის საკეთილდღეოდ.

იმ დროს, როცა უფროს კლასებში ვიყავ, ქუთაისსა და ქუ-  
თაისის ინტელიგენციის ცხოვრებაში ახალმა სიომ დაპირი. ქარ-  
თველ ქალთა უურნალ „კრემული“-ს შემდეგ ქუთაისში პირველად  
გაჩნდა გაზეთი „შრომა“. ტფილისის მულმივ დრამატიულმა დამა  
პირველად გააჩალა სისტემატიური გასტროლები ქუთაისში და  
დ. ერთი თავის „საშობლო“ თავბრუს გვახვევდა; აქა-იქ გაჩნდა  
წრეები ქართულ ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლად. ეს სიო  
ჩვენც მოგვხდა გიძნაზიაში და აგვალელვა. დავიწყეთ ხელნაწერ  
უურნალების გამოცემა, ქართულ გაზეთებისა და წიგნების კითხვა.  
პატრიოტული ლექსები აკაკისა, ილიასი, რ. ერისთავისა  
და სხვათა, ზეპირად ვიცოდით და ალტაცებით ვმღეროდით  
ხშირად, ჩვენ მიერ მოგონილ მოტივებზე...

ჩვენ უურნალებიდან დავასახელებ ჩემ მიერ დაარსებულ  
„სტრიქის“. მე თვითონ ვპუბლიცისტობდი: ტყავს ვაძრობდი

ლ. ტოლსტოის (მაშინდელ ძლევამოსილ მინისტრს), კატკოვსა და ბისმარქს; ჩეხი დაუკიწყარი ახანაგი, ფრიად ნიჭიერი მიშა ხელთ-უფლიშვილი, რომელიც უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს უწყელო სენა (ჭლექმა), შინაურ გიმნაზიურ ცხოვრების სიღობჭირეს უწევდა ანგარიშს. უურნალს საჯუთარი პოეტებიც ჰყავდა: განსვენებული გრ. აბაშიძე, მაშინ მეხუთე კლასის შეგირდი, აგრეთვე გარდაცვალებული ნიჭიერი ახალგაზრდა ჭანტურია და სხვანი. ეხლა ცნობილმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა, მაშინ მეშვიდე კლასის შეგირდმაც მოათავსა „სტვირში“ რამოდენიმე ლექსი. სხვათა შორის, მან სთარგმნა რუსული ლექსი „Нелиудимо наше море“. ეს ლექსი რუსულად მუსიკაზე გადალებული (მშენიერი ტრიო); მარმა ისე გადმოთარგმნა, რომ მარცვლების თანასწორობა დაიცვა რუსულ ლექსთან, ასე რომ ამ ლექსის სიმღერა ქართულადაც შეიძლებოდა და ამ ხნიდან სულ მარის ქართულ თარგმანს ვმღეროდით. ახლაც მასხოვს რამდენიმე ტაები იმ თარგმანისა:

„უდაბურია ჩვენი ზღვა,  
ლელავს ყვირის დღე და ღამ,  
ბევრი მსხვერპლი გულს ჩისვა,  
მის სახიფათო ტალღამ!

მარჯვედ ძმებო! მე დავმართე  
აფრა, ქარი მას ჰერავს,  
წინ ზვირთნი საუკულმართე  
იწვევენ ჩვენ გამფრენ ნავს.

შორს, იქით გავაგდოთ გემი,  
ბუქი იცვლება დარად:  
გამოგვიჩნდება ედემი,  
წყნარი ლურჯი ცა მარად.

მარჯვედ ძმებო! ეს აფრები  
შეუქს არ შეუზინდება!  
იქ მისელას ის ელირსება,  
ვისაც რწმენა ექნება!

რასაკვირველია, „ედემი, წყნარი, ლურჯი ცა მარად“ ჩვენ-  
თვის მომავალი აყვავებული სამშობლო იყო; „იქ მისელისათვის“

რწმენა იყო საჭირო და ზეირობთან ბრძოლა. რწმენაც დიდი გვერდი მაშინ, ყოველგვარ ბრძოლისათვისაც მხად ვიყავით...

ერთი სიტყვით, პატრიოტული გატაცება და იღფროთოვანება ჩვენს შორის დიდი იყო. ეს ტყილისიდან და ქუთაისიდან მოდიოდა. ვეორე მხრით, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც გვიბერავდა სხვა სიოც. ეს უკვე რუსეთიდან მოდიოდა.

მაშინ რუსეთში უკვე იწყებოდა შავბნელი რეაქცია იმპერატორი ალექსანდრე მესამის, მაგრამ ახლად დასრულებულ საშინელ ბრძოლის უკანასკნელი გრგვინვა კიდევ ისმოდა, თავგანწირული ბრძოლა რუსეთის ახალგაზრდობისა ფანტასტიურ სიღიადეს დებულობდა ჩვენს ოცნებებში და გვხიბლავდა. სადღაც ვშოულობდით „ნაროვნაია ვოლიისაც“, იმდროინდელ არალევალურ ბრძოშურებსაც. „პოლიტიკური“ პატარა წრეც კი არსებობდა, რომელიც გულმოდენებდ კითხულობდა მაშინდელ სარევოლუციო ლიტერატურას და მხურევალე კამათობდა შესაფერ თომებზე. ამ წრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო შემდეგში გამოჩენილი ნაროვოლეცი მანუჩაროვი, რომელიც, ვგონებ, ტუილისიდან გადმოვიდა და ჩვენი გიმხაზის მერვე კლასში შემოვიდა. მე მაშინ მეექვსე კლასში იყავი და მანუჩაროვს და მის წრეს არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ტრადიციები დარჩა გიმხაზიაში და შემდეგში ჩვენზედაც იქონია გავლენა...

სწორედ იმ ხანებში იწყებოდა ჩვენშიაც ის რეაქცია, რომელსაც რუსეთი ჰყავდა შებორკილი თითქმის ოცი წლის გამავლობაში. მაშინ, მე-80 წლების პირველ ნახევარში, ჩვენს ქვეყანას პირველი შავი ტალღები მოაწვა. მეფის ნაცვლის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გადაყვანა და დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნა მთავარმართობლად დასაწყისი იყო რუსეთის ბიუროკრატიის ახალ პოლიტიკისა—გამარტუსებრეულ პოლიტიკის გაძლიერებისა ჩვენში. ტფილისიდან ჩვენს ყურამდე მოაღწია ავტებმა ქართველობის დევნის შესახებ. სხვათა შორის, დიმ. ყიფიანის გადასახლების ისტორიამ დიდად აგვალელვა. ამბევ დროს ჩვენ უფრო ახლოც ვიკრძენით რაღაც ახალი სუსხი. ეს გვაგრძნობინა შემდეგმა, პირველის შეხედვით მცირე, მაგრამ სიმპტომატურმა აქავმა; ქუთაისში დონდუკოვ-კორსაკოვი გაკვეთილი გვქონდა; გაიღო კარი და შემოვიდა მრავალი გენერლობა ჩვენი დირექტორის ა. ი. სტოიანოვის თანხლებით. ფეხზე წამოვდევქით.

ყველაზე წინ მდგომარეობა გენერალმა დონდუკოვ-კორსაკოვმა თავი დაგვიკრა. შემდევ მიუბრუნდა დირექტორს და პეტერი: „რუსი რამდენია მერვე კლასში?“

დირექტორი დაიბნა, არ იცოდა. და თავის მხრით ლათინურ ენის მასწავლებელს ნ. ნ. პაპოვს მიმართა ამ კითხვით. არც მან იცოდა. არც ჩვენ ვიცოდით ზეპირად და ამიტომ აქვე შევუდევით თვლის. 30 შეგირდში აღმოჩნდა, სულ 5—6 რუსი.

— მალი, იხეს მალი! — უქმდაყოფილოდ სთქვა დონდუკოვ-კორსაკოვმა და კლასიდან გავიდა.

ამის მეტი არა უთქვაშს რა, მაგრამ ჩვენს ამანაც შთაბეჭდილება მოახდინა. არასოდეს იმ დრომდე ყურადღება არ შიგვიძლევია, თუ რამდენია ჩვენს შორის რუსი. ალბად სრულებით ბუნებრივად გვეჩვენებოდა ის გარემოება, ოომ-ქუთაისში, საქართველოს ქალაქის გიმაზიაში ქართველები ბევრი ვიყავით, რუსები კი ცოტანი. ეგვევი, ალბად, სრულებით ბუნებრივად მიაჩნდათ რუსებსაც, რომელნიც იმ დრომდე არ დაინტერესებულიან საკითხით — ბევრი არიან თუ ცოტანი ქუთაისის გიმაზიაში. ალბად არც სტროიანოვს მიაჩნდა ეს საკითხი მაინცა და მაინც თვალსაჩინოდ, თარებ წინდა-წინ მშად ექნებოდა პასუხი და არ დაიბრუნდა... გიმაზიაში ხმა გავარდა: ნახევარი პანსიონი, სადაც იმ დრომდე იტრდებოდა იმერეთის ღარიბ-ღარები თავად-აზნაურობის მრავალი შეილი, რუს მოხელეთა ოფიცირებისა და სალდათების შეილებს უნდა დაუთმონონ. იმ დროიდან ჩვენსა და რუსებს შორის თითქო რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა, რაც წინად არასოდეს არ გვიგრძენა...

ყველა ამაზე — გიმაზიაში ცხოვრებაზე — გაქრით ვლაპარაკობ, მხოლოდ იმიტომ, რომ აღმენიშნა ის გავლენანი და ზოგი მომენტები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ჩვენი თაობისა და ჩემის, ერთის მხრით, პატრიოტულს და მეორე მხრით, პოლიტიკურ-რადიკალურ მიდრეკილება-განწყობილებას.

II

ოდესის უნივერსიტეტში,—1884 წლის წესდება. მა-  
შინდელი პროფესორები.— ხტუდენტთა აჩეულობა.—  
კარცერი

უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე. რატომ? ამის გამო მაგონდება ერთი შეხვედრა. გიმნაზია რომ დავასრულე, შემთხვევა მომეცა ტფილისში ჩავსულიყავ. იქ ერთ ჩემ ნათესავთან ვაღ. გუნია გავიცანი (არ ვიცი, არტისტი იყო მაშინ, თუ არა; ეს კი მახსოვს არტისტულად იყო გამოწყობილი). როცა ვაგონ, რომ იურიდიულ ფაკულტეტს ვიზიტორი, დაკანკის კილოთი მითხრა: — მოხელეს კარიერისათვის ემთადებით, ყმაწვილო?

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, როგორი შეურაცყოფა ვიგრძენი: მე რუსეთის გადატრიალებას და. სამშობლოს განთავისუფლებაზე ვოცნებობდი, ის კი მოხელეის კარიერისათვის ზრუნვას მზამებდა! მაგრამ ახალ ნაცნობებთან საშინელი მორცხვი ვიყავი და ამიტომ პასუხად წავიბუტბუტე რაღაც საზოგადო განათლებაზე. და იართლაც, იურიდიული ფაკულტეტი მაშინ მიმაჩნდა მეცნიერების იმ ტაძრად, სადაც შეიძლებოდა ზოგადი განათლების მიღება. პოლიტიკური ეკონომიკა, სტატისტიკა, საფინანსო სამართალი, საერთაშორისო და სახელმწიფო სამართალი უსაჭიროეს მეცნიერებად მიმაჩნდა იმ მომავალ მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩემს გუნებაში კწირავდი თავს...

საუბედუროდ, უნივერსიტეტში და უშეტესად იურიდიულმა ფაკულტეტმა ჩემი მოლოდინი ვერ გაამართლეს, ბევრი ილუზია მალე დამემსხრა...

რას წარმოადგენდა მაშინ უნივერსიტეტი? ის იყო ახალი წესდება შემოელოთ (1884 წ.). უნივერსიტეტში დაგხვედა სრული პოლიციური ორგანიზაცია: ინსპექტორი თანაშემწებით, პედელები; ამ ორგანიზაციას, რასაცვირებელია, არავითარი კავშირი არა ჰქონდა მეცნიერებასთან, მისი მოვალეობა იყო ახალგაზრდობის ყოფა-ქცევისათვის ყურისგდება: ჩაგვაცვეს ფორმა, დაგვირიგეს მატრიკულები, შემოილეს მრავალი ფორმალისტური შევიწროება; ყოველგვარი კავშირი, ზერიბრივი ურთიერთობა პროფესორისა და სტუდენტებს შორის მოსპობილიყო. კორპორაციული, ამხანაგური ურთიერთობა თვით სტუდენტთა შორისაც თანდათან დამხმაბილ იქმნა. მეცნიე-

რების ტაძარში გამეფდა უსულო ბიუროკრატიული ფორმაბალიზმი. ბევრი კარგი პროფესორი ვერ შერიგებოდა ახალ რეესის და უნივერსიტეტებს. სრულებით შორდებოდა. ოდესის უნივერსიტეტში მაშინ მხოლოდ ერთი მუჭა კარგი პროფესორი დარჩა. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე — რეინგარდტი, რეპიახოვი, პეტრიაშვილი და შელიქიშვილი; სამათემათიკოზე — კლასოვსკი, უმოვი და იაროშენკო; ისტ. ფილოლოგიურზე — კირ-პიჩიკოვი, უსპენსკი, კიპერტი, ტრაჩევსკი; ხოლო იურიდიულზე ერთადერთი მოხუცი ლეონტოვიჩი თუ არის მოსახსენებელი, როგორც ცნობილი მეცნიერი (რუსეთის სამართლის ისტორიისა), დანარჩენები კი არც ლექტორებად ვარ-გოდენ. საეჭვო ხარისხის მეცნიერნიც იყვნენ. პოლიტიკურ ეკონომისა გვიკითხავდა დამბლად დაცემული უხელფეხო ფედოროვიჩი, რომელსაც არც ენა ემორჩილებოდა, რის გამო იმისი ლექციის სმენა ტანჯვა იყო, ეს მეცნიერი მრავალს წელს კითხულობდა უცვლელად ერთსა და იმავე კურსს თავის თოხ რევოლუციისათვის ახალი არაფერი სწამდა; მაგალითად, კარლ მარქსზე მეოთხე რვეულის ბოლო ფურცლებზე სწერდა: იმის შრომას მხოლოდ სააგიტაციო ხასიათი ჰქონდათ და მეცნიერებისათვის არავთარი ფასი აქვსო. სააგლობა ის იყო, რომ მას ნამდვილად სხვა აზრი ჰქონდა ამ მეცნიერზე და საზოგადოდ პოლიტიკურ ეკონომიის ახალ მიმართულებაზე, რასაც იმტკიცებს მისი შრომა — ღირებულების თეორიაზე და გამოკვლევა პეტერბურგის მუშათა ბინების შესახებ; ხოლო თუ ჩვენ დამახინჯებულ კურსს გვიკითხავდა, ეს აისხნება იმდროინდელ ოფიციალურ პროგრამის მოთხოვნითა და რეაქციონური მიმართულებით, რომელსაც მსგავსი „მეცნიერები“ აღვილად ემორჩილებოდენ...

აღვილად წარმოსადგენია, როგორ დაგვაქმაყოფილებდა ასეთი პროფესორი საცნებო საგნისა, როგორიც იყო ჩვენთვის პოლიტიკური ეკონომია!

მეორე პრფესორი ჩიუკვი (სამართლის ენციკლოპედია და ფილოსოფია) ხომ საარაკო ვნებე იყო. მან მხოლოდ ერთი სამეცნიერო გამოკვლევის დაწერა მოახერხა და ფაკულტეტს წარუდგინა შემდეგის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს „შრომა“ ხელში ჩაუვარდა ოდესაში ცნობილ ნაფიცენტილს გუსა კოვს. მან მაშინდელ ცნობილ „იურიდ. ვესტ.“-ის (მურომცევის რედაქციით გამოდიოდა მოსკოვში) ფურცლებზე გაარჩია ეს შრომა და აღმოჩნდა, რომ ჩიუკვის რაღაც უმნიშვნელო გერმანული წიგნი გადაეთარგმნა და მიე-

თვისებინა. უურნალში პარალელურად იყო მოყვანილი ტექსტები. სკანდალი გამოვიდა თვალსაჩინო და ფაქულტეტმა უკანვე დაუბრუნა ჩიურგს მისი საღისერტაციო შრომა. ჩვენც მზად ვიყავით და დისერტაცია რომ დაეცვა, საშინელ სკანდალს ავუტეხავდით „მეცნიერს.“ ამ პროფესორის გამო მაინც მოხდა შემდეგ ერთი „სტუდენტური ისტორია“, რომლის მსხვერპლი მე გავხდი და კინაღამ სრულებითაც მოვშორდი უნივერსიტეტს.

საქმე ასე იყო: მაშინდელი ახალი წესების ძალით, სახელმწიფო გამოცდები იყო შემოღებული, ხოლო კურსებზე დაწესებული იყო ეგრეთშოდებული რეპეტიციები—ზერელა გამოცდა, რომლის დაჭერის შემდეგ „ჩაგვალებოდათ“ საგანი, ე.ი. პროფესორი აღნიშვნავდა, რომ სტუდენტმა საგანი მოისმინა და ღირსია ფაქულტეტის გათვების შემდეგ სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებისა.

ასეთ რეპეტიციებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია და სხვა პროფესორები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. ჩიურვმა კი ტანჯვად გადააქცია რეპეტიციები. საქმე ისაა, რომ ზეპირად, სიტყვა-სიტყვით უნდა გვეპასუხნა მისი კურსი; რაღაც ზოგი ადგილი იმის ულაზათო ფრაზებისა, გაუგებარი იყო, ბევრი ემზადებოდა უფრო კარგ სახელმძღვანელოთი (პროფ. რენენკამფისა). ზოგი თვისი სიტყვებით უამბობდა მისსავე კურსს. მაგრამ ჩიურვი ამით არ კმაყოფილდებოდა: უმცველად სიტყვა-სიტყვით თხოვულობდა პასუხს. პირველ დღესვე 40-მდე სტუდენტი დაითხოვა—მეორედ მობრძანდით. მთელი კურსი (1-ლ კურსზე 200-მდე ვიყავით, თუ არ დამავიწყდა) აღლდა. მეორე დღეს „კურილკაში“ შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ ჩიურვის რეპეტიციებზე არ წივიდეთ, თუ დეკანი არ დაგვესწრება თქო. დეკანი (მალინინი) უარი სთქვა: არცა მცალია, არც ნება მაქვს პროფესორის საკურსო გამოცდას დავესწროო.

ჩვენ აუდიტორიაში არ შევსულვართ. შემობრძანდა მარტო ჩიურვი და როცა ცარიელი აუდიტორია დახვდა, ინსპექციას მიმართა. „კურილკაში“ მაშინვე გაჩნდენ ინსპექტორის თანაშემწები და პედელები; დაგვიწყეს თხოვნა—წადით აუდიტორიაშით. როცა თხოვნამ არ გასჭრა, მუქარით დავვიწყეს ლაპარაკი. ჩვენ ავტეხეთ ხმაურობა, სტენა, ყიფინი: „Вон იულიცია, вон шпиони“ და სხვა.

ხმაურობამ სხვა კურსებისა და ფაქულტეტის სტუდენტებიც მოიზიდა „კურილკაში“ და პატარა შემთხვევა „სკანდალად“ გადაიქცა. მოვიდა თვით ინსპექტორი ბალდინი. იმის დანახვაზე ახალგაზრდობა უარესად აღლდდა და ასტეხა საშინელი ყვირილი, რამაც სამ საათამდე გასტანა. შემდეგ დავიშალეთ: გამოცდა აღარ შესდგა.

მეორე დღეს გავიგეთ, რომ მთელი კურსი უნდა წარმდგარიყო საუნივერსიტეტო სასამართლოს. წინაშე... მოვიდა გასამართლების დღეც. როცა ჩემი რიგი დადგა, შევდი სასამართლო ოთახში. მაშინ ბევრს არ ვიცნობდი პროფესორთაგანს და ამიტომ ვიცანი მოსულთა შორის მხოლოდ ჩვენი დეკანი მალინი და რექტორი იარმ-ზენკო. ინსპექტორი ბალდინიც იქ ბრძანდებოდა. რექტორი მეკითხება:

— တိဒ္ဓရိန် မိုးကြော်တ မြောက်ခိုးပြော အရှင့်လောက်ပါ? —

—၆၀၁

— ესე იგი არ დაემორჩილეთ ინსპექციის კანონიერ მოთხოვნას, უყვიროდოთ და ბოლოს ძალით განდევნეთ ინსპექციის აგენტები დარბაზითაც?

—ინსპექციის მოთხოვნა კანონიერი არ იყო,—ეუპასუხე მე.—  
ჩვენსა და პროფ. ჩიერებს შორის უთანხმეობა მოხდა. ჩვენ მასთან  
მოერიგდებოდით, მაგრამ ინსპექცია ჩამოგვერია და თვისის უტაჭო  
ბით უბრალო საშიშ სკანდალიდ აქვთ.

— დასწერეთ ევ თქვენი ჩვენება,—მითხრა რექტორმა და ერთი ფურცელი ქალალი მომაწოდა.

უნდა აღვინიშნო აქ, რომ იმ დროს სერიოზულ რუსულ კურნალებში ბლობად დაიტექდა წერილები აპალ საუნივერსიტეტო წესდების წინააღმდეგ. ერთხმად იწუნებდენ, სხვათა შორის, ინსპექციის ინსტიტუტს და წინასწარმეტყველებდენ, ინსპექცია სულ არე-დარებს სააკადემიო ცხოვრებასათ. ეს წერილები წაკითხული მქონდა და ზემობსენებულ ჩვენებას კიდევ დავურთე სხვადასხვა მოტივები ინსპექციის გასამტკუნებლად...

რასაკიორელია, ამ გულუბრყვილო აღსარებით დიდი საბუთი მივეცი ხელში სასამართლოს ჩემს წინააღმდეგ. მერე გავიგე, ჩემი დათხოვნაც კი უნდოდათ ოურმე მაშინ უნივერსიტეტიდან და მხოლოდ ჩვენი ცირიფასი მუარველის, დაუვიწყარ ვ. მ. პ ეტრია შვილის მარჯვე მეცადინეობის წყალობით გადავრჩი. საერთოდ „საქმე“ მსუბუქად გათავდა: ასამდე სტუდენტს სასტიკი საყვედური გამოიცადეს, ექვს კაცს კი ირი დღით კარცერში დაპატიმრება და გაფრთხილება, რომ კიდევ ერთი ამისთანა ისტორია და უნივერსიტეტს თავი უნდა დაუკრათო. ამ ექვს სტუდენტთა შორის მეც ვიყავი. ამრიგად, მე მხვდა ბედნიერება „მეცურთხებინა“ ეს ახალი დაწესებულება როსტის უნივერსიტეტისა.

„კარცერი“ წარმოადგენდა მშენებირ, სუფთა, ნათელ ოთახებს რკინის კრაოტებით და წმინდა ლოგინებით და სხვა საჭირო ავე-ჯითაც. დილას და საღამოს ჩაის გვასმევდნ და მცირე საუზმეს გვა-

ძლევდენ, შემდეგ ორი თავი სადილი. ამისთანა ოთახი, მოვლა, საჭ-  
მელი, გარეთაც არა ჰქონია სტუდენტების უმრავლესობას...

ერთი შემთხვევაც, რომ მოვრჩე ამ „ისტორიას“. თითო ოთახ-  
ში ორ-ორი უნდა მოვთავსებულიყავით, რადგან „კარცერისათვის“  
სამი ოთახი იყო მხოლოდ, კანცელარიაში მომვარდა ერთი სტუდენ-  
ტი (დასჯილთაგანი) და მეტთა, —გიორგი თქვენა გქვიათო; როცა  
დასტურით ვუპასუხე, დამეტონიგა: გთხოვთ მე და თქვენ ერთად ჩაე-  
სხდეთო. ჩემს პასუხს არც კი დაუცადა, მივარდა ინსპექტორს და  
სთხოვა: ჩენ (თითო ჩემკენ მოიშვირა) ერთად დაგვამზყვდითო. რო-  
ცა დაგვამზყვდიეს, სტუდენტმა ამოიოხრა და „Слава Богу“ და-  
ძახა. ბოლოს ასე ამისხნა თავისი საკვირველი საქციელი:

—როცა კარცერში დასაპატიმრებლიდ სტუდენტთა სია წავიკი-  
თხე, გული გამისკდა. ჩემს მეტი ზველა ურია იყო! არაფრის-  
თვის არ ჩაეჯდებოდი ურიებთან... უნივერსიტეტიდან დათხოვნას  
ვიჩიტები... როცა სია ხელმეორედ გადავიკითხე, თქვენმა სახელმა  
„გიორგიმ“ მიიქცია ჩემი ყურადღება და მაშინ გვარზედაც ვიფრ-  
რე—ეს კავკასიელი უნდა იყოს მეთქი და ცოტათი გული დავიმშვი-  
დე.

ეს პირველი იუდოფობი იყო, მე რომ გავიცანი; მანამდე ამ  
ჯურის ხალხს არ შევხედრივარ. ორი დღის განმავლობაში სული  
შემიწუხა „უიდ“-ების გინებითა და წყველით. მისი გვარი გოგმანი  
იყო და შემდეგ ხანებში, უეჭველია, „ქეშმარიტ რუსთა კავშირის“  
წევრი იქნებთა, თუმცა შთამიშვალობით გერმანელი იყო...

ჩიეთვისა და ფედორვიჩის შემდეგ მაგონდება სახელმწიფო სამა-  
რთლის პროფესიონალი. სოკოლოვსკი. სახელმწიფო სამართლი მაშინ აკრ-  
ძილული მეცნიერება იყო. ცნობილია, რომ იურიდიული ფაკულტეტის  
პროგრამის საფუძველი 1884 წლის წესდების მიხევვით შედგენილი იყო  
კატკვეის მიერ. ამ პროგრამის ძალით, სახელმწიფო სამართლი საკონ-  
სტუტიციო ქვეყნებისა გამორიცხული უნდა ყოფილიყო კურსიდან;  
რჩებოდა მხოლოდ სახელმწიფო სამართლი რუსეთის სახელმწიფო-  
სი. მთელი ყურადღება იმაზე უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ „მე-  
ცნიერებას“, „დაემტეკცებინა აბსოლუტიზმის აუცილებლობა რუსეთი-  
სათვის და ამასთანავე ჩაენერგა მსმენელთათვის დესპოტიზმის და აბ-  
სოლუტიზმის არსებითი სხვადასხვაობა. პროფ. გრადონა კის ცნო-  
ბილი კურსი „სახელმწიფო სამართლი ეროვნის უმთავრეს ქვეყნე-  
ბისა“ იმ დროს თითქმის აკრძალული წიგნი იყო...

პროფ. სოკოლოვსკი გულმოდგინე ამსოლუტიზმის აუცილებლობა იყო ამ დირექ-  
ტივებისა და ისეთ დამახინჯებულ რასმე გვიყითხავდა, რომ ფალსიფი-

კაცია ჩვენთვისაც ცხადი იყო... საფინანსო და საპოლიტიკო სამართლოს გვიკითხავდენ ჯერ სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი პრი-ვატ-ღოცენტრები: იღოვა ისკი და შეიმინი. პროფ. აზარევიჩი ცნობილი იყო, როგორც კარგი რომანისტი და ლექტორიც არ იყო ურიგო, მაგრამ მალე ვარშავაში გადაიყვანეს, უფროს კურსებზედაც იყვნენ უქეთესი პროფესორები, გარდა ბოროვიკოვსკისა, ცნობილი მცოდნენი სამოქალაქო პროცესისა და სამართლისა...

ასეთი პროფესორები, რასაკვირველია ვერ წაგვაზალისებდენ; ვერ გაგვიტაცებდენ. პირიქით მეცნიერებისადმი იმ ხალისსაც გვიკარგავ-დნენ, გიმნაზიიდან რომ ჩამოგყვად...

საზოგადოდ, რუსეთის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე იმ დროში სუფევდა უსულო დოგმა ცხოველმყოფელ მეცნიერების მაგიერ; ოდესაში კი განსაკუთრებით... ამრიგად მეც ძალე ამიცრუვდა გული ამ მეცნიერებაზე და ჩემი საოცნებო საგნები, პოლიტიკური ეკონომიკა, სტატისტიკა, ფინანსები, სახელმწიფო სამართლი და სხვ... ოფიციალურ განმარტებაში სიყალდედ მომეჩვენა. აუდიტორიიდან გავრბოდით და ხშირად ლექციებზე მორიგეობით ათ-ათი კაცი იჯდა ხოლმე ფორმისათვის, რათა ცარიელი არ დახვედროდათ პროფესორებს დარბაზი და ლექცია შემდგარისყო. მე პირადად ხშირად დავიარებოდი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის ზოგიერთ ლექციაზე (უსპენსკი, ტრახევსკი, კირპიჩინიკოვი და სხვა). ხოლო იურიდიულ მეცნიერებისადმი ცნობისმოყვარეობას ვაჭმაყოფილებით, ვისაც გვსურდა, უნივერსიტეტის გარეშე. ჩვენი პროფესორების „კურსებს“ ძალაუნებურად გავისენებდით ხოლმე მხოლოდ რეპეტიცია-გამოცდების წინ და რაც ძალი და ლონე გვაწონდა, ვიზეპირებდით.



## III

ქართველი სტუდენტობა.— ქართველ და კავკახელ  
 სტუდენტთა წრები.— ჩვენი იერიშები მათი გადა-  
 ხალიხებისათვის. — ძველ და ახალ თაობის ბრძოლა

სამაგიეროდ პირველ წლებში მაინც—ცხოვრება სტუდენტთა  
 წრებში სღულდა.

ახლად ჩამოსულებმა პირველად, რასაკირველია, ქართველ  
 სტუდენტობას მივაქციეთ ყურადღება. ჩემთან ერთად ქუთაისიდან  
 ჩამოვიდენ: იოსებ ლორთქიფანიძე (იოს. ბექ.-ძე, ამჟამად  
 გადასახადთა ინსპექტორი ტფილისში), კორე მესხი (კონსტ.  
 დავ.-ძე, ერთ დროს დამზღვევ საზ. ინსპექტ. კავკასიაში), გ. მა-  
 კავარიანი და გრ. ბარათაშვილი (ნაფიცი ვექილი), ია-  
 გორ ლორთქიფანიძე (იყო ჭათურის შავი ქვის ბანკის გამგეო-  
 ბის თავმ-რე), ვ. ახვლედიანი (აქციის მოხელე) და სხვანი.  
 ოდესაში დაგვხვდენ ჩვენზე ერთი წლით უფრო ადრე ჩასული ვა-  
 სილ წერეთელი (ექიმი), ვანიჩ. ელიაშვილი (ივ. სპ. ძე  
 ექიმი) და ი. სალაყაია ნიკიერი და მეტად სიმპატიური ყმაწვილი,  
 რომელიც ქლექმა მოგვტაცა სტუდენტობაშივე. უფროს კურსებშე  
 ქუთაისელებიდან დაგვხდენ გრ. ანჯაფარიძე, ვალოდია  
 აბულაძე, სერგო ბახტაძე, პ. მოსიძე და სხვანი. ერთი  
 წლის შემდეგ მოგვემატენენ: დიმ. ხოშტარია (დურუ მეგრელი)  
 კიზირია (ამჟამად ნოტარიუსი ტფილისში), გ. სანაძე, რომელიც  
 აგრეთვე ქლექმა იმსხვერპლა და სხვა, სულ ქართველ სტუდენტთა  
 რიცხვი, თუ არ ვცდები სამოცამდე იყო — იმ ხანში საქაოდ დიდი  
 რაოდენობა ქუთათელები ვიყავით, ქართლ-კახელი ძალიან ცოტა  
 იყო, უკანასკნელთ დიდი სიამოვნებით გავეცანით და ინტერესით  
 იყო, ესენი იყვნენ საშა ჭავჭავაძე (ალ. ნიკ.-ძე, შე-  
 ვაკეირდებოდით. ესენი იყვნენ საშა ჭავჭავაძე (ალ. ნიკ.-ძე, შე-  
 მდევში სასამართლოს წევრი ტფილისში), ივ. გ. ბარათაშვილი,  
 ივ. დ. აბხაზი, ჩაჩიკაშვილი და კიდევ ორიოდე. იქამდე  
 ქართლ-კახელ ახალგაზრდობიდან მხოლოდ ერთს ვიცნობდით,  
 ვანო რატოშვილს (ივ. გიორგ.-ძე, შემდევში პედაგოგი). ის  
 ტფილისიდან ქუთაისში გადმოვიდა და გიმნაზია იქ გაათავა. მან  
 ჩვენზე უფრო კარგიდ იცოდა ქართული ლიტერატურა და ისტორია.  
 მხურვალე პატრიოტი იყო და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა  
 ჩვენზე...

აქ ერთი სასაცილო ამბავი მომაგონდა. უფროს კლასების რა-  
 მდენიმე უფრო დაახლოვებულმა ამხანაგმა გადავწყიტეთ ახალწლის  
 ერთად შეხველრა. შევეღით იქერლის ერთ ჩვენებურ რესტორანში  
 და გავიჩიდეთ ქართული ქიუჭი აღტაცებული სიტყვებით და სიმღე-  
 რით. ქეიფის დროს ჩვენს კაბინეტში შემოვიდა რესტორანის პატ-  
 რონი. რატიშვილმა იმის სადლეგრძელოც დალია და მხურვალე პატ-  
 რიორული სიტყვით შიმართა. ბოლოს ღვინო მიაწოდა და უთხრა,—  
 დაგვლოცე სამშობლოს მომავალ სამსახურისთვისო. რესტორატორ-  
 მაც ჭიქა ჩამოართვა და დაგვლოცა:

— ღმერთსა ვსთხოვ თქვენს აუიცრობას მალე მომასწროს!..

— წადი შენც და შენი აფიტობაცაო — მიაძახა გაბრაზესულ-  
 მა ვანომ, ამ სიტყვებით ძალზე გაკვირვებულ რესტორატორს...

ივ. რატიშვილის მიხედვით ჩვენს ახალ ნაცნობებშიაც ვეძებ-  
 დით „ჩვენი მიმართულების“ ადამიანთ, მით უმეტეს, რომ ორი მა-  
 თვანი ატარებდა ჩვენთვის დიდათ მიმზიდველ გვარებს — ჭავჭავაძი-  
 სას და ბარათაშვილისას; მაგრამ მოლოდინი გავვიცრულდა: აღმო-  
 სავლეთ საქართველოს შეძლინი აღმოჩნდენ ფრიიად სიმპატიური ამ-  
 ხანაგები, ხოლო ჩვენი გატაცებისა არა ეცხოთ რა; ზოგმა მათგანმა  
 ქართული ლაპარაკიც არ იცოდა. დასავლეთლებშიაც, რასაკვირველია  
 ყველა ერთნაირი არ ყოფილა. უმრავლესობა, როგორც ყოველთვის,  
 პასიურ ელემენტს წარმოადგენდა იდეურის თვალსაზრისით, მაგრამ  
 ბანჯოსა და ქეიფის თაყვანისმცემელი სრულებით არ იყო, მეცადინეო-  
 ბდა და საქმაო ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი.  
 უმცირესობა, როგორც აღვნიშნე, მეტად აღფრთვანებული იყო და  
 სამსახურის გამზადებულიყო. ამაშიაც ასე ვსთქვათ, სხვადასხვა  
 ტემპერამენტის ხალხი იყო. მაგალითად მოგიყვანთ იოსებ ლორთ-  
 ქი იფანიძეს: სკეპტიციზმით იყო აღსავსე; მე და ვასილ წერე-  
 თე ლ ს ხშირად გადაგვასხამდა ხოლმე ცივ წყალს განურებულ თავზე...

ვასილ წერეთე ლი ხომ განსაკუთრებით არ იყო „ამა ქვეწი-  
 სა“. როცა ჩავედი ოდესაში, ის ბუნებისმეტყველების ფაქულტეტის  
 მეორე კურსზე იყო, მაგრამ რადგანაც მომავალ „პოლიტიკურ მოლ-  
 ვაწეობისათვის“ საზოგადო განათლებაა საქირო, დაპერა ფეხი და  
 იურიდიულ ფაკულტეტის პირველ კურსზე გადმოვიდა. ერთი წლის  
 შემდეგ, როცა ჩვენი „მეცნიერების“ ხასიათი გაიცნო და შეადარა  
 თავის საყვარელ ბუნებისმეტყველებას, ისევ დაუბრუნდა ძველ ფაკულ-  
 ტეტს. ასე ექსპანსიური იყო ყველაფერში, რაც ასე თუ ისე იდე-  
 ურ სფეროს ეკუთვნოდა.

ვასილი იშხანად დიდი პროპაგანდისტი იყო და სულ პროფე-  
ლიტებს ეძებდა, დაიჭირდა რომელსამე სტუდენტს და საშველს არ  
მისცემდა, სანამ არ მოარჯვებდა. ხშირად ვხედავდით ამნაირ სუ-  
რათს: „კურილება“ (ვებზროვან დარბაზის) ერთ თავში ვასილი  
დაიჭირდა ვისმეს, წაავლებდა ტუშურკის ფოლაქში ხელს და ცხარედ  
უქადაგებდა, თან სულ წინ მიიწვევდა: სტუდენტი უკან უკან იწევდა  
უქადაგებდა, თან სულ წინ მიიწვევდა: სტუდენტი უკან უკან იწევდა  
უქადაგებდა, თან სულ წინ მიიწვევდა: გასა-  
და ბოლოს ორივენი დარბაზის შეორე კედელს მიაწვემოდენ; გასა-  
ძანი არსად იყო და სტუდენტიც ნებდებოდა, ოლონდ თავი დაეღწია  
ულმობელი პროპაგანდისტისაკან. ხანდახან საქმე სხვარიგაზაც თა-  
ვებოდა.

ერთხელ ვასილია ხელში ჩაიგდო ერთი მათემატიკუსი ქართველი, რომელიც ძალიან და ძალიან შორს იდგა ყოველგვარ პოლიტიკისაგან. მათემატიკუსი დარბაზის შუამდე დაჰყევა ვასილს, აქ კი შეჩერდა, გაწითლდა, გაჯავრდა და ხმა მაღლა შესძახა: „პასლუში, ჩრდ ტი ხოჩიშ! ნე ხოჩი რესპუბლიკიონ

ქართველ სტუდენტებს საკუთარი „წრე“ გვქონდა (ეხლანდებურად სათვისტომ) დამხმარე კასითა და პატარა ბიბლიოთეკით, პირველ ხანებში, სანამ კი ჯერ შეიძლებოდა თავისუფლად თავის მოყრა, ხშირად ვიკრიბებოდით, ვკითხულიაბრით ჩეუერატებს, ვკამა- თობდით და სხვა. წრეში მაღლე პატარა ჯგუფი შესდგა, რომელმაც გა- ნიზრახა რეფორმა და წრის ხასიათის შეცვლა. ამ ჯაუჭის წევრთ ვერ გვაქმაყიფილებდა წრის კელტურულ ძველობრივ დებითი ხასიათი და გადაწყვიტეთ პოლიტიკურ წრედ გადაგვეცუა. რაში უნდა გა- მოხატულიყო ეს მისი „პოლიტიკურობა“, დანამდვილებით ვერ გვტ- ყოდით, მაგრამ ჩვენი მაშინდელი გრძნობით და ფიქრით დაიდი ბრძოლის დღე მოახლოებული იყო და ჩვენც მზად უნდა გყოფილიყა- ვით... ახალი წესდებაც შევადგინეთ, გეგმაც, მზადებისა და მოქმედე- ბისათვის და მივიტანეთ იქრიში წრეზე. აქ ძველ სტუდენტებში მაგარი იპოზიცია დაგვხდა. ოპოზიციას ბელადობდა გ. რ. ანჯაფარი- ძე, კარგად მოლპარაკე და საკმაოდ განვითარებული სტუდენტი. ის გვიმტკიცებდა: ხალხს ვერ იცნობთ; არც რუსეთსა და არც საქართ- ველოში ჯერ ნიადაგი არაა აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლისთვის, თქვენ გინდოდათ ისტორიის კანონები გადაგელახათ და სხვა. ჩვენც არ ვუთმობდით და გაცარებით უყაბასუხებდით მოწინააღმდეგეთ, რომ მთელ რუსეთში მუშა-ხალხი მძიმე უღელმეზ დრტვინავს, მოთ-

მინება დაუკარგავს, მზადაა გმირებს გაპყევს თავისუფლების მოპოვებისათვის და ჩვენი მოვალეობაა ეს გმირები დაუუმზადოთ ქვეყანას.

ჩვენ-ჩვენი პოზიციების დასაცავად ორივე მხარე რეფერატებსაც ვწერდით სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. მაგალითად, მე წარვადგინე მოხსენება ირლანდიელთა ბრძოლაზე პომრულისათვის, სადაც ის აზრი გამყავდა, რომ ირლანდიელების ბრძოლა მაშინ გაცხოველდა, როცა პოლიტიკურ ეროვნულ ბრძოლას საფუძვლად ხალხის ეკონომიკური ინტერესების დაცვა დაედო, სახელდობრ, როცა წამოყენებულ იქნა აგრძარული მოთხოვნა და ჩვენც ამის მაგალითს უნდა მივყეო მეთქი...

ჩვენმა ბრძოლამ რამდენსამე თვეს გასტანა. ბოლოს ახალგაზრდებმა ვსძლიერ და წრე დავიყოლიეთ. მაგრამ, სანამ „საქმეს“ შევუდგებოდით, გადავწევიტეთ „კავკასიელთა წრის“ გადაეკეთებაც.

ასეთი წრეც იყო მაშინ ოცესაში და აერთებდა ქართველ, სომებ და მაკეთიანი სტუდენტობას (მაკეთიანი იმ დროს ერთი იყო მხოლოდ, გვარი აღარ მახსოვეს). ეს წრე უფრო ქალალდზე არსებობდა და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ჩვენს წინადაღებას იქაც ძლიერის პოზიციით დაუხვდა უმრავლესობა. იქ ჩვენს მოწინააღმდეგებთა ლიდერიდ გამოვიდა მე-4 კურსის სტუდენტი მელიქ ადამოვი (შემდგომ ნაფიცი ვექილი ერევანში). მელიქ-ადამოვი მრისხანე ორატორი გამოდგა და ულმობელის დაცინვით ამსხვრევდა „უაზრო ილუზიებს“. კავკასიელთა წრეში საქმე უფრო გაგვიძნელდა, რადგან სომხების უმრავლესობა აღმაფრენის ხასიათს ეგრერიგად ვერ იჩედა... ჩვენი პირველი იერიზები უკუგდებულ იქნა. მაშინ დავიწყეთ უმრავლესობის პატარ-პატარა ჯგუფების მორჯულება: ემართავდით „კერძო კამათს“, ვეწერდით პროპაგანდას და ვმუშაობდით კომისიაშიც, რომელსაც დასაბუთებული მოხსენება უნდა წარედგინა წრისთვის.

ერთხელ ამ კონისიაში ასეთი ამბავი მოხდა: თვითმართველობის საჭიროების ბაასის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნულ ტერიტორიაზე. ბორჩალო, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რასაკვირველია, ჩვენ ქართველებმა, შემოვიფარგლეთ. საკითხს მშეიღეობანდ მოვრჩით, როცა უეცრად ერთმა ჩვენი ჯგუფიდან, კარგად არ მახსოვე ვინ, ვგონებ კი ვასილ წერეთ ელმა, განჯის გუბერნიის ერთ ნაწილზე, თუ თვით ქალაქ განჯაზე გამოაცხადა პრეტენზია. მნაცანოვი აენთო, გაჯავრდა და გამოაცხადა, მოლაპარაკებას შევ-

შევეტ. თუ ეგეთი მოთხოვნა უკან არ იქნა წალებულიო. ისეთნაირად გაჯავრდა, თითქო ჩეენ ის იყო—ჯარს ვვჩავნიდით განჯის ანექსიისათვის..

ცხარე კამათის შემდეგ, საქმე კენჭზე მივაგდეთ და ხმის უმრავლესობით დიპლომატიური მოლაპარაკება-ურთიერთობა განსაცდილისაგან ეისხენით...

დადგა კავკასიელთა წრის საზოგადო კრების დღეც; ჩეენი მოხსენების შემდეგ წამოდგა მე ლ ი ქ-ა დ ა მ ო ვ ი და ჩეეულებრივის დაკანკვის კილოთი ნაწილ-ნაწილ დაიწყო ჩეენი დასაბუთებულ მოხსენებისა და პროგრამის დამსხვრევა. მე საშინაო გამაჯავრა იმისმა კილომ, ვერ მოვიომინე, სიტყვა შევაწყვეტინე და განვაცხადე: „მელიქ-ადამიეს აქ სასამართლო ჰვონია და თავის თავი ბრალდებული. ვინც მჟევრმეტყველობაში სავარჯიშოდ მოსულა ამ წმინდა ადგილს, ის უნდა გავაძეოთ!“

„მე თვითონ წავალ გიუების კრებიდანო“—მომიქრა სიტყვა მელიქ-ადამოვმა და გავიდა. მას ბევრი სხვაც გაჲყვა. შეიქნა აურ-ზაური, აირია მონასტერი და კრება ჩაიშალა. ბრძოლამ კიდევ დიდხანს გასტანა, მეორე წელიწადშიაც გადავედით და „საქმე“ კიდევ დაუსრულებელი დარჩა.

ახლა, როცა ეს ბრძოლა, მთელი ეს ამბავი და მრავალი წვრილ-მანი მაგონდება, მეცინება. თუ მკითხველი მყავს, ალბად, ისიც იცინის, მაგრამ... მაგრამ მარნც დაილოცოს ის ბედნიერი დრო სასაცილო გატაცებისა, ის ბედნიერი წუთები ლრმა რწმენისა და საოცნებო აღფრთოვანებისა. მთელის ჩემი არსებითა ვგრძნობ და მჭამს, რომ ვისაც ახალგაზრდობაში ასეთი „სასაცილო“ წამები არ განუცდია, არ იცის, რა არის ახალგაზრდობა, არ უგრძენია ნეტარება....



|                       |
|-----------------------|
| ს ა ზ ა რ თ ვ ა ლ რ ს |
| პ ა რ ლ ა ვ ა ნ ტ ი ს |
| ე ს ა ლ ვ 6 უ ლ ი ს   |
| ა გ ა ლ ი რ თ ვ ა ს 1 |

## IV

დაახლოვება ქართველ და რუს მოღვაწეებთან: რომანიზ  
ფანცხავა, ვასილ პეტრიაშვილი, ექიმი ბარდახი, ბროფ.  
უსპენსკი და სხვანი. — ბარდახის მოგზაურობა საქართველოში

თვე

თანდათან, რაც უფრო წინ მიღიოდა ჩემი გონებრივი განვითარება, იხტევებოდა ჩემი უკმაყოფილებაც ქართულ და კავკასიელთა წრეებისადმი. მე ვიგრძენი, რომ პრაქტიკული შედეგი ჩვენს ბრძოლას ერ მოჰყვებოდა, უმრავლესობა არ გამოვყენებოდა, თუნდაც სამოქმედო ასპარეზი მოგვეძებნა. ამასთანავე მალე თვით წრეების ცხოვრებაშიც კრიზისი დადგა...

ქართულ წრის ერთ კრებაზე ორს ამხანაგს პირადი შეტაკება მოუვიდათ. წრე ჩაერია ამ საქმეში და უთანხმოება იმდენად გაიზირდა, რომ ბოლოს ქართველი სტუდენტობა ორ ბანდებად გაიყო; ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ წრის ცხოვრება კარგა ხნით გაიყინა.

რაფი ქართული წრე დროებით დაიშალა, რაღა თქმა უნდა, კავკასიელთა წრესაც ველარ შეეძლო ცხოველმყოფელი ძალა გამოიჩინა.

ეს იყო ჩემი სტუდენტობის შეორე წრის ბოლოს. ამ ხანშივე მოხდა ჩენი ჯგუფის დაახლოება რუს სტუდენტ-რადიკალებთან და ამიერილან იწყება მეორე ხანა სტუდენტური ცხოვრებისა... ზემოთ უკეთ აღვინიშნე, რომ ჯერ გიმნაზიაშივე მოგვხდა სიო რუსის ახალგაზრდობის მაშინდელ მაძრაობისა. თუმცა ზოგი არალეგალური წიგნაკიც გვქონდა წაქითხული, მაგრამ ოდესაში რომ ჩამოვედით, ამ მოძრაობის ნამდვილი წარმოდგენა არ გვქონია და არც ვიყავით, ასე ვსთქვათ პოლიტიკურად საქმაო განვითარებულნი. რადიკალური ტრადიციების გამგრძობად პირველ ხანებში, სანამ რუს სტუდენტობას დაუახლოვდებოდით, მოგვევლინა რომანოვზე ფანცხავ (ქართულ ლიტერატურაში ხოშლელი ის ფსევდონიმით ცნობილი). ოდესაში ჯორჯაძის ღვინის ფირმის განყოფილების მმართველად იყო; ჩენთან ერთად ჩამოვიდა და სტუდენტებთან ცხოვრობდა.

რომანოზი ტფილისს სემინარიელად ნამყოფი და ტუილისს მაშინდელ ახალგაზრდობის წრეებში მომუშავე, ბევრად უფრო ნაკითხი და განვითარებული იყო, ვიტრე ჩენ. ცოცხალი, ნიჭიერი და განვითარებული ახალგაზრდა, თანაც წლოვანობით ჩენზე უფროსი,

რასაკვირველია, გაცლენას მოიპოვებდა ჩვენშე და შართლაც პირებულ წელს დიდი სამსახური გაუწია ჩვენი განვითარების საქმეს. 60-იან და 70-იან წლების რუსეთის მწერლებს ჩვენ მაშინ თითქმის სულ არ ვიცნობდით, უფრო სახელები გვექონდა გაგონილი... ორმანობმა გა-გვაცნო და შეჯვაყვარა რუსეთის რადიკალიზმის მამამთავარნი—დობ-როლიუბოვი, პისარევი, ჩერნიშევსკი; შემდეგ ერთად ვკითხულობ-დით მიხაილოვსკისაც; ვძასობდით, ვკარათობდით ისტორიაზე, სო-ციოლოგიაზე, პოლიტიკურ მოძრაობაზე. უნდა აღვნიშვნო, რომ ამას-თანავე რომანოზე ქართველი პატრიოტიც იყო. იცოდა ჩვენი ლიტე-რატურა, ჩვენი წარსული და ჩვენთან ერთად ოცნებობდა სამშობ-ლოს უკეთეს მომავალზე.

სანამ ჩვენი რადიკალების ამბავს განვაგრძობდე, აქ აღვნიშ-ნავ, რომ ამავე დროს მოხდა ჩვენი, ასე ვთქვათ, „საზოგადოებაში გამოსვლა“. ამ მხრით დაუფასებელი იყო ჩვენი აქანაგი, მეტად. ცოცხალი და სიმპატიური ახალგაზრდა ვანიჩკა ელია შვილი. როგორ და როდის ახერხებდა ამ დრინ ხალხის გაცნობას, ჩვენთვის გაუ-გებარი იყო. იცნობდა პროფესორებს, ექიმებს, ადვილობრივ მწერ-ლებს და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებსაც, მამაკაცებს და ქალებს. გაუნდისთანავე ისე დაუხალოვდებოდა ყველა ამ სიმპატიურ ადამიანს, თითქოს ბავშობიდანვე მათი მეგობარი ყოფილიყო. მისი შემწეობით ჩვენც გავიცანით ოდესის ინტელიგენციის ზოგი კარგი წარმომადგენელი, რაც დიდად სასარგებლო იყო ჩვენისთანა „ბურ-საებისათვის“, რომელთაც საზოგადოება, განათლებული და ინტელი-გენტის ოჯახი არც კი გვენ.ხა.

ამ და სხვა ძრავალ მხრითაც დაუფასებელი იყო ჩვენთვის მა-რაც სახსოვარ პროფ. ვასილ პეტრიაშვილის და მის ლირსეულ მეუ-ლლის ეკატერინე ყარაბანის ასულის გაცნობა და მათთან კეთილი ურთიერთობა. მათ ოჯ ხში, მათთან ტკბილ საუბარში გაგვიტარებია ბევრი, სამუდამოდ დასამასხოვრებელი წუთები. ვასილ პეტრიაშვილი იშვიათი ადამიანი იყო. საკვირველი თავმდაბალი, მეტად პატიოსანი, განუზომელი სიყვარულით გამსჭვალული ახალგაზრდობისადმი, მეც-ნიერებისა და თავის სამშობლოსადმი. დიდად უყვარდა ყველა სტუ-დენტს განუაჩვლად. ეროვნებისა. ამასთანავე დამოუკიდებელი ხა-სიათს პატრიონი იყო და მას დიდის მოწიწებით ეპყრობოდა ყველა პროფესორი.

მაგონდება შემდეგი: ახალ საუნივერსიტეტო წესდების ძალით, რაღაც შეეიწროება იყო შემოღებული საბუნებისმეტველო ფაკულ-ტიტე; მგონი, ვინც წინდაწინ არ ჩაეწერებოდა და ხეედრ ფულს არ



გადაიხდიდა, იმ სტუდენტებს ლაბორატორიაში სამუშაოდ არ ჟულეტა ვეძდენ. პედელები მუდამ დაძრწოდენ ლაბორატორიებში სიებით ხელში და „კათაკემეველთ“ ერეკებოდენ. პეტრიაშვილი არ დაემორჩილა ამ ახალ წესებს და ერთი პედელი არ გააჭვანა თავის ლაბორატორიაში. ინსპექცია გაბრაზებული იყო, მაგრამ ვერაფერი გაუბედა ყველა-საგან პატივცემულ და დამსახურებულ პროფესორს. საზოგადო ამხანაგს და მეგობარს სტუდენტთა, პეტრიაშვილს მეტად დამოუკიდებლად ეჭირა თავი სააკადემიო მთავრობის წინაშე, როგორიც მოელ სტუდენტობას უყვარდა; ეს კი იმ დროს იშვიათი მოელენა იყო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პეტრიაშვილი კარგი სპეციალისტი პროფესორი იყო და კარგი ხელმძღვანელი მასწავლებელიც.

მეორე ჩვენი თანამემამულე პროფ. მელიქიშვილიც კარგი სპეციალისტი, მეცნიერი და კარგივე ხელმძღვანელი შასწავლებელი იყო, მაგრამ ისეთი სიყვარული და პატივისცემა არა პქონია დამსახურებული, როგორც პეტრიაშვილს. მელიქიშვილი სხვა ხასიათის კაცი იყო: განდევილივით ცხოვრობდა, სტუდენტებთან ურთიერთობას ერიდებოდა. სამი წლის განმავლობაში შხოლოდ ერთხელ ვნახეთ ჩვენთან: ერთად შევხვდით ახალ წელიწადს, მთელი ქართველი სტუდენტობა, მელიქიშვილი, პეტრიაშვილი და ორიოდე გარეშე სტუმარი—რუსი.

ჩვენ ნაცნობ ოდესელ ინტელიგენტ საზოგადოებიდან დავისახელებ გამოჩენილ ბაქტერიოლოგს და ექიმს ბარდახი იმ დროს დიდად პაპულიარული მოღვაწე იყო ოდესაში. თავებანწირული ექიმი მუშებისა და ლარიზ ხალხისა, დილიდან საღამომდე დადიოდა განაპირობებს უღნებში და მუქთად სწამლობდა ხალხს. ფულიანი პრაქტიკა ცოტა პქონდა, მაგრამ არას ნაღვლობდა. ამასთანავე დროს შოულობდა და ოდესის პასტერის ინსტიტუტში ექმარებოდა გამოჩენილ მეცნიერს მეჩინიკოვს. შემდეგში, როცა მეჩინიკოვი პარიზში გაიწვიეს, ოდესის ინსტიტუტის გამგედ ბარდახი დაიშნეს.

ბარდახი ძალიან დაგვიმეგობრდა ქართველ სტუდენტებს. დადიოდა ჩვენთან, გვიწვევდა თავის ოჯახში. ერთხელ გამოგვიცხადა, კავკასია მინდა ენახო და ზაფხულში თქვენთან ერთად წამოვალო. ბართლაც შემდეგ გაზაფხულს ერთად წამოვედით.— ჩვენმა ამხანაგმა, ზაქ. მაკავარიანმა ბარდახი დაპატიჟა თავის სოფ. ილემში (ზემო იმერეთშია). ზოგი ჩვენგანიც (ჩემს გარდა იყვნენ, თუ არა ვსცდები, ი. ლორთქითანიდე და ივ. ელიაშვილი) გაპყა შათ. ცესტაფონიდან ცხენებით უნდა წავსულიყავით. ბარდახს ეს გარემოება ბავშვივით

ასარებდა, რადგან ცხენები არასოდეს მჯდარიყო. ჩავედით თუ არა  
ზესტაფონში, მოგვევარეს ცხენები. ბარდახი მივარდა ვისთვის არ-  
ჩეულ საუკეთესო ცხენს, შეღა უზანგში ფეხი, შეახტა მარდად და  
ცხენს კულისკენ მოექცა. ჩვენ სიცილი აგვიტყდა, ახლო მდგომ ქუ-  
ჩის ხალხმა ყიუინა ასტეხა. ბარდახი გაკვირვებული იყო და გვეუძ-  
ებოდა. არ მესმის, როგორ მოხდა ესაო: თანაც—დამსწრეთა სი-  
ცილ-ყიუინაშ ძალიან გაამსიარულა. რა ექსპანსიურია სამხრეთის  
ხაოზიო...

სოფელში ჩავდით, საღამო ახლოვდებოდა. მასპინძელი, ზემო იმერეთში იმ დროს განთქმული ტოლუმბაში კანსტანტინე მაჭავალიანი, თავის მეზობლებით უკვე გვიცდიდა ეზოში გაშლილ სუფ-სასთან. დაიწყო ჩენებური ქეითი სიმღერით, სიტყვებით, ლვინის დაძლევით. პატარა ხანს ბარდახი ცნობისმოყვარეობით აღვნებდა თვალყურს უნახავ სურათს. მაგრამ მალე წამოხტა, მასპინძელს შადლობა უთხრა და სთხოვა ცხენი მომგვარონ, სეირნობა მირ-ჩევნიათ.

— თქვენ ნუ მომიკვდებით, უზრდელები ყოფილან თქვენ გეცნიერებით, ჩუმად შემოვვჩივლა ერთმა სტუმარმა აზნაურთავანმა. შემდეგ ბარდახი ქუთაისში ჩავიყვანეთ, ვაჩვენეთ გელათი და ძოწამეთა-მონასტერი. აქედან ტფილის ჭავიდა. ტფილისიდან კი საქართველოს სამხედრო გზით ოდესისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. მესამე დღეს, გავიხედეთ, ბარდახი ისევ ქუთაისში ჩამოცუნცულდა.

— რა ამბავია, რა მოგივიდათ? შევძახეთ ჩვენ.

— რა ამბავი და, გვიპასუხა ბარდახმა, შევდგი თუ არა ფეხი  
საეთნოგრაფიო მუზეუმში, მაშინვე ყაჩალებმა გამძარცვეს.

— როგორ თუ საეთნოგრაფიო მუზეუმში... ყაჩალებმა?!..

— ტფილისის რენინს გზას სადგური ნამდვილი საეთნოგრა-  
ფიო მუხეუმია,—განაგრძო მან. მთელი ოღმოსავლეთის ხალხი იქ  
ირევა... მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ეკზოტიური სანახაობა.  
გაშტერებული ვიდევ... მოვარდა ვიღაცა და სერთუკის ჯიბიდან,  
რაც ფული მქონდა ამომაცალა... ტფილისამდე გზაში კიდევ, თითქ-  
ჩის ამპარტავნობით დაუმატა ბარდახმა, ყაჩალები თავს დაეცნენ  
მატარებლის ერთ ვაკონს, ვიღაც ქალს რამდენიმე ათასი მანეთი  
წაროვეს, გაქანებულ მატარებლიდან გადახტნენ და ტყეს შეაფა-  
რეს თავით.

ვუშოვეთ ფული და გავისტუმრეთ ჩეენი სტუმარი, აღტაცებული ჩეენი ქვეყნის ბუნებით და ყველაფრით, რაც ენახა. ორი თვის შემდეგ თავისი შითაბუჭოლებანი მოათავსა „ოდისესი ლისტოკში“.

მისი აღტაცება ყოველ სტრიქონში იხატებოდა, მაგრამ როგორდაც ხაზგასმული იყო, კავკასია აეაზაკების ბუდეაო. გაზვიადებულად იყო აწერილი ორიოდე შემთხვევა. ეს ცუდი განზრახვით არ მოსვლია ბარდას, არც ეგონა, თუ ცუდად მივიღებდით; პირიქით „ექტოტიზმი“ და „ავაზაკური რომანტიზმი“ სასახელოდ მიაჩნდა კავკასიისათვის. ჩვენ მაინც გვეწყინა და ზაქ. მაჭიფარიამა პირველად და მგონი უკანასკნელადაც აიღო ხელში კალაში და საპასუხო ფელტონი გამოკიმა იშავ „ოდესსკი ლისტოკში“.

ოფესის სხვა ჩვენ ნაცნოპებში დავასახელებ პროფ. უსპენსკის (შემდეგში კონსტანტინეპოლის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დირექტორის), უურნალისტ პეტრო-ვინოგრადსკის (ბარონ იქს), ნაფიც ვე-ჭილს გუსაკოვს და სხვათა. ყველა ეს ჩვენი ნაკრიბნი, განათლებული და ინტელიგენტი ხალხი იყო, ვისაან ურთიერთობაც სასარგებლო იყო ჩვენთვის.



V

და. პლოება რუს სტუდენტებთან. — რადიკალთა წრები. გაშინდელი სარევოლუციო იდეოლოგია. — ჩემი შეხველა სტუდენტთა სარევოლუციო კომიტეტში. — ფილიპო-პოლის გადატრიალება — ნადასნის ხიჯვდილი

იმავ ხანებში, როგორც ზემოთ აღნიშნე, დაიშყო ჩემი დაახლოება რუს სტუდენტ-რადიკალებთან. მაშინდელი რუსის სტუდენტობის დიდი უმრავლესობა იდეის მხრით არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა; ესენი მხოლოდ მეცადინეობდენ და მეცადინეობდენ იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო მომავალ კარიერისათვის; სულ კოტა მეცადინეობდა უფრო სერიოზულად და სამეცნიერო მოღვაწეობაზე ფიქრობდა. ხოლო ასამდე სტუდენტი, რადიკალთა ჯგუფებად იყო დაყოფილი და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ოცნებობდა. სურათის სისრულისათვის უნდა აღნიშნო, რომ „ჭრმარიტი რუსები“ მაშინაც იყვნენ: არსებობდა პატარა ჯგუფი იუდოფობ სტუდენტებისა. ამ ჯგუფის ბელაზზე, მეოთხე კურსის სტუდენტ პეტრიკოვებზე, მახსოვს „ნარობნ. ვოლიას“ ერთ-ერთ ა.შ.ში დაბეჭდილი იყაც ცნობა, ჯაშუშიაო და იმის დაბეჭდებით ესა და ეს სტუდენტები იყვნენ დაპატიმრებულნიო. როგორც ხედავთ, მაშინდელი „ჭრმარიტი რუსებიც“ არ თაკილობდენ „ოხრანკის“ თანამშრომლობას...

სტუდენტების „რადიკალობა“ და ჩოლი მათი „რევოლუციონერობა“ გამოიხატებოდა თეორიულ მეცადინებისა და სტუდენტთა შორის პროპაგანდის გაწევაში, იშვიათად თუ გასცილდებოდა ამ ფარგალს და უნივერსიტეტის გარეთ წარმოებულ ბრძოლაში მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას. თეორიული ჯგუფობრივი მეცადინება ერთხელვე დაწესებულ გეგმით სჭარმოებდა. კითხულობდენ და არჩევდენ ლავროვის ცნობილ თხზულებას: „ისტორიჩესკია პისტა“, ტეატრისა და ტიბომიროვის საპროგრამო-სარევოლუციო წევნებს, სჭავლობდენ მილის პოლიტიკურ ეკონომიკს, ჩერნიშევსკის შენიშვნებით, შემდევ მარქსის პირველ ტომს, ლასალის სასამართლოში წარმოთქმულ და სააგიტაციო სიტყვებს და მრავალ არალეგალურ ბროშურას ნარობნიკების, „ჩერნო-პერედელცების“, „ნაროდოვოლცების“ სარევოლუციო ბიბლიოთეკისას. მაშინდელი სარევოლუციო მოძრაობა ნაროდოვოლცების იყო და იდეოლოგიურ მათი ბატონობდა, თუმცა უკანასკნელ წუთებს განიცდიდა ..

ზოგი რამ საკვირველი იყო სარევოლუციო „სიბრძნეში“. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ის ერთობ გამრიმიტივებული ის-ტორიული კონკრეტია, რომელზედაც აშენებდენ თავის მოძღვრებას იმ იდეოლოგიის საფუძველის დამდებელნი—ტეარკო და უმთავრესად ტიხომიროვი. მათი სწავლით, რუსეთში არსებობდა წხოლოდ ორი აქტიური საზოგადოებრივი ელემენტი: მთავრობა და ინტელიგენცია. თავად-აზნაურობა მხრილოდ სამსახურის წოდება იყო (ცუჯილისის სილიცი), რომელიც მთავრობის უმა იყო და არისო; გლეხობა შეუკვებელი, უძრავი, პასიური მასაა, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლაში ანგარიშგასაწევი არ არისო; ბურუუაზიული კლასი და მასთან მუშათა კლასი მხოლოდ ეხლა იჩეკებათ და ჯერ ანგარიშში ჩასაგდები არ არისო. ამნაირად აჩვენა მთავრობა და რევოლუციონური ინტელიგენცია, რომელთაგან უკანასკნელი აღჭურვილია ზნეობრივის ძალით (ცოდნით, ფანატიკური მისწრაფებით თავისუფლებისადმი და ხალხის, თუმცა პასიურის, მაგრამ მაინც არა უმნიშვნელო თანაგრძნობითამ). ამ პირობებში ინტელიგენციის გამარჯვება აუცილებელია. სახელმწიფოებრივ უფლებას ძალით ხელში ჩავიგდებთო და რუსეთის წესწყობილებას გარდავჭმითო.

ასე მარტივად და ადგილად სწყდებოდა საქმე ამ თავისებურ  
ბლანკისტების აზრით... ეს პოლიტიკური რევოლუცია იყო. რაც  
შეეხება რუსეთის სოციალისტურ გარდაქმნას, იგიც ადვილად,  
მკონი უფრო ადვილადაც სწყდებოდა. „რა უნდა გავაკეთოთ რევო-  
ლუციის მეორე დღესათ“ კითხულობდა ტიხომიროვი და უპასუ-  
ხებდა: რუსეთის მთავარ ეკონომიკურ ძარლებს გლეხობა შეადგენს;  
კაპიტალიზმი არ არსებობს; გლეხობის მიწათმფლობელობის წესი  
სათემოა; რუსის ხალხი არტელის, თემის ხალხია. მაშასადამე ახალ  
რევოლუციონურ მთავრობას დეკრეტებით შეეძლება სოციალისტური  
წესწყობილების დამყარება; ჩვენი პრომიტიული კომუნიზმის (თე-  
მის და არტელის) ხალხი ადვილად შეიძლებს გადავიდეს იმაგ  
ტიპის, მაგრამ უფრო მაღალის ხარისხის სოციალურ წესწყობილე-  
ბაზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი რწმენა რუსის ხალხის პოტენციალურ სოციალისტობისა მარტო ნაროდოვოლცების მოძღვრებას როდი ახასიათებდა. ქველი სლავიანოფილები და „ზაპალიკები“, ლიბერალები, ნაროდნიკები, ყველანი ხაზგასმით ღალადებდენ რუსის ხალხის იმ განსაკუთრებულ ოვისებებზე, რომელთა წყალობით იგი უფრო აღვილად განაახლებს სოციალურ წესწყობილებას, ვიდრე დასავლეთ ეკრობის ერებით... სხვათა შორის მათსონს, როგორ გა-

მაკვირა მარქსის შენიშვნაში: გერცენი სლავიანოფილიაო. გერცენის თხზულებათა შუანა მაშინ არ შეიძლებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ გერცენი მედგარი რევოლუციონერი, სოციალისტი და ინტერნაციონალისტი იყო; ამიტომ მარქსის შენიშვნა მისთვის ჩვეულებრივ საპოლემიკო რიხიანობას მიეთერი. მხოლოდ ეხლა, რევოლუციის შემდეგ, როცა გერცენის თხზულებანი გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მარქსი მართალი იყო: საუკეთესო პუბლიკისტური ნაწილმოებები გერცენისა, როგორც მაგალითად წერილები „С того бере-га“, სლოვიანოფილურ ტენდენციითა გაულენთილი. გერცენს აღარ სწამს ევროპის დემოკრატიის ძალა სოციალურ ბრძოლაში და დარწმუნებულია, რომ რუსის ხალხის განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი (თემი) და რუსის ხალხის სხვაგვარი სულიერი განწყობილება (ანტი-ინდივიდუალიზმი) სასწაულს მოახდენენ.

ეკონომიკური ნაწილი ნაროვოვოლცების მოძღვრებისა, როგორც მახსოვს, ბევრს ვერ აქმაყოფილებდა მაშინაც. სხვადასხვა გზით მიღიოდენ სოციალიზმის სამეფოში: ზოგი ძეველ ნაროვნიკების, ან ტიხოშიროვის გზით, ზოგი ლავროვის და მიხაილოვსკის თეორიებით („ისტორიული წერილები“, „პროგრესის ფორმულა“, „ბრძოლა ინდივიდუალობისთვის“ და სხვა), უკვე იყვნენ ისეთებიც, რომელიც მარქსის კონცენტრაცია-პროლეტარიზაციით და ბოლოს ცუხამენბრუხით მიემგზავრებოდენ, მაგრამ პოლიტიკური მხარე ნაროვოლცების პროგრამისა იდეურ ახალგაზრდობის დიდ უზრავლესობას ბეჯითად სჭამდა.

სტუდენტთა რადიკალური ჯგუფები, როგორცა ვთქვი, გულმოდგინედ მეცადინეობდენ: კითხულობდენ ერთად, მართავდენ კრებებს სხვადასხვა საკითხებზე და სხვა.

სხვათა შორის, მე ხშირად ჩამოვაგდებდი ხოლმე გაასს განაპირო ქვეყნების სვე-ბედზე. რასაკვირველია, არაეს წარმოდგენა არა ჰქონდა საქართველოსი: კავკასია კი მათთვის იყო პირველყოფილ ადამიანთა რაღაც უცნაური ბუდე... მიუხედავად ამისა, ისინი ყველასათვის სრულ „თვითგამორკევის“ უფლებას იღიარებდენ. გულმოდგინედ ვარკვევდით საკითხს, თუ როგორ უნდა მოეწყოს თავისუფალი რუსეთი თავის განაპირო ქვეყნებით...

რა სანეტარო იყო ხშირად ეს კრებები! რა იმედი იყო მომავლისა, რა აღფრთვევანება!..

მე საესებით შეეტოვ ამ წრეებში და ხარბად დავეწავე ჩემთვის ახალ ლიტერატურას. სხვა ქართველი ამხანაგები მალე ჩამოშორდენ. მეცადინეობის მეტს, როგორც აღვნიშნე, რადიკალური

ჯგუფები და მათი „ცენტრალური კოშიტეტები“ არაფერს აკეთებდენ; ის იყ კიდევ, რომ თეორიულ პროპაგანდას ეწეოდენ სტუდენტებშივე. ხანდახან ფულს აგროვებდენ პოლიტიკურ პატიმართა დასახმარებლად და არალეგალური ლიტერატურის გამოსაწერად. მაგრამ ასეთი მოღვაწეობაც საკმარისი იყო მაშინდელ მთავრობისათვის და იგი უმოწყალოდ სდევნიდა ახალგაზრდობას. იმ წლებში მაგალითად, რაც რადიკალური სტუდენტობა იყო ოდესაში, კველა დაისაჯა დაპატიმრებითა და გადასახლებით. მათ შორის მეც მხედარი წილად დატუსალება და მთელი ხუთი წლით ციმბირში გადასახლება, მაგრამ ამაზე ჭრიმოთ...

ჩვენ კრებებში ხანდახან გარეშენიც (არა სტუდენტებიც) და-დიოდენ და იღებდენ მონაწილეობას კამათსა და ან ისე, უბრალო დროს გატარებაში. ამათში სხვათა შორის გასახელებ რუსის ორ მწერალს, რომელნიც იმხანად ოდესაში სცხოვრობდენ: გრ. მაჩტეტს და ივ. სველენცოვს (ივანოვიჩს). გამოჩენილი ბელეტრისტი მაჩტეტი მშვინეული მობაასე იყო და ხშირად გვიამბობდა ხოლმე ცნობილი ტერერატორთა და მწერალთა ამბებს, პოლიტიკურ ანკვდოტებს, ისტორიებს 70-იანი და 80-იანი წლების რეოლუციონერებისას. ჩვენს ჯგუფებში, რასაკვირველია, ქალებიც იყვნენ. მაჩტეტს, კარგად ჩახ-სოვს, უფრო მათ საზოგადოებაში უყვარდა ყოფნა. როცა ჩვენ რა-მე კამათს დავიწყებდით, ქალები განცალკევდებოდენ, შემოუსხდებო-დენ ირგვლივ მაჩტეტს და ისიც ალფრონვანებით უამბობდა თავის დაუსრულებდელ საინტერესო ისტორიებს, მოგონებებს. . . .

სვედენცოვი სხავა ხისიათისა იყო. სევდიო და მწუხარებით მოცული, იშვიათად ლაპარაკობდა და უფრო სერიოზულ კამათს ეტანებოდა. მებრძოლი ხისიათის კაცი იყო, პირდაპირი, მტერი ყოველგარი კომპრომისისა, იგი მტკიცედ იდგა ერთხელვე აჩეულ ეკლიანს გზაზე და ამიტომ ბევრი ტანჯვა-გაება იგება. ახალგაზრდობას ძალიან უყვარდა, როგორც რევოლუციონური მოღვაწე, როგორც ბელეტრისტი. სვედენცოვი — ბელეტრისტია თუმცა არ იყო მბრძყინავი ხელოვანი, მაგრამ ტენდენცია და მიმართულება მისი მოთხოვნებისა ხიბლავდა მაშიდელ იდეურ ახალგაზრდობას. მოვიხსენიერ აქვე, რომ სიცოცხლის ბოლო წლები სვედენცოვმა ტფილი-სში გაატარა. სადაც ჩემთან ერთად მუშაობდა თუმანიშვილ ების ნოვ. ობოზ-ში". —

ტის, ან საზოგადოდ ადმინისტრაციასთან თუ სხვა ამგვარი შემთხვევა — იქნებოდა, რადიკალი ჯგუფი თავის მოვალეობად სთვლილა ჩარეულიყო და „სასურველი მსვლელობა“ ე. ი. ფემონისტრაციის სახე მიეკა საქმისათვის. იმ წლებში ასეთი შემთხვევა ბევრი არ ყოფილა. რაც იყო, ისიც უმნიშვნელო. მაგალითისათვის გავიხსენებ უფრო საინტერესო ისტორიას. —

1886 წელს მოხდა ეგრეთწოდებული „ფილიპობოლის რევოლუცია“: ბულგარეთის პატრიოტებმა ფილიპობოლში დაატუსაღეს ოსმალეთის გენერალ-გუბერნატორი აღმოსავლეთ რუმელიისა და ტირინვში მყოფ სტამბულის დეპეშა გაუგზავნეს: აღსრულდა აღმოსავლეთი, რუმელია შეუერთდა ბულგარეთსამ. ამ შეერთებას, ბულგარეთის პატრიოტ-რევოლუციონერები დიდი ხანი ამზადებდენ და მთავრობაც ხელს უწყობდა ჩუმად. ეს ყველა სახელმწიფომ იცოდა, მაგრამ როცა ფაქტი მოხდა, ერთი აურჩაური ასტყდა. ოსმალეთი მრისხანე მუქარას უთვლიდა ბულგარეთს. სერბიამ კი მაშინვე ომი გამოუტანადა. ბულგარეთის მაშინდელი მთავარი ალექსანდრე ბატებ-ბერგელი არ შეუშინდა ამ აურჩაურს, გაუძლვა თავის ჯარს და ერთ თვეში სრულებით დაამსხვრია სერბიის მხედრობა. ახლა ბულგარეოს რუსეთის მთავრობა გადაეკიდა: მთავარი ალექსანდრე ბულგარეთიდან გააძევა და ბულგარეთის დამოუკიდებლობა საშიშ ტრიზისში ჩააყენა.

რუსეთის მთავრობის ასეთმა ძალმომრეობამ ქალიან ააღელა რუსის მოწინავე საზოგადოება, სტუდენტობა ხომ, რაღა თქმა უნდა, ოდესის რადიკალ-სტუდენტებმა მაშინვე მოიწვიეს სტუდენტთა საზოგადო კრება, რომელზეც აც გადასწყდა ალექსანდრე ბატენბერგელისთვის აღრესის გაგზავნა. პერგამენტშე დაწერილი და რამდენიმე ას სტუდენტის ხელმოწერილი აღრესი შეიცავდა პროტესტს რუსის მთავრობის წინააღმდეგ და თანააღმნობას ბულგარეთის თავისუფლებისათვის მებრძოლოა მიმართ...

ადმინისტრაციამ როგორლაც გვიან გაიგო ეს ამბავი: აღრესი უკვე გაგზავნილი იყო და დამნაშავე არსად სჩანდა; რამდენიმე „შეინიშნული“ სტუდენტი დაატუსაღეს, მაგრამ ისევ გაათავისუფლეს და ეს ისტორია მშვიდობიანად გათავდა.

მეორე „ამბავი“ ნადსონის სიკვდილმა გამოიწვია. ნადსონი გარდაიცვალა იალტაში 1887 წელს, იანვარში. მოვიდა დეპეშით ცნობა, ამა და ამ დღეს ნადსონის ცხედარს ოდესაში მოასვენებენ და იქიდან პეტროვკადში წასვენებენ.

ნადსონი მაშინ ახალგაზრდობის სათაყვანებელი პოეტი იყო. გარდა ამისა ყველანი დიდათ ალელუბულნი ვიყავით იმ უსვინდისო და შემძრულებელი დევნით, რომლითაც „ნოვ. კრემ“, და შისმა კრიტიკოსმა ბურენიშა უკანასკნელი დღები მოუწმდეს ერთობ მეგრძნობიარე და ავადმყოფ პოეტს. მაშინვე შესდგა სტუდენტთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა: გვირგვინით კუბოს შემკობა, ნავთსადგურიდან სადგურამდე ცხედრის საერთოდ გაცილება და გამოსახოვარი სიტყვის წარმოთქმა. დანიშნულ დღეს დილა აღრიანდ დიდძალმა სტუდენტობამ მოვიკრეთ თავი ნავთსადგურზე. რამდენად დაშინებული იყო იმ ხანებში რუსის ლიბერალური საზოგადოება, იქიდანაც სჩანს, რომ სტუდენტებს გარდა, ნავთსადგურზე ათოდე გარეშე თუ დაესწრო.

მოვიდა გემი: სტუდენტები ავიდენ ზედ, ჩამოასვენეს დიდი კუბო (პოეტის გვამი ორ კუბოში იყო ჩასვენებული) და მოათავსეს ჩვენს მიერვე დაბარებულ საგლოვიარო ეტაზე. ზედა კუბოს ორსავე მხარეს დააწერეს დიდი ასოებით ნადსონი და პროცესია გაემართა სადგურისენ. ეტლს ჯერ მისდევდენ მიცვალებულის მახლობელნი, მწერლის ნადსონის მეულე და ორიოდე მეგობარი (ესენი იალტიდან მოჰყოლოდენ). შემდეგ ჩვენ—მრავალი სტუდენტობა რიგრიგად, ოთხ-ოთხი კაცი; გვერდზე და უკან პოლიციის ძლიერი რაზები. მთელი ეს პროცესია სრული სიჩრუით მისწევდა საგლოვიარო ეტლს. ქუჩებში პანელებზე დიდძალი ხალხი იდგა, ქუდმოხდილნი და ისიც სდომდა. ბევრს უნდოდა შემოერთებოდა პროცესიას, მაგრამ პოლიცია არ უშვებდა.—ამნაირად მივედით რეინის გზის სადგურზე. იქ ორმა სტუდენტმა სიტყვები წარმოსთქვეს: ბრძოლაზე, მსხვერპლზე და იმაზე, რომ „დადგება დრო და გმირთა ძელებიდან აღსღება მრისხან შურისხმავებელი, რომელიც ჩვენზე უფრო ძლიერი იქნება და შემუსრავს მტერს, ხალხის შემავიწროებელს და ჩვენს მდევნელს“. სიტყვების შემდეგ ერთმა სტუდენტთაგანმა პოეტის კუბო შეამჭო ჩვენი გვირგვინით და დაიჩოქა. მაშინვე ყველამ მუხლი მოვიყარეთ.

იმავე ღამეს ორივე ორატორი სტუდენტი დააპატიმრეს და შემდეგ სადღაც გაგზავნეს. სხვა მსხვერპლი ამ ისტორიას არ მოჰყოლია... სამაგიეროდ, ამავე წლის დამლევს მოხდა დიდი ისტორია, რომელმაც უკვე სამოცამდე კაცი იმსხვერპლა.

მთელი რადიკალთა წრე,— და მეც სამუდამოდ გამომათხოვეს უნივერსიტეტს.

მაგრამ სანამ ამ „ისტორიაზე“ გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო რომ სწორედ ამ დროს ვე, 1887 წლის დასასრულს, მე ერთი ნაბიჯი გადავდგი წინ ჩემ სარევალუციო მოღვაწეობაში. —

იმანად როგორცა ვთქვი, ნაროდოვოლცების მოძრაობა იყო. ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ თითქმის მოელი პარტია განადგურებული იქნა, იმ დროს აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწე არავინ დარჩა და პარტიის მოქმედება შესწყდა. მხოლოდ 1885-6 წლებიდან განახლდა მუშაობა. აღორძინდა ვკრეთშოდებული „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლია“, რომელიც ორ დიდ ჯგუფად იყოფოდა — ჩრდილოეთისა და სამხრეთის; ჩრდილოეთის ჯგუფს სხვებთან ერთად ვ. ი. ლენინის ძეა ულიან რვი, სამხრეთისას კოგან ბერ ნშტერი ინი. ამ სამხრეთის ჯგუფს ეკუთვნოდა ოდესის კომიტეტი 1887 წლის განმავლობაში „ოხრანკამ“ ზედიზედ გაანალენია თდესის ორი კომიტეტი, ასე, რომ კომიტეტის შესადგენად ბოლოს მოგემართეს ჩეენ, სტუდენტების ცენტრალურ კომიტეტს და ეს ცენტ. კომიტეტი სტუდენტნარობოლულებისა გადაიქცა თდესის კომიტეტად, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სარევოლ. მუშაობისათვის როგორც ქალაქში, ისე მთელ მაზრაში. კომიტეტში შევედით გ. რ. მარმარ შტეინი. დროში დოვი, პილევი, გინზბურგი, კობერმანი, კოტე ბესენი და მე. ნოემბერში დავიწყეთ მუშაობა: პროპაგანდა მუშებისა და ახალგაზრდობს შორის, არალეგალური ლიტერატურის გვერცელება, პროკლამაციების ბეჭდვა და სხვა, მაგრამ ჩვენი კომიტეტის არსებობაც ხანმოკლე შეიქნა: მოგვისწრო დიდმა საუნივერსიტეტო ისტორიამ, რომელსაც, როგორც ზემოთა ვსთქვი, სრულიად სხვანაირად დაატრიალა ჩემი ცხოვრების ჩარხი.



## VI.

1887 წლის სტუდენტთა დიდი არესტონბა.—ჩემი პირ-  
ველი დაპატიმრება

1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება იმდენად რეაქციონური იყო და იმდენად ამახინჯებდა სააკადემიო ცხოვრებას, რომ თვით ქველმა სახელმწიფო საბჭომაც კი დაიწუნა. საბჭოს უმრავლე-სობამ უარპყო წესდება, მაგრამ კატეკო-ლეონტიევის ქმნილება სა-სარგებლოდ მიაჩნდა მთავრობას და იმპერატორმა ალექსანდ-რე შესამეგო საბჭოს უმცირესობის აზრი დაამტკიცა: წესდება 3 წლით იქმნა „საცდელად“ შემოლებული. სწორედ 1887 წ. თავდებო-და ეს „საცდელი“ ვადა და ამიტომ სტუდენტების წრეებში დაიწ-ყეს ლაპარაკი, საჭიროა დემონსტრაციის მოხდენა; საჭიროა მთავ-რობას გავაგებინოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ წესდებისამ.., ეს იყო ნოემბრის დამლევს. მე უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი.

ლაპარაკი-ლაპარაკად რჩებოდა, რაღაც ჯერ-ერთი, იმედი არავისა ჰქონდა, რომ აღვილობრივ სტუდენტუბაში მღილარების გამოწვევა შეიძლებოდა, მეორეც ის, რომ სხვა უნივერსიტეტებიდან არაფერი ისმოდა... მაგრამ ამ დროს მოსკოვიტან რამდენიმე წე-რილი მოვადა, რომლებიდან გაეიგეა, მოსკოვში უკვე ერთი კვირაა, რაც სტუდენტების არეულობა დაიწყო, უნივერსიტეტი დაიხურა, ქუჩებში შეტაკებაც მოუხდათ პოლიციასთან და ჯარითანა.

მეორე თუ მესამე დღეს ამგვარივე ცნობები მოვიდა პეტერ-ბურგის და ხარკოვის უნივერსიტეტიდან. ეს ამბავი უცად გავრ-ცელდა სტუდენტებში და დაიწყო ცხარე ლაპარაკი. რევოლუციო-ნერები რასაკირველია, მაშინვე ჩაერიენ და გააჩაღეს პროპაგანდა. ორი დღის შემდეგ ნიაღავი უკვე შხად იყო; სტუდენტები ლერავ-დენ; დაინიშნა კრება, რომელსაც დიდადი სტუდენტობა დაესწრო. ინსპექცია დაფაცურდა, უნდოდა კრების ჩაშლა, ჩაგრამ სტუდენ-ტებმა ლონე ილონეს და „კურილეა—ში“ ინსპექციის მოხელე შემო-უშვეს. კრებაზე წაკითხულ იქნა მოსული წერილები, რომელთაგან ყოველი თავდებოდა მხურვალე მოწოდებით ამხანაგთადმი—მხარი დაგვიკირეთო. ერთმა-ორმა სიტყვაც წარმოთქვა, გამოუძახეს დე-მონსტრაციის მოხდენის მოწინააღმდეგეთ. მაგრამ ასეთი არავინ აღ-მოჩენილა. ამიტომ გადაწყვდა მეორე დღეს ლექციების შეწყვეტა და მოთხოვნის წარდგენა. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ არეუ-

ლობა მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ წესდების წინააღმდეგ და სხვა რომ პოლიტიკური ხასიათი დემონსტრაციას არ შეიღო.

მეორე დღეს დილა იდრიანად მივედი უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის წინ ქუჩასა და ეზოში უკვე ჯარი და პოლიცია იდგა, მაგრამ უნივერსიტეტში სტუდენტებს თავისუფლად უშვებდენ. 10 საათისათვის უკვე მრავალი სტუდენტობა შევროვილიყო. ზოგან ლეკციები დაწყოთ კადეც. სდენდენტებმა ჯგუფ-ჯგუფად ჩამოუარეს აუდიტორიებს, გამორევეს სტუდენტები, დაითხოვეს პროფესორები; შემდეგ წაართვეს მსახურთ გასაღებები და ყველა აუდიტორია დაჰქორეს. გამოცხადდა, კრება საძრო დარბაზში მოხდებაა და მოთხოვნა იქ წარედგინება რექტორასათ. მივაწყდით სააქტო დარბაზს, კარები დაკეტილი დაგვხვდა; პატარა ხანს უკან კარები ძალით შეამტკრიეს წინმდგომა სტუდენტებმა და პირველი რიგი უკვე დარბაზში შევარდა. მიეკიხდ-მოვიხდეთ, სტუდენტები ცოტა-ნი აღმოჩნდენ დარბაზში; უმეტესობა გარეთ კიბეებსა და დერეფ-ნებში ისგა და როგორდაც ყოყმანობდა. ჩავრამ ერთი-ორი ცხარე სიტყვა და დარბაზი მაშინვე გაიჭედა ახალგაზრდობით; მოვიწვიეთ რექტორი; ინსპექტორი, რომელიც ჯერ წინააღმდეგი იყო და უარს გვეუბნებოდა, მალე დარწმუნდა, რომ ურეა: ტორიოდ ვერას გახდებოდა, და იგი მოწვია. დარბაზში ჩემოვიდა და კათედრაზე ავიდა რექტორი იაროშენკო. იმს მეტ სახელად იანუსს ვეძახდით; დიდი დიალოგმატი იყო; მთავრობასთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, სტუდენტობაშიაც ახერხებდა კარგი სიხლის მიხვეჭას. გადასცის ჩვენი მოთხოვნა 1884 წლის წესდების გაუქმებისა და ისვე 1863 წლის წესდების შემოლების შესახებ. გვერდში მდგომა ამხანაგშა მითხრა:

— ვერა პეტერე, თორემ დარწმუნდებოდი, რომ ნამდვილი ორსახიანი იანუსია: ცალი პირი, რომელიც კარებიდან სჩინს (კარებში ინსპექტორი იდვა თავის ამაღით) მრისხანედ მოლუშულია; შეორე პირი კი, ჩვენკვენ, იღიმება.

რექტორმა გამოართვა იუ არა სტუდენტს ჩვენი მოთხოვნა —, შაშინვე დახია და ცალი ყბით მრისხანედ სთქვა:

— მე არც ნება შაქვს, არც მინდა თქვენი მოთხოვნა მივიღოთ...

მეორე მხრით თანაგრძნობის კილოთი გვითხრა:

— ვიკი, რაც სწერია თქვენს მოთხოვნაში და პირადად გადაცემ სამოსწავლო ღლებს მზაუნველს; თანაც ვთხოვ, თქვენი აზრი ახალ წესდებაზე, საერთო განათლების მინისტრს შეატყობინოს... ახლა კი ვთხოვთ დამზიდდეთ და სწავლა განავრძოთ...



ჩვენ მივაძახეთ, სწავლას არ დავიწყებთ, სანამ ჩვენი მოთხოვდა არ იქნება დაკმაყოფილებული-თქო. თან მოვითხოვეთ, რომ ოლქის მზრუნველი მოეწვიათ. შეიქნა ყვირილი:—ოლქის მზრუნველი დაიბარეთ ახლავე, ოლქის მზრუნველი, ყვიროლენ დარბაზში, ყვიროლენ კიბეებზე, დერუნებში. რექტორი გაიქცა. ერთი საათის განმავლობაში არ შეწყვილია საშინელი აურ-ზაური. ბოლოს, როგორც იქნა დავაწყნარეთ სტუდენტობა და წინადადება მივეცით მზრუნველთან დეპუტაციის გაგზავნისა. სტუდენტებმა იყვირეს: ყველანი წავიდეთ ერთად მზრუნველთანაო! მაგრამ ეს უმცველად გამოიწვევდა ქუჩაში მდგომ პოლიციასთან და ჯართან შეტაკებას: ატყდა ისევ საშინელი ყვირილი. მღელვარება თანდათან მატულობდა. ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს ამბავი, რომ უეცრად ინსპექტორის თანაშემწე არ გამოხნილიყო, რომელმაც შემდეგი განცხადება მოიტანა: მზრუნველის განკარგულებით უნივერსიტეტიც დახურულია.

ურაა! გისმა ყვირილი, ჩვენც ეს გვინდოდა!, სანამ წესდებას არ გამოსცვლით, ამ უნივერსიტეტის კარებს არ გაგალებინებთ...

იქვე გადავწყვიტოთ; რაკი ჩვენს მიზანს მივაღწიეთ და უნივერსიტეტი დავაკეტინეთ (sic!) პოლიციას ნულარ მივცემთ ჩვენის დარბევის საბაბს და მშეიდობიანიდ, პატარ-პატარა ჯგუფად დავიშალოთ-თქო. ეს ვონიერი გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ და გადავრჩით ცემა-ტყეპასა და იქნება უარესსაც, რასაც იმ დღე-ებში ადგილი ჰქონდა მოსკოვსა და პეტერბურგს.

იმავ სალამოს ბევრი სტუდენტი დაატუსაღეს. მე ჩემს ბინაზე გვიან მივედი, თითქმის შუალამისას. შესავალ კარებთან დამხვდენ „შპიკები“ და პოლიციელები. თავაზიანად გზა მომცეს და კარი გამიღებს. დერეფანში გაფითრებული დიასახლისი შემცვდა და ჩამი-ჩურჩულა—პოლიცია გიცდისო. გართლაც ჩემს ოთახში პოლიციას უკვე დაწყო ჩხრევა. დაკუტილი ჩემოდანი გამაღებინეს, დაათვალიერეს, მეც გამჩხრიყეს და შემდეგ ეტლით წამიყვანეს ციხეში... ეს იყო პირველი ჩემი დაპატიმრება 1887 წელს დეკემბრის დამდეგს.

ოდესის პოლიტიკურთა ციხე განთქმული იყო თავის მიზანშე-საფერის მოწყობითა და სასტიკი რეაქიმით. — სავსებით შეიძლებოდა სრული იზოლაცია პატიმრისა გარეშე ქვეყნისაგან. თვითეული კამერა ნამდვილი კუბო იყო, სადაც არავითარი ხმა არსაიდან არ მოდიოდა და საიდანაც ვერავის დაინახავდი, გარდა ზედამხედველი-ეანდარმისა. კამერა საქმაოდ დიდი იყო და სუფთა; პატარა ფანჯარა ზემოთ ჰქონდა და პატიმრისათვის სრულიად მიუწდომი იყო.

კარში პატარა რგვალი ფანჯარა, გარედან (დერეფნიდან) იკეტებოდა ხის ფიცრითა, დერეფნაში ქეჩა იყო დაფუნილი. ასე რომ იქ შესიარულე უანდარმების ფეხის ხმა არ ისმოდა; უცებ ასწევდა ფოცარს და მოგაშტერებდა ერთ თვალს. კამერაში რკინის კრაოტი იდგა, რომელიც დილიდან საღამომდე კედლებზე იყო მიჯაჭული და მხოლოდ ლამით ჩამოუშევდდენ. გარდა ამისა, იდგა რკინისავე მაგიდა და სკამი, რომელიც აგრეთვე მიჭირილი იყო იატაქზე, იქვე კუთხეში აუცილებელი „პარაშა“, რომელიც გერმეტიულად იხურებოდა და რომელსაც დღეში ერთხელ გამოსცულიდა მსახური... ორ კვირას ვიჯექ ამ ციხეში; არც სეირნობა, არც წიგნი მქონია, არსაიდან ხმა, არსად ადამიანის სახე, გარდა ზედამხედველ მუდამ დამუნჯებულის უანდარმისა. ასეთ პირობებში დამწუცდეთა დიდი ხნით ადამიანს გააგიებდა და მართლაც, ოდესის ამ ციხიდან ჩემს ხსოვნაში არავინ გასულა ისე, რომ ნერვები ძალზე არ ჰქონიდა მოშლილი... საჭმელი წარმოუდგენელი იყო; სალდათის ზევი პური, რომლის მარტო ზედა ქერქის ჭამა შევძლი და რაღაც უგემური ბრინჯის ფაფა, რომელშიაც გირვანქის მეოთხედი ხორცი იყო ჩაჭრილი...

ერთი კვირა გავიდა და უუცრად ჩემი კამერის კარი გაიღო. შემოვიდა ციხის უფროსის თანაშემწე და კანცელარიაში გამიწვია. პირველი გამოსვლა იყო ჩემი გარეთ და სიხარულით გავედი ეზოში,—ვინმეს ვნახავ მეოქი, ვფიქრობდი; მაგრამ მთელი ეზო ისე გავიარე, არავინ შემხვედრია. აი, როგორ მზეთუნახავებიყით უფრთხილდებოდენ იმ დროს, პოლიტიკურ ტუსალებს!

კანცელარიაში ციხის უფროსი გადაჭარბებულის თავაზიანობით მომევება და რაღაც სადარბაზო ბარათი გადმომცა. დავხედე, რუსულად დაბეჭდილი იყო „თავადი გურიელი“ და ზედ ვეღებერთელა სათავადო გვირგვინი. ციხის ზედამხედველმა განმარტება მომცა:

— თავადი თქვენს სანახავად მობრძანდა, მაგრამ ნება არ გვაქვს და ვერ განახვეთ. მოკითხვა გა უმოგცათ და ფული დაგიტოვათ... თქვენ მგონი, ჩვენ საჭმელს ვერ შეეგუეთ. შეგიძლიათ თეთრი პური მოითხოვოთ და საღილიც გაიუმჯობესოთ.

შემდეგში ამხანაგ-სტუდენტებმა გადმომცეს დაწვრილებით ეს შემთხვევა. იმ ხანებში ტელემაკ გურიელი იუდესაში ცხოვრაბდა და სტუდენტებს მისთვის ეთხოვათ ციხეში მოსულიყო ჩვენთან (ჩემთან ერთად დაპატიმრებული იყო კიდევ ორი ქართველი); ტელემაკი „კარეტაში“, კოზლაზე ახ-ევანის მსახურით რომ მოსულიყო ციხის ალაყაფის კარებთან და თავისი საღარბაზო ბარათი გადმოე-

ცა, ციხის მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დამდგარიყო. მაშინვე კა-  
რები გაეღოთ და თავადი დიდის ამბით მიეღოთ...

ტელემაკის ამ ვიზიტშა, ცოტა არ იყოს, შეგვიმსუბუქა ციხე-  
ში ჯდომის პირობები, მაგრამ სეირნობის ნება და წიგნი, რაც  
ყველაზე უფრო საჭირო იყო ჩემთვის, არ მოგვცეს... საბედნიეროდ  
დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი პიტიმრობა. ერთ სალამის შე-  
მოვიდა უანდარმი და მითხრა:

— შეაგროვეთ ოქენი ბარგი, ჩაიცვით და გამომყევით...

— სად უნდა წამიყვანოთ? შევვეკითხე მე.

— ეს ჩემი საქმე არ არის! ცივად მომიგო უანდარმმა და თან  
მომიაძახა: ჩეარა, ჩეარა.

მე იმავ წუთს ვიყავ ჩატული და „ბარგით“ ხელში სიამოვ-  
ნებით გაყევუ უანდარმს, რადგან ეს „ბარგი“ რაღაც ცვლილებას  
მოასწავებდა...

კანცელარიაში, ციხის უფროსის სახარძელში უანდარმის ოფი-  
ცერი იჯდა, რომელმაც გამომიცხადა: ოდესის გენ.-გუბერნატორის  
განკარგულებით ოქენ სამშობლოში იგზავნებით პოლიციის ზედა-  
მხედველობის ქვეშაო... უანდარმმა ისევ წამიყვანა და გრძელი და  
ბნელი დერეფით მიმიყენა ერთ დიდ ოთახში, სადაც უკვე ირეოდა  
30-მდე სტუდენტი. კამერის საშინელ სიჩქმის შემდეგ ძალიან მეუც-  
ხოვა ყვირილი და სიცილი, რომელიც აქ დამხვდა, მაგრამ ამხანაგ-  
თა პირველ მისალმებისთანავე, მეც ძალიან მხიარული ვიგრძენი  
თავი. სხვა ამხანაგთა შორის აქვე აღმოჩნდენ ვასილ წერეთელი და  
ჭოტე მესხი. გავიგე ამბებიც: სამოცამდე სტუდენტი ყოფილიყო  
დატუსალებული; ყველანი უნივერსიტეტიდან გამოერიცხათ; ორმო-  
ცამდე კაცი თავ-ლავიანთ სამშობლოში იგზავნება, ხოლო ოცამდჲ  
ციხეში რჩება, და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებს...

პატარა ხანს შემდეგ თითო-თითო გამოვიყვანეს და ეტლით,  
უანდარმების თანხლებით მიგვიყვანეს სადგურზე, სადაც ეტაპის  
უფროს ოფიცერს ჩაგვაბარეს: რამდენსამე სადგურს შემდეგ სტუ-  
დენტების უმეტესობამ ჩრდილოეთისაკენ განაგრძო გზა. ჩენ ოთხი  
კი-მე, ვასილ წერეთელი, კოტე მესხი და ებრაელი კოგანი, რო-  
შელსაც კავკასია მოერჩია საცხოვრებლად-მეორე ეტაპს გადაგჰ-  
ცეს და პოლტავისაკენ გავემართოთ.



## VII.

ეტაპით მოგზაურობა ხაჭართველობაკვებ.—ციხეში.—  
 ჯაბარდალობან ხაინტერესო შეხვედრა

ეტაპით მოგზაურობა ამ 40 წლის წინად ნამდეილი ჯოჯოხეთი იყო. ოდესიდან დეკემბრის შუა რიცხვებში გამოგვისტუმრეს და ქუთაისში შხოლოდ იანვარის ოც რიცხვებში ჩვედით, ისიც ასე „მაღე“ იმიტომ, რომ გზის უკანასკნელი ნაწილი ჩვენის ხარჯით წამოვედით, ეტაპისაგან უკვე თავისუფალნი. ზამთარი მეტად სუსხიანი იყო. ჩვენ, სტუდენტის თხელ პალტოს მეტი არა გვქონდა რა; საპატიმრო ვაგონს არ ათბობდენ და სიცივისაგან ვკანკალებდით. ფული რაც გვქონდა, ოდესიდან ქუთაისში გავზავნეს—იქ პოლიციაში გადმოგცემენ; გზაში კი „სახელმწიფო ხარჯზე“ ვიყავით: თითოს გვეძლეოდა დღეში სამი შაური, მაგრამ ეს ფული „უნტერის“ განკარგულებაში იყო და ხარჯავდა, როგორც მოისურვებდა, ასე. რომ მოელი გზა პურზე და ჩაიწე ვიყავით... მაგრამ, სიცივესა და შიმშილს, რასაკვირველია არაფრად ჩავაგდებდით ახალგაზრდები—ჯოჯოხეთი იყო ჩვენი ზნეობრივი წვალება. სალდათების ხელში ვიყავით, რომლებიც ცემა-ტყებას ვერ ვეძებდავდენ, თორებ ისე—გინებით, ყვირილით და მუქარით სიცოცხლეს გვიზარებდენ, თუმცა საბუთს არ ვაძლევდით სერიოზულს.

ნაშეტანი ცუდი იყო საეტაპო კომანდების შეცვლა გზაში; ძეველები პატარას შეგვეჩვეოდენ თუ არა, მათი გამოცვლის რიგიც მოვიღოდა. ახლები ჯერ ჩხრეკას შეუდგებოდენ, თითქმის გაგვაშიშვლებდენ, ისე ბეჯითად ასრულებდენ ამ მოვალეობას; მერე თავის წესებს ამყარებდენ გინებითა და ვაი-ვაგლახით. წარმოუდგენელია, როგორი ბარბაროსობით ეპყრობოდენ უბრალო ტუსალებს. ამის ცქერა ხანდახან პირდაპირ შეცვლებელი იყო; ეტაპში სხვათა შორის ერთი მოხუცებული გლეხი იყო: საცოდავს წვიგზე ღრმა იარა ჰქონდა, რაღაც მალამო ედო ზედ და შეზვეული ჰქონდა. ჩხრეკის დროს ნელ-ნელა დაუწყებდა შეხვეულ ჭრილობას გახსნას: სალდათი იღარ აცლიდა, მივარდებოდა და ააგლეჯდა ჩერებს. საცოდავი გლეხი გამწარებული საშინელის ტკივილით ყვიროდა, მაგრამ შემბრალებელი სად იყო; პირიქით, მივარდებოდენ და უწყალოდ სცემდენ, სანამ გული არ წაუკიდოდა...

• პოლტავის გუბერნიის ერთ-ერთ სადგურზე მეორე მატარებელში უნდა გაღავსულიყავით, რომელიც ხუთი-ექვესი საათის შემდეგ მოვიდოდა. ეს საათები, საეტაპო წესების ძალით ჩვენ სადმე ახლო ციხეში უნდა გავვეტარებინა. ახლა ციხე იყო რაღაც დალუპულ „ქალაქ“ ბალტაში, სადგურიდან ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე და ჩვენც იქ წაგვიყვანეს. ტუსალები ორ-ორი ერთმანეთს გადააბეს ხელის ბორკილებით, ჩვენ კი მარხილზე დაგვსვეს და „პარტია“ ჩარის ნაბიჯით გაუდგა გზას.

დიდი თოვლი იყო უკეთ: ძალზე ციიდა: ქარბუქი იდგა. საცოდავი ტუსალები თოვლში ეფლობოდენ, ხოლო ვინც ჩამორჩებოდა, ვაი იმის ბრალი: მიიჭრებოდა სალდათი და თოფის კონდახის ცემით გაიგდებდა წინ. პატარა ხნის შემდეგ ჩვენ ძალიან შეგვციდა, უძრავად მარხილზე ჯდომის გამო. ისევ ფეხით სიარული სჯობდა და ვთხოვთ სალდათებს მარხილიდან ჩამოსვლის ნება მოეცათ. შენც არ მომიკვდე: თქვენ აზნაურები ხართ და კანონი ნებას არ გვაძლევს ფეხით გატაროთ! გვიპასუხა „უნტერმა“.

ესეც თავისებური რუსული „Noblesse oblige“-ი გამოდგა და ჩვენც უნდა დავმორჩილებოდით... სიცივისაგან გამწარებულზე შთაგონებასავით რაღაცამ მომიარა, წამოვდექ მარხილზე, ხელები გავიშვირე, ცხვირ-პირში ქარ-ბუქი მცენს და ტრალიკულის ხეთი შევძახე: „მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხევის თვალბედითი შავი ყორანი. გასწი, მერანო, შენს კენებას არ ძეგს საზღვარი და ნიაუს მიეც ფიქრი ჩემი, შავად ჩლელვარი“.

მომცვივდენ სალდათები „чего орешь, дьявол“, მკრეს ხელი და ჩამაგლეს ბარხილში. ამანაგებმა მიამდეს შემდეგ, რომ ჩემმა მყრძნობიერმა დეკლამაციამ და ტრალიკულმა გამომეტყველებამ მართლა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. კოგანმა მითხრა: „თუმცა ერთი სიტყვა არ გამიგია, მაგრამ კინალიმ ტირილი დავიწყო, ისეთი ტრალიკული იყო თქვენი დეკლამაცია ამ ჯოჯოხეთურს სცენაზე...“ ტრაბახობად არ ჩამოშართვათ: ჩემ სიცოცხლეში ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი „ნიჭიერი ტრალიკული გამოსვლა“.

ორი დღის შემდეგ ხარკოვს მივედით. იქ ერთი კვირა მოგვა-ცდევინეს (კიხეში. ახალწელიწადს როსტოკის ციხისკენ გაგვამგზავრეს და წესისამებრ ფეხით (აზნაურობას ქალაქში ძალა აღარ ჰქონდა) წაგვიყვანეს რეინის გზის სადგურიდან. ქუჩაში ხალხი დაგვედევნა და უნივერსიტეტში მომხდარ ამბების გამოკითხვა დაგვიწყეს; მაგრამ სალდათებმა და პოლიციამ მალე გაჭიანტეს ცნობისმოყვარები... -

აქ ერთი გარემოება ნაგონდება. გასილ წერეთელი იმ დღის პოლიტიკური ეკონომიკით იყო გატაცებული, ხოლო ამისთანა გატაცება მას ყოველთვის როგორლაც აშორებდა ამა ქვეყანას, ახლაც მთელ საერთო მოგზაურობის დროს ის თითქმის არავითარ ყურადღებას არ იქცევდა, რაც მის გარსშემო ხდებოდა და ფილოსოფოსივით ჩაფიქრებული იყო ხოლმე. ხანდახან თეორიულ მუსაიფასაც დაგვიწყებდა. როსტოკში იმ დღეს ძალიან ციონიდა. სალდათებს გაწარებულინი მიყვავდით და წამდაუწამ „ჩქარა“ „ჩქარას“ გვეძახოდენ. უცბად ვასილი მოგვიახლოვდა მე და კოტე მესხს და დაგვიწყო. —ძალიან საინტერესოა აღამ სმიტის გამოკვლევა საშუალო საუკუნეებში ქალაქების ზრდის შესახებ...

—თუ დმტრი გჭამს, თავი დაგვანებე, ვასილ—შეევედრა კოტე მესხი, რა მეადასმიტება,—სული კბილით ძლივს გვიჭირავს.

როსტოკს რომ გამოკვილდით, ერთ-ერთ სადგურზე კავკავიდან მოშავალი მატარებელი დაგვთდა. უეცრად საპატიმრო ვაგონის კარი გაიღო და შემოვიდა ვიღაც ოფიციერი, მოვიდა ჩემთან და თანაგრძნობით ამბავი და ვინაობა გამომეკითხა. აღმოჩნდა, რომ კავკავიდან მოსულ მატარებლით, კავკასიის მთავარმართებელი თავ. დონდუკოვი მიღიოდა პეტერბურგს და ეს ოფიციერი მისი ადიუტანტი იყო. ჩეკინ მაშინვე გამოვუჩხადეთ ოფიციერს, რაც იმ დროს ძალიან გვაფიქრებდა და გვაშინებდა, სახელდობრ, საქართველოს სამხედრო გზეს ეტაპით გავლა. მაშინ კავკავიდან—ბაქოზე რკინის გზა არ იყო და ტუსალები ფეხით დაპყავდათ საქართველოს სამხედრო გზაზე. ამ ორასი ვერსის გავლის საძაგელ საეტაპო საპატიმროებში ლაშისთვევით და დასვენებით, ათ დღეს უნდებოდენ; გაგონილიც გვქონდა, რომ ამ გზით ეტაპით მოგზაურობა ნაშეტურ ზამთარში, აუტანელია. ამიტომ ვთხოვეთ ადიუტანს, ეშუამდგომლა მთავარმართებლის წინაშე, რომ ჩვენთვის ნება მიეცათ საქართველოს სამხედრო გზა ჩვენის ხარჯით გაგვევლო არა ეტაპით. ადიუტანტი წავიდა და შალე შედეგი პასუხი მოგვიტანა:

—მე არ შემიძლია, ეთქვა დონდუკოვ-კორსაკოვს, ოდესის გენერალ-გუბერნატორის განკარგულება გავუქმო. სტუდენტებმა თვითონ სთხოვონ კავკავიდან დეპეშით რომას (ოდესის მაშინდელ გენ-გუბერნატორი) და ჩემი მხრით მეც ვთხოვ დეპეშითაო..

ასეთმა პასუხმა ძალიან დაგვაიმედა და ნაკლებ შეწუხებულებმა გავწიეთ წინ, მით უმეტეს, რომ აქედან სალდათებიც სხვანაირად გვექცეოდენ, რაკი ნახეს, თუ როგორ თავაზიანად და თანაგრძნობით მოგვეპყრა პოლკოვნიკი და მთავარმართებლის ადიუტანტი...



ორიოდე სადგურის შემდეგ საპატიორო ვაგონში შემოიყვანებოთავა კიდევ ორი ტუსალი, ერთხმა მათგანმა მაშანევ მიიქცია ჩვენი ყურადღება: მაღალი მშენებელი ტანადი, ჩვენებურად გამოჭურილი მოხუცი, იმერელ თავადად მივიღო, სალდათებმა იგი ჩვენთან დასვეს. აღმოჩნდა, რომ ახოვანი მოხუცი ყაბარდოელი იყო. მე პირველად ვხედავდი ჩრდილოკავკასიელს და ცნობისმოყვარეობით გამოვესაუბრე. რუსულად მ'ვენივრად ლაპარაკობდა, თითქმის უაქცენტოდ, და არც თუ მაინც და მაინც უშრავლელი იყო... მე გადაძვრით დავუწყე ლაპარაკი კავკასიის მდგომარეობაზე...

როგორდაც უხალისოდ მაძლევდა პასუხს და მეც თავი დავანაბე. მერე ჩვენ გამოგვითხა ვინაობა. როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, სიამოვნება გამოაცხადა. კარგ ხნის ს: ჩუმის შემდეგ ლრმა ამოიხრა და სოქვა:

— როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა. მე ვიფიქრე — ზამილს გულისხმობს მეთქი და ამიტომ რაღაც იმის შესახებ ვკითხო.

— არა, უშაწყილო; მიპასუხა მოხუცმა, მე შამილზე როდი მითქვამს. კავკასიის მზე — საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლია...

მასთან საუბრის სალერლელი აგვეშალა, მაგრამ მეტი ხმა აღარ გაუცია ჩვენთვის.

კავკასიის ციხეში მისვლისთანავე დეპეშა გავუგზავნეთ ოდესის გენ.—გუბერნატორს და, ჩვენდა საბედნიეროდ ორი თუ სამი დღის შემდეგ, დეპეშითვე განკარგულება გამოგზავნა ჩენი განთავისუფლების შესახებ ეტაპისგან. ჩვენის ხარჯით, ორი პოლიციელის თანხლებით (ესენიც ჩვენს ხარჯზე) უნდა წაგსულიყავით ტფილის. ახლა ფული გაგვიხდა სადარდელი. კოტე მესხთა ერთერთ ნათესავს დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის და რამდენსამე დღის შემდეგ დეპეშითვე მიეიღეთ ფული, ორი დღის შემდეგ ტჭილისში ვიყავით და გუბერნატორს თავ. შარვაშიძეს გამოვეცხადეთ. ამან მეტად თავაზიანად მიგვიღო, და სრულებით უყოყმანოდ გააუქმა ოდესის გენ.—გუბერნატორის განკარგულება. პოლიციელები მოგვაშორა და გვითხრა — ხვალ ქუთაისს გაემგზავრეთ.



### VIII.

ქუთაისში ჩასდღა.—გიორგი ზდანვიჩის ოფებში.—  
 ჩემი გაჩერება და მეორედ დაპატიმრება.—გამოძიება  
 და სტუდენტ გინცბურგის გამცემლობის ამბავი.

აპრიგად, 1888 წლის იანვრის ოც რიცხვებში ისევ ქუთაისს  
 მომიხდა ჩასელა. პირველი ჩემი განზრახვა იყო—მაშინვე გამეგზავნა  
 თხოვნა კიევის, ან ხარკოვის უნივერსიტეტში. საქმე ისაა, რომ ოდე-  
 სის უნივერსიტეტის მართველობამ ყველა გამორიცხულო ერთნაირი  
 მოწმობა არ მოგვცა. ზოგს მოწმობაში აღნიშნული ჰქონდა—გამორიც-  
 ხულია და ნება აღარ აქვს სხვა უმატოეს სასწავლებელში შესვლი-  
 საო. მე ეს არ მეწერა ჩემს მოწმობაში და ამიტომ სრული იმე-  
 დი მქონდა, რომ სხვა უნივერსიტეტში უთული მიმიღებდენ, მაგრამ  
 მალე ამ განზრახვის ასრულება დროებით გადავდე: ერთის მხრით  
 სანაც მე თხოვნას გავგზავნილი და პასუხს მივიღებდი, სამოსწავლი-  
 წელიწადიც გათავდებოდა; მეორე მხრით, არც საშუალება მქონდა.  
 ამიტომ გადავწყვიტე გაკვეთილები, ან რაშე ადგილი მეძებნა, ცოტა  
 ფული შემეგროვებინა და უნივერსიტეტისაკენ მომავალ შემოდგო-  
 მაზე გავმგზავრებულიყავი. მაგრამ ამ დროს მოხდა ჩემთვის სრუ-  
 ლიად ნოტლოდნელი ამბავი, რომელმაც ყველა განზრახვა-პლანი  
 სრულდებით დამიწერა და სულ სხვარიგად დაატრიალა ჩემი ცხოვრე-  
 ბის ჩარხი.

ქუთაისში მე დავბინავდი ჩემ ნათესავის—მარიამ ქორქაშვი-  
 ლის ქვრივის სახლში. იმერეთში რასაკირველია დღესაც ბევრს ახ-  
 სოვს აწ განსვენებული მარიამი ანუ, როგორც ყველანი ეძახდენ, მა-  
 ია მიქელაძის ქალი-ქორქაშვილისა. ის თავის დროზე განთქმული  
 იყო სილამაზით, დარბაისლობით და ჭუით. მიუხედავად იმისა, რომ  
 ევროპიული განათლება არ ჰქონდა მიღებული, შედარებით განვითა-  
 რებული ადამიანი იყო და ესმოდა ახალი დროის მისწრაფებუ-მო-  
 თხოვნანი. ამ მხრით მასზე დიდი გავლენა მოახუინა უსაყვარლეს  
 შეილის — გიორგი ზდანვიჩის — (მაიას პირველი ქმარი სამხე-  
 დრო ექიმი ზდანვიჩი იყო) დატუსალებამ, გასამართლებამ და ბოლოს  
 კატოლიკური გაგზავნამ. გიორგი 17 წლის არც კი იყო, ქუთაისის  
 გიმნაზია რომ გაათვა დი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ტექნი-  
 ლოგიურ ინსტიტუტში შევიდა. მალე ის ჩაერია მაშინდედა რევოლუ-  
 ციურ მოძრაობაში და თვალსაჩინო ადგილი დაიკირა მოწინავე



მებრძოლ ახალგაზრდობაში, როგორც დიდი ენერგიის, ნიჭის, ღრმა რწმენის და მეტად კუთილშობილურ გულის აღმიანმა.

1876 წ. იგი დაატუსაღეს, რამდენისამე წლის შემდეგ გაასამართლეს (ეგრეთწუდებული ორმოცდაათის პროცესი) და 6 წლის ქატორლა მიუსაჯეს. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა ახალგაზრდამ, დატუსაღებიდან დაწყებული ვიდრე სამშობლოში დაბრუნებამდე (1889 წელს). ადვილად წარმოსადგენია, როგორ იტანჯვებიდა დედამისი, რომლისთვის გიორგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და რომელსაც სიზმარშია(კ კი არ მოელანდებოდა, თუ მის საყვარელ ბავშვს ასეთი მწარე ბედი ხვდებოდა!.

მოხუცებული ქალი ორჯერ წავიდა ქუთაისიდან რუსეთს— ერთხელ პეტერბურგს, მეორედ ხარკოვს, თავისი შვილის საშველად და სანახავად. შვილს რალას უშველიდა, ხოლო ნახვა კი მოახერხა. ზდანოვიჩი იმ დროს ბელგორდის ცენტრალურ სატუსალოში იჯდა, საიდანაც ციმბირს (კატორლაში) უნდა გაეგზავნათ. ხარჯოვის გრნ-გუბერნატორად მაშინ იყო მ. ტ. ლორის-მელიქოვი, რომელიც პირადად იცნობდა მარიამ მათეს ასულს და ნება მისცა შვილის ნახვის მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ.

ახალგაზრდა შვილის პირველში ნახვამ პიტიმარის მაზარაში და ბორკილებში საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა მოხუცე, რომელსაც ლრმად ჩატეტდა გულში ყველაფერი და აღისხო მძულვარებით მტარვალებისადმი. რამდენჯერ უამბნია ჩემთვის ტირილითა და ოხვრით ეს შეხვედრა და მოლად გიორგის თავგადასავალი. შემდეგში, როცა მე უკვე გიმნაზიის უფროს კლასებში ვიყავი, რასა-კვირველია ჩემშე ეს ამბები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა...

აღვნიშნავ აქვე, რომ უბედურ დედას უკვე ღრმად მოხუცებულს და სიკვდილის პირას მდგომს, ბედმა გაულიმა: 15 წლის გან-მავლობაში დაკარგულ შვილის დაბრუნებას მოესწრო და მხოლოდ შემდეგ გარდაიცვალა.

აი, ამ მოხუცებულ მანდილოსანს, რომელიც დედასავით მიყვარდა, ვებაასებოდი 1888 წლის 2 თებერვალს, როცა ზემოაღნიშნული ამბავი მოხდა, რომელმაც სრულებით სხვა მსელელობა მისცა ჩემს ცხოვრებას. ის იყო ჩამოვიდა სოფლიდან და პირველ მისალმების შემდეგ რქბილად, დედისამებრ მისაყველურა: შვილო, რაღი იღუპავ თავს, შეცვ გიორგის მწარე გზაშე დგები?..

მე ვუპასუხე, რომ საიმისო არა მომხდარა რა, სტუდენტების უბრალო არეულობა იყო, დროებით გამომრიცხეს და ისევ შევალუნივერსიტეტში, ასე რომ საციმბირო და საშიში არის რა-მეთქი.

ჯერ გათავებული არ მქონდა ეს საპასუხო ფრაზა, როცა  
ოთახში აჩქარებით შემოვიდა მოხუცებული მსახური და აკანქალე-  
ბულის ხმით გვაუწყა: ეზოში აუარებელი პოლიციის შემოვიდა და  
აქეთკენ მოღიანო. გადავიხედეთ ფანჯარაში, გართლაც პოლიციის-  
ლები და უანდარმები ალყას არტყამდენ სახლს, ბეჭრი კი მაღლა  
მოდიოდა, მეორე სართულში.

მე კარებში მივევებებ. ოღონჩანდა რომ ჩემთან მოდიოლენ: უან-  
დარმის ოფიცერმა გამომიტავდა, ოდესის უანდარმთა მართველობის  
განკარგულებით უნდა გაგჩხოვოთ და დაგაპატიმროთ. შევიყვანე  
ჩემს თთახში. იქაურობა აიკლეს-ააქოთეს, მაგრამ ვერაფერი იპოვ-  
ნეს. სხვათა შორის ამ გაჩხრევიდან ერთი ეპიზოდი დამახსოვრდა,  
რომელიც კარგად ახასიათებს, თუ სადამდე მიღიოლდა „მათი“ უაზრო  
ეჭვიანობა. ჩხრევის დროს უანდარმის უფროსი ოფიცერი მომიბრუნ-  
და და მეოთხა:

— ხშირად დადიხართ ხოლმე სოფელში? სრულებით ვერ გავიგე, რას მეკითხება, როდინდელ ამჰავს და პასუხი არ გავიკი.

— მე თქვენ გყითხავთ, სოფლებში ხშირად მოგზაურობთ? მეორედ დამეკითხა ჟანდარმი.—მე ვუპასუხე, რომ ათი დღეა, რაც ჩამოვედი ოდესიდან და ჯერ ქუთაისიდან ფეხი არ გაშილებაშ შეთქმი.

— მაშ ეს რა არის, რათ გინდათ? მიმითითა მან უნაგირზე, რომელიც დერეფანში, ჩემ ოთახის კარებთან იდვა. ეს უნაგირი ჩემი არ არის, ჩემი სახლის პატრონების არის მეთქი, ვუპასუხე. გამოკითხეს მსახურს და ძლივს დამშვიდდენ. უანდარმებმა იფიქრეს, ალბად სოფლად ხშირად დაიარება და პროპაგანდას ეწევთ.

გათავდა ჩხრეკა; ნება მომცეს შინაურებს გამოვთხოვებოდე  
და მეც შევეღი უანდარმების თანხლებით ჩემი ძეირფასი ნათესავის  
ოთახში. მოხუცებული ქალი ოვალურემლიანი მომევება და დამლო-  
ცა. გამოვთხოვებისას მითხრა: ღმერთმა გიხსნას, შვილო, მაგ მტარვალ-  
თა წელიდანან!..

ჩამსვეს ეტლში; გვერდით მომიჯდა უანდარმის ოფიცერი, წინა სკამზე ორი უანდარმი. ორივე მხარეს ეტლს მისდევდა ორი ცხენო-სანი კაზაკი, უკან მეორე ეტლი პოლიციელებით და ასე გავეძართეთ უანდარმთა შართველობისაკენ, რომელიც მაშინ სამოქალაქო, ბალის („ბულვარის“ როგორც ქუთაისში ეძახიან) გვერდით იმყოფებოდა.

შუაღლე იყო. თბილი დღე და ქუჩებში ბევრი ხალხი  
მიღი-მოდიოდა. ქუთაისში ასეთი უცნაური კორტეჟი არა—



ჩვეულებრივი რამ იყო და ხალხში დიდი სენსაცია გამოიწვია „სტუკითამადენტი, (სტუდენტის სერთუქი შეცვა) სტუდენტი დაუჭერიათო!“ შესმოდა თანაგრძნობის ხმა სხვადასხვა აღვილას შეჯვალულ დამსტრეთაგან... ნიველით უანდარმთა მართველობაში, სადაც მაღლი წარვდევ „სამსჯავროს“ წინაშე. პატარა ოთახში დიდ მაგიდას ერთ მხრიდან შემოსხდომია სამი კაცი: პროკურორის ამხანაგი ნეპოკონიკი, უანდარმთა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნესტერევი და მისი ადიუტანტი ფედუროვი. ჩვეულებრივ ფორმალურ კითხვების შემდეგ ნესტერევი დიდის რიხით შემეტითხა:

— ალიარებთ თუ არა, რომ თქვენ ეკუთვნით ბოროტმოქმედთა კავშირს, რომელიც თავის თავს „ნაროვნაია ვოლიას“ პარტიას უწოდებს?! მე რასაკვირველია უარი ვუთხარი.

შემდეგ დამიწყეს გამოკითხვა: იცნობ ამას თუ იმას, იყავით ამა თუ იმ კრებაზე, იყავით თუ არა სტუდენტთა ცენტრალურ სარევოლუციო ორგანიზაციაშით და სხვა. საკითხები ოდესიდან იყო გამოგზავნილი და ზოგიერთი ისე შენიშნა, რომ ძალიან გავკვაბდი და შეეშფოთდი. საქმე ისაა, რომ ორიოდე სხდომა მეტად საიდუმლო გვქონდა გამართული. შეიდი კაცის მეტი არ დასწრებია და სხვა ამხანაგებმა ამ სხდომისა არაფერი იცოდენ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვითება, როცა ამ თუ სხდომის და იქ ნალაპარაკევის გამოც შემეტითხენ უანდარმები.

ცხადი იყო, ვიღაცას ამ შვიდ კაცისაგან გაუცივართ, ყველა გაუცივართ, ყველა და ყველაფერი, მაგრამ ვისე?! სული შემეხუთა, თბი ყალყზე დამიდგა, როცა შვიდივე ამხანაგის სახემ სათითაოდ გაიღვა თავში; არა, არც ერთზე შეჩერება არ შემიძლია. მაშ როგორ იგესნა ეს ჯადოსნური გამჭრიახობა უანდარმებისა?!...

დაკითხვა გათავდა, ციხეში წამიყვანეს და ისევ თავბრუდას-ხმულივით ვიყავი: ისეთი საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ გარემოებამ, რომ ამხანაგებზე ეჭვი უნდა შემეტანა. ამაზედ ფიქრში დამტანჯა, სანამ ციხეში ვიჯევ; მინდოდა გამეგო ამა, მაგრამ საიდან! მხოლოდ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ზაფხულში ოდესიდან ჩამოსულ ამხანაგებისგან გავიგე ცოტათი საიდუმლო, თუმცა ბევრი რამ დღესაც გამოურკვეველია ჩემთვის.

აი თურმე რა მოხდა. როგორც ზემოთ ესწერდი, ზოგი დაპატიმრებული სტუდენტი ოდესის ციხეში დასტოვეს და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებდა. მათ შორის იყო ერთი ებრაელი გვარად გინცბურგი. მეტად ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც მეტად საიმედო ამხანაგად მიგვაჩნდა ყიფლის. ოთხი თუ ხუთი თვის

შემდეგ გინცბურგი ციხიდან გადაეყვანათ ფსიქიატრიულ სამკურნალოები, როგორც ძალზე ნერვებაშლილი და ცოტა ჰქონდებოდა შერყეული. მის სანახვად მისულ სტუდენტებისთვის გინცბურგს მთელი ისტორია უამბია: საშინალად მაწვალეს ციხეში, ბევრჯერ მცირეს, თითქმის სულ კარცერში ვეგფეო, ბოლოს ჰიპნოტიზმს მიმართეს და რაც ვიცოდი სტუდენტების წრეზე, ყველაფერი მათქმევინეს ჰიპნზური ძილის დროსო...

ამ ისტორიაში ბევრი რამ არის გაუგებარი. ოდესის პოლიტიკურ ციხეში მეტად სასტიკი რეეიმი სუფლედა, მაგრამ ცემა-ტყეპაზე არაფერი არ გაგვიგონია. მერე, ეს ჰიპნოტიზმი რაღაც! მეორე მხრივ ესცე საკვირველია: გინცბურგი ფიზიკურადაც ძლიერი იყო და სრულიად ჯანსაღი, სულითაც მეტად მაგარი ადამიანი, და თიხ თვეში რა მოუგიდა, რომ ფიზიკურადაც ინვალიდი გახდა და ფსიქიატრების პაციენტიც შეიქნა?! ასე თუ ისე, იმის წყალობით ბევრი სასტიკად დაისაჯა, თვითონ კი მალე სამკურნალოდანაც გამოვიდა და ოდესაში დარჩა. შემდეგში ეს გინცბურგი სიონიზმის მხურვალე ადეპტი გახდა, საზღვარგარეთ წავიდა და ავსტრიის ქალაქ ლვოვში რუსულ ენაზე სიონისტურ გაზეთს სცემდა.



ქუთათხის ციხეში.—ტუსალები.—განთავისუფლება

ქუთათხის ციხეში პირველხანს სასტიკ რეჟიმში ვიმყოფებოდი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემამდე იქ, ვგონებ, პოლიტიკური პატიმარი არა ყოფილა, გარდა მიხეილ ყიფიანისა, ომელიც როგორც გამიგონია, ქუთათხი იყო დაპატიმრებული და ცოტახანს იქაურ ციხეში იჯდა, შემდეგ ტფილისში იქნა გადაყვანილი. რასაკვირველია ცალკე კამერაში („სეკრეტში“) ჩამსვეს. ციხის უფროსი იმდენად შეშინებული იყო არაჩვეულებრივი ტუსალით, რომ ჩემ კანერასთან განსაკუთრებული დარაჯობა დააწესა: ორი თოფანი სალდათი გამიჩერეს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ ჩემ ფანჯარასთან არაენ შიეშვათ, გარდა ზედამხედველებისა. ორც სეირნობა, არც წიგნები, არც საწერი იარაღი. ორი კვირის განმავლობაში ასე ვიყავ მოწყვეტილი ციხესაც. ორი კვირის შემდეგ ციხეში შოვიდა უნდარმთა ოფიცერი ფერდოროვი, რომელსაც ძალიან გაუკვირდა ჩემს კარებთან საგანგებო სადარაჯო პოსტი რომ დაინახა.

—ეს სრულებით მეტია, ჩემის აზრითაო, უოხრა ჩან უფროსს და მაშინვე მომაშორეს სალდათები, რომელიც დღე და ღამ თავზე მაღვნენ და თვალს არ მაშორებდნ. უანდარმთა ოფიცერი ფერდოროვის ძალიან მაღლიერი ვიყავ: არ იყო ურიგო ადამიანი, დროგამოშვებით მოღილდა ციხეში და ყოველთვის რაიმე შეღავას მაძლევდა. თანდათან წიგნებიც მომცეს, წერის ნებაც, სეირნობაც. (მარტოს) ასე, რომ ერთი თვის შემდეგ რეჟიმი სულ შემეცვალა... .

ქუთათხის საგუბერნიო ციხე მაშინ საძაგლობა რამ იყო. საშინელი უსუფთაობა, სივიწროე, ზამთარში აუტანელი სიცივე, ზაფხულში გადამეტებული სიცხე. თითო კამერაში („სეკრეტში“), რომელშიაც ორი კაცის ალგია, ექვსი - რვა კაცი იყო მოთავსებული. საზოგადო კამერები მე არ მინახვს; არც „ნარები“, არც კრაოტები არ იყო და ტუსალები იატაქზე ეყარნენ. სიბინძურე სუფევდა აუწერელი და შმორის სუნი დღედაღამ იდგა დერეფნებს და კამერებში. ბალინჯოების ამბავს ნულარა იყითხავთ! . .

რაც შეეხება იქაურ წესოიგს, პატიმრები მაინცდამარც შევიწროებაში არ იყვნენ. კამერები თითქმის სულ გაღებული ჰქონდათ, გადიოდენ დერეფნებში ერთმანეთის შესახვედრად.

დღეში ორჯერ ეზოში გაპყავდათ სასეირნოდ. რეეიში იცვლებოდა მხოლოდ საგანგებო რამ შემთხვევის შემდევ, ისიც დროებით. ერთი ასეთი „საგანგებო შემთხვევა“ ჩემსობასაც მოხდა.

ერთ სალამოს „პროვერების“ დროს, დარაჯთა შორის ხმაურობა ასტყდა, აქეთ-იქეთ სიჩბილი, ალიაქთი; უცბად კამერებშიაც პატიმრებმა ასტეხს ყვირილი: „მუხუზლაშ უქუსლა. მუხუზლამ უქუსლა!“ თურმე გაქცეულიყო ტუსალი, გვარად მუხუზლა, რასაც მოჰყევა დროებით სისასტიკის გამეფება . . .

ჩემი დერეფნის ტუსალები მალე გავიცან: კარის სარქმელთან მოვიდოდენ ხოლმე და მებასებოდენ. საინტერესო ტუსალი არავინ იყო, რთული რამ ფსიხოლოგიური მოტივები მათ დანაშაულებაში არ იყო რა. როგორც ჩვეულება აქვთ ამგვარ ტუსალთ, თავის თავს დამნაშავედ თითქმის არავინ არ აღიარებდა. ერთნი გაუბედურების მიზეზად მეზობლების მტრობას და შურს სახავდენ, მეორენი „უბედურ შემთხვევას“ და შესამენი და უმრავლესნი სულ უარს ამბობდენ—არავითარი ავკაცია არ ჩაგვიდენიაო. ერთმა—ორმა გულაძლილად მიამბო თავისი თავგადასავალი. დამამახსოვდა ერთი მეტად მახინჯი, ნახშირივით შავი, დაბილი ტანის რაჭელი გლეხი.

—ეშმაკმა შემაცდინა ბატონი! მითხრა მან, როცა ჩემთან მოვიდა იმის გასაგებად, თუ რა სასჯელი მოელის . . .

ორმოცი წლის კაცი ვარ აგერ, მუშაობა შემიძლია, არც ისე ღარიბი ვიყავი, რომ ცოლის შენახვა არ შემძლებოდა და ცოლი კი ვერ შევირთე. არავინ გამომყეა, არც ჩვენი სოფლისა, არც შორეული . . . მთელი სოფელი დამტინოდა . . . გოგოებიც ამიტყდენ —ი, შე ნაგაზო, ი, შე ჯუჯა, ქალს ვინ მოგცემსო! ერთი გოგოს ჯავრი ჩამყეა, მეზობლის გოგოსი; სულ მუხლებს ვუკოცნიდი მის დედ-მამას, მაგრამ გოგო უაჩჩე იყო—თავს მოვიკლავ და ე მაგ ნაგაზს არ წაყვებიო. გულში დარდი ჩამწედა და გაღავწყვიტე, გოგო ხელში ჩამეგდო . . . ერთხელ სალმო ხანზე, შორს სოფლიდან წყაროზე ჩავიგდე ხელში; მარტოკა იყო; ისევ გამაჯავრა და დამტინა, ვეღარ მოვითმინე, შენი კირიძე, სისხლი აქ მომაწვა, ვეცი და ნამუსი ავხადე . . .

ვიფიქრე ნამუსახდილ გოგოს ჩემს მეტი ვერავინ წაიყვანს მეთქი, ცოლიც მეყოლება და მეზობლების დაცინვასაც გადავურჩები მეთქი. მარა იმ უნამუსოებმა არ დამაცალეს. მომგარდენ მამამისი და ქალები, კერებითა და ნაჯახებით. რა მექნა, შეხანჯლით დავუხდი, მუცელში ვკარ მეზობელსა. მეც დამჭრეს თავში . . . იმ ღამესვე მამამისი მოკვდა, მე—კი შემკრეს და აი ამ უბედურებაში ჩავეარდი. . .

მახსოვს კადევ ერთი ტუსაღას, სამურზაყანოელი ოუ მეგრელი თავადი ფარნა გოშუა, წარმოსადევი ვაჟკაცი, რომელსაც რამდე-ნიშე მკვლელობა ბრალდებოდა და უკვი კატორლა ჰქონდა გა-დაწყვეტილი. ამას პოლიტიკაზე უყვარდა ლაპარაკი და ხშირად მკითხავდა ხოლმე:—მიბრძანეთ გიორგი, სოციალისტები რომ გაი-მარჯვებენ, ჩვენ არაფერი გვეშველება მაშინ?

მახლობელ კამერაში იჯდა მაშინ სახელგანთქმული გიორგი მიქელაძე, ეს იმდროანდელი ზელითხანი დასავლეთ საქართველო-ში. გიორგი მიქელაძე ახალგაზრდობაში „კონკოში“ იყო პეტერ-ბურგს. ლამაზი, წარმოსადევი ვაჟკაცი, უდარდელად სკროვრობდა სატაცო ქალაქში; ქეიფობდა, არშიყობდა და რასაკვირველია, ფუფუნებაში თანდათან ირყებოდა. როცა „კონკო“ გააუქმეს, გი-ორგი სამშობლოში დაბრუნდა. რა კი პეტერბურგული ცხოვრების გასაგრძობად ფული იყო საჭირო, ადვილად მიეკედლა ვიღაც ავა-ზაკებს, რომელთაც ებრაელები გაძარცვეს. გიორგი „ყაჩაღად გადავარ-და“ და მრისხან სახელი მიიხვევა. მთელი ჯარი, პოლიცია ფეხშე დააყენეს მის დასაქრად, მაგრამ ამაოდ: სასწაულებრივ უქრებოდა ხელიდან მდევნელთ. რამდენჯერმე ციხიდანაც გაიქცა. ქუთაისის ციხეში, ჩემი ყოფნის დროს იგი უკვე მოხუცებუ-ლი და დავრდომილი იყო. ავადმყოფობის გამო კატორლაშიაც არ გზავნიდენ, რომელიც კარგი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მას. ყველა ტუსაღები დიდ პატივა სცემდენ ამ ოდესალაც ლეგენდარულ ვაჟკაცს და ოტაცებით მომითხრობდენ იმის ამბებს.

თითქმის ექვსი თვე ვიჯევ ქუთაისის ციხეში. ზამთარში, რო-ცა პატარა დღე იყო, დრო მაღე მირბოდა, ვკითხულობდი, ფრან-გულს ვსწავლობდი, ტუსაღებს თხოვნებს ვუწერდი და სხვა. პპრილიდან დაწყებული—კი ძალიან გამიკირდა კარჩაკეტილში ჯდომა. ჩემ ფანჯრიდან ვხედავდი, რომ ბუნება აყვავდა, მხე დიდე-ბულად ანათებდა, ხალხიც ახმაურდა. კვირადლეობით ვხედავდი, რომ დიდძალი ხალხი სადლესასწაულოდ ფერად-ფერადად გამოწყო-ბილი, მხიარულად მიეშურებოდა ახლადამწვანებულ მინდვრებში სასეირნოდ. გული მწუხარებით მიცემდა. მინდოდა მეც ბუნების დღესასწაულს დაწყავებოდი, მწყუროდა თავისუფლება. ამის მა-გიერ მესმოდა ბორკილების ჩხარუნი, დარაჯთა გინება და ციხის სხვა ხმები—რაღაც სასოწარკვეთილების და ტანჯვის ხმები . . .

ივლისის დამლევს მესტუმრა ქანდარმთა ოფიცერი ფეოდოროვი და მახარა: თქვენი საქმის გამოძიება (რომელიც ოდესაში სწარმოებ-

და გათავდაო და მომავალ კვირას თქვენი დის ნახვის ნებას. მოგცემთო . . .

ვინც ციხეში არ მჯდარა, ის ვერ გაიგებს, რა დიდი სიხარულია დამწყვდეულისათვის ახლობელის ნახვა, ისიც ხუთი-ექვსი თვის შემდეგ. ის ერთი კვირა გიუკით ვიყავ, არ მეძინა, არ ვქამდი და არ გსვამდი, გშფოთავდი და ვლელავდი. დროც ისე ნელა მიღიოდა, რომ ერთი კვირა წელიწადად მეჩვენა! ბოლოს მოვიდა კვირაც და ჩემი ძვირფასი და, რომელიც ოდესაში დავტოვე, ვინახულე. იმან სასიხარულო ამბები მომიტანა: ლორთქიუანიძე (დავით არჩილის ძე, ნაფიცი ვეჯილი, შემდგომ ქალაქის მოურავი) სცდილობს თავდებით გაგანთავისუფლოსო. აქაური უანდარმები წინააღმდეგი არ არიან და ახლა ოდესაში შეევითხნენო.

მაცადინეობამ მაინც ერთ თვეზე მეტს გასტანა და როგორც იქნა, ივლისში გამოვედი ციხიდან „საქმის დასრულებამდე“, როგორც ამისსნა პოლ. ნესტერევმა.

— როგორ უნდა გათავდეს ჩემი საქმე? შევეკითხე პოლკოვნიკს.

— არაფერი ვიცით... მგონია კი, რომ სულ უბრალოდ გადარჩებით ამხანად...

უანდარმის ამ პასუხმა დიდ შეცდომაში შემიყვანა: სრულიად დავმშვიდი და დავიკიწყე, რომ საქმე გათავებული არ იყო. ხოლო როცა ჩემი ოდესელი ამხანაგები ვნახე საზაფხულოდ ჩამოსულები, არხეინად გავერთე და ჟველაფერი დამავიწყდა—ეტაპიც, ციხეც, ისიც ჭი, პოლიტიკურ დანაშაულობისათვის სენატის განსაკუთრებულ კომისიის რომ უნდა გავესამართლებინ.



## X.

ალექსანდრე III-ის ჩამოსხლა კაცებიაში და „ხაეპვო  
პირების“ გაფხავნა ფოთში.-პროფოკატორი მერკულოვი.

ერთ თვეს განცხრომაში ვიყავ: დავტრიალობდი სოფლად  
თუ ქუთასიში; ვისვენებდი ეტაპისა და ციხეების შემდეგ. შემოდ-  
გომის დაწყებისას კი შევუდექ სამუშაოს ძებნას, მაგრამ ახლაც  
თურმე ჩემი ბედი, თუ უბედობა, სხვას მიმზადებდა.

ენკენისთვის ერთ მშვენიერ დილას გამომეცხადა უჩნის ზედა-  
მხედველი და პოლიციაში მიმიწვია. კარგს არას მოასწავებდა ეს  
უდროო დროს დაბარება, მაგრამ რაში იყო საქმე, ვერ მივხვდი. და-  
ნიშნულ დროს მივედი და ვნახე, რომ ჩემს გარდა კიდევ 20-ზე  
მეტი ახალგაზრდა, ზოგი ნაცნობი, ზოგიც უცნობი, ყოფილიყო  
დაბარებული. შევედით პოლიციებისტერის კაბინეტში და იქ გამო-  
გვიცხადეს: უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ხვალე ფოთში  
უნდა წახვიდეთ, სადაც ერთ თვეს დაჰყოფთ პოლიციის ზედამხედვე-  
ლობის ქვეშო. მიზეზი—უმაღლეს სტუმართა მობრძანება ა/კავკა-  
სიაში, რის გამო ნაბრძანებია, ყველა პოლიტიკურ-დ არასაიმედო  
ქუთაისის გუბერნიისან ფოთში იქნეს გადაგზავნილიო.

მეორე დღეს დანიშნულ საათზე ყველანი შევირითეთ სად-  
გურზე და პოლიციის ბოქაულის თანხლებით გავემგზავრეთ ფოთი-  
საკენ. ფოთში საღამოს ჩავედით. იქ უკვე გაეგოთ ჩვენი ჩასვლის  
ამბავი და სადგური გაჭედილი იყო ცნობისმოყვარე საზოგადოე-  
ბით. წინ მოგვევება პოლიციებისტერი ობიექსი, რომელსაც ბოქა-  
ულმა ჩააბარა ჩვენი თავი და სათანადო ქაღალდები. ობიექსიმ გა-  
მოგვიცხადა, აკრიბალული გაქვთ ქაღაზიდან გასვლა, ხოლო ქაღაზი  
შეგიძლიათ ცხოვრება; ბინა „სახაზინო“ გექნებათ საერთოდ და  
საქმელ-სასმელისთვის დღეში თითო მანეთი მოგეცემათო... წავედით  
„სახაზინო ბინაზე“. ეს იყო რაღაც ძველი შენობა, რომელშიაც წი-  
ნად ქლუბი ყოფილიყო მოთავსებული. იქ უკვე დაგვხვდა ოცამდე  
ამხანაგი, ბათომიდან და რეინის გზის სხვადასხვა სადგურიდან  
გამოგზავნილი. უმეტესობა რუსები იყვნენ, ახალგაზრდობა თუ „ნა-  
ციმბირალი“ ძველი რადიკალები, რომელნიც უმთავრესად რეინის  
გზაზე მსახურობდენ. სახაზინო ბინა კარგა მოზღვრილი აღმოჩნდა და  
შესდგებოდა ერთის დარბაზისა და რამდენიმე ოთახისაგან. უმე-  
ტესობა აქ მოვთავსდით, ზოგს კერძო ბინაზე ცხოვრების ნება მის-

ცეს. გემსახურებოდენ პოლიციელი; თითო მანეთი დღეში, იმ ხანებში, კარგად გვყოფნიდა... პირველ სალამოსვე საინტერესო ინციდენტი მოხდა. დარბაზში დიდ მავიდას მოვალეობით და ჩაის შევექმით; ერთმანეთს ვეკონბოდით, ვებასებოდით. უცბად კარი გაიღო და გამოჩნდა პოლიციელი ჩემოდნით ხელში.

— ი. კიდევ ერთი ამხანგი მოვემატათ! სთქვა მან, ჩემოდანი კუთხეში დადგა და გავიდა. დარბაზში შემოვიდა მაღალი ტანის, ძალიან გამხდარი შაგვრემანი, შეახნის კაცი. თავი დაგვიკრა საერთოდ და გამოვიცხადა თავისი ვინაობა.

— აღექსანდროვე!...

ამის შემდევ მაგიდაზე თავისუფალი სკამი დაიჭირა.

სხვებს შორის ბათოშიძიან იყო გამოგზავნილი ვინმე გურსკი (იმ დროს სტანდის პატრიონი), ოდესლაც რიციფილი და დასჯილი (შემდევში კი, თუ არა ვცდები, ის ცნობილ შავრაზმელის პალმის ამხანგი და მევობარი გახდა) აი, ეს გურსკი უცბად იდგილიდან წამოხტა, მიუახლოვდა ოხლადმოსულს, ჩააჩრდა და მოულოდნელად შესძია:

— თქვენ მერკულოვი ხართ და არა აღექსანდროვი!

მერკულოვის ხერებაზე ყველას ურუანტელმა დაგვიარა ტანში: ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ოდესლაც გამოჩენილი რევოლუციონერი მერკულოვი შემდევ არა ნაელებ გამოჩენილი პროვოკატორი შეიქნა. მან გასცა ვერა ფიგნერი და მთელი მისი წრე... ყველა ფეხშე წამოდგა. აღდა იხლადმოსულიც და რაღაც წაიბუტბუტა.

— გაეთრიეთ აქედან, თქვენ მერკულოვი ხართ! ყვიროდა გურსკი... ვითომ აღექსანდროვმა ჩალუნა თავი და მოჰკურცხლა.

პატარა ხანს შემდევ შემოვიდა იგივე პოლიციელი და მისი ჩემოდანი წაიღო... ამ საღამოს შემდევ მერკულოვ-აღექსანდროვი აღარ გვინახავს ფოთში და ჩვენთვის საიდუმლო დარჩა, განგებ იყო გამოგზავნილი თვალყურის სადევნებლად, თუ მართველობამ ისიც საეჭვოდ მიიჩნია, მიუხედავად დამსახურებისა და ჩვენთან გამოგზავნა, როგორც არაკეთილსამედო...

სახოვაცოდ უნდა აღვინიშნო, რომ ის ერთი თვე ფოთში სრულიად თავისუფლად გვყავით, თვალყურისაც არ გვადევნებდენ მანიც-დამაინც, ასე, რომ ვიმეს დომებოდა, აღვილად გაიპარებოდა. რასაკვირველია, მთელი ეს გამოგზავნა უბრალო ფორმა იყო, ჩვეულებრივი უაზრობა „ოხრანკისა“, რომელსაც ნამდვილი დაცვა ვერასო-

დეს ვერ აუსირულებია რიგიანად და ტყუილაუბრალო აწიოკება—  
კი ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული.

ერთი რამ უნდა აღვნიშნო კიდევ ფოთის ამ ეპიზოდიდან.  
ადგილობრივმა საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა მაინცდამაინც მო-  
ქალაქეობრივი გამბედაობა. ისე ეშინოდათ ჩვენი, რომ ახლოს არა-  
ვინ გვეკარებოდა. ზოგს ჭელი ნაცნობები ჰყავდა, ისინიც შორი-  
დან გვერდს გვივლიდენ.



## XI.

յշտաօնօն սաացօլմօմթղոն ծանչ՛ն.—ի՞մ՞ո արհեցա  
 դամբաեցծլած, და մուլունքնելոն „ռձո՞նըուա“.—մա-  
 թու ցորոյըլու.—կո՞ր թշենու.—ոնք դապահոմիշեծ და  
 ցոմծոնշո ցամցացրեծա.

Ծազթրունդու ու արա յշտաօնօն դացու լոռտիցիցանում մորհիա:  
 Սատացագանենայրու ծանչ՛ն դամբասեցծլու օցցոլու ուլունք և տեղուն  
 Շերտանց նեճամեցզել յոմիուրէթնու (յշտաօնօն ծանչ՛ն դամբասեցծլուն  
 սախոցածու յրեծա յու ար օրհեցծա, արամեց Շեյրունցնուն սեծոմա  
 ցամցյոնծիս և նեճամեցզել յոմիուրէթնու). ծարտարա ենու ցոյմանուն  
 Շեմցու წոնալացրեծ մոզունք, տեղուն წարզացցոնք և մալու արհեցլ  
 ցոյմեց կուցու դամբասեցծլ յոմիոնիս նշանած. սախոցածոյն ամ  
 իմ ի՞մն „ձուրոյըլս ցամոսցալուս“, ի՞մք սամիշսահուն սրունուա մու-  
 լունցնուն, წարմուլցնուն օշու-նայրու և մասնչու օսթորուա  
 մունցա. ի՞մ წոնամուացցուն ուստ յրու մեցրելու ուցագունցուն ու-  
 ղացա, հոմլուս արհեցա նեճամեցզել յոմիուրէթմա օլար մուսուրցա:  
 մոենցուցինուա մուշանօն օլար Շեյսլուա. նայեսացցիմա և աելոն-  
 լուցիմա ուշունց մուս ցագացցնեցա և... օսթուես օշու-նայրու: հոցուն  
 ու մցունք, դամսասերունցնու դամբասեցծլու ցամացցու և ուլուց ՝, մա-  
 շցու“ աօրհիցըն! ամես „կուտեյրու Շուզոնինշուու“ մուսուրցու: յրուու  
 մեցրելու ուստ յոմիոնիսամու, իմերլուցիմա օսուց ցամոսցցընըն!

մալու աղմասինցս, հոմ արւ մե, արւ թամահիմու ծանչուն  
 նեցելու և սուշու ար ցերերու. Մեցրուցը եմբուծ և նեճամեցզել  
 յոմիուրէթս մուստեղուց սացանցը յունցիս մովունքա „Շանոնն արհեց-  
 նեցիս“ ցասածատունցնուն. օցուուն წարմունցնու, հոցուն մոմու-  
 նիմելայդա ցուլս և սուլս յու ցանցամու մե, ցունցուն սրունցնու,  
 հոմելուն Շորս և մալուն Շորս օւցա լունցը յունցուն պացար  
 ցուեկու քրոնիսցան! համունքա ցածացնցուու յարու տիմա օցցունչե,  
 մացրուն նեճամեցզել յոմիուրէթիս նշանը մուս ցացոնցնաւ ար  
 մուսուրցու: Սայմե ի՞մն Շեցցեցիմա և արա ուշենաս. հոցուն, յախրու  
 մուտեղունաս ցազուտմուտու. ամուտ ուշեն ցահունունցիս ցամցյունիս  
 Շեյսլուն ելուս սախոցածու սայմեյթնուն և սեցա. մերու լունց ար ուս,  
 լունց օցամուհիունցնու: Il vin est tiré, il faut boire. ցանչարցնու-  
 նա մուսելունցս սացունցը սամմարուցը արհիցնու նշանինատ սածու-  
 տու, հոմ մամահիմս ցլուցիմա շպացւա և, հոմ ամուրուն օսուց լունց սո-

ფილიფო ერთ-ერთ ბანკის დამფუძნებელთაგანიო. დიდის ძებნის შემდეგ გამოჩხრიეს ქაღალ დი, საიდანაც სჩინდა, რომ მამაჩემს და მის უფროსს ძმას ერთი გლეხი ჰყოლიათ!..

დადგა საგანგებო კრების დღე. ბანქის საქმით დიდი დარბაზი გაჭიდილი იყო ხალხით: წინანდელი დამფასებლის მოსარჩევე მრავალი შეკრელი თავით-აზნაურობა ჩამოყალიბდა (მაშინ ჩეენ ბანკებში წარმომადგენელთა ინსტიტუტი არ იყო ჯერ). რასაცირკელია, გუბერნიის სხვა ადგილებიდან ამისთვის მცირე შემთხვევისათვის არავინ ჩამოვილოდა და ამიტომ მეგრელების მეტი თითქმის არავინ იყო. აქ სჩანდა შეოლოდ ათიოდ-ოციოდე ქუთაისელი ინტელიგენტი, რომელიც ზედამხედველ კომიტეტზე მიტანილ უსაბუთო იერიშისაგან დასაცავად მოსულიყვნენ. წაიკითხეს საჩივარი: ზედამხელი კომიტეტის მიერ არჩეული პირი დამტურებულთა სიაში არ არის და ამიტომ არჩევნები უკანონოა.

წამოდგა ცნობილი ენერგიული საზოგადო მოღვაწეები განსცენებ-  
ბული ლუკა ნიკა-ძე ასათიანი (ქალაქის მოურავი და ზედამხ. კო-  
მიტეტის წევრი) და ჩვეულებრივ მეცნიერულური და საბუთიანი  
სიტყვით მიშვართა კრებას: დამუჯანებელთა სიაში ბევრი ჩვენგანიც  
არაა შეტანილი,— ან ჩვენი მმებია, ან ზარი უფროსი მმებია, მიგრამ  
ძარადის ქვეი პრაცის გამოუცხადებია ჩვენი ბანკის წევრობაზეო:—  
ლასხიშვილის მამის უფროსი მმა შეტანილი უნდა იყოს სიაში, რო-  
გორც გლეხის მეპატრონე, რადგან ძები გაუყოფელი იყვნენ. ამი-  
ტომ ყვალა მათი მემკვიდრეებიც ბანკის წევრები იყვნენ და სხვა.

წაიკითხეს საგუბერნომ მართველობის ზემოსხენებული საბუ-  
თიც ერთი გლეხის შესახებ. ბრწყინვალე კრება სიცილით მიეგება  
ერთი გლეხის აშშავს, ხოლო ერთმა წარჩინებულმა თავიდმა წმო-  
ძახი: ერთი გლეხი ჩემ მზარეულსაც კი ჰყავდათ.

წამოვარდა გაიხსრებული დავით არჩ. ლორთქიფანაძე და  
შვარე და მშარე სიტყვებით უსაყველურა კრებას უაზრობა და უსა-  
ბოთობა მისი მოთხოვნისა, მაგრამ სიტყვები აღარავის ესმოდა:  
დარბაზში ატყდა ყვირილი: კენჭი, კენჭი, რა საჭიროა აქ ლაპა-  
რაკო.

ჩემშე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ, პირად მოტივებით გამოწეულმა ვნებათა ღელვაძმ. რამდენჯერმე დავაპირე ფარის თქმა, დავიწყე კიდევ ლაპარაკი, მაგრამ ხმაურობაში არაფერო ისმოდა. მომენტდა განსვენებული ანტონ ნიკ-ძე ლორთქიფანიშვილიც წევრი იყო ზედამხედველ კომიტეტის) წამავლო ხელი და შემთრია გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში. დარბაზში საშინელი

აურ-ზაური იყო:—კენჭი, „კენჭი“-ის“, ყვირილით აიკლეს იქაურობა.

ლუკა ასათიანი მედგრად ებრძოდა კრებას, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდენ ყუთი დაედგათ და ხმები მოექრიბათ საკითხი-სთვის: კანონიერად მოიქცა თუ არა შეერთებული სხდომა გამგეო-ბისა და ზეჯამშედველ კომიტეტისა? სანამ იქ კენჭის ყრა იყო, ან-ტონ ლორთქიფანიძე, რომელმაც აუარებელი ისტორიები და ანეკ-დოტები იცოდა, კაბინეტში მოვროვილთ მამაჩემზე ერთი ანეკდო-ტი უამბო, რომელიც წინადაც ძრონდა სხვაგისაგან გაგონილი:

— ხომ გაიგონეთ მზარეული, რომ მოუყვანეს გიორგის მაგალითად? მზარეულობა საზოგადოდ დაებეჭდა ამათ გვარს... მაჩამისი მიხეილი, ოფიცერი იყო და თან დიდი ლიბერალი. გლეხების განთავისუფლების წინად კრებები იყო ქუთაისში თავად-აზნაურობისა და მიხეილი ღირდ მონაშილეობას იღებდა ამ კრებებში, თავგამოდებით ესარჩევებოდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს... ერთ სხდომაზე, რომელსაც დაესწოო იმერეთში ცნობილი მსხვილი მემამულე თავ. ნიკო ჩიჯავაძე — დიდ ნიკოლ წოდებული, — მიხეილმა კვლავ წარჩოსთვის მხურვალე სიტყვა. ამ დროს „დიდმა ნიკო“ წამოიძახა: შეავს რა ენალვლება, გლეხები არა პყავს დი თვითონაც ჩემ საშზარეულოში არის გამოზრდილიო.

— თქვენ სამხრეულოში, რომ გამოვიზარდე, სწორედ იმიტომ ვარ გასუქებულიც, მოუჭრა სიტყვა მიხეილმა და მთელი დარბაზი სიცილით დაიხოცა, რადგან მიხეილი იმერელ გლახა ჩურჩხელას ავით ჩამომხმარი იყო...

გათავსა კენჭის ყრა, რასაკვირველია, დიდის ხმის უმეტესობით, უკანონოდ ცენტს ბანკის მართველ ორგანოთა მოქმედება.... -შეიძლება დღეს შემატანიერ 25 მანეთი ბანკის სალაროში და მე კანონიერად გავხდი ბანკის დამფუძნებელ წევრად, როგორც ქუთაისის გუბ-აზნაური. დანიშნეს ხელახლა არჩევნები და დამფასებლად ისევ მე ამირჩიეს.... აქ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი არჩევის წინააღმდეგ-ნი, გარდა მეგრელ თავად-აზნაურობისა რამდენიმე ქუთათური ინტელი-გენტიც იყო, გარიყული დამფასებლის კარგი ნაცნობი და მეგობარი... მათ შორის, ჩემდა სამწუხაროდ, მაგი გურიელიც ურია. კრებაზე ისიც ამხედრდა ზედამხ.-კომიტ. წინააღმდევ და დაეინიებით მოით-ხოვდა კენჭის ყრას. კრება რომ გათავდა, სალამოს მე და განსვე-ნებული გრიშა აგაშიძე, რომელაც სასტუმროს რესტორანში ზეადით, იქ დაგახდა, თუ არა უცდები, კოტე ბაქრაძე და ცოტა ხნის შემდეგ. მამიაც შემოვიდა. მე მამიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიელებს ის ხშირად გვყვაიდა, რასაკვირველია, ნანა-

ხი და ძალიანაც გვიყვარდა; მისი ზოგი პატრიოტული ლექსი ზე-პირად ვიცოდით; განსაკუთრებულად აღტაცებაში მოვყავლით მის სცენიდან დეკლამაციას. ახლაც თვალშინ მიღვას მამია სკუნაზე: პენ-სნე ქვეით ჩამოწეული, მამია ზევიდან გამოიყურება და თავისებურის ხელების ქნევით, მომხიბლავი კილოთი ჭარმოსთვემს: „ყმაწვილებო ჯერ კუსუროთ ჩვენ სამშობლოს დღეგრძელობა“....

და ბოლოს:

“ასე ვუთხრათ: საქართველო აღსდეგ;  
გახდი კვლავ თავხედი, არა რა არს  
უსაშველო,  
ყმაწვილებო ალავერდი”!

ამ „ყმაწვილებო ალავერდის“ ისეთი გრძნობითა და აღტაცებით იტყოდა ხოლმე, რომ მთელი თეატრი ერთხმად და აღტაცებით შესძახდა: „იახშოოლ“.

გრიშამ მამიას სთხოვა ჩვენთან მოსულიყო და ჩემთან ესაუბრა. მამია მოვიდა, გამეცნო და მითხა: ყმაწვილო, არ გეგონოთ, რომ პირადად თქვენი საწინააღმდევო მქონდეს რამე. მე მეწყინა, რომ კომიტ. უმიჩესოდ გამორიცხა ძევლი, მოხუცებული მსახური. ჩვენი ბანე, ყმაწვილებო, ამგარ მოხუცებულებისთვის არის გაჩნილი, ის არის ინგალიდების კომანდა და ახალგაზრდობას რა გინდათ იქ ვნებას მოგიტანთ იქ ყოფნაო!...

ასეთის არგვებენტაციით გაათავა მამიამ თავისი იმდღვანდელი ოპოზიციის განმარტება და მეტი ხმა აღარ ამოულია ბანკის საქმეებზე. თუმცა კოტექტ და გრიშამ იერიში მიიტანეს მასზე და მხურვალედ უმტკიცებდენ, ბანკი არც არის და არც უნდა იყოს „ინგალიდების კამანდაო“. მალე ყველანი გაეცრთეთ ასე მამიასთან მეტად ტებილ საუბარში პოეზიაზე და ჩვენი ქვეყნის ძევლსა და ახალზე და ბანკიც, იმ დღის საზარელი კრებაც, სრულებით გადავავიწყდა....

ქუთაისის ბანკის გამგეობის თავჯდომარედ იყო დასაელეთ საქართველოს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გაზეთ „შრომის“ დამარსებელი და რედაქტორი თავ. დიმიტრი ელიზბარის ძე და დიანი განათლებული, შრომისმოყვარე და პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ რამდენადაც მე მაშინ შემეძლო დაკვირვება და როგორც სხვებისაგან გამიგონია, საფინანსო ფართო მხედველობისა და გამჭრიახობის ფხა არ ჰქონდა, რომ ბანკის საქმეები ენერგიულად მცუდიანი განვითარების გზაზე. მისი უახლესი თანამშრომლები, ბანკის დირექტორები თავ. ნესტორ ერისთავი და ი. პ. ჯაიანი მხოლოდ მიმღინა.

რე საქმეებს აწარმოებდენ, ასე კითხვათ ბანკის „სტატიკა“ იცოდენ; ამრიგად ბანკი „დინამიკას“ ხელშძლვანელი არ ჰყავდა და ამიტომ ეს დაწესებულება თითქმის არ იზრდებოდა...

ჩემს განყოფილებას — დამტასებელ კომისიას თავჯდომარეობდა თავ. სა მსონ წულუკი დე, რომელიც გამოცდილ და ფრთხილ დამტასებლად ითვლებოდა ყველასაგან. დამტასებლად იყო მაშინ აგრეთვე ჩემი გუმჩენილი ორტისტი კოტე შესხიც. იგი უკვე გამოსული იყო მაშინ სასცენო ასპარაზზე, მაგრამ მონაწილეობას იღებდა უფრო როგორც სცენის მოყვარე და არა როგორც პროფესიონალი-არტისტი. ნიჭიერი არტისტი რომ იყო, ამას ბანკშიაც ყველა შისი ამხანაგი ჰქონდავდა. —

არ შემიძლია აქ მაგალითისთვის არ გავიხსენო, როგორი ინტერესით ვუცემოდით კოტე მესხს, როცა ის თავის ურიცხვ კრედიტორებს „უსწორდებოდა“. მისი კრედიტორები სულ ქუთათური ებრაელები იყვნენ. ყოველ ოც რიცხვს, ჯამაგირების მიღების დღეს, სათითაოდ გამოცხადდებოდენ ხოლმე ვალის მისაღებად. დამზადებლების ოთახი — აივანზე გადიოდა ფანჯრებითა და კარით, ისე რომ წინდაწინევე ვხედავდით, ვინც ჩეკენენ მოდიოდა. კოტე, რომელმაც მშვენივრად იცოდა ყოველ თავის კრედიტორის ხასიათი, ბეჭითად ადგენებდა თვალყურს, რომელი მათგანი მოდიოდა და იმის ხასიათის შესაფერ შეხვედრასაც უმზადებდა. ზოგს მრისხანედ დახვდებოდა და მისი თვალები ცეცხლს აფრივევდენ. შეშინებული კრედიტორი იმწამევე გარბოდა; ზოგს მჩიარულის სახით უხვდებოდა და სუმრობით გაისტუმრებდა. ზოგს კი მეტად დაღრეშილი და მოწყენილი დახვდებოდა ხოლმე: ესენი ხშირად თვითონვე აძლევდენ თულოს სესხად და თან ანუგრძებდენ: არა ღირს ასე შეწუხებაო!

ისე სწრაფად იცვლიდა ხოლმე კოტე სახის გამოჩეტველებას, ლაპარაკის კილოს, მანერას, ისე ბუნებრივი იყო ყოველი ეს ცვლილება, რომ პირდაპირ ესთეტიურ სიამოცნებას გრძნობდენ გარეშე მაყრენებლები ამ სასაკილო სცენებისა...

მუშაობა უნდა დამეტეო, როცა ჩემმა თითქმის მივიწყებულმა „პოლიტიკურმა საქმემ“ უმოწყალოდ და სასტიკად გამახსენა თავი და დამატოვებინა არა თუ ბანკი, არამედ მოლაპა ჩემი სამშობლოც. მე იმედი მქონდა „საქმე“ უბრალოდ გათავდებოდა და ისევ უნივერსიტეტს დაუუბრუნდებოდი. ამიტომ ბანკიც, ქუთაისში ჩაშინდელი ცხოვრებაც დროებით ეტაპად მიმაჩნდა, რომლის ზემდეგ ისევ უნდა გამეგრძო ჩემი მზადება სამერმისო მოღვაწეობისათვის. და მართლაც ბანკიც, ქუთაისში მაშინდელი ჩემი ცხოვრებაც, მოკლ

ეტაპი აღმოჩნდა, მაგრამ არა უნივერსიტეტის წინა ეტაპი, არამედ სულ სხვა ცხოვრების და სხვა გზისა.

როგორც უკვე მოვიხსნიე ზემოთ, ამ წლის (1889) მაისში ციმბირიდან დაბრუნდა გიორგი ზდანივიჩი. არ გაუვლია ამის შემდეგ ერთ თვეს, რომ ახლა მე უნდა გავწერ ავრებულიყავ იქით. ავისტოს ერთ დღეს, იმავ ქარქაშვილების სახლის ეზოში გიორგი და მე ვისხედით და ახლად მიღებულ „რუსკ. ვედომ.“-ს ვკითხულობდით. ამ დროს ალაყაფის კარები გაიღო და დიდ ეზოს თავში გამოჩნდა ეტლი პოლიციელებით. ეტლიდან ჩამოვიდა ბოქაული და გამომიკადა, რომ გუბერნატორის განკარგულებით უნდა დამატუსალოს, რადგან „ოქვენი საქმე გათავდა და უმოძღვესის ბრძანებით დასავლეთ ციმბირში უნდა გაიგზავნოთ ხუთი წლის ვადითაც. ჩამსცეს ეტლში და წამიყვანეს ჯერ პოლიციაში. იქიდან ისევ ციხეში უნდა გავეგზავნეთ, მაგრამ შეატყობინეს ჩემს თავდებს დ. ა. ლორთქიცანიძეს, რომლის მეცადინეობით მეორე დღეს გამანთავისუფლეს. პირველი, რაც მაუიქრებდა და შაწუხებდა მაშინ, ეს იყო ეტაპით გამგზავრება ციმბირში. რომ გამახსენდებოდა ოფესიიდან კავკავამდე გაულილი ეტაპი, ტანში ქრუანტელი მივლიდა. ხოლო რა იყო ეს ეტაპი იმასთან შედარებით, რომელიც ქუთაისიდან ომსკამდე მომელოდა! შევუდუქი შუამდგომლობას ჩენი ხარჯით გამგზავრების ნებართვის შესახებ. დ. ა. ლორთქიფანიძემ 120 სიტყვიანი დეპეშა გაუგზავნა შინაგან მინისტრს. ქუთაისის გუბერნიის მაშინდელმა მმართველმა, ვიცე-გუბერნატორმა ფონ-დერ-ბრიუუ გენერალუ შეგვიწყო ხელი და, როგორც იქნა, გადავრჩი ეტაპს: მინისტრმა ნება დართო და რამდენიმე დღის შემდეგ უნდა წავსულიყავი ჩემის ხარჯით. მომცეს „გასახელელი მოწმობა“ (проконное свидетельство), რომელშიაც აღნიშნეს. მარშრუტიც: ბაქო, ასტრახანი, სამარა, ორენბურგი შემდეგ ფოსტის გზაზე ცხენებით ომსკამდე. ბოლოს, ავგისტოს შუა რიცხვებში, გამოუწოდეს ჩენიანებს, მევობრებს და ამხანგებს, ჩემ ძეირფას ქუთაისს და შორი გზისაკენ გაევმართე, — იმ გზისაკენ, რომელსაც ათასობით ჩემამდე და ჩემ შემდეგ უნახავს მაშინდელ რუსეთის მთავრობის ბარბაროსის მსხვერპლი.... აქამდე როგორლაც ბურუსში ვიყავ, აუიტაციაში: მეცადინეობა, სამგზავროდ მზადება, სირბილი აქეთ-იქით მართობდა და დროს არ მაძლევდა დაფიქრებისათვის. ხოლო როცა ვაგონში მარტო დავრჩი და ჩემი მდგომარეობა გავითვალისწინე, თვალები ცრემლით ამეცსო, გულმა მწუხარებით ტრკვას უმატა. ასე ადრე და ასე უაზროდ თავდებოდა ჩემი ახალგაზრდობა, ბოლო ელებიდა

ჩემს გეგმებსა და მისწრაფებას, ხუთი წელიწადი საუკეთესო ხანისა უნდა წარიტონიათ ჩემთვის... და მერე რისონის?...

ტფილისში ერთ დღეს გავჩერდი, მინდოდა მენახა კოტე მესხი, რომელსაც აგრძეთვე ხუთი წლით დასავლეთ ციმბირში გადასახლება გადაუშევიტეს, რადგანაც მასაც მისცეს ნება თავისი ხარჯით წასვლისა, ამიტომ ერთად წასვლა გვიჯობდა; მაგრამ ის ტფილისში ალარ დამზვდა: რანწყნისამე დღით თავის სოფელში (იმერეთში) წასულიყო; გავუგზავნე დეპეშა, ორენბურგში მოგიცდი მეთქი, მაგრამ დეპეშაც ისტოგნიბა და სხვა მარშრუტით წასულიყო.

ტფილისიდან ორენბურგამდე ვზა მეტაღ საინტერესო იყო: ვნახე დიდი ქალაქები—ბაქო, ასტრახანი, ცარიცინი, სარატოვი, სამარა; ვნახე რუსეთის დიდებული მდინარე ვოლგა თავის მშენებელი და მცილო დასახლებულის ნაპირებით; ვნახე დიდი, გაძლიერებული საკურო მოლვაწეობა და მოძრაობა ქასპიის ზღვასა და ვოლგაზე. მაგრამ, სამაგისტროდ, ორენბურგიდან დაწყებული ომსკამდე ვზა არც არათერს საინტერესოს წარმოადგენდა და მისი გადაბიჯებაც ნამდვილი წვალება იყო.. ადგილი სათქმელია: თითქმის 1500 ვერსი უნდა გამეარნა ცხენებით სრულიად უვარების საფოსტო გზებზე, საძაგელ ურეკორო ეტაპებში (ჩვენში „ტროიკას“ რომ უძახიან).

ორი კვირა მოვუნდი ამ გზას ომსკმდე და ძალზე გალაცული, დატანჯული მივაღწიყ. ორენბურგიდან დაწყებული ქალაქ ომსკმდე და შემდეგ ქალაქ ვერხნეურალსკამდე კიდევ იყო ცოტა მაინც საინტერესო გზა: უჩალის მთების კალთები, ხეები, მდინარეები და აქა — იქ მოსახლეობა; მერე კი გზა ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენდა, გახრიოკებულს, გადამწვარს, სადაც ოვალის შესაჩერებლად არც ხე, არც გორაკი, არც მდინარე იყო. გაივლი 60-80 ვერსს ისე, რომ ერთი სოფელიც არ გხვდება, მხოლოდ სახაზინო „საღვური“ თავის თრიოდე ხაკოდავ შენობით!

გული შემიწუხა დილიდან საღამომდე ჩემი „ტროიკის“ ზარების რაწევნება! ეს „ძინ-ძინ-ძინ“ დიღხანს მესმოდა ყურებში შემდეგაც, როცა დანიშნულ ადგილის ვცხოვრობდი უკვე.., მგზავრიც ბევრი არ მინახავს: ორი კვირის განმალობაში ათიოდე კაციც არ შემხვედრია; მხოლოდ ფოსტა გამასწრებდა, ან ჭინ შემეჩრებოდა (მაშინ ციმბირის რენის გზა არ იყო ჯერ გახსნილი და ფოსტას ცხენებით ზიდავდენ); ასე რომ ცრენები მუდამ იყო საღარებზე და დიდხანს არ მაგიანებდენ. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მიპირებდენ კარგა ხნით გაჩერებას: „სტაროსტა“ გამომიცხადებდა, რაც ცხენები იყო, ფოსტას მოუნდა, ორი სამი ცხენი დაგვრჩა მხოლოდ და ისინიც



ყოველთვის მოხვდებისათვის უნდა გავაჩეროთ, რომელნიც „По ка-  
зенной надобности“ დადიან. იმ შემთხვევებში დიდ დამარტიას  
მიწევდა „პროხოლნოე“ მოწმობა. ის ასე იწყებოდა: 14 ივნისს 1889  
წლის უმაღლესის ბრძანებით, თანახმად სენატის განსაკუთ-  
რებულ კომისიის დადგენილებისა, ქუთაისის გუბერნიის აზნაური,  
ესა და ეს, 23 წლისა, იგზავნება „სტეპნი გენ.-გუბერნატორის  
განკარგულებაში“... და სხვ. „სტაროსტები“ ან „უმაღლეს ბრძანებას“,  
რომ წაიკითხავდენ, ხელები აუკანვალდებოდათ ხოლმე, მოწიწებით  
გაღმომცემდენ ქაღალდს და ცხენები ორ წუთში მხიდ იყო. არც  
ერთს არ წაკითხავს ქაღალდი ბოლომდე და არც გაუგია, რომ მე  
პოლიტიკური დამნაშავე ვიყავი.

ერთი კურიოზიც: ყოველ სადგურზე მწერალი ჩამომართმევდა  
წინა სადგურის ქვითარს, გამომართმევდა ცხენების ქირას და სწერ-  
და ახალ ქვითარს, რომელშიც აღნიშნული იყო; წოდება, გვარი და  
სახელი, მოთხოვნილ ცხენების რაოდენობა და სხვა. ჩემი გვარი უჭირ-  
ფებდათ საქმეს და ათასნარად ამახინჯებდნენ; მე ჯერ უსწორებდი  
ხოლმე. მაგრამ მალე მომბეჭრდა და თავი დავინებე. ნანდახან ჩავიხე-  
დავდი ქვითარში და ვკითხულობდი; აზნაური, ლასიტვილ, აზნაური,  
გორგი ლასუილ, ბოლოს ომსკის წინ ჩავიხედე და ამოვიკითხე- „მე-  
შჩანიხ ეგორ ლოსევენ“. გორგი ლასხიშვილიდან, რომ ეგორ ლოს-  
ევნად გადამაქციეს, ეს არ არის გისაკვირალი, „დეორიანინიდან“ მე-  
შჩანინი როგორ გახდი, ეს ჩემთვის სიღდუმლოდ დარჩა.

29 აგვისტოს ღამით ჩავაწიე ომსკს და სასტუმროში გაჩერდი.  
შეორე დღეს დილა ადრიანად გამომეცხადა ოვით ადგილობრივი პო-  
ლიცეისტერი, გადმომცა ისევ „პროხოლნოე“ და მითხრა: ეხლავ  
უნდა განაგრძოთ გზა სემიპალატინსკშით (ჩემი მოსვლის შესახებ ცნო-  
ბაც თურმე აქ უკვე მიეღოთ და მოწმობა დაქმნადებინათ კიდეც).  
გზის გაგრძელება რომ გავიგონე, ტანში ურუანტელმა დამიარა და  
გამოვუცხადე პოლიცეისტერს: გენ.-გუბერნატორს წირვუდები და  
გსთხოვ, რომ ომსკში ცხოვრების ნება მომცეს შეთქი.

—არ შეიძლება, ჰიპასუხა მან. ტყუილად შეიწუხებთ თავს.  
არაურისთვის არ მოგცემთ ნებას აქ დარჩენისა, ომსკში მხოლოდ  
ერთი პოლიტიკურია — ზარულნი, ცნობილი სენატორის შეილი და  
იმასაც დიდის პროტექციით დართეს ნება. დანარჩენები, ვინც იყო,  
ახალმა გენ.-გუბერნატორია „(ბარონი ტაუბე)“ სულ აქეთ-იქით დაგ-  
ზანა, სჯობია წახვიდეთ ბარემ... სემიპალატინსკში კოფნა კიდეც  
სჯიბია; იქ ყველაურით უფრო კიაყოფილი იქნებით, ვიდრე ომსკშიო-

მეტი რა გზა იყო, უნდა წავტულიყავ და ისედაც საშინელად  
დაქანცული გრძელი გზით, ისევ ჩავჯერი ეტლში და გავუდებ გზას.  
სემიპალატინსკამდე კიდევ 700 ვერსის გავლა დამჭირდა. იმის იმედი  
მახნევებდა მხოლოდ, რომ გზა უკანასკნელია და სემიპალატინსკში  
დავისცებდა მეტე. მაგრამ მწარედ შევცდი, — დამავიწყდა, რომ რუ-  
სეთის სამფლობელო დაუსრულებელია:

სემიპალატინსკში ისევ ახალი „პრობოდნოე“ მომაჩეჩეს და მიგრანტებს, ქალაქ უსტკამენგორსკში წაბრძანდით. მე გამოუცხადე, რომ დავიტანჯე და ოლარ ძალმის თრევა; ძლივ-ძლივობით მომ-  
რეს ნება 24 საათის დასვენებისა. სემიპალატინსკში პირველიდ ვნახე  
ცოლიტიკური გაღმოსახლებულები 30 კაციმდე—სტუდენტები, ოფიც-  
რები (რასკვირველია ყოფილები), ორი ექიმი, რამდენიმე მუშა და  
სხვა.

საღამოს გამოცხადდა პოლიციის ბოქაზე და გამახვენა წა-  
სულის დრო. მთვრიალმა კამპანიამ სიმღერით მიმაცილა საფოსტო  
სადგურამდე. გავიარე კიდევ 230 ცერსი და ბოლოს მივედი ქალაში  
უსტკამპონგორსკი, საღაც მოელი 5 წელიწადი „უნდა დამესვენა“.



## XII.

უსტკ: მენოვანჩეკი. ძველი და ახალი პოლიტიკური გადახსახლებული. — გადახსახლებულთა ყოფა-ცხოვრება. — მათი და ჩემი მაშინდელი სარევოლუციო იდეოლოგია

ვისაც კენანის ცნობილი თხზულება ციმბირის შესახებ წაუკითხავს, მას ახსოეს აღმად ეს ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული გადაყრულებული ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებისაკენ მიგდებული ქალაქი: ახლაც, როცა ციმბირში ჩეინის გზა მუშაობს, იგი დაშორებულია უახლოეს ჩეინის გზის სადგურ რმსკიდან თიოქმის 1000 (970) ვერსით. მაშინ კი უსტკამენოვორსკი მოწყვეტილი იყო, არა თუ რუსეთს, ციმბირის მთავარ ქალაქებსაც. პეტერბურგის და მოსკოვის ფოსტა 18-19 დღეზე აღტე ეკრ მოვდილდა: ტფილისიდან გაზეთებს 24 დღის შემდეგ ვლებულ მბდიო! ეს ზაფხულსა და ზამთარში, ხოლო გაზაფხულსა და ზემოდგომაზე, როცა გზები ფუჭდება, ხშირად თვეობით ვისხელით უფოსტოდ. ტომსკის განერები კი 8-9 დღეზე აღტე ეკრ მოვდილდა. თვით ქალაქში, რასაკვირველია, არავითარი ნიშანწყალი საზოგადოებრივ და უბრალო კულტურულ ცხოვრებისა არ იყო. სულ ქალაქში ითვლებოდა მაშინ 6 ათასი მცხოვრები — ნაკაზაკარი მოქალაქენი, წვრილი ვაჭარ-ხელოსანნი. „ინტელეგიანციას“ შეაღენდა: ერთი მომრიგებული მოსამართლე, ორი სამხედრო და ერთი კერძო ექიმი, ერთი ვეტერინარი, ორი-სამი მასწავლებელი ადგილობრივ დაბალ სამეცნიერო სკოლისა, ერთი აქციზის მოხელე, ყაზახთა რამდენიმე ოფიცერი და რამდენიმე მღვდელი, სულ ერთად 15-16 კაცი. ამათგან დიდ უმეტესობას ადამიანობის აღარაფერი შერჩენოდა: სამსახურის საქმეების საცოდავად ასრულების შემდეგ, მთელ დროს განუწყვეტილი ლოთობაში აღარებდენ; არავითარი ინტერესები სულიერ ცხოვრებისადმი ამათ ღლარ ჰქონდათ. ყველაფერი ადამიანური და კულტურული დაეკარგათ ამ მიყრულებულ ადგილას დიდი ხნით ცხოვრებაში. მხოლოდ სამს შერჩენოდა კიდევ ძელებური და ესენი განდგომილ ბერებივით ცხოვრობდენ კარჩაკეტილნი. ერთი მათგანი იყო აქციზის მოხელე, მიხაელისი. ეს ის მიხაელისია, რომელსაც სპასოვიჩი იხსნიებს თავის მოგონებებში და რომელზედაც ამბობს: — ფრიად ნიჭიერი სტუდენტი მიხაელისი იყო შემაერთებელი ხილი მაშინ (მე-60 წლების დასაწყისში) უნივერსიტეტისა და პეტერბურგის მოწინავე ინტელეგიანციას შორისა; იმის მაჯისცემაზე

ვტყიბილობდით ჩვენ ახალგაზრდობის სულიერ ისწრაფების შდგომარეობას. მიხაელისი მაშინ გადასახლეს ციმბირში, იქ სამსახურში შევიდა და იქვე დარჩა სამუშამ იდ. ქველ დროიდან მას შერჩენდა სამაგალითო სიყვარული შეცნიერებისადმი (ბუნებისმეტყველება); მოსდიოდა უცხოეთური და რუსული სამეცნიერო უურნალები, იწერდა ყალცლა ახალ წიგნებს და დღი და-ღამე კითხვაში ატარებდა.

მეორე იყო ექიმი პიტკევიჩი, პოლონელი, რომელიც 1863 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო იყო აქეთ გამოგზავნილი. ესც სულ კითხულობდა, განვითარებული კაცი იყო, მაგრამ კარჩაკიტილი ცხოვრობდა და როგორლაც ცხოვრების ეშინოდა.

ბოლოს მოვიხსენიებ ყაზახთა ოფიცერს ბარანოვს, რომელსაც კენანიც ასახელებს, როგორც თავის ჩიჩერონეს პოლიტიკურთა კოლონიაში. ეს ოფიცერი ძალიან განეითარებული და მოწინავე იდეების კაცი იყო; სულ პოლიტიკურებთან ცხოვრობდა, რისთვისაც, როგორც შემდეგში გავიგვე, დაისაჯა კიდევც: სამსახურიდან დაითხოვეს და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებს.

პირველ ხანებში ყველა ამ „გარეშემდებთან“ გვქონდა ჩვენ, პოლიტიკურებს ურთიერთობა; მაგრამ შემდეგში ორიოდე-სამიოდეს გარდა ყველას დაუშორდით, რადგან საერთო აზა გვქონდა რა მათთან.

პოლიტიკურები იმ ხანებში უსტკამენოგორსკს ვიყავით ხუთმეტამდე კაცი: ერთი საშუალო სასწავლებელში ჰასწავლებლად ნამყოფი, ერთი ფარმაცევტი, ორი მუშა პოლონელი (ცნობილ პროცესის „პროლეტარიატის“ მონაწილენი), ერთი რუსი მუშა (მცედელი ღდესიდან), დანარჩენი სტუდენტები. ამათში უმთავრესად ორმა მიიქცა ჩემი ყურადღება, ერთი იყო პეტერბურგილი სტუდენტი ვატსონი, შეილი 60-ან წლებში ცნობილ რუსის მწერლის „სოერემენნიკის“ მთავარ თანამშრომლის ვატსონისა. როგორც შემდეგში გავიგვეთ ამ სტუდენტის დიდი იმედი ჰქონდათ პეტერბურგში: პფიქრობდენ, რომ გამოჩენილი მეცნიერი და ლიტერატორი დაღვებოდა: ბევრს მეცადინეობდა, ბევრითად ემთადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. მართლაც, ძალიან განვითარებული ახალგაზრდა იყო და ამასთან უკეთ ეცროპული ენები მშევრივოდ იცოდა. ის რომ გავიცანი უსტკამენოგორსკში, მაშინ თარგმნიდა ინგლისურიდან ჰენრი ჯორჯის თხულებას, რაიც პეტერბურგიდან ერთშა გამომცემელმა ფირმამ შეუკვეთა. თან მეტად ცოცხალი და სიმპატიური აღამიანი იყო, მაგალი, დახეთ, რა ბედი ეწვია უბედურს! მალე ის გადაიყვანეს პოსად ზაისანსში, ჩინეთის საზღვარზე, სადაც სრულებით მარტო იყო ველურ ყაზახებსა და ყირგიზებში. საშინლად იტანჯებოდა.

მარტობაში და მიისწრაფოდა რუსეთში. პეტერბურგში ბევრს ეცა-  
დეს მის გადაყვანას საღმე რუსეთში, მაგრამ უერაფერი მოახერხეს.  
ერთი წლის შემდეგ საცოდას ჭლექი აღმოჩნდა და სასოწარკვეთილე-  
ბისაგან მიჰყო ხელი არყის სმას, რამდენიმე თვის შემდეგ ეს უბედური  
იპოვეს ქუჩაში გაყინული..... ასე უდროოდ და უცბად გამოესალმა  
წუთისოფელს ახალგაზრდა, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა.  
რამდენი ასეთი მსხვერპლი შეიწირა რუსთის ბედუკულმართმა ისტო-  
რიამ!.....

მეორე იუ კიეველი სტუდენტი, უფროს კურსის იურისტი  
პოლონელი ხრისტიან დომბროვსკი.

პირველი წლები უსტამენოგორსკში ცხოვრებისა იუ თითქ-  
მის გაგრძელება სტუდენტობის დროისა: ვმეცადინეობდით, ხშირად  
ვიკრიბებოდით, სიმღერა თითქმის ჟველამ ვიცოდით და კარგი  
გუნდიც შევადგინეთ. ჩვენი ლოტბარი იუ იაროსლავლის იურიდიული  
ლიცეის ყოფილი სტუდენტი ვასილ ალექსანდრეს ძე გედეონ თვ-  
სკი. — შემდეგში ცნობილი სოც.-რევ., ამჟამად პოლიტიკორლელთა  
საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. ვმღეროდით რევოლუციონურ-  
სა და ხალხურ სიმღერებს, რუსულსა და უკრაინულს. ზოგი სიმღერა  
ისე გვიყვარდა, რომ აუცილებლად ყოველთვის, როცა-კი სიმღერა  
ვვექნებოდა, ვიმეორებდით. ეს იუ ბლენქევის

„Друзья, дадим друг-другу руки  
И смело двинемся вперед“...

შემდეგ რევოლუციონური სიმღერა. „Замучен тяжелой не-  
волей, ты славною смертью погиб“. განსაკუთრებით გვიყვარდა  
ცნობილ ქელ რევოლუციონერი ვალერიან თესინსკის სიკვდი-  
ლით დასჯაზე გამოთქმული სიმღერა. ოსინსკი თდესაში საჯაროდ  
ჩამოახრჩეს. დიდიალი ხალხი დაესწრო თურმე ამ საშინელებას; სხვა-  
თა შორის დედაც მოსულიყო. როცა შვილი დაუნახავს ეშაფოტზე,  
უკივლია: „ვალერიან, ვალერანო“, გული გახეთქია და იქვე უსუ-  
ლოდ დაცემულიყო. ეს მეტად სევდიანი ჰანგის სიმღერა ასე თავ-  
დებოდა:

„Палач кудри поднял  
И толпе показал  
Ту головушку непокорную...  
Вдруг в толпе раздалось:  
Валерьян, Валерьян!  
Голос стонущий, умирающий“...

კიელდებოდეს სოციალური განვითარების მიზართები ჰქონდა ამოცანის ასახსნელად მივმართები ჰქონდა ჯორჯის თხელებების (ხელთნაწერები გვერდა—რუსული თარგმნები ზემოხსენებულ გატრანსლარი და შეორე პოლიტიკურ გადმოსახლებულის კონშინისა). გატრანსლარი და შეორე პოლიტიკურ გადმოსახლებულის მაგრამ ამათ ვერ დამაკავშირებილეს... ამიტომ, იმ ხანებში შე ჩემთვის შევქმენ ასეთი „კონცეპტიკა“: ჩამორჩენილი ქვეყნები თავისთვალ ვერ მიაღწევენ სოციალურ თანასწორობის ხანას; ისინი მზად უნდა

იყენებ კულტურულად იმ დროისთვის, როცა მომავალი წესწყობის დროზე დასავლეთ ერობაში დამყარდება, მაშინ ასიმილიაციის გზით ეს ქვეყნები შეითვისებენ ახალს წესწყობილებას. ხოლო კულტურულ მომზადებისა და ბურუაზიული ხანის მარჯვედ განვლისათვის საჭიროდ მიმართდა პოლიტიკური თავისუფლება რუსეთისა და ამიტომ პოლიტიკურ პრობლემას უმთავრეს ადგილს ვაკუთვნებდი... ჩემმა აცემა მაშინდებლმა „მსოფლმხელელიბამ“ სულიერად დამაშორა უსტკამპნოვის კელ რუს ამხანაგებს, რომელიც მტკიცედ იდგნენ ნაროდნიკების ეკონომიკურ პროგრამაზე და რომელთაც შეურყივლად სწამდათ, რომ თენი და აზტელი სასწაულს მოახდენენ და რუსეთს, მაშინდელ ხანიდან პირდაპირ სანატრელ სამეფოში გადასკუპებდნ.

მაგრამ ამ მიზეზის გარდა იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უფრო მაშორებდა რუს ამხანაგებს. ეს იყო ეროვნული საკითხი რუსეთში და ნაო გულგრილობა ამ ჩემთვის მწვავე სფეროსადმი... როგორც მოწინავე იდეალების ადამიანთ, მათ, რასაცირელია, პირზე ეკერთ „თვითგამორკვევის უფლება“. როგორღაც მეტად განყენებულად და ბუნდოვანად ესმოდათ, ხორცი არ ჰქონდა და შესხმული ამ ცნებას და მცვლარ ფრაზად რჩებოდა. ეს ცნება რაღაც ღოგმა იყო, მეტაფიზიკურ ბუნებრივ სამართლისა, ხოლო როცა იმის რეალურ მნიშვნელობისა და შინაარსის გამორკვევას შევუძღვებოდი და შევეცდებოდი, ჩემს რუს ამხანაგთ, როგორღაც უეცრად უქრებოდათ ინტერესი საკითხისადმი, ან და ჩემის შეხედულებით დიდ შოგინიამს იჩენდენ. პოლონელთა და ფინლანდელთა შესახებ კი ისინი კიდევ იჩენდენ მოწყვილებას და სრულ პოლიტიკურ თავისუფლების ღირსად სიკეთდენ, მაგრამ სხვა ერგების შესახებ დადი ყოფილი ეტყობოდათ. საზოგადოდ კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე რომ ჩამოვალების ლაბარაქს, უმეტეს შემთხვევაში ცდილობდნენ სიტყვა ხუმრობის ბანზე აეგდოთ... დიდი შეტაკება მომდიოდა მათოან ყირგიზების გამო...

როცა მთავრობა ციმბირის რეინის გზის გაყვანის შეუდგა, დაკანონებულ იქმნა, რომ რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე ორივე მხარეს, ასი ცერსის მანძილზე, მიწა უნდა განეთავისუფლებინათ „ინოროდცების“ მოსახლეობის მიერ სარგებლობისგან და რუს გლეხობის დასასახლებლად დამზადებინათ. ამ განკარგულებამ დიდ განაცდელში ჩააგდო აქმოლინსკის ოლქის ყირგიზები. ამასთანავე იმ ხანებში დიდძალი რუსი გლეხი მიდიოდა შიდა გუბერნიებიდან აქმოლინსკის და სემიპალატინსკის ოლქებში და ყირგიზე-

ბი იძულებულნი ხდებოდენ საუკეთესო საძოვარი ადგილები და ეტო-  
 ვებინათ და ხრიოკ მთებისაკენ დაწეულიყვნენ. ასეთი განსაცდელი  
 ყირგიზებისა მე ლიდად მაღლვებდა. ჩემი რუსი ამხანაგები-კი სრუ-  
 ლებით გულგრილად იყვნენ, ხოლო ზოგი მათგანი ამართლებდა კი-  
 დევაც ამ სასტიკ მოვლენას: სურ ერთია, ციმბირის „ინოროდცები“  
 ისედაც გადაგვარებისა და მოსპობის გზას ადგიანო და სხვა იმგვარი.

ეს და წინანდელი ურთიერთობა საუკეთესო რუს ახალგაზრ-  
 დობასთან, სხვა დაჩაგრულ ერთა ისტორიის გაცნობა, ის ამბები,  
 რომელიც ყრუდ მომდინდა საშომბლოლან, თანდათან უფრო და  
 უფრო მაგრძნობინებდენ იმ გარემოებას, რომ მე გადაჭარბებულ  
 იმედებს ვამყარებდი რუსთა მოძრაობაზე ჩენი ქვეყნის ქეთილ-  
 დღეობისათვის. ჩემთვის ცხადი ხდებოდა ის, რომ უმთავრესი მნიშ-  
 ვნელობა ერის თვითმოქმედებას აქვს, რომ თვით დაჩაგრულმა ერმა  
 უნდა შექმნას და განავითაროს თვითი შინაური ძალა, რათა უფლე-  
 ბა მოიპოვოს, რომ საჭიროა თვითი, საკუთარი ეროვნული პოლი-  
 ტიკა, რომელსაც ამასთანავე, რასაკვირკველია, ბევრი რამ ექნება სა-  
 ერთო რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობა-ბრძოლასთან. ეს ამეა-  
 ბად თითქმის ტრუიზმი გახდა, მაგრამ იმ ხანებში საუკეთესო ქარ-  
 თველ ახალგაზრდობისათვის ჯერ კიდევ თავსამტკრევი საკითხი  
 იყო. გაუგებრობის ასაცილებლად უნდა ვთქვა, რომ არც მე და არც  
 საზოგადოდ ჩემი დროის ახალგაზრდობას ეროვნული საკითხი არა-  
 სოდეს არ უარუყვია. მაგრამ ბევრი ჩენგანი ამ საკითხს უქვემდე-  
 ბარებდა რუსეთის საერთო პოლიტიკურ საკითხს, რომლის გადა-  
 წყვეტაში ვხედავდით ჩენი ეროვნულ მისწრაფების მიღწევის თითქ-  
 მის ერთად-ერთ საშუალებას.

ასეთ ყოფაში იყო მაშინ ჩემი სოციალ-პოლიტიკური მსოფლ-  
 მხედველობის გამორჩევის საქმე.



### XIII

საგაზითო დეპიუტი. — სამეტერეოლოგიო სადაური. —  
 ცერნერის ნაშობი. — პეტრებავ ღოვები გადახვდა. —  
 განთავისუსლება

დადგა მესამე ზამთარი ჩემი უსტკამენოგორსკში ცხოვრებისა და  
 დაიწყო ჩემი ტანჯვაც. გარასახლებულად მჭიდრო ქოლონია დაიწ-  
 საქსა; ყველა როგორლაც თავის ქრემი შეძვრა, ერთმანეთს ვეღარ  
 ვეგუებით. საერთო იდ ური ინტერესებით ცხოვრების იდგილი დაი-  
 კირა წვრილმანმა საპირადო ინტერესება, განჩნდა წვრილმანი ინტერე-  
 სები, შულლი და ისედაც მწარე ცხოვრება კიდევ უფრო გამწარდა.  
 სუავლის და შეკადინეობის ხალისი; აღარავის ჰქონდა. ყველას  
 გულს მოაწვა სევდა, ყურალს ნერვები აეშალა. მიყრუებლ იდგილს  
 გადაკარგული ახალგაზრდობა, დაშორებული ყოველგვარ საზოგადო-  
 ებრივ მუამბას, უსაქო და ხელფეხ შებორკილი, კარგვდა სუ-  
 ლიეთ თანასწორობას. ზოგია ლოთობის მიჰყო ხელი, ზოგიც კარტის  
 თამაშობაში ატარებდა დღესა და ღამეს. მე არაყის მოყვარული არაა-  
 დროს არ კუთხილვარ და ვირც განქოს თამაშს შევეჩივ მანეცა და  
 მანცც. ამიტომ ვაყავ კარჩაკატილი ჩემთახურების და ვითვლიდი თვეებსა  
 და დღეებს, როდის დამიღებოდა ბენერი წამი, რომ ჩემს საკუ-  
 თარ სამშობლოში დაეგზანებულიყვავი. ჩემ უბერუება ის იყო ქი-  
 დევ, რომ იმ ხანებში თვალის ტკივილმა გამიიშარა და შეცადინეო-  
 ბაც უნდა შემცირებინა. გასართობად განვიზახე ციმბირის გაზე-  
 თებში კორესპონდენციების და წურილების გაგზავნა. პირველი წერილი  
 გავგზავნე ირკუტკში, სადაც გამოდიოდა პროგრესიული გა-  
 ზეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-  
 ცეთი, თუ არა ვცდე სიბირსკია გაზეტა". პატარა ხნის შემ-

ცერნერის ნაშობი. — პირველი წერილიც სწორედ ამ ნომერში იყო  
 მოთავსებული.

ვბეჭდავდი კორესპოდენციებს ომსკის გაზეთშიაც „სტეპნი  
 ქრის“. აქ ჩემთა წერილი ბრი უსტკა ენგორსკის საქალაქო საქვეებზე  
 დიდი ალიაქთი გამოიწვია: გაბერნატორია გამგეობის რვიზია და-  
 ნიშნა, ხოლო შეურაცყოფილმა გამგეობის მდივ წმა დიფამაციისათვის

რედაქციას უჩივლა. რედაქტორმა სირ გმიატნიკოვმა მუშაობენ გვერდზე დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ ისეთი საბუთების მოპოვება შეუძლებელი იყო და სასამართლო იმ რედაქტორი დაჯირიდა.

გარდა ამისა, განვიზრახე მეტერეოლოგიურ სადგურის დაარსება (საქმე ვიცაფი, რადგან ვიმნაზიაში რამდენიმე წელს სხვა ამთანა-  
გებათა ერთად და მთემატიკუს მასშივლებლის ელჩუკოვის ხელ-  
მძღვანელობით, განვაგებდი გიმნაზიაში არსებულ სამეტერეოლოგიო  
სადგურს). მთელ სესიპალატინსკის ოლქში, რამელიც სივრცით იღე-  
ბა მატება პრუსიის ტერიტორიას, ასეთი სადგური არ ა-სებობდა. გა-  
ვჟღვანებ სათანადო მოხსენება პეტერბურგის მთავარ ფიზიკურ  
ობსერვატორიას; ამან დახმარება სთხოვა მოსკის გან-გუბერნატორს.  
გენ.-გუბერნატორი თანაგრძნობით მიეკება საქცეს და გადასცო 500  
მანეთი. მალე პეტერბურგიდან მოგივიდა წეორე ხარისხის სამეტერეო-  
ლოგიო სადგურების ყველა ინსტრუმენტი და იარაღები (1-ლ  
ხარისხის სადგურები რუსეთის 8-10 დიდ ქალაქებში იყო მთლილ).  
შევუდექ სადგურის გამორთვას; ჩემი ბინის ესოთი დაიდგა „ბუდკა“,  
ტერმომეტრები, წვიმისა და თოყლის საზრები და სხვა. აგრევე  
აიმართა ღიძიდი, რამდენიმე საენნიანი ბოძი ფლიუვერისთვის. ამ მხა-  
დებამ და აგებამ ღიძიდ სენსაცია გამოიწვია იმ მიყრუბულ კუთხეში.  
მთელი ქალაქი მიღიოდა საყურებლად. სოფლებიდან საგარეო გებოდ  
მიღიოდენ ცხენოსანი ყირგიზები, მთელი სათოვით იდგნენ ღობესთან  
და შესცემოდენ ფლოუერის მოძრაობას. ზაფხულში უსტკამპო-  
ვორსკს მოვიდა საქმეებისათვის გან-გუბერნატორის განკარგულებაში  
მყოფი საგანგებო მინდობილებათა მოხელე, ბრაბის ოფიცერი ვერ-  
ნერი. (ძამა გამოჩენილი საერთო სტატისტიკისის და ცნობილ მწრა-  
ლისა). სხვათა შორის ამას დავალებული ჰქონდა ჩემი სადგურის დათ-  
ვალიერება. ერთი კვირა დაჭყო ჩემს ქალაქში ვერნერმა, ყოველ  
დღე მოდიოდა ჩემთან და იხლო გავიცანი. ის ერთ ცროს თვითონ  
დაისაჯა პოლიტიკურ რწმენისათვის და ეფრობის ჩრდილოეთ რუსე-  
თის ერთ-ერთ გუბერნიაში იყო გაგზავნილი. სხვათა ხორის ქოთ-  
ველებს იცნობდა და ზოგიერთი იავისი მოგონება მათ შესახებ გა-  
შიზიარა.

მოგითხობთ ორივეს, რომელიც დამახსოვრდა. იცნობდა გიორგი ზდანოვის და ძალიან აქებდა: დიდი ნიჭის და რეინის ენერგიის ახალგაზრდა იყოთ. იმის დაპერაზე ვერწერამა ჩემდევგი ამბავი მიამბო: გიორგი დიდ მოხატილეობას იღებდა სამოცდ-ათიან წლების რევოლუციონურ მოძრაობაში. პოლიცია დიდი გულ მოდგინ გიორგის „რეინის“ (ზდანოვის რევოლუციონური ფსევდონიმი), ბო-

ლოს დაიკირეს ერთი ჩევოლუციონერი, რომელზედაც ეჭვი შეიტანეს, ზღანოვიჩი არის. მაგრამ ის გარემოება აფიქტურდათ უანდარმებს, რომ დაპერილი სრულიად ბრუნველი იყო და არა ქრისტიანი. გიორგის ციხეში სალებავი წამალი აღარ ჰქონდა, თმამ თანდათან ბუნებრივი ფერი მიიღო. ერთხელ კამერაში შემოვიდა უანდარმის ოფიცერი და მიესალმა: გაუმარჯვოს ბატონ „რიეგისაონ“. გიორგი იძულებული გახდა გინაობა გამოემულავნებინაო.

გათდა ვითონა გამოყენდა ულავკებისა. როცა რუს-ოსმალთა ომი დაიწყო, ვერნერი გადასახლებული ყოფილა და სამხედრო მინისტრისათვის უთხოვნია: მომქმედ ჯარში გამაგზავნეთო. სამხედრო მინისტრი დასთანხმებია და ვერნერი კავკასიის სამხედრო ველზე გაუგზავნია ყარსის რაონში.

— იქ ჩამოიცხენ, განაგრძნო ვერინერმა, ქართველ თავად ჯანდივი-  
რის პოლუში. საოცარი იყო ამ ჯანდივერის გულადობა, სიმამაცე-  
ბევრჯერ საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში მინახავს და ერთხე-  
ლაც არ დაუკარგავს სულის სიმშვიდე: დინჯად, აუქტარებლად იქცეო-  
ნდა, თითქო თავის კაბინეთში ზისო. ეს რაღაც სხვანაირი მამაცო-  
ბა იყო, აღმოსავლურ ფატალიზმის შედეგი უნდა იყოს ასეთი მა-  
ბაცობა. ერთხელ მთის ძირში ვიდევით. მთის გადაღმა ოსმალთა  
ძალიერი პანკი იყო. ჯანდივერმა გამოიწვია მსურველები მტრის გა-  
ნაკის დასაზერავად; მაგრამ იმათი ცნობებით არ დავმაყოფილდა,  
შეჯდა ცხენზე და ორიოდ ყაზახის თანხლებით პირდაპირ მთის  
აღმართს შეუდგა. მთის წვერს რომ მიუახლოვდა, ყაზახები დასტო-  
ვა და მარტო ავიდა. ოსმალებმა დაინახეს და საშინელი სროლა ას-  
ტებეს. ჯანდივერი დამშვიდებით იდგა და დურბინდით ათვალისწინებ-  
და მტრის განაკის. რამდენიმე წუთის შემდეგ აუქტარებლად მობრუნ-  
და და ჩვენსკენ დაეშვა.

და და ჩევსკებ და უცა. მასის კიდევ სასაცილო შემთხვევა: ერთ საღამოს ჩევნი პოლკი, პოზიციის გამოცვლის დროს მოულებნელად შეეხება თავის-ზე ბევრად უფრო დიდრიცხვანს ისმალთა რაზეს. მცირე შებრძო-ლების შემდეგ ჩევნი ჯარი დაიქამდა და უკუგდებულ იქნა. ზოგ ოფიცირების დაბნევისა და სიმხდალის გამო ჩევნი პოლკის უკან-დახევა დიდი არეალის და უწესოებით მოხდა. მეორე დღეს ჯანდიერმა ყველა ოფიცირები დაიბარა და თავის კარავთან დაამწერ-ლივა. ერთხელ აუარა ამ ფრონტს, შემდეგ შუა ილაგას გაჩერდა-და დაიღრიალა „გრცხვენოდესთ, გრცხვენოდესთო“. შემდეგ ენერ-გიულად გადააფურთხა და ხმის ამოულებლივ თავის კარავში შევიდა-ოფიცირობა მეტად გააჯავრა ასეთ ფრონტით გამოთქულმა საყვედურ-მა, მაგრამ ხმის ამოლება ვერ გაბედეს და დაიშალნენ.

1893 წლის გაზაფხულში ბევრ ამხანაგს ვადა გაუთავდა და რუსეთში წავიდა. დავრჩით ოთხი, რომელთაგან ორი კიდევ წავიღოდა შემოდგომაზე. ასე რომ მთელი წელიწადი მარტო ორნი უნდა დაერჩენილიყავით უსტკამპნოვორსკში. ცალკე მოსალოდნელმა მარტოობამ, ცალკე იჩან, რომ მეტად მომბეჭრდა ამ ქალაქში ცხოვრება, მაუიქრებინეს სხვაგან საძმე გადასვლა; ამ ხანაში წარმუდენებრივ მწყუროდა სამშობლოში დაბრუნება. ვინც იძულებით არ მოჰქმორებია საშშობლის, იმან არ იცის, რა არის ეს ფიქრი სამშობლოზე, ეს მწარე სევდა. ქართულად ვინმესთან დალაპარაკება იმ დროს ჩემთვის საოცნებო რამ იყო. ქართულ წიგნებსა და „ივერიას“, რომელიც მომდიოდა მაშინ, ისეთის გულმოდგინებით და სიყვარულით ვკითხულობდი, როგორც არასდროს მქონია წინად; გაზეთში განცხადებასაც კი არ ვტოვებდი წაუკითხავად.

ერთხელ შემთხვევით გავიგე, რომ უსტკამპნოვორსკის ცენტრალურ საკატორლო ციხეში ორი ქართველი ტუსალი ყოფილა. წავიყანებ ნაცნობი ყაზახის ოფიცერი და მივედი კატორლის უფროსთან. ბევრი ვეხვეწე მოეცა ჩემთვის ნება იმათი ნახვისა, მაგრამ არაფერი გამოვიდა:

— რომ გამიგონ პილიტიკური გადმოსახლებული ციხეში შევუშვი, სამსახურიდან გამაგდებენო.

მეორედ ერთმა ამხანაგმა შემოიჩინა ჩემთან და მითხრა: დღეს დილით ქალაქში ერთი ახალი პირი გაჩნდა, ჩერქესებისა გამოწყობილი და ნაბადი ხურავს, თქვენი „ზემლიაი“ უნდა იყოსო; მაშინვე გავეჯანე იმის საძებნად. მივედი; გავეცანი; აღმოჩნდა სამსახურისაგან გადამდგარი თერგის ოლქის ყაზახი ოფიცერი. ასეთ სანტიმენტალურ გუნდებაზედაც კი მომიყვანა მაშინდელმა გადასახლებამ. ბოლოს განვიზრახე მეხუთე წელიწადი სხვაგან გამეტარებინა და გავგზავნე შინ. საქმეთა სამინისტროში თხოვნა აქმოლინსკის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკში გადაყვანის შესახებ. პასუხი მხოლოდ შემოდგომაზე მომიერდა; ნება მომცეს და მიუხედავად იმისა, რომ ვადის დასრულებამდე 7—8 თვე მაკლდა, მაინც გარჩიე წაცლა. გადავეცი სამეტერეოლოგიო სადგური ერთ ადგილობრივ მცხოვრებს და ჩრდილოეთისაკენ გავშეი; პეტროპავლოვსკში პილიტიკური სამი-ოთხი დამხვდა. ახალ ალაგს და ახალ ამხანაგებში ცოტა არ იყოს გავროთე და 3 თვემ შეუმჩნევლოდ გაირბინა. ბოლოს დადგა სანატრელი, საოცნებო დღე 1894 წლის 14 ივნისი. სწორედ იმავ დღეს გამოვეთხოვე პეტროპავლოვსკს და მომავლის იმედებით საგეს სამშობლოში გამოვმგზავრე.

## XIV

ტფილისში ჩამოხვდა და დაბინავება.—ხანმოკლე „სა-  
ხელმწიფო“ სამსახური.—პირველი ვიზიტი ილია ჭავჭა-  
ვაძეხთან და „ივერიის“ რედაქციაში მუშაობის დაწყება.

ილისის პირველ რიცხვებში ჩამოვედი ტფილის და გადავ-  
წყვიტე ექ დარჩენა საცხოვრებლად, რადგან ჩემი უკუველი განზრა-  
ხვა იყო ქართულ პრესაში მიმელო მოაწილეობა. იმთავითვე ამ გან-  
ზრისებას სისრულეში მოყვანა ვერ გავძიდე: მინდოდა ჯერ ქართველ  
საზოგადოებას, მწერლებს და მაღაწებებს გავცნობოდი, მინდოდა  
ადგილობრივი ცხოვრება, ჩვენი ჟამთა სიავე, ჩვენი საზოგადოებ-  
რივი ინტერესები და საქმეები უკეთ გამეცნო. მინდოდა აგრეთვე წ.  
კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის შემჩრობით შემეცსო ის საკმაოდ  
დიდი ნაკლი, რომელსაც ვკრძნობდი ქართულ ისტორიისა და  
ლიტერატურის ცოდნაში ამიტომ დავაპირე რაიმე ადგილის მოძებნა,  
რომელიც არ დამიშლიდა არც მეცადინობას, არც შემდეგში მწერ-  
ლობაში მინაწილეობის მიღებას და თან საჭირო სალსარს მომცემდა  
ცხოვრებისათვის, მით უფრო, რომ უკვე ოჯახის პატრონი ვყიყავი.

ადგილი მალე მოვძებნე რკინის გზის სიმართვეელოს სამეცნ-  
ნეო განყოფილებაში. ჩემი სამსახური ლანგრძლივი არ ყოფილა.  
დუბჭირმა ძალამ, რომელმაც ჯერ უნივერსიტეტს დამაშორე და  
მერე ცხრა მთას იქით გადამისროლა, კიდევ ჩამკრა წიხლი (ვაი,  
რომ ახლაც არა უკანასკნელად). ერთ დილას შე დამიბარა თვით  
რკინის გზის უფროსმა (ოუ არა ვუდები პუშჩინიკოვმა). ჩემს გან-  
ყოფილებაში ყველას გაუკვირდა, რადგან მართლა გაუვებარე იყო,  
რა საქე ჰქენდა შედარებით პატარა მოხელესთან რკინის გზების  
უფროსს. მივედი და მისალებ ოთახში კოტე მესხი დამხვდა, რომელ-  
მაც აგრეთვე რკინის გზის სამსართველოში, საკომიტეტით განყოფი-  
ლებაში იშოვა ადგილი. როცა გავიგე, ისიც დაბარებულია, გულმა  
მიგრძნო, რომ აქ რაღაც „პოლიტიკური მიზეზი“ უნდა იყოს მეო-  
ქი. პატარა ხნის შემდეგ უფროსმა მიგვიწვია თავის ქაბინეთში და  
კონფიდენციალურად გამოვიცხადა: პეტერბურგიდან გზათა სამი-  
ნისტროს განკარგულება მივიღეთ, რომ თქვენ გამორიცხულნი ხართ  
სამსახურიდანა. რატომ, რა დავაშავეთ? შევეკითხეთ ჩვენ, მაგრამ  
უფროსმა გვითხრა, არაფერი ვიციო და გადაკვრით გაგაზვებინა,  
რომ აქ რკინის გზა არაფერ შუაშია: სხვა უწყების საქმე იქნებაო...

ცხადი იყო, რომ ეს უწყება გვისწორდებოდა, მაგრამ გასინჯით, დააფარეთ იმ გაბოროტებულ „უწყების“ სიმკაცრე, რომელსაც არ ეყო არც უნივერსიტეტიდან ჩვენი გაძიფება, არც ციხეში დიდი ხნით დამწულდევა, არც ციმბირში ცუთი წლით გადაკარგვა და ეს წიხლიც კიდევ მოგვაყოლა. ისეთ დამარცხების შემდევ მე თავი დავანებე ახალ ცდას სამსახურის ძებნისათვის და საბოლოოდ გადაწყვიტე „სამწერლო ასპარეზისათვის“ მიმემართნა იმ ვადამდე, რომელიც წინად დავიდე.

ნიკო ნიკოლაძის ოჯახში გაცნობილი მყავდა დავით გურამიშვილი და იმასა გთხოვთ ილია ჭავჭავაძესთან წავლევანე. 1895 წლის იანვრის შუა რიცხვებში, კვირა დღეს წავედით ილიასთან, რომელიც მაშინ იდგა თავის დიდ სახლში, ივანელის ქუჩის ბოლოს; იქვე იყო „ივერიის“ რედაქტორი, სადაც ვაპირებდი მუშაობის დაწყებას. გულის ფანცქალით მივსდევდი კიბეზე დავით გურამიშვილს. ფიქრი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ პირისპირ უნდა მენახა ის, ვისაც ცხოვრების რიცრაუზე შორიდან თაყვანს ვსცემდი, მახარებდა და მაღლელვებდა საშინალი მაღამ სიუვარი მოვითხრობს თავის მემუარებში, როგორის გრძნობით მივიდა ფერნეიში ვოლტერის სანახავად. „წმ. ტერეზას ლეთისმშობლისადმი გიუჟრს ალფროთოვანებას გადააჭარბა ჩემმა გრძნობამ და ალელვებამ, როცა დიდებულ ვოლტერის კაბინეტში შევედიო“. გიუჟრ ალფროთოვანების რა მოგახსენოთ, აქამდე არ მიესულვარ, და ვერც მოვიდოდი, რადგან ილიას, როგორც პუბლიცისტს, მაშინაც კრიტიკულად ვუცემოდი, მაგრამ დიდად ალელვებული რომ ვიყავი, ეს ცხადია.

პატარა ოთახში, რომელშიაც ჩენები შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დაგინახე: წიგნები შეკაფზე, წიგნები დიდ თაროზე, დიდი მაგიდა, წიგნებით დატვირთული. ილია ხალათში, გამოწყობილი, მაგიდას უჯდა და რაღაცას სწერდა. წამოდგა და მეტაც სიმპატიურის ღიმილით მოვევსალმა. დ. ა. გურამიშვილმა წარმადგინა, გადასცა ჩემი განზრახვა და თხოვნა... ილიამ რაღაცები მითხრა, მაგრამ მე იმდენად დავიბენი, რომ არაფერი მესმოდა და გაჩუმებული ვიჯექი. პატარა ხნის შემდევ ილია მომიბრუნდა და მითხრა:

— ვიცი თქვენი თავგადასავალი და ახლანდელი განზრახვაც: გუშინ უკვე გადმომცა დათიკომ (დავით გურამიშვილს გულისხმობდა, მაგრამ წარმოდგენილი გაქვთ რა ეკლის გზაზე დგებით, ქართული მწერლობა ვერაფერს მოვიტანთ, ტანჯვის მეტს.

მე ვუპისუხე, რომ აქამდე თუ სხვისთვის. ვიტანჯებოდი, ამიერიდან უფრო დიდი საქმის გამო მაინც შემხვდება ტანჯვა, რაც სრულებით არ მაშინებს-მეთქი.

— კარგი, განაგრძო ილიაშ, დაიწყეთ მუშაობა ჩედაქციაში. სასყიდელს ამთავითვე დიდს ვერ მოვცემთ. მერე ვნახოთ! ამ დროს კაბინეთში სხვები შემოვიდენ და ამით გათავდა ჩემი პირველი, იმხანად მოკლე აუდიენცია ილიასთან. მეორე დღეს მე უკვე „ივერიის“ რედაქციაში ვიყავი და მუშაობას შევუდექი.



90 იანი წლების ჩაქცია.—Бессмысленныи мечта-  
 НИЯ.—ორი ბანაკი: „კვალი“ და დახელები, „ივერია“  
 და ძევლი თაობა.—უპარტიო დემოკრატები ამ ბანაკებს  
 გაჩერებენ.—ჩემი პოზიცია.—პოზიციის გაურკვევლობის  
 მიზეზები: ხაცენზურო პირობები და სხვა.—რაჭიელ  
 ერისთავი, ეროვნული და ავრარული პრობლემები.—  
 ურთიერთობა დახელებოთნ.—კ. ჩეიძე, ფ. შახარაძე,  
 მიხა ჩიდრიშვილი და სხვები.

ამგვარად, ჩემი გამოსვლა ქართულ სალიტერატურო და სა-  
 ზოგადოებრივ ასპარეზზე მოხდა ოთხმოცდათიან წლებში.

შეაბნელი დრო იყო ის დრო რუსეთში და, მაშასადამე, ჩვენ-  
 შიაც, ის იყო რუსეთის ტახტზე ავიდა ახალი თვითმშეყრობელი ნი-  
 კოლონი მეორე. როცა ეს უკანასკნელი წარმომადგენელი რომანო-  
 ვების სამეფო გვარისა მემკვიდრედ იყო, რუსთა ლიბერალურ საზო-  
 გადოებაში დაუინებით იმეორებდენ, არაენ იცის რაზე დამყარებულ  
 ლეგენდას, „ცესარევიჩი ნიკოლოზი“ ლიბერალი არისო და პაპისის ი-  
 ალექსანდრე მეორის ლიბერალურ რეკორდების განგრძობის მომ-  
 ხრეა.

ტახტზე ასვლისთანავე ახალმა თვითმშეყრობელმა უშოშყალოდ  
 დაამსხრია ეს ლეგენდა. 1895 წელს მას წარუდგნენ ერობისა და  
 ქალაქების წარმომადგენლები. ცნობილ მოღვაწის ს. ტრუბეცკიის  
 მეთაურობით, შიულოცეს ტახტზე ასვლა და გადაკვრით მოახსენეს  
 ის იმედი, რომელიც ლიბერალურ საზოგადოებაში ლეიონდა.  
 ნიკოლოზმა ამის საპასუხოდ წაიკითხა წინადვე დამზადებული მოკ-  
 ლე სიტყვა, რომელშიაც გარკვევით იყო იღნიშნული, რომ ის განა-  
 გრძობს მამის, ალექსანდრე მესამის პალიტიკას და „ყოველ-  
 გვარი უაზრო ოცნება“ უკუგდებულ უნდა იქნასო. მაშინ დაუინე-  
 ბით ამბობდენ: პობედონოსცევის მიერ შედგენილ სიტყვაში ეწერა  
 „безпочвенные мечтания“ (უნიადაგო ოცნება), ნიკოლოზმა-კი  
 პობედონოსცევის ჩაქციონერობასაც გადაქარბა და ერის წარმო-  
 მადგენლებს „бессмысленныи мечтания“ (უაზრო ოცნება) მია-  
 ხალაო.

მართლაც ახალი მეფობა გამოდგა უფრო დაბალი ხარისხისა  
 და დამახიჯებული კოპიო ძველის ჩაქციონური პოლიტიკისა. ნი-  
 კოლონი მეორე ისე, როგორც მაშამისი, ცდილობდა ფეოდალურ

პოლიტიკურ რეჟიმის გამავრებას, სასტიკად სდენიდა და ანადგურებდა ლიბერალიზმის ყოველგვარ ნასახს. რუსეთის ლიბერალური საზოგადოება სასოწარკვეთილებას მიეკადა და გაჩუმდა. ის ვერ ამჩნევდა, ვერ ხედავდა, რომ ყოველივე ეს ზედაპირი იყო მხრულ და რომ იქ, ცხოვრების სიღრმეში, შეუმჩნევლად და მედგრად ვითარდებოდა ახალი ხანა, ცხოვრბის ახალი საფუძვლები; ვერ ხედავდა ნათლად, რომ ბატონების გადავარდნის შემდეგ რუსეთი გაეკრიბიერდების გზას დაადგა, რომ ფეოდალურ-პოლიტიკური წესწყობილება თანათან ირლევა და მის ნაცილად ფეხს იკიდებს კაბიტალისტური წყობილება და ბურჟუაზიული ხანა. ამ ახალი ვითარების შეჩერება და ისტორიის ბორბლების უკულმა დატრიალება არ შეეძლო არც ალექსანდრე მესამის და არც ნიკოლოზ მეორის ცდასა, რეპრესიებსა და ჯალათობას. თუ ამას ვერ ხედავდა რუსთა ლიბერალური საზოგადოება და სასოწარკვეთილი გაჩუმდა. სამაგიეროდ ამას კარგად ხედავდენ რუსეთის რევოლუციონური ძალები და ამათ გააცხოველს თავისი მუშაობა. მათთვის ცხადი იყო, რომ ძველი რეჟიმის აღსასრული მოახლოვებულია და იმ დღიდან ნიკოლოზ მეორე სარევოლუციო პრესაში მონათლულია „ნიკოლოზ მეორედ და უკანასკნელად“. ამის მთვარი თავდები ის იყო, რომ ინტელიგენციის ნაკვლად პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე იმ ხანებში თვით ხალხმა დაიწყო გამოსვლა.

რა თქმა უნდა, როცა რუსეთში გაძლიერდა რეაქცია, ჩვენს ქვეყანას უარესი დღე დაადგა. მართლაც დაახლოებით იმ დროიდან დაიწყო საერთოდ განაპირა ქვეყნებში და ქრისტიანობის მიშანები ინტელიგენცია და შშრომელი ხალხი ამოილო, ჩვენში დევნა და განადგურება მოელს ერს არგუნეს, მეფის მოადგილეების—დონდუკოვ-კორსაკოვის, შერემეტიევის, გოლიცინს და სხვათა მიზანი გახდა ძირიან-ფესტივანად აღმოეფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერდინათ გამარტივებელი პოლატიკა. სწორედ ამ ხანას ეკუთხნის შიდა-რუსეთიდან ჩვენში გადმოსახლების პოლიტიკის გაძლიერება, ტირიიფონის ველისა და მის გარშემო სოფლების გაუქმებისა და იქ სამხედრო პლაცდარმის გაშენების პროექტი, ჩვენი ჯარისკაცების გადაყენა ჩრდილოეთში, ჩვენი ახალგაზრდობისათვის სახელმწიფო სამსახურის კარების დაკეტვა საქართველოში, ქართული პირველ-დაწყებითი სკოლის გაუქმებაც-კი, ყველა იმ რეფორმების გადადება შორი დროისთვის, რომელიც დღის წესრიგში მაინც იყო წინად

(ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უმაღლესი სახალის დარსება) და სხვა.

ამ შავენელ დროში მოხდა ჩემი გამოსვლა ქართულ სალი-ტერატური და საზოგადოებრივ სარბიელზე. სალიტერატურო ასპარეზზე ჩემ თვალწინ იდგა ორი ბანაკი. ერთის მხრით ძელი, ეროვნული, უმთავრესად თავად-აზნაურული ინტელიგენცია, მეორის მხრით, ახალი დემოკრატიული ნაკადული—ეგრეთწოდებული „მესამე დასი“. პირველი ბანკის ორგანო იყო ილია ჭავჭავაძის „კვალი“. ამ ორ ბანაკს შუა იდგა განცალკეუბული პატარა ჯგუფი ქართველ ინტელიგენციისა, რომელიც სავსებით ვერ მიეჩხერებოდა ვერც პირველს და ვერც ჰეორე ბანაკს. იქ იყვნენ: გიორგი ზდანოვი ხი (მაია-შვილი), ალექსანდრე ნანეიშვილი (ა. ნ-ლი, ნალი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), იაკობ ფანცხავა (ფხა), დიმ. მაჩხანელი და სხვანი; შემდეგ ბანკ ჯგუფს მიემატენენ ვასილ ჭერეთელი, (კ. ჭ.), კიტა აბაშიძე, ილია ნაკაშიძე და სხვანი. ამ ჯგუფიდან ზოგი შეეხისნა „ევერია-მოამბეს“ (ზიაშვილი, ნანეიშვილი, ვასილ ჭერეთელი, კიტა აბაშიძე), ზოგი „კვალი“ (რომანოზ და იაკობ ფანცხავები). როგორც ზემოთ აღნიშნუ, მე „იუერია“ ავირჩიე და დროებით იქ შევაფარე თავი.

როგორც ზემოთა ვთქვი, მე სტუდენტობის დროს „ნაროდოვოლეცი“ გრადა. ჩემი მსოფლმხედველობის საფუძველმდებელნი იყვნენ ლავროვი, ტეატროვ-რიხოს ბორის ოვრაძე და მიხაილოვსკი. შემდეგში, განსაკუთრებით ციმბირში ყოფნის დროს, ეს მსოფლმხედველობა, ჩემი სოციალისტური აზროვნება შეარყია იმ დავამ, რომელიც ატყდა რუსეთში ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის. ერთის მხრით მარქსის შესწევლამ და მეორე მხრით სტრუვეს და განსაკუთრებით პლეხანოვის ნაწერებმა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და მომაშორეს ის წმინდა წყლის რუსული უტობია, ვითომ თემი და არტელი იხსნიან რუსეთს კაპიტალიზმისგან და შესაძლებლად გახდიან მისთვის პირდაპირ სოციალიზმის დამყარებას. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ რუსეთი სრულ გაეკროპიერების გზაზე, რომ მან აუცილებლად უნდა განვლოს კაპიტალისტური ხანა. რა თქმა უნდა, რუსეთის ერთად საქართველოც ამ ევოლუციის კანონებს უნდა დამორჩილებოდა, მით უმეტეს, რომ ჩევემა სათემო მიწამთმფლობელობის სხერგაც არ იყო იმ ხანად.

ამის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ჩემი სიმპატიები უფრო „კვალისკენ“ უნდა ყოფილიყო მიმართული, ვიდრე „იუერიისკენ“.

ნაგრამ იყო ერთი გარემობა, რომელმაც სამუდამოდ დამაშორა ქართველ მარქსისტებს და, ბოლოს, საკუთარ ნაეთსაყუდელში მიმიკანა, სოციალიზმ-ფედერალიზმის ნაეთსაყუდელში. ეს იყო ეროვნული საკითხი. ჩემთვის ეს საკითხი ყოველთვის იყო განსაკუთრებულის ლირებულებისა, ამავე დროა საკუთარი თვითმმარი ლირსებულებისა, რომელსაც ვერ დაფარავდა და ვერც დაჩრდილავთა ვერც ერთი სოციალისტური მსოფლებელობა. ჩემი ღრმა რწმენა იყო, რომ თანამედროვე სოციალურ წესტყობილებაშივე უნდა მოხდეს და შეიძლება მოხდეს დამონავებული ერთს განთავისუფლება, ამა თუ იმ სახით. ეროვნულ პრობლემას, ამგვარად, უპირველეს მნიშვნელობას ვაძლევლი და ამიტომ პოლიტიკურ ბრძოლას პირველ ადგილს ვაკუთვნებდი.

პირველ ჩემ წერილებში, განსაკუთრებით ხაზს ვუსვანდი, პოლიტიკურ ბრძოლას და თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად, ვიზუალისმობდი ეროვნულ საკითხის რეალურად დაყრებას.

ამიტომ ადვილად შეარმოსადგენა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდ აჩემხე ის პოზიცია, რომელზედაც იდგა ამ საკითხში მესამე დასი. მათვის ეროვნული საკითხი სრულებით არ არსებობდა, მუშას სამშობლო არ აქვსო, ერთ განთავისუფლდება, როცა სოციალიზმი, განხორციელდება, მანამდის კი ყოველი ამგვარი ცდა მესამე დასელებმა მონათლეს ფეოდალურ, ან წერილ-ბურჟუაზიულ მისწრაფებად, თავის კლასიურ ან წოდებრივ ბატონობის გამავრებისათვის...

რა თქმა უხდა, მე ვერას გზით ვერ შევურიგდებოდი ასეთ თვალსაზრისს.

ახლა რომ გადავათვალიერე ჩემი იმ დროის ნაწერები ამ საგანზე, მესამე დასელების პოლემიკა, გამავვირვა ამ პოლემიკის და წერილების სიმკრთალემ. კარგად მახსოვს, როგორ ვიყავი გატაცებული ეროვნულის იდეით ერთის მხრით და სოციალისტურის მისწრაფებით მეორე მხრით. მაგრამ ჩემს წერილებს არაფერი აცხია ამ გატაცების, კიდევ მეტი—საკითხები არცი არის საცმაოდ გაშუქებული. ეს გარეშემატება ერთის მხრით, რასაკირველია, აიხსნება ჩემი სამწერლო ნიჭისა და ტალანტის სისუსტით, მეორე მხრით, რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩენი საზოგადოებრივობის ისტორიისათვის, იმ პირობებით, რომელშიაც მომიხდა მუშაობა. ვგულისხმობ მაშინდელ საცენტურო პირობებს. მაშინ შეუძლებელი იყო ეროვნული საკითხის დაყრება, მისი რეალურ შინაარსის გარკვევა. ვერ იქნა და ვერ მოვახერხებთველი წლის განმავლობაში, სიტუა „ადგილობრივი ეროვნული თვითმართველობა“ ვერსად გავაპარე. 1895 წელს გარდაიცვალა

ციმბირის ცნობილი პატრიოტი იადრინ ცევი. განვიზრახე ამ გარე-  
მოებით შესარგებლა და, რადგან იადრინცევი გადამეტებული ავტო-  
ნომისტი, თითქმის სეპარატისტი იყო, აღმეძრა საკითხი დეცენტრა-  
ლიზაციის, ფართო ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ. დავ-  
წერე ვეებერთელა წერილი, სამი ფელეტონი გამოვიდა. მაგრამ, ცენ-  
ზორი მიმიხვდა ეშმაკობას, შემიმოკლა და შემიტრუსა წერილი იმნაი-  
რად, რომ ძლივს ერთი შერთალი ფელეტონი დაიბეჭდა („ივერია“  
1895). იმ დროში „მესამე დასელებს“ უფრო-თავისუფლად შეეძლოთ  
წერა, ვიდრე ჩვენ. რუსეთში, რუსულ პრესში იმხანად უკვი დამკვი-  
დრდა ლეგალური მარქსიზმი, რომელიც ცოტად თუ ბევრად თავი-  
სუფლად მსჯელობდა ბევრ საჭირობოროტი და სახიფათო პოლიტი-  
კურ და კუონიმიურ საკითხები. მარქსისტების მიერ რუსულ ლიტე-  
რატურაში დაპყრობილ პოზიციებზე ჩვენს მესამე დასელებსაც გაუა-  
დვილდათ დაყრდნობა. ჩვენც მათის წყალობით ვსწერდით კაპიტა-  
ლიზმზე, კოლექტივიზმზე, „ზედნაშენის“ მოსპობაზე. მაგრამ ეროვ-  
ნულ საკითხები, ცოტა თუ ბევრად ფართოდ და რეალურად ლაპარაკი  
შეუძლებელი იყო.

ჩვენს ცენზორად იმხანად იყო ქართველთა საყვარელი მგონა-  
ნი რაფიელ ერისთავი. რასაკვირველია ის ჯალათი არ  
იყო ჩვენი ლიტერატურისა, პირიქით ჩვენზე უფრო პატრიოტი და  
მოსურნე ქართულ ლიტერატურის განვითარებისა. მაგრამ, საერთო  
პირობები და სისტემა ისეთი იყო, რომ რაფიელი ყოველ მხრით  
შეზღუდული იყო.

საცენზურო საქმეებს ასრულებდა კომიტეტი, რომლის თავმჯდო-  
მარედ იყო გაკველი, მის უფროს თანაშემწედ ქიშმიშევი, რუსულ-  
ენის ცენზორადნოფალი, სომხურისა, თუ არა ვცდები, კარახანვი-  
ნოვი. ქართველ სომხე და რუს ცენზორებს ყოველივე პრინციპიალუ-  
რი და მნიშვნელოვან წერილი უნდა მოეხსენებიათ კომიტეტისათვის,  
რომელიც ამგვარად ასრულებდა მთავარ ზედამხედველოსა და ჯალათის  
როლს. ქართველ ცენზორებად შემდეგშიაც იყვნენ ჩვენი ლიტერატუ-  
რისათვის ბევრად თუ ცოტად თავგამოდებულნი და კეთილის მსურ-  
ველი ადამიანები: ცნობილი სასოგადო მოლგაწე გიორგი უშარუ-  
ლი, ცნობილი უშრინალისტი და მოლვაწე პართენ გოთუა და ბოლოს  
აგრეთვე ცნობილი მთარგმნელი ივ. პოლუმორდვინოვი. ყველას  
ამათ იმ ხანებში ჩვენ ვერიდებოდით და ვლანძლავდით, მაგრამ სიმა-  
რთლისათვის უნდა ითვეს, რომ არც ერთი მათგანი ჯალათი არ  
ყოფილა. მხოლოდ იმგვარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული, რომ ან  
უნდა წასულიყვნენ სამსახურიდან, ან უნდა დამორჩილებოდენ სას-

ტრი წესდებას. კიდევაც იმიტომ იყო, რომ დიდხანს არც ერთს არ შერჩი ეს უსიამოვნო თანამდებობა.

შე პირადად ბევრჯერ მქონია უსიამოვნო ჰეტაკება ცენტო-რებთან, მაგრამ ბოლოს დაწყინარდი და დავემორჩილე სასტრი რე-უიმს იმდენად, რომ თვით შევიქენი ჩემთვის და სხვა თანამშრო-ლე-ბისათვის „მრისხანე“ ცენტორი. სხვადასხვა პრინციპიალირ წერილე-ბის გამო შეტაკებაზე აღარაფერს ვიტყვი, ალენიშნავ მხოლოდ რამ-დენსამე დამახსიათებელ წვირლმან კურიოზებს.

ერთხელ ერთ წერილში მქონდა სახარებიდან ბოლებული ცი-ტატა იმის შესახებ, რომ ხშირად ადამიანი სხვის თვ-ლში ხდედავს ბეწვს, მაშინ როდესაც თავის თვალში დეირეს ვერ ამჩნევს. ეს იდ-გილი რაფილმა სრულიად იმოიღო. ამ გარემოებამ იმდნად გამა-კუირვა, რომ არ დავიზარე და გავწიე მგოსანთან სალაპარაკოდ. რაფიელმა ჩვეულებრივის თავაზიანობით მიმიღო და ღიმილით მი-თხრა:

— კაცო, დაანებე თავი სახარებას, მღვდლებს, ჩვენს სასული-ერო წოდებას. სახიფათო ხალხია. ვინ იცის, რა შარი მოგდო. მაშინ ამგვარმა ახირებულმა განარტებამ არ დამაკაყოფილა, მაგ-რამ ზემდეგზე, როცა „ივერია“ დახურა მთავრობამ, დავაფასე რა-ფიელის სიტყვა და გაფრთხილება.

მეორე ცენტორს სახელდობრ ნოვალს — ძალიან არ უყვარდა სიტყვა „რესპუბლიკა“. საფრანგეთის რესპუბლიკას“ აუცილებლად გადაკეთებდა საფრანგეთას, მესამე რესპუბლიკის მთავრობას, საფრანგეთის მთავრობად. როცა შევიციხე ასეთი უცნაურ საქ-ციელზე და მივუთითე, რომ სიტყვა რესპუბლიკა ოფიციალურად იხ-მარება რუსეთში. დალრეჭით მიპ. სუხა:

— А знаете, лучше избегать таких опасных слов. Я вас прошу.

ყველაზე უდიდესი კურიოზი და ოანაც სავალალო კურიოზი ის იყო, რომ ჩვენ ცენტორებს იმ ხანებში მეტად ეშინოდათ სიტყვა „საქართველოსა“. იშვიათად თუ გაუშვებდენ ამ სიტყვას, თორებ უშერეს შემთხვევაში წარლიდენ და ხედ წააწერდენ „ჩვენი ქვიყანა“.

აი ამ პირობებს ჩვენი მაშინდელი უურნალისტებისას ხშირად ივეწყებენ ჩვენი წარსულის მელევარნი. ჩემს წინ დავს სიმონ ხუნდაძის ხელად გამოსული წიგნი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტომი II. სხვათა შორის მელევარი საქრს:... პო-ლიტიკურ პროგრამასთან მციდოროდ არის შეწონილი წვირილბურუუ-ზოული ინტელიგენციის ეროვნული პროგრამაც. რა მოგვცა ამ მხრივ

ახალი 90-ანი წლების ინტელიგენციაში თათქმის არაფერო. ისინი მტკიცედ იდგენ სამოციანი ულაბის მოღვაწეთა ეროვნულ პროგრამის 6 აღმაზე: ქართული ენის დაცვა.. და სხვ. (გვ. 189).

ეს ორის ისტორიულ აერსპექტივის სრული მივიწყება. როვორ  
შეიძლებოდა ახალ პოლიტიკურ ეროვნულ პარადემების წამოყენება  
იქ, სადაც სიტყვა საქართველოც-კი აკრძალული იყო. თითქმის ორი  
წელიშადი „ივერიაში“ და საბო წელიწადიც „ცენტის ფურცელში“  
მე და ჩემი უახლოესი მაშინდელი თანამშრომლები უნაყოფოა ვკლი-  
ლობდათ ეროვნულ საკითხის გარემობის და გარემობის გადატანა საზღვარგარეთ, მაგრამ ამაზე  
შეძლებ.

მეორე გარემოება, რომელთაც დავაშორა მესამე დასელიძეს, იყო  
საკითხი გლეხის, სოფლის შესახებ. მესამე დასელიძეს რწმენათ ჩვენ-  
ში იმ დროს ტრაფად იხრდებოდა კაპიტალიზმი, რომელიც მაღა-  
გაპროლეტარებდა სოფელს და გამხარ შევდა გლეხს ფაბრიკის  
ქვეაში.

გლეხი წერილ ბურუუად ჰყავდათ ოლიარებული და სათვალავში  
არ აგდებდენ ხას. როგორც ელემენტს ახალ ცხოვრების აშენებისა-  
თვის. ძე ასეთ თვალსაზრისს ვერ ვიზიარებდი. მე არ მწამდა კაპი-  
ტალიზმის სწრაფი განკითარების ბესაძლებლობა თანამედროვე პი-  
რობებში და აღიტოდ ვვიტრობდი, რომ საჭიროა გლეხთა ცხოვრების  
გაუმჯობესება ხსეა და სხვა რეფორმებით: ბისი მიწათმეტელ უძლობის  
გაფართოება, დახმარება იაფ-ფასიან წვრილის კრეზიტით, კომპერა-  
ტივების მოწყობა და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ და შემდეგი დროის  
ტექნიკურ იგია ვიხმაროთ, მე საჭიროდ ნიმისადა აგრძობული პრო-  
გრამა, მესამე დასელებშია კი იმ პროგრამაზე ძალიან დაგვიანებით  
დაწყებს ლაპარაკი.

ჩემმა პირკულმა წერილებმა ამ საგნის შესახებ „ივერიაში“ ცოტა გაუგებრობა გამოიწვია. ოოგორც ახლა ვხედავ, ამ გაუგებრობის მიზენი უმათავსესად მე თვითონ ვიყავი. საქმე სს არის, ოთვ პოლე-მიკებ გამიტაცა და აქა — იქ უკიდუოვნობაში გადამარცო, წინააღმდეგ ჩემი მაშინდელი რწევნისა. მე სრულიადაკ არ უარყოფდი კაპიტალიზ-მის ხანის დაწყებასა და საჭიროებას. ამ მხრით მე არ ვთანახმებოდი არც ნალს (ი. ნანე იშვილს), არც ვ. წ. (ვ. წერეთელს), რომელნიც თითქმის უძედუებად სთვლილენ ჩემის ქ ენისათვის კაპიტალიზს (ვ. წ.), ან უარყოფდენ ამ ხანის დაწყებას საქართველოში (ი. ნალი). მაგრამ მიუხედავად ჩემის რწმენის, ზოგიერთი ადგილი ჩემი ნაწერებიდან, ვიმეორებ, საბუთს ძლიერ მკითხველს ეფიქრო,

თითქო მეც ვიზიარებდე ზემოხსენებულ მწერალთა აზრს. მაგალითი-სათვის დავასახელებ „კვალის“ მაშინდელს მთავარ თანამშრომელს სილ. ჯიბლაძეს, რომელიც სწერდა: „ლალის წერილებმა ბურუსში გამახვია: ვერ გაგვიგია, უარყოფს თუ არა იგი ნაროღნიკობასა“. შემდეგ მიხ. საღარაძე თავის წიგნში „ახალი თაობა“ პირდაპირ მიკიუინებს წინააღმდეგობაში ჩავარდნას. ჩემ მიერ უკვე დასახელებულ სიმონ ხუნ და ადის ახლად გამოსულ წიგნში ავტორი მახვევს თავს ვ. წ.-ის აზრს კაპიტალიზმის მავნებლობის შესახებ.

საგაზეთო პოლემიკის გარდა, მესამე დასელებთან ჩემმა მაშინ-დელმა პირადმა დამოკიდებულებამ, შეხვედრამ, ურთიერთობამ და-მარწმუნეს, რომ ჩვენს შორის ლრმა უფსკრული იყო გათხრილი.

თითქმის პირველ წერილების დაბეჭდვისთანავე ჩემთან მოვიდენ აწ განსვენებული კარლო ჩერიძე და პეტრე გელეი შვილი. დავიწყეთ საუბარი „მწვავე საკითხებზე“. კარლოსა და პეტრეს უფრო აინტერესებდათ ჩემი აზრი-შეხედულება იმ პოლემიკაზე, რომელიც მაშინ იყო მარქსისტებსა და ნაროღნიკებს შორის: უნდოდათ გამოერკვიათ, საბოლოოდ დავშორდი თუ არა ნაროღნიკებსა და ნაროღოვოლ-ცებს. მე-კი უფრო მაინტერესებდა მათი აზრი ეროვნულ საკითხეს შესახებ, მინდოდა გამომერკვია—მართლა ისეთი ნიპოლისტები არიან ამ საკითხში, როგორც სწერენ, თუ არა. საუბარმა ვერც ერთი მხა-რე ვერ დაგვაკმაყოფილა და ერთმანეთს ცივად დავშორდით. ამის შემდეგ პ. გელეიშვილი და ერთი რუსი მარქსისტი—ლუ ზინი ხშირად დადიოდენ ჩემთან და გვქონდა გაცხარებული დავა კაპიტალიზმზე-ეროვნულ იდეალზე, სოციალიზმზე. ბოლოს, ჩვენი კარგი განწყობი-ლება ურთიერთობა დაირღვა: შოვინისტად -მომნათლეს და დამ-შორდენ.

იმავ ხანგბში გავიცანი „კვალის“ მთავარი თანამშრომელი ახალ-გაზრდა მესამე დასელი ფილიპე მახარაძე. „წერა-კითხევის საზო-გადოების“ სასარგებლოდ გამართულ სეირნობაზე შევხვდით ერთმანეთს-და გაგვაცნეს. არ მახსოვეს—ვინ და რატომ ჩამოაგდო ლაპარაკი შა-მილზე. მაღლ საუბარში ფილიპე ჩაერია და სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა. რის ეროვნული გმირი, რას ლაპარაკობთ: შამილი თავის ბატონობას იცავდათ, ეშინოდა რუსებს არ შეერყიათ მთიელთა პატრიალური ბატონწმური ურთიერთობა. მე ყმაშვილობი-დანვე თაყვანს ვსცემდი შამილს, როგორც გმირს და თავის სამშო-ბლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, ამიტომ ძალიან მეუცხვა-ფილიპე მახარაძის სიტყვები და შევები, კამათმა დამარწმუნა, რომ

ფილიპე ისეთისავე უარყოფით ეკიდება ეროვნულ საკითხს, როგორც მისი თანამკალმენი „ქვალში“.

შედეგ გავიცანი სილ. ჯიბლაძე, უფრო გვიან ნოე უორდანია და მათთან ურთიერთობაში თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენ შორის დიდი უფსკრული იყო: მერომანტიკოსი-იდეალისტი ვიყავო, ისინი შეუძლებელი მატერიალისტები, კლასთა ბრძოლის ოვალსაზრისხე მტკიცედ მდგარნი. მაგრამ მაშინ კიდევ არ ვფიქრობდი, რომ მალე ჩვენს შორის დიდი ხელისართული ბრძოლა გაჩაღდებოდა ეროვნულ საკითხის გარშემო.

ბოლოს უნდა გავიხსენ: ისიც, რომ მესამე დასელთა ბანაკშიაც იყვნენ ისეთები, რომელთაც აგრეთვე აღფრთოვანებდა ეროვნული იდეალი და ჯერ არ შეეტოვათ ნიჭილიშის მორევში ამ საკითხის მხრივ. აღნიშნავ რამოდენიმე მაგალითს. პახსოვს, ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა; დიდი თანაგრძნობა გამომიცხადეს. საუბრის დროს დავრწნუნდი, რომ ისინაც ჩემსავით ფიქრობდენ ეროვნულისა და სოციალიშის იდეალების შეთანხმება-შეკავშირებას. ერთი შათგანი—მიმკაშალი მიაშვილი მალე კიდევ დაუახლოვდა ჩვენ ჯგუფს და გვეხრებოდა, როცა გაზრდის გამოცემი განვიხილახეთ საზღვარგარეთ და როცა შევუდექით სოც.-ფულტალისტთა პარტიის შეწმის საქმეს. შემდეგში, როცა მიწის სოციალიზაცია გადმოვიდეთ სოც.-რევოლუციონერების პროგრამიდან, მიშა კლიმიაშვილმა თავი დაგვიკრა და მოვარდო: ჩვენს გლეხებში მიწის სოციალიზაციას მე ვერ ვიქადაგებო.

მახსოვს აგრეთვე პეტრე სურგულაძე, მარქსისტი იყო, მესამე დასელებთან იყო სულით და გულით, მაგრამ ეროვნულ საკითხში ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ციდხანს კარგ განწყობილებაში იყო ჩვენთან. შემდეგში ის სულ ჩამოშორდა მესამე დასელებს, მაგრამ სამუშაოდ ჩვენთანაც არ მოსულა.

მახსოვს ერთხელ რედაქტირაში, ის იყო ჩვენმა „ცნობის ფურცელ-მა“ იწყო გამოსვლა,—მოვიდა ახალგაზრდა—ალ. ლომთათიძე და იდგილი გვთხოვა. შივილეთ თანამშრომლად და ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა: თარგმნიდა, კორექტურას ასწორებდა და სხვა. მალე გამოიჩევა, რომ ახალგაზრდა სტუდენტი მესამე დასელია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ეროვნულ ნიჭილი მით შეცყრობილი და ბევრ რამეში თანაგვიგრძნობდა.

ციმბირიდან ახალი ჩამოსული ვიყავო, ჩემთან მოვიდა მიხა ჩოდრი იშვილი. ძალიან მესიამოვნა მუშა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლის გაცნობა, დაუახლოვდი და ცოტა ხანს კარგ განწყობილება-

ში ვიყავით. იმ დროს იგი გატაცებული იყო ხელოსანთა არტესტის თუ საზოგადოების დაარსების იდეით. წესდება შევადგინათ და მე წერილებიც მოვათავსე ამ საქმის შესახებ „ივერიაში“. მიხამ მითხრა, მოდი ერთი ილია ჭავჭავაძეს გავაცნოთ წესდება და ეს საქმე. ზაფხულის თვეები იყო და ილია იმჟამდ საგურამოში ცხოვრიბდა. წავედით და იქ ვესტუმრეთ; წავაკია ხეთ ილიას წესდება და გავაკინით მთლია საქე. ილია თანაგრძნობით მიეგება ხელუსანთა საზოგადოების დაარსების იდეას, მიუბრუნდა და უთხრა მიხას:

—მშენიერი აზრია. დროა, კაცო, მიაშოროთ ჩარჩები მოშა-ხელოსანს და მოხმარებელსაც. მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს თქენ წესდებაში: აქ ულ ხელოსანთა უფლებაზეა ლაპარა ი, მოვალეობაზე კი არაფერია. სადაც: უფლება, იქ მოვალეობაც უნდა იყოს. სათანადო შესწორება ქვე შევიტანეთ წესდებაში და, რამდენიმე საათის შემდეგ, ნასიამოვ ერთ ილიას კარგი მიღებითა და საინტრესო ბასით, ტფილიში დაებრუნდით. ჩოდრიშვილი ბოლოს საზოგადოება დაარსა, მავამ მეუე რა ბედი ეწია ჩას, მე აღარ ვიცი. ჩვენ მ-ლე დავშო-დით ერთმანეთს: მიხა ჩეგბა მუშათა მოძრაობაში, მე საგაზეთო და საზოგადოებრივ მოლეაწეობაში. მე ალოდ ათი წლის შ. მ-ევ შეუხვდით ერთ ნეთს ნაძალადევის ფარულ ქრებებზე და შეცვდით როგორც მოწინააღმდეგენი: მიხა ს.-დემოკრატია პროგრამით ხელ ი, მე ს.-ფედ. დროშით.



„ივერიის“ სტაქციაში. — დავით მექელაძე და თანა-  
მშობლები. — იყონ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე  
და ნიკო ხაზანიშვილი. — ჩემი პირველი ნაბიჯები  
„ივერიაში“, — ილია გამჭავაძე, ხანკოვალა ივ. მაჩაბე-  
ლი. — რაფელ ერისთავის იუბილე და კრწანისის  
ბრძოლის მოგონება

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „ივერიას“.

როგორცა ვთქვი, ილიასთან მოლაპარაკების შემდეგ, მეორე დღესვე შევიდა რედაქტირაში და შევიდი გამგის კაბინეტში. ანთებულ ბოებრის წინ იჯდა მაღალ-მაღალი გამზღვარი მოხუცი, კრიალოსნით ხელში. დიდის თავი იანიბით მომეცება და მითხრა:

— ილიამ უკვე გადმომცა ყველაფერი... მობრძანდით, გავი-  
კვნით, გაიკანით ჩეენი მუშაობა და იმუშავეთ.

ეს იყო დაცით ალექსანდრეს ძე მიქელაშვილი, გაზეთ „იუ-  
რიის“ მაშინდელი გამგე, ცნობილი ჩვენს უურნალისტიკაში, „მეველის“  
ფსევდონომით.

ილია ჭავჭავაძე მე-90 წლებში სრულიად დაანგაბა თავი საგანგეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქტო-რო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად სწერდა. ჩემს იქ ყოფნის დროს შელიწად-ნახევრის განმავლობაში—ორი-სამი მეთაური თუ მოგვაწოდა მხოლოდ. გაზეთი ჩაბარებული ჰქონდა გამგებებს და ესენი აწარმოებდენ საქმეს. ამგვარ გამგებად იყვნენ: ჯერ ძმები ყიფ შიძენი გრიგოლი და ოლქესანდრე (ფრონელი), შემდეგ დავით მიქელაძე და, ბოლოს ცოტა ხნით (გაზეთის დახურვამდე) მე. ილია მხოლოდ გაზეთის გამომცემლობის საქმეს აწარმოებდა სამეურნეო ნაწილის გამგის დახმარებით. ამ ნაწილის გამგედ იმ ხანებში ჰყავდა სტამბის პატრონი მაქსიმე შარაძე, კაცი მეტად სინდისიერი და გამომცემლის ინტერესების მტკიცე დამტკიცელი. გაზეთი, რასაკირველია, არავითარ მოვებას არ იძლევდა პატრონს. ტირაჟი იყო ერთობ მცირე—ოთხასიდან ექვსას ეგზემპლირამდე, განცხადებები ძალიან ცოტა. ერთად-ერთი თვალსაჩინო შემოსავალი იყო სათავ-დაზნურო ბანკის განცხადებები დაგალიანებულ მამულების გაყიდვის ჟესახებ. ამ განცხადებათა შემოსავალი ფარავდა გაზეთის ხარჯებს და შეძლებას იძლევდა გამომცემელს წელიწადი უდეფიციტოდ, ან მცირე დეფიციტით დაესრულებინა.

იმავე დღეს დავით მიქელაძემ გამაცნო რედაქტიის მუდ-  
მივით თანამშრომელნი. ესენი ერთობ მცირე ჯამაგირს იღებდენ—თვეში  
სამ-ოთხ თუმანს და ამიტომ მათი შემადგენლობა ხშირად იცვლი-  
ბოდა. ჩემ იქ ყოფნის დროს—წელიწადნახევრის განმავლობაში „ივე-  
რიის“ რედაქტიისა სხვა და სხვა დროს მუშაობდენ: ივანე ახალ-  
შენი შვილი, ილია ალლაძე, იაკობ ცინცაძე, დომინიკა  
ერისთავის ასული მდივნიძე, არტემ ახაზაროვი,  
გრიგოლ აბაშიძე და სხვანი. იმ დროს ყველა ესენი გაზეთის  
ტექნიკურ მუშაობას აწარმოებდენ: სთარგმნიდენ დეპეშებსა და ახალ  
ამბებს, ადგენდენ რუსეთისა და უცხოეთის ქრონიკას, აწორებდენ  
კორექტურას და სხვა. გაზეთის პლიტიკა-მიმართულებას ეს ახალ-  
გაზრდები არ ქმნიდნ, მაგრამ შემდეგში ყველანი ცნობილ მოლვა-  
წებად გახდნენ ქართველთა საზოგადოებრივ ასპარეზე: ივ. ახალშე-  
ნიშვილი შემდეგში ცნობილი მთარგმნელი იყო, განსაკუთრებით რუ-  
სულ სიტყვა-კაზმულის ნაწარმოებებისა. ილია ლლაძე ცნობილი ქარ-  
თველი უურნალისტი გახდა, იაკობ ცინცაძე—ბელეტრისტი (იაკალაძე,  
თომაანთ კობა), დომინიკა ერისთავი-მდივნიძე—მცოსანი (განდე-  
გილი), გრიშა აბაშიძე—აგრეთვე მგუსანი, არტემ ახაზაროვი—ლე-  
ლეტონისტი და პოეტი. მაგრამ უნდა აღნიშვნო, რომ ზოგი ამხანა-  
გი მაშინაც, ყოველდღიურ საგაზეთო მუშაობის გარდა, ათავსებდა  
გაზეთში საკუთარ ნაწარმოებსაც. განსაკუთრებით უნდა ვთქვა ეს  
გრიგოლ აბაშიძისა და განდეგილის შესახებ, რომელთა ლექსები  
ხშირად იბეჭდებოდა და არტემ ახაზაროვის შესახებ, რომელიც  
დროგამოშეებით აწვდიდა რედაქტიის თავის სხარტულ ფალეტო-  
ნებს ჩიორას ფსევდონიმით.

შემდეგ წელს (1896) კიდევ მოვემატა ორი თანამშრომელი კიტა  
აბაშიძე და გიორგი უურული. გარდა სატექნიკო ყოველდღიუ-  
რ მუშაობისა პირველი ამათგანი იშვიათად მეთაურებს სწერდა, უფრო  
ხშირად—კი კრიტიკულ ფელეტონებს, მეორე აგრეთვე მეთაურებს  
გვიწერდა (გ.-ლის ფსევდონიმით). მალე გავიცანი აგრეთვე გაზეთის  
ეგრეთწოდებული გარეზან მომუშავეები (გარეშე თანამშრომლები).  
ესენი იყვნენ ძეველი თაობის ცნობილი მოლვაშეები და ილიას ახ-  
ლობელნი: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ხიზანაშვილი და  
ანტონ ფურცელაძე.

უცნაური იყო შეხვედრა იაკობ გოგებაშვილთან. პირველ  
ხანებშივე დაიბეჭდა „ივერიაში“ ჩემი საპოლემიკო წერილი გ. წე-  
რეთლის წინააღმდეგ. გ. წერეთელი შეეცადა დასების კლასიფიკა-  
ციას. პირველი დასი,—სწერდა ის,—ძეველი თაობა არის, რომელიც

წინ აყენებს თავად აზნაურობის ინტერესებსაო; მეორე დასმა, ამათ საჭინააღმდეგოდ, წინ წამოაყენა გლეხობის ინტერესებით („ტეტია-თა მოტრუიალენი“, ჩვენი ნაროლნოკები), ხოლო მესმე დასი ის ახალი დემოკრატია არის, რომელმაც მთელი ერის საკეთილდღეოდ დაიწყო მუშაობაო. მე ამაზე შევნიშნე, რომ გ. წერეთ ელ მა დაივიწყა მე-60 წლების ახალი თაობა, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზე იდგა და სწორედ მთელი ერის ინტერესების მცველად გამოვიდა. ეს დავიწყება, ვწერდი ნე, მთ უფრო არის საკვირველი, რომ თვით გ. წერეთ ელ ი იყო ერთ-ერთი მებაირახტრე იმ თაობისა.

დაიბეჭდა თუ არა ეს ჩემი ფელეტონი, იმავე დღეს რედაქტორის კაბინეთში შემოვიდა ჩემთან შუახნის კაცი, რომელსაც პირველად ვხედავდი, და გამეცნო იაკობ გოგება შვილი ვარო. ადვილად წარმოიდგინთ, როგორ მესიამოვნებოდა „დედა-ენის“ აგტორის ნახვა. ჩემი თაობის ახალგაზრდებისთვის დედა-ენა უძვირფასესი წიგნი იყო. ზეპირად ვიცოდით და შორიდან თაყვანსა ვსცემდით ავტორს. დავუწყე ლაპარაკი, მოუარე აქეთან-იქიდან, ჩაგრამ ეს კაცი როგორლაც გაბურული ზის, „არა“, „დაახის“ მეტს არაფერს მეუბნება. ბოლოს გავჩუმდი მეც. იაკობი უეცრად წამოდგა, აჩქარებით დაიწყო ოთახში სიარული და აღლუვებით მოშმართა:

—თქვენ, ყმაშვილო, ჯერ არ იცნობთ ჩვენს მწერლებს, არ იცით ძველი მწერლობის ისტორია და ამიტომ სიფრთხილე გმართებთ.

—რაშია, ბატონო საქმე? გაცვირებით შევეკითხე აშკარად გულმოსულს იაკობს.

—ი თქვენ დღევანდელს ფელეტონში დაგიწერიათ, გ. წერეთ ელი 60 იანი თაობის მებაირახტრე იყოო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთ ლის და ნიკო ნიკოლაძის სახელებთან ერთად ისენიებთ იმის სახელსაც. თქვენ არ იცით, რა ადამიანი იყო და რა არის ახლაც გ. წერეთ ელ იო და მოჰყვა და მოჰყვა. რა ცოდვები არ მოახვია კისერზე საბრალო გიორგის. მე ძალიან გამაცვირვა თავდაუჭერელმა ლანძლებმ. გ. წერეთ ლის მნიშვნელობა და ამავი ვიცოდი, პირადდაც კარგად ვიცნობდი. ვცადე მებასუხნა, მაგრამ იაკობმა ლაპარაკიც არ მაცალა. შემდეგში გავიგე, რომ მათ შორის წინათ რაღაც უსიამოვნო ისტორიას ჰქოდა ადგილი. ამაზე იმიტომ შევჩერდი, რომ ძინდა ბლვნიშნო ეს საკვირველი თვისება ჩვენი ძევლი მოღვაწეობისა: ერთმანეთის ლანძლებით დამცირება, ყოველივე დამსახურების და მნიშვნელობის უარყოფა თითქმის საერთო სენი იყო, რომელსაც არა ერთხელ ვამჩნევდი შემდეგშიაც. ილია ჭავჭავაძის სახელს ვერ გააგონებდი, მაგა-

ლითად, აკაკი ჭერეთელსა და ვანო მაჩაბელს; ნიკო ნიკოლაძის ქება ტყვიასვით მოხვდებოლა ანტონ ფურცელაძეს და სხვ.

„ივერიაში“ იაკობ გოგებაშვილი ხშირად სწერთა უმთავრესად საპედაგოვით საკითხებზე; სასტიკად ებრძოდა სამოსწავლო მმართველობას და იკავდა მათვან ქართულ ენის სწავლების საქმეს. დაუნდობლად ებრძოდა „დედა-ენის“ მტრებს. მეტად პატიოსანი, გულკეთილი და პირად ცხოვრებაში ფრიად ზომიერი ადამიანი იყო.

მეორე ჩვენი გარეშე თანამშრომელი — ნიკო ხიზნაშვილი, განათლებული, ნიჭიერი და სასიამოვნო მესაუბრე ადამიანი იყო. ახალგაზრდობისას ის მიემზრო „ტეტიათა მოტრფიალეთ“. სწერდა „იმედში“, მაგრამ იმ ხანში, რომელზედაც მე ვწერ, იგი უკვე შორს იყო „ნაროლნიკობისგან“, უბრალო ლიბერალი იყო და ზომიერი ლიბერალიც სწერდა „ივერიაში“ სხარტულ ფელეტონებს, თანამედროვე უამთა სიავის საკითხებზე, და Plebs-ის ფსევდონიმით. ჰქონდა აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევები. მისი შრომები იღბულის და გოორგი ბრწყინვალის კანონებზე, ვგონებ, ერთად-ერთი იურიდიული გამოკვლევები იყო იმ დროს ქართულ ენაზე. იქვე უნდა მოვიხსენით ამ მოლვაშის უდრიოთ და ტრალიკული სიკვდილი. 1905-ს თუ ექვს წელში იგი ქუჩაში მოჰკლეს ვიღაცებმა დილით, როცა სამსახურში მიჰიოდა (მომრიგებელ მოსამართლედ იყო). ამ მკვლელობის გამო ჩაშინ სხვა და სხვა მითქმა-მოთქმა იყო, რაღაც გადაკრული სიტყვები - ტერორისტული მკლელობის შესახებ. ჩვენ იმდენად გაგვაკვირვა ამ უაზრო მკვლელობამ და უფრო უაზრო მითქმა-მოთქმამ, რომ გაზეთისა და პარტიულის აპარატის საშუალებით მივწიადინეთ საქმის გამორკვევა. ვერაფერი გამოვარკვიეთ, მაგრამ ის მაინც ცხადი იყო, რომ პოლიტიკური ამ მკლელობაში არაფერი იყო.

ხშირად სწერდა „ივერიაში“ კიდევ ერთი ჩვენი გარეშე თანამშრომელი ანტონ ფურცელაძე.

საკვირველია ამ ადამიანის ცხოვრება და მოლვაწეობა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მას სწავლა-განათლება არ მიუღია. სადღაც რუსეთში კადეტთა კორპუსში სწავლიბდა, ჯერ კიდევ უმცროს კლასში იყო, როცა უბედურება ეწვია: ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ კოჭლი დარჩა. სწავლის თავი დაანება. დაბრუნდა სამუბლომში და თვით განვითარებს შეუდგა. დაეწაფა მაშინდელ რუსულ აღმოჩენების ლიტერატურას — ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, პისარევს და სხვათ. ცოტა ხნის შემდეგ მას უკვე ვხედავთ მაშინდელ მოლვაწეთა მოწინავე ჯგუფში იმ დროიდან სიკვდილამდე (1913 წ.).

卷之三

მას ხელიდან არ გაუგდია კალაბი და საზოგადოებრივი ასპარეზისა-  
თვის თვი არ დაუნებებია. იგი პოტიც იყო (პომა „ბაგრატიონთ  
ქება“ და სხვა), ბელეტრისტიც („მაცი ხვიტია“, „ვაი მართალთა“  
და სხვა), დრამატურგიც („დიდი მოურავი“, „ავაზაკები“ და სხვ.),  
ისტორიკოსიც („ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე“) და პუ-  
ლიცისტიც. პუბლიცისტური წერილები მისი ბევრია გაფან-  
ტული „ცისკარში“, „მნათობში“, „ივერიაში“. შეუძლებელია ასეთი  
მრავალფეროვანი და ამდენი ტალანტის პატრონი იყოს ადამიანი და  
მართლაც, ანტონ ფურცელი ა ეს უფრო დილეტიანტია, არც ერთ  
დარგში არ გამოუჩენია ნამდვილ შემოქმედების ძალა; მაგრამ ის უკ-  
ველია, რომ ჩვენი ერის გათვითუნობიერების საქმეს მან დიდი სამ-  
სახური გაუშია. იმას არომ კარგი და სისტემატიური განათლება მიე-  
ლო, უკველად ლრმბ კვალს დასტოებდა ჩვენი ერის განვითარების  
ღორიაში. იმ დროს, როცა მე გავიცანი, ანტონი უკვე ხანში შე-  
სული კაცი (56-57 წლისა) იყო, მაგრამ დაუშრეტელის ენერგიით  
მუშაობდა. ყმაწვილობიდან შესისხლხორცებული რადიკალიზმი მაში-  
ნაც აღფრთოვანებდა და ანტონი უკველა შეტაკებაში ძველ თაობა-  
სთან მოიახენ ჩვენს ახალგაზრდობის მხარეზე იყო.

პირველი ჩემი მეთაურის წერილი დაიბეჭდა 1895 წლის 20 იან-  
ვარს და შეეხებოდა სწორედ იმ სიტყვებს ნიკოლოზ მეორისას, რო-  
მელითაც იგი გაუმასპინძლდა ერთს წირმომაღენელებს, რაზედაც  
უკვე მქონდა ზემოთ ლაპარაკი. უნდა გამოვტყოფ იქ, რომ ორი ჩემი  
პირველი წერილი რუსულად დაწერებული და შემდეგ გადავთარგმნე ქარ-  
თულად. სამ წელიწადს რუსეთში მუშაობამ და ხუთი წელიწადი ციმ-  
ბირში ყოფნამ ცოტა არ იყოს გადამაჩინეს ქართულს და ვერ გავ-  
ბედე, მაგრამ უკვე მესამე წერილი პირდაპირ ქართულად დაწერე  
და შემდეგში ხომ სულ გამიადვილდა წერა. მხოლოდ უნდა ვაღიარო,  
რომ კარგი ქართული ენა ვერ შევითვისე, გრამატიკასთან მშერალად  
ვიყავ და ლექსიკონიც არ მქონია მდიდარი მთელ ჩემს საეურნალის-  
ტო მოღვაწეობაში. ამის ბრალი რუსულ სკოლას მდებად და იმ 8 წე-  
ლი დანართის მე საშობოლოს დაშორებული ვიყავ. პირველ ხანში  
ჩემი ნაწერების ენას ასწორებდენ, „შალაშინს გადაჲრავდენ“, როგორც  
მაშინ ამბობდენ რედაქტიაში, — განდევგილი და არტემ ახნა-  
ზაროვი. შემდეგში აღარავინ მისწორებდა, მაგრამ, სამავისროდ გა-  
რედან მოდიოდა შენიშვნები. მასსოებ, ერთხელ მოზივიდა ჩვენა მოღ-  
ვაშის და მგონსის გრიგოლ ვოლსკის აგან პათომიდან წერილი  
და „ივერიის“ ნომერი, რომელშიაც ჩემი ფელეტონი სულ წითელი მელ-  
ნით იყო აქტერებული. გრ. ვოლსკი მწერდა: სასიძომოებნოა შენი

გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე, „ივერია“ გაცხოველდა, მაგრამ შენი ქართული ენა ღმერთმა შეინახოსო. მირჩევდა, ბევრი ი კითხე ქართული წიგნები, უმთავრესად ძველი ქართულით. ამასვე მირჩევდა გიგო ყიფიძე, რომელმაც აგრეთვე გამომიგზავნა ორჯერ „ივერიის ნომრები, სადაც ჩემი წერილები აჭრელებული იყო შესწორებებით. სამწუხაროდ, ვოლსკისა და ყიფიძის ჩერევა ვერ ავასრულებ: ძველი ქართული წიგნების კითხვისათვის ვერც დრო ვიშოვე და ვერც შევიძელი: ჩემი ავადმყოფი თვალები იმის საშუალებას ძლივს მაძლევდენ, რომ ჩვეულებრივი საქმე მექეთებინა. პირველ ჩემ წერილს მოვაწერე ჩემი გვარის თავი და ბოლო ასოები ამნაირად: ლ-ლ-ი. დავით მიქელაძემ მირჩია: რა საჭიროა შუაში ხაზი, ხაზი ამოიღეთ და დარჩება მშვენიერი სიტყვა ლალი. მეც ასე მოვიგეცი და დარჩა ჩემი ფსევდონიმი ლ-ალი ივერიაში, „Новое Обозрение“-ში და „მოამბეში“. შემდეგში, როცა „ცნობის ფურცელში“ მოვეწყვე, ჩვენმა ჯგუფმა გადაწყვიტა მეთაურები ხელმოუწერელი უნდა იყოსო. ამნაირად ხელმოუწერელი მრავალი ჩემი წერილია მოაგესებული „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“, „ამირანში“, „ისარში“, „სახალხო გაზეობი“, ერთი სიტყვით „ცნ.“-ფრ.“. მემკვიდრე გაზეთებში. მხოლოდ პატარა ფელეტონებს „შინ და გარეთ“-ის სათაურით და ზოგ სხვა წერილს, არა მეთაურებს ვწერდი მეორე ჩემი ფსევდონიმით ლ-ასი, ხან კიდევ ესიკელა კვაჭანტირაძე.

„ივერია“ იმ ზანად, უნდა ითქვას, სუსტი გაზეთი იყო. ის რაც შეადგენს გაზეთის ერთ-ერთ მთავარ ძარღვს, ინფორმაცია, სრულებით გაზეთს არ ჰქონია. დეპეშები და ახალი ამბები რუსულ გაზეთებიდან ითარგმნებოდა, ასე რომ „ივერიის“ მკვითხველი ტფილისში მიღებულ დეპეშებს მხოლოდ სამი დღის შემდეგ წაიკითხავდა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ასოთამშეყობები სალამოს ხუთ საათზე ათავებდენ გაზეთის აწყობას და კორექტურის გასწორების შემდეგ სტამბიდან მიღიოდენ; დეპეშები კი ღამის ათ-თერთმეტ საათზე მოდიოდა რუსულ ენაზე.

პირველი იერიში ამ ანორმალურ გარემოების წინააღმდეგ მე მივიტანე. დავიყოლი დავით მიქელაძე და ერთ სალამოს ილია რედაქციაში მოვიწვიეთ სათაობიროდ. დავითმა მიმართა ილიას მთელი სიტყვით:

— ყოვლად უხერხულია დეპეშების ასე დაგვიანებით ბეჭდა; ამიღომაა, რომ ასე ცოტა მკითხველი გვყავს: ვერც ახალ ამბებს ვაწვდით დროზე, ვერც დეპეშებს; სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია, ილია, გაზეთს შენი სახელი აწერია და ძველ-ძველი დეპეშე-

ბით და ამბებით უმასპინძლდები მკითხველსაო... ეს საქმე ადვიუკი გამოსასწორებელია. პატარა ხარჯი გავიღოთ, კარგი ქრონიკორი ავიყენოთ, ახალ ამბებისათვის; დეპეშებისათვის კი დაგვჭირდება ერთი ასოთამწყობი ღამითაო.

ილიამ ცივი უარი განაცხადა. ეს თვეში ათ თუმანს მოითხოვს სულ უკანასკნელს, წელიწადში 1200 მან. და თქვენ ხომ იცით, რომ გაზეთი ისედაც დეფიციტს იძლევაო...

დავით მიქელაძე ს ახლა მე მივეშველე და დაუწყე ილიას რწმუნება, რომ გაუმჯობესებული გაზეთი ტირაქს ასწევს და დეფიციტი აღარ იქნება, ილიამ დაიბარა თავისი სამეურნეო ნაწილის გამეგე მაქსიმე შარაძე და დაუწყო გამოკითხვა, რა დაგვიჯდება ლამის 12 საათამდე ასოთამწყობის მორიგედ დატოვებაო. მაქსიმემ დაიწყო ანგარიში და მორიგე ასოთამწყობის და აგრეთვე, ქრისტიანობის დაქირავება წელიწადში ას თუმანზე მეტად იანგარიშა, ილიამ გადაჭრით უარი სთქვა: ისედაც ჩემ ჯიბიდან ვაძლევ ფულს და მეტი აღარ შემიძლიაო.

— კარგი, ილია, მიუბრუნდა დავით მიქელაძე, არ ღირს კაპეიკების ანგარიში, სირცეხილია სხვა რომ არა იყოს რა.

— თუ არ ლის და, შენ მდიდარი ყოფილხარ, შენ მიეცი შენი ჯიბიდან, მოუჭრა ილიამ და გაბრუნდა.

დავით მიქელაძე ძალიან გააჯავრა ამ ინციდენტშა.

გადავწევიტე, რომ ჩემმა პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაგრამ მეორე დღეს მაქსიმე შარაძემ გამოგვიცხადა: ამ დილით ადრე ილიამ დამიბარა და მიბრძანა, ლამით დეპეშების ბეჭვნის საქმე მოავარეო.

პატარა ხნის შემდეგ ილია ქრონიკორების მოწვევაზედაც დათანხმდა. მოუშენებით სახელმძღვანელო წერილების და მეთაურების წერას. პრაში გამოვიყენეთ ნიკიერი ახალგაზრდა მგოსანი გრიშა აბაშიძე, რომელსაც თემებს ვაძლევდით მე და დავით მიქელაძე და ამ თემებზე გამოგვიცხობდა კარგის ენით და სხარტულად დაწერილ წერილებს „შროშანას“ ფსევდონიმით. მალე ვას. წერეთელიც მოგვეხმარა თავის საპოლევიკ წერილებით. შემდეგ კიდევ კიტა აბაშიძე კრიტიკულ წერილებით და ამრიგად ცოტა არ იყოს გაზეთი გამოვაცოცხლეთ.

\* \* \*

ილიას ჩვეულება ჰქონდა წელიწადში რამდენჯერმე თავის მეგობრების მოწვევა; ახალი წლის შეხვედრა, მეულის, ოლღას

(გურამიშვილის ასული) დაბალების დღეს, ალდგომის კვირის ერთ-ერთ დღეს გამართავდა ხოლმე ასეთ წევეულებას და ჩენც, რედაქტორი მომუშავეთ მიგვიწევდა. აღრე შევიკრიბებოდით და ვამშობამდე გაიმართებოდა ან კამათი, ან და ილია თავის მოგონებებს გვიაშობოდა. ილია კარგ გუნდაზე როდესაც იყო, მეტად სასიამოვნო და საინტერესო ხაუბარი იცოდა.

პირველსავე ასეთ წევეულებაზე, მახსოვეს, ილიასთან ცხარე კამათი მოგვიხდა. სიტყვა ჩამოვარდა ახალ ჭეფის ნიკოლოზ II-ზე. იმ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ, როგორ მოტყველდა რუსის საზოგადოება, როგორ გაუცრუვდათ იმედი რევიმის შეცვლისა და საკონსტიტუციო ხანის დაწეებისა. აგრეთვე რუსეთის სარევოლუციო მოძრაობაზედაც დაიწყეს ლაპარაკი. მე, კი ტა აბაშიძემ, ილია ნაკაშიძემ გული ვიჯერეთ ახალი თვითმშეყრობელის გინებით და იმ აზრს ვიცავდით, რომ მალე სარევოლუციო მოძრაობა გაძლიერდება და რომანოვების ბატონობას ბოლო მოელება. უეცრად ლაპარაკში ილია ჩაერია და ჩენც თვის სრულიად მოულოდნელი და პარადოქსალური სიტყვა წარმოსთქვა.

ჯერ მან განაცხადა, რომ მაინცა და მაინც არაფერი სჭამს რუსეთის რევოლუციისა. რუსეთი გლეხობის ქვეყანაა ჯერ-ჯერობით და დიდხანს დარჩება ასეთ ქვეყნად ჩამორჩენილ სასოფლო-მეურნეობით, სილარიბით, უვიცობით. გლეხიბა, ნამეტურ რუსის გლეხობა, თაყვანსა სცემს და აღმერთებს მეფეს; თავის მტრად მეფე-კი არ მიაჩნია, არამედ ჩინონენკობა და ამასთან ერთად ინტელი-გენციაც. რუსეთის გლეხობა რევოლუციის არ მოახდენს, ხოლო ქალაქის შეშა ერთობ ძირისაცხოვენი და სუსტი ელემენტია. ყოველ შემთხვევაში რუსეთის რევოლუცია ძალიან პრობლემატიური და შორეული ამბავია.

შემდეგ ილია შეუდგა იმის მტკიცებას, რომ თვითმშეყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რევიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისათვის, სახეირო სრულიადაც არ იქნებათ. თქვენ რომ კანებობთ, იმისთანა თანასწორობას, ერთობის და ძმობის, უმაღლენებობა, იმისთანა თანასწორობას სამეფო ჯერ ძლიერ შორს არის, არა თუ რუსეთისთვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისთვისაც. ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რევიმის დამყარება რუსეთში, ჩვენ, ქართველებს დიდ საშიშროებას გვიქადის. რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალი ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. რუსის ხალხი ილია მუ-ციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. რუსის ხალხი ილია მუ-



რომეცია, ხელფეხშებორკილი სძინავს და ამიტომ ჩვენ, ქარა რუსებს შესაძლებლობა გვაქვს გიარსებოთ და ვისუნოქით. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენც ვახერხებთ და ძივდეთ უქან. იმჟენი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამო-ჩენილი, ველური ხალხი, გადაგყვლაპოს. ხოლო თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვდს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიკურად და-გვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღვის დედამიწის პირისაგა-ნაო. აი, პოლონელებს და ფინლანდიელთ ვერას უზამს. ისინი ძლიე-რი არიან როგორც ეკონომიკურად, ისე ეროვნულის შეგნებით. აი ამათვის საკონსტიტუციო ჩევიმი სახარებლო იქნება, რადგან შესძლებენ და დიდ შეტოვქეობას გაუშევენ რუსებს. ჩვენ-კი იმდე-ნად სუსტი ვართ ეკონომიკურადაც და ნაციონალურის თვითშეგნე-ბითაც, რომ თავისუფალი რეფიმით წათამამებული და წახალისე-ბული რუსეთი თავის ქერქში ველარ დატევა, სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქვავს და ჩვენ ადვილად წაგვლეკავსო.

ჩვენთვის ილიას ასეთი მსჯელობა მიუღებელი იყო და ვუმ-ტკიცებდით, რომ საკონსტიტუციო რეფიმი ქართველ ხალხსაც მის-ცემს ხელში მძლიერ იარაღს ზრდისა და განვითარებისათვის. მაგ-რამ ილია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და ვვეუბნებოდა:

ყმაწვილებო, სტუკვდებით, თანამედროვე საკონსტიტუცია რე-ჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევსო.

რამდენი სიმართლეა ილიას ამ სიტყვებში, რა ღრმა გაგებაა თანამედროვე ბურუუაზიულ პარლამინტურული თავისუფლებისა! მა-გრამ ჩვენი უბრძლებება ის იყო, რომ ილიას ვერ დავუმტკიცეთ, რომ ეს რეფიმი მხოლოდ ეტაპია, საფეხურია, რომლის საშუალებით განთავისუფლებული კაცობრიობა უფრო მაღალსა და სამართლიანს სამეფოს დაამყარებს. ილია ნაღვლიანის ლიმილით გვიპასუხებდა ხოლმე:

— ჯერ-ჯერობით, ეგ ნამდვილი ოკუნება და ზღაპარია. ყო-ველ შემთხვევაში, ისეთი შორეული ამპავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენ.

ილიას გარდა ხანდახან იმის მეგობრებთანაც ვიკრიბებოდით, უფრო ხშირად ან ტონ უურ ცელა ძესთან. ანტონს უყვარდა თა-ვის ნაწარმოებების ჩვენს წრეში წა, ითხვა. ანტონი წაგვიკითხავდა თა-ვის ახალ შრომას, დაიწყებოდა კამათი, საუბარი, ილიასი და ნიკო ხიზანი შეიღლის ოხუნჯობა, მერე ამას მოჰყებოდა ვაბშამი.

მაგონდება სასაცილო ამბავი. ნიკო ხიზანიშვილი დიდი გურმანი იყო, უყვარდა კარგი ჭარბა. ანტონთან რომ მივიღოდა, თავდაპირველად უკანა თთახებსა და სამზარეულოში გავიდოდა დასაზვერავად—მზადდება თუ არა ვახშამიო. როცა გაიგებდა, კარგი ვახშამიაო, მშვენიერ გუნებაზე დადგებოდა და ლმობიერი კრიტიკოსიც იყო. თუ არა და გესლიანის კრიტიკით დაეტაკებოდა მასპინძელს. ერთხელ ანტონმა მიგვიწვია, რაღაც დავსწერე და წავიკითხოთ. ნიკო ცოტა გვიან მოვიდა. ჩვეულებისამებრ, მაინც ჯერ დასაზვერავად წავიდა. ანტონს უკვე ნახევარი წაკითხული ჰქონდა. ეს იყო წერალი შექსპირის შესახებ. ანტონ ფურცელაძეს არ უყვარდა შექსპირა, არ სწამდა მისი არა თუ გენიოსობა, უბრალო მხატვრულ ნიჭისაც ართმევდა. ცხადია, პისარეების გავლენით ჰქონდა შემუშავებული ეს უცნაური შეხედულება. სხვათა შორის სასაცილო ის იყო, რომ ანტონი შექსპირს ცრუმორწმუნებას სწამებდა და უსაყვედურებდა, „პამლეტში“ აჩრდილის გამოყენას, ბექონის საუკუნეში შექსპირს სული სწამდა და სცენაზე გამოჰყავდა მკერძოების აჩრდილებით. დაასრულა თუ არა ანტონმა კითხვა, ნიკო წამოდგა და დაიწყო ულმობელი კრიტიკა, ქა-ქაზედ არ დასტოვა წერილიდან და უმოწყალოდ სამასხროდ აიგდო მოხსენების ავტორი. ჩვენ მივხვდით, რაშიც იყო საქმე და თვით ანტონიც ლიმილით უსმენდა. როცა ნიკომ დაასრულა თავისი გესლიანი სიტყვა, ანტონი მოვეიძრუნდა და გვითხრა:

— ჩჩანს, მარია მოისეევნას (ანტონის მეულლე იყო) ვახშამი არ დაუმზადებიაო.

ზაფხულობით, სახელდობრ ილიას დღეს, 20 იელის, ილიას საგურამოში ვესტუმრებოდით. ამ დღეს იქ თავს იყრიდა დიდალი საზოგადოება. ილიას მეგობრები და ამხანაგები, მისი პატივისმცემელნი ტფილისიდან, ქუთაისიდან, საფლებიდან, ქალი, კაცი, მოხუცი. და ახალგაზრდობა. სუფრა ადრე გაიშლებოდა. რამოდენიმე სუფრა მეორე სართულში და რამდენიმე ეზოში, საგურამოს გლეხებისათვის. სადილია ადრე იწყებოდა და საღამომდე დიდი ქიოფი იყო. საღამოს ბევრი წავიდოდა, მაგრამ ბევრი მეორე დღემდე რჩებოდა, მისი ახლომელნიკი რამდენსამე დღეს რჩებოდნ ილიასთან. ილიამ ღვიძის სმა კარგი იცოდა, რაიგორც კახელმა, მაგრამ ზომიერად სვამდა. ძალიან უყვარდა სიმღერის მოსმენა, მაგრამ თვითონ არც ხმა ჰქონდა, არც სმენა. ძალიან უყვარდა სიმღერა „მუშლი მუხასა“ და ეს იყო, მვინი, ერთად-ერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

„მუშლი მუხასა  
გარს ეხვეოდა“

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალის ხმით, მაგიდაშე მუშტის დაკ-  
ვრით, გაათავებდა:

„მუშლი დაიხრჩო,  
მუხა გადარჩა“

ისეთი ახალგაზრდულის გატაცებითა და გრძნობით შეჰვი-  
რებდა, თითქმ თვეოლწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდენ საქარ-  
თველოს მტრი (მუშლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო).  
ძალიან უყვარდა ილიას სუფრაზე ლექსების მოსმენაც. ხშირად ით-  
ქმევინებდა ხოლმე ლექსებს მგოსნებს ვაჟა-ფშაველასა და გრ-  
აბაშიძეს, აგრეთვე კოლა ერისთავს, რომელმაც ბევრი  
ლექსი ჩენი პოეტებისა იცოდა ზეპირად და დიდის ექსპრესიით კით-  
ხულობდა. უნდა შეენიშნო აქ, რომ ილია დიდის პატივისმცემელი  
იყო ვაჟასი და მის პოეტურ ნიჭს ძალიან მიღლა აყენებდა.

საღილის დასრულებაშედე ილია ჩაიდოდა ეზოში გლეხებთან,  
იქ დალევდა შათან და ამღერებდა ხალხურ ლექსებს. ნისაღილევს  
გაამართვინებდა ჭიდაობას, რომელიც ჩამოსული სტუმრებიც  
იღებდენ მონაწილეობას.

\* \* \*

1895 წელს გაზაფხულში მე პირველად ვიხილე საადგილმამუ-  
ლო ბანკის კრება და გავხდი მოწმე იმ უმაგალითო ბრძოლისა და  
აურზაურისა, რომელსაც მაშინ „აანკოვიადას ეძახოდენ.

ქართული თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. პარტერი, ლოუ-  
ბი, ქანდარა საესე იყო კაცებითა და ქალებით, ბანკის წევრებითა  
და გარეშეებით. თეატრი მშვენივრად გაჩაღებულია ელექტრონით.  
გეგონებოდათ, ახლავე ფრდა აიხდება და დაიწყება რაიმე საინტე-  
რესო წარმოდგენათ. ნამდვილად კი სცენაზე გამოვიდა ბანკის გამ-  
გეობა, ზედამხედველი კომიტეტი, მდივნები, კორესპონდენტები ად-  
გილობრივ განეთებისა მოუსხდნენ გრძელ მაგიდებს და დაიწყო  
ბანკის კრება. პოზიცია, ოპოზიცია ილია ჭავჭავაძე და ივანე  
მაჩაბელი, როგორც ლიდერები; ორატორები მებრძოლ ფრაქციები-  
სა; პოზიციის მხრით თვით ჭავჭავაძე, ზედამხ. კომიტეტის თავიჯდომა-  
რე თავ. პეტრე გრუზინსკი, ალ. ჩოლოებაშვილი, დავით  
ავალიშვილი, (მამა თანამდროვე ქართველ მეცნიერის და მწერ-  
ლის ზურაბ აგალიშვილისა), ვლად. მიქელაძე და სხვები:

ოპოზიციის შერით—თვით, ვანო მაჩაბელი, ნიკოლოზ გამჭვიდვებით  
ტანგის ძე ორბელიანი, მიხ. ვახტანგის ძე მაჩაბელი,  
ექიმი გაბაშვილი და სხვნი. შეღწევებოდა სიტყვებით შეჯი-  
ბრება, გამუვავებული კამაო. კამაო გადავიდოდა პრესაში, ქუ-  
ჩაში, ოჯახებში. ქართველი საზოგადოება გაყოფილი იყო ორ ბა-  
ნაკად და რამდენისამე წლის განმავლობაში გაჩატული იყო მწარე,  
დაუნდობლი ბრძოლა. ატმ სფერო განურებული და მაწამლული  
ინტრიკებით, მათქმა-მოთქმით, მუქარითა და ლაძლვა-გინებით. სხვა  
ყველა საზოგადოებრივი საქმე მივიწყებული იყო და მარტოოდენ  
„ბანკოვადით“ იკვება ბოდა საზოგადოება.

რაში იყო საქმე? რამ გაამწვავა ასე ეს ხალხ? დაეტაკა ერთ-  
მანეთს ორი მიმართულება, ორი სხვა და სხვა პრინციპი, ორი სის-  
ტემა თუ პიროვნებათა შეჯიბრება იყო უბრალო? ეხლა, როგორც  
სიანს, ზოგი მკვლევარი ჩენის წარსულისა, ცდილობს პრინციპია-  
ლურ, საოჩუნი გამოუდებ ის ამ დავასა და ბრძოლას. მაგრამ მე  
ვუიქრობ, ას ათა ცდა არის. რ.ც არ ყოფილა, იმას ვერ იპოვი.  
მე პიორად ვიცნობდი ორვე მებრძოლ მხარეს, როგორც ლიდე-  
რებს, ისე მთავარ წარმადგენლებს. ორი წლის განმავლიბაში ყუ-  
რადლებით ვუსმენდი მებრძოლ მხარეთა ოთატორებს, ვკითხულობდი  
მათ ცოხსენებებს, ვება ებოდი ლიდერებს, მაგრამ ვერ გამოკარევაზ,  
სახელდობრ რამ გამოიწვია ეს ბრძოლა და რაში იყო საქმე. თვით  
ვანო მაჩაბელს ხშირად ვხვდეთ, მასთანაც ვყოფილვ რ თჯაბში  
(გამაცნო გ. რ. დიასამი ძემ) გარმი ითხავს მისთვის, მაგრამ უბ-  
რალო წერილობანების გარდა არაფერი მსმენია.

მთავარი ბრალდება ილიას წინააღმდეგ იყო შემდეგი: ილიამ  
დააგიანა 6 %, ანი გირავნობის ფურცლების კონკერსია, დააგიანა  
4 %-ანი ქალალდების გაცემა—მამულები ხშირად ფასდება სინამ-  
დვილებები გაცილებით მეტად. საქმის წარმოება ვერ მიღის წესიერად  
და სხვა იმგვარი. ყველა ეს ბრალდება, იმ ხაწებ ი გამოსულ ან ა-  
ნიმურ ბროშურაში „ილია ჭავჭავაძე და მის მოღვაცეობა“—ში იყო  
დაწვრილებით ჩამოთვლილი. ამ ბროშურის იგტორად ასახელებდენ  
თვით ვანო მაჩაბელს. ყველა ეს ბრალდება მართალიც რომ ყოფი-  
ლიყო, არ ლირდა ასეთ ბრძოლად. ყველა ამ შეცდომის გასწორება  
და თავიდან აცილება იღვილებად შეიძლებოდა ბანკის ნორმლურ მო-  
ლვაშეობის პროცესში, საქმიანის ოპოზიციით. თუ რისთვის იყო  
საჭირო ილიას გაძევება ბანკისან, სრულიად გაუვებარია.

ეს ბრძოლა მით იყო კიდევ საწუხაო, რომ თვით ვანო მა-  
ჩაბელი მეტად სასარგებლო მოღვაწე იყო, განათლებული, პატიო-

სანი, ნიჭერი და გეგური რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ამ საშინეული ბრძოლას მოანდომა მთელი თავისი ენერგია. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ 1896 წელს ფინანსთა სამინისტრომ პეტერბურგიდან გამოგზავნა სავანგებია რწმუნებული — უც კოვს კი, რომელმაც ბანკის სასტიკი რევიზია მოახდინა. რევიზის აქტი გვესერთელა ტომს უდრიდა, რომელიც წაკითხული იყო ბანკის კრებაზე. მახსოვს, ილია ჩელიანებრივად გულმოდგინედ ჩაუჯდა ამ აქტს, ორი დღე და ღამე თავაუღებლივ იმუშავა. გამოვიდა სცენაზე და ხუთი საათი განუწყვეტლივ ილაპარაკა. ყველა დამსწრე, მომხრენიც და ოპოზიციონერებიც — სულგანაბული უსმენდენ ილიას მშვენიერსა და მჭერმეტყვალ სიტყვას.

ილიამ ქვა-ქვაზე არ დასტოვა სარევიზიო მოხსენებაში. ეს მოხსენება ოვალსაჩინოს არაფერს შეიცავდა, გარდა იმავე წერილმანებისა. ბანკის საქმეები ნორმალურად მიმდინარეობდა, რაც იქიდანაც სჩანს, რომ რევიზიას არ მოჰყოლია არავითარი რეპრესია, იმის მსგავსი, რაც ქუთაისის ბანქს მოუვიდა, სადაც რევიზის შემდეგ სესხების გამოცემაც იყო შეზღუდული და ბანკის თავმჯდომარე იყო დანიშნული მთავრობის მიერ — „მოხელე“ მელნიკოვი. სჩანს იქიდანაც, რომ ბანკის მოგება წლიდან წლამდე მატულობდა და ბოლოს 300—400 ათას მანეთიმდე ავიდა, რაც ხმარდებოდა საზოგადოებრივ საქმეებს: ქართულ გიმნაზიის შენახვას, წერა-კითხვის და დრამატიულ საზოგადოებათა დაბმარებას, წინაშეძლვრიანთკარის სამეურნეო სკოლას, სტიპენდიებს და სხვ.

ბანკს და ილიას ბანკში მოღვაწეობას ქართველ საზოგადოებაში და უმთავრესად თავადაზნაურობაში ბევრი მტერი ჰყავდა. ბანკი გველუბავს, იძახოდენ, მიწა-წყალი ხელიდან გვეცლებაო და სხვა, მაგრამ ამგვარ საყვედურს არავითარი აზრი არ ჰქონდა. ბანკი ჩეულებრივი პეპოთექური დაწესებულება იყო, რომელიც ხელს უწყობდა, რასაც კი რეცენზია, მიწის მობილიზაციას, მაგრამ თვით ეს მობილიზაცია შედეგი იყო საერთო ეკონომიკურ მიზეზებისა და არა ბანკის მუშაობისა. ვინც უნდა ყოფილიყო ბანკის სათავეში, ის ვერ შეაჩერებდა მიწის მობილიზაციას და ვერ გადაარჩენდა თავადაზნაურობას.

1896 წელს ბანკოვიადა დასრულდა ივანე მაჩაბლის დამარცხებით. ის ბანკიდან წავიდა და სათავეში ჩაუდგა გორის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო სირიკატს. თავისუფალი დროც იშოვნა და ლიტერატურასაც დაუბრუნდა: დაწყო „ოთამბეში“ მუშაობა, თარგმანა და სხვა, მაგრამ სამწუხაროდ მაღლე დაავადმყოფდა და ბოლოს



ტრალიულად დასრულდა მისი სიცოცხლე: 1898 წ. იგი უგზო-უკ-  
ლოდ დაიკარგა.

დღემდის საიდუმლოებით არის მოცული ამ ადამიანის ასეთი  
უცნაური დაღუპვა. პირველად ხმა გავრცელდა, რომ ვანო შუალამი-  
სას გავიდა თავის სახლიდან და სადღაც წავიდაო. იმასაც კი ამბობ-  
დენ—დუხობორებს გაჰყვა ამერიკაშიო. შემდეგში უფრო იმ აზრს  
დაადგნენ, რომ ვანო მოქლეს და მისი გვაძი სადღაც გადამალესო.  
გამოძიებას და ენერგიულ ძებნას, რომელსაც აწარმოებდენ მისი  
ძმა ვასილ მაჩაბელი და მეგობრები ივანე სპირიდონის  
ძე ჯაბარი, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ასე უგზო-უკვ-  
ლოდ, ტრალიულად გაქვრა ეს სიმპატიური ადამიანი და სასა-  
რგებლო მოღვაწე.

\* \* \*

ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წელსავე (1895),  
შემოდგომაზე, ჩვენს ცხოვრებაში იდგილი ჰქონდა ორ დიდ ამბავს,  
რომელთაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემშე და წარუხო-  
ცელი ხსოვნა დასტოებს მთელი ერის გულში.

ეს იყო—კრწანისის ბრძოლის მოგონება და მეოსნის რაფიელ  
ერისთავის იუბილე.

სწორედ ამ წელს შესრულდა ასი წელიწადი იმ საშინელ დრო-  
დან, როცა სპარსეთის ბრძანებელმა ოღა-გამაღბანმა ააოხრა და მიწას-  
თან გაასწორა საქართველო. განრისებული იმ ურთიერთობით, რომე-  
ლიც მაშინ დამყარდა რუსეთსა და საქართველოს შორის, ოღა-გამაღ-  
ბანი დიდძალი ჯარით შემოესია ამიერ-კავკასიას, სწრაფად გად-  
მოლახა სომხეთის პროვინციები და მოადგა ტფილისს. ერეკლე მე-  
ფე მედგრად დაუხვდა მტერს და კრწანისის ველზე გაიმართა სას-  
ტიკი ბრძოლა, რომელშიაც ერთმუქა ქართველმა ლაშქარმა, ერეკლე  
მეფის წინამდლოლობით, თავი ისახელ სამშობლოს თავისუფლები-  
სათვის თავგანწირულობით. ერეკლე დამარცხდა, იძულებული შეიქნა  
ტფილის დაეტოვებინა და მთაში განინაზულიყო.

ხორცითა და სულით მახინჯი აღა-გამაღბანი შეიქრა ტფილისს  
და ქვა-ქვაზედ არ დასტოება.

აი, ეს საშინელი დრო მოიგონა ქართველობამ 1895 წელს.. თუ  
რა კულები, ამის თაოსნობა ეკუთვნის ქართლ-კახეთის თავადაზნა-  
ურობის მაშინდელ წინამდლოლს თავ. კონსტანტინე მუხრან-  
სკის, ყოველ შემთხვევაში, მთავრობისაგან ნებართვა ამან გამოიტანა,  
არავითარი წინასწარი მზადება არ ყოფილა; მხოლოდ გაზეთებში დაი-

გეჭვა რამდენიმე წერილი და შენიშვნა, რომელიც ასი წლის წინათ მომხდარ საშინელების აგონებდა ქართველ ებს. დადგა 11 სექტემბერი—იმ დღის მოგონებისათვის დანიშნული ვადა. აღრე დილიდანვე ტფილის დაეტყო რალაც არაჩეულებრივი გამოცულება, მოძრაობა. 10—11 საათიდან იწყო ხალხი დენა. პატარა ხნის შემდეგ, ვორონცოვის ქუჩით, დიდალი ხალხი მოძრავდა. მოხუცი და იხსლებაზრდა, ქალი და კაცი, მუშა თუ ხელოსანი, ვაჭარი და მოქალაქე, ინტელიგენტი, თავად-აზნაური, ერთის სიტყვით, თითქო შეელო ტფილისი მოძრავდა განურჩევლად წოდებისა, მდგომარეობისა და ეროვნებისაც კი (დიდალი სომხობაც დაიძრა). ვორონცოვის ქუჩა და შემდეგი გზა კრწანისის დიდ მინდვრამდე, ავსილი იყო მიმავალ ხალხით. როცა მე და რედაქტის სხვა თანამშრომლებმა მივაწიეთ დანიშნულ ალაგას, გადაგვემართ თვალწარმტაცი სურათი. დიდ მანძილზე თავი მოეყარა ზღვა ხალხს. გარდა ტფილისელებისა, აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულნი გლეხებიც. აქა-იქ მოსჩანდა ამქრების გაშლილი ბასრალები. იქეთ-იქიდან ისმაღლა ზურნის სევდიანი ხმა. ძნელია ამიდენა ხალხის რაოდენობის გამორკვევა. მახსოვს ამას დავაც ჩამოვარდა: ზოგი იძახდა, ასი ათასამდე ხალხი იქნებათ, ზოგი ათა-ათასობით, ზოგ-ც ათასობით ანგარიშმობდა. ყოველ ზემთხვევაში, იმ ხანებზი არავის უნახავს ამდენი თავშოყრილი ხალხი და კუველაზედ უფრო საგულისხმიერო ისაა, რომ ეს ამოდენა ხალხი თავის ნებით იყო მოსული: არავის არ უზრუნველი წინასწარ მისი შეკრებისათვის. ხალხი მოვიდა აღტყინებული სახარელის მოგონებით, რათა პატივი ეცა თავდადებულ გმირთათვის.

შუალის შემდეგ დაიწყო პანაშვიდი. აღექსან დრე ეპისკოპოსმა „საუკუნო ხენება“ წარმოსთქმა მეცე ერეკლესი და იმ გრირთა, რომელთაც თავი დასდეს კრწანისის ველზე სამშობლოს დასაცავად. ხალხის აღელვებამ უმიღლეს წერტილამდე მიაღწია. ბევრმა დაიჩინა, გაისმოდა სამგლოვიარო შარში, მუსიკისა და ზურნის სევდიანი ჰანგი.

ამ მბავშა დიდი შთაბეჭვდილება მოხდინა ყველა დამსწრეზე, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ჩვენ, ახალგაზრებდა; დიდი ეროვნული აღტყინება განვიცაოთ.

ცოტა უფრო ვეიან, ოქტომბერში, მოხდა მეორე ეროვნული დღე-სასწაული: რაფიელ ერისთავის იუბილე. ამის თაოსნობა ეკუთვნის აკაკი წერეთელს. ზაფხულის თვეებში მან ურნალ „კვალში“ დაბეჭვა წერილი, რომლითაც გაახსენა საზოგადოებას რაფიელის მოღვაწეობის 50 წლის შესრულება და მოუწოდა ამ საგულისხმიერო



ამბის აღნიშვნისათვის. დაარსდა კომიტეტი, რამელიც შეუფარგვებელი ბილების მზადებას. დაინიშნა დღესასწაულის დღეც: 22 ოქტომბერი.

შემდეგში და ჩვენს დროშიაც იუბილეები ისე გახშირდა და ისე შაბლონურად იმართება, რომ აღარავიზე შთაბეჭდილებას აღარ ახდენს. რაფიელის იუბილე—კი პირველი ამგვარი დღესასწაული იყო ჩვენში და ძლიერ ღრმა კვალი დასტურა ჩვენს ცხოვრებაში და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ერზე: ოცდაათ წელიწადებზე მეტაც მას შემდეგ, მაგრავ ახლაც, როცა მავონდება ის ბრწყინვალე დღესასწაული, გული სიამოვნებით მიტოვავს.

შშენიერი მზიანი და თბილი შემოსულის დღე იყო. 11 საათის სათვის იწყო დენა ხალხმა ქართულ თეატრისაკენ (სათვავად-აზნაურო ქარვასლაში, ყოფილ სასახლის ქუჩაზე). თეატრის შესველი და თვით თეატრი მორთული იყო ყვავილებით, გორლანდებით და გვირგვინებით. პატარა ხანში თეატრი სრულიად აივნო ხალხით, სადღესასწაულოდ მორთულ მანდილოსნებითა და მამაკაცებით. ტევა აღარ იყო და მრავალი ხალხი თეატრის დერეფანში და ეხმაში დარჩა.

აიხადა ფარდა და შეკრებილთა თვალწინ გადაიშალა ჯერ უნახავი სურათი: შშენიერად მორთულ და მძლავრად განათებულ სცენაზე მარჯვნით და მარცხნით იდგნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დებუტატები გვირგვინებით, საჩურჩებით და ადრესებით ხელში. ნაირ-ნაირი ტანსამოსით სადღესასწაულოდ გამოწყიბილი ქალები და კაცები: გურიიდან და ქაბულეთიდან გურულ ტანისამოსში, ფშავ-ხევსურნი ჯავშანში, იმერნი თეთრ-ჩიხა-ახალუხში. ქართლ-კახელნი ძველებურ ყურთმაჯებში და ტფილისელ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სტუმრები ეკრობულ სადღესასწაულო ტანთსაცელში საუცხოვოდ ირეოდენ ურთმანეთში. შეა ადგილის თიდგა იუბილარისთვის გამზადებული საერთელი, რომლის მშვენიერ მორთულობას აბრწყინვალებდა სცენაზე გამართული ელექტრონის მზე.

მოისმა გარედან „ვაშას“ ძლიერი ხმა, გაისმა მუსიკა: ილიამ და აკაკიმ თეთრ ცხენებშებმული ლანდოთი მოიყანეს რაფიელი. გამოჩნდა თუ არა იუბილარი სცენაზე, მოელი საზოგადოება ფეხზე ჭამოდგა და გაისმა ძლიერი ხანგრძლივი ტაშისცემა და „ვაშას“ ხელი. აღტაცებული საზოგადოება არ ცხრებოდა და აღარ ისმოდა რატილის გუნდის და გურულ მომლერალთა პიმლერა. ბოლოს საზოგადოება დაწყნარდა და იუბილარმა თავისი იდგილი დაიჭირა: მარჯვნით და მაცრხნით მოუსხდნენ აკაკი და ილია და დაიწყო მილოცვები. არ ყოფილა არც ერთი კუთხი საქართველოში, არც ერთი საზოგადოებრი-

ვი და კულტურული დაწესებულება ტფილისში ქართული, სომხური და თუ რუსული, რომელსაც არ გამოეგზავნოს აქ თავისი წარმომადგენელი და მიმღლოცვილი. შემდევ გამოვიდენ და ლექსებით მიულოცეს ნინო ორბელიანშა, ი.რ. ევდოშვილმა, დიმ. მაჩხანელშა, არტემ ახნაზაროვმა, აპ. წულაძემ და სხვებმა. ბოლოს გამოვიდა თხალგაზრდა მგოსანი გ.რ. აბაშიძე. ამის გამოსვლამ, მთკლე გრძნობიერმა სიტყვი და დიდის აღტაცებით წარმოთქმულმა ლექსმა უდიდესი აღელვება და აღტყინება გამოიწვია:

„აპა, შემოკრბენ ივერნი სიამით, სიხარულითა,

გულს გიმხნევებენ, გეტრფიან მადლობით, სიყვარულითა, მოხუცო, გაგვილომეკაცი, ჯერ არ სცნო დაძაბუნება,

შეგვაყოლადე სიმღერით და კვლავ გვიდიდე ბუნება“.

დიდის აღელვებით დაამთავრა მან და დიდად აალელვა როვორც დამსწრენი, ისე იუბილარი. რაფიელი ფეხზე წამოდგა და თვალცრუებიანი გადაეხვია ახალგაზრდა პოეტს.

საღმოს ქართულმა დრამატიულმა სახოგადოებამ საიუბილეო წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს იუბილარის მხიარული პიესები „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. პატარა როლებიც კი მთავარმა არტისტებმა შეასრულეს და წარმოდგენა შვევნიერი იყო.

წარმოდგენის შემდეგ, იქვე, თეატრის ფოიეში, გაიმართა დიდი ნადიმი, რომელსაც 200-ზედ მეტი კაცი დაესწრო. იყვნენ ყველა ჩვენი მაშინდელი მოღვაწენი, მწერლები და პოეტები, იუბილარის მრავალნი პატივისმცემელნი, ჩამოსული დებუტატები სხვადასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა, უცხო სტუმრები, ამათ შორის ახლად ჩამოსული რუსთა პოეტი ვას. ველიჩკო. უკრავდა შუსიკა და დუდუკი, მღეროდნენ სხვადასხვა გუნდები. პირველი სადღეგრძელო. რასაკირველია, რაფიელ ერისთავის დაილია, მერე აკაკის და ილიასი, შემდეგ დებუტატების და სხვა. სიტყვები წარმოსთვეს ილიამ, აკაკიმ, ვანო და მიხეილ მაჩაბლებმა, გორგი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა..

მახსოვე ველიჩკოს გამოსვლა. იმას, ალბად გაგონილი ჰქონდა, აკაკის და ილიას შორის რომ ვერ იკვ კარგი განწყობილება და წარმოსთვე აუსული ლექსი—ექსპრომტი, რომელშიაც უსურვა ორ დიდ პოეტს შერიგება და კეთილი ურთიერთობა.

აკაკიმ ველიჩკოს ეს გამოსვლა ძლიერ იწყინა და გაჯავრებით საპასუხო სიტყვა წარმოსთვევა. ამ უცხო კაცს ჩვენი ვითარების არაუკრის ესმის და იმიტომ შედის შეცდომაშიო. ჩვენ თუ ერთმანეთში

უთანხმოება და კინკლაობა გვაქვს, ეს იმით აიხსნება, რომ გვინდა ურ-  
 თიერთი წაგახალისოთ მეტ მუშაობაზე. გაჭირვება თუ რამ დაადგა  
 ჩვენს ერს, ყველანი შევერთდებით და სხვა. ასე იმართლებდა თავს  
 აკაკი. ილია-კი, როგორც ჩვეულება ჰქონდა, როკა მის პირიდობას  
 შეეხებოდენ, ჩუმად იჯდა და იღიმებოდა.

დიდი მხიარულება სუფევდა სუფრაზე. მგოსნები ერთმანეთს  
 ეჯიბრებოდენ ექსპრომტებითა და ლექსებით, ახალგაზრდები იმღე-  
 როდენ და ცეკვავდენ. ბოლოს წამოდგა არტისტი კოტე მესხი და  
 განაცხადა—მოისპინეთ ძეირფას იუბილარის სამადლობელი ლექსიო-

— მე კი რა მეთქმის, რაღა ყსთქვა,  
 რა დამრჩა მოსალოცავი,  
 ერთი რამ მხოლოდ, ერთი რამ,  
 ის არის კარგი და ავი.  
 ეს არის ჩვენი აქ მოყრა,  
 ეს კრება შეერთებული  
 საერთო გრძნობა და ძმობა,  
 ერთბაშად გალეიძებული...“

დიდის ალფროვანებით და მხიარულებით დასრულდა ნადიმი-  
 ასე დიდებულად ჩაიარა ქართველ ერის ამ პირველმა ეროვნულ-  
 მა დღესასწაულმა.



xvi.

– პირველ ხანებში „ივერიაში“ მე აზავინ მიშლიდა თავისუფლად წერას, ცენტრის გარდა ჩასაკვირველია, შინაური ცენტრი არ მქონია. როგორც ზევითა ვთქვი, ილია სრულიად არ ერეოდა სარე-დაქციო საქმეში, ხოლო დავით მიქელა ძე, არ ვიცი ილიას დირექ-ტორების თანახმად, თუ თავის ნებით, ხმას არ იღებდა ჩემს ჭინააღმ-დეგ, თუმცა კარგად ვხეოავდი, ჩემს რადიკალობას არ თანაუგრძნობ-და. ასე ვაგრძელდა რამდენსამე თვეს, მაგრამ, ბოლოს, დავითმა მა-გრძნობინა, რომ მე სტუმარი ვარ „ივერიაში“.

დავით შიქელაძეს უმაღლესი სწავლა არ ჰქონია მიღებული, მაგრამ საკმაოდ განვითარებული კაცი იყო. იცოდა კარგიდ ფრანგული ენა, საზღვარგარეთ ეცხოვრა, ბეჭრი ენასა და ბეჭრი გამოიკავდა. იყო პატრიოტი და რუსეთის პოლიტიკურ საკითხებში, ასე ვთქვათ, მოილიბერალებდა. როგორც ადამიანი, უწდა ვთქვა, პატიოსანი და პირდაპირი კაცი იყო, მეტად ზრდილობიანი, თავაზიანი, არისტოკრატი. ახალგაზრდობაში, როგორც გამიგონია, ის თორმების რევოლუციონერიც ყოფილი, მაგრამ იმხანად, როცა „იურიის“ განაცემდა, დავითი მეტად ზომიერი მშერალი და მოღვაწე იყო. საკმარისია გვიხსენოთ მისი ზოგიერთი პოლიტიკური წერილი, რომ ამაში დავჩრდილდეთ. ჩეხების პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნას იგი „ახირებულ პრეტენზიად“ ნათლადა. რა უნდათ მეტი ჩეხებს. ეროვნული სკული აქცი, დაბალი საფეხურიდან დაწყებული უნივერსიტეტი ამდე, ენა მათი დევნილი არ არის, თავისუფალი კულტურულ-ეროვნული განვითარების შესაძლებლობა აქცი და პოლიტიკურ თავისუფლების რეემში სცხოვრობენ, რაღა საჭიროა განსაკუთრებულ პოლიტიკურ მოთხოვნათა წამოყენებაო. ასე მსჯელობდა იმ ხანში დავით მიქელაძე და უნდა ვთქვათ, რომ, საერთოდ ასეთი იყო ძველი თაობის სხვა წარმოშილებელთა პოლიტიკურ-ეროვნული მრწამსი. რაც შეეხება სოციალ-ეკონომიკურ მოფლმხედველობას, აქ ისინი კიდევ უფრო ზომიერნი და უფრო კონსერვატურები იყვნენ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თვით ბელადი ამ თაობისა, ილია ჭავჭავაძე აღიარებდა წილებათა ურთიერთობის დარჩენის საჭიროებას. ვერ ხედავდა თანამედროვე სოციალურ წესუყობრებაში ძირითად ეკონომიკურ წინააღმდეგობას.

ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ დავით მიქელაძე არ თანაუგრძნობდა ჩემს მიმართულებას და დაიწყო ჩემი ნაწერების „წინასწარი ცენტრული“. თუ არ მოეწონებოდა რომელიმე წერილი, ან რომელიმე ადვილი, ზეაქტერებდა სტამბაში მიცემას და დამიწყებდა მტკიცებას—არ შეიძლება ამის დაბეჭდვა, მეტია, ან საშიშოა და სხვა. ჯერ ასეთი ცენტრული სამძიმო არ იყო ჩემთვის, რადგან, თუ დაუინგბით მოვითხოვდი, თანაბეჭ ხდებოდა და წერილი სტამბაში მიღიოდა. მაგრამ მერე და მერე ის უფრო ულმობელი გახდა და ჩემს დაუინგბით მოთხოვნას აღარ იშენარებდა.

მახსოვე ერთი წერილის გამო დიდად უსიამოენო შეტაკება მოვის-  
და, ის იყო ჩინეთ-იაპონიის ომი დასრულდა; ეკროპის სახელმწიფოებ-  
მა ისარგებლეს მომენტით და თავისი გური თარეში დაიწყეს ჩინეთ-  
ში. ამის გამო მე დავწერე წერილი, რომელშიაც აღვნიშნავდი ჩინე-  
თის გამოლვიძებისა და გამოფხიზლების ნიშნებს; ვწერდი, რომ ჩი-  
ნეთში და საერთოდ აღმოსავლეთში ბრძოლა იწყება ეკროპიელთა  
უსინდისო ქქსპლოატაციის და ძალმომრეობის წინააღმდევ; რომ მო-  
მავალში ეს ბრძოლა გაძლიერდება და აღმოსავლეთი იხსნის თავს  
უცხო კაპიტალისტების ბატონობისგან. წერილის დასასრულს ვამბობ-  
დი, რომ ნახევრად დამნავებულ აღმოსავლეთის ქვეყნების ამ ბრძო-  
ლას დახმარებას აღმუშენს თვით ეკროპის დემოკრატია; ეკრო-  
პის მუშათა მოძრაობა დღითა-დღე იზრდება, ბრძოლა თანამედროვე  
სოციალურ უკუღმარტობის წინააღმდევ თანდათან მწვავდება და  
ეს მოძრაობა, ეს ახალი საზოგადოებრივი ძალა ბუნებრივი დამხმარე-  
იქნება აღმოსავლეთის ხალხთა მათ ეროვნულ ბრძოლაში—მეთქი.  
დავით მიქელაძე დატოვა წერილის პირველი ნახევარი, მაგრავ და-  
ნარჩენი, რაც შეეხებოდა ეკროპის დემოკრატიის, გადასდო და მითხა:

— გორგი. გარწმუნებთ, ეს შეტია.. წერილი კარგია, საინტერესოა. აღმოსავალეთში დაწყებულია ბრძოლა ევროპიელთა ექსპლორაციის წინააღმდეგ. მაგრამ, რა საჭიროა აქ მუშათა მოძრაობაზე, რაპარაკი.

მე წინააღმდეგის მტკიცება დაუუშვე და, სხვათა შორის, ვუთხარ:

— თქვენ, დავით, არ გესმით თანამედროვე მომენტი. დემოკრატიის ზრდა, მუშათა მიძრაობა არ მოვწონთ და არცა გწამთ. ამიტომ ყოველთვის ამ საკითხები ამიხინდებით ხოლმე.

ჩემი ეს სიტყვები დავითს ძალიან ეწყინა, კამათი შესწყვიტა  
და გადაჭრით გამომიცხადა:

— ამ სახით წერილის დაბეჭდვის წინააღმდეგი ვარ და ვერ დავბეჭდავ. თუ ბოლოს სრულიად ჩამოაშორებთ, წერილი დაიბეჭდვა. წავიდე ჩემი წერილი, ბოლო ცუტათი შეკმოჟღე, თვითონ გადაეცი სტაბას და მეორე დღეს წერილი დაიბეჭდა.

ამის შემდეგ ჩენ შორის უთანამოება გაძლიერდა და საჭირო შეიქნა ურთიერთობის საპოლიოდ გამორკვევა. ყველაფერი ვეამბეჭდების მეგობრებს — კიტა აბ ა წიძეს და ილია ნაკაშიძეს და დავიწყეთ შექმნილ მღვმარეობის გამორკვევა. ილია ნაკაშიძე ბოლოს ასეთი აზრი გამოსთქმა: მივმართოთ ილიას წინადადებით — გადამოგვცეს გაზეთი. ერთ-ერთი ჩენგანი დაამტკიცებინოს მთავრობას რეზაქტორად; თუ მოისურვებს, გამომცემლობასაც ვიკისრებთ, ოლონდ ბანკის განცხადებებს ნე წაგვართმევსო.

ეს აზრი ჩენ მოვიწონეთ და გადავწყვიტეთ ილიასთან მოლაპარაკების გამართვა. ხოლო დავით მიქელაძის ზურგს უკან რომ ლაპარაკი არ დაგვიწყო თა ჩენს მოლაპარაკებას ინტრიკის ხასიათი აზჭრინდა, გადავწყვიტეთ ჭველაფერი წინასწარ გვეთქმა დავითისათვის. მეორე დღესვე გამოკუცხადეთ ჩენი განზრახვა დავით მიქელაძეს და საღამოს სამთავრენა უკვე ილიასთან ვიყავით.

ილიამ ყურადღებით მოისმინა ჩენი წინადადება და გაკვირვებით შეგვიტოხა:

— რაზია საქმე? გაზეთი ისედაც თქვენ ხელშია. რისთვის-ლავინდათ ისერი ტვირთის აღებაო.

ჩენ ავუჩხენით, რომ დავითიან უკმაყოფილება გვაქვს. ვარდა ამისა, გაზეოდ არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს, რომ ჩენ შეგვიძლია ფული ვიშოვოთ და დაეხარჯოთ ახალ თანამშრომლიბის მოწვევისათვის და რომ, საერთოდ, გვინდა ახალი მიმართულება მავეეთ გაზის.

ილიამ ხელი ჩასჭადა მე „ახალ მიმართულებას“ და დაიწყო საუბარი, რომელმაც თაოქმის გათენებამდე გასტანა.

პირველად ყოვლისა ილია მე დაშეტაკა!

— გიორგი არ იყო, რომ ერთ-ერთ წერილში ამტკიცებდა — პარტიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩენშით, რომ ყველანი უნდა შევერთდეთ და შეერთებულის ძალით მივიტანოთ იერიშით მევ მანდა ვარ და ეს რაღა საჭიროა „ახალ მიმართულებაზე“ ლაპარაკიო.

მე ვუპასუხე, რომ არასოდეს მითქვამს, სხვა და სხვა მიმართულება არ უნდა არსებობდეს — მეოქი. ჩენ შორის, ბატონი ილია, განვაგრძე მე, განსხვავება დიდია. თქვენ, მაგალითად, დღევანჯელი

წოდებრივი ურთიერთობა ბუნებრივ და სამუდამო ინსტრუმენტიდ მი გაჩნიათ, თქვენ თანამედროვე სოციალურ წესწყობილებას არ უარ ყოფთ ძირი-ნ-უქსევიანად, მხოლოდ მის შეკეთება-შესწორებაზე უფრ-ქრობთ: ეს უკვე სხვა და სხვა მიმართულებაა, რომელთა ცალ-ცალკე არსებობის უარყოფა შეუძლებელია. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ დროებით სხვადასხვა პარტიები მოქმედებით უნდა გაერთიანდენ, რადვან ჯერჯერობით საერთო მტერი ჰყავთ. როგორც ეროვნულ იდეალისთვის მებრძოლოთ, ისე სოციალურ გარდა ქმნისათვის თავდა-დებულთ დღეს ხელს უწლის რუეთის პოლიტიკური რეები და ია ამ რეების დასამხობად შეიძლება სხვადასხვა მიმართულების ხალ-ხის შეთანხმებული ბოძოლა—მეთქი.

დაახლოებით ასეთი ტირადა წარმოვთქვი და ამის საბასუხო ილიამ დიდხანს ილაპარაკა:

— სამუდამო იმ ჩვენს ცოდვებს მიშახე არაფერი არაა. შეიძ-ლება დროთა მსვლელობაში წოდებრივობაც მაისპოს და სოციალისტური ერთობაც დამყარდეს. ვაგრამ ეს ზალიან ზორეული მომავლის ამბავია და მე ნაკლებად მაინტერესებს, რა იქნება ორასი-სამასი წლის შემდეგ. მე წინ ვიყურები უფრო აწლო და ვხედავ, რომ ის გზა, რომელზედაც ახალგაზრდობა სდგება, კარგს არაფერს ვვიქადის. თქვენ გინდათ წოდება წოდებაზე ააქციეროთ, კლასი კლასზე, ეს-კი დალუპას უქადის ჩვენ ერს. რუეთში რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან შორს არის. ხოლო თეთრმურობელობის დაცემა და საკონსტი-ტუციო რეების დამყარება სახეიროს ჩვენ, ქართველებს, არას მოვა-ცემს. ჩვენთვის სჯობია კანონიერ ფარგლებს შევეგუოთ და ვეცა-დოთ, ჩვენი ეროვნული ვინაობა შევინახოთ, ამ მიზანისათვის ბრძოლა საჭიროც არის და აწვარ ბრძოლისათვის ჩვენ პატარა ერს ძალაც შესწევს.

დიღხანს ილაპარაკა ილიამ ამ თემაზე. მისი სიტყვა, აფერადე-ბული ისტორიულის მაგალითებით, მარჯვე პოლიტიკურის მოსაზრე-ბებით, ჩვენი ქვეყნის წარსულისა და ამყო ცხოვრების საინტერესო ანალიზით, მეტად საგულისხმეული იყო, მაგრამ ჩვენ მაინც შეწუხე-ბულნი დაგმორდით ილიას: ჩვენ წინ აუარ იყო ის მძლავრი, სიცო-ცხლით საჟაჟ მებრძოლი, ის შეუდარებელი და მედვარი ეროვნული ტრიბუნი, რომელიც 60-იან წლებიდან დაწყებული რამდენიმე ათელი წლის განმავლობაში მეთაურობდა ჩვენ ერს. ჩვენ წინ იყო მოლლილი, რაღაც სასოწარკვეთილებითა და პესმიტიზმით გამსჭვალული, თუმცა ისევ ღრმა მოაზრე და მძლავრი მხატვარი ილია ჭავჭავაძე 90 იან წლებში, როცა ილიას ეს დალლილობა დაეტყო, ის მხოლოდ

ორჯერ გამოვიდა, როგორც მებრძოლი ტრიბუნი: ერთი, როცა  
ნ. დ-ნის (ივანე სპირ. ჯაბადაძის) წინააღმდეგ გაილაშქრა („ის-  
ტორია“) – იმ ნ—დ-სა, რომელმაც უურნალ „Северный Вест-  
ник“-ზი დაბეჭდა თავისი გესლიანი და ცილისწამებით იღსავს წე-  
რილები ქართველ ხალხის წარსულსა და აჯყუთე. მეორედ, როცა  
სომებ ცრუ-პატრიოტთა და ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმ-  
დეგ აღიმალლა ხმა („სომებთა ძეცნიერი და ჭათა ლალადი“). შემ-  
დევში, სახელდობრ რქისეთის პირველ რევოლუციის დროს, როცა  
საქართველოს აკტონომიის საკითხი რეალურად იყო დასტული, ილიამ  
კვლავ დაიკირა თავისი ადგილი მებრძოლ მეთაურისა, მაგრამ იმაზე  
შემდეგ.

საუბრის დასასრულს ილიამ ჩვენ წინადაღებაზე ისევ გვითხრო:

— ჩემი რჩევა, ამ ტელირთს ნუ აიკავებოთ ზურგზე. ნეტაც როგორმე მოაწესრიგომ ურთიერთობა შიქელადესთან. ყოველ შემთხვევაში ამ დღიებში პასუხს გატყვითო.

ମେଲାର୍ଯ୍ୟ ତଥା ମେସାମ୍ଭ ଲଙ୍ଘେ ଉପରୀକ୍ଷାମ ଦ୍ୱାରିବାରୁ ଏବଂ ଗାମନମିଳିକ୍ଷାଲା:

— თქვენი საქმე სრულიად მოულოდნერელად გათავსა; დღეს დი-  
ლით ჩემთან იყო დავით მიქელაძე და „ოტსტავკა“ შემოიტანა, აღარ  
შემიძლია გაზეთის საქმის წარსეპა, პირადი საქმეები მაჯვს, ქუთა-  
ისში უნდა გადავსახლდეო. ამნაირად, თქვენ დარჩებით რედაქციის  
გამგედ და როგორც გინდათ, ისე მოაწყეთ საქმე. მე თქვენი ფული  
არ მინდა, წარმოადგინეთ ხარჯთ-აღრიცხვა რა მე კიდევ გადავდებ-  
რამდენიც დაგჭირდებათ ჰენორარებს, მხოლოდ იქნიეთ მხედველო-  
ბაში, რომ ეს ფული მე ჩემი ჯიბიდან უნდა გავიღო და ძალიან არ  
გაადიდოთ ხარჯებით.

მართლაც დავით მიქელაძე მაღვ გამოკვეთხვა და ქუთა-ისში გადასახლდა, საგაზეთო მოღვაწეობას სრულიად შინანება თავი-ერთხანს ქუთაისის საადგილ-მამულ ბანკის გამგეობის წევრად იყო-და. ჩამოწმენსამე წლის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა.

ჩვენ მაშინვე შეცუდებით „ივერიის“ განახლებისათვის ზრუნვას. გადავწყვიტოთ რედაქტიაში მულმივ მომუშავედ კიდევ მოგვეწვია მხოლოდ ერთი, სახელდობრ ვასილ ჭერეთელი და გაპეტლიორებია გარეშე მომუშავეთა კონტიგენტი.

მივწერე წერილები ქუთაძეში გიორგი ზდანოვის და  
ალექსანდრე ნანე იშვილს, ბათომში გრივოლ ვოლსკის, სახ-  
ლვარ-გარეთ ვარლამ ჩერჭეზი შვილს და ნოე უორდანიას; ტფილისშიაც ვთხოვეთ დაბმარება ზოგიერთებს, სხვათა შორის ახალ-  
გაზრდა ინუნერს გიორგი დეკანოზი შვილს.

ქუთაისიდან მალე მივიღე პასუხი გიორგი ზდანოვიჩის ა-  
გან. იყი კმაყოფილებას აცხადებდა, რომ „ივერიის“ გამგებლობა  
ჩემ ხელში გადმოვიდა, თავისი და ოლექსანდრე ნანე იშვილის  
სახელით პრინციპიალურ თანხმობას მიცხადებდა გაზეთში მუშაობაზე,  
მხოლოდ უმატებდა:

— მე და ოლექსანდრე (ნანე იშვილი) მოკლე ხანში ჩამოვალთ  
ტფილიში და იქ ერთად მოვილაპარაკოთ გაზეთის საქმეებსა და  
სუებელზეო.

გრიგოლ ვოლსკიმ მუდმივ სისტემატიური თანამშრომელო-  
ბაზე უარი განაცხადა — დრო არ მექნებაო. მხოლოდ დროგაშორისებით  
მოგაწვდით წერილებსო. გიორგი დეკანოზი შვილმა დაიწყო  
კიდევაც მუშაობა, შეუდგა სამეცნიერო წერილების მოთავსებას. საზ-  
ღვარ-გარეთიდანაც მალე მოვიგიდა თანხმობა — ნოე უორდა ან ი-  
საგან და აპრილში კიდეც გამოგზავნა წერილები „პოლიტიკური  
პარტიები გერმანიაში“, სულ რვა ფელეტონი დაიბაჭდა 1896 წლის  
აპრილის და მაისის ნომრებში.

მოვიგიდა თანხმობა ვარლამ ჩერქეზი შვილისაგანაც,  
მაგრამ მისმა წერილებმა ვერ მოვისწრო, რადგან თავს დაგვატყდა  
მოულოდნელი ამბავი, რომელმაც სრულიად ჩაშალა ჩვენი გევშებით და  
განზრახვები.

მარსის პირველი რიცხვები იყო, როცა გიორგი ზდანოვიჩი  
ქუთაისიდან ჩამოვიდა; ოლექსანდრე ნანე იშვილისაც დღე-  
დღეზე მოველოდით; უკვე დაიწყო ბანკის კრებები. მე და გიორგი  
წავედით თეატრში „ბანკოვიადის“ სეირის საყურებლად. ავედით სცე-  
ნაზე, დავიტირეთ კორესპონდენტების იდგილები. იმავ წუთს სცენაზე  
გამოჩენდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოეძართა.

— აი თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოილო პირველი  
ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის“ დახუცის შესახებ..

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ თავზარს დამცემდა ეს აჩბავი,  
როგორ უცრად მიტრულებოდა ყველა იმედი ვაზეთის განახლე-  
ბისა, ვაზეთში თანამოაზრე ხალხის შეკრებისა და ახალ ჩიმართუ-  
ლებით მუშაობისა.

ილია კიდევ ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ მე ილარ მესმოდა..  
მხოლოდ მახსოვს, გიორგი ზდანოვიჩი უთხრა:

— არა უშავს რა ილია, ვაზეთის დახურვეს და მაგვარ თავში-  
დაკვრასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ერთს გამოფხიზლებისათვის.

— მეტი რაღა დაგვრჩენია, მაგით ვინუგეშოთ თავი! ნალელია-  
ნის ღიმილით გვიპასუხა ილიამ და მოვრუადა.

როგორც შემდეგში გავიგეთ, „ივერიის“ დახურვის მიწეზი იყო ჩენი თანამშრომლის ახალგაზრდა ბელეტრისტის ია ეკალაძის ფელეტონები, ეს იყო მოთხრობა ტფილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან: ცნობილ რექტორის ჩუდეცის დროის უმსგავსი რეკრიტის აღწერა, სემინარიის არეულობა და სხვა. ეს მოთხრობა ყუჩბარასაცნოთ გამსყდარა მაჟინდელ მაღალ სასულიერო წრეებში და მათი მოთხოვნით განხეთიც იქნა დახურული. გამახსენდა რაფიელ ერისთავის გაფრთხილება, რომელზეც ცხეოთ გვჭონდა ლაპარაკი: „თავი დანებეთ სულიერ მამებს, ახირებული ხალხია“.

ამგვარად, ქართველი საზოგადოება დარჩა უგანეთოდ. დიდის შეკადინებით ილიამ მოახერხა განეთის განახლება ათი თვეს შემდეგ: 1897 წლის თებერვლიდან, თუ იანვრის ბოლო რიცხვიდან, „ივერიამ“ ისევ დაიწყო გამოსცელა ცნობილ მწერლის და ისტორიკოსის ალექსანდრე სარაჯიშვილის ფაქტიურ რედაქტორობით.



## XVII.

„ნოვოე ობიექტების შემთხვევა“.—ძმები თუმანიშვილები.—გაზე-  
 თის მიმართულება.—ხომხების დევნა მთავრობისგან.—  
 ვასილ ვალიჩკო.—დავით საჩავალიშვილი.—ტფ. საქალა-  
 ქო არჩევნები.

„იურიის“ დახურვის შემთხვევა გაიარა ერთმა თუ ორში კვირამ.  
 ჩემთან მოვიდა „Новое Обозрение“-ს—რედაქტორი გიორგი  
 მიხეილის ძე თუ მანი შვილი და წინადაღება მომცა:

— ჩენს რედაქტირიში განთავისუფლდა მდინარე ადგილი. გოხოვთ  
 ეს თანამდებობა იყისროთ და ამასთანავე მეთაურები სწეროთ. თქე-  
 ნი გასამრჯელო თვეში თხუთმეტ თუმანაძე იყა, თუ კვირაში ორ  
 მეთაურს მარც დასწერო. მე უმუშევარი ვიყავი. ამიტომ, თუცა არ  
 მინდოდა რუსულ განეთში მუშაობა, თუმანიშვილის წინადაღება მი-  
 ვიღე და თან გამოვუტხადე:

— მე თანამა ვარ, მაგრამ საჭიროდ მიმართა გაგაფრთხილოა,  
 რომ ამამად ცდა არის ახალი ქართული განეთის დაასხებისა. თუ  
 ეს განხორციელდა, მე თქვენ განეთს თავს დავანებდ—მეოქი.

შეორე დღიდანევ შეუდექი ახალ რედაქტირიში მუშაობას.

„ნოვოე ობიექტენი“, თუ არა ვცუდები 84—წლებში დაარსა  
 სტეფანოვმა და შემდევ იგი შეიძინეს ძმებმა თუმანიშვილებმა. იმ გა-  
 ზეთში გარედან თანამშრომლობდენ უმთავრესად ქართველები: ნიკო  
 ნიკოლაძე, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), ალექ-  
 სანდრე ნანეიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე (ფსევდო-  
 ნიმით ვეტერან) დიმიტრი ნაზაროვი, გრიგოლ ვოლ-  
 სკი და სხვანი, რუსი მწერალი ივანოვიჩი (სვერენცი), ხომხები  
 —კარა მურჩა, კაჩიზნუნი, პავლე დოლუხანოვი და სხვა-  
 ნი. რედაქტორებად იყო ორი ქმა: გიორგი და ვასილი თუ-  
 მანიშვილები, ხოლო გამომცემლად ითვლებოდა მათი მესამე ქმა  
 —კონსტანტინე თუმანიშვილი. ამათი პაპა ბართველ თუმანიშვი-  
 ლი მეცე გიორგის მდინარი იყო, ხოლო მამა მიხეილ თუმანი-  
 შვილი ცნობილი ქართველი შწერალი იყო პირველ კორნცოვის  
 ნამესტნიკობის დროს თანამდროვე და მეცნარი გ. ერისთავის,  
 ნიკოლოზ ბარათი შვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის  
 და სხვა ჩვენი მწერლების და პოეტებისა. იმ ოჯახში ამიტომ შენა-  
 ხული იყო ქართული ტრადიციები. თუმანიშვილები ქართულ საზო-  
 გადო საქეცებში იღებდნენ მონაწილეობას; ხოლო მათი და, პატივუ-

მული ანასტასია თუმანიშვილისა, გიორგი წერეთლის  
ქვრივი, ცნობილი ქართველი მუხრალი და მოღვაწეა.

რაფაელ განეთის ბევრი გარეშე მომუშავე ჰყავდა, ამიტომ მუდ-  
მივ თანამშრომელთა რიცხვი ერთობ შეირე იყო. ჩემს გარდა მუ-  
შაობდა ერთი იხალვაზრდა რუსი, რომელიც ეგრედწოდებულ „პრე-  
სას“ ადგენდა, რუსეთის და ადგილობრივ ცხოვრების ქრონიკას—გასილ  
თუმანიშვილი, ხოლო უცხოეთის ამბებს კონსტანტინე თუმანიშვილი.

განეთის მთავარ ქრონიკორად იყო ახალვაზრდა პარმენ გე-  
დევანიშვილი, შემდევში ცნობილი ნაფიცი ვექილი. განეთი—ნამ-  
დევანიშვილი რუსული პროკრესულ-ლიბერალური მიმართულების იყო და უმ-  
დევილი რუსული მსახურებადა ადგილობრივ ინტერესებს: ერობის შემოღება,  
თავრესად ემსახურებადა ადგილობრივ ინტერესებს: ერობის შემოღება,  
ნაციც მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსება, ტფილისში უნივერსიტე-  
ტის გახსნა, საქალაქო თეითმართელობის გაფართოვება, ადგილობ-  
რის ხალხთა ეროვნულ კულტურის დაცვა და განვითარება—აი  
რა შეადგენდა ამ განეთის მთავარ საზრუნავ საქმეს.

მთავარი ჩენება რედაქტორი გიორგი თუმანიშვილი განა-  
თლებით იურისტი, გნიოთარებული და საქმაოდ ნიჭიერი პუბლიცისტი  
იყო. ვის კალამს, გარდა მრავალ საგანეთო წერილისა, ეკუთვნის ვრცე-  
ლი გამოკლევებიც: „К введению земских учреждений в Закавказье“, „Земельный вопрос в Закавказье“, „Ха-  
рактеристики и воспоминания“ და სხვა. როგორც ვთქვით,  
ქართულ საზოგადო დაწესებულებებშიც იღებდა მონაწილეობას: იყო  
წევრი—წერა-კითხვის საზოგადოებისა, დრამატიული საზოგადოებისა  
წევრი—წერა-კითხვის საზოგადოებისა, დრამატიული საზოგადოებისა  
და სხვა; მხურვალე მონაწილეობას იღებდა, როგორც ხმოსანი. ტყი-  
ლისის საქალაქო საქმეებში. შეორე მისი ძმა ვესილი აგრეთვე მონა-  
ლისის საქალაქო საქმეებში. შეორე მისი ძმა ვესილი აგრეთვე მონა-  
ლისობრიც იყო ქართული დასისა. თითქმის ორ წელიწადს ვმუშაობდი  
„ნოვ. ობოზრ.-ში“. მთავარი ჩემი საქმე იყო მდიგნობა: ვასწორებდი  
„ნოვ. ობოზრ.-ში“. მთავარი ჩემი საქმე იყო მდიგნობა: ვასწორებდი  
ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დასისა. თითქმის ორ წელიწადს ვმუშაობდი  
„ნოვ. ობოზრ.-ში“. მთავარი ჩემი საქმე იყო მდიგნობა: ვასწორებდი  
ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-

წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-  
წილეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და ერთხანს რე-

კავკასიის ბიუროკრატიას ჩვეულებად და კანონად პქონდა რომელიმე კავკასიელ ერის ნიშანში ამოღება ზა იმისი განსაკუთრებითი დევნა-შეეწროება. პირველმა მთავარ-მართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა განსაკუთრებით ქართველობა მიიჩნია იმპერიისათვის საშიშ ელემენტად და განსაკუთრებით ქართველ ერს დაუწყო დევნა. ქართული ენა, ქართული სკოლა, ეკლესია, ქართული საზოგადოებრივობა ათვალიშენებული იყო და განიცდიდა განსაკუთრებულს დევნას. იანოვსკი, სამოსწავლო ოლქის მმართველი მძვინვარებდა სკოლაში, ეგზარხოსები ეკლესიაში და, ბილის, მეფის ჯალაობმა აწამეს და ბოლოს დაქირავებულის მკვლელებით სიცოცხლე მოუსახეს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს—დიმიტრი ყიფიანს—, რომელმაც გაპტედა და ხმა ამოიღო ბიუროკრატიას ამ თავგასულობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. იმ ხანაში ბიუროკრატია კავკასიის დანარჩენ ერებს—სომხებსა და თათრებს თითქოს ეფერებოდა და, შედარებით ნაკლებ შეეწროებას აყენებდა, რათა ამგვარად იზოლიაციაში მოემზუდია ქართველი ერი და თავისუფლად, ხელშეუშლელად ეწარმოებინა მის წინააღმდეგ გამანადგურებელი პოლიტიკა.

90-იანი წლების დასასრულს, პირიქით, ჯერი მიღვა სომხებზე. ეხლა სომხობა იქნენ აღიარებული იმპერიისთვის მეტად საშიშ ელემენტად და კავკასიის ბიუროკრატიამ სომხებზე მიიტანა მძლავრი იერიში. სომხების ეკლესია თავიდანავე თითქმის დამოუკიდებელი იყო და რუსეთის ბიუროკრატია მის საქმეებში არ ეროდა. ეკლესია-კი დიდ როლს თამაშობდა ამ ერის ცხოვრებაში და თვალსაჩინო სამსახურს უწევდა ეროვნულ კულტურას. იგი მდიდარი იყო თანხებითა და მამულებით, თავის ხარჯით ინახავდა ეჩმიაძინში აკადემიას, რამდენსამე სემინარიას და მრავალ საეკლესიო და საერთო სკოლას კავკასიის ყველა კუთხეში.

აი, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება რუსეთის ბიუროკრატიამ და განიზრახა ეკლესიის თვითმართველობის მოსპობა, რათა ამით ძირი გამოეთხარა სომეხთა ეროვნულ კულტურის მასახურდოებელ საძირკვლისათვის. ეს ბრძოლა სომეხთა წინააღმდეგ,—უმწვერეგალესობამდე მივიღა მთავარ მართებლის გოლიცინის დროს, როცა სომხების საეკლესიო თვითმართველობა შეზღუდეს და ეკლესიას ყველა თანხები და აუარებელი მამულები ჩამოართვეს. სომეხთა ეროვნული კულტურა დიდ განსაკვდელში ჩააგდო ამ პოლიტიკამ და სომხობამაც აქტიური წინააღმდევობა დაიწყო. რუსეთის ბიუროკრატიასთან ამ საწინააღმდევობრივობას სათავეში ჩაუდგა სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაციულუნი“.



მამულების ჩამორთმევის დროს აქა-იქ მოხდა შეიარაღებული  
შეტაკებები პოლიციასთან, იმართებოდა მიტინგები და დემონსტრა-  
ციები, გამოდიოდა პროექტამციები და სხვა და სხვა. ერთი დემონსტრა-  
ცია ტფილისშიაც კი მიახდინეს. სადღაც, სომხეთში, ერთ შეტაკე-  
ბია დროს პოლიციამ სროლა აუტეხა ხალხს და ომდენიმე კაცი  
მოკლესადაც იქმნა: მოკლელთა მოსახლეებლად სამღვდელოებამ  
გადაიხდა ტფილისის ვანქის ტაძარში პანაშივიდი, რომელსაც დიდ-  
ძალი ხალხი დაესწრო. პანაშივიდის შემდეგ ეკლისიის ფართო ქზოში  
გაიმართა მიტინგი. ამავე წუთს ვანქის ტაძარს ალკა შემოარტყა  
პოლიციამ და ყაზახებმა. პოლიციამ შეამტკრია დაკატილი ალყათის  
კარები და წინადადება მისცა ხალხს — დაშლილიყო. ორატორი გა-  
ნაგრძოდა სიტყვის და ხალხი ადგილიდან არ იძროდა. მაშინ ყაზა-  
ხებმა გასაფრთხოებლად გაისროლეს თოვფები და შეცვინდენ ეკლე-  
სიის ქზოში. დაერიგენენ ხალხს მარრახებითა და სმლებით და დემონ-  
სტრაცია გაფარტეს. დაშინებულების ბრძოლა დამთავრდა მთავარმარ-  
ტებლის გოლიცინის მოკვლის განწრახეთ. ტერორისტები თავს  
დაეცნენ მას, როცა ეტლით გაისეირნა კოჯორის გზატკეცილზე და  
მდიმედ დასჭრეს.

“ ამის შემდეგ მალე ვოლიცინი უმაღლესმა მთავრობამ მოხსნა ადგილიდან და სომხების წინააღმდეგ ბრძოლა შესუსტდა. ხოლო რო-  
ცა კავკასიის ნაქანსტრიკად თავ. ვორონცოვ-დაშვილი დაინიშნა,  
სომხის ეკლესიას ჩამორიზმეული მამულები დაუბრუნეს და ეხლო  
სომხებს დაუწყეს მოფერება. ”

როგორც ზევით ვოქვით, 90-იანი წლების დასაწყისში ტფი-  
ლისში განხდა რუსების პოეტი და მწერალი ვას. ველიჩკო. ის, ეს  
მწერალი გახდა, ასე ვთქვათ, იდეოლოგად სომხობის მაშინდელ დევ-  
ნისა. კვეკასის მთავრობამ გადაუყენა ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ-ის“  
მაშინდელი რედაქტორი, ქართველი მოღვაწე ვასილ ჩერქეზიშვი-  
ლი და გაზეთი ველიჩკოს ჩაბარა. იმ დღიუან დაწყებული „კავკაზ-  
მა“ დაიწყო სასტიკი იმი სომხების წინააღმდეგ. სომხის ერი გამოცხადე-  
ბულ იქნა ანტისახელმწიფოებრივ ელემენტიდ და ილავსე ყოველგვარ  
ბოროტებით. გაზეთის ყველა ნაწილები—მეოთხრი, ფელეტონი, „პრე-  
სა“ მხოლოდ და მხოლოდ სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ერთოდ, ბურულახია მიაჩნდა ძველი წყობილების გამანადგურებელ კლასად; როგორც რეაქციონერს, მას სხულდა სომხის ერის ყოველი- ვი პალიტიკურ-ეროვნული მისწრაფება. ამავე დროს ის იყო ტიპიუ- რი მოსახლეობის რუსეთის იმპერიალიზმისა და ნამდვილი „ველიკოდერ- ევნიერი“. ყოველ მის სტრიქნზი აშერად მოსხანდა სიძულვილი არა- რუს პატარა ერებისადმი და თუმცა მარტო სომხებზე სწერდა, მაგ- რამ ყველა დაკვირვებულ მკითხელისოფერის აშერა იყო, რომ მარტო სომხები აქ არაფერ ჭუაში იკვენებ. მასხველს ერთხელ რაღაცის გამო გული მოუვიდა ველიჩქოს ვ. გუნიაზე.

—რას ჩააციდა გუნიაზი ქართულ ენას: ტფილისში მენახვირე- ებიც კი არა კადრულობენ ქართული და ლაპარაქის და სულ „უგლი, უგლი“-ს ყვირიანო. ეს ხუმრობით იყო ნათევამი, მაგრამ ამ უადგი- ლო ხუმრობაშიაც გამოსჭიოდა მისი სულიერი მიდრეკილება, რო- გორც რუსი იპპერიალისტისა.

უნდა აღნიშნოთ, რომ იმ ხანებში, ტფილისში გამწვავებული იყო ქართველთა და სომხთა ურთიერთობა საქალაქო არჩევნების ნიადაგზე. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში ველიჩქო სომხების წინა- აღმდეგ იყო და ამით გული მოიკო ქართველი სახოგადოების ერთი ნაწილისა, განსაკუთრებით ჩვენი ძველი თაობისა. ამათვან ბევრი მე- გობარი გახდა ველიჩქოსი და მისა დამცველი. მაგრამ ჩვენ, ვაშინ- დელი ახალგაზრდობა, აღშეფოთებული ვიყავით ველიჩქოს აღვირ- ზევებული იერიშით და კარგად ვხედავდით მის სულიერ მიდრეკილე- ბას, საერთოდ პატარა ერების წინააღმდეგ. ამიტომ „ნოვოე აბოზენი- ედან-ჩვენის მხრივ გამოვუცხადეთ ომი ოფიციალურ რუსულ გაზეთის რედაქტორს. დაიბეჭდა წერილები ივ. ზურაბი შვილისა, ილია ნაკაშიძის, გასილ ჩერქეზი შვილის და ჩემი. შემდეგ პოლე- მიკა არ შეწყვეტილა წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. პოლემი- კაში ჩაერიცნენ გიორგი თუმანი შვილი, ივანოვიჩი და სხვები. ვასილ ჩერქეზი შვილმა „ნორ. ქალაქ“-ის წინააღმდეგ დაიწყო თავისი პატელეტი „ნარ-დარდაქ“ (ახალი სულელი)...

ჩვენმა ამგვარმა გამოლაშქრებამ, ველიჩქოს წინააღმდეგ, ცო- ტა არ იყოს უკრაფილებაც კი გამოიშვია ქართველ საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ველიჩქოს თანამედრობდა. ამით ისარეგბლა ვე- ლიჩქო და ჩვენ წინააღმდეგაც გამოილაშქრა ინსინუაციებითა და ცილისშემცირით. სხვათშორის ერთ-ერთ წერილში ჩემ წინააღმდეგ ამგვარი ექსპრომტი მიძღვნა:

„Полу-парун, полу-батоно Лали!  
Кого учить вы пожелали?“

„Полу-поэт, полу-жандарм.

Как только встречу, в зубы дам“.

რასაკვირველია ამ ლექსმა დღის სინათლე ვერ იხილა: ჩე-  
დაქტორმა გიორგი თუმანიშვილმა უხერხულად დაინახა  
მისი დაბეჭდვა. მე ფოსტით გავუგზავნე ველიჩკოს საპასუხო  
ლექსი. ეს წერილი დავით სარაჯიშვილისთვის ეჩვენებინა  
და დავითმა საყვედური მითხრა. უნდა გამოვტყდე. მე თვითონ ვნა-  
ნობდი ამ ტლანტი ექსპრომტის გაგზავნას, მაგრამ დავით სარაჯი-  
შვილს ვუთხარი: „Полу-поэт, полу-жандарм“ ზედ გამოჭრილია  
ველიჩკოზე; ხოლო ეს „в зубы дам“ რითმამ მოიტანა მეოქვი.

საკვირველი იყო დავით სარაჯიშვილის მეგობრობა  
ველიჩკოსთან. დავით სარაჯიშვილი განათლებული  
და მოწინავე აზროვნების ადამიანი იყო; თითქმის მესამე დასელებსაც  
კი თანაუგრძნობდა; ნოე უორდანიას დიდი პატივისმცემელი  
იყო. როგორ ახერხებდა ამავე დროს ველიჩკოსთან მეგობრულ კავში-  
რის დაჭრას, ეს ჩემთვის გაუგებარი დარჩა. ისიც უნდა ვთქვა, რომ  
მე მქონია ველიჩკოს შესახებ ლაპარაკი ძველი თაობის ზოგიერთ  
წარმომადგენლებთან და, როგორც გამოვარკვიე, ისანი უფრო დიძლო-  
მატობდნენ: ვიცათ, კარგად გვესმის, რა ჭეშმარიტ რუსულის სულის-  
კვეთებით არის გაუღნითილი ევ იდამიანიო. მავრამ გარემოება ხელს  
გვიწყობს და უნდა გამოვიყენოთ.

უნდა აღვიშნოთ, რომ შემდეგში, როცა ქართველებსა და სომ-  
ხებს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავდა, ველიჩკოს პოლემი-  
კამაც მეტად უსიამოებნ ხასიათი მიიღო და ბოლოს ჩვენ თავი და-  
ვანებეთ ამ დაუსრულებელ კამათს, ხოლო როცა ვორონცოვა-და შ-  
კოვი დაინიშნა, ველიჩკო გადაყენებულ იქნა რედაქტორობიდან  
და რუსეთში დაბრუნდა.

სხვათა შორის, რუსეთშიაც განაგრძო თავისი პუბლიცისტური  
მოღვაწეობა და ჩვენ არ გვივიწყებდა. მახსოვს წერილები, რომელ-  
თაც ძალიან აალელვეს მისი მეგობრებიც-კი. ეს წერილები დაიბეჭდა  
„ნოე. ერემიაში“.

ველიჩკო ჯერ ლანძღვდა სომხებს: ანგარების ხალხია, ებრაე-  
ლების მსგავსი, არ დასანდობი, ფლიდი, გარყენილი და სხვა. შერე ჩვენ-  
ზე სწერდა: ქართველები რინდი ხალხია, ერთგული რუსეთისა, პა-  
ტიოსანი, მაგრამ ჩვენ, რუსებმა, ვერ გავიგეთ ამ ხალხის სულიერი.

თვისებები და მიღრეკილება და დავლუპეთ; ეს ხალხი მეომარი ხალხია, ომის დროს ის მაღლდება, ხოლო მშვიდობიანობის დროს სულით ეცება; ევროპიული კულტურა და კივილიზაცია მავნებელია ამ ერისათვის; იმისთვის საჭიროა სამხედრო სკოლა, სამხედრო სამსახური, იმგვარი სამხედრო ცხოვრება, როგორც კაზაკებს აქვთ; გიმნაზია და უნივერსიტეტი ამ ხალხისთვის გამოსადევი არ არის და სხვა ამისთანები.

ამის შემდეგ იმაზე აღარაფერი გამიგია, მხოლოდ 1904 წლის დაწყებისას წავიკითხე განეთებში იმის გარდაცვალების ამბავი და თან მისი უკანასკნელი „ინდერძი“, რომელშიაც მწარედ მოსთვამდა სამხეფო ტახტის ბეჭედ და აფრითხილებდა რუსის ერს—ჩვენ სათაყვანებელ რომანოვებს საშიშროება მოელისო.

\* \* \*

იმავ 1897 წელს მე პირველად გავხდი მოწმე ტფილისის საქალაქო არჩევნებისა. ეს ამბავი იმდენად საყურადღებო და საინტერესო იყო, რომ ცოტა დაწვრილებით უნდა მოყვეთ, მით უმეტეს, რომ იმ ხაზში ტფილისის ყველა საქალაქო არჩევნები თავის მიმდინარეობით და შედეგებით, ერთმანეთს ძალიან წააგავდა.

უნდა გაგახსენოთ, რომ მაზინ მოქმედებდა მეუის ალექსანდრე მესამის მიერ შეცვლილი და დამახინჯებული ახალი საქალაქო დებულება, რომელიც 1870 წლის დებულებასთან შედარებით, კიდევ უფრო ავიწროებდა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებას და კიდევ უფრო ზღლდა თვითმმართველობის სამოქალაქო ასპარეზს. საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ მსხვილ სახლის პატრონთ და მსხვილ ვაჭართ.

დადგა თუ არა 1897 წელი, როცა უნდა მომხდარიყო საბჭოს განახლება, „ივერიამ“ მაშინვე დაიწყო კამპანია: მხურვალე მონაწილეობით შიმშართა ქართველ სახლის პატრონთ, ვაჭრებს და ყველა იმათ, ვისაც საარჩევნო უფლება ჰქონდა,—დაუყოვნებლივ შეიტანეთ საქალაქო გადასახადებით,—ვინაიდან, ვისაც გადასახადები არ ექნებოდა სრულად შეტანილი, ისინი საარჩევნო სიებიდან გამოირიცებოდნენ. ეს მოწოდება, რასაკვირველია ჰქონდი დარჩა, რადგან ქართველ ამომირჩევლებს ბიურე რამ ორგანიზაციაც არ ჰქონდათ მოწყობილი, რომელსაც სიებით ხელში უნდა ჩამოევლო ქართველი საარჩევნო უფლებიანი ხალხი და აეძულებია ისინი—გადასახადები დროშე შეეტანათ. პპრილში გამოცხადდა სიები და მართლაც აღმო-

ჩნდა, რომ ბევრი ქართველი გამორიცხული იყო გადასახადების დროზე შეუტანლობის გამო. სულ სიებში იყო მოთავსებული 600-ზე მეტი სომები, 300-ადე ქართველი და 100-ზე მეტი რუსები და დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლები. ამგვარით ძალთა განშეყობილება ქართველების სასარგებლოდ არ იყო. მაგრამ სომხება არ გამოდიოდა გაერთიანებული ფრონტით. აյ იბრძოდა ორი პარტია: უმრავლესობას შეადგენდა ე. წ. „დეარცოვი ნომრების“ პარტია (ამომრჩევლები იქრიბებოდენ სათათბიროდ გოლოვინის პროსპექტზე „დეორცოვი ნომრებში“) ანუ „სოლოლაკელები“ როგორც ქართველები ვეძახოდით. ეს იყო სომხის მსხვილი ბურუუაზია, რომელიც წამოჭიმული იყო სოლოლაკის სასახლეებში.

მეორე პარტია იყო ე. წ. „სომხების ახალგაზრდების ჯგუფი“, რომელიც შესდგებოდა სომხების ინტელიგენციისაგან, სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებითა მოსამასახურებისგან და საერთოდ წვრილ ბურუუაზისგან: ის ამ ახალგაზრდა სომხეთა პარტიამ წინადადება მისცა ქართველებს—შეთანხმებულის სიით გამოვიდეთ სოლოლაკელების წინააღმდეგო. ბრძოლის თავტიკა აუცილებლად მოითხოვდა ამ შეთანხმებას, მაგრამ ქართველებმა წინადადება უარყვეს. როცა ამის გამო უევეკითხე ვლა დიმერ მიქელაქეს და სხვა ხელმძღვანელთ, საბუთად წინადადების უარყოფისა მოიყვანეს:

—შეთანხმება არ შეიძლება, რადგან სრულ ერთია სომხები მოგვარუებენ, რის მაგალითებიც ყოფილი წარსულში, და გარდა ამისა ჩვენ შორის ურთიერთობა შეტაც გამწვავდა და სჯობს მთელ სომხობას შევებრძოლოთ.

სამაგიიონდ ქართველი ამომრჩევლები „შეუთანხმდენ რუსებს, რომელთა უმრავლესობას შეადგენს ტფილისის მსხვილი მოხელეები და მოიჯარადრები—წმინდა წყლის,, ჰეშმარიტი რუსები“, როგორც შემდეგში ექახდენ ამ ხულიგან ელემენტებს.

დადგა არჩევნების დღე, ქართველებს არც ახლა ჰქონდათ ორგანიზაცია, რომელსაც უნდა ეწრონა ამომრჩევლები მოევანი საარჩევნო კრებაზე. მართლაც, ქართველობიდან მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლთა მხოლოდ  $39\%_0$ -მა, მაშინ როდესაც სომხების  $50\%_0$ -ზე მეტი მოვიდა არჩევნებზე, ცხადი იყო, რომ ამ პირობებში ქართველები უეჭველად დამტკდებოდნენ. მე პირადად მხოლოდ, ასე ვთქვაო, ფსიქოლოგიურ მომენტის იმედი მქონდა. ვფრქობდი, რადგან სომხების წინააღმდეგ მთავრობის მიერ სასტიკი ბრძოლაა გამართული და ოფიციალური პრესა მუქარას მუქარაზე უგზავნის სომხებს, ესენი ვერ გამედავენ უკიდურეს შოგინიზმის გამომულვნებას და ქართველ



ოც კანდიდატს შეიყვანენ საბჭოში მეთქი მით უმეტეს, ვფიქრობოდა მე რომ ქართველების სიაში შეტანილი არიან იღია ჭავჭავაძე და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეები, ამიტომ სომხები წინდანელულად მოიცევიან და არ მოისურვებენ ქართველთა ეროვნულ გრძნობის შელახვას მეთქი. მოლოდინი გამიცრუვდა; „სოლოლაქი-ლებშა“ სასტიკად დაგვამარცხეს; ოც კანდიდატიდან ქართველი აირჩიეს მხოლოდ შეიდი კაცი ისეთები, რომელთაც თითქმის არავთარი წონა არ ჰქონდათ ქართველ საზოგადოებრიობაში; მხოლოდ ერთი მოპყვავა ცნობილი საზო გადო მოღვაწე, ვასილ როსტომის ძე ყიფიანი, მაგრამ ამანაც ჩხები ასტეხა კრებაზე — ათი თეთრი კენჭი მეტი ჩამოთვალესო, გაშავებული ვარო. გააშავეს იღია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. დამატებით არჩევნებზე ყველა კანდიდატებშა უარი სთვეს და უარი განაცხადეს იმათაც, ვინც არჩეული იყო. ამრიგად ახალ საბჭოში მოპყვა მხოლოდ ერთი ქართველი თავ. გიორგი ორბელიანი.

საარჩევნო ბრძოლის ამგვარმა შედეგებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქართველ საზოგადოებაზე, სომხ-ქართველთა ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ამ ამბავს მე როი ფელეტონი ვუძღვენი „ივერიაში“. ალექსანდრე ქართველების შეცდომები ბრძოლის ტაქტიკაში, სომხის პლუტოკრატიის შევინიზმი და იმავე დროს ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ არც ქართველ ერს და არც სომხის ერს მთლიანად დანაშაული არ მიუძღვის, რომ არ ღირს ეროვნულ შუღლისა და ბრძოლის გამწვავება. ამ ჩემი ფელეტონების გამო ახალგაზრდა რესმა სოციალ-დემოკრატმა ლუზინბა წერილი მოათავსა პეტერბურგის მაშინდელი ს.-დ. დიდ უურნალში, თუ არა ვცდები „Начало“-ში, რომელშიაც მოიწონა ჩემი ანალიზი არჩევნებისა, მაგრამ მიკიუინა ეროვნულ მომენტის გახვიადება. პირიქით, ჩვენმა ძველმა თაობამ მიკიუინა ეროვნული მომენტის მიჩქმალვა, მიფურჩება.

ველიჩოსთან პოლემიკმ და საქალაქო არჩევნებმა შეტის მეტიდ აამხედრეს ქართველი საზოგადოების ის ნაშილი, რომელსაც ტონს აძლევდა ძველი თაობა, „ნოვ. ობოზრენიესა“ და თუ მანი შვილების წინააღმდეგ ყველა ლანდღვა-გინებითა და წყელვა-კრულვით იხსენიებდა გიორგი თუმანიშვილს, ეძახდა მას „მოღალატეს“ და სხვა. უნდა აღვიარო, რომ არც მაშინ მესმოდა და არც ეხლა მესმის, რამ გამოიწვია ესეთი გამწვავებული მძულვარება. უპირველესად ყოვლისა არ მესმოდა, რატომ უნდა ყოფილიყო თუ მანი შვილი

ქართველი პატრიოტი. ის სომენი იყო და რატომ უნდა ეღალატნა სომხებისათვის სწორედ მაშინ, როცა სომხობას დიდი განსაკუდელის დღე დაადგა. პირიქით, ნამდვილი საზიღრობა იქნებოდა, გიორგი თუმანიშვილი ველიჩე როს რომ მიმხრობოდა იმ დროს, როცა სომხობას უმოწყალოდ სდევნიდენ. მეორეს მხრით გიორგი თუმანიშვილი და მისი ძეგბი არასოდეს არ ეკუთვნოდენ იმ სომეს „იმპერიალისტებს“, რომელთაც ქართველები სძულდათ და სწადდათ ქართველების აღგვა დედამიწის პირიდან. პირიქით, ისინი მუდამ იმის ფიქრსა და ოცნებაში იყვნენ, რომ ეს ორი მეზობელი ერთი ერთმანეთთან მჰიდროდ დაკავშირებული ყოფილიყო. ამასთანავე ვიცი, რომ გ. თუმანიშვილის პოლიტიკა შემცდარი იყო, ის როგორლაც ცდილობდა სომეს-ქართველთა უთანხმოუბის დაფარვას, ეშინოდა საკითხების პირდაპირ დაყენების და შეთანხმებისათვის ნიმდვილ ნიადაგის მოძებნის, მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ მას ქართველი ერი სძულდა, უსამართლობა იქნება.



### XVIII.

პირველი ნაბიჯები საზოგადოებრივ ასპარეზზე. — დრა-  
 შატიული საზოგადოება. — ჩვენი ოეატრის მფლობელება  
 და ჩვენი არტისტები. — ხახალიშვილის ოეატრი და სახალხო  
 კონკურსი. — ნიკო ხუჭადოვი. — მარიამ დემურაძა.

ჯერ კიდევ „ივერია“-ში ვმუშაობდი, როცა მომიხდა ჩვენებური  
 საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზეუაც გამოსესლა.

ზუგულის დამდეგში პირველად გაიმართა დრამატიულ საზო-  
 გადოების კრება და მეც იქითკენ გავწიე. კრება დანიშნული იყო სა-  
 თა ად-აზნაურო ბანქის დარბაზში. შეკრებილიყო 30-40 კაცამდე და  
 მე მითხრეს ეს არაჩეულებრივი ამბავიაო, უფრო ხშირად 10-15 კა-  
 ცი თუ მოვა კრებაზეო.

შევედი თუ არა დარბაზში, წინ შემეგება ახლად გაცნობილი  
 მწერალი და მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი.

— ჴა, მობრძანდი გიორგი. დღეს უნდა ავირჩიოთ დრამატიულ  
 საზოგადოების გამგეობაშიო, მომეგება პეტრე.

— რას ამბობთ, ბატონო პეტრე. მე ჯერ უნდა მივიხდე. მოვი-  
 ხედო, გავიცნო ჩვენი საზოგადოება, მათი მუშაობა.

— არა, არა. ძველი რომაელების ანდაზა ხომ იყი: კრიტიკა  
 ადგილია, საქმის გაკეთება კი ძნელი. შენ სულ გვაკრიტიკებ, მოდი  
 და იმუშავე.

პეტრე უმიკაშვილი ძალიან ტქბილი სიმპატიური ადა-  
 მიანი იყო. ძველათგანვე მწერლობაშიაც და ყველა ჩვენ საზოგადო და-  
 წესებულებაში მონაწილეობას იღებდა. იყო მხნე და დაუზარელი მუშა-  
 კი. მეტად პატიოსანი, პირდაპირი და ამასთანავე დიდი ოპტიმიზმით გა-  
 უდინთილი. ყველას ამხნევებდა, აქეზებდა სამუშაოდ და ყოველ წერილ-  
 მან გამარჯვებაში ხედავდა „ბრწყინვალე“ მომავლის ნიშნებს. სიკვ-  
 დილამდე (გარდაიცვალა 1904 წელს) დაუღალავდა მუშაობდა: სწერ-  
 და პუბლიცისტურ წერილებს, თარგმნიდა მხატვრულ ნაწარმოებთ,  
 იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა დაწესებულებებში.

აღსანიშნავია ერთი მისი ცუდი ჩვეულება: უყვარდა მეტად ბევ-  
 რი ლაპარაკი. დაიცერდა ვინმეს ქუჩაში თუ სადმე და საშველს არ  
 მისცემდა. შახსოვს ერთი შემთხვევა. ქუთაისიდან ჩამოვიდა ნაფიცი  
 ვექილი ანტონ ლორთქიფანიძე, განთქმული თავის დროზე  
 როგორც მეტროტუველი და დიდი ოხუჯი. რუსთველის პროცეჭტის  
 პეტრე უმიკაშვილმა თვალი მოჰკრა ანტონს და მისკვ

გაეშურა. ანტონმა შორიდანვე დაინახა, გაჩერდა და მიაძახა:

— პეტრე. მხოლოდ ორი დღით ჩამოვედი ქუთაისიდან, ბევრი საჭმა მაჟის. თუ ლმერთი გწამს, თავი დამანებე, არ გამაჩერო.

აი ეხლაც, ხელში ჩამიგდო პეტრემ და დამიწყო ლაპარაკი ჯერ დრამატიულ საზოგადოებაზე, შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებაზე, მერე მოაყოლა მესამე დასელები და ჩემი პოლემიკა და სხვადასხვა. იმდენად შემიყოლია ამ ლაპარაკით, რომ არც გამიგია რას აკეთებდენ საზოგადო კრებაზე. რომ მივიხედვთ უკვე კანდიდატებს ასახელებდენ გამგეობის წევრობისთვის.

— გიორგი ლასხიშვილს ვასახელებ კანდიდატიდ — დაიყვირა პეტრემ, მას ხმა მისცა გიგო დიასამიძემ, კიდევ ვიღაცებმი და მე მართოა ამინისტიქს გაშეობის წევრიდ.

თითქმის ხუთი წელიწადი გიყავი დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში, მაგრამ უნდა გამოვტყდე ბევრი არაფერი გამიკეთებია. როგორლაც ინტერესი არ გამეღვიძია და საზოგადოების მუშაობის პი-რობებიც ისეთი იყო, რომ ბევრის გაკეთება არც შეიძლებოდა. დრა-მატიულ საზოგადოებას ფართო წესდება ჰქონდა და ამ წესდების ფარგალში შეეძლო ფართო სამოღვაწო ასპარეზი შემოეხაზა. მაგრამ სინამდვილეში ის იყო მხოლოდ ანტრეპრენიორი ქართულ თაიტრისა ტფილისში. იმთავითვე გარტო იმაზე ზრუნავდა, რომ ტფილისში ყო-ფილიყო სისტემატიური წარმოდგენები, იწვევიათად ქუთაისში ოუ გა-გზავნიდა დასს საგასტროლოდ. ასეთ ვიურო ფარგალში მუშაობის გამო, დრამატიულ საზოგადოებას მასსა სრულებით ვერ იცნობდა და საზოგადოებაშიაც მაინც და მაინც დიდი გავლენა არ ჰქონდა მო-პოებული. წევრთა რიცხვი ცოტა იყო, შემთხვევაში ნაკლები; იღებ-და სუბსიდიას თავადა-აზნაურობისაგან და დიდის ჭაპანწყვეტით უძ-ლებოდა თავის საანტრეპრენიორო საქმეს.

გამგეობის თავიდომარედ გაშინ არჩეული იყო დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი, წევრებათ — ივანე მაჭავარიანი, ნიკო ისარლიშვილი და ქილევ აღარ მახსოვს ვინ. დანარჩენები ძველები დარჩენა.

არტისტების თაიღული თავდები უნდა ყაფილიყო იმისა, რომ ქართულ თეატრში საუცხოვო და დიდი ხელოვნების წარმოდგენები უნდა გამართულიყო. მართალია, იყო კარგი წარმოდგენები: იმისთანა პირველარისხოვან ნიჭის არტისტების თამაში, როგორიც იყვნენ ლადო მესხი შვილი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნიაცაგარელისა, მარიამ საფაროვაბაშიძისა, რასაკვირველია, ბევრს რასმეს აძლევდა და ეუბნებოლა მაყურებლის გონიერასა და სულს, დიდ ესთეტიურ სიამოვნებას განაცდევინებდა მას, მაგრამ, საერთოდ, ქრთული თეატრი ვერ იდგა იმ სიმღლეზე, რომელზედაც უნდა მდგარიყო,—ის თეატრი, სადაც ბედნიერმა შემთხვევაშ თავი მოუყარა—იშვიათის ნიჭის არტისტებს.

შთავარი მიზეზი ამისა იყო ქართულ თაეტრის უსახსრობა. არტისტები ერთობ მცირე გასამრჯელოს იღებდენ და სანახევროდ შშიერები იყვნენ. სეზონის განმავლობაში კიდევ როგორდაც ახერხებდენ ადამიინურად ცხოვრებას, დანარჩენ 7—8 თვეს როგორ სძლებდნენ—ეს ალაპმა უწყის. მხოლოდ სცენისადმი უზომო სიყვარული იქცერდა ამ ხალხს; ეს რომ არ ყოფილიყო, ყველა გაიფანტებოდა აქეთ-იქით სამსახურში და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს. თავის-თავიდ ცხადია, რომ ნახევრად შშიერი არტისტი, რომელიც მუდამ ლუქმა-პურის შოვნის ფიქრსა და ზრუნვაში უნდა ყაფილიყო, ვერ ემსახურებოდა ხელოვნებას მთელის თავის ძალითა და შესაძლებლობით. ამით აიხსნება, რომ არტისტები ხშირად გულგრალად ეკიდებოდენ თავის საქვეს; არ დადიოდენ რეპეტიციებზე, ხეირიანად როლებს არ სწავლობდნენ და სხვა. დრა არ ტიულ საზოგადოების გამგეობა ამაიღ ებრძოდა ამგვარ უწესებას, არაფერს შევლოდა — არც თხოვნა, არც მუქარა, არც რეპრესიები. გარდა ამისა, იმავ უსახსრობის გამო ძალიან სუსტობდა სცენის ტექნიკური მხარე; არც ტანისამოსი იყო შესაფერისი, არც დეკორაცია, არც მოშუმბილობა. რასაკვირველია, ამგვარ პირობებში ვერ დაიკავდით საჭირო ანსამბლს და ვერ მიიღებდით მაღალ ხელოვნების წარმოდგენებს. ნამეტანავად დიდი უბელურება იყო როლების ურიგო შესწავლა. იშვიათად ხერხდებოდა ახალი პიესების დადგმა, რადგან როლების შესწავლას დიდ დროს ანუომებდნენ, ისიც უხეიროდ შესწავლას; ძელს პიესებშიაც არ იკოდნენ ხეირიანად როლები და ხშირად თავის სიტყვებს ჩაურთვდნენ ხოლმე, ან ამახინჯებდნენ აცტორის სიტყვებს.

მავალითად ერთი არტისტი, მართალია არა პირველარისხოვანი, მაგრამ თვალსაჩინო მაინც, გამოდის და პათეოურ მონოლოგში ამბობს: „თვალმოდრევილი და მუხლურემლიანი გევედრებით“ — მე

პირადად არ გამიგონია ეს ყოვლად უმსგავსო ფრაზა, მაგრამ si non e vero, ben trovato—იმიტომ რომ ამის მსგავსი დამახინჯებული სიტყვა, ან ფრაზა, ბევრი გამიგონია.

მე როგორლაც თავიდანვე ვერ შევეოვას არტისტებს. გამგეობის წევრიბის მოვალეობა იყო, სხვათაშორის, მორიგეობა რეპეტიციებზე. აი, ამ მორიგეობის დროს რაშედნიმე უსიამოვნო შეტაკება მომიხდა ზოგიერთებთან. შევატყვე, რომ საქმეში ჩემი ჩარევა კედა მომიხდა ზოგიერთებთან. შევატყვე, რომ საქმეში ჩემი ჩარევა უსიამოვნების მეტს არაფერს იწვევდა. ამიტომ, ჩემი მოვალეობის ასრულებაზე გულა ამიცრულდა და პატარა ხნის შემდეგ თავი დავანებე რეპეტიციებზე ციარულს. სეზონის განმაჟლობაში კიდევ დიდ უსიამოვნებას გადავეკიდე.

იმხანად ქუთაისიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ე ფეხია მესხი, რომელიც დასწი იყო მიწვეული. როგორლაც ისე მოხდა, რომ ეს არტისტი ძალიან იშვიათად გამოჰყავდათ სევნაზე, თუმცა საზოგადოება დიდი სიამოვნებით უსმენდა მას. დრამატიულ როლებს, უმეტეს შემთხვევაში, ავალი შვილის ქალი თავიშობდა. „ივერიის“ ოცცენტრმა ცოტა არ იყოს უხერხეული იღნიშნა ეს გარემოება: ახალგაზრდა ნიჭის მსვლელობას არ ძლევენ ჩვენს თეატრში; სეზონი მალე გათავდება და ე ფეხია მესხი მესხის ქალი მხოლოდ ორჯერ თუ სამ ჯერ მოგვასმენინესო. იმ საღამოს აღრე მივეღი თეატრში და ლადო მესხი შვილთან შევეღი კაბინეტში. ლადო მაშინ რეერსორი იყო. ის იყო გაზეთი წევკითხა და საიშნელის გაბრაზებით მომაძახა:

— Что за безобразие, я не потерплю такого оскорблений! ვინ დასწერა ასეთი უმსგავსობა?

შევატყვე ამ შენიშნის დაბეჭდვას მე მაბრალებს. დავიწყე თავის გამართლება, მაგრამ ლადომ სიტყვა შემაწყვეტინა: „Мне все равно, самому Илье Чавчавадзе я не прошу такого оскорблений“-ო.

მეორე დღეს თავმჯდომარემ გამგეობის საგანგებო კრება შოი-წვია და იქ მთელი საბრამდებლო სიტყვა წარმოსთქვა: გაზეთი შეურაცყოფას მაყენებსო, ბრალსა მდებს, თითქო მე განტრას ჩრდილში ვაყენებ ე ფეხია მესხის და ვაფარველობ ავალი შვილის ქალს. ეს მით უფრო შეუწყნარებელია გაზეთისაგან, რომ მისი მთავარი თანამშრომელი ჩვენი გამგეობის წევრია. იცის ჩვენი საქმეები. გამოდის რომ თვით გამგეობის წევრს შემოაქვს ჩემს ოჯახში არევდარევა და ინტრიგაო.

რასაკეირველია ამისთანა სიტყვას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი, გამგეობის სხვა წევრებიც დამეხმარენ, მაგრამ შეტაკება გამწვავდა. რადგან ლადო მესხიშვილი ვერ დავაჯერეთ, რომ ის ტყუილად აზეიადებდა რეცენზენტის უბრალო შენიშვნას და ყოველ შემთხვევაში გამგეობის წევრი აქ არაფერ შუაში იყო, ვინაიდან დაბეჭვდამდე არც კი წაუკითხავს რეცენზენტის ეს შენიშვნა.

Ցանկը պահպանության մեջ մտնելու օրը՝ ՀՀ վարչապետի կողմէն ստուգական համարում կատարված է առաջարկությունը՝ ուղարկելու համար ՀՀ վարչապետի կողմէ։ Վարչապետի կողմէ ստուգական համարում կատարված է առաջարկությունը՝ ուղարկելու համար ՀՀ վարչապետի կողմէ։

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, დარამატიული საზოგადოების საქ-  
მები მეტად ცუდად შიმდინარეობდა, მას ხალხი სრულიად ვერ იც-  
ნობდა და საზოგადოებაც ნაკლებად თანაუგრძნობდა. მე ნათლად  
ჟეფავდი რომ საჭირო იყო „საზოგადოების“ პრესტიუსის აღდგენა,  
საჭირო იყო მისი დახლოება მასასთან. ცხადი იყო, მხოლოდ ამ  
გზით შეიძლებოდა „საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესება და  
განვითარება. ამის გამო საზოგადო კრების მოწვევამდე მე წირუდ-  
გინე გამგეობას ვრცელი მოხსენება-პროექტი საზოგადოების რეორ-  
განიზაციისა. პროექტი დახლოებით შეიცავდა შემდეგს: „საზოგა-  
დოებას“ თავი უნდა დაენებებინა ანტრეპრენიორობისათვის; ტფილი-  
სის თეატრის საქმის წარმოება უნდა გადაეცა ამხანაგობისათვის,  
რომლისთვისაც ხელი უნდა შეეწყო სუბსიდიით და აღმოჩენა სხვა  
დაბმარება. თვით „საზოგადოებას“ კი უნდა ემუშავნა წესდების  
ფარგლებში უფრო თართოდ.

იმსანად ჩვენს პროცენტიაში გაძლიერდა ინტერესი სახალხო წარმოდგენებისადმი. მე ვფიქრობდი, ამით უნდა ესარგებლნა „საზოგადოებას“, დაეარსებინა პროცენტიაში განყოფილებები, შეემზადობატოული წრები აღვილობრივ სცენის მოყვარეთაგან. შემდეგ ეზრუნა რეპეტუარის გადიდება-გაუზჯობესებისათვის და სხვა ამგვარი, ერთი სიტყვით ხელი მოეკიდნა წესდებაში აღნიშნულ ფართო მოქმედებისათვის, ამგვარად, მე ვფიქრობდი, „საზოგადოება“ დაუახლოედებულა მასას და უურა ღიუ თანაგრძნობასა და ყორადღებას დაიმსახრებდა. ეს ჩემი პროექტი გამგეობამ უარყო.

უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ ტფილისის თეატრის საქმეს ვერა-  
ვითარი ამხანაგობა ვერ წაუძღვება და იმასაც დავკარგავთ, რაც  
დიდის ჭაპანშევით შევინარჩუნეთ აქტორადის, მაგრამ პროექტი  
იმდენად საყურადღებოა, რომ საზოგადო კრებას წარვუდგინოთ.

საზოგადო კრებაზე ჩემთა, მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია, ბოლოს იირჩიეს კომისია, ვასილ როსტომის დე კოფიანის თავმჯდომარეობით და მას მიანდეს საქმის ყოველმხრივი შესწავლა და შემდეგ კრებისათვის თავის მოსაზრებების წარმოლენა. მაგრამ ამ კომისიას არაფერი გაუკეთებია და საქმე ამნაირად მიღუჩინდა.

六

იმავე ხანებში მონაწილეობა მივიღე „სახალხო კითხვათა“ და  
სახალხო თეატრის საქმეში.

თანამედროვე მკითხველი ვერც კი წარმოიდგენს, რა ძნელი  
იყო ქართულ სახალხო ტეატრისთვის ფეხის ადგმა, რამდენი და  
რა ნაირნაირი დაბრკოლება გადაელობა მას წინ. მე არას ვატყვი  
ამაზე, რომ არც საქმაო ძალები იყო, არც სახსარი, არც რეპერ-  
ტუარი, არც ტანისამოსი და მოწყობილობა. ეს ყველაფერი ყოველ  
წარმოდგენისათვის განსაკუთრებით გამოძებნილი და მოპოვებული  
უნდა ყოფილიყო. მე მინდა ვიღებარაკა მხოლოდ იმ დაბრკოლე-  
ბებზე, რომელიც ამ საქმის ლეგალიზაციამ და ცხოვრებაში გატა-  
რებამ გამოიწვია. სახალხო წარმოდგენები, უკეთ ვთქვათ იაფ-ფა-  
სიანი წარმოდგენები ხალხისთვის იმ დროში უკვე იმართებოდა  
სხვადასხვა აღგიღას ტფილისში, მაგრამ ეს არ იყო ჯერ სხვალხ  
თვეტრი. საჭირო იყო სისტემატიური მუდმივი და არა შემთხვევი-  
თი წარმოდგენები. ამისათვის კი აუცილებელი საჭიროება იყო  
ქართულ სახლხო სათვატრო საქმის ლეგალიზაცია და შესაუერ  
ფორმაში, ორგანიზაციაში ჩამოყალიბება. და სწორედ ეს გავირდა  
საშინლად იმ შეკნელ დროში, როცა სახალხო თვეტრი და სახალ-  
ხო კითხვები, პოლიტიკურად არა საიმედო დაწყებად იყო განვი-  
ხადებული და ეს საქმე სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იყო მო-  
ქვეული.

სხვა რამეს წაკითხვა, რაც ამ სიებში არ იყო მოთავსებული. იქ კი იყო უმთავრესად რუსული კლასიკური ბელეტრისტიკა; „შემდეგ იქ იყო ისეთი ბროშიურები „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, „უვა-გილის აცრა“, „ჯვაროსნული ომები“ და სხვა ამგვარი. არც პოლი-ტიკის, არც ეკონომიკის, არც საერთოდ, სერიოზულ ცადნას იქ ადგილი არ ჰქონდა. ამგვარი მუხრუჭი ჰქონდა მოჭერილი სახალხო კითხვათა საქმეს რუსეთში, განაპირა ქვეყნებში. კი, არა-რუსთათვის, ეს საქმე სრულიად მიუწვდომელი იყო, რადგან კითხვათა გამართვა მხოლოდ რუსულ ენაზე შეიძლებოდა.

ტფილისში „სახალხო კითხვათა კომისიის“ თავმჯდომარედ იყო ცნობილი სახოგადო მოღვაწე ექიმი ნიკო ხუდადოვი. 1896 წელს მას მოსთხოვეს, წესდება შეადგინეთ თქვენი კომისიისათვისო. მე დავვსწირი ამ კრებას, რომელზედაც ხუდადოვმა წაიკითხა წესდების პროექტი. პროექტში ერთი სიტყვაც არ იყო მოხსენებული, რომ კითხვების გამართვა, ქართულ ენაზედაც შეიძლება. მე და ქართვე-ლებმა დამსწრებმა შევნიშნეთ ეს და მოვითხოვთ პროექტის წეს-წორება. გამიკვირდა, რომ ამ ჩვენ განცხადებას ხუდადოვი რო-გორლაც უკმაყოფილო ყოყმანით მიეგება...

— ამ საგანმანათლებლო სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდევარი გამოვიდა. ვშიშობ, ახლა კიდევ თუ დავიწყებთ ამაზე ლაპარაქს, წესდებას სრულიად არ დაგვიმ-ტკიცებენ. კრებაზე იყვნენ სომხები იმათაც მხარი დაგვიძირეს და, როგორც იქნა, შევატანიეთ წესდებაში შუბლი ადგილობრივ ენებზე სახალხო კითხვათა შესახებაც. მაგრამ ხუდადოვი მართალი იყო, წესდება ძლიერ-ძლიერით დამტკიცეს, ხოლო შუბლი ადგილობრივ ენების შესახებ ამოშალეს. ამის გამო ხუდადოვმა მითხრა:

— იმ სახალხო კრებაზე კრინტი არ უნდა დაგეძროთ ქართულ სახალხო კითხვების შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, იქ მყოფ რუ-სის ხულიგანებმა ჟურალება მიაქციეს თქვენს მოთხოვნას და სა-დაც ჯერ ას ზომები მიიღეს. რომ არაფერი გეთქვათ, შეიძლება პეტერბუგში წესდების დამტკიცების შემდეგ, ადგილობრივ რამე-ნირად, ნელ-ნელა შეგვეგმობა არებინა ქართული კითხვები.

არ ვიცი, რამდენად მართალი გამოდგევოდა ხუდადოვის დიპლომატია, მაგრამ ის-კი უნდა ვთქვა, რომ მოლოს და ბოლოს ეს საქმე მაინც უწესდებოდ, მთავრობის დაუმტკიცებლად, გავატარეთ ცხოვრებაში. მხოლოდ საბრალო ხუდადოვი ვერ მოესწრო ამას.

ექიმი ნიკო ხუდადოვი ფრინად სიმპატიური ადამიანი იყო. პირდაპირი, პატიოსანი და მოწინავე რადიკალურის აზროვნების

ერთხანს ის ჩვენებურ ნაროდნიკებთანაც მუშაობდა („ტეტიათა მოტრფიალე“), თუმცა შთამომავლობით სომეხი იყო. იმ ხანებში, როცა მე გავიცანი, ის რევოლუციონერი არ იყო, მაგრამ თანა-უგრძნობდა მებრძოლ პარტიებს, მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქალაქო თვითმართველობაში და როგორც ხმოსანი, ოპოზიცია-ნერი იყო, სოლოლაკის პლუტოკრატიის სასტიკი მოწინააღმდეგი. ჰმართავდა, როგორც ვთქვი, სახალხო კითხვეთა და სახალხო თე-ტრის საქმეს. ენერგიული, დაუღალავი მუშაკი იყო. ექიმის მოვა-ლეობასაც კეთილსინდისიერად ასრულებდა და დროს შოულობდა სა-ზოგადო მოღვაწეობისათვისაც. ტფილისში, უბრალო ხალხშიაც და ინტელიგენციაშიაც სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დაშვანებული. როგორც მოუსვენარი ოპოზიციონერი, ის მეტას-მეტად სტულდათ რუსის ხულიგნებს. მათი წარმოდგენით, ხუდადო-ვი იყო უკიდურესი რევოლუციონერი და ხელმძღვანელი ახლად დაწყებულ სარევოლუციო გარნისვლებისა ტფილისში. ბოლოს „ჭეშ-მარიტ რუსთა პარტიამ“ გადასწყიტა მისი მოკველი და ეს თავისი თითქმის პირველი ტერორისტული აქტი სისრულეში მოიყვანა: რკინის გზის საავადმყოფაში, თავის სამსახურში მიმავალს ნიკო-უკანიდან მიეპარა ხულიგანი და რევოლვერით მოჰკლა. სავადმყო-ფოდან თეცვივდნენ მსახურები და საზარელი სურათი იხილეს: მათი საყვარელი ექიმი სისხლის მორევში სცურავდა.

განსვენებული დიდის ამბით დაასაფლავეს. ტფილისის დიდ-ძალმა მუშამ, ინტელიგენციამ და ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღეს მონაწილეობა.

გართულ სახალხო თეატრს თითქმი ბედმა უფრო გაულიმა ვიდ-რე სახალხო კითხვებს, მაგრამ ვაი ამ ღიმილს, წარმოუდგენლად მა-ხინჯს და მრუდეს. პატარა ჯგუფმა, რომელმაც ითავა სახალხო წარმოდგენების ლეგალიზაციის საქმე, თითქმის ერთი წელიწადი იმუშავა ამისათვის. აალაპარაკა ქართული დრა-მატიული საზოგადოებაც, წ.-ქ. გამავრცელებელი საზოგადოებაც, სახალხო კითხვათა კომისიაც, ააშეცრა მრავალი იმ დროში გავლენიანი პირიც. ბოლოს, როგორც იქნა ადმინისტრაციამ ნება დართო ქართულ სახალხო წარმოდგენების გამართვისა, მაგრამ რანაირად: აუცილებლად წარმოდგენა უნდა ყოფილიყო ორსავი ენაზე, რუსულიცა და ქართულიც; რასაც ქართულად დავდგამდით, იგივე რუსულადაც უნდა დაგვეძგა.



სისულელე ამაზე შორს ველარ წავა, მაგრამ იძულებული ვიყენ-  
ვით დროებით მანც ავესრულებინა ეს ყოვლად უმსგავსი წესი.  
მასსოფს პირველად ავირჩიეთ ჩეხოვის „დაოვი“, უნდა გენახათ რა  
სასაცილოები იყვნენ, ჩენი სცენის მოყვარული, რუსულ პიესაში.  
ბევრს ეცადენ თელო სახოკია, იოსებ ქუთათელაძე, განსვე-  
ბევრს ეცადენ თელო სახოკია, მაგრამ თქვენ თითონ მიხვდებით,  
როგორი რუსი აქტორი იქნებოდა, მაგალითად თელო სახოკია...

რასაკიორველია ასეთი უმსგავსი წესი დიდხანს ვერ იმოგინებ-  
და. ორი სამი წარმოდგენის შედეგ იგი უქუვაგდეთ და 1894 წლი-  
დან გამეფდა ჩეხულებრივი ქართული რეპერტუარი ტფილისის  
ქართულ სახალხო სცენაზე. მაგრამ ახლა სხვა ძირიდან მოვაირა-  
მტერმა. სახალხო წარმოდგენები მანინ იმართებოდა, ეგრედწოდე-  
ბულ „აუკალის აუდიტორიაში“ (სახალხო აუდიტორია, ჩერქეზიშვი-  
ლის ქუჩაზე). ეს აუდიტორია მაშინ იყო „სახალხო კითხვათა კომი-  
სიის“ განკარგულებაში. ამ კომისიასთან არსებობდა რუსული სექ-  
ცია, რომელიც მართავდა რუსულ წარმოდგენებს და განაგებდა  
შენობასაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შენობა ქალაქს შესწირა  
ჟინობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ იღია წინა მანებრი შ-  
ვილ მა; შემდეგ სათეატროდ იგი გადააკეთესდა სცენა მოაწყეს ქარ-  
თველმა მუშებმა, სცენის მოყვარებმა და ხელმძღვანელობას უწევდენ,  
ქართულ სექციის დავალებით, განვენებული ინენერი გიორგი  
დეკანოზი შვილი და მაშინ ახალგაზრდა ცნობილი პედა-  
გოგი მიხეილ თაქთაშვილი. მიუხედავად ამისა, თვატრი გა-  
დასცეს რუსულ სექციას, რომელმაც თავი დანვე ითვალისწუნა ქართულ  
სახალხო თეატრის საქმე და ყოველგვარ დაბრკოლებებს უჩინდა ქართულ  
სექციას. რუსულ სექციაში იყო მაშინ რამდენიმე ნამდგილი შავრაზ-  
მელი, შოვინისტი და მათთან ბრძოლაში იხარჯებოდა მეტი დრო  
და უმეტესი ენერგია ქართულ სახალხო თეატრის მოღვაწეთა. საქ-  
მარისია აღნიშნო, რომ იმ შავრაზმელებმა თავიდნენ გადაჭრით  
გამოიუხადეს ქართულ სექციას, რომ ქართულ წარმოდგენისათვის  
მხოლოდ ერთ დღეს დაუთმობენ თვეში...

ამის დასახასიათებლად, თუ როგორ გვაწვალებდენ და რა  
მდგომარეობაში გვაყენებდენ რუსის ხსენებული შავრაზმელები, გად-  
მოგცემთ ერთ ეპიზოდს.

თავდებოდა 1894—1895 წლის სეზონი. შეთანხმებით შაბათს  
უნდა ყოფილიყო რუსული წარმოდგენი, კვირის კი ქართული. დი-  
ლა ადრიანად მე, როგორც სექციის მორიგი წევრი, აფიშებითა და  
ილეფებით მივედი თეატრში, წარმოდგენისთვის სხვადასხვა თაბ-  
ილეფებით

დარიგის დასაჭერად. კარებში შემეფეთა მოხუცი დარაჯი „სახალ-  
ხო კიოთხვათა კომისიისა“:

— თქვენი წარმოდგენა დღეს აღარ იქნება.

— როგორ არ იქნება, რატომ?

— შებრძანდით თეატრში და თქვენ თითონ დარწმუნდებით...

შევეღი და ასეთი სურათი გადამეშალა: ყველა სკამი ატანილი იყო სცენაზე, მთელი იატაკი თეატრის შენობაში აყრილი იყო და რამდენიმე მუშა გულმოდგინედ თხრიდა მიწას. ჩემ შეკითხვაზე დარაჯმა მიპასუხა:

— რუსულმა სექციამ გადასწყვიტა თეატრის გაფართოება ზო-  
მავალ სეზონისათვის და განკარგულება გასცა დღეს დილიდანვე დაგვეწყო მუშაობა...

წინ ზაფხულის სამი თვე გვედო. მიუხედავად ამისა, რუსულ  
სექციის შავრაზმელებმა კვირა დილით, ზემდეტი ფასი მისცეს მუ-  
შებს და დაიწყეს რეზონტი, რათა ჩვენი წარმოდგენა არ გამარ-  
თულიყო...

აი, ასეთ უცნაურ და მძიმე პირობებში იდგამდა ფეხს ქართუ-  
ლი სახალხო თეატრი. ერთის მხრივ მაშინდელი მთავრობის გაზეია-  
დებული ეჭვიანობა და თავდაუდებელი რეგლამენტაცია, მეორე მხრივ  
ეროვნული დამცირება და დევნა. და ბოლოს, საზოგადოების გულ-  
გრილობა, სრული ინდეფურენტიზმი. ყველაფერი ეს მეტის მეტად აძნე-  
ლებდა იმ მცირერიცხვან წრის მუშაობას, რომელმაც თავს იდგა ამ  
დიდი საქმის დაწყება. მართალია თვით ცხოვრების დაჯინებითი  
მოთხოვნა იყო სახალხო თეატრის არსებობა და აღრე იქნებოდა თუ  
გვიან, ეს საქმე გაძლიერდებოდა და განვითარდებოდა, მაგრამ თუ მაშინ  
იგი არ მოკვდა და გასაკვირველის ენერგიით იბრძოდა მრავალ ფრონტ-  
ზე, ეს აისწერა იმ უზომო სიყვარულით, რომლითაც გამსჭვალული  
იყო სახალხო თეატრისადმი მცირე რიცხვი სცენის მოყვარეთა,  
როგორიც იყვნენ მაგალითად ნიკო გოცირიძე, გ. ჯაბაური  
და სხვები, აისწერა საოცარი ენერგიით და მუშაობით იმ ორიოდე  
ინტელიგენტ მუშაკთა, რომელნიც იმთავითვე სათავეში ამოუდგნენ  
სახალხო თეატრს და თითქმის თავი შესწირეს მის გაძლიერებისა  
და განვითარების საქმეს. განსვენებული საზოგადო მოღვაწის  
მარიამ დემურიასი, და სხვათა სიყვარულმა, სახალხო სცენი-  
საღმი და დაულალავმა მუშაობამ, ქართული თეატრი ფეხს დაყენა,  
ასე რომ უკვე ორი სამი წლის შემდეგ სახალხო წარმოდგენები  
იმართებოდა არა მარტო „აუგალის აუდიტორიში“, არამედ რამო-  
დენიმე სხვა ალაგს...

აქვე მოვიგონებ ჩემ დებიუტს. როგორც სცენის მოყვარეობა, მეც მოვინდომე ჩემი სცენიური ნიჭის გამოცდა". მომცეს გიორგი ლაზარის როლი კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი. უნდა აღვნიშნო იმათ-თვის, ვინც ჩემი თვალების ამბავი არ იცის, რომ მე ერთობ ბევრი ვარ და ორ ნაბიჯზე ვერაფერს ვხედავ. ამ გარემოებამ დიდ უხერ-ხულობაში ჩამაგდო და თან . სამუდამოდ მომიქლა არტისტო-ბის ეინი.

თუ არ ვცდები, მეორე მოქმედებაში გიორგი ლაშა და დედო-ფალი ნაჩადს თამაშობენ. დედოფლის როლს ასრულებდა მარიამ დემურიასი. პირველსავე გაგორებაზე კამათლები იატაკზე გადმომი-ცვიდა. გადავხედე ჩემს ამალას, არავინ ადგილიდან არ იძერის, ცვიდა. გადავხედე ჩემს ამალას, არავინ ადგილიდან არ იძერის, ამალა შესდგებოდა შემთხვევით თეატრის დარბაზიდან მოყვანილ ახალგაზრდა ხელოსნებისაგან, რომელთაც სასტიკად ნაბრძანები ჰქონდათ, უძრავად მდგარიყვნენ მეფის სიახლოეს. დაბალი ხმით მივ-მართო კიდევ – „ქამათელი მომიძებნეთ“ მეოქი, მაგრამ ისინი იდგნენ გაშეშებულნი. სხვა გზა არ იყო, დავტრევი სახარძელი და დავიწყე იატაკზე ფორთხევა. ცოტა ხნის შემდეგ დედოფალიც გამომყვა და ასე კარგა ხანს დაფურისხთხავდით. ამალა კი თავზე დაგვჩერებოდა....

მესამე მოქმედებაში გიორგი ლაშა ცალთვალ ამოთრილი გა-შოდის სცენაზე. რეჟისორის თანაშემწე ცალ თვალს მიხვევს. ვეზვეშე-ბი, მარტენა თვალს ნუ მიხვევთ, რადგან მარტო ამ თვალით ვხედავ ცოტაოდნავ მეოქი, მაგრამ ჩემმა ხევწნამ არ გასჭრა: რეჟისორმა გრძანა, მარტენა თვალი აუხვიეთო. გამოვედი სცენაზე, საღაც შეკ-რებილია სასახლეს დიდებულები, სარდლები და სალაშქროდ გამზა-დებული ჯარი. მივედი ჯართან, ამოვილე ქარქაშიდან ხმალი და დავიწყე ჯარის გამამნენებელი სიტყვა. ამ დროს შომესმა ხმაურობა, რაღაც აურ-ზაური, ოდნავ ვხედავ კიდევ, რომ ჯარიც, სარდლებიც, დიდებულებიც, ჩემი ამალაც, სცენიდან გარმანი. მაყურებელში სიცილი და ყიუინი ასტყდა. მე მარტო ვარ სცენაზე და განვაგრძობ ჯარი-საღმი ჩემ მისალმებას... სანამ ხმალი არ ჩავაგე ქარქაში, სცენაზე არავინ არ გამოვიდა. მერე მიიხსენე, რომ ნამეტანი ახლოს მივსუ-ლეარ ჯართან და ყველას შეჭმინებია—თავებს წაგვაჭრის ეს ბრუკია-ნიო...

ეს იყო და ქს. ამის შემდეგ ქტიორობა აღარ გამიბედია და სა-ხალხო თეატრს ვემსახურებოდა, როგორც აღმინისტრატორი—სექციის წევრი,

1900 წლებიდან სახალხო თეატრი უკვე მაგრდება და შესამ-ჩნევი გაუმჯობესება ეტყობა. მცირერიცხვან წრეს ახალ სცენის

მოყვარენი ემატებიან. ქალებს ემატებიან სოფიო რომანიშვილები, მ. თუშმელი შვილი, გ. ანანაშვილი, ილიკო აღლაძე, რომელიც რეჟისორის როლს ასრულებს და სხვანი. მოხედეს სახალხო თეატრს პროფესიონალმა არტისტებმაც—ნატა გაბუნიამ, ელო ჩერქეზი შვილისამ, მარიამ საფაროვა-აბაშიძისამ, სვ. გოგოლი შვილმა (სვიმონიძემ) და სხვებმა.

სახალხო თეატრის გამაგრებასა და გაუმჯობესების საქმეშიც, როგორც მის დაარსების საქმეში, უდიდესი ღვაწლი, ვიმეორებ, მიუძღვის მარიამ დემურიასას. მას სწამდა სახალხო თეატრის იდეა და დიაზი წნიშვნელობა იმ დროისათვის, უზომო სიყვარულით იყო გატაცებული საქმისადმი და მთელი თავისი ენერგია, რომლით უხვად იყო დაჯილდურებული ბუნებისაგან, ამ საქმეს მოანდომა. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო თეატრის ფეხის აღვმისას და შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში, მარტო მარიამ დუმურიასას ეჭირა ხელში თეატრის ასამოძრავებელი ჩარხი; ის შოულობდა საჭირო თანხას, ის ზრუნავდა სცენისათვის საჭირო მოწყობილობის მოსაპოვებლად, მას მოჰყავდა სცენის მოყვარენი, არტისტები, რეჟისორები, ის პერთოვედა რეპეტიციებს, ის იბრძოდა „სახალხო კითხვათა კონისაში“... რამდენი ენერგია, რამდენი ტანჯვა და დამცირება. ჭეშმარიტად, უზომო სიყვარულმა საქმისადმი შეაძლებინა ამ აღამიანს ყველა ამის გადატანა.

შემდეგში, ცხრასინ წლებში, მარიამ დემურიასამ მეორე დიდი საქმე გამოიწყო. ეს იყო საბავშო უზრნალის „ნაკადულის“ დაარსება. ამ საქმესაც უზომო გატაცებით მიეცა. იშოვა გამომცემელი, შეაგროვა და მუშაობაში ჩააბა ბევრი ძეველი და ახალგაზრდა მშერლები; მთელი დღეები მოსუსტრად დარბოდა მასალების შესაგროვებლად, შერე სტამბაში, ცინკოგრაფიაში, მხატვერებთან და სხვა. უზრნალი დაარსებული იყო ცნობილი სახალხო მოღვაწის პავლე იოსებისძის თუმანიშვილისა და ცნობილ ქართველ ქველმოქმედთა მშათა ზუბალიშვილების ხარჯით. რამდენიმე წლის შემდეგ თუმანიშვილიცა და ზუბალშვილებიც საზღვარ-გარეთ გადასახლდენ, მათ საქმეებს აწარმოებდა ტფილისში რწმუნებული ვინე მეტალიცე, რომელმაც ჯერ შეამცირა უზრნალის ბიუჯეტი, შედევ თითქმის სრულიად მოსპოდახმარება. დიდი ენერგია და ტიდი ტანჯვა გამოიარა მარიამ დემურიასამ, მაგრამ უზრნალის გამოცემა შაინც განაგრძო...

ასე იტანჯებოდა და მოუსვენრად მუშაობდა ეს ქალი. ტყურ-  
 ლად არ ჩაუარა ყველაფერმა ამან: მარიამ დემურიასას გულის ავად-  
 შემოფონბა დასჩემდა და, ბოლოს, 1910 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა  
 ქალი, უეცრად გარდაიცვალა. მის დაკრძალვის დიდიალი ხალხი დაეს-  
 ტრო. კუბო შეჩერებული იქნა „ნაკადულის“ რედაქციისა და „ავგა-  
 ლის აუდიტორიის“ წინ,—იქ, სადაც დაუღალავად იღვწოდა გან.  
 სვენებული, სადაც დაიწვა მისი სიცოცხლე...



## XIX

უურნალ „მოამბეში“. წიგნების გამომცემელი ამხანა-  
გობა და ალ. ჯაბადარი.—ციქერი უკველდღიურ გაზე-  
თის გამ-ცემაშე—გუნიასაგან „ცნობ. უურცლის“ შე-  
ძინა. — გაზეთის მამართულება. — აჩჩილ ჯორჯაძის  
გაცნობა.. ახალი რედაქცია. ახალი განკეთი.

ჯერ კი და „ნოვეო ობოზრენიეში“ ვმუშაობდი, როცა (1898 წ.)  
უურნალ „მოამბის“ რედაქციამ თავის კრებაზე შიმიწვია. კრებაზე  
დამხვდნენ „მოამბის“ გამომცემელი და რედაქტორი, უახლოესი  
თანამშრომელნი და რამოდენიმე გარეშე თანამშრომელთაგანი.  
მახსოვს იყვნენ: ალ. ჯაბადარი, ალ. ქურია, ივ. მაჭივარიანი,  
ქევთიმე თაყაიშვილი, კიტა აბაშიძე და სხვანი. მსჯელობა იყო უურ-  
ნალის გაუმჯობესების საჭიროებაზე. მოხსენება გააკეთა ალ. ჯაბა-  
დარმა. სხვათა შორის, აღნიშნა დიდი ნაკლი, რომ უურნალში, წე-  
ლიწადზე მეტია, აღარ იწერიება წერილები შინაურ ცხოვრებაზე,  
უცხოეთის პოლიტიკაზე და, საერთოდ პეტლიცისტიკა სუსტიაო.  
აღარ მახსოვს, რა ლონისძიებანი გამომდგრავეს უურნალის გასაუმ-  
ჯობესებლად, მხოლოდ მე დამკისრა შინაური და უცხოეთის ყო-  
ვლთვიური მიმოხილვების მიწოდება. იმ წლიდან დავიწყე „მოამბე-  
ში“ მეშაობა და წელიწადზე მეტი ვწერდი შინაურ და უცხოეთის  
ყოველთვიურ მიმოხილვებს.

უურნალი „მოამბე“ დაარსა ქართველთა წიგნების გამომცე-  
შელმა ამხანაგობამ“. მმ ამხანაგობამ დიჯი როლი ითანაშა ჩევნს სა-  
ზოგადოებრივ ცხოვრებაში და საჭიროდ მიმართო ამის შესახებ ზო-  
გი ცნობა შიგაწოდო თანამედროვე მკიოხველს. მე-80 წლებში „ნარო-  
დოვლებების“ პარტიას ბლომად ჰყავდა თანამედრობელი ქართ-  
ველ ახალგაზრდობაში. ამათ პატარ-პატარი წრეები ჰქონდათ ტფი-  
ლისში და, საჭიროებისა და შეძლებისამცემ, აჩალევარულ მუშაო-  
ბასაც კი აწარმოებდნენ. იყვნენ აქ: მიშა ყიდუიანი, ალ. ჩანეი-  
შვილი სტ. ჭრელა შვილი, ალ. ჯაბადარი, ვასილ  
ცხრილაძე და სხვანი.

სახელდობრ არ ვიცი ვის, მაგრამ ი ამ მიმართულების ახალ-  
გაზრდათა შორის დაიბადა განხრახვა ქართველ ხალხში წიგნების  
გავრცელების, საზოგადოთ ქართულ წიგნების გამოცემისა. მმ ჯგუ-  
ფის მეთაური იყო პეტროვო-რაზუმოვოს სასოფლო-სამეურნეო აკა-  
დემიიდან გამორიცხული სტუდენტი ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბა-  
დარი. იმის მეცადინეობით 1887 წ. შესდგა „ქართველთა წიგნების

გამომცემული ამხანაგობა“, რომელიც მხნედ შეუდგა საქმეს. პირველ  
წელსევ მან გამოსცა ბაჩანას ლეგენდა „დაბადება და აღზრდა ერე-  
კლე ბატონიშვილისა“. იმ წიგნს მოჰყვა მოელი რიგი გამოცემები:  
დაცითაშვილის ლექსები, ქართული ზღაპრები, „ბნე-ოო“, შემდეგ კრე-  
ბულები გაზმევის, ილია ქავევაძის, რაფიელ ერისთავის, აკაკი წე-  
რეთლის თხხულებათა და სხვა. ეს დიდი საქმე არ იქმარა ამხანაგო-  
ბამ, და, როგორცა ვთქ̄ი, 1894 წელს დაარსა ყოველთვიური უურ-  
ნალი „მომბე“, რომლის გამოცემა გაგრძელდა თითქმის 12 წელს.  
უურნალი თავიდანვე კარგად იყო დაცენებული, მოწვეულ იქმნენ  
თანამშრომლობისათვის ყველა ჩვენი ცნობილი მწერლები — ძვლიცა  
და ახალნიც: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი,  
შემდეგ ალექსანდრე კუმნია, ექვთიმე თაყაიშვილი, თვით ჯაბადარი,  
ნიკო მთევრელიშვილი, ივანე მაჭავარიანი და სხვანი. პოლიტიკური  
განცოფილება ჩატარდა ჩვენ საუკეთესო პუბლიცისტს ნიკო ნიკოლა-  
ძეს, რომელიც სწერდა ზინაურსა და უცხოეთის ყოველთვიურ მი-  
მოხარვებს.

ქართველი საზოგადოება დილის თანაგრძნობით მიეკება ახალ ჟურნალს, პირველ წელიწადსვე ცხრასამდე ხელისმომშერი გაუჩნდა. ასე რომ პირველი წერი მეორე უნდა დატებულდათ, რათა დაკავშირდებოდათ ხელისმომშერთა მოულოდნებით რაოდენობა. ჟურნალთან ერთად ამხანაგობას, ანუ უკეთ ვსთვევათ აღექსანტე ჯაბადარს, რომელიც იყო სულის ჩართვებული და მოვლი გაომცემლობის საქმის მმართველი, ფიქრად მოსვლია ყოველდღიურ გაზეთის გამოცემაც, მაცადინეობაც დაუკუთხია მასისათვის, მაგრამ გაზეთის გამოცემისათვის ნებართვა ვერ მიუღია... ჯაბადარის ამ სურვილს შეუერთდა ჩენი — „მოამბეში“ ახლად მიწვეულ ახალგაზრდათა სურვილი და ფიქრი ყოველდღიურ გაზეთის დაარსების შესახებ. ერთმა გარემოებამ შეგვიწყო ხელი და ეს სურვილი 1900 წელს განხორციელდა. იმ ხანებში ვალიკო გუნია სცემდა ყოველდღიურ გაზეთს „ცნობის ფურცელს“. ეს გაზეთი იმ იუ სრულ-პროგრამიანი: გუნიას შეეძო მხოლოდ ახალ ამბების (ქრონიკა) და განცხადებათა ბეჭდვა. 1900 წ. ვალიკომ დააპირა გაზეთის დაკავშირა და ი, ამ გარემოებით ვისარგებლეთ ჩვენ და აღექსანტე ჯაბადარს „ცნობის ფურცელი“ იყიდა. რედაქტორად წარდგენილ იქნა „მოამბის“ რედაქტორი ალექსანდრე ჭავნია, გამომცემა და თან ჯაბადარი შეუდგა მცედინეობას პროგრამის გაფართოებისათვის. იმავე წლის დეკემბრისათვის მოვიდა ეს ნებარ-

თვალ და ამგეარად, როგორც იქნა, დაგვირგვინდა ჩეენი კარგა ხნის მ-ლოდინი და სურვილი საკუთარ გაზეთის დაარსების შესახებ.

გაზეთის წარმოგბის საქე ალექსანდრე ჯაბადარმა მე ჩიმაბარა. პირველ — ხანში, რედაქტირაში ვიყავით მხოლოდ მე და შაქრო ბილანიშვილი. პატარა ხნის შემდეგ მოვიმატეთ კიდევ ერთი თანამშრომერი ვლადიმერ ლორთ ჭითანი დე.

გაფართოებულ გაზეთის პირველსავავ ნომერში მე მოვათავსე ახალი ორგანოს „მრწამსი“. Profession de fu i, რომელიც უწდა აქე ესთქვა, ცენზურამ საქმაოდ დაამახინება. ამ წერილში მე დელინიშნე ახალ ორგანოს მიმართულება, აღვნიშნე მიჯნები ახალ მიმართულებისა. მე ვწერდი, რომ 60-ანი წლების თაობამ აღმართა ეროვნული დროშა. ჩეენ ამ დროშას ვიღებთ ხელში, მაგრამ გვინდა ის ახალ ნიადაგზე გადავიტანოთ. ეს ნიადაგი არის ახალი სოციალისტური სტრუქტურა, რომელიც მოჰყვა გლეხთა განთავისუფლებას. ძევლი ფეოდალური ურთიერთობა იშლება და ახალ წესწყობილებას უთხობს ადგილს; ქვეყნა გაევროპიელების გზის დაადგა და საისტორიო არენაზე გამოდის თვით ხალხი, მშრომელი ხალხი. ჩეენი ცდა იქნება ეროვნული იდეა შეუფარდოთ ამ ახალ სოციალურ ნიადაგს, ეროვნული დროშა გადავიტანოთ ახალ ელემენტში — ხალხში...

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შეუდგა ამ ახალი გზის გარეუვას, ახალი მამართულებისათვის სამსახურს. პირველ ხანებში ეს მეტად ძნელი საქე იყო, მაშინდელი პოლიტიკური პარობების მიხედვით, მაგრამ პირველ რევოლუციის ხანაში, როცა პრეზამ ცოტათი სული მოითქვა, გაზეთმა უფრო ფართოდ და მკაფიოდ შესძლო არჩეული გზით სიარული. პარეელად ყოვლისა ჩეენ გადაწყვიტეთ გაზეთი, ასე ესთქვათ, ტექნიკურად კარგად დაგვეყუნებინა. — გავადიდეთ ფორმატითავითანვე, შემდეგში ფორმატს კიდევ უფრო მოუმატეთ და ხშირად ზედმიტ ფურცელსაც გუმატებდით; კარგი ქალალდი, კარგი ახალი შრიფტი. თავიდანვე შეუსექით შეცადინების სურათებიანი დამატების გამოცემისათვის და უკვე რამოდენიმე თვის შემდეგ ჩეენ გაზეთთან ერთ და შეითხველი ღებულობდა ჯარ კვირაში ერთხელ, შემდეგ ორჯერ სურათებიან დამატებას. ჯაბადარმა თავის სტანდასთან გაიხინა საეუთარი ცინკოგრაფია, სურათების კლიმენტის დასამზადებლად. გაზეთის საინფორმაციო ნაწილი უნაკლოდ მოვაწყვეთ: გვუვდა ჯერ ორი და შეძლებე სამი მუდმივი ქრონიკორი. რასკვირველია ყველა დეპეშები, რა დროსაც უნდა მიგველო, იმავე დღეს თუ ღამეს ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა... ენერგიულმა მცუდინეობამ, გაზეთის ტექნიკურ და შინაარსის მხრივ გაუმჯობესებისათვის,

„ცნობის ფურცელი“ იმდენად წასწია ჭინ, რომ აჯგილობრივ ოუ-სულ გაზეობს არა თუ ჩამოუკარდებოდა რამეთი, ბევრის მხრივ კი-დეც გაუსწრო მათ. ამ გარემოებამ ერთი დიდი საქმე მოახდინა: ქა-რთველი საზოგადოება ტფალისში და პროვინციაში, მანამდის რუ-სულ გაზეობის კითხებს მიჩვეული, ეხლა ქართულ გაზეთს დაუბრუნ-და. გაზეთის ტირაჟი დღიური-დღე იზრდებოდა: 1902 და 1903 წელს ის ავიდა 8000—9000 მდე, იაპონიის ომის დროს კი „ცნობის ფურ-ცელის“ ტირაჟი უკვე ცამეტი ათასი ეგზემპლიარი იყო. შეიდი წლის წინად „ივერიას“ ტირაჟი უდირდა 600 ეგზემპლიარს. როგორც ხე-დავთ, პროგრესი უტყუარი იყო. მართალი ვიყავი, როცა მარინ ილიას ვუმტკიცებდი, რომ გაზეთზე ფულის დახარჯვა, ფულის გა-დაყრდა არ არის.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ილიას არ შეეძლო იმდენი თანხის დახარჯვა, რამდენსაც ჩვენ ვხარჯავდით „ცნობის ფურცელის“ შესაფერის სიმაღლეზე დასაყენებლად. ეს შესაძლებელი გახდა ალ. ჯაბადარის შესანიშნავ ენერგიისა და მოხერხების წყალობით. სწო-რედ იმ ხანებში ალ. ჯაბადარმა მოახერხა ტფილისი უდიდეს და პირველ ელექტრო-სტამბის მოწყობა; ამის მეოხებით მან ხელში ჩაიგდოდ ამიერ-დავკასიის რეინის გზის მთელი სასტამბო საქმე, რაც დიდ შემოსავალს აძლევდა. ეს სტამბა კარგად იყო გამართული, ვა-ხეის ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, რომელიც საგანგებოდ იყო გადიდებული სტამბის საჭიროებისათვის. მუშები, ასოთამეტყობები, სარდაფიდან ამოკანილ იქმნენ ზემოთ დიდ და ხათულ დარბაზებში, პირველი ტფილისში ამ სტამბაში იყო განხურულებული რვა საათის სამუშაო დღე. როგორცა ვთქვი, ჩვენი გაზეთის საონფორ-მაციო ნაწილი საუცხოვოდ იყო დაყენებული.

მაგონდება ერთი ამბავი. მაშინ არსებობდა მხოლოდ ერთი დეპე-შათა სააგენტო — „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“, რომლით იკვეუ-ბოდა მთელი რუსეთის პრესა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს პეტერ-ბურგში დაარსდა ახალი აქციონერული საზოგადოება „პეტერბურ-გის დეპეშათა სააგენტო“, რომლის დეპეშების დაკირა ძვირიდ ჯდებოდა. ჩვენ მაშინვე გამოვიწერეთ ამ სააგენტოს დეპეშებიც და ამიტომ ჩვენ გაზეთში ყოველთვის უფრო მეტი ცნობები იყო, ვიზრა სხვა ადგილობრივ გაზეთებში. ერთ ღამეს გვინ მოვიყიდა ფრიად სენასაციური დეპეშა დიდ ჯავშნიან გრმის „პეტერბადელოვსკის“ და-ლუპვის შესახებ. გემი დაეჯახა იაპონელების ნაღმს და ჩაიძირა მთე-ლის ეკიპაჟით. დაიღუპა ამ გემსე მჯდომი ცნობილი აღმირალი მა-კაროვი, რომელზედაც მაშინ რუსეთი დიდ იმდებს ამყარებდა. ჩვენ

გემის „პეტრეპავლოვსკის“ და ილმირალ მაკაროვის სურათები წინად გვექნდა დამატებაში მითაცემული, ამიტომ გაზეთში დეპეშასთან ერთად, ხსენებული კლიშეებიც მოვათავსეთ. დილას მარტო ჩვენი გაზეთიდან გაიგო ტფილისმა ეს სენსაციური ამბავი, დილა-ადრიანად ჯაბადარა მთავარ-მართებლის სასახლეში გაიწვიეს, იქ ყვილანი თავზარდაცმული იყენენ, მაკაროვის დალუპის ამბით. დაუშეს ჯაბადარს გამოკითხეა, საიდან და როდის მიიღეთ ეს ცნობა, იქნება მართოლიც არ არისო. სწორედ იმავე წუთს სასახლეში მოიტანეს „რუსეთის დეპეშათა სააგნენტოს“ დეპეშები, სადაც იგივე ამბავი იყო დაგვიანებით გადმოცემული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველ წელში რედაქციაში მუდმივ თანამშრომელებად ვიყავით მხოლოდ ოთხი კაცი: მე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, შაქრო ბილანი ჭვილი და ქორნიკორია ქაიხოსრო ქავთარაძე. მაღვ ახალი თანამშრომელიც მოგვემარა:

1901 წლის გაზაფხულში რედაქციაში ვისხდით მე და შაქრო ბილანიშვილი, როცა უკურად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა შესახედავად მეტად სიმპატიური ახალგაზრდა, რომელმაც მე მიკიოთხა. მივვეგებე, გამეცნო: არჩილ ჯორჯაძე ვარო. მე იმას არ ვიცნობდი, თუმცა მისი ამხანაგებისგან ცოტა რამ გაგონილი მქონდა. არჩილმა გამოთქვა სურვილი ჩვენ გაზეთში მუშაობისა; ლიდხანს ვისაუბრეთ საიმდროო საკითხებზე და ბოლოს გადავშვეიტეთ, რომ კაზეთიდან დაბრუნების შემდეგ არჩილი დაიწყებდა გაზეთში მუშაობას როგორც მუზმივი თანამშრომელი.

შემდეგ წელს შოგვემატა კიდევ საში ახალი თანამშრომელი: „ივერიიდან“ ჩეგნათან გადმოვიდენ: სამსონ ფირცხალავა-გიგო რცხილა და ილ. ალლაძე. პირველ რევოლუციის დროს რედაქციაში შემოყვანეთ რუსეთიდან ახლად ჩამოსული ჩვენი თანამოაზრო ახალგაზრდა შიო ჩიტაძე—აი ეს უახლოისი თანამშრომელნი „ცნობის ფურცლისა“ შეაღვენდენ სარედაცვიო კოლეგიას, გაზეთის დახურვამდე.

მუშაობა ამნაირად თავიდან გვექნდა განაზილებული: არჩილ ჯორჯაძე (საზღვარ გარეთ გამგზავრებამდე), გიგო რცხილაძე და შეაშერდით მეთაურებს, აგრეთვე ვაწარმოებდით განცოფილებებს „პრესა“ და „რუსეთის ქრონიკა“. შაქრო ბილანიშვილი აწარმოებდა უცხოეთის ქრონიკას (უფრნალ-გაზეთებიდან); ვლადიმერ ლორთქიფანიძეს ჩაბარებული ჰქონდა ქალაქის საბჭო („მამათა დარბაზიდან“) და სხვა საზოგადო დაწესებულებათა კრებები; კიტა აბაშიძეს და ხანდახან გრიგოლ რცხილაძეს (ფსევდონიმი „ზანგი“) ეფალებოდა

ლიტერატურული კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. სამსონ ფირცხალავა იყო საკვირაო ფელეტონისტი, ხანდახან სწერდა სხვა პუბლიცისტურ წერილებსაც (ფსევდონიმები „კალაში“ და „სიტყვა“); ილიკო აღლა-  
ძე იყო ჩვენი რედაქციის მდივანი. გარდა ამისა ჩვენს გაზეთს ბლო-  
გად ჰყავდა გარედან თანამშრომელნი: ანდრია და გიორგი დეკან-  
ზიშვილები, იოსებ გელევანიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ოსიკო ცაგა  
რელი, განდეგილი, შიო ახაგვისპირელი და სხვა. აქვე აღვნიშნავ,  
რომ თანამშრომელთა ეს შემადგენლობა იყო 1910 წლამდე, სანამ  
მოხდებოდა რედაქციის თითქმის ყველა წევრთა დატუსაღება; ამის  
შემდეგ რედაქციაში ბევრი ახალი თანამშრომელი გაჩნდა, მაგრამ  
ამათზე ქვემოთ გვეძნება ლაპარაკი.

ზემოაღნიშნულ ოდაქციის პირველ კოლეგიის წევრებს, როგორც მაგალითად, არჩილ ჯორჯაძეს, კიტა აბაშიძეს, სამსონ ფირრუცხალავას, გიგო ცხრილაძეს ქართველი მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს და მიტომ მე მათ მუშაობაზე არას ვიტყვი, მინდა მხოლოდ რამდენიმე. სატყვით მოვიხსენიო უჩინარი მუშაკი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია გაზეოს დაწინაურების საქმეში. ეს იყო შაქრო ბილანიშვილი. იმ დროს მკითხველთ კარგად ახსოვთ რა მშენიერად მიჰყავდა მას უცხოეთის ქრონიკა: კარგი ენა, ცოცხალი გადმოცემა და სრული, ფართო იმფორმაცია ყველა იმისა, რაც კი თვალსაჩინო ამბავი ხდებოდა საზღვაორგარეთ, უმთავრესად დიდის ხალისით და ხელოვნებით ადგენდა ის რუსეთ-იაპონიის ომის ინფორმაციას და დიდილი მკითხველი პეტრედა...

სურათებიან დამატებას განავებდა ოვით რედაქტორ გამომცემელი ჩეკი გაზეობას აღ. ჯაბადარი. დიდის სიყვარულითა და გატაცებით მიეკა ის ამ საქმეს, ნამეტურ პარეელ შეებში. გამოიწერა საუკეთესო უცხოელი და რუსული სურათებიანი უზრუნველყოფი. საიდანაც არჩევდა სურათებს, უკვეთავდა სურათებს ჩეკნს მხატვრებს, არჩევდა მასალას ტექსტისათვის, ხოლო დაბეჭიდის დროს თავშეადგა მხეჭდავს და მემანქანეს და თვალ-ურს ადევნებდა — სურათები კარგად, ლამაზად გამოსულიყო. ხშირად ღამის 2-3 საათამდე სტამბაში რჩებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ სურათები კარგად გამოდის. ამ სურათებიან დამატებაში ჩეკნ დიდი ახალი საქმეც შევმენათ: პირველად ქართული კარიკატურა და მხატვრული იუმორი შემოვილეთ. მისითვის ჯაბადარმა მოიწვია თბილისში მაშინ ცნობილი მხატვარი ოსკარ შერლინგი, რომელიც არაჩვეულქმრივის ხალისითა და სიყვარულით მუშაობდა ჩეკნთან რამდენიმე წლის განმავლობაში.

კარიყატურისთვის თემებს ჩვენ ვაძლევდით, განსაკუთრებით ოლ-ჯაბადარი. შემდევში შმერლინგი იმდენად გაეცნო ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ თვით ირჩევდა საკარიყატურო თემებსა და საკუთარი კორესპონდენტებიც გაუჩნდა გაზეთის მკითხველთაგან. იმ განყოფილებამ დიდი სენსაცია მოახდინა მაშინ ტელისშიაც და პროვინციაშიაც. სურათებიან და პატივებას დიდიალი ხალხი ყიდულობდა. ბევრი სომეხიცა და რუსიც. ხშირად პროვინციიდან გვთხოვდენ, ამ და ამ დღისათვის საინტერესო კრება იქნება, იუმორისთვის მდიდარი მასალაც მოსალოდნელია, გამოგზავნეთ შმერლინგიო და ჩვენი ვგზავნიდით მას თავის აპარატით და მოწყიბილ იმით. გავიხსენებ ერთ ამგვარ გამგზავრებას. ქუთათურმა მეგობრებმა გვთხოვეს, რამენაირად მოახერხეთ კირილე ლორთქიფანიძის სურათის გადალება და კარიყატურაში გამოჭიმეთთ. ცნობილი საზოგადო მოლგაშე კირილე ლორთქიფანიძე ერიდებოდა ფოტოგრაფიულ სურათის გადალებას და მისი მევობარ-ნაცნობები ბევრს ეცადენ ამაოდ და კირილეს სურათი ვერ გადალებინეს. გავგზავნეთ ზმერლინგი თავისი აპარატით. კირილეს რაღაცნაირად წინდაწინ გაეგო ეს იმბავი და ზომები მიიღო. ბანკში, სადაც კირილე მსახურობდა შმერლინგმა ერთი წუთითაც ვერ ჩაიგდო ხელში კირილე და ქუჩაში დაუშენო ცდა. გამოვიდა სამსახურიდან კირილე და როგორც კი მოჰკრა თვალი შმერლინგს, გაშალა ქოლგა და ამოეფარა. მაგრამ ძხატეარმა მაინც მოახერხა, გვერდიდან მოუარა და ისე, ქოლგით ხელში, შეშინებული სახით გადაიღო კირილე. შემდეგ კვირას კირილეზე კარიყატურა უკვე ამშევენებდა „ცნ. ფურ.“ დამატებას, რომელსაც ქუთაისში ხალხი პირდაპირ იტაცებდა:



## XX.

ახალი პარტიის (ს.-ც.) დაარსება და მისი პირველი  
 წაბიჯები.—ხაყითხი არალეგარულ გაზეთის შეხახებ.—  
 ხამარცხვინო დღესასწაული. მუშაოთი პირველი გა-  
 შოს და ტფილისში.

ამგვარად 1901 წელს „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში და  
 რედაქციის ირგვლივ თავი მოიყარა იმ ახალგაზრდობამ, რომელმაც  
 შემდეგ ხანმი დაარსა ახალი პარტია. პარტიის დაარსების საჭი-  
 როებაზე ლაპარაკი უკვე 90-იან წლების ღასსარულში დაიწყო. პირა-  
 დათ მე არა ერთხელ მქონია იმაზე ლაპარაკი ძველ რევოლუციონე-  
 რებთან — გიორგი ზდანოვიჩთან, ალექსანდრე ნანე ი-  
 შვილთან, სტეფანე ჭრელა შვილთან, და შემდეგში ახალ-  
 გაზრდებთანაც — კიტა აბაშიძესთან, ვლადიმერ ლორთქი-  
 ფანიძესთან და სხვებთან. სხვათა შორის, ჩერნი შორის ის აზრი  
 ტრიალებდა, რომ უმჯობესია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერ-  
 თა პარტიასთან შევეჯმნა ქართული ავტონომიური ჯგუფი: მაგრამ  
 ახალგაზრდები — კიტა აბაშიძე, ვლ. ლორთქიფანიძე სასტუკი წინააღ-  
 მდეგნი იყენენ რუსული პარტიის დროშის ქვეშ დადგომისა. განსაკუთ-  
 რებით ამის გაგონება ეჯავრებოლა ვლ. ლორთქიფანიძეს. მაშინვე  
 გაცხარდებოდა:

— რას ჰგავს ეს! რუსეთისაგან გინდათ თავი გაინთვისუფლოთ და  
 რუსულ პარტიას კი ემორჩილებით. რომელი რუსული პარტია იქნება  
 გულწრფელი მომხრე საქართველოს განთვისუფლებისა?

ახალ პარტიაზე ლაპარაკი გაცხოველდა, როცა ჩერნი არ-  
 ჩილ ჯორჯაძე შემოვიდა. არჩილი მხურვალე მომხრე გახდა იმ  
 ახალგაზრდათა ჯგუფის, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალ  
 და დამოუკიდებელ ქართულ პარტიის შექმნა. ჩერნი სინამდვილეში,  
 როგორც უკვე იცის მეითხეველმა, მაშინ განსაკურთხებით ორი მიმდი-  
 ნარება ებრძოდა ერთვანებს: ძველი თაობა — ეროვნული იდეის მა-  
 ტიარებელი და ახალი შესახე დასელები — მარქსიზმის იდეოლოგიის შა-  
 ტარებელნი. პირველი მიმდინარეობა არ წარმოადგენდა პარტიის  
 და არაეითარ თრგანიზაციულ მუშაობას ამ მხრივ არ აწარმოებდა.  
 ეს იყო მხოლოდ ლიტერატურული და სახოგადოებრივი მიმართუ-  
 ლება. დასელებმა კი უკე ჩამოიყალიბეს პარტია, რომელიც უკვე  
 მარჯვედ მუშაობდა მშრომელ მასაში. „ცნობის ფურცლი“-ს ირგვ-  
 ლივ მდგომი ელემენტები იმთავითვე გაიმიჯნენ თრთავე აღნიშნულ

ბანაკისაგან და შექმნეს სრულიად ახალი მიმდინარეობა, რომელიც პირველს უახლოვდებოდა ეროვნულის იდეალით, ხოლო მეორეს სოციალურის მისწრაფებით. ძნელი იყო ამ ახალ მიმდინარეობისათვის მაშინდელ პირობებში გზის გაკაფეა და ვინაობის სრული გამოაშკარავება. თანამეტრნობი ხალხი ბევრი გვყავდა, მაგრამ მათი პარტიიდ გადაჭცევა დიდად ძნელი იყო, სანამ ახალ მიმართულების საფუძვლინი აშკარად, მეტობიდ, და საცხებით არ იქნებოდა გაშუქებული პრესაში. ამიტომ ჩვენ არ ვაჩქარებდით პარტიის ჩამოყალიბებას და მხოლოდ ვალრმავებდით ზეპირ და მწერლობითს პროპაგანდას.

იმ ხანებში ჩვენ ვიყრიბებოდით ვაღიკო გუნიას სახლში (მატინვის ქ.) და ნიკო ქართველი შვილის სახლში (მიხეილის პირველებრი). იმ კრებებზე იმ პირველ ხანებში უმთავრესად მონაწილეობას იღებდებოდა შემდეგნი პირნი: გორგავი და ანდრია დეკანოზიშვილები, სამსონ ფირცხალავა, არჩილ ჯორჯაძე, ვლადიმერ ლორთქიანიძე, ალ. ჯაბადარი, ფილიპე გოგიაშვილი, გრ. რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ილიკო ალლაძე, ილ. ნავაშიძე, ევტიბი მამინაშვილი, ნიკო ქართველიშვილი, ვალიკო გუნია, სიმონ ვახვახიშვილი და ორიოდე სხვა. უკვე იმ თავითვე ისახებოდა ორი მიმღინარეობა: ერთი უფრო იხრებოდა ძველ თაობისაკენ ერ უცნულ იდეალისაკენ — მეორე უფრო შეიწყვდა სოციალიზმისაკენ. არჩილ და მე ვცდილობდით ამ ორი მიმართულების შერიგება-შეთანხმებას. მასსოვს სიამოვნებით შეიგებდით საზღვარ-გარეთიდან ახლად ჩამოსულს ფილიპე გოგიაშვილს და დაუწებით მოვითხოვდით მისგან ცნობებს აესტრიის სოციალ-დემოკრატიის შესახებ, რომლის შემადგენელი ნაწილები — გერმანელები, ჩეხები, პუნგრები და სხვანი მუშაობდენ ეროვნულ პრობლემის გარშემო და ცდილობდენ პარტიის ორგანიზაციის ეროვნულ პრინციპზე აგებას. ამ ამბავში ყრუდ მოაღწია ჩვენამდე და აძირომ ფილიპეს მოვთხოვთ შესაფერი მოხსენების წარმოდგენა. უკვე ამ კრებაზე გამოისახა და ჩამოყალიბდა მთავარი საფუძვლები მომავალ პარტიისა: საქართველოს აკრონომია, კავკასიის ერთა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაცია, სოციალიზმის მინიჭები და გაქამიშემ პროგრამები.

ლოდ საკითხმა, თუ სად იქნეს დაარსებული თავისუფალი ორგანო. არჩილ ჯორჯაძე გატაცებით იცავდა იმ იზრს, რომ მიზანშეწონილი იქნება ამგვარი ორგანოს დაარსება მხოლოდ საზღვარ-გარეთ. არაღე-გალურ ორგანოს დაარსებისათვის საქართველოში, სამართლიანად ამბობდა არჩილი, ბეკრი ძალებია საჭირო, უმთავრესად ამ ორგანოს ხანგრძლივად შენარჩუნებისათვის. ბოლოს გადავწყვიტეთ თავისუფალ ორგანოს შექმნა საზღვარ-გარეთ და ეს საქმე უახლოეს ამოცანად აღვია-რეთ. უკვე 1901 წლის ზემოდგომაზე ჩევნი წრე შეუდგა საჭირისათვის საჭირო თანხის შევროვებას. ავირჩიეთ სამი კაცი არჩილ ჯორჯ ა-ძე, გიორგი დეკანოზი შვილი, ევტიხი მამინა იშვილი, რომელთაც დაცვალით ფულის შეკრების ორგანიზაცია და გაძლილა.

იქ უნდა გამოვტყდე, რომ ქრებამ ამგვარი დირექტივა მისცა ფულის შემქრებ თრგანიზაციას: ფართო საზოგადოებაში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ თრგანოს დარსე-ბის განხრახვაზე; უმრავლესობას ეშინოდა: სოკიალისტურ პანგრების აღნიშვნა ფართო საზოგადოებას დააფრთხობს და თანხის შევრო-ვების საქმეს დააბრკოლებსო.

ფულის შევროვების საქმე შედარებით მარჯვედ წავიდა. გან-საკუთრებით დიდის ენერგიით მუშაობდა გიორგი დეკანიზაციილი, რომელმაც საქართველოს ყველა კუთხეში, მარჯვე აგრძელები გაი-ჩინა. აგრეთვე ენერგიულად აგროვებდა ფულს თანამერინობ ქალთა წრეც, რომელშიც მასხვევს, იყვნენ მარიამ დემურია, ლლლა ბექანიშვი-ლი (ზემდეგში ილ. აღლაძის მეუღლე), ნინო ნაკაშიძე და სხვანი. ტფი-ლისშიაც და პროვინციაშიც ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება ჩევნი განხრახვას და უკვე 1902 წლის დასაწყისში, 6—7 ათას მანეთამდე გვერდა შეკრეფილი. წრემ საქართვისად მიიჩნია პარელ ხანგრძისათვის თანხა და დაადგინა განხრახვის სისტურეში მოყვანა.

1901-სავე წლის ზემოდგომაზე გადაწყვეტილ იქნა მომავალ თავისუფალ ორგანოს და საერთოდ, მომავალ პარტიის წინასწარ საქმიანო-ბის გასაძლოლად არჩეულიყო კომიტეტი. ეს არჩევნები დიდის საი-დუმლოებით მოხდა ერთ-ერთ კრებაზე ვალიკო გუნის სახლში. კრე-ბის თავმჯდრმარედ ვიყავი მე, მდივნად ვლ. ლორთქიფანიძე; კრებამ პრეზიდიუმის მესამე წევრიც მოგვიმატა ვალ გუნია. თითოეულ დამ-სწრეს ბარათზე უნდა დაწერა ხუთი კანდიდატის გვარი. მდივნებმა დაურიგეს ცელის ბარათები და შეკვების შემდეგ შეაგროვეს და მე ჩამაბარეს; კრება დაიხურა და ყველანი წავიდენ. დავრჩით მხოლოდ ჩევნ სამხი მე, ვლ. ლორთქიფანიძე და ვალ. გუნია. ჩევნ უნდა გავვე-ს ნჯა ბარათები, გაგვეგო ხმის უმეტესობით, ვინ იყო არჩეული და

არჩეულებისთვის სათითაოდ გვეთქვა მათი არჩევის ამბავი. საერთო რეზულტატი არ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული კრებაზედ. არჩეული გამოდგა შემდეგი ხუთი კაცი: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე, ანდონია დეკანოზიშვილი და მე. ყოველ შემთხვევისთვის ორი კანლიდატიც მიუმატეთ იმათგან, ვისაც მეტი ხშა ამოუვიდა. აღარ მახსოვს, სახელდობრ ვის წესვადა კანლიდატობა. ამნაირად გაჩნდა ჩვენი პირველი კომიტეტი ჯერ ჩამოყალიბებელ პარტიისა, პირველი შტაბი შეუქრებელ ჯარისა.

უკვე ვთქვი ზემოთ, რომ ჩვენ არ ვუიქრობდით პარტიის დარც-სების დაქარებას. წმინდა სტრატეგიული მოსაზრება იყო: „არტილერიის საშუალებით დამზადება ბრძოლის ელისა“. არტილერიის მავიერობა უნდა გაეწია საგანეთო პრობაგანდას და პოლემიკას. მაგრამ, ეს არტილერია იმ დროის პირობებში უვარვისი გამოდგა. გარდა ამისა, 1901 წელს ჩვენს ცხოვრებაში ორ დიდ ამბავს ჰქონდა ადგილი, რომელთაც გვაიძულეს თავისუფალ გაზეთის დაარსებისა და პარტიულ მუშაობის დაწყების დაქარება..

ერთი დიდი ამბავი იყო მეტად სასიამოვნო, ბრწყინვალე და ჟურნოლდა ახალ ქვეყანას, მომავალს. მეორე კი საწუხარო, ზავბენი, ეკუთვნოლდა ძველ ქვეყანას, წარმავალს.

პირველი ამბავი მოხდა იმ წლის 22 აპრილს. იმ დღეს, დილით, ტუილისი, ქუჩებზე პირველად ჰქონდა ადგილი მუშაოთა გამოსვლას, მუშაოთა დემონსტრაციას. თერთმეტ საათზე, ალექსანდრეს ბალთან შეგროვდა რამდენიმე ასი მუშა, აღმართეს წითლი დროშა და სარევოლუციო სიმღერით გაემართნენ რუსთაველის პროსპექტისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მუშებს წინ გადაეღობნენ პოლიციელები, მალე იქვე მოიჭრა ცენტრისანთა რაზმით მაშინდელი პოლიციელისტერი კოვალიოვი. მოხდა შეტაცება, რომლის დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა თრთავე მხარეზე. შეიარაღებულია პოლიციამ და ჯარმა, რასაკვირველია, მალე სალიეს უიარაღო მუშებს და მალე „წესიერება აღდგენილ იქნა“.. ასე მოხდა პირველი ორგანიზაციული გამოვლა მუშებისა ტურისის ქუჩებზე, ასე დაიღვარა ტფილისში, მუზის პირველი სისხლი პროლეტარიატის დიადი საქმისათვის... ამბავი მსწრაფლ მოფინა ქალაქს და უდიდესი შთაბეჭდილება გოხდინა.

კვირა დღე იყო, რედაქციაში მაინც ბევრნი ვიყავით. მსწრაფლ გავეშურეთ ალექსანდრეს ბაღისკენ, მაგრამ იქ უკვე „აღდგენილი იყო წესიერება“ და ჩვენი თვალით ვეღარ ვიხილეთ ის ბრწყინვალე სანახაობა...

ამ ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემშე და განკიზრანებული მისი რამენაირად გაზეთში აღნიშვნა. რასაკირელია, წერილის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა და ამნაირად მოვიქცი: მესამე დღეს მავგრებიდა პოლიციური ცნობა ამ ამბის შესახებ. მოვალენი ვიყავით ეს ცნობა ჩემულებრივ დაგუებული წვრილის ასოებით უბრალო შემთხვევების განკულებაში. მე გადავთარგმნე ცნობა, გავუკეთე სათაური „მუშაო არ ეულობა ტფილის ში“, განკარგულება მივეცი სტამბას აეწყოთ ამბავი არა პეტიტით, არამედ ჩემულებრივის „ვენის“ „შრიუჩით და მოვათავსე მეთაური წერილის ადგილას... წარმოიდგინეთ ამ წემა უბრალო, უმნიშვნელო გამოგონებამაც კი ერთგვარი სენსაცია გამოიწვია. ყველამ მიაქცია ყურადღება, რომ სხვა გაზეთში ეს დღი ამბავი წვრილის ასოებით, „შემთხვევებში“ იყო მოქცეული, ჩვენს გაზეთში კი მეთაურიდ იყო გამოქიმული... ისეთ უმსგავსო პოლიტიკურ პირობებში ვცხოვრობდით მაშინ, რომ ასეთი პატიარა რამეც კი, ასეთი უმნიშვნელო ხრიკი, ცენზურის წინააღმდეგ მიმართული, გვახარებდა. ჩვენი რედაქტორ-გამომცემელი შეშინებული იყო, გაზეთი არ დაგვიხურონო, მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე უბრალოდ გათავდა; შენიშვნა მოვეცეს საცენზურო კომიტეტიდან და გაფრთხილება—მეორედ ამგვარი რამ არ ჩაიდინოთ...

რა თქმა უნდა 1901 წლის 22 აპრილი დიდმნიშვნელოვანი დღეა საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში: დიალი მომვლის გარბალი ატრიალდა და მისი შექრება აღარაფერს და აღარავის შექლო. იმავ წლის შეორე ამბავი, როგორიცა ვთქვი, წარსულს, წარმავალ ქვეყანას ეკუთნოდა.

ეს იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის თავის ალსანიშვად გამართული საიუბილეო დღესასწაული. ეს უცნაური დღესასწაული გამართა საქართველოს თავადაზნაურობამ. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ასე ქსოვეთ, იდეოლოგი იყო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მაშინდელი წინამდლოლი დავით ზაქარიას ძე მელიქი შივილი. ის საქმიაღ განათლებული და განვითარებული კაცი იყო, დიდის ტემპერამენტის და ენერგიის პატრონი, აგრეთვე გამოჩენილი მექანიკერ ყველი. პოლიტიკური რწმენით ის იყო გულრწმენელი მონარქისტი. მისი წარმოდგენით თვითმყრობელი მეფე კოთილის განხრავებით იყო აღმურვილი. თუ რუსეთში ცუდი პოლიტიკური პირობებია, თუ რუსეთი ძლიერ ჩამორჩია კულტურულ ქვეყნებს, ეს სულ თვითმყრობელ „ჩინონგიკების“ ბრძლია. ამათ აღმართეს კედელი მეფესა და ერს ზორის. ხალხის ხმა მეფემდევის მიდის, მეფეც ვერ ხედავს ხალხის გაჭიდრვებას. ეს „Средостение“

ოდესმე დაირღვევა და რუსეთიკ ნორმალურ განვითარების პირობებში ჩადგება. შეიძლება ამ „სრედასტენიეს“ დასაწერებად რევოლუციაც იქნეს აუცილებელი, მაგრამ ეს რევოლუცია მას არ სწამდა და არც უნდოდა..

ახლაც, იუბილეის გამართვისათვის მთავარი მოტივი მისთვის ის იყო— მეფეს უნდა გავაგებინოთ ქართველ ერის უბედურება და მრავალგვარა გაჭირებათ, იუბილეის მხადებას 1900 წლიდან შეუდგა. იწვევდა თავის სახლში ჯერ თავად-აზნაურების წრეებს, შემდეგ ინტილიგენციას და მხურვალედ უტეკიცებდა დღესასწაულის მოწყობის საჭიროებას. ერთხელ ქართულ პრესის ჭარმომადგენლებიც მივიწვია. ყიყავით, მახსოვს არჩილ ჯორჯაძე, ალექ. ჯაბადარი და მე „ცნობის ფურცლისაგან“, ნოე ქორდანია „კვალისაგან“ და კიდევ რამდენიმე კაცი. მელიქიშვილმა დიდის სიტუაცით მოგვართა, დაახლოვებით შემდეგი შინაარსია:

თქვენ ხედავთ, რა ამბებშია რუსეთის პრესა და მოხელეობა; ისინი დაერინებოთ ლაპარაკობენ ჩვენს სეპარატიზმებე, გვაძესლებენ მეფესთან და რუსის ერთან. ამიტომაა საჭირო ხმა ამოვილოთ და გავიასენოთ, რომ საქართველო თავის ნებით შეურტდა რუსეთს; მოვაკონოთ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ამ შეერთებას; საქართველომ დარიალის კარგი გაუღია რუსეთს და ამრიგად საშუალება მისცა მას—ახლო აღმოსავლეთში უცხი მოეკიუნა. ამასთანავე უნდა ვუთხრათ რუსის მეფესა და ერს, რომ საქართველოს სამაგიეროდ არაფერი მიუღია, იმედი გაუცრუვდა და დღეს გადაგვარების გზას ადგია. თქვენ დამეთანხმებით, რომ ყველა ამის თქმს დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნება. ხოლო ყველაფრის თქმა შესაძლებელი იქნება, როცა ჩვენ აგრეთვე ჩვენის ნებით ვიდლესასწაულებთ შეერთების ასის წლისთავს. ვარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ამჟამად თავაუ-აზნაურობასა და ქალაქს აღძრული აქვთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი შუამდგომლობა ერობაზე, ნაფიც მსჯაულთა სასამართლოზე და ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე. იმედი მაქვს თუ ყველა არა, ზოგი შუამდგომლობა მაინც დაკმაყოფილებული აქნება, თვით ამ დღესასწაულის დროს.

ჩვენ ყველამ, პრესისა და სხვადასხვა მიმდინარეობის ჭარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა გადაჭრით უარი ვუთხარით მელიქიშვილს დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე და საერთოდ დახმარებაზე. ჩვენი პასუხი მოკლე იყო:

— ქართველ ერის მონობის აღსანიშნავ დღესასწაულში ჩვენ ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებთ-თქმ.

— მე ამას მოველოდი, გვითხრა მელიქიშვილმა, იმას მაინც გთხოვთ წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევთო. ამაზე არჩილ ჯორჯაძემ უპისუხა:

— სამწუხაროდ, ჩეინ ხელთ ძალა არ არის ლეგიტიმურ პრესაში წინააღმდეგობა გავიწიოთ, ხოლო თუ ვინმე არალეკალურად თავის აზრს გამოატავს, ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა ექნება.

ამ „აუდენციის“ შემდეგაც მელიქიშვილი მიგვიწვევდა ხოლმე  
ხანდახან: ხან თავის მომავალ სიტყვების პოვექტს გადმოგაცემდა, ხან  
საგაზეოთ წერილებს წაგვიკათხავდა და სხვ. საზოგადოდ ძალიან  
უყვარდა ჩეკინთან ლაპარაკი, კამათი და აზრით გაცვლა-გამოცვლა.

ძალიან სასიამოვნო მიზანები იყო და პირადათ მე ხშირად მქონია ხანგრძლივი კანითი სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე.

მახსოვეს, ერთი მისი მიწვევა. ჩვეულებრივ, რედაქტორი გამო-  
გვიგზავნა ეტლი და პატარა ბარათი—გთხოვთ დაუყოვნებლივ მო-  
ხვიდეთო. რედაქტორი იმ დროს კიტა აბაშიძე იყო და ვთხოვ ერ-  
თად წავსულიყავით. მელიქიშვილი დერეფანში მოვკევება და მოგვ-  
მართა: სტუდენტები მყავს მოწვეული და გვლილობ დავაჯერო, რომ  
არ ღირს! რუსეთის სარეკოლუციო მოძრაობაში მონაშილეობის მა-  
ლება, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ თავი უნდა შეინახოს სამ-  
შობლოში მუშაობისათვის.

მე და კიტამ კარევორიულად გამოვუცხადეთ, რომ ამ საქართვი  
დახმარებას ვერ გავუწიეთ.

— კარგი, კარგი... მოდით ყური დაუგდეთ ჩვენს კამათს. ყურადღება მიაქციეთ ერთ სტუდენტს, შესანიშნავი მჭერმეტყველი და მეტად მახვილი მოკამეთეა...

შევედით დარბაზში, რომელშიაც მრავალ ახალგაზრდობას მოე-  
ყარა თავი. კამათი გაგრძელდა. მელიქიშვილმა ლამაზი სიტყვა წარ-  
მოსთქვა, ზაგრამ სტუდენტები მაგრად დაუხედნენ. სტუდენტი, რო-  
მელზედაც, მან გვითხრა თომონინდა კაჭი (ირაკლი) შეტევლი.

იუბილეს დღედ არჩეული იყო იმ წლის 25 სეტემბერი. ამ დღისთვის ტუილისში ჩამოვიდა კავკასიაში მეფის ნაცვლად ნამყოფი დიდი მთავარი მიხევლი ნიკოლოზის ძე. მას თან ჩამოჟყენენ საბერძნეთის დედოფალი და კიდევ, აღარ მახსოვს, რომელიმაც ახლგაზრდა დიდი მთავრები. ამავე დღისთვის ჩამოვიდენ დღესასწაულებზე დასასწრებლად რუსეთის თვად-აზნაურების სხვადასხვა წინამდლონი: შოსკოვისა—თავ. ტრუბდეციო, კიევის—რეპნინი, ვილნის-პლატერი, პეტერბურგის—ზინოვიევი და სხვები.

დილით სამეცნ გვარეულობა, რუსეთიდან ჩამოსული სტრუმი რები, ქართველი თავად-აზნაურობა და ქალაქის წარმომადგენელი სიონის ტაძრისაკენ გაემართონ. ქალაქის საგანგებოდ მორთულ ქუჩებზე დადალ ხალხს მოუყარა თავი, მაგრამ ცხადად ემნეოდა მას სრული გულგრილობა და აშკარა იყო, სანახაობის საყურებლიდ. გამოსულიყო. სიონის ტაძარში პარაკლისის გადახდის შემდეგ ყველამ თავი მოიყარა მთავარ-მართებლის სახალეში. გამოვიდა დიდი მთავრი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, მიულოცა დამშრეც დღესასწაული და წაიკითხა „უმალლესი რესკრიპტი“. რესკრიპტში ოლნიშნული იყო მეფის შემდეგი „წყალობანი“:

1) ქალაქ ქავეკავში დაარსებულ იქნება კადეტთა კორპუსი, ქართველ თავად-აზნაურობის შეილების აღსაზრდელად; 2) ყოველწლიურად ხახინიდან ქართველ თავად-აზნაურობას მიეცემა 40 ათასი მანეთი (ოკუცა) ათასი ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობას) მოზარდ ააობის აღსაზრდელად; 3) თავად-აზნაურობა სამი წლით განთვისუ ვლებულია საადგილ-მამულო გადასახადებისაგან.

როგორც ხედავთ, შეფის რესკრიპტშიაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეს დღესასწაული თავად-აზნაურობის დღესასწაულია და მხოლოდ მას „ებ-ია“ სხვადასხვა საჩუქარი.

ნაშენდღევს სამ საათზე მე გავეშურე მელიქიშვილის სახლისკენ ამბების გასაგებად; იქ უკვე თავი მოეყარა ინტელიგენციის რამდენ-სამე წარმომადგენელს, რომელნაც ჩემსავით ცნობისმოყვარეობამ მოიყენა აქ. პატარა ხნის შემდეგ შემოვიდა ოვით მელიქიშვილიც, რომელსაც დიდი აღელვება ეტყობოდა. თან მოსდევდა ტრუბეციო, რომელიც ცდილობდა მის დაშვიდებას, გადაეხვია კიდევ:

— Успокойся, голубчик Давид! Все исправится, надо нам немногого потерпеть...

მელიქიშვილი გაჯავრებული იყო რესკრიპტით: მოელოდა ერობას, ან უნივერსიტეტს, კიდევ რასმე ქართველ ერისთვის, ნამდვილად კი რესკრიპტით თავად-აზნაურობას ებოდა კადეტთა კორპუსი და რაღაც გროშები. დამახასიათებელია, რომ მელიქიშვილს ეხლაც მტკიცედ სწომდა, მეტე აქ არაუერ შუაშია, ყველაფერში დამნაშავეა „კედელი“ განსაკუთრებით კი კავკასიის მთავარმმართებელი თავადი გოლიცინიო. მისი ჩაგონებით არის- დაშერილი ეს რესკრიპტიო, გაიძახოდა განრისხებული მელიქიშვილი.

ასე უფერულად გათავდა ეს უკანაური დღესასწაული, რომელსაც არავითარი შთაბეჭდილება არ შოუხდენია ქართველ ერზე და მხოლოდ წარსულის მწარე მოგონებანი აღუძრა.

ჩვენმა წრემ, რამდენადაც შეეძლო, პროტესტით აღნიშნა ეს დღესასწაული.

მახსოვს, დიდი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ ფორმაში ჩამოგვეყალიბდინა ეს ჩვენი პროტესტი. ერთხელ დიდი კრებაც მოვრწყიერ მარიამ დემურიას ბინაზე. ზოგი ამბობდა, ქუჩაში დემონსტრაცია გაემართოთ, ზოგი კიდევ სხვა საშუალებას მიგვითოთებდა. სხვათა შორის, დიდი სიცილი გამოიწვია კრებაზე ჩვენი ახალგაზრდა წევრის იოსებ ქუთათელაძის წინადადებამ. უკველია, სთქვა მან, ამ დღესასწაულზე სოფლის მამასახლისებს დაიბარებენ; წინდაწინ მოლაპარაკება გაემართოთ მათთან; ჩვაგონოთ, როგორმას წარუუგებიან, გამოუცხადინ გლეხების სახელით, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგია ამ იუბალეს; მამასახლისები დაგვიჯერებენო, არწმუნებდა გამხიარულებულ კრებას იოსები. ამის შემდეგ მას დიდხანს ეძახდენ „იოსებ მაძასახლისს“.

ბოლოს გადავწყვიტეთ დავკიმუოფილებულიყავით პროკლამაციით. არჩილმა დასჭრა მხურვალე პროკლამაცია, ვლ. ლორთქითან იძემ სადღაც დაბეჭდა და ქალაქს მოვფინეთ. გარდა ავისა, ილიკო ნაკაშიძის შემოწმებით დადი წერილი გაუგზავნეთ ლევ. ტოლსტიოს, ივერიერეთ საქართველოს მდგრადი იბა და ის დამცირება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა ასი წლის მონობის იუბალეს გადახდის გამო. ვთხოვთ, ხმა აღმაღლებინა და რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის ეცნობინა, რომ ქართველი ერი და ხალხი არ მონაწილეობდა ამ დღესასწაულში... ტოლსტიოსაგან იმავ ნაკაშიძის შემწეობით პასუხი მივიღეთ:

— დიდად თანაგივრძნობთო, მაგრამ აუკამად თქვენს თხოვნას ვერ ივასრულებ, იქნება შემდეგში მოვახერხო ესაო.

\*\*

ი. სხვათა შორის ამ ორმა ამბავმაც დაგვაჩქარა ჩვენი განზრახვების ასრულებისთვის ხელი მოგვეკიდა დაუყივნებლივ. ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი ხადემოყრატები მარჯვედ მუშაობენ ხალხში. წინადაც ვიცოდით, მუშაობა სწარმოებდა, მავრამ 22 აპრილის გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ ეს მუშაობა დიდია და რომ საჭიროა ახლავ მივიდეთ მშრომელ ხალხთან ჩვენი ეროვნულისა და სოციალურის პროგრამითაც... მეორე მხრით, უცნაურმა იუბილემ გვაგრძნობინა — რამდენად საჭირო და დრო იყო ძელ თაობისათვის თავში ჩაგვეკრა...



## XXI

„ჩვენი კომიტეტი“. — პირველი ოპოზიცია. — ნიკო ცხვე-  
 დაძე. უთანხმოება „ცნობის ფურცლის“ რედაქცია-  
 ში. — ისევ საქალაქო არჩევნები. — ჩვენებური იპოზი-  
 ციონერობა. — მარგანეცის მრეწველობის საბჭო

ჩვენი „პირველი კომიტეტი“ საქმიანდ მხნედ შეუდგა საქმეს. პირველყოვლისა საჭირო იყო გამოგვერუვია, ვინ იქნებოდა ახალი პარტიის წევრი, რამდენი კაცი მოიყრიდა თავს ახლადაღმართულ დროშის ქავშ. შევუდექით წინასწარ რეგისტრაციას. გამოირკვა, რომ ზუგი იმათვანიც არ შემოდის პარტიაში, ვინც ჩვენ წინასწარ კრებებს ესწრებოდა, მაგალითად — ილია ნაკაშიძე, ფილიპ გოგი- ჩაიშვილი, და კილევ ორიოდე კაცი, არ მახსოვს ვინ. გადავ- წყვიტეთ თავდაპირეელად, ასე ვთქვათ, სარევისტრაცია კონფერენ- ციის მოწვევა. იმ ხალხის შემწეობით, რომელიც მომავალ გა- ზეთისათვის ფულს აგროვებდა, მოვიწვიეთ თანამგრძნობი ხალხი სხვადასხვა აღვილიდან. საზოგადოდ კი სასტიკ კონსპირაციას ვიცავდით, რადგან ვშიშობდით — საზღვარგარეთულ ორგანოს დაარსებისათვის ხელი არაფერს შეეშალა. ამიტომ ჯაუფ-ჯგუ- ფად დავყავით ჩამოსულები და ტუილისელები და ისე ვებაასებო- დით: არჩილ ჯორჯაძე ტუილისელებს, ვლ. ლორთქიფა- ნიძე—სტუდენტებს და მოსწავლე ახალგაზრდობას, მე—პროვინ- ციელებს. მალე გამოირკვა, რომ პარტიაში ჩარიცხვის მსურველი საქმიანდ ბევრი იყო. მაგრამ ძევე უნდა ესთქვა, რომ მომავალი ჩვენი პროგრამის მიხედვით, ეს ხალხი ნაირ-ნაირი იყო: ზოგს მარტო ერო- ვნელი პროგრამა აინტერესებდა და ჩვენი სოციალიზმი ნაკლებ სწავლა, ზოგი „ნაროლნიკობდა“, ზოგი ანარქიზმი-სინდიკაციის მიმდევად და სხვა. ამის შესახებ ჩვენმა კომიტეტმა გადასწყვიტა, ჯერ-ჯერო- ბით არ მიექცია სასტიკი ყურადღება წევრების გაოჩევაზე. ჩვენ იმ აზრის ვიყავით, რომ ახლო მომავალში როცა პარტიული პროგრამა შემუშავდებოდა, პარტიული რიგები, თავისთავად გაიშმინდებოდა. პროგრამის საბოლოო შემუშავება გადაიდო ერთის ან ორის წლის ვადით, სანამ ჩვენი მომავალი საზღვარგარეთული ორგანო გამოირ- კვევდა მთავარ საფუძვლებს და მთავარ მუხლებს ჩვენის მსოფლმხე- დველობისას. მანამდე კი საქმარისად დაგინახეთ ცოქლე, საზოგადო ხა- ზებით აღნიშნულ პროგრამით გვესარგებლა. ამ მოკლე პროგრამის შემუშავება მოგვანდეს: არჩილ ჯორჯაძეს, ანდრია დეკა-

ნოტიშვილს და მე. ჩვენ მიერ შემუშავებული ამგვარი პროგრამა, შესაფერი ინსტრუქციები და დირექტივები მივეცით ზემოაღნიშნულ კრებაზე დამსტრე ხალხს და დავავალეთ მათ ახალ პარტიისათვის პროპაგანდა, დროებითი კომიტეტის არჩევა ადგილობრივ და ამგვარად გავისტუმრეთ.

იმ ხანებში ჩვენ აგულს უკვე მოუხდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებაში გამოსვლა.

ამ საზოგადოებიდან მთავარი აჯგილი, რა თქმა უნდა, ეჭირა „ქართველთ შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“. წესდებით მას საქმაოდ დიდი უფლება ჰქონდა მინიჭებული. სახალხო სკოლების გახსნა, ბიბლიოთეკა-სამკრთხველოების დაარსება, საკვირაო სკოლების მოწყობა, წიგნების გამ უცმა, მუშეუმების დაასება და სხვა. საზოგადოების მნიშვნელ იბა იმითა იყო საყურადღებო. რომ მას შეეძლო ყველაფერი ეს ეროვნულ ნიადაგზე მოეწყო, რათაც, ასე თუ ისე, შესწორებას შეიტანდა ოფიციალურ სამოსწავლო უწყებ ს გამარტინებელ სამოსწავლო მოღვაწეობაში. საუბედუროდ ეს საზოგადოება იმთავითვე ვერ იყო ჩაყინებული რიგიან პირობებში და მისი მოქმედება ერთობ მკრთალი იყო. იმ დროისათვის, რომელზედაც მე ვლაპარაკოდ. „საზოგადოებას“ ჰქონდა მთლიან თოხი სკოლა, 1—8 ბიბლიოთეკა საქითხველო, არც ერთი საკურიაო სკოლა არ იყო და მხოლოდ 12—15 წიგნი იყო გამოცემული. რასაკვირველია, ასეთი მცირე საქმე დიდ კონკურენციას ვერ გაუწევთა იანვესკის გამანადგურებელ პილიტებას. თავიდათავი მიხეხი ასია მატერიალურ საშუალებათა მხრივ იყო „საზოგადოების“ უაღავება. იმ ხანებში მისი წლიური ბიუჯეტი ძლიერ შეადგინა 9000 მანეტის. ასია ბრალი, უცველია „საზოგადოების“ მართველ ორგანიზაციებოდა, მაგრამ ისიც უნდა აღვიშოთ, რომ ქართველი ერიც არ ეპურობდა ყურადღებით თავის „მატიცას“...

ის, ამ „საზოგადოების“ გადაბალისებისათვის გაიღაშქრა ჩვენში მაშინ ახლად აღირდინებულშა დეპორატიულმა საზოგადოებრიობამ. ჯერ კიდევ 1898 წელს მიიტანეს იერიში მესაჟ დასელებმა და აგრეთვე „ივერია“-„მომბეჭმი“ შეხინულმა ჩვენმა ამხანაგებმა. მაგრამ მიგარი იერიში მიტანილ იქმნა სამი-ოთხი წლის შემდეგ, როცა თითქმის მოელი ძველი გამგეობა გამოცვლილი იქმნა. ამ კრებაზე უკვე აშეირად მოსახლდა სამი შიდინარეობა: პოლიციაში იდგა ჩვენი ძველი თაობა, ხოლო ოპოზიციაში, ჩვენი ჯვეუფი და „კვალელები“. ძველი გამგეობიდან დარჩენ მხოლოდ ნიკო ცხვედაძე, დავით კარიქა შვილი, და ეჭვთი მე თაყაი შვილი, ახლებიდან არჩეული ვიყავით ნიკო

ულიავა, ივანე გომართელი, არჩილ ჯორჯაძე, გორგი დეკანოზიშ ვილი, მედა სხვანი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ოპოზიცია მაინც და მაინც ძლიერი ვერ იყო — უფრო ზოგადი ფრაზებით ვკმაყოფილდებოდით.

„სკოლები და ბიბლიოთეკები ცოტაა, რაც არის, იმასაც მეთვალყურება აკლია, სალსრუბის გაღიღებაზე გამგეობა არ ფიქრობს და სხვა მთავარი აზრი ჩვენი ოპოზიციისა მაინც სრულიად მართალი იყო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭიროა „საზოგადოება“ დაუახლოვდეს მასას, დააინტერესოს იგი თავის მოლვაშეობით და ეს გზა გაძლიერდეს თვით საზოგადოებასაც. ამისთვის ჩვენ უპირველეს ყოვლისა შევამ კირეთ საშევრო გადასახადი, 6 მანეთიდან ერთ მანეთამდე, რამაც მართლა ასობით ახალი წევრი შესძინა საზოგადოებას. „კვალელები“ მოითხოვდენ საწევრო ვადასახადის შემცირებას (ექვს შაურამდე), მაგრამ ჩვენ არ გავყევით მათ ამ მოთხოვნაში და მაშინ საზოგადო კრებამაც არ შეიწყნარა ეს წინადაღება. შემდევ ჩვენ მივაქციეთ ყურადღება ახალ ბიბლიოთეკების დაარსებას, სახალხო კითხვებს, საკვირაო სკოლებს, ერთი სიტყვით იმას, რაც საზოგადოების მოლვაშეობას უახლოებებდა ხალხს. მაგრამ აქვე უნდა აღნიშნო, რომ ჩვენმა გადასვლამ პოზიციაში მაინცადამაინც ბევრი არაფერი შესძინა საზოგადოებას. ისევ ის უსახსრობა გველობებოდა წინ და არ გვაძლივდა შეძლებას იმ სიმაღლეზე დაგვეუნებინა ჩვენი „მატიცა“, როგორც ამაზე ვოცნებობდით, როცა ჩეხების „მატიცის“ ამბავს ვკითხულობდით...

ძველ გამგეობიდან ჩვენ შეგნებით დავტუვეთ ზემოაღნიშნული პირები, რომელნიც მართლა დიდ სამსახურს უწევონ წერა-კითხეის საზოგადოებას.

ჩვენ შორის დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა ილია ჭავჭავაძის შესახებ. თუმცა ილია იმექამად სრულიად არ მუშაობდა საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ ჯვუფს არ უნდოდა მისი გადაყენება როგორც ძვირფას მგოსნისა და დიდ საზოგადო მოლვაზისა, აგრეთვე იმ მოსახრებით, რომ ილიას სახელი ასე თუ ისე იფარივდა საზოგადოებას თვითმშერობელ ბიუროკრატიის თავდასხმისაგან; ილიას ანგარიშს უწევდენ მაღალ წრეებში. „კვალელებს“ უნდოდათ იმისი გაშავება. მაგრამ ჩვენი კამათიც ზედმეტი განდა, რადგან ილიამ თავი დაანება „საზოგადოებას“. ძველი გამგეობის მეორე წევრი ნიკო ცხვედაძე შეუდარებელი ენერგიის აღამიანი იყო. მგონი არასოდეს არ დაჰქლებია გამგეობის სხდომებს; ზეპირად იკოდა ყველა მისი საქმეები. და თუ „საზოგადოებამ“ რამე გააქეთა და ერთგვარი სიმპატია დაიმსა-

ხურა ქართველ ერში, ამაში უდიდესი ღვაწლი სწორედ ნიკო ცხვე-  
დაძეს მაჟძლო ია.

იმ ხანებიდან ნიკომ ცოტა არ იყოს თავისი ყურადღება მო-  
აკლი საზოგადოებას, მაგრამ ეს ინიტომ, რომ ეხლა დიდი ახალი  
საქმე წამოიწყო. მე ვლაპარაკობ ქართულ გიმნაზიისთვის საკუთარ  
შენობის აგების შესახებ. სწორედ იმ დროში დაიწყო ცხვედაძემ ამ  
საქმეზე ზრუნვა: შე-წირვინა თავად კონსტ. მუხრანსკის საკამაოდ  
დიდი თანხა, შეაგროვა სხევბისაგანაც ფული, იყიდა ვაკის დასა-  
წყისში დიდი ადგილი და 1900 წელს შეუდგა კიდევ შენობას აგებას.  
კარგად შახსოვა ის დღე, როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება  
მიიწვია საძირკველის ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათა შორის ვიყა-  
ვით ორდენის წარმომაზენელნიც. იმ დღის გაზითების ნორები  
მოვათავსეთ ბოთლებში და ეს ბოთლები ჩავუშვით საძირკველისათვის  
ლრმად ამოთხორილ მიწაში... ნიკო ცხვედაძე ნაძღვილ ახალგაზრდულ  
ენტუზიაზმით იყო გატაცებული, მაგრამ ბევრი დამსწრე სკეპტიკუ-  
რად აქნედა თავს და ჩუმად დასცინოდა კიდევ ინიციატორს... სხვა-  
თა შორის. ცე რემონის გათავების შემდევ ნიკო მოგვიპრუნდა ახალ-  
გაზრდებს და გვითხრა:

— ყმაშვილებო, ვირჩევთ შეიძინოთ აქ სამოსახლი ადგილები,  
ეხლა ახლო-მახლო მიწა აქ ლირს საუენი რამდენსამე კაპერგად, ამ-  
დენიმე წლის შემდეგ კი ათ თუმნადაც არავინ მოგვემო.

ვაკე მაშინ წარმოადგენდა ოლტა-ჩილრო უდაბნის და ჩვენც  
ზურგს უკან დაცინეთ მოხუც ენტუზიასტის: რას ამბობს ეს ადამიანი,  
ვის გაუგონია აქ დასახლება...

ცხვედაძე საკვირველის ენერგიით შეუდგა საქმეს და თავის ხუ-  
როთძლვართან — სიმონ კლ დია შვილთან ერთაც, დღე და  
ღამეს ათენებდა შენობაზე. ყოველ წელიწადს გევმას აფართოებდა,  
არ ეშინოდა ხარჯების ზრდისა, შოულობდა ფულს, ყურს არ უგდებდა  
სკეპტიკოსებს და ბოლოს მართლაც სძლია ყოველგვარი დაბრკოლება:  
უდაბნო ადგილის ამიართა ლამაზი, ვეგებროელა შენობა და იქვე  
ახლო-მახლო მთელი ახალი ქალაქი გაჩნდა.

— აქ ოდესმე ჩვენი უნივერსიტეტი მოთავსდებათ, წინასწარ-  
მეტყველებდა ნიკო. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ  
საუბეტუროდ თვითონ ველარ მოესწრო ამ დღეს.

ჭ. ქ. სახ-გადოებაში ცხვედაძეს უახლოესი თანაშემწე იყო ამას  
წინად გარდაცვალებული დავით კარიჭა შვილი. ესეც დიდის  
გულმოვგინებით მუშაობდა გამგეობაში და როცა ცხვედაძემ მუშაობას  
დაანება თავი, მის მაგივრობას კარიჭაშვილი ლირსეულად ასრულებდა.

ექვთიმე თაყაიშვილი აგრეთვე თვალსაჩინო მოამაგე შეკვეთისას საზოგადოებისა: მისი მეოხებით გამდიდრდა „საზოგადოების“. შესანიშავი ბიბლიოთეკა და მუზეუმი, მან ჩაუყარა საძირკველი ამ ბიბლიოთეკას და მუზეუმის სამეცნიერო კატალოგიზაციას და სისტემატიზაციას.

შემდეგში მე კადევ დავუბრუნდები წ.-ქ. საზოგადოების მოღვაწეობას. ეხლა ვიტყვა მხოლოდ, რომ ცხრასიან წლებიდან წ.-ქ. საზოგადოებას, ცოტამდენი გაცხოველება დაეტყო, დემოკრატია დაინტერესდა მისი საქმიანობით, მის კრებებს დიდადი ხალხი ესწრებოდა.

ჩვენი ჯგუფის განკურძოებულმა გამოსცლაშ წ.-ქ. სახ-ბის კურახაზე აურ-ზაური გამოიწვია ჩვენს მოწინააღმდევეთა ბანაკში: თავს დაგვესხენ მარცხნიანაც, მარჯვნიანაც. „კვალი“ გვიკიცინებდა ორ ჭირობას: თქვენი ოპოზიცია იმდენას სუსტი და უძლური იყო, რომ უფრო „პოზიციის“ დაცუას ჰგავდა ვედრე თბილიციონურს გამოსცლასათ. ეს ასევე უნდა ყოფილყო, რადგან თქვენც გეშინიათ დემოკრატიის მოსცლისა საზოგადოებრივ დაწესებულებებშიო... „კვალის“ ასეთი ბრალდება მართალია უსამართლო იყო, მაგრამ, იდეური პრინციპი.

სულ სხვაგვარი იყო „ივერიის“ გაწიწმატება-გაბოროტება. „ივერიის“ ის ვერ მოენელებინა, როგორ გაპეჩეს „ცნობის ფურცლელება“ განკურძოებით გამოსცლაო. ამ დღიდან დაწყებული „ივერიია“ გადავვიდა, უმოწყალოდ და მუდამ ჩვენ ლანქლვა-გინებაში იყო. ჩვენ გვეკირვებული ვიყვით: როგორ კისრულობს დარბაისელი ალ. სარაჯიშვილი, „ივერიის“ მაშინდელი გამგე, ასეთ ურიგო პილენიკას-თქო. გავაფრთხილეთ რამდენჯერმე, მაგრამ არ მოვემზნენ. მეტისმეტად აშენოთებდა პოლემიკის ასეთი მიმართულება და წერი არჩია ჯორჯა ადეს; მეთაურიც-კი დასწერა ამის გამო; მოითხოვა ნეიტრალ დაპატიუცემულ პირების მიგზავნას და სხვა.

ისი წელს მოხდა საქალაქო აზერნები ტფილისში; ამის გამო „ივერიაში“ კიდევ უფრო გამწვავებით დაგვიწყო ლანქლვა და, ბოლოს, იძულებული გავხდით, - სრულიად შეავეუწყიტა გაზერთან ყოვლგვარი ურთიერულება: იმ დღიდან დაწყებული ჩვენ გაზეთში „ივერიია“ აღარ იხსენებოდა. ბოიკოტი განვაგრძელო იმ დრომდე, სანამ „ივერია“ არ დაიღალა და არ მოგვეშვა.

წ.-ქ. საზოგადოებაში ჩვენს გამოსცლას კიდევ მოჰყევა ჩვენთვის ერთი უსიამოშინო ამბავი: გაგვირისხდა ჩვენივე რედაქტორი ალ-

ჭყონია. ისიც იყო წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წეერი და სხვადასხვა ძეველ წევრებთან ისიც იძულებული გახდა გამგეობიდან წასულიყო. ერთ დღეს მოგვივიდა ილია ჭავჭავაძისა განცხადების მოსამენც. ფურცლის „რედაქტორის ალ. ჭყონიას განცხადების მოსამენც ვთხოვ რედაქტორის წარმომადგენლებს მობრძანდენ დღეს საღამოს ბანკის დარბაზშით. წავედით ალ. ჯაბადარი, არჩილი და მე. იქ დაგვეხდენ ილია, ალ. სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედარე, ალ. ჭყონია და კილევ ოჩი-სამი კაცი, კარგად არ მახსოვს ვინ. ილიამ განაცხადა:

— შევიკრიბენით ალ. ჭყონიას თხოვნით. უჩივის „ცნ. ფ.-ის“ თანამშრომელთაო.

სიტყვა აიღო ალ. ჭყონიამ და საბრალმდებლო სკამზე დაგვსვა: რედაქტორი ვარ და გაზეთში ბევრი იმისთვის იძექდება, რასაც მე არ თანავუგრძნობო; რედაქტორი ვარ და ჩემში თანამშრომლებმა იძულებული გამხაუეს წ.-კ. ს-ის გამგეობიდან წავსულიყავიო, წინდაწინ არც კი გამაფრთხილეს ოპოზიციას იერიჩის შესახებაო და სხვა. ამის პასუხად არ ჩილმა განაცხადა:

— „ცნ. ფურცელი“ თავიდანვე გარკვეულ მიმართულებას და-ადგა. თითქმის ორი წელიწადია ამ მიმართულებით და გზით მი-დის, რაც ბ. ჭყონიასათვის საიდუმლოებას არ შეაღენდა. პირვე-ლად გვესმის აქ მისგან, რომ ჩენ ზნეობრივი უფლება არ გვეკონია იმ მიმართულებით გაზეთის წაყვანისა, რომელიც მას არ მოსწონს თურმე. რაც შეეხება წ.-კ. საზოგადოების ოპიზიციას, ეს პირადად ალ. ჭყონიას წინააღმდეგ არ ყოფილი მიმართული და, საერთოდ ოპოზიცია პირადად არავის წევება; ხოლო ჩენ რომ გამგეობის წინააღმდეგნი ვიყავით, ამას წელიწადზე მეტია გწერთ გაზეთში და რაღა გაფრთხილება უნდოდა კილევ ჩვენს რედაქტორს.

ალ. ჭყონიას და არჩილის ამ სიტყვების შემდეგ ილიამ განაცხადა:

— ჩვენ აქ მოსამართლები არა ვართ; ვთხოვეს განცხადების მოსმენა, მოვასმინეთ განცხადებაც და პასუხიც და ამით თავდება ჩვენი მისიაო.

მაშინ ა. ლ. ჭყონიამ განაცხადა:

— თავს ვანებებ „ცნ. ფ.“-ის რედაქტორობას და ვთხოვ ალ. ჯაბადარს დაუყოვნებლივ შემცვალოს. ეს მისი თხოვნა რამდენ-სამეც დღეში იქნა შესრულებული და „ცნ. ფ.“ რედაქტორად დაინიშნა გაზეთის გამომცემელი ალ. ჯაბადარი. მეტად გვიწინა პატიოსან და დარბაისელ მოღვაწის ასეთი გაჯავრება, „ქრების“

დასასრულს ბოდიშებით მიემართეთ მაგრამ, სამწუხაროდ, ალექსან-  
დრე იმდენად გაზრისხებული იყო, რომ სრულიად შესწყვიტა ჩვენ-  
თან ყოველგვარი დაშოკიდებულება და კავშირი.

ამ ინციდენტზე იმიტომ შევჩერდი, რომ აღმენიშნა ერთი და-  
მახასიათებელი თვისება ჩვენის ძევლის მოლვაწეებისა: სახლები  
საქმით გამოწვეულს პოლემაკასა და კრიტიკას ისინი მეტწილად  
შეურაცყოფად სთვლიდენ და სამუდამოდ მოსისხლე მტრები  
ხდებოდენ. მე მგონია, ამ მხრით ერთადერთ გამონაკლისს შეა-  
დგენდენ ორი ძევლი დიდი მოლვაწე—ილია ჭავჭავაძე და  
ნიკო ნიკოლაძე, დანარჩენების მოლვაწეობის ან მოქმედების  
კრიტიკულად შეხება სწორებ უბედურება იყო და დიდ გამბედაო-  
ბას მოითხოვდა.

\* \* \*

როგორც ზემოთ ვთქვი, იმავ წელს ტფალისში მოხდა საქალა-  
ქო არჩევნები. ეს მეორე არჩევნები იყო ჩემს მახსოვრობაში მას  
შემდეგ, რაც ტფალისში დასახლდი. უნდა გაგასხნოთ, რომ პარ-  
ველ, 1897 წლის არჩევნებს დიდი განვაში მოჰყვა. ველიჩკოს  
გაზეთი და ქართული პრესა გაშეაგებით ებრძოდენ სომხების შოვი-  
ნიშმს. სხვადასხვა პროეტებიც დაიბადა მათ საარჩევნო უფლების  
შეზღუდვის შესახებ. მახსოვს ერთი ამგვარი პროექტი ნიკო ნი-  
კოლაძემაც გამოაქვეყნა. ის საჭიროდ სთვლიდა ეროვნებათა მი-  
ხედით პრობორცუიონალურ არჩევნების შემოღებას. მაგრამ ალბად  
საარჩევნო დებულების შეცვლა პეტერბურგში არ ინდომეს, თუმცა  
კავკასიის ადგინისტრაციი მოითხოვდა ამას; დაქაყოფილდენ მხო-  
ლიდ ერთი ადგინისტრატიული ლონისძიებით: უბრძანეს საბჭოს ქა-  
ლაქი დაეყით სამ საარჩევნო უბნად და თვითეულში ცალკე მოეხდინა.  
არჩევნები; ამ გზით შესაძლებლად მიაჩიდათ სომხების უმრავლესო-  
ბის შესუსტება, რადგან ქალაქის ზოგიერთ უბანში მეტი ქართვე-  
ლობა და რუსობა ცხოვრობდა. ამ არჩევნებზედაც წინანდელი ძალთა  
განწყობილება სუფევდა: სომებს ამომრჩეველთა რიცხვი ორი ათას  
კაცამდე დაიოდა (თითქმის 60 %); ქართველთ ჰყავდათ მხოლოდ  
524 ამომრჩეველი (15%), რუსებს 670—(17 %) და სხვა. როგორც  
წინა არჩევნებში, ახლაც სომხობა არ გამოდიოდა ერთი ფრონტით.  
ცალკე იყო პლუტოკრატია და ცალკე ახალგაზრდათა პარტია. ჩვე-  
ნი გაზეთი ისევ ურჩევდა ქართველ ამომრჩევლებს ამ ახალგაზრდებ-  
თან შეერთებას; ურჩევდა არა ეროვნულ, არამედ საქალაქო ინტე-  
რესების პლატფორმით გამოსვლას. ქართველები კვლავ რუსის ხუ-



ლიგანებს შეუთანხმდენ და ისევ დამარცხდენ. რასაკირველია შენ  
ნანდებური გულვრილობა გამოიჩინეს: არავითარი მზადება არ ყო-  
ფილი და 524 ამომრჩევლიდან კრებაზე მოვიდა მხოლოდ 113 კაცი.  
აირჩიეს 52 სომეხი ხმოსანი, 13 ქართველი და 9 რუსი. ამნაირად  
კვავ გაიმ. რჯვე სომხის პლუტოქრატიამ. მახსოვს, აშევარ შედევის  
გამო სომხების „მშაკი“ სრულიად სამართლიანად სწერდა: თუ  
არჩევნები ეროვნულ ნიადაგზე იყო გადატანილი, რატომ ქართვე-  
ლებმა და რუსებმა მეტი ხალხი არ გამოიყვანეს ბრძოლის ველზე.  
სომხებიდან კრებებს დაესწრო მხოლოდ 500-მდე კაცი, ქართველებს  
და რუსები კა ამომრჩევლები ჰყავდათ 1200-მდეო. ნახევარიც, რომ  
მოეყვანათ საარჩევნო ყუთებთან, ერთ სომხესაც არ გაუშევდდენ.

პირადაც მე მაშინაც ვფიქრობდი, რომ სომხება არ გამოიჩინ-  
დენ გადამეტებულ შოვინიზმს იმ განგაშის შემდეგ, რომელიც პირ-  
ველმა არჩევნებმა გამოიწვია. მაგრამ სომხებმა ახლაც გააშავეს სა-  
სარგებლო, ძელი და ახალი ქართველი მოღვაწეები: გრ. გაბა-  
შვილი, ნაფიცი ვექილები: ი. ბარათაშვილი და გრ. დიასა-  
მიქე, ნიკო ქართველიშვილი და სხვანი.

ამ არჩევნებსაც მოპყა დაუსრულებელი ვანგაში, პოლემიკა და  
მათქმა-მოთქმა. კულავ გამშვავდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობა.  
გაბრაზებულება ქართველებმა მალე იყარეს ჯავრი სომხებზე. რამდე-  
ნიმე თვის შემდეგ გაიხსნა ახალი დაწესებულება „კვასიელ სტუ-  
დენტთა დამმარე საზოგადოება“. პირველ კრებებზედვე დიდიალი  
ქართველი ინტელიგენცია მოვიდა და გამგეობაში მხოლოდ ქართვე-  
ლები და რუსები აირჩიეს, არც ერთი სომეხი; გააშავეს თვით  
გიორგი თუმანიშვილი, რომელიც აქტიურად და მხურვალედ  
მუშაობა ამ საზოგადოების დაარსებისათვის; საქმიო რიცხვი გმ-  
გეობის წევრთა არ იყო არჩეულ პირველ კრებაზე, ამიტომ დაინი-  
შნა დამატებითი კრება და მხოლოდ მაშინ დიდის გაჭირვებით მი-  
ვაღებინეთ ამ ერთადერთ სომხის კანდიტატურა.

\* \*

- უცნაური ოპოზიციონერობა ვიცოდით იმ ხანებში. არც ერთი  
ჩვენი საზოგადო დაწესებულება არ ვადარჩნია იმ თავისებურ იპო-  
ზიციას, რომელიც ბოლოს, დაღუპეას უქადიდა თვით დაწესებუ-  
ლებას. .

გიმნაზიის უფროს კლასებში რომ ვიყავი, მახსოვს დიდი აურ-  
ზაური, დიდი ბრძოლა იყო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გარ-  
შემო. ბანკის სათავეში მაშინ იდგა ნიკო ღოღობერიძე, უმაღ-

ლეს სწავლადამთავრებული (იურისტი), ფრიად გონიერი, ფრთხოებული და პატიოსანი მოღვაწე. ერთი სიტყვით, რაც საჭირო იყო ის-თანა საქმისათვის, როგორიც იყო საპიპორეკო ბანკი, ამ ადამიანს ყველაფერი ჰქონდა და რიგიანადაც მიპყავდა საქმე. მე არ ვიცი, რამ გამოიწვია მაშინდელი ინტელიგენციის ოპოზიცია ღოლობერიძის წინააღმდეგ; უცემელია, რაუ შეცდომები იქნებოდა, მაგრამ ის მაინც ცხდია, რომ ინსტანცია არაფერი ყოფილა ქუთაისის ბანკში, გამართლება რომ შეიძლებოდეს იმ მეაცრი ოპოზიციისა, იმ დაუნდობელი ბრძოლისა, იმ გადაჭარბებული დევნისა, რომელთა მსხვერპლი გახდა დარბაისელი, მუყაითი და პიტიოსანი მოღვაწე. ქუთათურმა ინტელიგენციამ მის წინააღმდეგ წამოაყენა და იმიტრი დადიანის კანდიდატურა. ესეც ღირსეული და დარბაისელი მუშავი იყო, მაგრამ არავითარი ისეთი უბირატესობა არ ჰქონია ღოლობერიძესთან შედარებით, რომ აუცილებლივ საჭირო ყოფილიყო ერთის მეორით შეცვლა. ბრძოლა, ეს გაშმაგებული და გაუცებარი ბრძოლა რამდენსამე წელიწადს გაგრძელდა და, ბოლოს, ღოლობერიძე გააძევეს. მაინცადამიინც არაფერი ბანკს აით არ შეჰმატებია, მაგრამ უაზრო ბრძოლამ მეტად ცუდი ნაყოფი გამოიღო. რავი ბრძოლას იდეური ხისიათი არა ჰქონდა და მხოლოდ პირალული მომენტი სკარბობდა, ამ გარემოებამ სხვებდც გაუდევიძა მაღა. კალის ტრატე ჩიკვაი დემ სამართლიანად დაასკვნა:

— მე რითი ჩამოვუარდები დიმიტრი დადიანს; თუ საქმე მარტო პირაობაა, მეც შემიძლია ღირსეული კანუიდატი ვიყოყო. და ასტეხა ბრძოლა. თითქმის მთელი ქუთაისის ინტელიგენცია გადაუდგა წინ კილიტრატეს, მაგრამ მან ბრძოლის ყოველი მისაღები და მიუღებელი სამუალება აამოძრავა და მიზანს მიაღწია. აյკინდ ამის შესახებ იოხუნჯა:

— „კის ისტრატილ— იყრიდეთ“— და მართლაც, არა თუ გვიდა ბანკის გამგედ, არამედ ისე ზაგრადაც ჩაჯდა თავმჯდომარის სავარებლში, რომ ეკრაფრით მისი გაღმოვდება დასავლეთ საქართველოს ინტელიგენციამ ველარ მოახერხა. მთელი წლების განმავლობაში იყო ჭიდილი ორ მხარეს შორის; ამ ჭიდილში ბანკი ყველაზ დაივიწყა და მისი საქმები დღითი დღე უარესდებ იდა. ბოლოს მთავრობაც ჩაერია და თავისებურად დააგვირვენია საქმე: ბანკის თავმჯდომარედ მოხელე დანიშნა, ხოლო ბანკის მოქმედება შეზღუდა განსაზღვრულის თანხის სესხად გაცემის უფლებით. ი, ასე დაგვირგვინდა ჩვენებური უაზრო და თავდაუკერელი ოპოზიცია.



ამის მსგავსი აშშავი კინალამ ტფილისის ბანქსაც დაემართა. ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ამისაგან სხვა ჩეკებურ საზოგადო დაწესებულებებში გაშვავებით აღმართული ოპოზიცია. მავალი-თისთვის გაეიხსეხოთ თუნდაც ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა თვითმართველობაში გაჩალებული საოპოზიციო ბრძოლა, რომელიც სწორედ იქ წელს გაძლიერდა, რომელზედაც შეჩრებული ვარ ეხლა (19(2—1903).

მარგანეცის მრეწველთა საბჭოს, თავმჯდომარედ ამ საბჭოს და-არსებილანვე იყო გიორგი ზდანოვიჩი. თამამად შეიძლება ით-ქვას, რომ გიორგი ზდანოვიჩის ენერგიისა, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით დადგა ფეხს და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისთვის დიღმინიშვნელოვანი სამრეწველო საქმე. ჩემი განზრახვა არ არის მარგანეცის მრეწველობის ისტორიას მოვცვე აქ, რაც ადგილია აქ ამისთვის. მაგრავ ვინც დაინტერესდება ამ ისტორიით, ვინც პირუ-თვნელად გაისჯის საქმეს, არ შეიძლება არ დარწმუნდეს, რომ სწო-რედ გიორგი ზდანოვიჩის ნიჭისა და დაუშრეტელის ენერგიით ამაღ-ლდა ეს მრეწველობა და მსოფლიო მასშტაბის საქმედ ჩამოყალიბდა. რასაკვირველია, მის სამრეწველო პოლიტიკაში უსწორ-მასწორო გზებიც იყო, რაც აუცილებელია ამგვარ დიდსა და ახალ საქმეში. გიორგი თავიდანვე დარწმუნდა, რომ აქ წვრილი მუურნეობა ვერა-ფერს გააწყობს: ვერც ტექნიკას გააუმჯობესებს, ვერც მუშათა მდგომარეობას უშეველის, ვერც მეტოქეობას გაუწევს უცხოეთის გა-ზარჩე სხვა ქვეყნების მარგანეცს. საჭირო იყო მსხვილი კაპიტალის-ტური მრეწველობის შექმნა. ამიტომ თავდაპირველად უცხო კაპიტა-ლისტებს შეუწყო ხელი. შემდეგში, როცა დაინახა, რომ უცხო კაპი-ტალისტები მხოლოდ თავის გამდიდრებაზე ფიქრობდენ, ამისათვის უშესრიგო ექსპლოატაციას ეწეოდენ, და მრეწველობის ნორმალურ განვითარებისთვის თავს არ იწუხებდენ, თავი დაანება მათ და შეუ-დგა ადგილობრივ წვრილ მრეწველთა შეერთების საქმეს. დიდის ენერგიათა და მეცადინეობით მოახერხა ჩვენებურ მრეწველთა სინ-დიკატის დაარსება და საქმე მარჯვედ წავიდა წინ. მაგრამ, სწორედ ამ დროს ამ საქმეშიაც გაჩნდა ჩვენებური ოპოზიცია, გაჩაღდა ბრძოლა, ბრძოლა უმოწყებო და დაუნაობელი.

საქმიანი ოპტიცია, უეჭველია, საჭირო და სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ საქმიანობის ნაცვლად ბრძოლა პირადობის წინააღმდეგ აღიმართა: „გ. ზდანოვიჩი უნდა გადავიგდოთ, რითაც კი შეიძლებაო“, — აი ლომუნგი და დევიზი ამ გაშმავებულ ბრძოლისა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ოპტიცია დაიწყეს პირადად დაინ-

ტურქებულმა ელემენტებმა უცხო ექსპორტიორებმა, რომელთაც იწყინეს გიორგის გადადგომა და რომელნიც მეაშინა მისმა ახალმა პოლიტიკამ. ამათი ოპოზიცია არ იყო საშიში და მალეც იქნებოდა ძლეული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ გვერდში ამუღდგნენ სრულიად სხეა ელემენტები, რომელთაც კეთილი განზრახვები ჰქონდათ და ოვით მრეწველობის სვე-ბედით იყვნენ დაინტერესებული. ესენი იყვნენ მაშინ დელი ახალთაობა, უმთავრესად შესამე დასელები და ზოგი ჩვენი ამხანაგიც, როგორც, მაგალითად, სამსონ ფირცხალავა და ორიოდე სხვანი.

ახალგაზრდა ოპოზიციამ დაიწყო შუშების ინტერესების დაცვა და მრეწველთა ოვითმართველობის საქმიანობის გაუმჯობესების ვეის მეცადინებობა. ეს იდეური და საქმიანი წინააღმდეგობა იყო, მაგრამ მალე ამ ოპოზიციამაც იცვალა ფერი და სრულიად სხვა გზას დაადგა. ბრძოლა ახლა აღიმართა გიორგი ზდანოვიჩის პირადობის წინააღმდეგ. ოლონდ ზდანოვიჩი გადავაგდოთ და არავითარ საშუალებას არ დავერიტებითო, გაისმა ჩერულებრივი ლოგუნგი. მართლაც, დაიწყო გაშმავებული და დაუნდობელი ბოძოლა. სამწუხაროის იყო, რომ ახალმა ოპოზიციამ ვერ დაინახა, თუ როგორ კომპანიაში ამოყო თავი. ვერ დაინახა,— როგორ ამოძრავდენ ბნელი ძალები, რომელთაც გადასწუვეოტეს ოპოზიციის საშუალებით თავისი ქვენა გრძნობები და განზრახვები დაეკმაყოფილებინათ. ამოძრავდენ ექსპორტიორები ემერიკის მეთაურობით, ამოძრავდენ ქართველ ერის შუდმივი მტერნი—რუსის ორაქციონერები, ბათომის ხელი-განთა განხეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის პალ მის მეთაურობით, ამოძრავდა ტფალისის მაღალი ბიუროერატია. ყველას გაელიდა მათა, ყველას გაიფიქრა ხელების მოთხოვა ჭიათურაში ანთებულ კოცონტე... ამ მავნე ელემენტებმა უცბად აუღეს ალო სიტუაციას: საჭიროა ოპოზიციას დავეხმაროთ გიორგი ზდანოვიჩის გადაგდების საქმეში, მერე კი ვნახოთ, რა იქნებათ. ოპოზიციამ მიიღო ეს დახმარება. რაკი ამართებია გადატანილ იქნა პიროვნების შეცვლის ნიადაგზე, მავნე ელემენტებმა მიაჩერეს თპოზიციას ახალი კანდიდატები. პირველად წამოაუნენს ვინერ კალატოზი შვილი, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის სრულიად უცნობი ინუნერი. მარგანეცის მრეწველობის მან არაფერი იცოდა. ნიჭითა და ენერგიით, საქმისადმი სიყვარულით და გამჭრიახობით ის, რა თქმაუნდა, გიორგი ზდანოვიჩის ვერ შეედრებოდა... როცა კალატოზიშვილის კანდიდატურამ ვერ გასჭრა, წამოაყენეს ძველი მოღვაწის ანდრია ერისთავის კანდიდატურა: არც ამას

გაეგებოდა რამე მარგანეცის მრეწველობისა. თავის მიმრთულ-ბით კი ის სრული ანტიპ-დი იყო ზდანოვიჩისა. თავად-აზნაურულ იდეოლოგით გაეღენთილი და რეაქციონერთა მომხრე სახელმწიფოს საბჭოში, რომლის წევრად ის შემდეგში არჩეულ იქნა ქუთაისის თავად-აზნაური მიერ. ამ ორ კანდიდატს რომ რაე უპირატე-სობა პქნონდა გიორგი ზდანოვიჩთან შედარებით, ოპ აზაციის ბრძოლას კიდევ ექნებოდა რაიმე აზრი. სრულიად გაუგებართა ამი-ტომ, როგორ დაპრმავდა მაშინდელი ახალი თაობა და ამ ელემენ-ტების უბრალო იარაღად გადაიქცა. ოპზიციას ჭიათურაში მეთაუ-რობდა პარმენ ჭიჭინაძე, ხოლო გაზეთში იდეოლოგიურ და-ხმარების საქართველოს „კვალის“ ახალგაზრდა თანამშრომელი დიო მიდე თოფური ძე. ამ ბრძოლის გამო დიდად გამოწვევდა ურთიერთობა „კვალსა“ და „ცნობის ფურცელს“ შორის. ბოლოს, ეს ბრძოლაც დაგეირგვინდა იქით, რითაც ხშირად გვირგვინდე-ბოდა ჩვენებური ახირებული ოპზიცია: 1903 წელს ბიუროუ-ატია ჩატორია საქართველო და ჩვეულებრივად შეზღუდა თვითმართველობა. იმ დროიდან ხარჯთ-აღრიცხვა წინასწარ დამტკიცებული უნდა ყოფი-ლიყო აღმინისტრაციის მიერ, კრებების თავმჯდომარედ უნდა ყო-ფილიყო მთავრობის მიერ დანიშნული უმაღლესი პირი და სხვა...



XXII

საცდებარგარეთ „საქართველოს“ გამოცემა. შენების კონ-  
ფერენცია. — მეორე ინტერნაციონალში შეხვდა. — ურ-  
თიერთობა ესერებთან და დაშავებთან. — მინირი და  
ნიტანინი.

1902 წლის გაზაფხულზე ჩვენმა პირველმა კომიტეტმა გადას-  
წყვიტა საზღვარგარეთულ თავისუფალ ორგანის გამოცემის დაჩქა-  
რება. აირჩია კომიტეტის ორი საუკეთესო წევრი, ერთი როგორც  
რება, აირჩია კომიტეტის ორი საუკეთესო წევრი, ერთი როგორც  
თეორეტიკოსი და ორგანის იდეურ მხარის ხელმძღვანელი, მეორე  
როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტი-  
კული მოღვაწე. ესენი იყვნენ არჩილ ჯორჯ ადე და გიორგი  
დეკანოზი შეი ილ ა. მათ მესამე ამხანაგად მივეცით ჩვენ პარტია-  
ში პირველ მერცხალთაგანი მუშა—ასოთამწყობი მიხეი ილ კიკნა ადე.  
ში პირველ მერცხალთაგანი მუშა—ასოთამწყობი მიხეი ილ კიკნა ადე.  
გაზაფხულზე სამივენი გავისტუმრეთ საზღვარგარეთ შეკრებილის ფუ-  
ლითა და დირექტივით, რომ გაზეთი დაყყოვნებლივ დაარსებულიყო.  
გაზეთს ბევრის ყოყმანის შემდევ სახელიდ ვუწოდეთ „საქარ-  
თველო“, თუმცა არჩილს ნება მივეცით, თუ საჭიროდ დაინახავდა,  
ეს სახელი შეცვალდა.

ჩემი ამხანაგები პარიზში ჩასვლისთანავე მხნედ შეუდგნებ მუ-  
შენი ამხანაგები პარიზში ჩასვლისთანავე მხნედ შეუდგნებ მუ-  
შაობას: შეუკეთეს და მოამზადეს მშვენიერი ახალი ქართული შრი-  
ფტი, იყიდეს ქალალდი და სხვა. მაგრამ, დიდალი დაბრკოლება გა-  
დაელობა წინ. უმთავრესი დაბრკოლება ის იყო, რომ ვერ იშოვეს  
ვერსად სტამბაში შესაუერისი კუთხე. საკუთარ სტამბის შექმნა შეუ-  
დებელი იყო, ხოლო გაზეთები არ უშვებდენ მათ. დატრიალდა  
გიორგი დეკანოზი შვილი და მალე გავლენიანი ნაცნობები  
გაიჩინა. დიდის სიმპატიით მიეგება ჩევნის განზრახვას, სხვათაშორის,  
„ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის“ პარიზელ ორგანოს „მეშვეორუ-  
დის“ რედაქტორი ან მე და-რიზ ა. ამის მეშვეობით გიორგი დეკა-  
ნოზიშვილმა გაიცნო გამოჩენილი ფრანგი მოღვაწენი: სებასტიან  
ფორი, უერო რიზარი, პრესანსე, უორესი და სხვანი.  
ესენი ინახულეს არჩილმა და გიორგიმ, გააცნეს სა-  
კირთველოს მდგომარეობა, ახალი პარტიის ამბები და თავის განზ-  
რახვა თავისუფალი ორგანოს შექმნის შესახებ. თან არჩილმა ისიც  
დასძინა: განზრახვა გვაქვს ქართულ გაზეთთან პარალელურად რამდე-  
ნიმე ნომერი მაიც გამოვცეთ ფრანგული გაზეთიც „Georgie“-ო,  
რისთვისაც დახმარებას გთხოვთო. ახალ ნაცნობების შემწეობით

ჩვენმა ამხანაგებმა სტამბაც იშოვეს: ანარქო-სინდიკალისტების გა-  
ზეთ „Action“-ის რედაქციამ დაუთმო მათ თავისი სტამბის კუთხე. მონ-  
მარტრის ბულვარზე დაიქირავეს თავისითვის და რედაქციისათვის ბინა  
და იქ დაიშვი წინასწარი სარედაქციო თათბირები. გარდა ჩვენ  
მიერ გაგზავნილებისა პარიზში იმ დროს იყვნენ ჩვენი თანამემამუ-  
ლენი: თედო სახოკია, ექიმი ალ. დიიასამიძე, ზურაბ ავა-  
ლიშვილი, ნოე უორდანია და სხვები. ამ პირებიდან ჩვენს  
პარტიაში შემოვიდენ თედო სახოკია და ალექსანდრე დიია-  
სამიძე; ნოე უორდანია ახალი ჩასული ემიგრანტი იყო—სო-  
ციალ-დემოკრატი, ზურაბ ავალიშვილი იქ თავის განათლებას  
ამთავრებდა. ყველა ესენი ამა თუ იმ დახმარებას უწევდენ ჩვენ ამ-  
ხანაგებს, ხოლო თედო სახოკია მევიდრად ჩაეგა საგაზიონ მუ-  
შაობაში და „საქართველოს“ დახურვებიდე (1905 წ.) მისი თა-  
ნამშრომელი იყო. ზურაბ ავალიშვილმაც პირველ ხანებში მიიღო  
მონაწილეობა გაზეთში, უორდანიამაც—კი მოათავსა ერთი თუ ორი  
წერილი კავკასიაში შუშათა მოძრაობის შესაბებ.

გაზეთი გამოვიდა თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმავ 1903 წლის მაისში. იმ დღიდან დაწყებული გაზეთი დროგამოშვებით  
გამოდიოდა და მხნედ არკვევდა საპროვორო საკითხებს, ეკონომიკურ  
და პილიტიკურ ხასიათისას. პატარა ხნის შემდეგ გამოვიდა ფრან-  
გული „Georgie“-ც, რომელიც აგრეთვე რამ იდენტიმე წელს გამოდიოდა  
მოზრდითი ინტერვალებით, რასაკვირველია. ამ ფრანგულ გამოცე-  
მაში იბეჭდებოდა „საქართველოდან“ გაღმოთარგმნილი ზოგი წე-  
რილი, ზოგიც ფრანგ სოციალისტებისა და საკუთარი.

ჩვენი გაზეთის გამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩა პარიზში: სო-  
ციალისტური გაზეთები და „ახალგაზრდა ოსმალთა“ ზემოაღნიშუ-  
ლი „მეშვერული“ დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ. ამასვე ვერ  
ვიტყვით სომეხთა მაშინდელ პარიზელ ორგანოს „Pro Armenia“-ს  
შესახებ: ეს გაზეთი როგორლაც უსიამოვნო ლრეპით დაუხედა „სა-  
ქართველოს“. განსაკუთრებით არ მოეწონა წერილი კავკასიის მუ-  
შათა მიძრაობის შესახებ: სომხებზე არაფერია შიგ ნათქვამიო,—და  
დაუშვი ჩვენს გაზეთს ლანდღა. „Pro Armenia“-ს რედაქტორი იყო  
ცნობილი სომეხი მოღვაწე ექიმი ლორის-მელიქოვი.

დიდის გაჭრვებითა და მეცადინებით მოახერხეს გიორგი  
დეკანოზიშვილმა და თედო სახოკიამ, „საქართველოს“  
პირველი ნომრის ჩვენში გამოგზავნა. საზოგადოდ არალეგალურ გა-  
ზეთების ექსპედიციის საქმე ერთობ ძნელი იყო, ჩვენი გაზეთისთვის  
კი, ეს პირდაპირ უბედურება იყო პირველ ხანებში.

՚յութեզելո աղջուլած մոխցըօձա, հռացրո աղթացըօձա ցամոնի՛ցա  
հզեն չցցց՛մո, ասալո, տապուշոյալ ցա՞թուս Յորպել նոմհուս մոլո-  
ծամ...մացրամ մուս սանցարցահցուօճան ցյելուցուած արա նաշլցէ ցա-  
կործա հզենմո ցա՞թուս ցա՞րպելուօձա. օնթելուցենցուածու, հասկա՞րդ-  
լուս, ցա՞թուտ մալլ մոցոյիշտ, եռլու մշցեմո, րապ հզենցուս սցրու-  
սանցրուցըսո ոսո, ցա՞թուս ցա՞րան ցագոնցելուծա. հզեն Յըրմացան-  
գուստյեծ լու ոմ համցենմիշ մշշէս, հռմելնուց մաժոն հզեն Յարւուածո  
ոսոնց, ցա՞թուս նոմրեծո սյան մոկշոնդատ:

— მუშებს არ სურთ ჩვენი გაზეთის კითხვაო. შემდეგ შეაც დი-  
დი მეცალინება დაგვჭირდა, რომ „საქართველო“ მშრომელ ხალხი-  
სათვის მიგვეწოდებინა: მაგარი კედელი შემოვლეს მას ჩვენმა იდეუ-  
რმა მოწინაალმდებრებმა.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, ჩვენმა გაშეოთა მაინც  
გაიკაფა გზა ახალგაზრდობაში და მშრომელ ხალხშიაც და თავის  
ენერგიული ბრძოლით თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი ერთის შრით  
ამ ალექსანტების გათვითცნობიერებას, მეორე მხრით ჩვენი პარტიის  
ზრდისა და განვითარების საქმეს, რაც ნათლად გამოჩნდა მოხსელოვე-  
ბულ პირების რევოლუციის დროს.

„ცენბის ფურცლის“ სამი წლისა და „საქართველოს“ ერთი წლის მუშაობამ საკმარი ფართოდ დააყენეს ეროვნული და სოციალური საქითხები ჩვენი პარტიის თვალსაზრისით და საესტიტი გამოარევია ის საფუძველი, რომელზე დაც უნდა აშენებულ ყო პარტიის პროგრამა და პარტიის მუშაობა. ამიტომ ჩვენმა ამხანაგებმა საზღვარგარეთ საჭიროდ დაინახეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოეხდინათ საქართველოს სხვადასხვა სარევოლუციო პარტიათა და ჯგუფთა შორის იმის გამოსარკვევად, არის თუ არა ნიადაგი შეთანხმებულ მოქმედებისათვის. რაღაც ასეთი სურვილი საზღვარგარეთელ ზოგიერთ ჯგუფშიაც იყო, კონფერენციის მოწვევა გადაწყდა და იგი კიდევაც შესდგა 1904 წლის დასაწყისში ქ. უენევაში. ამ კონფერენციის დიდი წინიცენტობა პქონდა არა მარტო ჩვენი პარტიისათვის, არამედ საერთოდ ჩვენი კაცობრიობის განვითარებისათვისაც. რადგან ამ კონფერენციის შესახებ ჩვენში ძლიერ ცოტა რამ იციან თვით პოლიტიკურმა პარტიებმაც, საჭიროდ მიმაჩნია დაწვრილებით შევჩერდე ამ აბბავზე და გადაესცე მგითხველთ ცოტა რამ ზოგი ოქმებიდან, ზოგიც იქიდან, რაც გამიგონია ჩემ საზღვარგარეთელ ამხანაგებისაგან, რომელნიც კონფერენციის დაესწრნენ.

კონფერენცია გაიხსნა უნივერსიტეტი 1904 წ. პირველ აპრილს. დაესწო სულ 21 კაცი. აქ იყვნენ: სოციალისტ-ფედერალისტები, მათი თანამედრობელნი, ანარქისტები და ს.-დემოკრატები. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება ტექნიკისა<sup>1)</sup> სეპარატიზმის შესახებ; 2) მოხსენება უერთიცანიძისა — „ნაციონალური კითხვა შესახებ; 3) მოხსენება უერთიცანიძისა — „ნაციონალური კითხვა შესახებ; 4) მოხსენება უერთიცანიძისა — საქართველოში“; 5) სახულის საზოგადოდ და მასი გადაშეცვერა საქართველოში“; 6) საბულის მოხსენება — „საქართველოს“ რედაქციის „ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამები“; 7) „სინდიკალიზმი“ — მოხსენება კ. ორგეიანისა; 8) „აგრარული კითხვა“ — მოხსენება მანაველისა, 9) „სარევოლუცია ტაქტიკა სოციალისტურ მოძრაობაში“ — მოხსენება თერეგელისა. ტაქტიკა პარველ სხდომაზე დამსწრეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

გამწვავება გამოიწვია საკითხმა რეზოლუციების გამოტანის შესახებ. ს.-დემოკრატებმა წინააღმდევებობა გამოაცხადეს: ვერაცითარ რეზოლუციის გამოტანაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებთ. დანარჩენი ჯგუფები საჭიროდ სთვლიდეს რეზოლუციებს იმ თო. დანარჩენი ჯგუფები არ ჩილ ჯორჯა ადემ წამიაყენა: რეზოლუციების მხოლოდ მორალური ძალა ექნება და არც ერთ პარტიისათვის სავალდებულო არ განდებათ. გამწვავებულ კამათის შემდეგ კრებამ 17 ხასის წინააღმდეგ 4 სოც.-დემოკრატისა, დაადგინა რეზოლუციების გამოტანა. ამის შემდეგ ს.-დემოკრატებმა კრება დასტოლური და კონფერენციას დასაბუთებული განცხადება წარუდგინეს: ჩვენ მოვდეით აქ მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და ორგანიზაცია „საქართველოს“ მიმდევართა ვიწრო ნაციონალიზმის მხილები-განა სათვის; ხოლო რადგან კრებამ საერთო რეზოლუციების გამოტანა მოისურვა, ჩვენ ასეთ კონფერენციაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ თო და სხვა.

პირველად კონფერენციამ მოისმინა ორი მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ეროვნულ საკათხს საზოგადოდ და ამ საკითხის თანამედროვე მდგომარეობას საქართველოსათვის: ერთი ეკუთხნოვა — ტექნიკურს, მეორე — ვერმიციც ანიდეს (ა.ლ. გაბუნია); პირველი იცავდა სეპარატიზმს, მეორე ავტონომიას და ფედერაციას. ორი

1) სამშებაროდ, მე არ მახსოვე — რომელი ფსევდონიმი რომელ დალეგატს ეკუთვნის. ვიცი მხოლოდ, რომ საბულეო — არჩილ ჯორჯაძე, დავითი იანინი. უორდანია; ვერმიციანიდე — სანდრო გაბუნია, მანაველი — ვარლამ ჩირქეშიშვილი და ორგეიანი — კომანდო გოგელია. ს.-დემოკრატებს ჰქონიან — ეფრემიძე და მორბელაძე.

დღის კამათის შემთხვევაში ამ საკითხებზე გამოიტანა სათანადო რეზოლუცია.

კონფერენციამ უარყო სეპარატიზმი და წამოაყენა მოთხოვნა საქართველოს ავტონომიისა, აეტონომიური საქართველო სხვა ერებთან ფედერატიულად უნდა ყოფილიყო შეკავშირებული.

შემდეგ კონფერენციამ მიიღო მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა (არჩ. ჯორჯაძის მითითებით) და რეზოლუციები მუშათა საკითხე, ტაქტიკაზე, პრაქტიკულ საკითხებზე და სხვა.

კონფერენციის ყველა რეზოლუცია და დადგნილებანი ჩვენ მალე მივიღეთ ტფილისში. მოვიწვიეთ ადგილობრივ კომიტეტების წარმოშობებუნელნი და ზოგიერთის ცვლილებებით ეს რეზოლუციები დავამტკიცეთ. სხვათა შორის ცვლილება შევიტანეთ პარტიის სახელწოდებაში: ნაცვლად „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა“ პარტიას სახელად ვუწოდეთ: „საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სახელმწიფო პარტია“. შემდევში ეს რეზოლუციები საფუძვლად დაედო პარტიის პროგრამას, რომლის დასაბუთება და დამუშავება 1905 წელს შეინდო გრ. რცხილაძეს. შაგრამ ამაზე შემდეგ.

\* \* \*

იმ ხანებში პეტერბურვიდან ჩამოვიდა სოც.-რევოლუციონერების ცენტრ. კის წევრი ცნობილი რევოლუციონერი მინორი. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო—ტფილისში და, საზოგადოდ ამიერკავკასიაში ს.-რ. ადგილობრივ ორგანიზაციებისა და კომიტეტების დაცრსება. ტფილისში მან ინახული ძეველი ნაროდოვოლცები და ახალგაზრდა რევოლუციონერები. ძეველებიდან მე ყველას ვიცნობდი. აქ იყვნენ ალ. კალიუშნი, ბეკი, მაიკოვი, კერსენინი და სხვები. თითქმის ყველანი მსახურებდენ ან რკინის გზაზე, ან ქალაქის თვითმართველობაში. იმხანად არავინ მათგანი არაფერს რევოლუციისათვის არ აკეთებდა. არ ვიცი, გამოადგნენ თუ არა ეს ყოფილი რევოლუციონერები მინორს თუ ახალგაზრდები ირჩია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ დროიდან ტფილისში უკვე დაიწყო ამ პარტიის ორგანიზაციის ნორმალური მოქმედება.

როცა ეს საქმე მოათვა მინორშა, მე მნახა და გადმომცა: დავალება მაქვს—თქვენს მთავარ კომიტეტს მოველაპარაკე ფრიად საყურადღებო საქმეზე. კომიტეტის სხდომაზე მინორშა გვაცნობა ს.-რ. ც. კ. წინადაღება მათ პარტიასთან შეერთების შესახებ. თქვენი პარტია იქნებაო, სოჭვა მან, ავტონომიური ჯგუფი, რომე-

ლიც საქართველოში დამოუკიდებლად აწარმოებს საქვეს, მხოლოდ ც. კ-ს კონტროლის ქვეშო. გარდა იმ უპირატესობისა, რომელსაც საერთოდ იძლევა დიდი გაერთიანებული პარტია, თქვენთვის ის მნიშვნელობაც ექნება ამ შეერთებას, რომ ინტერნაციონალის კარები გაგებსნებათ და სხვა. სხვათა შორის ისიც გადმოგვცა, რომ ამგვარისავე წინადაღებით მიემართა „დაშნაკთა“ პარტიისათვის, მაკრამ იქათ პატივისადები მიზნებით უარი სუკვესო, სახელდობრ იმ მიზნით, რომ „დაშნაკუტუნი“ უმთავრესად საზღვარგარეთ, ოსმალეთში მუშაობს და რუსეთის ს.-რევ. პარტია იქ როგორ გასწოდებაო...

ჩვენც გადაჭრით უარი უთხარით შეერთებაზე. გადავეცით, რომ ეს საკითხი ჩვენი პარტიის დაარსების პირველ ხანებში უკვიდიდგა ს.-ფედ. წინაშე და მაშინაც უარყოფილი იქმნა. ებლა-კი ამაზე ლაპარაკიც მეტია. მაშინ მინორმა აღძრა საქახი ტუდმივ კონტაქტისა და კავშირის შესახებ პარტიათ შორის და ეს, რასაკვირველია, მიღებულ იქმნა და მაღლე განხორციელდა კიდეც. მინორმა მოგვთხოვა მიგვეწოდებინა ცნობები ჩვენი პარტიის რაოდენობისა და ოჩანიშაციების ჩესახებ: ეს ცნობები დაგვიტირდება, როცა საკითხს დაესვამო ინტერნაციონალში მიღების შესახებამ. ცნობები, რამდენიც შეიძლებოდა, მიეთწოდეთ. ჩვენ პარტიას ძაშინ უკვი ჰყავდა და წესიერად მომუშავე კომიტეტები ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, რაჭი-ლეჩხუმში, გორსა და თელავში; გარდა ამისა, იმერეთის, სამეგრელოს და ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფელშიც.

აქ მოვიხსენიებ, რომ ს.-რევ. მაცადინეობით 1907 წ. ჩვენი პარტია მიღებულ იქმნა მეორე ინტერნაციონალში, მაგრამ როგორც ს.-რ. პარტიის განყოფილება, ჩვენისავე სახელით, რასაკვირველია. ამგვარივე წესით იქმნა მიღებული „დაშნაკუტუნიც“. იმავ მინორმის რჩევით, ჩვენ კონტაქტი დავიტირეთ „დაშნაკუტუნთანაც“.

ამ პარტიის ზოგიერთ წერტილს მე მანამდისაც ვიცნობდი. ჯერ კიდევ „ნოვ. ოპოზიტენიეში“ მუშაობის დროს ვიცნობდი ცნობილ რევოლუციონერებს და ამ პარტიის გაოჩენილ მოლვაშეთ ქრისტეფორე მიქაელიანცს, კაჩაზნუნს, საუაროვს და სხვებს.

მიქაელიანცი დიდი ენერგიისა და ენტუზიაზმის კაცი იყო. ლრმად სწამდა რევოლუციის გამარჯვება და ერების განთავისუფლება; ლრმად სწამდა, რომ ამიერ-კავკასიი ახლო მომავალში ძლიერსა და მღიდარს ფედერაციის დაარსებდა... შემდეგში პარტიამ ის გაბზავნა ევროპაში სამუშაოდ. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ამბავი ჩის ტრალიკულ დაღუპვის შესახებ: იმ ხანებში დიდი რევოლუციონური



მუშაობა იყო ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე; მიქაელიანცი მაკელიანის ნებით კუმიტეტს ეხმარებოდა და ქალაქ სოფიაში მათ ლაბორატორიაში კუმბარებს უმშადებდა, შემთხვევით კუმბარა აფეთქდა და ქრ. მიქაელიანცი ლუქმა-ლუქმად დაგლიჯა.

მინორის მიერ მოწყობილი კონტაქტი ჩვენი პარტიისა, ს.-რ. და „დაშნაკცუტუნის“ ადგილობრივ კომიტეტებთან მაინცადა-მაინც შეიძრო არასოდეს არ ყოფილა. პირველ რევოლუციის დროს ჩვენ უსიმოვნო განხეთქილება მოგვიხდა დაშნაკელებთან სოჭებ-თა-თართა შეტაქების დროს; შემდეგშიაც სხვა მიშეზებით მოგვსლია მათთან შევახება. რაც შევხება ადგილობრივ ს.-რევოლუციონერებს, მათთან ურთიერთობა მეტად ძნელი იყო. საქმე ისაა, რომ ადგილო-ბრივი ესერები ძალიან ცდილობდენ—ყველაფერში ს.-დემოკრატები-სათვის მიებაძნათ. რაყი ს.-დემოკრატებს ჩვენი პარტია ათვალისწუ-ნებული ჰყავდათ და შოვინისტების სახელით ვყავდით მონათლულნი, ს.-რევოლუციონერები აბა, როგორ ჩამორჩებოდენ მათ. დროგამო-შვებით დაგვიწყებდენ ლანდვა-გინებას, შეწყვიტდენ ჩვენთან ქავ-შირს და მხოლოდ როცა რუსეთიდან ჩამოვიდოდა რომელიმე მათი უფროსი—მინორი ან ნატანსონი—კვლავ იწყებდენ ჩვენთან ლაპარაკს.

შემდეგში, როცა 1906 წლიდან დაწყებულ ახალ პერიოდს რუ-სეთის ცხოვრებისას შევეხები, მე დაწვრილებით მექნება ლაპარაკი დაშნაკელებისა და ადგილობრივ ესერების შესახებ, ახლა კი ოღვიშ-ნავ მხოლოდ, რომ რამდენად ძლიერი და გავლენიანი იყო „დაშ-ნაკცუტუნი“, იმდენად სუსტი და უმნიშვნელო იყო იმ ხანებში ადგი-ლობრივი ესერების ორგანიზაცია; ჩვენის პარტიისთვის პირველთან ურთიერთობას რეალური ინტერესი და საფუძველი ჰქონდა, ხოლო მეორესთან კავშირს თითქმის არაეითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. ჩვენ გვაინტერესებდა ს.-რ. ცენტრთან თანხმობა, ეს თანხმობა კი მღდამ წესიერი და გულწრფელი იყო.



XXIII

କୁର୍ଯ୍ୟେ ନାମନିବା ଓ ତଥା— କଲ୍ପନା ମହିଳା— ଏକମାତ୍ର କୁର୍ଯ୍ୟେ  
କାଳୀନୀରେ କାର୍ଯ୍ୟ କରିବାକୁ ପାଇବାର ପରିମାଣ ଦେଖିବାକୁ ପାଇବାର  
କାମ କରିବାକୁ ପାଇବାର ପରିମାଣ ଦେଖିବାକୁ ପାଇବାର କାମ

დადგა 1904 წელი. ჩემი საგაზეთო მუშაობის დაწყებიდან ათ-  
მა წელმა განვლო. ეს ათი წელიწადი დიდმნიშვნელოვანი ხანა იყო  
რესეტის ცხოვრებაში. რასაკიტველია, ათი წელიწადი ერთს ცხოვ-  
რებაში, მაინცადანაც დიდი დრო როდია, მის განმავლობაში ის-  
ტორიული მსვლელობა ვერ შეიცვლება რადიკალურიად, მაგრამ ეს  
ხანგრძლივი დროა იმ მოზიდვებისა და ელექტრიფიციას გაძლიერებისა-  
თვის, რომელიც ახალ ხანის დაწყების მოაწვევება.

ქას მუშების ორგანიზაციების მოწყობაში, ს.-რევოლუციონურები შედიან სოფელებში, და, მაგალითად ვოლგის მხრის გუბერნიის კლებთა დიდ ორგანიზაციებს, აწყობენ; ზოგან გლეხთა არეულობანიც იწყება... ამავე დროს ძლიერდება ტერორისტული მოძრაობაც. მოპელეს განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი, შინაგან საქართა მინისტრი სიპიაგინი. თვითმშერობელი მეფე და მისი ბიუროკრატია ატყობენ, რომ ფეხქვეშ ნიაღავი ერყვათ და ცდილობენ მახვეულ-მოახეულის პოლიტიკით თავი გადაირჩინონ: ხან აძლიერებენ რეპრესიებს, ხან სახიგობრიობასთან არშიყობას იწყებენ. ძლევამოსილი მინისტრი ვიტო აარსებს „სასოფლო-სამეურნეო ხავირებათა საბჭოებს“ იმის გამოსაზრევად, თუ რა ეშველება ხალხის შერყეულ ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგრამ როცა ეს საბჭოები, ნაცვლად წვრილმან ღონისძიებათა აღნიშვნისა იწყებენ ლაპარაკს „იურიდიულ-უფლებრივ მდგომარეობის“ შეცვლის საჭიროებაზე, თვითმშერობელი ბიუროკრატია სპობს საბჭოებს და აძლიერებს რეპრესიებს. გადის დრო და ახალი მინისტრი ფონ-ნა-ლევეც იწყებს ლაპარაკს საზოგადოებრივობის შესახებ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგივე ფინ-პლევე მაგარ მუხრუქს უჭერს „შეტად გათავმებულს საზოგადოებრივ ელემენტებს“, ქალაქსა და ერობას.

ტეროის საგუბერნიო ერობას რეეიხია და დაზიანება, აგრეთვე შევიწროება პოლტავისა და სხვა ერობათა, დევნა საქალაქო თვითმართველობის და სხვა ამგვარი რამ-ჩვეულებრივ მოვლენად გადაიწევა...

რა თქმა უნდა, რეაქციონური ტალღა ჩვენამდისაც აღწევს. ძლიერდება რუსეთის შიდა გუბერნიიდან გადმოსახლების საქმე, ძლიერდება ეროვნული ჩავრა, მზადდება სომებ-თათართა ულეტის ამბავი. ქალაქის თვითმართველობა აბუჩად იქმნა აგდებული და მცხოვრებთა საარჩევნო ულება მეტისმეტად შევიწროებული. მთელ რიგ ქალაქებში აღმინისტრაცია არცამტკიცებს არჩეულ პირებს: ტცილისში არ დაამტკიცეს ქალაქის მოურავად არჩეული ალექსანდრე არდოზინსკი-დოლგორუქოვი და გამგეობის წევრად არჩეული ვასილ ჩერქეზიშვილი. ბათომში ოჯერა არ, დაამტკიცეს გრიგოლ ვოლსკი; სოხუმში ასეთივე ბედი ეწია ქალაქის თავად არჩეულ ვ. აბულაძეს, გამგეობის წევრად არჩეულს თე-დო სახოვიას და სხვა. იხურება და მრავალგვარად იდევნება ურნალ-გაზეთები... ჩვენში იკიტება უურნალი „კვალი“, რომელიც მედგრად ემსახურებოდა მუშათა თვითუნობიერების გაძლიერების

საქმეს. მაგრამ რამდენად ძლიერდება რეაქცია, იმდენადვე შეტუ-  
ლობს საზოგადოებრიობის გამოფხილება, იერიში, და აგრეთვე  
რევოლუციონური მოძრაობა, მაშინ თვითმპყრობელი ბიუროებრია  
მიმართავს ნაცად გზას, გარეშე პოლიტიკის გაცხველებითა და  
აეანტიურების შექმნით ფიქრობს საზოგადოების თვალყური ააშოროს  
შინაურ საქმებს. იწყება ის დიდი ავანტიურა შორეულ აღმოსავ-  
შინაურ აღმოსავ-  
შინაურ საქმებს. იწყება ის დიდი ავანტიურა შორეულ აღმოსავ-  
შინაურ აღმოსავ-  
შინაურ საქმებს. იწყება ის დიდი ავანტიურა შორეულ აღმოსავ-  
შინაურ საქმებს.

\* \* \*

1904 წლის 28 იანვარია. მივედი თუ არა იმ დღეს რედაქ-  
ციაში, ვიღაცამ ტელეფონით გამომიძახა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი გა-  
ჟერთის ერთ-ერთი ქრონიკორი გუბერნატორის კანცელარიიდან შე-  
ძახოდა:

— რა ამბავია?

— ეს არის დეპეშა მოვიდა, ომი დაიწყო.

— რა ომი, რას ამბობ?

— გუბერნატორს დეპეშა მოსვლია: წუხელის იაპონელები  
თავს დასხმიან რუსეთის ფლოტს პორტ-არტურში. ეხლავე გაუგებ  
დაწვრილებით და მოვალ რედაქციაში...

ამ ამბავმა დიდი აღლვება გამოიწვია რედაქციაში. თუმცა  
რუსეთ-იაპონიის დიპლომატიური მოლაპარაკება შეტად გამწვავე-  
ბული იყო უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ომს მაინც არავინ მოელო-  
და... ჩვენი გაზეთის საზღვარ-გარეთის განყოფილების გამგე შაგრო  
დილანი შვილი ყველაზე შეტად დელავდა. ის ომს წინასწარმე-  
ტყველობდა, მაგრამ, როგორც სხანს, არც მას სჯეროდა კატასტრო-  
ფის აუცილებლობა. მაშინვე ვაფრინეთ კაცი დეპეშათა სააგენტური  
ფის მემდევ მართლაც მოგვიტანეს პირველი - სენ-  
და ნახევარი საათის შემდეგ მართლაც მოგვიტანეს პირველი - სენ-  
საციური დეპეშა შორეულ აღმოსავლეთიდან. შორეულ აღმოსავლე-  
თის ნამეტნივი აღმირალი ალექსანდრე თავის შეფეს აუწყებ-  
და: „უქვეშევრდობილებად მოვახსენებ თქვენს უდიდებულების, რომ  
და: „უქვეშევრდობილებად მოვახსენებ თქვენს უდიდებულების, რომ  
26 იანვარს შუალამისას იაპონელების ნაღმოსანთა ესკადრამ მოუ-  
ლოდნელად იერიში მიიტანა პორტ-არტურის ნაეთსადგურში მდგომ  
ჩვენს ესკადრაზე. ჯაშნიან გემებს, „რეტვისანსა“ და „ცესარეგისას“  
და კრეიისერს „პოლტავას“ გვერდი შეუნგრია და ძლიერ დააზიანა“. ამნაირად, მოთმინებილან გამოსულმა იაპონიამ ომი დაიწყო.

ამნაირად, მოთმინებილან გამოსულმა იაპონიამ ომი დაიწყო.  
რუსეთ-იაპონიის დავა შორეულ აღმოსავლეთში კარგა ხნის ამბავი

იყო. როცა იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა და მოინდომა თავისი გვერდულებით ესარგებლა კორეაში, ან სამხრეთ მანჯურიაში ტერიტორია შეეძინა, რუსეთი დიდი წინააღმდეგი გახდა და გადაეღობა იაპონიის გევმებს, მაგრამ შემდეგში თვითონ წაიწია და არა თუ მანჯურიაში, კორეაშიც შესდგა ფეხი. ეხლა, რასაკვირველია, იაპონიამაც აიმალლა ხმა და გაიმეორა რუსეთისავე მოთხოვნა, ჩინეთის ტერიტორია და სუვერენიტეტი ხელულებელი უნდა იყოს. დაიწყო დიპლომატიური შეჯიბრება. უნდა ითქვას, რომ იაპონიამ ბევრი დასთმო. ცხადი იყო, ობი არ სურდა. თვითმპრობელები კი ცარიელ დაპირებით აქიანურებდა საქმეს. დეკამეტრში იაპონიამ უკანასკნელი ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას და მოსთხოვა გარანტიები, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ დასტოვებდა კორეის სახლვრებს, ხოლო სემხრეთ-მანჯურიის შესახებ განსაზღვრულ ხელშეკრულებას შეკრავდა იაპონიასთან. ამ ნოტაზე მთავრობამ პასუხი დაავვიანა. თიოქმის ერთ თვემდე უცადა იაპონიამ და მხოლოდ იანგრის ოც რიცხვებში მიიღო რუსეთის გთავრობისაგან ორჭოფული პასუხი: ცხადი იყო, რუსეთი სერიოზულ დანართულას ამზადებდა... მიუნედავად ყველაფერ ამისა, რუსეთის თვითმპრობელი ბიუროკრატია, როგორც მალე გამოირკვა, სრულებით არ ფიქრობდა ობისთვის მზადებას; თუმც დიპლომატიური მილაპარაკება შეწყდა და თავდასხმა მოსალოდნელი იყო, თვით პორტ-არტურში რუსეთის ესკადრა უძრავად იდგა. იმ დამეს ესკადრაზე ბალი იყო გამართული და უფროსები განცხრომით ქეიფს ეწეოდენ. იმ დღიდან დაწყებული ომის გათავებამდე რუსის მხედრობას ერთი გამარჯვებაც არ უნახავს. ომის დაწყებისთანავე ადშირალმა ტოვომ, რომელმაც მალე დაიმსახურა იაპონიის ნელსონის სახელი, სრულიად გაანადგურა რუსეთის ფლოტი წყნარ ოკეანზე: რუსეთის შმართველი წრეები ინუგეშებდენ თავს: ხმელეთზე იაპონიას მუსრს გავავლებთო. პატრიოტული გაზითები საესე აკა იაპონელების დაცრნვით: იაპონელ ჯუჯა ჯარისკაცებს „მაკაკებს“, კუდით ქვას ვასროლინებთო და სხვა. მაგრამ ტრაბახი და მოლოდინი ტყუილი გამოდგა. პირველად რუსეთის და იაპონიის ხმელეთის ჯარები ტურქენჩენის მაღლობზე შეხვდენ ერთმანეთს. ბრძოლის შედეგი საზარეული იყო: იაპონიის ჯარმა ხელოვნურის ტაქტიკით და გეგმით საშინალად დაამარცხა რუსეთის მხედრობა და უკუაქცია იგი. რუსეთის იმპერატორმა მაშინ კვლავ გამოსცა რესკრიპტი, რომელშიაც აღნიშნა: ჩვენი მტერი ეშმაკი, მოხერხებული და ძლიერი ყოფილაო. მთავარსარდლად დანიშნა საუკეთესო თავისი გენერალი კუროპატკინი და დიდალი

ჯარი მიაშეველა შორეულ აღმოსავლეთის მხედრობას. ტურქენჩენს მოჟყვა ვაფანგოუ, შემდევ ლიიაიიანი, მუკდენი და სხვა.

უცელა ამ დიდ ბრძოლაში რუსეთის მხედრობა საშინალი დამარცხდა. კუროპატკინში ნელ-ნელა იწია უკან და ბალოს იძულებული გახდა თითქმის სრულიად დაეტოვებინა მანჯურია... ამავე დროს რუსის მთავრობა დიდის ამბითა და რიხით ამზადებდა ახალ ფლოტს. დიდია საომარი გერებიდან შემდგარი ესკადრა აღმირალ რაფენენს ტვენს კი । შეთაურობით დაიძრა ბალტიის ზღვიდან და რამდენიმე თვის მოგზაურობის შემდეგ ჩიაღწია დიდ ოკეანეს. სულგანაბატული მოელოდა რუსეთი ამ ესკადრის შეხვედრას ტოვოს ესკადრასთან. ეს შეხვედრა მოხდა მალე და გაიმართა ცუსიმის უდიდესი საზღვაო ბრძოლა. საღამოს უამ იაპონიის ფლოტმა სრულიად გაანადგურა რაფენსტვენსკის ესკადრა. თვით რაუდენსტვენსკი დაჭრილი და დატყვევებული იქნა.

ასე სამარცხინოდ მიმდინარეობდა რუსეთ-იაპონიის ომი. უცელასათვის ცხადი იყო, რომ თვითმყრინველობის უმსგავსმა რეუშმმა უკიდურესობამდე დასცა რუსის ხალხის ძლიერება და პარიარა იაპონია ამიდან ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვა... ლირს შესანიშნავია ის დიდი გულგრილობა, რომელთა რუსის ერი ამ ომს მიეცება და თვალყურს ადეკვებდა მის მიმდინარეობას. გულგრილობაზე მეტიც იყო: საზოგადოება აშეარად თანაუგრძნობდა იაპონელებს. დაუინებით ამბობდენ მაშინ, რომ მუკდენის ბრძოლის შედეგ მოსკოვის სტუდენტობამ მისალოცი დეპეშები ვაუგზავნა მიკადოსო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ მართალს რომ ჰეგვად, ეს აშეარა იყო უცელასათვის, ვინც თვალყურს ადეკვებდა მაშინდელ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. კურეში, მართალია, იმართებოდა მანიუქესტაციები, შაგრამ ეს იყო ნაზდვილი „კაზიონური“ პატრიოტულმა. მანიუქესტაციებს მართავდა პოლიცია და მონაწილეობას იღებდენ ნამდვილი ზულიგნური ელემენტები. არარეაქციონური პრესა დაცინვის კილოთი სწრედა რუს მხედრობის მოქმედებაზე-. ან ლრმა მწუხარებით და სისწარკვეთილებით აღსავს წყრილებს ათავსებდა იმ რეუიმზე, რომელმაც ასეთ დამკირებამდე მიიყვანა რუსეთი... როცა პორტ-არტური აიღეს იაპონელებმა, მე პეტერბურგში ვიყავი. დილით სასტუმროს მოსამსახურებ მითხრო:

— სტესელმაც შეგვარცხუინა, პორტ-არტური იაპონელებს დანებდა...

მაშინვე გავედი ქუჩაში. ხალხი ყაზანის თუ ისაკის ტაძრისაკენ მიდიოდა. დავინახე ერთერთ ამ ტაძართან ხალხი შეგროვილიყო

და პოლიციელების რაზმი იღგა. აღმოჩნდა რომ პანაშვიდი უნდა გადენადნათ პორტ-არტურში დახოცილთა მოსახსენებლად. ხალხის სულიერმა გაწყვობილებაზ გამაკვირვა. მიღიოდა ეტლები, კარეტები: ბობოლა გენერლები და „სანოვნიები“ პანაშვიდხე დასახურებლად მიიჩქაროდენ ტაძარში. ხალხი დაცინებით და ხარხარით ლად მიიჩქაროდენ „სანოვნიებს“. ყურადღება მივაჭურ ერთ გახუნებულ ეგებებოდა „სანოვნიებს“. ყურადღება მივაჭურ ერთ გახუნებულ პალტოში გამოწყობილ კაკარდიან მოქალაქეს, რომელიც ხმამლა ილანძლებოდა და დასკინოდა გენერლებს. მისვლისთანავე მომიბრუნვის და და მეუბნება: „Ишь, мерзавцы, как-будто в самом деле скорбят“ და ერთიც ხმავალა რუსულად შეუკურთხა. ჩემს შენიშვნაზე, რომ რუსეთისათვის მართლა სამარცხვინო და სამგლოვიარო საქმეები ხდება, მან მიპასუხა:

— რუსეთი იქ არაფერ შეუშია, — აი „ისინი“ ომობენ და მთელი სირცხვილი „იმათ“ თავზეათ.

„ჩენ“ და „ისინი“ — აი როგორ ჰყოფდა რუსის ხალხი მაშინდელ რუსეთს. ერთ შარეზე იღგა ხალხი, მეორეზე მმართველი წრები, ეს იყო ორი მტრული ბანაკი. რასაკვირველია ამგვარ მდგომარეობაში მოქუცეული სახელმწიფო ომს ვერ მოიგებდა და საგარეო კრიზისს შეურცხვენლად თავს ვერ დააღწევდა.

რუსეთის თვითმშერობელ ბიუროკრატიას მოლოდინი არ გაუმართლდა. ის ფიქრობდა, რომ გარეშე მტრის დამარცხებით დაბრუნინალე გამარჯვებით, საზოგადოების თვალყურს ააშორებდა შინაურ საქმეებზე და ხალხის ნდობას დაიმსახურებდა. ნავდვილად კი ომშიაც დამარცხება იგემა და ამით შინაური საქმეები უფრო აწეშადი. წლის ბოლოს უკვე ცხადი ნიშნები იყო, რომ რუსის ხალხი დაწეშადა. წლის ბოლოს უკვე ცხადი ნიშნები იყო, რომ რუსის ხალხი და მისი განათლებული საზოგადოებაც, მოთმინებას ჰყარგავენ, და თავის საუკუნო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ.

თუ ჩეუსეთსა და რუსის საზოგადოებაში ასეთი სულიერი განწყობილება სუფავდა, რაოდ თქმა უნდა, განაპირო ადგილებსა და არარუსთა შორის მდგომარეობა უარესი იყო. იქ იაპონელთა უკვე ლი გამარჯვება და რუსების დამარცხება აშკარა სიხარულს იწვევდა... ჩენში იმის ამბებს სულგანაბული უცდიდა ხალხი. განხეობს დოდი გასასვლი დაუდგა. ჩენი გაზეთის ტირაჟი 15 ათასამდე ეყიდა. ჩენს გახეთში იმის განწყობილებას დიდი ყურადღება ჰქონდა მიეცეული: იმის ქრონიკას ვრცლად, ფართოდ და მკვირცხლად ამჟამინდებული გენერალურ შტაბის ნიკარი თფიცერი იოსებ გედევანი შვილი, ხომელიც იმხანად შემოვიდა კიდევ ჩენს პარტიაში. იმის



ამპებს დიდის ყურადღებით და გულმოდგინედ კითხულობდა უცხოური დიდიცა და პატარაც, მუშაც და ინტელიგიზმიც, ქალაქიც და სოფელიც. იაპონელთა სარდლების — ნოგის, ტოგის, კუროკის და ოიამას სახელი ყველამ იცოდა და ყველა თანაგრძნობით იმეორებდა მათ. აკაკის ლექსი „ოი, ამას ვენაცვალე“ ყველამ ზეპირად იცოდა.

მთავრობა აშკარად დაბნეული იყო და არ იცოდა, რა ექნა. დიდის სიამოვნებით ჩიმოაგდებდა ზავს, მაგრამ იმის შიშმი იყო — სამარცხინო ზავმა ხალხში იღელვება არ გამოიწვიოს. მისთვის საშიში სიპპტომები უკვე იყო: ლიბერალური პრესა და საზოგადოება მეტის სითამამით ლაპარაკობდენ დამარცხებულ მთავრობის წინააღმდეგ. მოხარუდი თაობა უნივერსიტეტებში ლელავდა. მუშათა შორის გაფიცვები გაძლიერდა და გახშირდა, აქა-იქ ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად, პოლიტიკური ჰანგიც გაისახა.

გაზაფხულის დასაწყისს მთელმა შეკრებულმა რუსეთისა თავისუფლად და სიამით ამოისუნთქა: პეტერბურგში ყუმბარა ესროლეს შინაგან საქმეთა მინისტრს პლევეს და მოჰკლეს. მოჰკლეს ჯალათი, სულთამშუათავი უანდარმი, რომელიც მეფემა და მმართველმა წრეებმა თითქმის დიქტატორად გახადეს და რომელსაც დაავალეს თვითმკყრობელობის გასაჭირისაგან გამოყვანა. ეშმაკურად შეუდგა ეს ჯალათი თავის დავალების ასრულებას. შეიქნა თუ არა მინისტრი, მაშინვე თავის სამინისტროს მაღალ მოჰკლეთა და თანამშრომელთა მიღების დროს სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოებრივობის მოსატყუებლად და მისაძინებლად. დრონი იკვალნენო, სთქვა მან. ჩვენი სახელმწიფოებრივი ფორმა, ჩვენი იურიდიულ-უფლებრივი ნორმები აღარ შეესაბამებიან ახალ ცხოვრების მოთხოვნილებებს და საჭიროა შესაფერისი რეფორმებით. ეს იყო, რასაკვირველია, მხოლოდ თქმა, საქმით კი მან მალე დაამტკიცა, თუ რას აპირებდა და რა გეგმა ჰქონდა. ნელ-ნელა დაიწყო დევნა და შევიწროება ყველაფრისა, რასაც რუსეთის ცხოვრებაში მცხოველმყოფელი ძალა ჰქონდა და პროგრესიულ განვითარების უნარი შერჩენოდა. ხანძუკლე იყო მისი პარაზი, მაგრამ იმ ცოტა ხანშიაც მთელმა რუსეთის იგრძნო მისი მძიმე ხელი. ამ ხელმა აამოძრავა ყველა ზავბნელი ელემენტი, შეაირაღა მთელი ზავრაზმელობა და ხულიგნობა, რათა მოხერხებულ დროს თავს დასხმოდა ამოძრავებულ საზოგადოებრივობას და სარევოლუციოდ გამზადებულს ხალხს. საზონოვის ყუმბარამ შეაჩერა ამ ჯალათის შეგძლივი მუშაობა, მაგრამ მის მიერ ამოძრავებულმა ძველ საუკუნეთა ზავრაზმულმა ძალამ თავი მაინც იჩინა ცოტანის შემდეგ, როცა რუსეთი პირველ რევოლუციის ცეცხლში გაეხვია...

პლევეს მოკვლამ თავზარი დასცა თვითმშეყრობელ ბიუროკრატია. მეფე და მისი ახლობელნი დაიბნენ. გარეთ სამარცხვინო ოში, ჰინ რევოლუციის საშინელი აჩრდილი—არასასიამოვნო პრესპექტი-ვები გადაიშალა რუსეთის მმართველ წრეების წინაშე. დიდის ყოყ-შანისა და მოლოდინის შემდეგ თვითმშეყრობელობის ბიუროკრატიამ გადასწყვიტა ახალის გზით, ახალი საშუალებით ეცადნა გამოლვიძე-ბულ საზოგადოებისა და ხალხის მოტყუება და შეჩერება: მინისტ-რობა და შინაურ პოლატიკის წარმოების საქმე ჩააბარეს ძველ ლი-ბერიალსა და პროგრესიულ სახელმწიფო მოღვაწის სახელის მატა-ტარებელს თავად სვიატოპოლკ-მირსკის...



## XXIV

რევოლუციონურ პარტიათა კონგრესი პარიზში. ჩემი გამგზავრება უცხოეთში.—შეხვედრა აზეფთან.—ქართველები პარიზში გორგი დეკანზიშვილი, თედო ხახუებია, ალ. გამურია, ი. ნიკოლაძე, ნიკო ლოლობერიძე და სხვები. „საქართველოს რედაქცია და სტატია.“—შემაკინაძე.—პარლამენტში.—შეეცარიაში არჩილ ჯორჯაძეს ნახვა

მაისსა თუ იენისს, კარგად არ მახსოვეს, პეტერბურგიდან სოც.-რევოლუციონერების ცენტრ. კ-სგან მოგვიყიდა ცნობა: სექტემბრის შუა რიცხვებში პარიზში მოწევულია რუსეთის ყველა რევოლუციონურ და ოპოზიციონურ პარტიების კონგრესი; თქვენ პარტიისაც ყვალება ორი წარმომადგენელი გაგზავნოსო. ჩვენი პარტიის მთავარმა კომიტეტმა, რომლის წევრებად მაშინ ვიყავით—გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, ვლ. ლორთე ჯიფანიძე, პეტრე ყიფიანი და მე, მსჯელობა იქნია ამ წინადაღებაზე და გადასწყვიტა შესაფერისი მანდატები გაყზავნა პარიზში მყოფ ამხანაგებისათვის არჩილ ჯორჯაძისა და ალ. გაბუნიასათვის, დავვალებინა მათთვის კონგრესში მონაწილეობის მიღება. მაგრამ მალე პარიზიდან, გიორგი დეკანზიშვილისგან ფრიად სამწუხაორ ამბავი მოგვიყიდა: არჩილი ძლიერ ავად გაგვიძლა, ძევლმა სენმა, ჭლექმა ისევ იფექქაო და ექიმების რჩევით შვეიცარიაში გავგზავნეთო. ალ. გაბუნია ოჯახურ საქმეების გამო შემოღვიმაჲ საქართველოში მიემზარებაო; მეც, უმატებდა გიორგი, ივადა ვარ და ამ ზაფხულს სამხრეთ საფრანგეთში უნდა წავიდე დასასევენებლადო და ამგვარად რედაქციაში მარტოდ-მარტო თედო სახოკია რჩებაო. აუცილებლად საჭიროა კომიტეტის ერთერთი წევრი მოგვაშველეთო. ამ წერილის გამო მთავარმა კომიტეტმა კვლავ განიხილა ს.-რევოლუციონერების ც. კ.-ს წინადაღება და გიორგი დეკანზიშვილის მოთხოვნა და გადასწყვიტა პარიზში კაჯის გაგზავნა. წინადაღება მომცეს მე წაუსულიყავი საზღვარგარეთ კონგრესშე დასასწრებლადაც და გაჩერ „საქართველოს“ ხელმძღვანელობისათვისაც.

— თანახმა ვარ კომიტეტის დავალება ავასრულო, მხოლოდ ერთის პირობით: მე არც მსურს და არც შეშიძლია პარიზში ემიგრანტად დავრჩე. ამიტომ წავალ მხოლოდ რამდენიმე თვით და ამ ხნის

განმავლობაში გამოირკვეუა გაზეთის საკითხი და მდგომარეობა. ჩემი წასვლა საზღვარგარეთ არავინ არ უნდა გაიგოს, ნამეტურ ჩემი წასვლის მიზნი-მეთქი.

კომიტეტმა ჩემი პირობა მიიღო. გალავწყვიტეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტიის და პარტიის წევრებისთვის გამოვცეცხადებინა, რომ მე ხარჯოვში მივდივარ თვალების საექიმოდ. აგვისტოს დაძლვეს კიდევ გავემგზავრე.

\* ხარჯოვში მართლაც მივედი გამოჩენილ თვალის ექიმთან, პროფესორ გიორგიანთან, რომელმაც იქიმი იბა დამიწყო და თითქმის ორ კვირას გამაჩერა ხარჯოვში. ეს ობა დავთავრებული არ იყო, მაგრამ რადგან კონგრესზე მაგვიანდებოდა, ავილე საზღვარგარეთის პასპორტი და ვარშავისა და ალექსანდროვის მარშრუტით საზღვარგარეთ გავემგზავრე. მოსაზღვრე სადგურ ალექსანდროვზე პირველად შევედი უცხოეთის მატარებელში, რომელმაც ბერლინისაქენ გამაქანა. როდესაც მატარებელი დაიძრა, უცკრად ხმაურობა მომესმა და ვაგონში ერთბაშად შემოვარდა ათიოდე ახალგაზრდა. სადგურს რომ გავშორდით, მაშინ გავიგე, რომ ესენი იყნენ ახალგაზრდა ებრაელები, რომელნიც საზღვარგარეთ მიიპარებოდენ, რათა თავი დაეძრინათ სამხედრო ჰეგარის და ომში გაგზავნისაგან. ერთი მაოგანი კარგად გავიცანი. იყო ვარშავის თუ იურიევის უნივერსტიტეტის ყოფილი სტუდენტი, რწმენით სოც.-დემოკრატი. იმან მიამბო, რომ თითქმის ყოველ მატარებლით ასე ვარბის რუსეთიდან ებრაელი ახალგაზრდობა, რომელსაც სრულებით არ სურს შორეულ მანჯურიის საშინელ საომარ ველზე სატანჯველად წაყვანა. ეს წამოსელი ძეირად გვიჯდება, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მალე დავბრუნდებოთ. მას სწამდა, რომ ახლო მომავალში რუსეთში რევოლუცია იყენებდა და ყველა ქმინვრანტი სამშობლოში დაბრუნდებოდა.

— პოლონეთის და სამხრეთ რუსეთის ქალაქებში მთელი ებრაელი მუშა-ხალხი სტარევოლუციონ პარტიიგბშია ჩამდულიო, სოჭვა მან, მაგრამ ჩვენი ხალხი პირველად ვერ გამოვა საბრძოველი, რადგან მაშინვე პოლიციას ღა სულიგნებს მიუსევენ ებრაელ ხალხს და ულეტას დაუწყებენ.

მეორე დღეს დილაადრიანად უკვე ბერლინში ვიყავით. გადავწყვიტე ერთი დღით იქ დარჩენა, გერმანიის სატახტო ქალაქის დათვალიერება. მთელ დღეს მე და ჩემი ახალი ნაცნობი ებრაელი სტუდენტი ქალაქში დავრბოდით: ვნახეთ რეიხსტაგი, ზოლოვიური ბალი, რამდენიმე მუზეუმი და სხვა. ჩემშე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პირველად ნახულმა ევროპულმა ქალაქმა თავის სილამაზით,

გასაოცარი სისუფთვით. ერთერთ პროსპექტზე დავინახეთ საგაზირო კიოსკი და გამოფენილი რუსული რევოლუციონური გაზეთები: „ისკ-ლა“, „რევ. როსია“, სტრუვეს „ოსვობოდენიე“. სიამოვნებით შევიძინეთ ეს გაზეთები, ჩამოვაჯექით იქვე პროსპექტზე გამართულ სკამზე და თავისი უფლად დავიწყეთ კითხვა ამ ჩვენში აკრძალულ გაზეთებისა. მასსოვს, რაღაც უცნაურმა გრძნობამ გამიტაცა—სიახლულმა და თან მწარე ფიქრებმაც. რატომ იქ, იმ უბედურ ჭვეყანაში, არ შეიძლება აღამინდა თავისი უფლად იკითხოს, ილაპარაკოს, ისუნთქოს-მეთქი.

საღამოს ერთეულმა სტუდენტმა სადგურზე გამაცილა და  
მე პარიზისაკენ გავემგზავრე. დღენახევრის შემდეგ უკვე პარიზ-  
ში ვიყავი. ვიქირავე ეტლი და ვუთხარი პანთეონისაკენ წასულიყო  
და სასტუმრო „Hôtel de grand hommes“-ში მივუვანე. რად ერქვა  
ამ სასტუმროს დიდი ადამიანების სასტუმრო, მე არ ვიცი, იღბად  
იმიტომ მხოლოდ, რომ პანთეონის ახლო იყო,—რომ პანთეონისა, ხადაც  
საფრანგეთის დიდებული ადამიანები განისვენებენ. ნამდვილად კი  
სასტუმრო პარიზის დემოკრატიულ ნაწილში მდებარე—სადგომი იყო  
დაოიბ და უჩინარ ხალხისა—უცხოელ მოსწავლე ახალგაზრდობისა:  
მუშებისა, ნოქრებისა და სხვა. დავბინავდი თუ არა სადღაც მეხუთე  
სართულში, მაშინვე გავეშურე თელო სახოკიას საქებნელად;  
ტფილისიდან წამოლებულ მისამართით ძლიერ მივაგენი, თუმცა იქ-  
ვი ახლო იდგა თურქე. სამწუხაროდ, სახლში არ დამხვდა, დავუტო-  
ვე ბარათი და ისევ ჩემ სასტუმროში დაგბრუნდი: საღამომდე ვუც-  
დიდი თელოს. თელოს, როგორც კი გაეგო ჩემი ჩამოსვლა, გიორ-  
გი დეკანოზი შვილისთვის ჩამოვლო და ორივენი საღამოს  
ჩემ სასტუმროში მოვიდნენ. გიორგიმ ახალი ამბები გადმომცა; კონ-  
გრესსზე დაიგვიანეთ, ხვალ უკანასკნელი სხდომა არისო; მე და სან-  
დრო გაბუნია დავესწარითო, მაგრამ ხვალ შენ მაინც წადიო. არ-  
ჩილი ცუდად არის, უენევის ახლო სოფელ კლარანსშია, დღესვე გა-  
უვგზავნი წერილს და ზენ ჩამოსვლას შევაზრუბობინებო.

მეორე დღეს დილადრიანად მოვიდა თელო, გამასტუმრებინა სასტუმროს პატრონი და მეორე ბინაზე გადაიყვანა: უარეს სასტუმროში დე მიყრუებულ სენ-ჟაკის ქარხაზე.

— უფრო იაფალ დაგიჯლებაო, ამიხსნა შან.

28 მართლაც ერთი პატარა ოთახი, პატარული დერეფნით თვეში ფრანგად (მაშინდელი კურსით 10 მანეთად) ვიქირავე. ოთახში იდგა ვებეროთელა კრაოტი, პირსაბანი, პატარა მაგიდა და ორი სკამი, მეტი არაფერი აღარ დაიღვმოდა. ძნელი იყო ამრისთანა ოთახში

ფხოვრება მაგრამ, რაღაც აქ მხოლოდ დასაძინებლად მოვდირდა; სიამოვნებით დავჩირი, ვინაიდან ბინა, დილას ყავა, მოსამმსახური—თვე-ში მხოლოდ 15 მანეთამდე მიღირდა.

შუადღისას ს ანდრო გაბუნიამ გამოიარა და კონგრესის სხდომაზე წავედით. იქ დაგვეხდა მხოლოდ რამდენიმე კაცი, ამ უკანასკნელ სხდომაზედაც დამაგვიანდა, რეზოლუციები უკვე წაეკითხათ, ოქტომბრი ხელი მოეწერათ და მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩენილიყო კერძო სათათბიროდ. სანდრო მ გააცნო ჩემი თავი დამსწრეთ:

— გუშინ საღამოს ჩამოვიდა კავკასიიდან ჩემი იმხანაგი გაბინანია (ჩემი ფსევდონ. მი სახლვარგარეთ).

იქ იყვნენ რესის სოც.-რევოლუციონერები, ორი პოლონელი პეპერელი, ორი ბელორუსთა „გრომადისა“ და სხვანი. კონგრესის თავმჯდომარებ ვ. ჩერნოვა გადმომცა შემდეგი ცნობები: კონგრესი მოწევული იყო რესეტში რევოლუციის დაწყების შესაძლებლობის გამოსარკვევად. ყველა პარტიებმა შესაძლებლად და საჭიროდ დაინახეს აქტიური გამოსვლა და სხვადასხვა ღონისძიება შეიმუშავეს, რომლებსაც თქვენ აქმებიდან გაიგებთო. ამას ჩერნოვა დასძინა: სამწუხაროდ უკანასკნელ დღეს კონგრესის დაწყებამდე პლენაროვა შემოვვითვალა, სოც.-დემოკრატები ვერ დაესწრებიანო, მგონი ამის მიზეზი ის იყო, რომ კონგრესზე „ოსცობოვდენიეს“ ჯგუფიც იყო მიწვევული.

გავათავე თუ არა ჩერნოვთან საუბარი, მომიახლოედა ერთი დამსწრეთაგანი, გამოცნო, აზეფი ვარო და მეორე ოთახში გამიწვია. დამიწყო გამოკითხვა ჩევნი ქვეყნის აზისა და განსაკუთრებით გურიის გლეხთა მოძრაობის შესახებ. მე უაბა, რაც ვიცოდი ამ მოძრაობის შესახებ, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა ვერ დაგვმაყოფილე, რადგანაც მას აინტერესებდა პრაქტიკული საკითხები: ვინ არის მოძრაობის სათავეში, ვინ ხელმძღვანელობს მას, რამდენი და როგორი ორგანიზაციებია და სხვა ამგვარი კითხვები. არ ვიცი, იყო თუ არა მაშინ აზეფი ი „ობრანკის“ თანამშრომლად, მაგრამ ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხისაგან თავი შევიტავ.

გამოთხოვებისას აზეფმა მითხა, როცა სამშობლოში დაბრუნებას დააპირებო, უნევაში გამომიარეთ და მნახეთო.

აქედან მე და სანდრო გაბუნიამ მონმარტრის ბულვარზე გაეიარეთ და „საქართველოს“ რედაქციაში მიეცით. პირველ დღეებში მე და თელო სახოკია გულმოგზინედ შევდევით „საქართველოს“ მორიგ ნომრის მხადებას. დავბეჭდეთ იგი და საქარ-

თველოში გასაგზავნად დავამზადეთ. იმ დროს პარიზში თავის შველის სანახავად საქართველოდან ჩამოსულიყო გორელ ვექილის ნატ-როშვილის მეულე, რომელიც სწორედ იმ დღეებით აპირებდა უკან დაბრუნებას. თედომ გადასწყვიტა იმ შემთხვევით ესარგებლა გაზეთის გასაგზავნად. იმ მანდილოსნისაგან თანხმობა მიიღო და შეუდგა მზადებას: ჩემოდნების ძირში ჩაალიგა გაზეობი და ზედ წვრილი ფიცარითა და გადაკრულ მატერიით მეორე ძირი გაუკუთა, ასე რომ, ორგანყოფილებიანი ჩემოდნები მიიღო. ნატროშვილის ქალი წავიდა და ჩვენ ვთხოვთ, როგორც კი გადასცილდებოდა რუსეთის საზღვარს, მაშინევ დეპეშა გამოეგზავნა, რომ კარგად არის. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ საზღვარზე მშვიდობიანად გადავიდა და ჩვენი ლიტერატურა ხიფათს გადარჩა. დეპეშა სამი-ოთხი დღის შემდეგ უნდა მოგვესლოდა, მაგრამ გავიდა ერთი კვირა, ორი კვირა, ერთი თვეც და ჩვენ არათერი მივვილია. წარმოიდგინეთ, რა უსიამო გრძნობებს და მწარე ფიქრებს მივეცით ჩვენი თავი: გვეგონა პატიოსანი დედაკაცი დავლუბეთ. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იმის შეილს მოუვიდა წერილი გორიდან და იქიდან გავიგეთ ნატროშვილის ქილის სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნება. პარიზიდან პეტერბურგში გაევლო და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაებარებინა ტფილისში ჩემოდნები ჩვენ მიერ მიცემული მისამართით.

თედო სახოკიამ, რასაკვირველია, „ჩვენი სტამბა“ მაჩვენა. ეს, როგორც უკვე ვთქვით, იყო გაზეთ „Action-is“ სტამბა, სადაც ჩვენს ასოთა მშვიბს მიშა კიკნადეს ერთი კუთხე ეჭირა. მიშა კიკნადე ფრიად ერთგული მუშავი იყო, რომელმაც იდეის გულისათვის ბევრი რამ დასთმო და ბევრი გადაიტანა. ჩვენდა საუბედუროდ, „საქართველოს“ რედაქციისა და საზღვარგარეთელ ა ხანგით საკმაო ფულს ვერ ვაწვდიდით. სამი წლის განმავლობაში არა ერთხელ დაგვიგვიანდა ფულის გაგზავნა და ჩვენი ამხანგები გაჭირვებაში ყოვილან. ითმებდენ გაჭირვებას იდეისთვის, საყვარელ საქმისთვის და მათთან ერთად მიშა კიკნადეც. ეს ახალგაზრდა მუშა სიმპატიური და საკმაოდ განვითარებული იდამიანი იყო. ფრანგ მუშებს თავიდანვე შოწონათ და სიყვარულით ეპყრობოდენ. მიშამ ცოტა ფრანგულიც ისწავლა. ეს მით უფრო გასაყვირველი იყო, რომ უბედურს ძალიან აკლდა ყურს. ფრანგი მუშები მხიარული ხალხი იყო და უყვარდათ ხუმრობა. ხშირად ემასხარებოდენ ჩვენს მიშას. საღმე უურნალში, ან გაზეთში, რაგორც კი ნახავდენ ნიკოლოზის სურათს, ამოქრიიდენ და წინ ჩამოუკიდებდენ. მიშა გაჯავრდებოდა, ისინი ხარხარებდენ. მიშამაც სამაგიერო გადაუხადა. მუშებს ძალიან სძულ-

დათ სასულიერო პირები. განსაკუთრებით პაპი და კარდინალები. მიშა ამოუტჩიდა უკრინალ-განეთებისან პაპის სურათს და თვალსაჩინო ალაგას ჩამოჰყიდებრა სტამბაში. ფრანგი შუშები ჯავრობდენ. ჩიშა დასცინოდა.

— ერთხელ, მიამბო თედომ, მივედით სტამბაში, მე და არჩილი: ფრანგი შუშები მოგვევებენ სიცილ-ხარხარით და იძახიან „greve générale“ „grève générale“, ოქენეს სტამბაში საყოველთაო გაფიცეა არისო. აღმოჩნდა, რომ მიშას მუშაობა მიეტოვებინა და სტამბიდან წასულიყო. თურმე ჯამავირის მიცემა დაეგვანებინათ უფლობის გამო და მიშა გაჯავრებულიყო. საბრალოს ძალიან სწყუროდა სამშობლოში დაბრუნება. პირველ რევოლუციის დროს დაბრუნდა კიდეც, მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია, სუსტი გული ჰქონდა, დანეულდა და მაღვე გარდაიცალა კიდეც ტფილისში.

პირველ დღეებშივე გავიცანი პარიზში მყოფი თითქმის ყველა ქართველი. ესენი იყვნენ: ამჟამად ჩვენი ცენტრილი მოქანდაკე ი იკობ ნ იკოლ აძე, მიხეილ დიასამიძე, რომელიც, მგონი, აგრონომიას სწავლობდა, შარიამ სანაძე, ამჟამად ექიმი ტფილისში, ქრისტეფორე ლვინიაშვილი, ამჟამად მასწავლებელი და სხვები, უმთავრესედ მრ სწავლე ახალგაზრდობა.

ი იკობ ნიკოლა აძეს პატარა საკუთარი იტელიც კი ჰქონდა პარიზში, რომელიც დავათოლიერე. მახსოვეს ახლადდაწყებული ქანდაკებანი—ზარათაშვილის მერიანი, ნიკო ლოლობერიძის ბიუსტი და სხვა. იაკობი განავრძობდა მაშინ როდენის სახელოსნოში მუშაობას.

ბოლოს ვნახე ჩვენი შემამულე ნიკო ლოლობერიძე. ქუთაისის ბანის ყოფ. გამგე და შემდეგ მარგანეცის მრეწველი. მან უკეთ რამდენიმე წელიწადია გაყიდა თავისი საქმე ჭიათურაში, დასტოვა საქართველო და სამუდამოდ დასახლდა პარიზში, განათლებული კაცი იყო, ბევრს კითხულობდა, ბევრს მოგზაურობდა და თითქმის ყოველ წელიწადს საქართველოშიაც ჩამოიიოდა. იყო ქველპომქმედი, თავისი სტიპენდიანტებიც ჰყავდა. მე პირადად მან დიდი საქმე გამიკეთა პარიზში: ის რომ არ ყოფილიყო, ვერაფერსაც ვერ ვნახავდი. დავყავდი მუშეულებში, გამოქვენებზე, თეატრებში, რაც რამ საყურადღებო იყო პარიზში, ყველაფერი მაჩვენა დიდი ხალისითა და დაუზარებლად. მოვიდოდა ხოლმე ჩემთან და მეტყოდა:

— წავიდეთ გიორგი. ვილაპარაკოთ ჩვენ ბედერულ სამშობლოზე.

ეს ნიშნავდა, რომ მთელ დღეს ნიკოსთან გავატარებდი, მშენებირად ვისადილებდი და საინტერესო რასმე ვნახავდი.

Задачи съединений в бою на флангах и в тылу противника. Важнейшими задачами в бою на флангах и в тылу противника являются: а) разгром флангов и тыла противника; б) разгром флангов и тыла противника с целью прорыва его обороны; в) разгром флангов и тыла противника с целью захвата его тыла и тыла флангов.

მოვამხადეთ თუ არა მე და თევდო სახოვიამ მეორე მოძინა  
გი ნომერი „საქართველოსი“, მე რამდენიმე დღით ბრიუსელს გ-  
ვემგზაურე. გამაოცა იმ პატარა, მშიდროდ დასახელებულმა, მდიდარ-  
მა და ლამაზმა ქვეყანამ. საფრანგეთის საზღვრიუან პრიუსელმა დე  
თითქო ერთი გადაბმული ქალაქია. დიდი მოძრაობა, ხმაურობა,  
მუშაობა. ბრიუსელში ვინახულე ქართველი ემაგრანტი. პალიკო  
ყიფიანი, ახალგაზრდა სწავლული ქალი ბარბარე ყიფია-  
ნისა და სხვანი. ბრიუსელში გიგაზმ, ან უკეთ ვსოქვათ, წავითხე-  
ახალი რუსული გაზეთები, რუსეთში „ლიბერალურ“ ხანის დაწყება-  
ზე. მეტად გამავირვა და მისიამოვნა „რუსკა ველომოსტის“ მეთაურ-  
მა წერილმა, რომელიც ხალის წარმოშოდგენელთა მოწვევას მოი-  
ხოვდა. ამ მჯეროდა და ეს ადგილი ორჯერ გადავითხე. ეს იყო

ს გიატოპოლსკ-მირსკის ხანა, როცა პლევეს მოკვლის შემდეგ რუსეთის თვითშემობელობამ სცადა საზოგადობასთან შერიგება, უფრო კი ხალხის მოტყუება... საერთოდ იმ დროის რუსული გაზეთები—ეს იყო 1904 წლის შემოდგომა, სავსე იყო ამაღელვებელი ცნობებით, პოლონეთიდან, შიდარუსეთიდან, უკრაინიდან, ამიერ-კავკასიიდან. მოდიოდა ამბები მუშების გაფიცვების, სრულდენტობის მოძრაობისა. გაზეთების კილოც სხვანაირი იყო. გამედულად იწუნებდენ მთავრობის პოლიტიკას და პირდაპირ ლაპარაკობდენ დიდი რეფორმის საჭიროების შესახებ.

დაგვირუნდი თუ არა პარიზში, „საქართველოს“ შეორენომერიც გამოვეცით და მე გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება. აშვარი იყო, რუსეთში მალე დიდი ამბები დაიწყებოდა. მეორე მხრით „საქართველოს“ შესახებაც გადაჭრილი აზრი შევადგინე, რომელიც მთავარ კომიტეტისოფის უნდა გამეზიარებინა. ამ გაზეთმა, ჩემის აზრით, უკვე შესასულა თავისი როლი და მისი გამოცემის განვრძობა მეტად ძნელ პირობებში, საჭირო აღარ იყო, მით უმეტეს, რომ ისი სულისხმდებელი და მთავარი ხელმძღვანელი არჩილ ჯორჯაძე, როგორც გამოირკვა, დიდი ხნით უნდა ჩამოწორებოდა საგაზეთო მუშაობას.

ნოემბრის შუა რიცხვებში პარიზში ორი თვის ყოფნის შემდეგ გამოვეთხოვე ჩემს პარიზელ შევობრებს და ნაცნობთ და უნევაში გაემგზავრე. იქ ჩემი მასპინძელი და ჩიხერონე იყო ჩვენი ცნობილი მწერალი მულგაწე მიხეილ (მიხაელ) წერეთელი. მეორე დღესვე წავედი სოც.-რევოლუციონერების გაზეთის რედაქციაში, სადაც ვინახულე: ჩერნოვი, კულიაკბო, შიშკო და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ესერი. ჩერნოვმა მითხრა: რუსეთში დაბრუნებისთანვე უნდა გაემგზავროთ პეტერბურგს, ინახულოთ ის ვინე ლევინი და მისი შემწეობით საჭიროა უშუალო კავშირი შექვრათ თქვენს პარტიასა და ჩვენს ცეკას შორის. მომცა შესაფერისი მანდატი (აქვა) და მისამართი; თან დასძინა: ჩვენი კომიტეტის წევრს აშეფს თქვენთან საქმე ჰქონდა, მაგრამ ეს ორი დღე იტალიაში წასულა. მალე უნდა ჩამოვიდეს და გთხოვთ რამდენიმე დღის შემდევ კიდევ შემოიროთ.

მესამე დღეს კვავ მიველი ესერების გაზეთების რეზაქციაში, მაგრამ, ჩემდა საბედგნიროდ აზეფი კვლავ არ დამხვდა და ამნაირად გადატრი მის დავალებების რუსეთში წალება-ასრულებას. უნევაში გავიცანი სხვათა შორის, ძმები შალვა და კომანდო გოგილიები, რომლებიც მანამდე არ მენახა. პეტრე სტრუვი,

ჟელი ჩემი მეგობარი სოც.-დემოკრატი, კოგანი და სხვანი. უწევის ერიგრანტთა კოლონიაში მაშინ აღელვება სუფედა რუსეთის ამბების გამო. ყველანი იმედით შეპყურებდენ მომავალს და თანაგრძნობით ეგებებოდენ პარიზის გადაწყვეტილებას შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის შესახებ.

უწევიდან გავემგზავრე სოფელ კლარანსში არჩილის სანახავად. რკინის გზით გარს შემოუარე მეტად შვევნიერ სანახავ უწევის დიდ ტრას და შემდეგ შვეიცარიის ლამაზ მთებში შევკერი. პატარა სადგურიდან ავედი მაღლობზე გადაჭიმულ საკურარერო სოფელ კლარანსში. კარგა ხნის ძებნის შემდეგ მიუადექი პატარა კოტეჯს, რომელშიაც არჩილი ცხოვრობდა. შესავალ კარებთან მოსამსახურე ქალი შემხვდა. ჩემს კითხვაზე:

— სად შემიძლიან არჩილ ჯორჯაძის ნახვა მეთქი, ქალმა ნაღვლიანის ხმით მიპასუხა:

— il est malade, monsieur, très malade! ავად არის, ძალიან ავად არისო. და წინ გამიძლეა.

შევედი ოთახში, საღაც არჩილი იშვა. თუმცა მიმელოდა, მაინც ძალიან აღელდა და ხველება აუტყდა. იშავე წუთს ოთახში გაჩნდა ხნიერი ქალი, პანსიონის დიასახლისი და მთხოვა, ცოტა ხნით მეორე ოთახში მ.ი.ცადეთ, სანამ ავადმყოფი დამშევიდდება. ერთი დღე და ლამე დავყავი არჩილთან. ხარბად დაეწავა საქართველოს ამბებს, ჩვენი პატარიის საქმებს, რუსეთის მდგომარეობას და სხვა. საღამოს იმდენად კარგად შეიქმნა, რომ ლოგინიდან ადგა და, მიუხედავად დიასახლისის პროტესტისა, გარეთაც გამოვიდა გასასეირნებლად. საუცხოვ სანახაობა გადამეშალა თვალ-წინ: ირგვლივ მაღალი მთები, უკვე სპეტაკი თოვლით განშევნებული, მრავალის ელექტრონის ლამაზით არის გაჩირალდნებული. თურმე მთების მწვერვალებზე სასტუმროებია გამართული, რამდენსამე ალაგას ფუნიკულიორი მუშაობს.

არჩილი პირდაპირ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე:

— მე აქ ვერ მოვრჩები, გიორგი, დავილუბები.. რაც შეიძლება მაღლე უნდა დავბრუნდე და იქ, კახეთში უეპელად ვსძლევ ამ ჩემ, საჭირელ სენსაო.

მე ვამშვიდებდი, ვეუბნებ იდი, რომ რუსეთში მაღლე საკონსტიტუციონ რეები იქნება და ყველა პოლიტიკურ გადახიზულთ საშუალება მიეცემათ დაბრუნებისა და თავისუფლად კხოვრებისა-მეთქი. მაგრამ არჩილი ამას არ დამჯერდა და სიტყვა ჩამომართვა, რომ

ვეცდებოდით დაგვებრუნებინა და არალევალურად გვეცხოვებინა საქართველოში.

დიღის სიამ უწებით დაკავე არჩილთან ეს დაეცი; საუცხოვო მოსაუბრე იყო. მეტედ ნაზი და ნაძღვილი კეთილშობილის გულის ოდამიანი. თვალცრემლიანი გამომეთხოვა და უკანასკნელად კიდევ შემცვეწა-არ დამტოვოთ აქ, უთუოდ მალე წამიყვანეთშამშობლოშიო.

მატარებელმა ვენისაკენ გამაქანა. ვენიდან ერთი დღის შოგზაურობა და რუსეთის მოსაზღვრე სადგურ ვერებოლოვში მივედით და მ. შინვე ძველი რუსეთის „სუნი“ მეცა: თამ რუსკის დუ, თამ რუსი იახჩეთ ტყუილად კი არ ამპობდა პუშკინი. როგორც-კი გაჩერდა ჩატარებელი, ვაგონი ჩაგვიკეტეს. შემოვიდა უანდარმის თფიცერი ჯარისკაცით. ჩამ უგვართვა ყვილას პასპორტები და გვითხრა: ცოტა ხანს აქ უნდა მოითმინოო, სანამ თქვენს პასპორტებს გავსინჯავთო. წავიდა და კარები ისევ ჩაგვიკეტეს. პატარა ხანს იქით გაგვიწვიეს დიდ დარბაზში და იქ ჩერნი ჩემოდნების სინჯვას შეუდგნენ. ვერც სკიატოპოლ-მირსკის „ლიბერალურ“ რეჟიმს „უშველნია მმ ქვეყნის-სთვის-მეთქი, გავიფიქრე და გამახსენდა სიტყვები, რომელიც დანტეს სიტყვით ჯოჯოხეთის კარს აწერია: დასტოვე ყოველივე იმედი, ვინც აქ შემოდიხარო:..



## XXV

ტფილისში დაბრუნება. — ჩემი გაგზავნა პეტერბურგს.

— 9 იანვარი 1905 წლისა. — რუსთის პირველი რე-  
გოლუციის დაწყება. — 17 ოქტომბრის მანიუსტი.

მატარებელი დაიძრა და ნელ-ნელა გაემართა წინ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე. კიევი, პოლტავა, ხარკოვი, როსტოკი. ზოგვან თოვლმა გაგვაჩერა. ზოგვან კიდევ, ვინ იცის რატომ, სა-ათობით დაგვასცენეს. ერთ-ერთ საღურჩე შემხვდა სტუდენტი გრ.. (გოგლა) ყაზახი შვილი, პეტერბურგს მიემგზარებოდა.

— ძალიან დაბნეულია მთავრობა ომის ასე უბერურად მიმდინარეობის გამოვლი, — მითხრა მან, როც ახალს აშებზე შევეკითხე. — თან შინაურობაშიაც არაა მოსცენება. არაჩეულებრივი აშებიც ხდება. ამას წინაა პეტერბურგის ერთ ციხეში პოლიტიკურმა ტუსალმა თავი მოიკლა. ახალგაზრდობა აღვლდა და გადასწყვიტეს დემონსტრაციის მოწყობა. დანიშნულ დღე! აუარებელმა სტუდენტობამ თავი მოიყარა ყაზანის ტაძრის მოედანზე. იმ წამსვე გაჩნდენ პოლიციალების და უანდარმების დიდძალი რაზები, შეტაკება აუცილებელი იყო, მაგრამ ამ დროს მოედანზე გაჩნდა გრადონაჩალნიკი, რომელმაც განკარგულება მოახდინა და პოლიციამ და ყაზახებმა მოედანი დასცალეს. დარჩენება მარტი სტუდენტები და გრანდონაჩალნიკი. გაათვა თუ არა ერთმა ორატორმა სიტყვა, გრადონაჩალნიკი მიუბრუნდა სტუდენტებს და უთხრა:

— ხომ ხედავთ, მე გავაგდე პოლიცია და ჯარი. იმედი წაქს, გონიერად მოიქცევით და დაიშლებითო.

ახალგაზრდობა მართლაც დაიშალა... გაზეთებიც თავისუფლად სწერენ. მაგრამ იმასაც ამბობენ, მალე სამხედრო დიქტატურა გამოცხადდება და დიქტატორად ტრებოვი დაინიშნებაო...

როგორც იქნა, შეექვეუ დღეს ტფილისში ჩავწიო. მეორე დღე სკე მოხდა მთავარ კომიტეტის სხურმა, რომელზედაც მე მოვახსენე საზღვარგარეთული ამბები და არჩელ ჯორ ჯაძის ნე ყველა საზღვარგარეთული ამბები და არჩელ ჯორ ჯაძის თხოვნა. კომიტეტმა გადასწყვიტა „საჭართველოს“ დაკეტვა, ხოლო არჩილის ჩამოყვანის საკითხი ზაფხულამდე გადასდო. გადასწყვიტა აგრეთვე პეტერბურგში ჩემი გაგზავნა სარევოლუციო მზა-დების ბიუროსთან კავშირის შესაკვრელად, თანახმად კონგრესის დადგენილებისა. პეტერბურგში უნდა მენახა ჩენი პარტიის წევრი დადგენილებისათვის. დიკმ-გოგნიაშვილი და ის უნდა წარმელგინა ბიუროსათვის.

გრის შუა რიცხვებში პეტერბურგს გავემგზავრე. იქ არ დამხვდენ ს.-რევ.-ის ცეკას ჩემი ნაცნობი წევრები, არც მინორი, არც ნატანსონი, იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდები: მაჩვენეს ლევინი მისი ნამდვილი გვარი არ ვიცი); გადავეცი ჩემი „იავა“ და ჩერნოვის დაბარება. გამომკითხა კონგრესის ამბები და შემდეგ მცითხა:

— გყავთ პეტერბურგში. საიმედო კაცი, რომელიც ჩვენს შორის მუდმივ კავშირს დაიქვერდეს?

გადავეცი გოგნია შვილის მისამართი და გამოვეთხოვე.

რამდენიმე დღეს დაყუავი პეტერბურგში. ვნახე პარტიების წარმომადგენლები, ერთხელ კიდევ მივედ „სარევოლუციო პარტიათაშორისო ბიუროში“. ბევრს ლაპარაკობდენ რევოლუციისთვის მზადებაზე, მაგრამ გასაკეირველი ის არის, რომ არც ერთს არ უთქვამს არაფერი იმ საშინელების შესახებ, რომელიც პეტერბურგში დატრიალდა ორი კვირის შემდეგ. მე ვგულისხმობ 9 იანვარს მომხდარ ამბებს. ვფიქრობ, სარევოლუციო წრეებში პეტერბურგს, მაშინ არც არაფერი იცოდენ გაპონის მომავალ გამოსვლის შესახებ.

დაბრუნებისას მოსკოვში დავრჩი ერთ დღეს. აქ მოვძებნე ჩემთან ერთად ციმბირში ნაწყოფი ძევლი ნაროდიულებული მაშინ, ნაფიცი ვექილი კუდრიავცევი. იმან გამაცნო თრიოდე იქაური ესერი, რომელთაც ცოტა არ იყოს, ცივი წყალი გადამასხეს. როცა ვუამბე საზღვარგარეთული ამბები და იქაური პოლიტიკური წრეების მოლოდინი, რომ რუსეთში მაღლე რევოლუცია იფეოქტებს. მათ სასოწარკვეთილებით მიპასუხეს: — ახლო მომავალში არაფერი იქნება. ქალაქის მუშები მარტო ვერას გახდებიან, ხოლო გლეხობაში ჯერ მკვიდრი ნიადაგი ვერ მოვიპოვეთ. მართალია, აქა-იქ ჩვენი პარტიის გავლენის ქვეშ არის გლეხობა და იმედიც გვაქვს, ზოგან აგრძარულ მოძრაობას გამოვიწვევთ, მაგრამ, საეჭვოა, ამას რაიმე თვალსაჩინო პოლიტიკური შედეგი მოჰყესო. ბოლოს დასინეს, ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს, ჩვენა უფროსი ამხანაგები ამბობენ, კავკასიაში დიდი ორგანიზაციები ჰყავთ პარტიებს დარაზმული და რევოლუციისათვის დამზადებულიო, მუშებშიაც და გლეხობაშიაც, თუ თქვენს ქვეყანაში დაიწყება რამე, იქნება აქაც გამოვეხმაუროთ.

უნდა ვოქვა, რომ ეს უცნაური მსჯელობა პარველად არ მსმენია. წინადაც და შემდეგშიაც ბევრ რუსი-მოლვაშისაგან გამიგონია ასეთი იმედები კავკასიაზე. ეს მით უფრო საკვირველი იყო ჩემთვის, რომ რუსეთში გაცალებით უფრო ჩეტი იყო შეგნებული და დარაზმული მუშა-ხალხი, გაცილებით მეტი იყო საერთო უქმაყოფილებაც,

გაცალებით მაღლა იდგა ინტელიგენტთა ძალაც, უფრო მეტადაც იყო განვითარებული საზოგადოებრივობა. ვფიქრობ, რუსის რევოლუციონერებმა თითონაც არ იცოდენ, რაოდენი ძალა იყო მათ ხალხში, რაოდენად წინ იყო წასული მისი შევნება და თანამედროვე მდგომარეობით უკმიყოფილება.

ტფილის დავბრუნდი იანვრის პირველ რიცხვში. არ გაუვლია მის შემდეგ ერთ კვირასაც, როცა პეტერბურგიცან მოვიდა თავზარდამცემი დეპეშა გაპონის გამოსვლის შესახებ. რედაქციაში ვისხედით მე და რამდენიმე თანამშრომელი. დეპეშები გვიან ღამით მოვიდა. პირველი წაკითხვეთ თითქმის ვერაფერი გავიგეო. დეპეშა ცუდად იყო შედგენილი, ზოგან სიტყვები იყლა, ზოგან დამახინჯებული სიტყვები იყო. მაგრამ მაინც საზარელი აქმავი გადაიშალა ჩეკი თვალშინ,—ამავეი დაუჯერებელ ბარბაროსობისა.

9 იანვარს დილით პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნებიდან აუარებელი მუშა-კაცი, ქალი, ბავშვებიც, რესავირეველია უიარაღო, დაძრულა და მეფის სასახლისაკინ გამართულა მწყობრი კოლონებით. წინ მიუძღვდა მლვდელი გიორგი გაპონი, თან მიპქონდათ ხატები და მეფის სურათები. ამ დიუი მიძრაობის მიზანი იყო მეფის ნახვა და მუშათა პეტიციის მისთვის ვადაცემა. ასე მშეიდობიანად განწყობილ ხალხს წინ გადაეღობა პოლიცია და დიდალი ჯარი. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ უიარაღო მუშებს არ ესროდენ და ბოლოს და ბოლოს მეფესთან მუშვებდენ. მისწოლია იკი პილიკის, რათ მისი რიგები გერმვია, მაგრამ ამ დროს პოლიციამ და ჯარმა ასტეხეს სროლა. ხალხი შედრება და როცა გონის მოვიდა, გაიქცა. ჯარი განაგრძობდა საშინელ სროლას; ცხენოსანი რაზმები უკან დაევალენ მუშებს. მოხდა ნამდვილი უმოწყალო ულეტი. დიდალი ხალხი მოკლულ და დაჭრილი იქმა ამ საშინელ დღეს.

ასე გაუმასპინძლდა ბარბაროსული მთავრობა მშეიდობიანი შიზნით მისულ ხალხს, რომელსაც სხვა არ უნდოდა რა იმუამად, რომ მეფე ენახა და იმისთვის თავისი მრავალგვარი გაჲირება ეცნობებინა. ამ უძაგალითო სისხლას ღრამ თავზარი დასცა მთელ რუსეთს. დაბრძავებული რუსის ლიბერალური საზოგადოებაც კი დარწმუნდა მაშინ, რომ მშეიდობიანს გზით თვითმყრობელობის წინააღმდეგ რუსის ერი ვერაფერს გააწყობდა, რომ დიდი შეტაკების თავიდან აკილება შეუძლებელი იყო.

ცხრა იანვარი პირველი გრგვინვა იყო უკვე მოახლოვებული დიდი შეტაკებისა, დიდი ბრძოლისა, რომელიც 1905 წლის განმავლობაში დღითი-დღე იზრდებოდა და შემოდგომაზე უმაღლეს წე-

ტალამდე იფილა. ამ ეკრეთშოდებულ განმათავისუფლებელ შობრაობაში, რომლის მთავარი ლიხუნგი იყო „ძირს თვითმშემცირობელობა“, თითქმის მთელი ერი ჩაება: მუშათა მასების დიდებული გამოსვლა-დემონსტრაციები, გლეხთა აგრძარული მოძრაობა, ბურჯუაზიული დემოკრატიის საპოზიციო კრებები, ბოლოს ოქტომბრის საყოველთაო, ისტორიაში უმაგალითო პოლიტიკური გაფიცვა. როცა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დღით სრულიად შეჩერდა ცხოვრება: შეჩერდა რკინის გზები, შეწყდა მუშაობა ყველა ფაზ-იქასა და ქარხნებზი, შეჩერდა ფოსტა და ტელეგრაფი, შეწყდა გაზეთების გამოსვლა, დაიკეტა დუქნები და მაღაზიები და სხვა. მთელი რუსეთის ასეთმა ერთსულოვანმა და მედგარმა იერიშმა ბოლოსდაბოლოს შეარყია თვითმშრობელობის პოზიციები და ბიუროკრატია იძულებული გახდა ქედი მოედრიკა რევოლუციის წინაშე.

17 ოქტომბერს გამოცხადდა მანიფესტი, რომლიააც აღთქმული იყო საკონსტიტუციო რეფორმები, მოქალაქობრივი თავისუფლებანი სიტყვისა, პრესისა, კრებებისა და სხვა. აგრეთვე გაფართოება საარჩევნო უფლებებისა, მომავალ სახელმწიფო სათათბიროში, ხალხის ჭარმომადგენელთა ასარჩევად.

თქმა არ უნდა, 17 ოქტომბერი მნიშვნელოვანი თარიღია რუსეთის ისტორიაში: ეს იყო პირველი გამარჯვება საისტორიო ასპარეზე ახლადგამოსულის მშრომელი ხალხისა; თუმცა ეს პირველი რევილუცია დამარცხდა და რეაქცია კვლავ გამოიწვა, მაგრამ გამოლვიდებული ძალის, ახალი ცხოვრების შეჩერება დიდი ხნით-შეუძლებელი გახდა და არ გაუვლია ათეულ წელიწადი, როცა მოხდა თებერვლისა და ოქტომბრის დიდი რევოლუციები, რომელთაც ძირიან ფეხიანად აღმოფხრეს ქველი ქვეყანა და საჰუდაში გამარჯვება რუსეთის მშრომელ ხალხს არგვნეს.



## XXVI

სარევოლუციო შოძრაობა ჩვენში.—გურ ის აშბები.—  
 სულთან-ქრის-გირის გაგზავნა გურიაში.—განვათავი.  
 სულუებელი შოძრაობის მონაწილენი.—რუსთის შურ-  
 ნალისტების ყრილობა და ჩვენი დელევაცია.—ჩემი  
 გამოძევიბა პეტერბურგიდან.—მინისტრების გაცნაბა.—  
 ქრებები და პეტიციები. ჩაითხი საქაოთველოს ავტო-  
 ნომიის და ილია ჭავჭავაძე.—ქრება სახოფლო-ხაზ-  
 ჭოვადოებაში.—ტფ. ქალაქის საბჭოში.—საბჭოს დარჩაზ-  
 ში ხალხის ამოულება.—პოლონელთა და გერმანელთა  
 კრებები

ჩვენი ქვეყანა არა თუ არ ჩამორჩია შიღა-რუსეთს, ან განაპირო-  
 ქვეყნებს განხინთავისუფლებელ მოძრაობაში, ირამედ დიდი როლი  
 ითამაშა და საპატიო ადგილი დაიჭირა ამ პირველ რევოლუციონურ  
 მოძრაობაში...

მოწინავე, საავანგარდო რიგში, რასაკვირველია, მუშები იდგ-  
 ნენ. იანვრიდან დაწყებული წლის ბოლომდე მათ ფეხი არ მოუცვ-  
 ლიათ თავის პოზიციიდან და მედგარ ბრძოლას აშარმოებდენ თვით-  
 მკყრობელობის ციხე-სიმაგრის დასამხობად. ალვინიშნოთ იანგრის და-  
 საწყისში რკინისგზელთა გამოსვლა, იმავ იანვარში ფებრივა-ქა-  
 რხნების მუშათა გაფიცვა, 23 იანვარს დიდი დემონსტრაცია, აგრე-  
 თვე დემონსტრაცია 30 იანვარს გარდაცვალებულ მებრძოლ ქალის  
 გოგიაშვილის დასაფლავების დროს. 23 იანვრის დემონსტრაციის  
 გოგიაშვილის დასაფლავების დროს, რუსთაველის (მაშინ გოლოვინის) პროსპექტზე, შეიარაღებუ-  
 ლოს, რუსთაველის (მაშინ გოლოვინის) პროსპექტზე, შეიარაღებუ-  
 ლი შეტაკებაც კი მოხდა მუშათა და პოლიციას შორის; რამდენიმე  
 კაცი დაჭრილი იყო და, თუ მეხსიერება არ მდალაწობს, ერთი მუ-  
 შა—ინწკირველი მოკლულ იქნა. წლის დასაწყისშივე მუშათა გაფი-  
 ცვები და დემონსტრაციები ხდებოდა ადრევე საქართველოს სხვა  
 ქალაქებსა და რკინის გზის სადგურზე: ბათომში, ფოთში, ქუთაისში  
 ხაშურსა და სხვაგან. მუშათა მოხრაობას ხელმძღვანელობას უწევდა  
 ს.-დ. პარტია. სხვა პარტიათა გაფლენა მუშებზე მცირე იყო მთელ  
 ამიერ-კავკასიაში.

მუშათა მოძრაობის შემდეგ თუ მეტ ყურადღებას არა, ნაკლებს  
 მაინც არ იქცევდა მაშინ გურის ამბები. გურის გლეხთა მოძრაობა უკვე  
 წინა წლებში დაიწყო და თავის გრანდიოზულის ხასიათით—მიმართუ-  
 ლებით მიიპყრო ყურადღება არა მარტო საქართველოსი, არამედ  
 მთელი რუსეთისა. მთელი რუსეთის პრესა ამ ამბებზე სწერდა, საზო-

გადოებრივი აზრი ამ მოძრაობაზე იყო მიპყრობილი. 1905 წელს მე თრიჯერ მომიხდა პეტერბურგში წასვლა და ყველა, ვისთანაც საქართველოს ამბების გამოყითხვას დამიწყებდა. მეონია, აუცილებლად გურიის ამბების კრებაზე. როგორც კი გაგვიცნას საქართველოდან ჩასული დელეგატები, სხვას არაუერს გვიკითხებოდენ—გურიის გლეხთა მოძრაობის ამბები გვიამბეთო. ხოლო როცა შემთხვევით გაიგეს, რომ ერთი ჩენოთაგანი, სახელდობრ პეტრე სურგულაძე გურული იყო, კრებაზედაც გააკეთებინეს მოხსენება იმ საგანაც.

1905 წლის დასაწყისში მოძრაობა უკვე ძლიერ გართულდა და გამწვადა. ბოიკოტი მემამულეთა და ადგილობრივ დაწესებულებათა წინააღმდეგ თითქმის მთელ გურიაში გამეფდა. აქა-იქ ტერორისტული აქტებიც მოხდა, ადმინისტრატიულ დაწესებულებათა გადაწვაც და სხვა ამგარი. საქმეთა ასეთმა გამწვავებამ ძალით შეაშედა და სხვა ამგარი. საქმეთა ასეთმა გამწვავებამ ძალით შეაშედა და სხვა ამგარი. საქმეთა გამწვავებამ მთავარი მპართველობა. სუერობში დაიწყეს ლაპარაკი, რომ დროა გურიის დასამშევიდებლად სასტიკი ლონისძებანი იქნას მიღებულიო. მართლაც თებერვლის პირველ რიცხვებში კავკასიის მაშაველებმა მთავარმართებლის მოვალეობის ამსახულებელმა გენ. მალამაშ, ბრძანება გამოსცა ოზურგეთის მაზრულებელმა გენ. მალამაშ, ბრძანება გამოსცა ოზურგეთის მაზრისა და კინტრიშის საპოქაულოდან განსაკუთრებულ საგენერალო გუბერნატორო ერთეულის შედგენის შესახებ; გენ.-გუბერნატორიად დაინიშნა გენ. ალიხანოვი. ამ განკარგულებამ მთელი შეგნებული საქართველო ფეხზე დააყენა. ყველა იღმფოთდა მომავალ შავბნელი პერსპექტივის წინაშე. გურიის აოხრება-აწიოკება მთელი საქართველოს ყელის გამოჭრა იქნებათ, გაიძახოდა დიდი და პატარა. ალ-პარაკლა პრესა, გაიმართა თათბირები, გაიგზავნა დეპეშები პეტებრუს.

ბოლოს გადაწყდა გენ. მალამაშთან დიდი დეპუტაციის გაგზავნა. ამგვარი დეპუტაცია რამდენსამე დღეში შესდგა და წარუდგა მას. დეპუტაციაში იყვნენ: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თავაუ-აზნაურობის წინამდებნი, ქუთაისის, ბათომის და ტფილისის ქალაქის თვათმართველიანის წარმომადებნელი, გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ და ეურნალ „მოგზაურის“ რედაქტორები, ქართვ ლ ინტელეგციის კერძო წარმომაზეენდები—გრ. გველესიანი, ნიკო თავდგირიძე, იკ. ანდრონიკა შვილი და სხვები, სულ 25 კაცამდე-დეპუტაციამ მთელი საქართველოს სახელით სოხოვა მალამას გაექმნებინა თავისი განკარგულება და უარი ეოქვა გურიის წინააღმდეგ რეპრესიებზე. გენ. მალამაშ შეიწყნარა შუამდგომლობა.

— ერთხელ კიდევ ცცლი მშვიდობიანის გზით გურიის გლეხთა დამშვიდებას. ამ დღეებში საგანგებო წარმომადგენელს გავგზავნი გლეხთა მოთხოვნილების გასაცრაობად და მათ დასამშვიდებლადო.

ორი დღის შემდეგ შან, მართლაც გასცა განკარგულება, რომლის ძალით მთავარმართველის საბჭოს წევრი და ფინანსთა მინისტრის რწმუნებული კავეასიაში სულ თან-კრიმ-გირეი იგზავნებოდა გურიაში საგანგებო მინდობილობით. სულ თან-კრიმ-გირეი ეუფრინდა რუსეთის ბიუროკრატიის იმ მცირერიცხვანი ნაწილს, რომელიც მაშინ თანაუგრძნობდა განათავსუფლებელ მოძრაობის და მხარსაც უქერდა კადეტების პარტიას. იყო იყო განათლებული, ლიბერალურ აზროვნების სახელმწიფო მოღვაწე და კეთილი გულს ადამიანი. ამგვრად, გურიაში გასაგზავნი დექანი კარგად იირჩა მთავრობამ, შაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ ნაბიჯიდან არაფერი გამოვიდოდა.

თებერვლის იქვეს ჩერენს რედაქციაში მოვიდა მთავარმართებლს კანცელარიის ვილაცა მოხელე და გაღმოგვცა:

— სულ თან-კრიმ-გირეი სთხოვს თქვენ რედაქციას დაქს სალაშოს რვა საათისთვის გამოაგზავნოს მასთან თავისი წარმომადგენელი გურიის საქმეებზე სათათბიროდ.

სალაშოს წავედით მე და ილია ნაკაშიძე. სულთან-კრიმ-გირეი ცხოვრობდა ბარათაშვილების სახლში, რეუტოვის ქუჩაზე. იქ ჟავა დაგვხდენ სხვა ქართული ურნალ-გაზეთების წარმომადგენლები. გამოვიდა სულთან-კრიმ-გირეი, გაგვეცნო და ყველანი მივუკი-ქით შრგვალ მაგიდას.

სულთან-კრიმ-გირეიმ მოგვმართა სიტყვით:

— მთავრობაში ძნელი საქმე დამაკისრა. უნდა გავიგო გურულ გლეხთა მოთხოვნები და შევცადო მათ დამშვიდებას. ჩვენ არ გვინდა რეპრესიებს მივმორთოთ. რაც ჩერენს კომპენტენციაში არის, იმის ავასრულებთ. რაც ჩერენს უფლებას აღმიატება, იმ მოთხოვნებზე ხდება. წიფე იმპერატორს მოვახსენებთ. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ მოქლე ხანში ხალხის წარმომადგენლობა იქნება მოწვეული, რომლიც ცხადია, პირველ რიგში გლეხთა უფლებრივ მღვმოს-რეობას და აგრარულ საკითხს განიხილავს. ამ პირობებში შეიძლება ცდა გლეხების დამშვიდებისათვის, მაგრამ მე მარტო ამას ვერ ავასრულებ, საჭიროა თქვენი დახმარება. ქართულ პრესას, ვიცი, დიდი გავლენა იქვს ხალხზე, გთხოვთ დამეხმაროთ. გამაყოლეთ თქვენი თანამშრომლები კონტაქტის დასაჭრად. ძალიან მსურს, ჩემი მისია კეთილად დავაგირგვინონ, მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება, თუ პრესა არ დამეხმარება....

ჩვენ აღვუთქვით, რომ შეძლების-დაგვარად დავეხმარებით, თუ-  
ვუწინეთ რეპრესიებზე უარის თქმა და თან გავაფრთხილეთ:

— გურული გლეხები გონიერი, შედარებით განვითარებული, პირდაპირი და ამაყი ხალხია. თუ დარწმუნდენ, რომ მათ გულრწფე-  
ლად ექცევიან და მართლა კეთილი სურთ მათოვის, ყველაფერს გუ-  
ლახდილად განმარტვენ და დამშვიდდებიან.

შეორე დღესვე სულთან-კრიმ-გირეი გურიაში გაემგზავრა.  
ჩვენი რედაქციიდან გაპუნენ სამსონ ფირცხალავა და ილია  
ნაკაშიძე. პირველად სულთან კრიმ გირეი ესტუმრა სოფელ შემოქ-  
მედს, იქიდან დაიარა გურიის ბეჭრი დაბა-სოფელი, ყველგან ისა-  
თებოდა ხალხის ყრილობა და დესანის საუბარი ხალხთან. გლეხთა  
წარმომადგენლები მოსწრებული სიტყვა-პასუხით უმარტვდენ სულ-  
თან-კრიმ-გირეის თავის გაჭირვებასა და მოთხოვნებს. მიწის სიმ-  
ცირე, საიჯარო ფასის სიღიღე, გადასახაჟების სიმრავლე, ადგილობ-  
რივ მოხელეთა თვითნებობა და სხვა ამგვარი გასაჭირის სურათი  
საესტილი გადაუშალეს წინ საგანგებოდ გაგზავნილსა და შიურო-  
კრატს. სულთან-კრიმ-გირეი გავირვებული იყო გურულ გლეხ-  
თა მჭევრმეტყველებით, მოსწრებულის სიტყვა-პასუხით და მათ ამაყი  
თავდავერით. ამის გამო ტფილისის მაღალ სფეროებზე დაცენტრი  
ლაპარაკობდენ, სულთან-კრიმ-გირეის პარტაული აგიტატორები ება-  
სებიანო, იმას კი ჰერნია, რომ გლეხებიან აქვს საქმეო.

სულთან კრიმ გირეის ბეცრი მტერი ჰყავდა მოხულიგანო ბიუ-  
როკრატიაში, მაგრამ ეს მათი შითქმა-მოთქმა მართალი არ იყო.  
შეიძლება ამისთანა შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი ზოგგან, მაგრამ  
ისიც ცხადია, რომ სულთან კრიმ-გირეის უმეტეს შემთხვევაში უბრა-  
ლო გლეხები ებაასებოდენ. მან დიდალი მასალა შეაგრივა ამ წო-  
გზაურობის დროს და სრული წარმოდგენა შეიმუშავა გლეხთა მო-  
ძრაობის მიზეზებისა და მათ მოთხოვნებზე. პოლოს და ბოლოს ამ  
მოთხოვნებს ორგვარი ხასიათი ჰქნანდა: უფლებრივი და ეკონომიუ-  
რი. გლეხები მოითხოვდენ ფართო ადგილობრივ ხაგლებო თვით-  
მართველობას და მოქალაქობრივ თავისუფლებას, ერთი მხრით და  
მეორე მხრით მიწების უსასყიდ ლოდ გადაცემას მშრომელი ხალხის  
განკარგულებაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, სულთან კრიმ-გირეის არ  
დააცალის მინდობილობის დასრულება: ჩატურიონურ წრეების ძალ-  
დატანებით იგი გამოწვეულ იქნა გურიიდან და მარტის დასაწყი-  
ში უკვე დაბრუნდა ტფილის. ამგვარადვე უშედეგოდ დასრულდა  
მეორე წარჩინებულ ბიუროკრატის, ვეიდენბაუ მის გაგზავნა



\* \* \*

ბევრი ამათგანი შესანიშნავი ორატორი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო გაგვაკვირვეს თავჯდომარებელი. რიგრიგად თავჯდომარებელ

დენ ნაბოკოვი, ვინავე რი და სხვანი, რომელნიც კრების და-სრულებისას ჩეზუმეს უკეთებდენ კამათს და თითქმის სიტყვა-სიტ-ვით იმეორებდენ გრძელ სიტყვებსაც. კრება აღფრთოვანებული ტე-მპით მიმდინარეობდა, შეეხო თანამედროვე მომენტის ყველა მწვავე საკითხებს და სათანადო რეზილუციები გამიატანა: საჭიროა სრუ-ლი დემოკრატიული კონსტიტუცია, დამფუძნებელი კრება, მოწვევ-ლი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით, საჭიროა მიწების უსასყიდლოდ გადაცემა მშრომელ ხალხისათვის და ავტონიმიური თვითმორთველობა განაპირი ქვეყნებისათვის. ერო-ვწულ საკითხის კომისიაში (სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევაზ რამდენიმე წინასწარი კომისია მუშაობდა) მე ვიყავი არჩეული. აქ იყვნენ თითო-თითო წარმომადგენელი რუსთა, უკრაინელთა, ლიტვე-ლთა, ქართველთა და სომებთა ურანალისტებისა. გამაკვირვა უკრაი-ნის წარმომადგენელმა, რომელიც კერძო ლაპარაკის დროს დაეინე-ბით მოითხოვდა დახმარებას:

— ამხანაგო, ვეუბნელი მე, ჩემი დახმარება რად გინდათ, ოცდაათმილიონიან ხალხის წარმომადგენელი ბრძანდებით, დახმა-რება ოქვენ უნდა გამაწიოთ და არა მე.

— არა! ჩენ, უკრაინელები განსაჟუთრებულ მდგომარეობაში ვართ. რუსები ტუნგუზებს და იაკუტებს მისცემენ ავტონომიას, მა-გრამ ჩენთვის ერობასაც არ გამოიმეტებენ. ჩენი გარუსება სწა-დიათ და თვით საუკუთესო წარმომადგენლები ჩენი, როგორც არის, ბაგალითად კოროლენკო, იმ აზრის არიან, რომ უკრაინის ხალხი გა-ნუყრელად უნდა იყოს ველიკოროსებთან. კომისიაში ეს უკრაინელი ბევრს ეცადა, რომ ავტონომიის შესახებ რეზილუციაში რუსეთის ყველა ერი ყოფილიყო ჩამოთვლილი სათითაოდ, მაგრამ კომისიაშ ერთი საყოველთაო რეზილუცია მიიღო, რომელშიაც არც ერთი ეროვნება არ იყო დასახელებული.

ერთერთ სხდომაზე მოვიდა ცნობა დიდი მთავრის სერგეი ნი-კოლოზის ძის მცვლელის კალიავის სიკვდილით დასჯის შესახებ. თავჯდომარის წინადადებით მთელმა კრებამ ფეხზე აღვომით პატივი სცა კალიავის ხსოვნას. ეს ფაქტი საქათა დამახასიათებელია იმი-სა, თუ როგორი სულიერი განწყობალება და როგორი გამშედაობა სუფევდა მაშინ რუსეთის ოპოზიციონურ და ინტელიგენტთა მა-საში. აღნიშნავ კიდევ, რომ კრების მონაწილეთა შეორის თავისუ-ფლად გროვდებოდა შეწირულება „B. B.“-სათვის. ამ ასოებით გული-სხმობდნენ მომავალ „შეიარაღებულ აჯანყებას“ (Вооруженное во-сстание). ყრილობა არ იყო ჯერ კიდევ დასრულებული, როცა დი-

ლააღრიანად ჩემ სასტუმროში გამოცხადდა უბნის ზედამხედველი და ჩამაბარა „სპასკი“ ბოქაულის უწყება, ომლით მოხვედა ხეალ, თერთმეტ საათისათვის მობრძანდით ჩემთან საბოქაულოში საჭირო საქმეზედა.

ძალიან გამიკვირდა და ვერ გამეგო, რა უნდოდა ჩემგან პეტერბურგის პოლიციას. დანიშნულ საათზე მივედი. ბოქაული გამომეგება ძალიან თავაზიანად, მიმიწვია თავის კაბინეთში და დიდის ბოდიშის შემდეგ გამომიცხადა: გუშინ დამცველ განყოფილებიდან მოწერილობა მომივიდა, წინადადება მოგცეთ პეტერბურგიდან დაუყოვნებლივ წასვლის შესახებ, რადგან სენატის „ასობოე პრისტს-ოვეს“ 1889 წლის დადგენილებით, თქვენ აქრძალული გაქვთ სატახტო ქალაქებში ცხ. ვრებათ.

— მე აქ საცხოვრებლად არ ჩამოვსულვარ, საქმე მაქვს, გავათავებ და წავალ.

— ვიცი, ვიცი, მავრამ პოლიციის დეპარტამენტისაგან ამისათანა განკარგულება ხშირად მოგვდის ხოლმე; თქვენ მიღით იქ, აუხსენით და ამოგშლიან „შავ სიიდას“, თორემ სხვა დროსაც ასე გაგიმასპინძლდებიან.

მე, რასაკვირველია, „ოხრანკაში“ არ წაჟულვარ. ორი დღის შემდეგ ყრილობაც დასრულა და პეტერბურგიდან წამოვედი. ოთვორც შემდეგ გავიგე, ამგვარი ბრძანება გიორგი ზდანოვიჩისა ც მისელოდა იმ ხანგბში. ის მივიდა პოლიციის დეპარტამენტში, იჩეუბა და მართლაც ამოაშლევინა თავისი გვარი სიიდან. აღსანიშნავია რომ გიორგი ზდანოვიჩი წინად თითქმის ყოველ წელიწადს მიღიოდა პეტერბურგს და არავის გაუხსენებია, რომ მას ნება არა ჰქონდა სატახტო ქალაქში ჩაკლისა. მხოლოდ „დოვერიის“ (ნდობის) ეპოქაში და საკონსტიტუციო მზადების დროს ამოათრიეს ეს უცნაური „შავი“ სიები.

წინა დღეებში მინისტრების გაცნობის შემთხვევაც კი მომეცა. იმჯამად პეტერბურგში იყო ტფილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელი დავით მელიქიშვილი. ერთ თავისუფალ შუაღლეს წაველი მის სანახავად და მაღალ სფეროების ამბების ვასაგებად. არ მახსოვს, რომელ სასტუმროში იდგა, მახსოვს მხოლოდ, რომ ძალიან გამაკვირვა მისმა ბინამ: ერთი დარბაზი და რამდენიმე ოთახი ეჭირა, მდიდრულად მორთული. ძალიან უყვარდა მდიდრული ცხოვრება, ხარჯებს არ ერიდებოდა არც ტფილისში, არც პეტერბურგში; დიდი ვალები ჰქონდა და თავისი დიდი მამულები ბორჩალოს მაშრავი ამ ვალების გასტუმრებას გადაყოლა.

როცა სადარბაზო ბარათი შეეუგზავნე, დ. ზ. მელიქიშვილი თი-  
თონ შემომეგება დერეფანში და წამიჩურჩულა: მოდით, რა საინტე-  
რესო ადმიანებს გაგაცნობთ. შემიძლევა ოთახში და გამაცნო:

— ვიტოზ, ობოლენსკი. ესენი ფეხზე წამოდგნენ და გა-  
დაკარბებულის თავაზიანობით მომეგებნენ... ორივენი მელიქიშვილის  
მეგობრები იყვნენ, ვიტოზ შენობით ელაპარაკებოდა. ობოლენსკი (სი-  
ნოდის ობერ-პროკურორი იყო იმ დროს) შემეცითხა, რა ამბებია კავ-  
კასიაშიო.

• უცბად ვიტოზ მომიბრუნდა და საცილით მითხრა:

— Скоро вы там нас в Грузии взорвете?

პატარა ხნის შეძლევ დიდის მოწიწებით გამომეთხოვენ და წა-  
ვიდენ. მელიქიშვილმა ღიმილით მითხრა: შევაშინე მინისტრები; თქვენი სადარბაზო ბარათი რომ დავინახე, იმათ წაგჩურჩულეთ,  
Вот вы имеете случай познакомиться с известным грузин-  
ским революционером—მეოქი. სფეროებში ძალიან ემინიათ კავ-  
კასიის რევოლუციონერებისათ.

მშერლების გარდა იმ ხანაში ბევრ სხვასაც ჰქონდა ყრილობა: ადვოკატებს, საქალაქო და საერობო მოღაწეთ, თავად-აზნაურობას  
და სხვა ღამესებულებათა და პროფესიის ხალხს. ჟველგან რადიკა-  
ლურ რეზოლუციებსა და მაგარ-მაგარ პეტიციებს ადგენდენ.

ამგვარი ქრებები და ყრილობები ჩვენშიაც ბლობად იმართე-  
ბოდა იმხანად. ჩვენი პარტიის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა  
აველა ამგვარ ქრებაზე გაეგზავნა ხოლმე თავისი წარმომადგენლები,  
რომელთა მიზანი უნდა ყოფილიყო,—ერთი მხრით, რამდენადაც შე-  
საძლებელი იქნებოდა, გარადიკალება და ფალრმავება საერთო ხასია-  
თის მოთხოვნათა და მეორე მხრით, ყველმხრივი გუშება ერო-  
ვნეულ საკითხისა და ავტონომიის მოთხოვნა. სხვათა შორის, ჩვენი  
ამხანავები თავად-აზნაურობასაც მივუსიეთ, იქ გავაზანეთ ქართლ-  
კახელები: გიგო რცხილაძე, ალ. დიასამიძე, ვახტანგ მუსხელიშვილი და დავით ჯორჯაძე.

თავად-აზნაურობის ოფიციალურ ქრებას წინ უძლოდა კერძო  
თათბირები, რომელზედაც წინასწარ უნდა შემუშავებულიყო მომა-  
ვალ პეტიციის მუხლები. ამ თათბირებზე ჩვენ დელეგატებს თავად-  
აზნაური მედგარის წინააღმდეგობით დაუხვდენ. არ უნდოდათ რა-  
დიკალური ხასიათის მოთხოვნათა წარდგენა. გიგო რცხილაძეს  
დიდი შეტაქები მოუხდა ილია ჭავჭავაძესთან. ილია გადაჭ-  
რით წინააღმდეგი იყო რადიკალური რეზოლუციებისა:

— თავად-აზნაურობას არ შეეფერებაო, ამბობდა ის, დამფუძნებელ კრებისა და სხვა ამგვარ მოთხოვნების წარდგენაო.

გიგო რცხილა აღნიშნავდა მომენტის სიდიარეს, რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობას და ბოლოს, საინტერესო ამბავი მოხდა: მოულოდნელად იღიამ განაცხადა:

— თუ ასეა, თუ საჭიროა ქართველმა თავად-აზნაურობამაც ჩააამიალოს, მაშინ უშვილესია და უფრო შევვეფერება საქართველოს ავტონომიის საკითხი და მოთხოვნა წამოვაყენოთ.

ჩვენ დელეგატებს ჯერ არცერ დაეწყოთ ეროვნულ საკითხზე ლიპარიაკი, მხოლოდ ნიადაგს ამნადებდენ და ილიამ დაასწრო: სოჭვა ის დიდი სიტყვა, რომლის გაგონებისაც კი ეშინოდა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას. ილია ჭავჭავაძე კვლავ ძეგლებურად ამაღლდა ჩვენი საზოგადოების თვალში, ხოლო რაღვან მას დიდი გავლენა ჰქონდა თავად-აზნაურობაში, საქმე გააღვილდა და თავად-აზნაურების ოფიციალურმა კრებამ, თითქმის ერთხმად მიიღო საქართველოს ავტონომიის რეზოლუცია და შესაფერისი შეამდგომლობა გაგზავნა პეტერბურგს. ამგვარივე პეტიციები წავიდა პეტერბურგს დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისაგან და ქუთაისის საქალაქო თვითმართველობისაგან, სადაც აგრეთვე ჩვენი მხანაგები ცდილობდნენ (გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, გრ. გვილესიანი და სხვები).

აპრილში კაჯკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოუკიდა „Вольно-экономическое“ საზოგადოებისაგან ვოდოვოზოვის პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესითა და პრინციპით უნდა მომხდარიყო რუსეთში მომავალი საპარლამენტო არჩევნები. „საზოგადოება“ თხოულობდა ვოდოვოზოვის პროექტის განხილვასა და იმის შესახებ „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ აზრის მიწოდებას. დაინიშნა კრება, რომელზედაც ჩვენმა მთავარმა კომიტეტმა გამგზავნა დაუვეგტები კრებაზე მოსულიყო სულ 50—60 კაცამდე. თავმჯდომარებ, აწ განსვენებულმა ეგნატე იოსელიანმა, გაგვაცნო ვოდოვოზოვის პროექტი და კამათი დაიწყო. მასსოებს, პირველი სიტყვა სთქვა. მაშინ ახლადგამოსულმა საზოგადოებრივ ასპარეზზე აღ. ხატისო ვმა. მან მხარი დაუკირა ვოდოვოზოვის გეგმის მხოლოდ ერთი შესწორებით: ერთგვარი სარჩევნო ცენტრი მაინც საქმია, სახელდობრ განათლების ცენტოი. შემდევ სიტყვა მე მოვოხხვევ. სხვათა შორის ვოდოვოზის ევის გეგმით რუსეთი უნდა დაყოფილიყო საარჩევნო ოლქებად; ოლქი ზოგჯერ უდრიდა ერთ გუბერნიის, ზოგჯერ ორი-სამი გუბერნია ერთ სარჩევნო ოლქს შეადგენდა. მე ამ გარემოებას

მიგაქციე ყურადღება და ვთქვი, რომ კავკაჭის გაყოფას ორ თუ სამ საარჩევნო ოლქად, რაღაც შემთხვევითი ხასიათი აქვს ვოდოვო-ზოვის პროექტში; საჭიროა სულ სხვა და განსაზღვრულ პრინციპები იქნას აგებული საარჩევნო ნაწილებად დაყოფა; საქართველო, მაგალითად, ავტონომიას მოითხოვს და ამიტომ მისი დაქუცმაცება საარჩევნო ნაწილებში არ შეიძლება; საქართველო ერთ საარჩევნო ოლქს უნდა უდრიდეს-მეთქი.

ამის წინააღმდეგ ილაპარაკეს ფილიპე მახარაძეზ, ხატისოვანი და სხვებმა. ბოლოს ფილიპემ განცხადება შემოიტანა: აქ დიდმნიშვნელოვანი პროექტია განსახილველი გამოგზავნილი, კრებაზე კი ერთობ ცოტა ხალხია. არ არის სწორედ ის ელემენტი, რომელიც ყველაზე უფრო არის დაინტერესებული დღეს პოლიტიკური საკითხებით; ამიტომ მე მოვითხოვ კრების გადადებას და უფრო მრავალრიცხოვან ყრილობის მოწვევასათ.

წინააღმდება სამართლიანი იყო, ყველაზ მხარი დაუჭირა და კრება ერთი კვირით გადაიდო.

დანიშნულ დღეს მე რადგენიმე ამხანაგით მივედი „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში“, ბარიათინსკის ქუჩაზე. საზოგადოების სადგომს დიდძალი ხალხი მისევდა. ძლიერსძლოვობით შევედი დარბაზში, რომელიც მთლად გაქერდილი იყო ხალხით; ბევრი დერეფანში იდგა, კიბეებზე და ქუჩაშიც.

თავმჯდომარებ ეგნ. იოსელიანმა იმავ წესით დაიწყო კრება: გააცნო დამსწრეთ ვოდოვოზოვის პროექტი. არ მასივს, ვინ დაიწყო კამათი. მეტოდ თუ მესამედ ჩაწერილი იყო ახალგაზრდა ს.-ფ. დავრი იშევი. მან ფედერაციასა და ავტონომიაზე დაიწყო ლაპარაკი. დარბაზში გაისმა უკმაყოფილების ხმები: საგანს არ შეეხებათ, ძირს ავტონომია და სხვა. ატყდა აურ-ზაური და დავრი შევმა ვეღარ მოახერხა ლაპარაკი.

სიტყვა მე მოვითხოვე, დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა; ეტყობოდა, ყურადღებით მომისმენდენ, მაგრამ მე თვითონ გავაფუჭე საქე. განზრახვა მქონდა გამერჩია ვოდოვოზოვის პროექტი საფსებით და საარჩევნო ოლქების ავტონომიების საკითხებისთვის შორიდან მომევლო და არა ისე ტლანქად, როგორც ეს დავრიშევს შოუვიდა. ჩემდა საუბედუროდ, სრულიად უხერხულად დავიწყე ჩემი სიყტვა: „ამხანაგით და მოქალაქენო, ვთქვი მე, ჩემნა კრებამ სრულიად უმსგავსო და შეუფერებელი ხასიათი მიიღო. ყვარილით და აურზაურით არ შეიძლება იმ საგულისხმიერო საკითხების ვალაშვერთა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს. გაიგონეთ თუ არა

სიტყვა „აეტონომია“, თქვენ მაშინვე ხმაურობა ასტეხთ, გაიძახით „ძირს აეტონომია“. რა აზრი აქვს ამგვარ ყვირილს? განა გადაწყდება რამე ამგვარ ყვირილით? რომ გამოვიდეს ვინც და დიოწყს ღრიალი—ძირს სოციალ-დემოკრატიაო, განა ეს“.. წარმოვაჭეო თუ არა ეს ორი სიტყვა, დაუბაზი საშინაოდ აღლელდა. როგორც ერთმა კაცმა, ყველამ ერთხმად მომაძახა: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატია-საც.“.

შეიქნა ყვირილი. დამსტრენი ერთმანეთში აირივნენ, არაფერო არ ისმოდა. ბეჭრს ეცადა თავმჯდომარე კრება დაემზეოდებინა, მაგრამ ველარაფერი გააწყო. ბოლოს ადგა, დაიყვირა „კრების დახურულად ვაცხადებო“ და მეორე ოთახში გავიდა. მე რამდენიმე ამხანაგით იმას გავჰყევი და სრულიად დავტოვეთ სადგომი.

როგორც მეორე, დღეს გავიგეთ, კრება არ დაშლილიყო; აერ-  
ჩიათ თავმჯდომარე ნიკო ელიავა, გაემართათ კიმათი და სათა  
ნაორ რეზოლუციები მიეღოთ.

ამ ქრების შესახებ მეორე დღეს ერთი სასაცილო ამბავი და-  
დიოდა ქალაქში, არ ვიცი კი რამდენად მართალია: სასოფლო-სამეურ-  
ნეო საზოგადოების შენობის წინ, სასახლეში, სცხოვრობდა შაშინ-  
დელი მთავარმარტებელი გენერალი მალამა, რომელიც თავის ფანჯ-  
რიდან თვალყურს აღვენებდა ქრებასათ. მეორე დღეს მალამას უთხ-  
რეს თურმე, გუშინ აქ დიდი მიტრნგი ყოფილათ. მალამას უპასუხნია:

—မိန္ဒရိုက်နွေး လာ မြေကာသုပောက်၊ မာဂုရာမ ဝါယာ ကျ ဦးလွှာသလို၊ ရှေ့မ ဂုဏ်သွေးလွှာ မာဂုဇာလွှာ။

ოფიციალურ საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან ყველაზე დაწესებულებებიდან ყველაზე გვიან ამოძრავდა „სოლოლაქელთა“ ციტადელი — ტფილისის ქალაქის თვითმართველობა. მხოლოდ აპრილში, როცა რუსეთის ყველა საქა- ლაქო მართველობათ უკვე გამოტანილი ჰქონდათ სათანადო რეზო- ლუციები, ტფილისის საბჭომ იქნია მსჯელობა თანამედროვე მო- მენტზე და დაადგინა შერთებოდა მოსკოვის საქალაქო საბჭოს რე- ზოლუციებს. თან ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნათა გამო- სარკვევად აირჩია კომისია. ამ კომისიამ რამდენიმე თვეს იმუშავა (ასეთი იყო იმდროინდელ კომისიების მუშაობა) და, ბოლოს უნდა დანიშნულიყო საბჭოს სხდომა, რომელსაც უნდა განხელო საკითხი, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო კავკასიის მართვა-გამგებლობა მა- მაგალში.

სხდომა ზაფხულის თვეებში რამდენჯერმე გაიმართა. საერთო პოლიტიკურ საკითხების გარდა თათბირი იყო სომები-თათართა შეტაკებების შესახებაც. ყველა ეს საკითხი იმდენად დიდმიწვნელო-

ვანი და საკულტო მინისტრი იყო დემოკრატიისათვის, რომ გასაკვირვეველი არაა, თუ ამ კრებებს ხალხი ათასობით ესწრებოდა. ზოგჯერ, სხვადასხვა გარემოების გამო „ქალაქის მამები“ სხდომას არ იშეუძლენ. მაშინ თვით ხალხი განაგრძნობდა თაობირს. ასე მოხდა 29 აგვისტოსაც,—იმ შავბეჭელ დღეს, როცა ტფილისში საშინელი ამბავი დატრიალდა... იმ დღესაც ქალაქის საბჭოს რამდენიმე ათასი კაცი მიაწყდა. სალაშოს ადრე მეც მივედი, მაგრამ დარბაზში ერთ შევაწით: ხალხით იყო გაქცელილი იქაურობა. როგორც იქნა, იქ მდგომ მუშების დახმარებით დერეფანში შევედი და იქ გაეჩერდი. იმ სალამოს მე არ შემეძლო დიდხანს დავრჩენილიყავ კრებაზე: 9 საათისათვის რკინის გზის სადგურზე უნდა წიგსულიყავ. საქმე ის იყო, რომ იმ სალამოს მახინჯაურში ვისტუმრებლით ავადმყოფ არჩილ ჯორჯა ეს. თანახმად არჩილის სურვილისა და კომიტეტის დადგენილებისა იმ ზაფხულს არჩილი ჩამოვიყვანეთ საზღვარგარეთიდან. ჩამოვიდა ძალიან დასუსტებული და ავადმყოფი; მისი დატოვება ტფილისში არ შეიძლებოდა, ამიტომ უკეთოვეთ აგარაკი მახინჯაურში და სწორედ 29 აგვისტოს ვისტუმრებლით იქით.

კრება დიდხანს არ იშეუძლოდა და, რადგან ჩემი წასვლის დროც შოვიდა, ძლიერ გამოვედი ქუჩაში; იქ შემხვდა სანდრო დიასამი დე, რომელიც აგრეთვე გამოსულიყო დარბაზიდან და ორივენი გავემართეთ სადგურისაკენ იმ იმედით, რომ მატარებლის გასვლის შემდეგ დავტრუნდებოდით და კრებას კიდევ მოვუსწრებდით. ავადმყოფი გავისმტუმრეთ; თან გაპყავ მისი ნათესავი ქალი, მასწავლებელი თამარ ფალავანდი შვილი, რომელიც იმდროდან დაწყებული არჩილის გარდაცვალებამდე თითქმის სულ არ მოშორებია ავადამყოფს და დიდის ენერგიით, გულმოდგინეობით და მოთმინებით უვლებდა მას. მატარებლის წასვლის შემდეგ მე და დიასამი გავეუსურეთ ქალაქის საბჭოს სადგომისაკენ. მივედით თუ არა პუშკინის ქუჩამდე, მაშინვე მოვხდით, რომ იქ რაღაც ამბავი მომხდარიყო: გზები შეკრული იყო, არავის უშვებდენ, ჯარი და პოლიცია იდგა ერევნის მოვდანზე.

თავზარდამცემი ამბავი იმ საშინელის სალამოსი ზოგი იქვე გავიგე, ზოგიც შემდეგში. სხვათა შორის, ჩემს სახლშივე დამხვდა ერთი დაჭრილთაგანი—ჩემი ოჯახის მეგობარი ქალი ანეტა ნიკოლაი-შვილი, ზოგი რამ იმისგანაც გავიგე.

საქმე ასე ყოფილიყო: როგორც წინა დღეებში, საბჭოს 29 აგვისტოსაც არ ჰქონია ოფიციალური სხდომა; ხალხი მისულა და მოუწადინებია კერძო თათბირის გამართვა. ქალაქის თავს ვერ ში-

შევს განკარგულება გაუცია—ხალხი დარბაზში არ შეუშეათო, მაგრამ შესულან მუშები, მათ სხვებიც მიკყოლიან და თათბირი დაუწყით. ამ დროს ტფილისის გენერალ-გუბერნატორს ტელეფონით დაურევია ვერმიშვილისათვის და წინიდადება მიუცია, საბჭის სადგომიდან ხალხი დაითხოვეთო. ქალაქის თავს უპასუხნია—მე ვერაფერი მოვახერხეო და თან დაუძნია, ხალხის ამგვარი თავდასხმა ჩენ ქალაქის თვითმართველობის შეურაცყოფად მიგვიჩინია. გენ.-გუბერნატორს პოლიციისთვის უბრძანებია საბჭოს დარბაზის განთვისუფლება. დარბაზში შისული იმ უბნის ბოქაული და გენ.-გუბერნატორის სახელით უბრძანებია: დაუყოფნებლივ დასტოვეთ დარბაზით. დარბაზში ამტყდარა ხმაურობა, ბოქაული გარეთ-გასულა; ხალხი ჯერ კიდევ არ გამოიკვეულიყო და არ გადიერებითა, როგორ მოქცეულიყო, როცა საბჭოს სადგომს ყაზახთა და პოლიციელთა რაზმი მიადგა. ჯერ გარედან გაისმა თოფების გრიალი, შემდეგ ყაზახები შევარღნილან დარბაზში და აუტეხიათ სროლა. ძნელი წარმოსადგენია ის ამბავი, რომელიც დარბაზში უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც იმ წუთებში. მთავარ გამოსახვლელ კარებში ჯარისკაცები დაგანან და თოფს ისცრიან. გამოწუდელული ხალხი იქთ-იქთ ძწყდება; დარბაზში გულსაკლავი ლრიალია დაჭრილებისა და შეშინებული ხალხისა. სულ იმ საღამოს მოკლულ იქნა 30 მდე, დაჭრილთა რიცხვი 60-გაცხვე მიტი იყო.

ამ ძნელად დასავიწყვებელ შევნელ საღამოზე დიდხანს იყო იმ დროს ტფილისში ლაპარაკი. შევრი ამტყუებდა ქალაქის მმართველობას, განსაკუთრებით ქალაქის თავს—ვერმიშვის. მართლაც, ქალაქის თავი შესაფერისია ვერ მოიქცა. მის მაგიერ, რომ გენ.-გუბერნატორისთვის ეპასუხნა.—მივიღებ ყოველ ლონეს და ხალხს დავითხოვ დარბაზიდანო, მას უთქვამს—მე ვერაფერს გავაწყობო. იმის შაგიერ, რომ ეთხოვა გენ.-გუბერნატორისათვის, რეპრესიულზომებს ნუ მიმართავთო, ქალაქის თავს, თუ დაეუჯვერებთ ოფიციალურ ცნობას, მთავრობისთვის შეუჩინდეთ: ხალხის თავ უასხმა ქალაქის თვითმართველობის შეურაცყოფა არისო. რასაკეირველია, ასეთ პასუხს მთავრობა გაიგებდა ისე, რომ მას დახმარებას სთხოვენ და ისიც თავისებურიად, ბარბაროსულად, დაეხმარა. შესაძლებელია ქალაქის თავის პასუხისა და თხოვნისათვის გენ.-გუბერნატორს ყური არ ეთხოვებინა და საშინელება მაინც მომხდარიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალაქის თავი თავის მოვალეობას აასრულებდა და საყვედლისაგან მაინც იქნებოდა თავისუფალი.

გარდა ოფიციალურ საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ჩეენში ინტელიგენციაც ჩეხება იმხანად განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისიც მართავდა კრებებს, თაობირობდა მომქნეტებელ და გამოქვენდა შესაფრისი რეზოლუციები.

მახსოვს, რანდენსამე ამგვარ კრეას მეც დავუსწარი. გაიმართა ისინი ჩეენი პარტიული ამხანგის ხარლამზი ღლონტის ბინაზე და „ნაკადულის“ რეზაქციაში. აქ დიდალი საზოგადოება იყრიდა თავს. ერთერთ კრებაზე ჩეენი ძევლი მოღვაწენიც დავინახე: ყველასაგან პატივუმული მშერალი ქალი ექ. გაბაზი შვილისა, იაკობ გოგ გ-ბა შვილი, ანტონ ფურცელაძე, ვლ. მიქელ აძე, ვასილ ყიფიანი და სხვა ბევრი ახალგაზრდა ინტელიგენტი. საზოგადოდ, უნდა ვთქვა, რომ იმ ხანებში მეტად გაიზარდა ტფილისშა ქართველი საზოგადოება. ათი-თორმეტი წლის წინად, როცა მე ჩამოვედი ტფილისში, ქართველი ინტელიგენტი თითზე ჩამოსათვლელი იყო: ყოველგან, სადაც კი მიხვითოდი, თეჯტრი იქნებოდა თუ კრება, ერთი და იგივე ორმოცდა-სამოცაოდე პირი დაგვხვდებოდა. პირველ რევოლუციის ხანაში სურათი საგრძნობლად შეიცვალა: ქართველი საზოგადოება, როგორცა ვთქვი, ძალიან გაიზარდა: ტფილის მოაწყდა აგრეთვე ბევრი ქართველი მუშა, ხელისანი, წვრილი ვაჭარი. მახსოვს, ამის შესახებ „კვალში“ თუ „მოგზაურში“ დაიბეჭდა ფილ. მასარაძის საინტერესო წერილი, რომელშიაც მას მოჰყავდა სტატისტიკური ცნობები ქართველ მოსახლეობის ზრდის შესახებ ტფილისში და არკვევდა ამ ზრდის ეკონომიურ მიზეზებს.

კრებებზე ვინმე გააკეთებდა მოხსენების თანამედროვე შომენტზე და დაიწყებოდა კამათი. ერთ კრებაზე მეც ვიყავი მოხსენებელი, მეორეზე, მახსოვს, მომხსენებლად გამოვიდა ახალგაზრდა ექიმი სპირიდონ ვირსალაძე, შემდეგ ქართველი მშერალი და მოღვაწე ივ. ზურაბი შვილი და სხვები. მოლოს მიიღებდენ რადიკალური ხასიათის რეზოლუციებს, რომელნიც აუცილებლად შეიცავდენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

ივტონომია-ფედერაციის საკითხით იმ დროს მუშებიც დაინტერესდნ. ამის გამო რამდენჯერმე ნაძალადევში იყვნენ მოხსენებათა გასაკეთებლად ჩეენი ამხანაგები სამსონ ფირცხალავა და ოსიკო ბარათა შვილი. ერთხელ მეც ვიყავი. პატარა ოთახში შეგროვილიყო 20-30 მუშა, რომელთაც ყურადღებით მომისმინეს. მოხსენების შემდეგ მომცეს სხვადასხვა შეკითხვა და მერე დაიწყო ვაჭარებული კამათი. ზოგი გესლიანად აკრიტიკებდა ჩეენს „შოვინისტურ“ პროგრამას, რამდენიმე კი გვიცავდა. სამწუხაროდ, კამათი

მალე შესჭყდა. ქუჩებში დაყენებულმა მოდარაჯე მუშებმა შეგვა-  
ტყობინეს დიდი სამხედრო პატრულის მოსვლა ნაძალადევჲში და  
ჩვენც დაუყოვნებლივ დავიშალენით.

კრებები იძართებოდა ტფილისში არა ქართველთაგანაც. ერთ-  
ხელ ჩვენს რედაქტირაში მოვიდა ორი პოლონელი, რომელთაც  
გვთხოვეს გაგვაეცებინა ტფილისის პოლონელთა კოლონიისათვის  
მოხსენება ავტონომიის შესახებ საზოგადოდ და საქართველოს ავ-  
ტონომიისა კერძოდ. მე სიამოვნებით დავთანხმდი და მეორე დღი-  
სათვის დაუწიშნე კრება „ნაკადულის“ რედაქტირის სადგომში. და-  
ნიშნულ ვადაზე იქ პოლონელთა დიდალ საზოგადოებას მოეყარა  
თავი. მოხსენების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა ავტონომიის და  
ფედერაციის საკითხებს საერთოდ და რუსეთის სხვადასხვა ერთა  
ბრძოლას თავისუფლებისათვის, დაიწყო შეკითხვები. ერთი შემეკით-  
ხა, პარიზში წინა წელს მომხდარ კონგრესის ამბებზე. როგორ მოხ-  
და, რომ პ. პ. ს. (პოლონელთა სოციალისტური პარტია) ავტო-  
ნომიას დათანხმდა, როცა პროგრამაში პოლონეთის დამოუკიდებ-  
ლობა აქვს შეტანილი. მე ვუპასუხე, რომ ეს მოჰყეა „OscobidoЖ-  
дение“-ს ჯგუფის დაერინებით მოთხოვნას. ეს ჯგუფი პრინციპიალუ-  
რად არ იყო წინააღმდეგი პოლონეთის დამოუკიდებლობისა, მა-  
გრამ ტაქტიკურის მოსახრებით მოითხოვდა, რომ კონგრესის რეზო-  
ლუციაში მხოლოდ ავტონომია ყოფილიყო შეტანილი. რუსეთის  
ერის ფრთხო წრებშიო, ამბობდენ სტრუკვე და თავ. დოლგო-  
რუკი, არ არის ჯერ-ჯერობით პოპულიარული იდეა პოლონეთის  
სრული ჩამოშორებისა: სამოცაან წლებში, როცა რუსეთში დაიწყო  
რეფორმების ხანა, მოხდა თუ არა პოლონეთის აჯანყება, რუსის სა-  
ზოგადოება რეაქციამ გაიტაცა; მთავრობამაც ისარგებლა იმით და  
შეაჩერა რეფორმები. ვაი თუ ახლაც ასე მოხდესო. თუ პოლონეთი  
დამოუკიდებლობას მოითხოვს, იქნება რუსის საზოგადოების ფართო  
წრებში ზურგი იქციონ განმათავისუფლებელ მოძრაობასაო... პ. პ. ს.  
წარმომადგენლებმა ყოველივე ეს დეპეშით აცნობეს კრაკოვში თა-  
ვის ც. კ.-ს და იმისგან თანხმობა მიიღეს კონგრესის რეზოლუციაში  
პოლონეთის ავტონომია ყოფილიყო შეტანილი.

კრებაზედ დამსწრეო, როგორც შემდეგ გამოირკვა კამათიდან,  
ეს გარემოება ძალიან არ ესიამოვნათ. რუსეთშიო, ამბობდენ პოლო-  
ნელები, დემოკრატიული მოძრაობა დიდხანს ვერ გაიმარჯვებს. ისევ  
დადგება რეაქცია და ამიტომ უმჯობესია პოლონეთმა შემთხვევით  
ისარგებლოს და სრულიად ჩამოშორდეს რუსეთსაო.

მეორედ კომიტეტმა გერმანელების კრებაზე გამგზავნა: ვატ-  
 აელის სასტუმროში თავი მოეყარა ოცნაათამდე გერმანელს. პირ-  
 ველ შეხედვისთანავე აუდიტორია არ მომეწონა: თავი მოეყარათ ჩი-  
 სუქებულ გერმანელ კოლონისტებსა და ინტელიგენტებს. მართლაც  
 მალე გამოვარკვიე, რომ მათ არ აინტერესებდათ რუსეთის ხალხთა  
 დიდებული და თავგანწირული ბრძოლა, ფედერაციის და ცენტრა-  
 ლიზმის საკითხები; ისინი უფრო იმას მეკითხებოდენ, როდის და-  
 წყნარდება ქვეყანა და როდის დადგება მუშაობის ნორმალური პი-  
 რობებით.

აქვთ უნდა აღნიშნოთ, რომ იმხანად ტფილისის ქართველ  
 ქალთა შორისაც გაიღვია ინტერესმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ  
 საკითხებისადმი. აქა იქ დაარსდა წრები მაცალინეობისათვის. ერთ  
 ამგვარ წრეში, რომლის დამაარსებელნი იყვნენ ივ. ზურაბიშვი-  
 ლის მეულლე ნინო (ნ. ნიკოლაძის ასული) და თამარ გა-  
 ბაშვილი (შემდეგში მცინის კოტე მაყაშვილის მჟულ-  
 ლე), მეც ვკითხულობდი ერთხანს ლექციებს ევროპის პოლიტიკური  
 ისტორიიდან. ამ ლექციებს, რომელიც იმართებოდა ივანიშვილების  
 სახლში მიხეილის პროსპექტზე, დიდალი ახალგაზრდა ქალები ეს-  
 წრებოდა.



## XXVII

არჩილ ჯორგაძის დაბრუნება საქართველოში.—ხა-  
 ზლგარგარეთიდან იარაღის ჩამოტანა გემ „სირიუ-  
 სით“.—გიორგი დეკანოზიშვილის ავალშეოფობა და  
 გარდაცვალება.—კავკახის ნამესტნიერ ვორონოვი-დაშ-  
 კოვა.—გურიის ამბები და სტარიხელსკის დანიშვნა  
 ქუთაისის გუბერნატორად,—ალ. ყიფშიძე.—სომეხ-თა-  
 თართა ულეტი.—პარტიების ჩარეცა.—დაშნაკელების  
 ტაქტიკა.—სარევოლუციო ბრძლის გაძლიერება.—  
 ჩირეკა და დაპატიმირება.—გიორგი ზდანოვის თავ-  
 გადასავალი

როგორც მოგახსენეთ, იმავ 1905 წლის გაზაფხულს ჩვენმა  
 პარტიამ შეაჩერა პარიზში „საქართველოს“ გამოცემა და აფალმყოფი  
 არჩილ ჯორგარეთიდან საქართველოში დაბრუ-  
 ნა. იმ ზაფხულს არჩილი კიკეთში გვყვდა და ზაფხულის ბოლოს  
 გავგზავნეთ ზღვის პირის, მახინჯაურში. იმავ ლროს საზღვარგარე-  
 თიდან დაბრუნდა თედო სახოკიაც და ჩვენი ასონამწყობი  
 მიშა კიკნადე.

გიორგი დეკანოზიშვილი ისევ პარიზში დარჩა და  
 განავრძობდა თავის სარევოლუციო მუშაობას. მთავარი საქმე, რო-  
 მელსაც იგი მაშინ აქეთებდა, იყო იარაღის შოვნა და შეგროვება  
 და შემდეგ მისი საქართველოში გამოგზავნა. გიორგი დეკანოზიშვი-  
 ლი თავისებურის ენერგიით შეუდგა ამ საქმის მოწყობას 1904  
 წლის ზამთარში და უკვე 1905 წლის ზაფხულისათვის ბრწყინვალედ  
 დაავგირევინა. იშოვა საჭირო დიდი თანხა, იყიდა დიდი გადალი თოფი  
 შევიცარიაში, ტყვია-წამალი, შემდეგ იყიდა გემი „სირიუსი“ და ია-  
 რალით დატვირთა; ნაცნობ სინდიკალისტთა და ანარქისტთა და-  
 ხმარებით დაიქირავა გემისთვის რევოლუციონური მეზღვაურები და  
 გემი, რომელ ხედაც ჩვენი ამხანაგებიც გიორგი სიხარული დე  
 და კ. ნაზაროვი იყვნენ—საქართველოსკენ გამოგზავნა. ყველა  
 ამის ჩამოთვლა ადვილია, რასაკვირველია, მაგრამ კარგად გასინჯეთ  
 და დაუფიქრდით მთელ იმ საქმის ორგანიზაცია-ასრულებას და  
 დარწმუნდებით, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა ამ მეტად ძნელ საქ-  
 მეში პირდაპირ ზღაპრული ენერგია და ძალა გამოიჩინა.

რუსეთის სხვა სარევოლუციო პარტიებიც იძნდენ გაშინ სა-  
 ზლგარგარეთ იარაღს და გზავნიდენ რუსეთში, მაგრამ ამ პარტიებს  
 დიდი ორგანიზაციები ჰქონდათ საზღვარგარეთ, ხალხი ჰყავდათ და

საშუალებაც ჰქონდათ. მაგალითად ესერებს, პოლონელ პ. პ. ს.-ს ფინლანდიის აქტივისტებს მთელი შტაბები ჰყავდათ სათანადო ორგანიზაციებითა და საშუალებით. ვიორგი დეკანიშვილი კი თათქმის მარტოდ-მარტო იყო, არც დახმარე თავისიანი ჰალხი, არც ფული: ვიმეორებ, მხოლოდ იმის სათანადო ენერგიისა და ორგანიზაციულ ნიჭის შეეძლო ამ მეტად მძიმე საქმის ასრულება.

იარალის მისაღებად ჩვენ აქ შესაფერისი თავისი მოვაწყვეთ და საჭირო თაღარიგი დავიჭირეთ. შემუშავებული იყო გეგმა, როგორ უნდა მომხდარიყო იარალის გენიდან გადმოტვირთვა, წინათვე მომზადებულ საწყობებში მისი დალაგება, შემდეგ გატანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხალხის შეიარაღება. მთავარი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დაევალა მიხა ესაკიას, რომელიც მაშინ ფოთში ცხოვრობდა: ტფილისიდან გავგზავნეთ. სახოკია და ვლ. ლორთ ქიფანიძე: თან გავიყოლეთ ერთი მეტად გამოცდილი მარჯვე მომუშავე სპირიდონ ნორაკიძე. დიდი სიტრათხილე და კარგი ორგანიზაცია იყო საჭირო, რომ იარალის მიღება დაუბრუკოლებლივ მომხდარიყო და ის არ დაგვმართოდა, რაც ფინლანდიის აქტივისტებს მოუვიდათ სწორედ იმ დღეებში. მათი იარალი სახლვარგარეთიდან ორი თუ სამი კვირის წინ იყო გამოგზავნილი, ვიდრე ჩვენი „სირიუსი“ წამოვიდოდა. ბალტიის ზღვაზე იმათი გემი კლდეს დაეჯახა და ზედ შერჩ; ა თურმე მთავრობას ყველაფერი წინდაწინ სცოდნოდა, მოდარაჯე გემები იქვე იდგნენ და მოელოდენ რევოლუციონერთა გემს; როგორც კი მას მარცხი მოუვიდა, მაშინვე შეიძყრეს და მთელი იარალი ხელში ჩაიგდეს.

„სირიუსი“ ფოთის მიხლობლად გაჩერდა. ლამით ჩვენი ორგანიზაციის მიერ დამზადებული ნავები რიგ-რიგიდ და მწყობრად მიაღწენ გემს და დაუწყეს იარალს გადმოზიდვა. პირველი ნავები მშვიდობიანად მოადგნენ ნაბირს და დანიშნულ იდგილის გადაიტანეს იარალით დატვირთული პირველი ყუთები. მთელი ეს ოპერაცია კარგად და მშვიდობიანად გათავდებოდა, ერთ საწუხაორ გარემოებას რომ ხელი არ შეეშალა. ჩვენ პარტიულ აშხანგებს საჭირო კონსპირაცია არ დაეცათ და იარალის მოსვლის ამბავი ფოთში ბევრს გაეგო. როცა იარალის გადმოტვირთვა დაიწყო, ნაბირს ბევრი ხალხი მოაწყდა. ვიღაცებს ყუთი გაესწავ და დაეწყოთ იარალის გატაცება. ტყდა ხმაურობა, სირბილი. მოდარაჯე გემს ამ დროს შეუნიშნავს ნავები და გაუსროლია. შემდეგ ნათსაღვურიდან გასულა და შორიდან „სირიუსიც“ შეუმჩნევია, აუტეხია სროლა. „სირიუ-

სის" შეზღვაურებს რამდენიმე ყუთი, უკვე ნავებში ჩასაწყობად დამზადებული, ზღვაში გადაუგდიათ და გემი წაჟუფვანიათ. ჩეინებს დატვირთული ნავები გაგრის ახლო გაუჩერებიათ და გათენებისას იქ მოუხერხებიათ იარაღის ნაპირზე გადმოზიდვა. ამგვარად წინად შედგენილი გეგმა ჩაიშალა: ზოგი ყუთი აღგილობრივ, მთავრობას ჩაუვარდა ხელში, ზოგი, ვინ იცის, ვინ გაიტაცა, ზოგიც ზღვაში ჩაიძირა. მაგრამ ბევრი იარაღი მაინც შეგვრჩა ხელში და თავის დროზე ხალხს დაურიგდა. შევეიცარის თოფები ბევრგან იყო გაფანტული სოფლად და ქალაქები, უმთავრესად საბეგრელოსა და იმერეთში.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ცენტრალურ მთავრობას წინაშე მომდევ პეტერბურგი გაგებული ჩეინი იარაღის მოსვლის ამბავი, ისე, როგორც ფინლანდიის აქტივისტების გეშისა. „Новое Время“-ში ამ ხანებში დაიბეჭდა პოლიციის დეპარტამენტის ცნობა, რომელშიაც დაწვრილებით იყო მოთხოვნილი იარაღის დამზადებისა და გამოზარდის აძავი. მაშინ ჩეინთვის გაუგებარი იყო, საიდან გაიგო მთავრობამ ყველაფერი, ეხლა კი ვფიქრობ, რომ აქტივისტების და ჩეინი იარაღის ამბავიც მთავრობას ა ზეფარი შეატყობინა. აზეფი იმ დროს საზღვარგარეთ იყო და როგორც ესერების კომიტეტის აქტიური წევრი, სრულის ნდობით იყო აღჭურვილი. გიორგი დეკანოზი შვილი კარგად იცნობდა მას და შეიძლება მის დახმარებითაც სარგებლობდა.

რასაკირველია ამ ამბის გახმაურების შემდეგ გიორგის ალარშეეძლო საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუხება, როგორც ეს წინად პეტერბურგი განხრასული. გადასწყვიტა დროებით ისევ საზღვარგარეთ დარჩენა და განაცრძობდა ნუშაობას, ებმარებოდა ესერებს, პოლონელებს, გვიგზავნიდა სარევოლუციო ლიტერატურას და სხვა. 1901 წლიდან დაწყებული ეს ოდამიანი 7—8 წლის განმავლობაში მოუსვენრად მუშაობდა და მისმა სუსტმა იგებულებამ ვერ აიტანა ესოდენ თავვინწირული შრომა. იგი დასნეულდა და მალე გულის ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა. მისმა ნათესავებმა რეაქციის სუსტიან დღეებში, ცარულად მოასევნეს მისი გვერდი ტუილისში და ჩუმად დაასაფლავეს კუჭის სასაფლაოზე. ჩეინი პარტიის მთავარმა კომიტეტმა და პარტიულმა ამხანაგებმა მხოლოდ დასაფლავების მეორე დღეს ვაიგეს ეს ამბავი.

ასე უდროოდ დაილია სული და შეეწირა სამშობლოს უზომო სიყვარულს ეს მრავალმხრით ღირსშესანიშნავი რევოლუციონერი.

\* \* \*

როგორც ზევით მოვიხსენით, კავკასიაში ჩამოსკლისთანავე შეფის ნაცვალი შეუდგა თაობირების მოწყობას, სხვადასხვა რეფორმების პროექტების შესაბუმებელად. პირველ რიგში წამოიჭრა ისევ ერობის ზემოლების საკითხი. ზაფხულის ერთ-ერთ თვეში მეფის ნაცვლის საბჭოში მოწვეულ იქნა დიდი ქრება უწყებათა, სასოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლებისა. ჩვენი რედაქტიიდან დაესწრო რედაქტორი ალ. ჯაბადადარი. ქრებამ დადგინა ერობის შესახებ თაობირები გამართულიყო ცალკე გუბერნიებში და აღვილობრივ დამზადებულიყო პროექტები. ამგვარად ერობის საქმე კალავ დიდი ხნით გადაიდო.

შემდეგ მეფის ნაცვალი შეუდგა გურიის საქმეების შესწავლასა და მოწესრიგებას. პირველად ყოვლისა მან განიხრახა ადმინისტრაციის საქმის მოწესრიგება დასავლეთ საქართველოში. ამისათვის აირჩია განათლებული და ლიბერალური მოხელე აგრონომი სტარსელსკი და ქუთაისის გუბერნატორად დანიშნა იგი. სტაროსელსკი ჩეენში ცნობილი იყო, როგორც საქმიოდ განათლებული და მოწინავე აზრის კაცი. ის თანაუგრძნობდა განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქუთაისში გუბერნატორობის დროს ხშირად თაობირობდა აღვილობრივ სარეკოლუციო პარტიების წარმომადგენლებთან. სხვათა შორის კარგად იცნობდა ჩეენი პარტიის ქუთაისის წევრს პეტრე ყიფიანს. სტაროსელსკიმ ამას მიმართა და სახოვა: მინდა ვიცე-გუბერნატორად და ჩემ თანაშემწედ ვინმე კარგი ქართველი მოღვაწე დაინიშნოს; საჭიროა ამასთანავე იგი მოხელეც იქნეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არ დაამტკიცონო — ამოირჩიოთ ასეთი კანდიდატიო. პეტრე ყიფიანი იმ დღესვე წამოვიდა ტფილისში — ჩენენთინ, მთავარ კომიტეტთან ამის შესახებ მოსალაპარაკებლად. კერძო თათბირზე, არ მახსოვს ვინ, მგონი ხარლამვი ღლონ ტბა — ალექსანდრე ყიფშიძე დაასახელა. ეს კანდიდატურა ყველას მოეწონა: ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ალ. ყიფშიძე (ა. ფრონელი), ამავე დროს თვალსაჩინო მოხელე იყო — საგუბერნიო მმართველობის წევრი, ასე რომ ვიცე-გუბერნატორად იმისი დანიშნა მთავრობისათვის მისალები იყო.

პეტრე ყიფიანმა მიიღო ყიფშიძის შესახებ დასტური და ქუთაისს გასწია. სტაროსელსკის შუამდგომლობით ალექსანდრე ყიფშიძე მართლაც მაღლე დაინიშნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად.

ახლი აღმინისტრატორები მასე გურიაში გაემგზავრნენ ხალხთან ვოსალაპარაკებლად და ომდენადაც შეიძლებოდა შევიდობიანობის დასამყარებლად. სტაროსელსკიმ შეიწყნარა ხალხის მიერ არჩეული მამასახლისები და სხვა თანამდებობის პირები; ნება მისცა თავის მოსამართლეების არჩევისა; იგი სთხოვდა გლეხობას დამშვიდებას, რაღან მასე ხალხის წარმომადგენლობა იქნება მოწვეულიო. და უკველია პირველ რიგში გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა და აგრძელი საკითხი იქნება განხილული და მოწესრიგებულიო.

იმავ ხანებში კავკასიის მხარეს თავს დატყდა მეტად სამწუხარო  
ამბავი: ეს იყო სომებ-თათართა შორის ურთიერთობის გამწვავება,  
რასაც მოპყვა მეზობელ ერთა შორის ნამდვილი ომი. ბაქოში, გან-  
ჯაში, ერევანს, ნახიჩევანსა და ადერბეიჯან-სომხეთის სხვა ადგილე-  
ბში სომხები და თათრები დაერიცენ ერთმანეთს და შეუბრალებ-  
ლად ულეტდენ მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებსაც-კი. რასაკვირვე-  
ლია, კავკასიის მაშინდელ აღმანისტრაციას და შაგრაზმელებს წილი  
უდევთ ამ საშინელ ულეტის გამოწვევაში. იმათ ისარგებლეს ამ ორ  
ერს შორის არსებულ უქმაყოფილებით და წაუსიერ ერთმან, თს. მე-  
ზობელ ერების ერთმანეთის გადაკიდება უთუოდ ხელსაყრელი იყო  
რეაქციის ძალებისათვის, რადგან სომებ-თათართა შეტაკება შესამ-  
ჩნდებად აბრკოლებდა განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას  
და რევოლუციის წინსკლას, ანელებდა სომებ და თათარ გშრომელ  
ხალხის კლასობრივ თვითშეგნებას და ამით აფერხებდა დემოკრატიის  
საქმეს. სამწუხაროდ, ამის შეგნება თითქოს არ ჰქონდათ ამ ორი მე-  
ზობელი ხალხის მეთაურებს.

დაშაველები უმთავრესად ბრილს სდებდენ კავკასიის მაშინდელ  
აღმინისტრაციას. ამან გამოიწვია ეს საშინელი ულეტაო. ალბად ამი-  
ტომ ამ პარტიამ გააჩაღა ტერორი აღმინისტრაციის წარმომადგენ-  
ლობაზე. მაისში ბაქოში ყუმბარა ესროლეს და მოკელეს ბაქოს გუბერ-  
ნატორი მიხეილ ნაკაშიძე. ამ მკლელობამ იმ დროს დიდი  
მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბაქოსა და ტფილისის ქართველ საზოგა-  
დოებაში. სხვათა შორის, ცნობის ფურცელს ბაქოს ქარივლ საზო-  
გადოებისაგან მოუვიდა მთელი მემორანდუმი ამ საქმის შესახებ.  
ბაქოელი ქართველები, მათ შორის ჩვენი პარტიული იმხანაგებიც,  
დაუინებით ამტკიცებდენ, რომ ნაკაშიძეს არავითარი ბრალი არ მი-  
უძლოდა სომხების მოსახლეობის წინაშე; ის არც წამეჭებდლი ყო-  
ფილა, არც გამწვავებელი სომებ-თათართა შეტყვ ბისა; სიც  
ტყუილია, თითქო ნაკაშიძე დახმარებას არ უწევდა სომხებს, როცა  
მათ თათრები თავს დაისხენ. თითქო მისი ბრძანებით პოლიცია და:



ჯარები უძრავად იდგნენ და ზომებს არ იღებდენ ულეტის შესაჩერებლად.

ბაქოელების ეს წერილი ჩვენ გვაცანით „დაშნაკუტუტუნის“ ტფილისის მეთაურებს, მაგრამ ისინი ლრმად იყვნენ დარწმუნებულნი ნაკაშიძის დანაშაულობაში.

ყოველ შემთხვევაში, დასძინა ერთმა მათგანმა, ცხადია, რომ ბაქოს უმაღლესი აღმინისტრაცია მოწადინებული იყო ბაქოში მძლავრად ამოვარდნილი. სარევოლუციო იერიში უჟღებდო, ამისათვის კი საუკეთესო საშუალებად მიიჩნია სომებ-თათართა შეტაკების გამოწვევა.

შემოდგომაზე სომებ-თათართა შეტაკება, ჩვენდა სამწუხაროდ და მოულოდნელად, საქართველოს ტერიტორიაზედაც მოხდა, სახელდობრ ტფილისში. თუ არა ვცდები, ნომებრის დასაწყისში თათრების მოედანზე სომხებსა და თათრებს შეტაკება მოუხდათ, რომლის დროს რამდენიმე კაცი მოკლულ და დაჭრილ იქმნა. იმ წუთსავე მოელ იმ ჩაიონში და ახლომახლო უბნებში დაიკეტა თათრის და სომხის დუქნები და მაღაზიები, ქუჩებში შეიარაღებული ხალხი გაჩნდა. ეს ამბავი სწრაფლ მოედო მოელ ქალაქს და ყველა აღმფოთებული იყო. მეორე დღეს დილით გაიმართა ქართველ პარტიების თათბირი, რომელზედაც კატეგორიულად იყო მიღებული დადგენილება: ყოველი ლონჯ ვილონოთ და საქართველოს ტერიტორიაზე სომებ-თათართა ფლეტა არ დაფუშავთ. გადაწყვდა მიგვემართა ადგილობრივ მთავრობისათვის წინადადებით, რომ პარტიებისათვის მიეცანება ამ საქმეში ჩარევისა მშვიდობიანობის დასაცავად.

ამავე დღეს გაზეთ „Возрождение“-ს რედაქციაში მივიღა მაშინდელი პოლიცმებისტერი და მთავრობის სახელით გამოაცხადა სურვილი პარტიებთან მოლაპარაკებისა სომებ-თათართა შეტაკების შესახებ. მაშინვე თავი მოვიყარეთ ხსენებულ რედაქციაში და ს.-დ. წარმომადგენელმა გამოუცხადა პოლიცმებისტერს: ჩვენის თავდებობით მთავრობამ მისცეს მუშებს ათასი თოფი, მოვევაშოროს პოლიცია და ჩვენ თვითონ დავიცავთ წესიერებასო. პოლიცმებისტერმა ცისმა ჩაისვა ავტომობილში ისიდორე რამიშვილი და ბეფის ნაცვლის სასახლეში წაიყვანა. იქ თანხმობა გამოაცხადეს პარტიების წინადადებაზე და მეორე დღესვე ის. რამიშვილს არსენალიდან მისცეს ათასი თოფი. ამასობაში სომებ-თათართა შეტაკება სომხისა და თათრის ბაზრების რაიონში გამწვავდა: უკვე რამდენიმე თეული მოკლულ-დაჭრილი მოიტანეს მიხეილის საავადმყოფოში. აქა-იქ სომხებისა და თათრების სახლებს ცეცხლი წაეკიდა. მთავრობის განკარგულებით,

ჯარი არტილერიით დადგა ამ რაიონების საზღვარზე, რათა უწესობის ლოკალიზაცია მოეხდინათ და ულეტა ქალაქის სხვა რაიონებში არ გადასულიყო.

მცხოვრებნი შიშიანობამ მოიცვა. მრავალი მითქმა-მოთქმა დაიბადა: ბორჩალოს თაორების დიდძალი შეიარაღებული ცხენოსანი რაზმი მოდის ქალაქზე თავდასხმისათვისო, სომხების საშეელად დაშანულების რაზმი დაძრულა ერევნიდან და ზარბაზნებით მოდის ქალაქზე და სხვა. აქა-იქ შეტაკება ქალაქის სხვა რაიონებშიც მოხდა. ერთი უბედურება ჩვენ თვალწინ, ჩვენი რედაქციის პირდაპირ—მოედანზე დატრიალდა. უეცრად რომელიმაც დუჭნიდან ორი უბრალო თათარი გამოჩნდა, ერთ მათგანს ჩაის ჭურჭელი ეჭირა ხელში; ორივე სიჩქარით მიღიოდა, ალბად, ვორონცოვის ხილისაკვენ. ამ დროს ქუჩაში გაჩნდა მაუზერებით შეიარაღებული სომეხთა ჯგუფი, რომელმაც სროლა აუტეხა უიარალო თათრებს. ერთი იმათაგანი დასჭრეს, მეორე კი მოჰკლეს.

ამ სანახობამ ჩვენი რედაქცია მეტისმეტად ააღელვა და „ცნ. ფურცელში“ მეორე დღესვე მიემართეთ საყველურით, „დაშნაკცუტუნს“: არ შეიძლება თქვენმი პარტიამ არ იცოდეს, ვინაა ეს მაუზერებით შეიარაღებული ახალგაზრდობა, რომელიც მშვიდობიან და უიარალო თათრებზე ნადირობას აწყობს. თქვენ იმდენად ძლიერი ხართ, რომ შეგიძლიათ შეაჩეროთ ეს საზიზღარი ულეტა-თქო და სხვა.

ჩვენი შენიშვნა დაშნაკცელებმა ძალიან იწყინეს და პასუხი გაგვცეს, პარტია აქ არაფერ შუაშიაო და სხვ. მაგრამ მალე გამოსცეს ხალხისაღმი პროკლამაცია, რომლითაც სასტიკად უკრძალვდენ უველას უწესობის ჩადენას, იწვევდენ სომხებს მშვიდობიანობისაკვენ და სხვა; თავისი შეიარაღებული რაზმებიც შეუერთეს მუშებისა და პარტიიების რაზმებს, რომელიც უკვე ბრძოლის ველზე იდგნენ და წესირებას იცავდენ.

პარტიების ენერგიულმა ჩარევიმ მალე ბოლო მოულო ამ სამარცხენო შეტაკებას მეზობელ ერებისა ჩვენს ქალაქში. ბორჩალოელი თათრები მართლა მოაღვნენ ტფილისს, მაგრამ როცა დარწმუნდენ, რომ მათ ერთმორწმუნეთ საშიშროება აღარ მოელოდათ, უკანვე გაბრუნდენ.

ამ ამბების გამო ატეხილი პოლემიკა ადვილობრივ პრესაში კიდევ დიღხანს გავრძელდა. უნდა აღვნიშნო, რომ მეტად შეუფერებელი პოზიცია დაიჭირეს ადგილობრივმა რუსულმა გაზეთებმა. ეს გახეთები (გარდა პართენ გოთუას „ვოზროვდენისა“) ორ ბანაკიდ გაიყო: ერთი („ნოვ. ობოზრენიგ“, „ტიფლისკი ლისტოკი“) შე-

ტაქქების დამშეცხად თათრებს აღიარებდა და მათ სთვლიდა დამწა-  
შავე მხარედ. მეორე ბანაკი შავრაზმელთა გაზეთები—სომხებს აბრა-  
დებდა ყველაფერს და მათ იქლებდა ლანძლებინებით.

მეტად სამშუხარო იყო ყოველ ჟემთხვევაში პროგრესიულის  
და რიგიანი გაზეთის, თუმანიშვილების, „ნოვ. ობოზრ.“ საქციელი.  
ის სასტიკად თავს ესხმოდა თათრებს და რამდენადაც შესაძლებელი  
იყო, იცავდა სომხებს. ოსმალეთის ჯარი მოადგა ქავებისის საზღვ-  
რებსამ, სხვათ შორის სწერდა განეთი; იქიდან გზავნიან ემისარებს,  
აღლელებენ თათრებსამ და ესენი, ეს ნახევრად ველური ხალხი, ად-  
ვილად ემორჩილები პროვოკაციას და უმოწყალოდ თავს ესხმის, აწიო-  
კებს მშვიდობიან სომხის მოსახლეობას.

„ცნობის ფურცელზი“ მე აღნიშნე „ნოვ. ობოზრ“-ს ასეთი  
შეუშებარებელი ცალმხრივობა და დაფუშუნე პოზიცია. თუმანიშვი-  
ლების გაზეთს ძალიან ეწყინა ჩვენი შენიშვნა და თავის მხრით ჩვენ  
დაგვწამა შოგინისტობა.

გაცხარებული პოლემიკის დროს, ერთ დღეს, ვიღმაც ტელე-  
ფონით გამომიძახა. მივეღი: აღმოჩნდა, რომ ჩემთან ლაპარაკი სურს  
„ნოვ. ობოზრ“-ს რედაქტორს გიორგი თუმანიშვილს.

— არ მოველოდი, გიორგი, თქვენგან ასეთ უსამართლო გა-  
მოლაშქრებას „ნოვ.-ობოზრ.“-ს წინააღმდეგ. თქვენ კარგად იცით  
ჩემი აზრი და შეხედულება კავკასიის ერებზე, მათ ურთიერთობაზე,  
იცით რომ მე და „ნოვ. ობ.“ ყოველთვის ვიცავდით ქავკასიის ერთა  
სოლიდურობას. შიუხედავად იმისა, თქვენ გვიკიცინებთ შოგინისტო-  
ბას და გვწამებთ თათრების საწინააღმდეგო გამოლაშქრებას.

— სწორედ იმან გაგვაკირვა, ბატონო გიორგი, ვუპასუხე მე,  
რომ თქვენ და თქვენმა გაზეთმა, რომლის აზრი ამ საგნებზე ჩვენ  
ვიცოდით, ასეთი შეუცერებელი პოზიცია დაიჭირეთ. სწორედ იმან  
გაგვაჯავრა, რომ თქვინგან არ მოველოდით ასეთ ცალმხრივ სჯას  
ამ მრვავე საჭითხზე.

ასე განვაგრძეთ ერთხანს ტელეფონით კამათი და ბოლოს გ.  
თუმანიშვილ მა მითხრა:

— თქვენ რომ გაჯავრებული ბრძანდებით და უსამართლოდ  
მეცცევით, იქიდანაც ჩანს, რომ გვარიც კი გაცომიცვალეთ. ქართულ  
გაზეთში მოხსენიებით, როგორც თუმანიშვილი ვარ. ასეთი იყო ჩვენი გვარი ძველთაგანვე და ასე ვართ მოხსენებული  
მეფე ერეკლეს სიგელებში. „თუმანოვი“ რუსების მთავრობამ გვიწო-  
და ისევე, როგორც ბევრ სხვა ქართველ თავიდიშვილს შეუცეალეს  
გვარი, მე გთხოვთ გვარს ნუ მიცვლით...

ცოტა არ იყოს ასეთი პრეტენზია ახირებული იყო, ვინაიდან თითონ რუსულად ყოველთვის თავის თავს თუმანოვებად იხსენიებდენ, მარამ მე მაინც ავუსრულე თხოვნა პატივცემულ გიორგის და ვთხოვე ყველას ჩედაქციანი—ყოველთვის თუმანიშვილი ეწერათ თუ- მანოვის მაგიერ.

სომებ-თათართა შეტაკებამ კავკასიის სხვა აღგილებში კიდევ დიდხანს გასტანა და, ბოლოს, უკვე 1906 წელს დაიწყო შერივების ხანა. ორივე მხარის დეპუტაციები იყრიდენ თავს და მთავრობის წარმომადგენელთა და სტუმართა (ქართველ და ოჯახ ინტელიგენცი- იდან) დასწრებით ერთმანეთს სიტყვას აძლევდენ—ამიერიდან ძმუ- რად და მეგობრულად ვიცხოვროთო. ერთ ამგვარ კრებას ტფილის- ში მეც დავესწარი. თათრების მთავარი წარმომადგენელი, როგორც ნამდვილი დიპლომატი, მოქარგულის ენით ეფერებოდა სომხების და ძმობა ერთობას ეფიცეპოდა. მეორე მხრით, სომხების უფრო დახე- ლოვნებული დიპლომატი მჭერიმისტყველობით ფიცულობდა—როგორც ნამდვილ ძმებს, ისე შევიყვარებთ ამიერიდანაო.

\* \* \*

იმ წლის ზაფხულის თვეებში ტფილისს მეტად შოთათანი და მღელვარე ცხოვრება იყო. რამდენჯერმე აქა-იქ ყუმბარები ირო- ლეს, ხშირი იყო ტერორი პოლიციელებზე, ხდებოდა შეტაკებები, ხში- რი იყო გაფიცები, დუქნები და მაღაზიები იკეტებოდა რამდენიმე დღით; ქუჩებში სამხედრო პატრულები იყო გაძლიერებული და ბევრ ხალხს არუსალებდენ. ბევრი დაატუსალეს მაშინ ჩვენი პარტიის წევ- რებიც. სხვათა შორის დაატუსალეს ჩვენი მთავარ კომიტეტის წევრი ვს. ლორთქი ფანი.

იმის ბინაზე ასოთამწყობმა და თითონ კლადიმერმაც აწყის მთავარ კომიტეტის ერთი პროკლამაცია. საღამოს აწყობილი „გრან- კები“ ლორთქიფანიძებ გადასცა პარტიის ახალგაზრდა წევრს—ნიკო ზარაშიძეს და გაატანა ერთერთ სტამბაზი დასაბეჭდად. გზაში პატრულს რაღაც ეჭვი აულია, გაუჩერებია ფაიტონი და შარაშიძე გაუჩერევიათ.

— საიდან მოგაქვს და სად შიგაქვს ეს დასაბეჭდი მასალა? ეკი- თხება პატრულის უფროსი შარაშიძეს. შარაშიძე სდუშს. მაშინ პატ- რულის უფროსი პოლიციით ჩაუჯდა შარაშიძეს ეტლში და მეტაი- ტონეს უბრძანა—წაგვიყვანე იქ, საიდანაც ეს ყმაწვალი მოგაისა. მეუტლე ბრძანება ასრულდა. უკან დაბრუნდა და ვდ. ლორთქიფა- ნიძის ბინას მიადგა, დავიდოვის ქუჩის ბოლოში მოქდანზე, გამრე-

კელის სახლში. ასოთაშვილი უკვე წასულიყო, ვლადიმერი და შარაშიძე დააპატიმრეს.

ეს იმბავში მოხდა სალამოს და ჩვენ მაშინვე გავიგეთ. იმ ღამეს უანდარმები თავს დაგვეცნენ — მე და, თუ არა ვცდები, სამსონ ფირცხალავას და ოლიო აღლა აძეს. სასტიკად გაგვჩერიკეს. წაგვართეს წიგნები და სხვადასხვა ხელთნაწერები, მაგრამ არ დავუტუსაღებივარო.

იმავ ზაფხულში ჩვენი პარტიის ტფილისის კომიტეტში განიხილა ერთი ტერორისტული აქტი. სახელდობრ გადასწუყისტა მოკვლა პოლიცეისტრის კოდალევისა, რომელიც იმ ხანებში გულმოდგინედ სდევნიდა მუშებს. 12 ივლისს ოლღას ქუჩაზე, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ლევან ხერხეული ძემ უშმბარა ესროლა ეტლით მიმავალს კოვალევს. პოლიცეისტერი სიკვდილს გადარჩია, მხოლოდ დაჭრილი იყო საკმაოდ მძიმედ. გაქცეულ ხერხულიდეს დაედევნენ კოვალევის მცველები. დაეწივნენ და საბრალო ახალგაზრდა ხლმებით მოჰკლეს.

მორჩენას შემდეგ მეფის ნაცვალმა კოვალევი დააწინაურა: განჯაში გააშესა გუბერნატორად.

მთავარმა კომიტეტმა ამ ტერორისტულ აქტის შესახებ წინდაწინ არაფერი იცოდა და რადგან მაშინ საერთოდ ადგილი ჰქონდა ტერორისტულ აქტებს, გადასწყვიტა იმ საქმის მოწესრიგება. ყველა ორგანიზაციის გაეგზავნა ცირკულარები, რომ ყოველგვარ ტერორისტულ აქტის შესახებ, გარდა ისეთებისა, რომელიც თავდაცვის, საჭიროებით არის გამოწვეული, მთავარ კომიტეტსაუნდა ეცნობოს. წინასწარ და წარედგინოს მას ტერორის აღსრულების გვემა. ახოლოდ მთავარი კომიტეტისგან გვემის მოწონების და დასტურის შემდეგ შეიძლებოდა ტერორისტულ აქტის მოხდენა. სამწუხაროდ, ამ დადგენილებას ორგანიზაციები მტკიცედ არ ასრულებდნ და ამის გამო შემდეგ წელს პარტიის დიდი უბედურება დაატყდა თავზე, რომელზედაც ქვეშოთ მოგახსენებთ.

იმ დღეებში ტფილისში იყო ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი. ზემოხსენებული ტრკულარული წერილი ჯერ დაუბეჭდელი იმას გადავეცით, რომ ქუთაისში დაებეჭდა და დაეგზავნა დასავლეთ საქართველოს ჩვენი ორგანიზაციებისათვის. ამასთან ერთად ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაციის გიორგის გადასცა ხელნაწერი რვეული „სამხედრო ორგანიზაციის დებულება და პარტიისანულ მოს წარმოების გვემა“. გიორგი ამ დოკუმენტებით იმავ სალამოს ქუთაისისაკენ გაემგზავრა. მასთან ერთად

იყნენ კი ტა აბაშიძე და, თუ არ ვცდები, ექიმი თიკანაძე. მეორე დღეს დალით რედაქტიაში მუშაობის დროს, უცბად შემოიჭრა ალელვებული ექიმი ალ. დიასამიძე და გადმოგვცა:

— ეს რის გრაქლიდან მატარებლით ჩამოვედი. როცა მატარებელი ტფილისში გაჩერდა დაკეტილ კუპედან ჯარისკაცებმა და უანდარმებმა გიორგი ზდანოვიჩი გადმოიყვანეს, ჩასვეს ეტლში და წავიდეს.

ამ წოულოდნელშა ამბავმა თავზარი დაგვცა, რაღვან გიორგის ხელში ჰქონდა ის მეტად სახითათ დოკუმენტები, რომელიც წინადღეს ქუთაისში გავატანეთ.

დარწმუნებული ვართ, რომ გიორგის ახლა მაგრად მოუჭრენ ხელს. დავიწყეთ თათბირი, თუ როგორ, რა გზით გვეშველნა. სხვათა შორის ტელეფონით ვთხოვეთ რედაქტიაში მოსცლა ჩვენი რედაქტიის მეგობარს ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავს.

მოხუცებული ნიკოლოზ ერისთავი განათლებული და მოწინავე აზროვნების ადამიანი იყო. იმ ხანებში გატაცებით თანაუგრძნობდა განმათავისუფლებელ მოძრაობას და თუმცა სოციალიზმი არ სწავდა, მაგრამ ჩვენი პარტიის თანამეგრძნობი იყო და ძლიერ მოსწონდა ჩვენი ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის. ის ხშირად გვეხმარებოდა როგორც ფულით, ისე თავისი გავლენით მაღალ სფეროებში, როცა ამ გავლენის ამოძრავება საჭირო იყო.

ვზივართ შეწუხებულნი და ველით ამ ერისთავს. უცრად კარი გაიღო და რედაქტიაში თითონ გაორგი ზდანოვიჩი შემოვიდა. ადვილად წარმოიდგენთ, რა სიხარულით მივევებეთ და გადავეხვიერ მას. იმავ წუთს რედაქტიაში შემოვიდა კი ტა აბაშიძეც, რომელიც გიორგის დატუსაღების შემდეგ ხაშურიდან წამოსულიყო იმავ მატარებლით, სადაც გიორგი იჯდა დაპატიმრებული. ორთავეს ნალაპარაკევიდან შემდეგი გამოირკვა: საღამოს გიორგი ზდანოვიჩი თურმე ადრე მივიდა სადგურზე. ის იყო ბაქოს მატარებელი მოადგა სადგურს, პლატფორმაზე მას მიეგება ექიმი ხუდადოვი, რომელიც რაღაც საქმისთვის თავის შეილთან ერთად მოსულიყო სადგურზე. ხუდადოვის წვილი, ვლადიმერი, ცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერი იყო და ყოველთვის „შპიკების“ თანხლებით დადიოდა. პატარა ხნის საუბრის შემდეგ გიორგი გამოეთხოვა ხუდადოვებს და შევიდა ვაგონში, სადაც მას უკვე მოელოდენ თანამგზავრები. გზაში ამათ გადაწყვიტათ ორიოდე დღით ბორჯომში შესვლა



და დასვენება. როცა ხაშურის სადგურზე ვაგონიდან ჩამოვიდენ, გიორგი ზდანოვის წინ გადაჭლობებია ჟანდარმი, ვიღაც უცნობით, რომელთაც გიორგისთვის წინადადება მიუკიათ,—საუნდარმო ოთახში მობრძანდით საჭირო ოქმის შესაცევნადაო. გიორგი ამ ოთახში დაუტოვებიათ, დაუყენებიათ მცველად ყაზახი, თითონ კი ხაშურში გასულან ჟანდარმის ოფიცირის მოსაყვანად.

როცა გიორგი მარტო დარჩენილა, ყაზახისთვის უთხოვნია, მოსამსახურეს დაუძახეო. მწყურია, ბორჯომის წყალი მინდა დავლიოვო. ყაზახს კარგებიდან დაუძახნია მოსამსახურესთვის. გიორგიმ გახსნა პორტმონე, ამოილო ხუთმანეთიანი და ზიგ შეუმჩნევლად ჩასდო პროკლამაცია, რომელიც აგრეთვე პორტმონეში ჰქონდა. ყაზახს ვერაფერი შეუმჩნევია, მოსამსახურეს კი თვილი მოუკრავს, წაულია ხუთმანეთიანი და პროკლამაცია კიტა აბაშიძისათვის გადაუცა, რომელიც იქვე კარგებთან მდგარა. შემდევ გიორგის უთხოვნია ყაზახისთვის, კლონეტში წამიყვანეო. ყაზახი დათანხმებულა, გიორგი თავის ხელის აბგით ითხიდან გამოსულა ყაზახის თანხლებით. აბგიდან ამოულია სამხედრო ორგანიზაციის რვეული და იქვე კლონეტში მოუსပია.

საუნდარმო ოთახში მას უკვე მოელოდა ოფიცერი, რომელსაც გამოუცხადებია:

—თქვენ დატუსაღებული ხართ და პირველივე მატარებლით ტფილისში უნდა გაგზავნოთო. ტფილისში გიორგი მიიყვანეს ჟანდარმთა სამთართველოში და ცოტა ხნის შემდევ სამთართველოს უფროსის კაბინეტში შეიყვანეს. ჟანდარმთა პოლკოვნიკი თავაზიანად მიექება გიორგის და უთხრა:

—ეს არის, ერთმა ოფიცერმა მითხრა, რომ თქვენ ბრძანდებით მარგანეცის საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. უცნიხართ, მართალია ეს?

—მართალია!

—მერე რა მოხდა, რისთვის დაუტუსაღებიხართ?

—არაფერი ვიცი და სწორედ მე თვითონ თქვენგან მინდოდა ამის გაგება.

—დიალ, დიალ, აქ გაუგებრობას აქვს არგილი. მიბრძანეთ: თქვენ ექიმ ხუდაღოვს და მის შეილს ელადიმერს იცნობთ?

—ექიმი ხუდაღოვი სტუდენტობის დროიდან ჩემი ამხანაგია და, რასაცირველია, კარგად ვიცნობ; მის შეილსაც ვიცნობ.

— აი, აქედან წარმოდგა გაუგებრობა. ჩვენს აგენტს უფიქრია, რომ თქვენ რუსეთიდან ჩამოხვედით მატარებლით და ხუდაღოვის შეილი შეგვეგებათ სადგურზე. საეჭვო პიროვნებად მოეწევნეთ ჩვენს გზადაბნეულ აგენტს. ბოლიშს ვიხდი. თავისუფალი ბრძანდებით.

ასე გადარჩა დიდ ხიფათს გიორგი ზღანოვიჩი იმუამად; შემ-დეგში ასეთისათვე ნოხერხებით კიდევ უფრო დიდ ხიფათს გადარჩა, მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებოთ.



### XXVIII

პარტიების ზრდა.—17—22 ოქტომბერი ტფილიშვილი.—  
 დამსჯელი რაზმები დახავლეთ ხაქართველობი.—„ცნო-  
 ბის ფურცლის“ წინააღმდეგ ადგილობრივი მთავრო-  
 ბის გამოლიშვილება.—„დაურღვეველი ხამუთები“.—გა-  
 ზეთის დაკრიტიკა.—დაუშეთის ხაზინიდან ფულის გატა-  
 ცება.—„შრომა“, „იხარი“, „ამირანთ“ და სხვა.

განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში (1904—1905 წ. წ.)  
 მეტად გაიზარდენ როგორც რუსეთში, ისე ჩენენშიაც პოლიტიკური  
 პარტიები. მეტად დიდი იყო ზრდა ს.-დემოკრატიული პარ-  
 ტიის. მის გავლენას დაემორჩილნენ უპარტიო მუშების მასებიც,  
 გლეხებიც, ყოველ ნაბიჯზე გრძნობდი ს.-დ. გავლენას და ავტორი-  
 ტეტის მშრომელ ხალხში.

ამავე ხანაში საგრძნობლად გაიზარდა ჩენენი პარტიაც. ის აერ-  
 თიანებდა დიდიალ ინტელიგენციას, მოზრდ თაობას, მრავალ წვრილ  
 მოსამსახურე ხალხს ფოსტატელეგრაფში, აფთიაქებში, ნოქრებს და  
 სხვას. შესამჩნევად იმატეს ტუშათა ჯგუფებმაც როგორც ტფილიში,  
 ისე პროვინციაში; გაიზარდა პარტიის გავლენა აგრეთვე სოფლებში.

ჩენენ რედაქციას მოემატენენ ახალი წევრები, ახალი თანამშრომ-  
 ლები. დაიწყეს მუშაობა არჩილ ჯავახიშვილმა, რუსეთიდან  
 ახლად ჩამოსულმა შიო ჩიტაქემ.

ერთხელ რედაქციაში შემოვიდა ფერმკრთალი ახალგაზრდა  
 ხელთნაწერით ხელში. ეს იყო მოთხრობა. ყურადღება არ მივაქციეთ,  
 რადგან რედაქციაში ბევრს; მოპერაცია მოთხრობები და ლექსები,  
 რომელთა უმრავლესობა უვარესის იყო. მეორე დღეს რედაქციის  
 მცირება იღია აღლა დემ მითხრა: გუშინ რომ ყმაწვილმა მოთ-  
 ხრობა მოიტანა, ყურადღების ღირსია, კარგია. მის იფტორს უეჭვე-  
 ლად ნიკი ეტყობა და კარგი მწერალი დაღვებათ. ეს იყო  
 მიხეილ ჯავახიშვილის (იდამაშვილის) პირველი მოთხ-  
 რობა „ჩანჩქრა“. მოთხრობა დაიბეჭდა და მის მოპყვა სხვებიც.  
 ამის შემდეგ ჯავახიშვილი გახდა ჩენენი რედაქციის წევრად  
 და პარტიაშიაც დაიწყო აქტიური მუშაობა. იმ ხანებში  
 ჩენენმა კომიტეტმა გაიდასწუვიტა გლეხებისათვის განსაკუთრებულ ორ-  
 განოს დაარსება. ამ საქმის გაძლოლა იკისრა სამსონ ფირცხა-  
 ლავამ. მისი უახლოესი თანაშემწე გახდა მიხეილ ჯავახიშვი-  
 ლი. გამოვიდა გაზეთი „გლეხი“, მისი დაკრეტის შემდეგ, „მიწა“ და

სხვა. გარდა გაზეთებისა, ისინი ბეჭდავდენ პოპულარულ 'ბროშურებს', აგრძარულ საკათხებზე. ერთერთ ზემოსხენებულ საგლეხო გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად მიხ. ჯავახიშვილიც იყო. როცა გაზეთი დაკერეს, ადმინისტრაციას განზრახვა ჰქონდა ჯავახიშვილის დაჭრა და პასუხისმგებაში მიცემა, მაგრამ მან თავს უშველი და ცოტა ხნით საზღვარგარეთაც გაიხიზნა.

"ცნობის ფურცლის" ტირაჟმა კვლავ იმატა. მისი გავლენაც ხალხში დიდი იყო. მახსოვს, დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ დამსჯელ რაზმის უფროსი პოლკოვნიკი კრისოვანი ტფილისის გენერალ-გუბერნატორს სწერდა, "ცნობის ფურცლის" აუკრძალეთ ამაღლევებილ წერილების ბეჭდვა; ეს გაზეთი ძალიან გაერცელებულია ხალხში და გავლენა აქვს; საჭიროა ზომების მიღება გაზეთის წინააღმდეგათ.

სწორედ ამ დროს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა „მშაკის" რედაქტორი ქალ ან თარი და გვიამბო: პეტერბურგიდან ცნობა მივიღეთ, რომ იმ კომისიაში, რომელიც ბეჭდითი სიტყვის ახალ კინონებს ადგენს, განუზრახავთ ქართულ და სომხურ პრესისთვის განსაკუთრებულის პირობების შექმნა, საჭიროა ზომების მიღებათ.

ეს ამბავი სწორად ვაცნობეთ ყველა ქართულ-სომხურ გაზეთის რედაქციებს და საერთო დეპეშები გავუგზავნეთ მთელი ამ პრესის სახელით როგორც კომისიის თავმჯდომარეს, ისე მეფის ნაცვლის თანაშემწეს სულთან - კრიმ - გირ ეის, რომელიც იმუშავდ პეტერბურგში იყო. მალე სულთან-კრიმ-გირეისაგან პასუხი მივიღეთ, არავითარი განზრახვა არ არსებობს კავკასიის პრესისათვის რაიმე განსაკუთრებული პირობების შექმნისათვის. მაგრამ ნამდვილად ეს მაინც ასე იყო: ქართული პრესა განსაკუთრებულ დევნას განიცდიდა: „კვალის" და „მოგზაურის" დაკეტვის შემდეგ ს.-ლემოკრატიული გაზეთები იკეტებოდა, როგორც კი დაიწყებდა გამოსხლას: 1906 წლიდან ასეთსავე ყოფაში ჩაგრძალდა ს.-ცეცელერალისტთა პრესა. გაზეთების დაკეტვის უფლება მეფის ნაცვლამა გენერალ-გუბერნატორებს მისცა, რომლებიც ამ უფლებით უხვად სარგებლობდნენ, როცა ტფილისში სამხედრო წესები იქნა შემოღებული, სახელდობრ 1905 წლის იქნისიდან.

6 აგვისტოს გამოცხადდა ოვითმპურობელ ხელმწიფის მანიუქესტი ხალხო წარმომაღენნლობის მოწვევის შესახებ. მაგრამ მანიუქესტი მტკიცედ აღნიშნავდა, რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები უცვლელად დარჩებათ. ცხადი იყო, ბიუროკრატიის განზრახული ჰქონდა ისეთი სახალხო წარმომაღენნლობის დაწესება, რო-

მხლაც მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებოდა. ამის საპასუხოდ რუსეთის საზოგადოების ოპ. იზიციონური მიღრეკილება კიდევ უფრო გაიზარდა. ხოლო სარევოლუციო პარტიების მოქმედება უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა: დაიწყო მზადება საყოველთაო გაუიცეისა და შეიარაღებული იჯანყებისათვის. სექტემბერში მოსკოვში მოხდა სრულიად რუსეთის საქალაქო და საერობო მოღვაწეთა ყრილობა, რომელმაც 6 ავგვისტოს მანიფესტს მეტად რადიკალური რეზოლუციით უპასუხა: ბრძოლა არ დასრულდება საყოველთაო საარჩევნო უფლების წესით დამფუქნებელ კრების მოწვევამდე; ამასთანავე კრებმ მიიღო რეზოლუცია რუსეთის ფედერატიულ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ. უნდა აღვნიშნო, რომ ავტონომიისა და ფედერაციის იდეა მეუნდა აღვრცელდა იმ ხანებში რუსეთში, რაც ზემოხსენებულ რეზოლუციითაც მტკიცდება და იმ გარემოებით, რომ პირველ სათათბიროში ორასამდე დეპუტატი იყო ავტონომიისა და ფედერაციის მომხრე. ამ იდეას თანაუგრძნობდენ რუსეთის სოციალისტური პარტიულიც. მოსკოვში ბოლშევიკების „ბორბა“ გალიჭრით მოითხოვდა განაპირობის ავტონომიასა და რუსეთის სახელმწიფო ფედერაციად გარდაქმნას. ამრიგად მხოლოდ ჩვენებური სოც.-დემოკრატიული პრესა განაგრძობდა ფედერაციის იდეების წინააღმდეგ ბრძოლას.

სექტემბრიდან უკვი ზაიწყო მთელ რუსეთში გაფიცვები, რომელიც 14 ოქტომბრიდან გადაიქცა ისტორიაში უმაგალითო საერთო პოლიტიკურ გაფიცვად. მოძრაობაში მთელი მოსახლეობა ჩაება: ბურჟუაზიაც და პროლეტარიატიც. გაქრდა რკინის გზები. შეწყდა ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაობა, გაქრდა ფაბრიკა-ქარხნები, დაიკეტა ყველა მაღაზია-დუქნები; შესწყვიტეს მუშაობა სახელმწიფო მოსამსახურებმა და დაიკეტა დაწესებულებები. ერთი სიტყვით, უზარმაზარ იმპერიაში მთელი ცაოვრება შექრდა. ამ უდიდეს იურიშის წინაშე, თვითმშეკრაბელმა ბიუროკრატიამ ქედი მოიხარა და 17 ოქტომბერს გამოვიდა მეფის მანიფესტი იმის შესახებ, რომ იყო თანახმად დაკანონოს რუსეთში: „ურყევი საფუძვლები მოქალაქეობრივ თავისუფლებისა, პიროვნების ხელშეუსლებლობის, სინდისის; სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლების პრინციპებზე“.

შემდეგ მანიფესტი აღიარებდა, რომ მოწვევულ იქნება ნამდვილი საკანონმდებლო სახალხო წარმომადგენლობა და საარჩევნო უფლება გაფართოობულ იქნება იმისთვის, რომ სახალხო წარმომადგენლობის მონაწილედ რაც შეიძლება მეტი ხალხი გახდეს. ეს იყო სიტყვით მაინც კონსტიტუციის გამოცხადება და მთელი რუსეთი აღტაცებით მიევება ამ პირველ თავის გამარჯვებას.

ტუილისში მანიუესტი 18 ოქტომბერს დილით გამდოგვეცა  
ტელეგრაფში. იმ წამსვე ქუჩები აივსო ხალხით. აფრიალდა წითელი  
დროშები და გაიმართა მიტინგები. გოლოვინის (რუსთველის) პროს-  
პექტიზე შევროვდა დიდალი ხალხი და გადაწყდა დიდუბე-ნაძალა-  
დევში წასვლა მუშებისათვის მილოცვისა და თანაგრძნობის გამოსა-  
ცხადებლად. დიდუბეში მრავალ ათასი ხალხის დასწრებით დიდი  
მიტინგი გაიმართა. ამგვარივე მრავალრიცხვანი აღტაცებული მი-  
ტინგები იმართებოდა ტფილისში შემდგე დღეებშიც. 19 ოქტომ-  
ბერს გამოცადლა ამნისტია და დიდალი ხალხი მეტებისაკენ, გაე-  
მართა, სადაც პოლიტიკურ ტუსაღებს მიულოცეს გამარჯვება. იმ  
დღეს ბევრი განათავისუფლეს, მათ შორის ჩენი მთავარი კომიტე-  
ტის წევრი ვლადიმერ ლორთქიფანიძეც.

მაგრამ რუსეთის ხალხის სიხარული ხანგრძლივი აო ყოფილა:  
მალე ახმაურდენ და ქუჩებში გამოვიდენ რუსეთის შავრაზმელთა  
ბრძოები და თან „გაისმა მთავრობის გამოძახილიც „Патроны не  
ჯалетъ“. დაიწყო ქუჩებში შეტაკებები და ხალხის სისხლის ღვრა.

ტფილისში რუსის პატრიოტების მანიუესტაცია უკვე 21 ოქ-  
ტომბერს გაიმართა. მანიუესტანტები ნაციონალურ დროშებით და  
ხელმწიფის სურათებით რუსთველის პროსპექტისაკენ გაემართნენ.  
იმავე სალამოს შესდგა სარევოლუციო პარტიის გამოსარკვევად. ზოგი, განსა-  
კუთრებით ესერები, იმ აზრისაი იყვნენ, რომ არ უნდა მოვარიდოთ  
ქუჩებში შეტაკებებს და ვეკადოთ „პატრიოტები“-ხულგანები ისევ  
თავის სოროებში დაგაბრუნოთ. ს.-დ. და ჩენ ამის წინააღმდეგნი  
ვიყავით. ცხადი იყო, რომ პოლიცია და ჯარები „პატრიოტების“  
მხარეზე ქნებოდენ და პირდაპირი შეტაკების ტაქტიკა უარიალო  
ხალხს სახითათ მდგომარეობაში ჩაიყნებას. მიტომ ერთხმად გადა-  
წყდა პირდაპირ შეტაკებას მოვერიდოთ, მხოლოდ განვაგრძოთ ქუ-  
ჩებში მიტინგების მართვათ. დაინიშნა ცველა პარტიის დიდი მიტინ-  
გი 22 ოქტომბრისათვის დიდუბეში.

დღიათ ჩენი პარტიის წევრთა დიდრიცხვანი კრება რუსთვე-  
ლის პროსპექტიდან ვერის დაღმართით გაემართა დიდუბისაკენ.  
ჩენ შემდგე წიმოვაზნენ ესერები და დაშნაკები: ს.-დ. დანიშნულ  
აღვილას მიგველოდენ. ასე, რომ რუსთველის პროსპექტზე იმ დღეს  
პარტიული მიტინგები არ ყოფილა და მხოლოდ ჩეველებრივი მოს-  
სეარნე საზოგადოება დარჩა. მიუხედავად ამისა, „პატრიოტთა“ მანი-  
უესტაციამ, ჯარების დახმარებით, სწორედ აქ მოახდინა იმ დღეს  
ხალხის დარბევა და გამოიწვია საშინელი სისხლის ღვრა. მიტინგი

მეორე დღეს ოფიციალური ცნობა ამ ამბების ბრალს რევოლუციონერებს ახვევდა კისერზე: იმათ აუტეხს სროლა განიფესტა-ლუციონერებს ახვევდა კისერზე: იმათ აუტეხს სროლა განიფესტა-ლუციონერებს ახვევდა კისერზე: მაგრამ მთავრობის ეს ცდა ამაო იყო. არც ერთი ციასა და ჯარსათ. მაგრამ მთავრობის ეს ცდა ამაო იყო. არც ერთი რევოლუციონერი პარტია იქ იმ დღეს არ ყოფილა; მათ შევნებით აარიდეს თავი მანიფესტაციას და დიდუბეში შევროვდენ. ყველა

დამსწრე, გარდა ამისა, ერთხმად აპბობდა, რომ ჯარების და მანიფესტანტების მხრით სროლის დაწყება მოჰყვა იმ ერთ რევოლუციის დაცლას, რომელაც აღგილი ჰქონდა გიშნაზიას ახლო, ქუთხიდან. შემდეგ-ე- ე მართლა გაისმა იქეთ-აქედან რევოლუციების ხმა. მაგრამ დღესაც არავინ იცის, ვინ იყვნენ მსროლელები. შესაძლებელია პროექტიაცია იმათ მხრით, ვისაც სურვილი ჰქონდა, მხიარულ აღელვებით გატაცებული ხალხის სისხლი დალგრილიყო და მთავრობა რეპრესიებს დაბრუნებოდა.

მთელს რუსეთში ამგვარივე ამბები ხდებოდა იმ მომენტში. ყველგან გამოეფინა შავრაზმელობა და ჯარებიც არ ზოგადენ ტყვია-წამილს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბურუუაზია დაქმაყოფილდა 17 ოქტომბრის მონიფესტით და განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოშორდა. პირისპირ დარჩენენ დემოკრატია და ძველი რევიმის ძალები. დემოკრატია შეეცადა მარტოდ-მარტო გამკლავებას და დეკემბერში აჯანყება მოახდინა მოსკოვს, მაგრამ თავით-ფეხამდე შეიარაღებულმა თეთმშერობელობამ ეს აჯანყება ჩააქრო და იმ დროიდან რეაქცია გაბედულია წავიდა წინ.

მთელი საქართველოს ყურადღება იმ დროს, ისევ დასავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით გურიის ამბებმა მიიქციეს. უკვე შემოლეომაზე იქ გაიგზავნენ „დამსჯელი რაზმები“, რომელთაც დაიწყეს თარეში,—აწიოქება ხალხისა და ოთხრება ქვეყნისა. 31 ოქტომბერს ტელეფონით გვაცნობეს „ვოჩჩორედნიეს“ რედაქტორიდან, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა დეპუტაცია მიღის მეფის ნაცვალთან და თქვენი წარმომადგენელი გამოვზავნეთო. არ მასს უკვე, ვინ გავეზავნეთ, მცონი ისევ ალ. ჯაბა ლარი. დეპუტაცია წარუდგა მეფის ნაცვალს და სთხოვა ჯარების უკან დაბრუნება და ხალხის დასამშვიდებლად ისევ მშვიდობიანის გზის არჩევა. მეფის ნაცვალმა ჯერ უარი უთხრა დეპუტაციას. უკვე სამი წელიწადია მთავრობა ცდილობს გურიის დამშვიდებას, უმეტეს შემთხვევაში შევიდობიანის ლონისძიებებით, ზაგრამ არაფერი გამოდის. გურულები კარგა ხანია გადასახადებს არ იხრიან, სამხედრო ბეგარას გურიიდან, ადმინისტრაცია და სასამართლო გააუქმეს. ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა-კი აღარ არის, ნამდვილი ამბობებაა სახელმწიფოს წინააღმდეგ, გურია ჩამოშორდა იმპერიასამ. დეპუტაცია გამოეკამათა გაჯავრებულ მეფის ნაცვალს და დაუწყო მტკიცება, გურიაში იგივე მოძრაობაა, როგორც მთელ რუსეთში და ამ მომენტში, როცა იმპერატორის მანიფესტი გამოცხადდა, როცა სახალხო გ. ლასხიშვილი

წარმომადგენლობის მოწვევის ღლე მოახლოვდა, უფრო ადვილია ხალხის დაშოშმინება მშვიდობიანის გზითაო. ბოლოს, მეფის ნაცვალი დათანხმდა და გამოუკადა დეპუტაციას: ჯარების უკან გამობრუნება შეუძლებელია, მაგრამ მე განკარგულებას მოვახდენ, რომ ისინი სამტრედიაში გააჩერონ; გავგზავნი გურიაში გენ. მალამას, თქვენი წარმომადგენლებიც გაჰყენნ მას და კიდევ ერთხელ ვცდი გურულ ხალხის დამშვიდებასო.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს მეორე დეპუტაციაც წარუდგა იმავე თხოვნით: ახლო-მახლო სოფლების გლეხები იო სე გ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ ა ვ ი თ ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი ს შეთაურობით. ვორონცოვ-დაშკოვმა ამათ უთხრა: დამშვიდით, გურიაში ხალხის სისხლი არ დაიღურება, ამის ბრძანება უკვე გავეცი და ყოველ ორნეს კიხმარ საქმე მშვიდობიანად გათვდესო.

მართლაც, ცოტა ხნით გურია მოასეენეს ნოებერში და დეკემბრებში იქ შედარებით სიწყარე სუფევდა. მაგრამ, შემდეგ წელს, 1906-ში გურიას მაინც ხვდა ალისანოვის რაზმების არაჩვეულებრივი თარეში. გურიის მაგივრად—გაგზავნილმა „დამსჯელმა რაზმებმა“ ჯავრი იმერეთსა და სამეგრელოზე იყარეს. ჩენი დროის აღა-მამადხანი. გ ე ხ ე რ ა ლ ი ა ლ ი ხ ა ნ ი ვ ი ა რ ა თ ე რ ს ზოგადა და ცეცხლში გახვია მთელი შეხარე. ტფილისში კანტი-კუნტად მოდიოდა საზარელი ამბები: გადასწვეს ზესტაფონი, გადასწვეს სამტრედია, ცეცხლი წაცუკიდეს ქუთაისსაც. დამსჯელი რაზმები შეიჭრნენ დაბა-სოფლებში, ხდება ქვეყნის აოხრება, მოსახლეობის ულეტა და გაუგონარი შეურაცხოფაო. ამ ამბებმა მთელი საქართველო აალელვა. სატიხტო ქალაქების რუსული პრესაც ილაპარაკდა.

სხვათა შორის იმ წლებში ქართულ გაზეთების წარმომადგენლები მიგვიწვიეს ქალთა ერთ წრეში, სადაც ცნობილ მაშინდელ მოღვაწე ქალის მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის თაოსნობით გადაეწყვიტათ საზღვარგარეთ საპროტესტო წერილი გაეგზავნათ ქალების სახელით. მეტად ენერგიულად და მხურვალედ დაწერილი პროტესტი იქვე წაგვიყითხეს. ჩვენ განზრახვა მოცუწონეთ. ქალებმა იგი ფრანგულად გადასთარგმნეს და მრავალ ქალთა ხელმოწერილი საზღვარგარეთ გაგზავნეს. იქ გაზეთებმა დაბეჭდეს და, როგორც ერთი საინტერესო ეპიზოდი გვიჩვენებს, ერთგვარი შთაბეჭდილებაც მოუხდენია. იმ დროს ინგლისის ეკვადრა სადარბაზოდ უნდა მოსულიყო რუსეთში. ბალტის ზღვაში. ამის გამო ქვედა პალატის ერთი დეპუტატი შეეკითხა მთაერობას:

— უკანასკნელ დროს რუსეთიდან მეტად ამაღლელებელი ამბები მოდის: წაიკითხავდით აგრეთვე ქართველ ქალების მხურვალე პროტესტს საქართველოს აოხრების შესახებ: მიაჩნია მთავრობას შესაძლებლად ამის შემდეგ ესკადრა გაგზავნოს სადარბაზოდ რუსეთში?

მინისტრს უპასუხნია:

— ესკალრის გაგზავნის შესახებ უკვე ცნობა გაეგზავნა რუსეთის მთავრობის და ხელის უწყერბელია დარბაზობის გაუქმება.

ქალთა იმავ კრებაზე მარიამ ვახტანგის ასულ მა ორ-  
ბელიანისა მ გადმომცა, რომ ქალებს განხრახული აქვთ მოაწყონ  
დაზარალებულ ხალხის დანძბმარე კომიტეტი. მე მოვუწონე, ეს გან-  
ზრახვა, მხოლოდ ეჭვი გამოვთქვი, არ დაამტკიცებენ მეთქი ასეთ  
კომიტეტს. მარიამ ვახტანგის ასულმა მაცნობა, რომ პრინციპია-  
ლური თანხმობა მეფის ნაცვლისა უკვე აქვს. მართლაც, ცოტი ხნის  
შემდეგ ასეთი კომიტეტი დაარსდა თა მარ დაცითის ასულის  
გრუზინსკაიასი და მ. ვ. ორბელიანის, მეთაურობით. კო-  
მიტეტი მხნედ შეუდგა შეწირულების შეგროვებას. განსაკუთრებით  
გაზიერთა რედაქციების დახმარებით ფული მაშინ ბლობად შეგროვდა  
და უმეტეს წილად გურიაში დარიგდა. გურიაში უფრო იდრე და-  
ხმარების საქმე მთაწყო ჩვენმა მწერალმა ქალმა და მოღვაწემ ნი-  
ნო ნაკაშიძისამ, რომელსც შემოწირული ფული ეგზავნებოდა  
დასარიგებლად. ნინო ნაკაშიძე ამ მოღვაწეობისთვის შემდეგში და-  
პატიმრეს კიდეც და გურიიდან გამოაძევეს.

დარბევისა და ქლეტის გარდა დამსჯელი რაშები დოდალ  
ხალხს ატუსალებდენ. ამბობდენ, ალიხანოვმა უკვე ტფილისიდან  
წილო პროსეკტიციული სია, რომელშიაც შეტანილი იყო დასავლეთ  
საქართველოს ბეკრი ცნობილი რევოლუციონერიო. სხვათა შორის,  
ალიხანოვმა განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ გიორგი ზღა-  
ნოვიჩი და სწორედ აქ მოხდა ვიორგის მოხერხებული გადარჩენა,  
რომელზედაც ზემოთ მოგახსენიბით.

ზდანვის მაშინ პყავდა ერთი შეტად ერთგული მოსამსახურე  
ნასალდათარი პოლონელი. სალამოს ეს მოსამსახურე აღლუმებული  
შევარდა გიორგის კაბინეტში და მიძახა:

— გიორგი ფელიქსოვჩი! ჩვენ სახლს ყაზახები და პოლიციელები მოადგნენ, თავს უშველეთ! გიორგი უკანა კარებისაკენ გაიქცა, რათა ბაღში გასულიყო და იქედან გაქცეულიყო. მაგრამ დაინახა, რომ ყაზახებს მოველოთ, ლობე შეეტეხათ და ბაღში შედაოდენ. მაშინ გიორგი დაბრუნდა თავის საწყლ რთახში და ლოგინში ჩაწერა,

საბნები გადაითარა ისე, რომ ზევიდან დაგხედათ, იფიქრებდით, გაუშლელი ლოგინიაო. მოსამსახურეს უთხრა, მიიღე და უთხარი, რომ მე დღეს დილით სოფელში წავიდიო. მოსამსახურე გაიქცა შემოსასვლელ კარებისაკენ, სადაც უკვე ძალზე ზირს რევლებ. გაულო კარი და ოფიცერის შეკითხვაზე, სახლშია თუ არა ზდანოვიჩიო, უპასუხა: Никак нет, Ваше благородие. Они сегодня утром уехали в деревню. ოფიცერი ყაზახებით ოთახში შევიდა. ყველა ოთახი დაბნელებული იყო, მარტო სასადილო ოთახში მაგიდაზე იდგა სასათური. ოფიცერმა უბრძანა მოსამსახურეს, ოთახები მაჩვენეო. მანაც აილო ხელში სანათური და გაუძღვა წინ ოფიცერს: შეივეანა ჯერ კაბინეთში, მერე ზალაში, ბოლოს მიიყვანა საწოლ ოთახთან. გააღო კარი და სანათურით შეანათა, ოფიცერმა შეიხედა ოთახში, მოტრიალდა, დაბრუნდა კაბინეთში და შეუდგა ოქმის წერას. შეეჭითხა მოსამსამხურეს სად, რომელ სოფელში წავიდაო. Не могу знать, ваше благородие!

ოფიცერმა ხელი მოაწერინა მოსამსახურეს ოქმზე და თავის ამალით სახლიდან წავიდა. ამ სასწაულებრივ გაღარჩენის შემდეგ გორგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ერთ მახლობელ სოფელში. იქმდან ტფილისს ჩამოვიდა და თევზე მეტი არალეგალურად ცხოვრობდა. ნიკო რევაზისძის ერთისთავის დახმარებით და სულთან-კრიმ-გირეის შუამდგომლობით მეუის ნაცვალმა აპრილში განკარგულება გასცა, მარგანეცის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი განთავისუფლებულია დევნისაგანო.

ჩვენი გაზრი დაშვრილებით ბეჭუავდა დასაელეთ საქართველოს აკლების ამბებს. ერთ დღეს რედაქციაში მოულოდნელად მოგვივიდა ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევისგან უცნაური წინადადება:

„ქართულ გაზრის „ცნობის ფურცელში“ არა ერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც რედაქცია ცდილობს აღნიშნოს იქ მყოფი ჯარის უწესო მოქმედება: თუმცა რედაქტორი უკვე გავათროთხილე, ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ ამბებს, გაზრის უკანასკნელ ნომერში ჰაინც მოთავსებულ იქმნა კორესპონდენცია იმერეთიდან. ამ კორესპონდენციაში გაზრი ათას რამეს აბრილებს ჯარს: სახლების ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხვას. კველა ამის გამო მე, ტფილისის გუბერნატორი წინადადებას ვაძლევ „ცნ. ფურცლის“ რედაქტორს,

შეიდი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაურღვეველი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და არაა მოგონილი კორესპონდენტის მიერ. ამასთან ვაფრთხილებ რედაქტორს, თუ ამ გადის განმავლობაში არ წარმოადგინა დამატებით დაურღველი საბუთები, გაზეოთ „ცნ. ფურცელი“ დაიკურებათ.

ამგვარმა აზაჩვეულებრივმა წინადალებამ ძალიან გაფვაცირვა და ქალაქში სენსაციაც გამოიწვია. რედაქციაში ბევრი ვალიოდა ამბის გასავებად. მასსოვს, მოვიდენ ს.-დემოკრატები და მუშები, შევვეკითხნენ, — რას აპირებთ.

ჩვენ ვუთხარით:

— პასუხის გაცემის ვაპირებთ და თადარიგსაც უკვე შევუდექით. შატოლაკი იმიგვე დღეს ვაფრინეთ კაცი ქუთაისში და შევუთვალეთ ქუთაისის კომიტეტს და ჩვენს იქაურ კორესპონდენტებს — პეტრე ყიფიანს და დ. ავალიანს სამი ოთხი დღის განმავლობაში შეეკრიბათ რაიმე ოფიციალური დოკუმენტები, ოქტობი ან განკარგულებები — და ჩვენთვის საჩეაროდ გამოეგზავნათ. ხუთი დღის შემდეგ მართლაც მოგვივიდა ცოტაოდენა საინტერესო დოკუმენტი, და 24 მარტისათვის მე შევუდექი გაზეოთის სათანადო ნომრის დამზადებას გენეგუბერნატორის საპასუხოდ. ნომერი იწყებოდა მოწინავე წერილით ამ სათაურით „დაურღვეველი საბუთები“

მე შემოითხოვ: უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ თავი დანაშავედ არ მიგვაჩნია. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ვასრულებთ ისე, როგორც გვესმის პრესის დანიშნულება. ჩვენ არ შეგვეძლო გავჩუმებულიყავით, როცა ქვეყანა აიქლეს და ხალხი ააწიოქეს, როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი გაუგონარ ტანჯვა-ვაებაში ჩააგდეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრად და უფრო გაძელებულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო მხარე-მაგრამ ჩვენმა მკათხველებმა იციან ის „საპატიო შიზები“, რომელიც ხელ-ფეხს გვიბორკვავდენ და გვიშლიდენ უფრო ნათლად გამოგვეუნდია მძვინვარე „დამსჯელების“ მოქმედება. ბ-ნი ტფილისის გენ.-გუბერნატორი მოითხოვს ჩვენგან „დაურღვეველ საბუთებს“ ამ საშინელებისას. რალა საბუთებია იქ საჭირო, სადაც ქვანიც კი ღალადებენ. ვინც თავის თავს შრომას მიაყენებს და დასავლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრება, ვაგონიდან გამოსვლაც არ დასჭირდება — ისედაც დაინახავს „დაურღვეველ საბუთებს“. ხაშურიდან დაწყებული შავ ზღვამდე საშინელი ნანგრევები უტყუარად მოშობენ იმ „გმირობას“, რომლის მეოქვებით მუდამ აყვავებული მხარე მიწასთანაა

გასწორებული. დედამიწა ხალხის ცრემლითა და სისხლითა გაუღენ-თილი. ჩვენ ჩვენს ერს ეს საბუთები არ სწირია: მან ყველაფერი გად-მოსცა და თვითონ, ყველაფერი თავის თვალით ნახა, ყველა დამნა-შავეს იცნობს და არასოდეს არ დაიიწყებს.

შავრამ ბ-ნ გენ.-გუბერნატორს არ სჯერა, რომ ასეთ ფაქტებს აღვილი ჰქონდა. არა სჯერა, რომ ამის ჩიმლენი ჯარი ყოფილიყოს: მას გაზეთების არაფერი სწამს და სხვა საბუთები უნდა. როგორც ოფიციალური პირი, ის ოფიციალურ წყაროებს ენდობა და ამიტო-მაც, თანახმად გენ.-ალიხანოვის ოფიციალურის დეპეშებისა, უარყოფს ჩვენს ცნობებსა და ბრალუებებს და მოითხოვს „და-ურლვეველ საბუთებს“.

კანონით, ლომიჩით, სამართლით (რითაც გინდათ) ამგვარ შემ-თხევაში საჭირო იყო ჩვენი სამართლში მიცემა. მაშინ ჩვენ შეძ-ლება მოგვეცემლდა მრავალ მოწმეთა დახმარებით, ოფიციალურ მი-წერ-მოწერისა და საბუთების მოთხოვნით, მოხელეთა ჩვენების ჩა-მორთმევით და ბევრ სხვა კანონიერ ღონისძიებით სრული ჩვენი სიმართლე დაგვეტყიცებინა. მაშინ ტფ. გენ.-გუბერნატორიც დარ-წმუნდებოდა, ვინაა მართალი და ვინ სტუის და მთავრობაც გაარ-ჩევდა ნამდვილ დამნაშავეთ, თუ კი სურს მათი იღმოჩენა. მაგრამ გენ.-გუბერნატორმა არ მოისურვა სასამართლოსათვის მიმართვა და ამრიგად ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

მართლაც, გაითვალისწინეთ ის პირობები, რომელიც ვეზულის „დაურლვეველ საბუთების“ წარმოდგენას: 1) არც ერთი მთავრობის დაწესებულება და მოხელე პირი ოფიციალურად ჩვენ საბუთებს არ გადმოგვცემს; 2) ქუთაისის გუბერნიაში და ქართლში ისეთი რეუ-მია ეხლა, რომ შეუძლებელია ჩვენი კერძო გამომძიებლები თავისუფ-ლად მივიღენ და საბუთები შექრიბონ; 3) ხალხი ისე შეშინებული და თავზარდაცემულია რეპრესიებისაგან, რომ ვერ გაპერდავს ყოვე-ლისფრის გადმოცემას; 4) მოწმედ ვერავინ დაგვიღევება იმის შიშით, რომ მეორე დღესვე დასწვავენ და ვანადგურებენ. აქედან ცხადად სჩანს, რომ სანამ საჭაროთველოში სამხედრო წესებია, სანამ დაზარა-ლებულთა კარებზე ზარბაზნები სდგას, ჩვენ ხელ-ფეხ შებორკილები ვართ და გაგვიჭრდება გენ.-გუბერნატორის ცნობისმოყარეობის დაქმაყოფილება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვყდით და ზოგიერთ ფაქტს და საბუთებს მივაწვდით ბ-ნ. გენ.-გუბერნატორს.

მეთაურ წერილის შემდეგ იწყებოდა „დაურლვეველ საბუთების“ ჩამოთვლა. პირველად იღნიშნული იყო ის ქალაქები და დაბა-სოფ-ლები, რომლებიც დამსჯელ რაზებშა გადასწვეს, ამნაირად: 1) 1 იან-



კარს აღინიშნული ჯარის მოწინავე რაზმი ხაშურში მივიდა. 1 დღის შემდეგ ნახარის ხაშური ნახევრად განადგურებულ და გადამწყვარ იქნა; დღე- ნები და ბევრი ქერძო სახლი გაძარცვეს; 2) 7 იანვარს გადასწვეს ხარაგაულის უმეტესი ნაწილი და სხვა. სულ ჩამოთვლილი იყო 20 გადამწყვარი და გაძარცული დაბა-სოფელი. მას არავითარი ოფიციალური დოკუმენტებით დამტკიცება იღია უნდოდა, ვინაიდან თვით ნინარევები ლალადებდნენ.

სახგრევები დაღი დატყუშებული ამის შემდეგ იწყება ოფიციალური წყაროების ჩამოთვლა, ამ-  
ნაირად : ქუთაისის პოლიციელისტრის რაპორტი გუბერნატორის ხა-  
ხელზე № 386. 1 თებერვალი 1906 წელი. „27 იანვარს ღმით ყაზა-  
ხებში გაძარცვეს, დაანგრიეს და კლიტები დაკვლიჯეს შემდეგ პირ-  
თა მაღაზიებსა და დუქნებს“ ჩამოთვლილია 36 მაღაზია, დუქნანი და  
კერძო სახლი, რომელთა პატრონებს რამდენიმე ასი ათასი მანეთის  
ზარალი მიაყენეს. ამ რაპორტს მაბჭვება 12 ამგვარივე რაპორტი  
ქუთაისის პოლიციელისტრის, ქუთაისის, მაზრის უფროსის, შორაპნის  
მაზრის უფროსის, სენაკის მაზრის უფროსის და სხვათ.

შემდევ დაბეჭდილია ქუთაისის დღინისტრაციის მიწოდებელი პროკურორის და გამომძიებლის სახელზე, რომლებმაც აგრეთვა აღნიშნულია აკლების და გაძარცვის ამბები.

შემდეგ მიღის საბუთები თვით დაწარალებულთა და მოწმეთა ხელმოწერილები, ამნაირად: „შორაპნის მაზრის სოფელ ღურევში და- მე ყაზახები თავს დაეცნენ ამ სოფლის მცხოვრებს მათ ხარშალაძეს, მე აწამეს თვით მათ. მხოლოდ იმის მეზობლის 13 წლის ქალი გააუპა- ტიურეს. მეორე დღეს დატანჯული ქალი სოფელ კორბოულში წა- იყვანეს ფერშალთან საეჭიმოდ. ამ ამბავს გამოწებდა (ჩამდენიმე ხე- ლის მოწერა) და სხვა სულ ამგვარი საბუთი ხუთმეტამდე.

შემდეგ მოყვანილი გვაქვს დეპეშები და წერილები, რომელთა ავტორები აცხადებენ, მზად ვართ, თუ საჭიროება მოითხოვს, დავა- მოწმოთ მრავალი საზიზღარი ამბავი, რომელიც დამსჯელმა რაზმებმა დასავლეთ საქართველოში ჩაიდინებო. მოგვყავს აქ ორი დეპეშა: პირ- კელი მოგვივიდა მოსკოვიდან ცნობილ კავკასიელ ეურნალისტის „ ელი სტ სიოვინისაგან: „ეს არის ეხლა წავიკითხე დეპეშები, მუქარა, რომელითაც ტუ. გენ-გუბერნატორს მიუმართავს „, ცნობის ფურცლისათვის“. ვამოწმებ, მე თვითონ ადგილობრივ, დასავლეთ სა- ქართველოში დავრწმუნდი, რომ ცეცხლის წავიდება, ძარცვა-გლევა- და ხაოხის ხოცვა ხაშურიდან ჭუთაისამდე, სულ ჯარის მოქმედებაა“.

შემდეგ ჩემ წერილში მოყვანილია ოფიციალური ამონაწერი თავად-აზნაურთა საგანგებო კრების ოქმიდან და ქუთაისის საქალაქო

საბჭოს სხდომის ოქმიდანაც ამავე პკლებისა და ძარცვა-გლეჯის შესახებ.

ერთი სიტყვით, გაზეთის მთელი ნომერი (10 გვერდი) დაქტირია საქმიან რიცხვის საბუთებით, რომელთაც ერთხელ კიდევ გადაშალეს საზარელი სურათი დასავლეთ საქართველოს მაშინდელი აქლებისა. მთელი ნომერი ჩვენმა თანამშრომელმა შიო ჩიტა ა დემ რუსულად გადათარგმნა და პართენ გოთუას გადავეცით „ოზნეროვენიაში“ დასაბეჭდად, რადგან გვეშინოდა, რომ ჩვენი გაზეთი იმ ღამესვე არ დაეკეტათ. მეორე დღეს ეს ნომერი სათანადო მიმრთვით ჩვენმა რედაქტორმა აღ. ჯაბადარშა გენერალ ტიმოფეევს ჩააბარა.

იმ ღამესვე ჩვენი რედაქცია გაჩხრიკეს. ბევრი ხელნაწერი შეგვართვეს და გამოვგიცხადეს, რომ გაზეთი დაკეტილია. გენერალ-გუბერნატორმა მოწოდებაში აღნიშნულ მუქარას გადააჭარბა კიდეც: რედაქტორ აღ. ჯაბადარს აეკრძალა ქალ. ტუილისში და ტფ-მაზრაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე.

ქართველთა გამომცემელმა წიგნების მმხანაგობამ ამის შემდეგ სხვადასხვა მოსაზრების ძალით უარი სთვეს გაზეთის გამოცემის გაგრძელებას. მაშინ ჩვენი პარტიის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა თვეის ხარჯით გამოვცა „ცნ. ფურცლის“ მაგიერ გაზეთი. რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა კიდეც გაზეთი „შრომა“ ჯერ აღ. დია-სამიდის და შემდეგ გრიგოლ რცხილაძის რედაქტორობით და გამომცემლობით.

ზემოთ დამაგიშყდა მეოქვა, რომ გენერალმა აღიხანოვმა ქუთაისში შესელის დროს, თავის ადგილებიდან მოხსნა გუბერნატორი სტარსელსკი და ვიცე-გუბერნატორი აღ. ყიფ შიძე. უადარმების თანხლებით ისინი ტფილისში გამოისტუმრა.

ერთ კვირა დღეს ჩვენი აღეცსანდრე ყიფ შიძე რედაქტორში შემოვიდა ჩვეულებრივის ხმამაღლი ქაქანით: ?

— გოორგი ლასხიშვილი, ჩემი ხელით დაგაღრინობ. ეს რა ხა-თაბაღაში გამხეივ... თუ სულელი არ ვიყავი, — ფულერალისტებისაგან ვიცე-გუბერნატორობა როგორ მივიღე!

ჩვენ დავამშვიდეთ ალექსანდრე.

— მოიცა კაცო, აი, მალე კალეტების სამინისტრო შესდგება, მაშინ გუბერნატორობასაც შემოგთავაზებენ.

„შრომამ“ ისევ განაგრძო დაწვრილებით დასავლეთ საქართველოზე წერა, შემდეგ სოც.-რევოლუციონერების რალაც მოწოდება დაბეჭდნ. ყველა ამის გამო გაზეთი მალე დაგვიხურეს და გრიგოლ

რცხილადე პასუხისყებაში მისცეს. აქვე აღვნიშნავთ; რომ იგი სასამართლოს სხეადასხეა ინსტანციებმა სამჯერ გაასამართლეს და მხოლოდ 1909 წელს გათავეს მისი საქმე: ერთი წლით დატუსაღება მიუსაჯეს.

„შრომის“ შემდევ გამოვიდა „ისარი“, მერე „ამირანი“, „ლროება“ და სხვა გაზეთების, სახელები არც კი შახსოვს.

მალე გაზეთისთვის კომიტეტმა საკუთარი სტამბაც შეიძინა, რომელიც რედაციასთან ერთად მოვათავსეთ ელისაბედის (ახლა კლარა ცეტკინის) ქუჩის ბოლოში, მილოვის სახლში. ამ სტამბის შეძენაში ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაცია დაგვეხმარა.

ერთხელ სამხედრო ორგანიზაციამ მთავარ კომიტეტში წინადადება შემოიტანა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის შესაბებ. კომიტეტმა განიხილა ეს წინადადება და უარი სოჭვა—პარტია ამ საქმეს ვერ იკისრებს.

იყო მაგალითები, რომ ამგვარ ექსპროპრიაციებს იმ დროში უწესოება და დეზორგანიზაცია შექმნდა უფრო მეტ დისციპლინის მქონე პარტიებში, ვიდრე ჩვენი პარტია იყო. მაგალითად, პოლონეთის პ. პ. ს.-ის პარტიაში ერთმა ექსპროპრიაციამ შეთელი აურჩაური და არევ-დარევა გამოიწვია. გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როცა ხაზინიდან წალებული ფული მთავრობამ ადგილობრივ მოსახლეობას გადაახდევინა. კომიტეტის უარის შემდევ ჩვენმა სამხედრო ორგანიზაციამ მაინც მოაწყო დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია კერძოდ თავის ნებითა და პასუხისმგებლობით. ეს საქმე კარგად ჰქონდათ განჩრდასული, კარგი გეგმა ჰქონდათ შემუშავებული. დუშეთის ადგილობრივ კომანდის უფროსის სახელზე დამზადებულ იქმნა მთავარ სამხედრო შტაბის მოწერილობა იმის შესახებ, რომ დუშეთის ხაზინის დარაჯობა ადგილობრივ კომანდის მაგილე უნდა ჩაპირდეს ტფილისიდან საგანგებოლ გამოგზავნილ რაზმის. ლამე თორმეტიოდე ახალგაზრდა ყმაშვალი, ზოგი ჩევნი პარტიისა, ზოგი უპარტიო სათანადო სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი და თოფებით შეიირალებული დუშეთს მივიღა და ხაზინის სადარაჯო რაზმის უფროსს გადასცა მთავარ შტაბის ზემოხსენებული ყალბი მიწერილობა. როცა სადარაჯო რაზმი მოიხსნა და წავიდა, ჩვენები შევიდნ ხაზინაში, ხელფეხი შეუკრეს იქვე მცხოვრებ ორ მსახურს, ყუთებიდან ამოიღეს 300 ათას მანეთზე მეტი ფული და წინადავე დამზადებულ ფურგონით საჩქაროდ მცხოთისაკენ გასწიეს, მაგრამ ამ კარგად გამზრახულსა და აღსრულებულ საქმეს ბოლო მაინც ცედი იღმოაჩნდა: აღმინისტრობის ჯარი და დააპარიმრა ერთი თუ ორი უპარტიო



მონაწილე, რომელთა ჩვენებით საქმე გამომუღავნდა. დააპატიმრეს ამ საქმის ირგანიზატორები შტაბს-კაპიტანი იოსებ გელევანი-შვილი და ოფიცერი ლადო ცაგარელი. დააპატიმრეს აგრეთვე ექსპორტოპრინცის უშუალო მონაწილენი პარტიის წევრები ვ. თაქ-თაქი შვილი, ივ. ციმაკურიძე და სხვები. რამდენიმე კაცმა თავს უშეელა საზღვარგარეთ გაქცევით, მათ შორის ძმებმა კერე-სელიძეებმა.

მთავრობამ შევიცარიას მოსთხოვა ამათი გაცემა, მაგრამ შევიცარიას სასამართლოს გაეგზავნა ჩვენი პარტიის მოწმობა, რომ ექსპორტოპრინცია პოლიტიკურის მიხნით იყო შოხდენილი და შევიცარიას მთავრობამ უარჲყო რუსეთის შუამდგომლობა კერესელი დების გაცემის შესახებ. დანარჩენები უმდგეგ წელს გასიმირთლებული იყვნენ: გედეგვანი შვილს და ცაგარელს ჩამოერთვეთ სამხედრო ლირება და ორ-ორი წლით ციხე მიესაჯათ, ახალგაზრდები: თაქ-თაქი შვილი, ციმაკურიძე და სხვანი კატორლაში გაიგზავნენ. წამოლებულ ფულიდან ნაწილი მცხეთაში გატაცების დროს გზაში დაეკარგათ, ნაწილი მონაწილეებს დაურიგდა, დანარჩენი სამხედრო ორგანიზაციამ გაუნაწილა ტფილისის და ქუთაისის კომიტეტებს და თავის საჭიროებასაც მოახმერა.

აი, ამ ფულით შეიძინა მთავარმა კომიტეტმა საქუთარი სტამბა, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთები და პარტიის სხვადასხვა გამოცემები.



## XXIX

პირველი პოლიტიკური არჩევნები რუსეთში და ჩვენ-  
 ში.— პირველი ხათაბირო. ბაახი ნიკო ნიკოლაძემ თან  
 და ილია ჭავჭავაძეთან.— განხოთქილება ჩვენს პარ-  
 ტიაში.— შოთ ჩიტაძის ბარბარისულად მოკვლა.— შეო-  
 რე პოლიტიკური არჩევნები.— ვარლამ ჩერქეზიშვი-  
 ლი.— ფერეიდანელ ქართველების ჩაშოსვლა.— კონფე-  
 რენციათვინლანდიაში

დაიწყო რუსეთში პირველი პოლიტიკური არჩევნები პირველ  
 პარლამენტისთვის.

არჩევნების მოახლოვებისას სოციალისტურ და სარევოლუციო  
 პარტიებში კაბათი გაჩაღდა იმის შესახებ—მიეღოთ ამ პარტიებს მო-  
 ნაწილებია საპარლამენტო არჩევნებში, თუ არა. სრულიად / ბუნებ-  
 რივია, რომ სარევოლუციო პარტიებში ბოიკოტისადმი განწყობი-  
 ლება სუჯევდა. რევოლუციის საბოლოო მიწნები მიღწეული არ იყო,  
 ყოველ შემთხვევაში გამარჯვება სრული არ იყო თვითმპურობელო-  
 ბაზე, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება თი-  
 თქო მოასწავებდა, რომ მებრძოლი შეურიგდენ რევოლუციის დას-  
 რულების აზრისა. კამათის დაწყებისას ბოიკოტისტები თითქოს იმარ-  
 ჯვებდენ, მაგრამ მაღლე გამოირკვა, რომ უმრავლესობა მონაწილეო-  
 ბის მომხრე იყო. ამათი არგუმენტაცია მარტივი იყო და მართალიც:  
 საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება სრულიადაც არ  
 ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხელს ვიღებთ რევოლუციის განგრძობაზე.  
 პირიქით, საშუალება გვეძლევა არჩევნებში აგიტაციით პროპაგანდა  
 გავწიოთ, ხოლო საპარლამენტო ორიბუნა უძლევრესი იარაღი იქ-  
 ნება სარევოლუციო პარტიების ხელში ბრძოლის განსაგრძობადა.

ყველაზე უფრო გვან ბოიკოტზე ხელი ჩვენმა პარტიამ აიღო.  
 საქმე ისაა, რომ იმხანად ჩვენ საქმაოდ ძლიერი მემარცხენე ფრთა  
 გვყავდა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოიკალათა რამდენიმე „თა-  
 ნამგრძობამა“ ანარქისტმაც. ის, ამ ფრთის ზეგავლენით ჩვენ პარ-  
 ტიაში მძლავრი ბოიკოტისტური განწყობილება სუჯევდა. როცა სა-  
 კითხი რაიონების კრებებზე დადგა, უმრავლესობამ ბოიკოტი ვაღას-  
 წყვიტა და მთავარი კომიტეტიც ჯერ აშა დაემორჩილა, მაგრამ შემ-  
 დეგ გადასწყვიტა ფედერალურ საბჭოს მოწვევა და ამ საკითხის იქ-  
 გადაწყვეტა. იმ დროს ჩვენ გვქონდა ასეთი დაწესებულება: ფედე-  
 რალურ საბჭოს შეადგენდა ყველა საქალაქო და სამაზრო კომიტე-

ტების თითო წარმომადგენელი და მთავარ კომიტეტის სამი წევრი. ამ საბომ ხმის უმეტესობით უარპყო ბოიკოტის ტაქტიკა, მაგრამ ამასობაში დრო გავიდა, უკვე ზოგან პირველ საფეხურის არჩევნებიც დაიწყო და სოფელმა გორის მაზრაში, რომელიც ჩვენი გავლენის სფეროში იყო, არჩევნებზე უარი სთქვა. ამრიგად ჩვენი პარტია და-გვიანებით შევიდა საარჩევნო კამპანიაში. მოუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ოვალსაჩინი როლი ვითამაშეთ ამ პირველ საპარლამენტო არ-ჩენებში. რასაკვირველია, ჩვენ არ შევვეძლო დიდი მეტოქეობა გა-გვეწია უძლიერეს ს.-დ. პარტიისთვის, მაგრამ მათ შემდეგ ამომრჩე-ვალთა მეტი რიცხვი ჩვენი იყო. შაგალითად, ქუთაისის გუბერნაციი სულ იქნა არჩეული 42 ამომრჩეველი, რომელთაც საბოლოოდ უნდა იერჩიათ დეპუტატები. ამ 42 კაცსში, ს.-დ. იყო 22, ს.-ფ. 16 და ქალეტი 4.

ტფილისში ჩვენი პარტია საარჩევნო შეთანხმებით შეეკრა რა-  
დიკალების და ქართველ ივტონომისტების პარტიებს. შეთანხმების  
დღისუნგი იყო—ტაქტიკური საარჩევნო ბლოკი იმ პარტიებთან, რო-  
მელნიც აღიარებენ დამფუძნებელ კრების მოწვევის საჭიროებას და  
მხარს უჭერენ ფართო ადგილობრივ პოლიტიკურ თვითმართველო-  
ბას. ტფილისში ჩვენ სასტიკად დავმარცხდით. ვერც ერთ საარჩევნო  
ნაწილში ამომრჩევლები ვერ გავიყვანეთ, მხოლოდ საგუბერნიო  
ამომრჩევლთა შორის გვყვადა საკმაო რიცხვი. ტფილისისა და ქუ-  
თაისის გუბერნიებში სოც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს: ყველა დეპუ-  
ტატი ამ პარტიას ეკუთნოდა. ტფ. საგუბერნიო კურიაში ერთი ჩვე-  
ნი პარტიის წევრი მოჰყვა, სახელდობრ იოსებ ბარათაშვილი,  
ორმელიც დეპუტატადაც გავიდა. ბათომის საარჩევნო ოლქიდან გა-  
ვიდა კადეტი პროკოფე შარეგაშიძე, დანარჩენები ჩვენი ქვეყ-  
ნიდან პირველ სახელმწიფო სათაობიროში ს.-დემოკრატები გა-  
ვიდენ.

საერთოდ ამიერ-კავკასიაში არჩევნები შეგვიანებით მოხდა. პეტერბურგში სათათბირო უკვე გაიხსნა, რომა ჩეცნში არჩევნები გრძელდებოდა. უკვე სეფე-სიტყვა წარმოოქმული იყო და სათათბირო ამზადებდა პასუხს. რასაკვირველია ამ პასუხში უნდა ყოფილიყო მო-  
თხოვნები განაპირო ქვეყნების შესახებ და ჩენი საზოგადოება ძა-  
ლიან სწუხდა, რომ საქართველოს დეპუტატები ჯერ პეტერბურგში  
არ იყვნენ და თავის სიტყვას ვერ მიუშატებდნ სხვების მოთხოვნებს.  
პოლონელები და სხვა ერები ავტონომიაზე ლაპარაკობდნ, სათათ-  
ბიროში დიდალი მომხრე იყო ავტონომიისა, ცნობილ დეპუტატე-  
ბის ლეილი ცკის და კუჭმინ-კარავაჭვის მეთაურობით

თაარსებულ იქმნა იმათი განსაკუთრებული ბიუროც, რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად მიწვევლი იქმნა აგრეთვე იღია. ჭავა-ჭავაძე.

ყველას ახსოეს, რა ბედი ეწია პირველ სათათბიროს. ჯერ სანადი ის შეიკრიბებოდა თვითმმარტინბელმა ბიუროკრატიამ ვიტოს სამინისტრო გადაუყენა და პრემიერობა დახასებულ გორე ემიკინს ჩააბარა. ამით ძევლია რეეიმმა საგვარეულო, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უშევდა სახელმწიფო სათათბიროს, რომლის უდიდესი ნაწილი კონსტიტუციის მომხრე იყო. დაიწყო ბრძოლა ძევლისა და პირველ პარლამენტს შორის და სამი თვეს შემდეგ, რომ რეეიმმა და პირველ პარლამენტი გარეეს და დაიწყო სასტიკი რეაქციის გორცი იცით, პარლამენტი გარეეს და დაიწყო სასამართლოები, დაიწყო მებრძოლ ხანა: დაარსდა სამხედრო-საველე სასამართლოები, დაიწყო მებრძოლ ხალხის ხერეტი, ამოძრავდა ხულიგნობა, ზეიზღუდა კრებების და პრესის თავისუფლება და სხვა. ამ რეაქციონურ პოლიტიკის ხელმძღვანელობა სტრონიპანს ჩააბარეს.

გარეკილი დეპუტატები ფინლანდიის ქალაქ ვიბორგში შეგროვდენ და იქ გამოსცეს ცნობილი მოწოდება რუსეთისადმი, სადაც იწევდენ ხალხს: გადასახადს ნუ გადიხდი, სამხედრო ბეგარას ნუ მოიხდი, წინააღმდეგობა გაუწივ მთავრობას იმ დრომდე, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნება მოწვევული. ამ მოწოდებისათვის ყველა დეპუტატი, ვინც ხელი მოაწერა, პასუხისმგებაში იყო შეცემული და სამ-სამი თვით ყველანი ციხეში ჩასვეს, მათ შორის ჩვენი დეპუტატი ი. ბარათა შვილიც. სამუშაოოდ, ვიბორგის მოწოდებას დიდი არაფერი გავლენა მოუხდება ხალხზე.

ამის გამო მახსოვეს ერთა საინტერესო შესველა და ბაასი-უფრო ძლიერ, ვიდრე სახელმწიფო სათათბიროს დაითხოვდენ, მომიხდა ნიკო ნიკოლაძესთან მგზავრობა ტფილისიდან ქუთაისა-მდე. ნიკო ნიკოლაძე უკმაყოფილო იყო პირველ სათათბიროსი და იწინასწარმეტყველა კიდევ მისი ბედი. დაახლოებით ნიკომ შემდეგი სიტყვა:

— სახელმწიფო სათათბიროში ბევრი გამოჩენილი ინტელიგენტია, შეცნიერი, ორატორი და საზოგადო მოლგაშე, მაგრამ საუბედუროდ სახელმწიფო მოლგაშე ძლიერ ცოტა არის. მათ სრულიად აღლოვ ვერ აულეს მომენტს და იმითი არ დაუწყიათ საქმე, რითაც უნდა დაეშევოთ. კადეტების წარმომადგენელს, რომელიც პარველად ავიდა საპარლამენტო ტრიბუნაზე, პირველი სიტყვა ამნისტიის შესხებ კი არ უნდა ეთქვა, ეს შემარტინებებს უჯრო შეეფერობოდათ და ქადაგები მხარს დაუჭირდენ; კადეტების პირველი სიტყვა ომს უნდა

შეხებოდა. მთელი რუსეთი საგონებელშიც იყო ჩავარდნილი დამარცხების გამო; მთელი რუსეთი მწვავე სირცხვილს განიცდიდა იმის გამო, რომ უზარმახარი რუსეთი პატარი იაპონიამ სასტიკად დაამარცხა. პარლამენტის ხელმძღვანელ პარტიას უნდა ესარგებლა ამით და მოეთხოვა საპარლამენტო კომისიის დანიშვნა იმ მიზეზების გამოსარჩევად, რომელთაც ასეთ სირცხვილში ჩავდგეს რუსეთი და იმ დამაშავეთა მოსახებნაც, რომელთა ბორიტმოქმედების წყალობით რუსეთის უძლიერესმა ჯარმა ორი წლის განმავლობაში ერთი გამარჯვებაც კი ვერ იგემა. კადეტების ასეთი განცხადება გამოძახილს მთელს რუსეთში იპოვიდა, მთელი ხალხის თანაგრძნობა პარლამენტის მხარეზე იქნებოდა, მთავრობაც უარს ვერ გაძელდება ასეთ მოოთხოვნაზე და იძულებული გახდებოდა სხვა საკითხებშიაც დაომობის გზას დადგომოდა. ამის მავიერ სათათბირო შეუდგა სარევოლუციო ავიტაციას და უმრავლესობის თანაგრძნობა დაიკარგა. ამ პირობებში მოსალოდნელია მთავრობამაც პრძოლის გზა იკრიბის და, შეიძლება სათათბიროც დაითხოვოს.

მასის მავა საგნებზე უფრო იდრე ილია ჭავჭავაძე სთანაც მქონდა საუბარი. მაჟინ არჩევნებიც არ იყო დასრულებული და ილიას შევეკითხე საერთოდ რუსეთის რევოლუციაზე.

ილია იმ აზრის იყო, რომ რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა — აგრძარული საკითხია. ქვეყნის უმრავლესობა გლეხობა არის, სოქვა ილიამ. ამაზეა დაყრდნობილი სახელმწიფოს კეთილდღეობა, და სწორედ ეს წოდებაა ცუდ ყოფაში ჩაყენებული. რუსეთი ში დიდია გლეხთა მიწათმულობელობის კრიზისი და აი, ამ მხარეს უნდა მიეკცეს მთავარი ყურადღება. რუსეთი თავისებური ისტორიისა და კულტურის მქონეა. აი კფიქრობ, რომ ის წავიდეს დასაგლეთ კუროპას ჩვეულებრივი გზით. მისი განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიძლება საშინელ სტიქიურ „ბუნტად“ გაიზიქცეს და გლეხთა ამძრავებულმა ძალამ ქვა-ქვაზედაც არ დასტოოს. ამ ცეცხლს მორიდება უნდა. პარტიებშიც, მთავრობამაც ანგარიში უნდა გაუწიონ ამას და რევოლუციის გალრმავების მავიერ დაუყოვნებლივ შეუდგნენ აგრძარულ პრობლემის მშეიღობიანის გზით მოწესრიგებასაო.

საზოგადოდ ილია პესიმისტურად იყო განწყობილი და არაფერ კარგს არ მოელოდა რუსეთის რევოლუციისაგან.

\* \* \*

1906 წლის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო ჩვენი პარტიისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი კონფერენცია. უნდა მიგველო და

საბოლოოდ დაგვემტკიცებინა პარტიის პროგრამა. ამ პროგრამის შედგენა და დასაბუთება, თანახმად უნივერსიტეტების კონგრესის რეზოლუციისა და პირველი პროგრამისა, მინდობილი ჰქონდა მთავარ კომიტეტის წევრს გრ. რცხილა ადგეს. ეს საქმე იმიტომ იყო დიდმნიშვნელოვანი ჩვენი პარტიისათვის, რომ იმხანად დიდ შინაურ ბრძოლასა და ქრიზისს განვიცდიდით. პარტიაში სამი სხვადასხვა ფრთა გაჩნდა: მემარჯვენებულ ფრთა უფრო ჩვენ ეროვნულ პროგრამის მომხრე იყო და სოციალიზმს ნაცლებ იზიარებდა; მემარცხენე ფრთა ანარქო-სინდიკალიზმისაგრე მიაქანებდა პარტიას და მხოლოდ ცენტრი იდგა მტკიცედ ს. ფ-ის პირველ საფუძვლებსა და მიმართულებას. მომავალ კონფერენციაზე უნდა მომხდარიყ გადამწყვეტი ბრძოლა და პარტიის საბოლოოდ ჩამოყალიბდება. ჩვენამდე მოაწია ხმამ, რომ ჩვენი პარტიის თანამგრძნობი ანარქისტები კომანდო გოგელი და მი ხაკო წერეთელი ჩვენ მემარცხენე ფრთასთან ერთად ძლიერ იქრის ამხადებდენ. მთავარ კომიტეტს სასურველად არ მიაჩნდა ანარქისტების ასეთი აქტიური ჩარევა ჩვენს პარტიულ საქმეებში, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდა. მე პირიდად კომიტეტის დაუკათხავად და ჩემის პასუხისმგებლობით გადავდგი ერთი ნაბიჯი. მოვიწადინე გოგელისთან და წერეთელთან ნოლაპარაკება ჯერ გოგელისთან მივედი, ავტესენ პარტიის მდგომარეობა, ვუტკიცებდი ჩენი პარტიის არსებობის საჭიროებას.

— თქვენი და მიხაკოს ჩარევა მხოლოდ არევ-დარევას შემოიტანს საქმეში, გამოიწვევს განხეოთქილებას პარტიაში. ინარქიზმის საქმეს ეს დახმარებას ვერ გაუწევს, ჩვენი პარტიის არსებობას კი განსაცდელში ჩაიყენებს. ჩვენ ბევრი გვყვავს მემარცხენე ახალგაზრდობა, რომელიც შეიძლება ადვილად გადავარდეს ინარქიზმში. მე მგონია თქვენს ინტერესსაც არ უნდა შეაღენდეს ს.-ფედერალისტების-პარტიის დაწერევა საქართველოში. მართალია, თქვენი ჩარევა და მემარცხენების მოშორებაც ვერ მოსპობს ჩვენს პარტიის, მაგრამ რადგინდათ ხანგრძლივი კრიზისი გამოიწვიოთ პარტიის ცხოვრებაში. მე პირადად გთხოვთ, კონფერენციას ნუ დაესწრებით და პროგრამის თქვენს კონტრ-პროექტს (ჩვენ გვითხრეს, რომ ასეთი პროექტი მზადა გაძვო) — კრებას ნუ წარუდგენთ მეთქი.

## გოგელია მეუბნებოდა:

— ჩვენი ჩარევა პარტიას გასწორდს, მოაშორებს უცხო ელე-  
მენტობს და სხვა. ზოლოს მითხრა:

— თუ მიხაკო წერეოთლი არ წამოვა კონფერენციაზე, მეც თავს შევიტავებ, იმას მოვლაპარაკეთო.

შიხეილ წერეთელთან აც ასეთივე საუბარი გავმართე. იმანაც ორჭოფი პასუხი მომცა და ბოლოს აღმითქვა:

— თუ ქომანდო არ წავა კონფერენციაზე, არც მე დავიძორები ადგილიდანა.

იმ ხანებში, როცა სოფლად დამსჯელი რაზმები დათარებობენ, ხოლო ქალაქებში გაძლიერებული პატრულებისაგან მუდმივი ჩერეკა და დაბატიმრება იყო გახურებული, ერთობ ძნელი შეიტა დიდი კონფერენციის მოწვევა. პეტრე ყიფიანშა ასეთი შინადადება მოგვცა:

— 29 ივნისს ჩემი დღეობაა. შეგროვდით ამ დღისთვის ჩემსას სოფელ ბეკამში (ხაშურის ახლო) ორი-სამი დღე გაშლილი სუფრა ვიქონიოთ და თუ ვინმე დაგვეცა თავს, დღეობა განვაგრძოთ. ეს წინადადება მივიღეთ და 29 ივნისისათვის ბეკამში წავდით. ჩედაქ-ციიდან გავემგზავრეთ სამი კაცი—გ რ. რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა და მე. ჩედაქცია ჩავაბარეთ ილია ალლაძეს და ვიო ჩიტაძეს.

29 ივნისს კონფერენცია გაიხსნა. პირველი მოხსენება გააკვთა გრ. რცხილაძემ. ერთ დღეს მოუნდა პროგრამის კრებისათვის გაცნობას და დასაბუთებას. გოგელიაც და წერეთელიც კრებაზე იყვნენ, როგორც სათათბირო ხმის პატრონნი. მონაწილეობას იღებდა 28 ორგანიზაციის დელეგატი, 30 კაცზე მეტი. რცხილაძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. დიდი სიტყვა წარმოსთვა კო-მანდო გოგელიამ, ანარქიისტულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა მთავარ კომიტეტის პროგრამა; დიდი სიტყვითვე მას მხარი დაუკირა მიხაკო წერეთელმა. ოთხ დღეში პროგრამაზე კამათი დასრულებული არ იყო, როცა ტუილისიდან საზარელი ამბავი მოვიდა. კონფერენციის თავმჯდომარედ მე ვიყავი. 5 ივლისს კრების ერთერთი მონაწილე გარედან ლარბაზში შემოვიდა, მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა:

— ტფილისიდან რეზო გაბაშვილი ჩამოვიდა და დაუყოვნებლივ თქვენი ნახეა უნდა დიდად საჭირო საქმეზე, აიგანზე გიცდითო.

თავმჯდომარეობა გადავცი სამსონ ფირცხალავას და გარეთ გავედი. რეზო გაბაშვილი მომიახლოვდა და საშინელის აღელვებით გადმომცა:

— გუნინ ტფილისში ყუმბარა ესროლეს პოლიცემისტერს მარტინოვს. ამის შემდეგ ყაზახები შეცვიდდენ ქართულ გიმნაზიაში, მოკლეს შიო ჩიტაძე და დასჭრეს რამდენიმე მასწავლებელი.



ადეილად წარმოიდგენთ, რა შოთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემთვე  
ეს მოულოდნელი, თავზარდამცემი ამბავი. ჩვენი ძვირფასი შიო,  
ახალგაზრდა, დაუშრეტელი ენერგიით და ცხარე ტემპერამენტით  
სავსე, ესოდენ ერთგული რეკოლუციისა და პარტიისა, ასე უდრო-  
ვილ მოგვიკლეს, წაგვართვეს... კონფერენციამ გადასწყვიტა კრების  
შეჩერება და დაუყოვნებლივ ტუილისში წასვლა საუვარელ ამბანაგის  
დასაკრძალავად.

ერთი შელიწადი გავიდა მხოლოდ, რაც შიო კიევიდან ჩამო-  
ვიდა, სადაც ის გიმნაზიის მასწავლებლად იყო. ტფილისში დაინიშნა  
ქართულ გიმნაზიის გამგედ და საოცარის ენერგიით შეუდგა ამ გიმ-  
ნაზიის საქმეთა გაუმჯობესებისა და რეორგანიზაციის მოხდენას. ამავე  
დროს დაუღალეთა მუშაობდა „ცნობის ფურულის“ რედაქციაში და  
პარტიაში. მოკლე ხანში ამ ნიკიერმა და ნამდვილ კეთილშობილმა  
ადამიანმა, საერთო სიმპატია და თანაგრძნობა დაიმსახურა ყველა  
წრეში. ტფილისში ჩამოსვლისას შემდეგი ამბავი დაგვახვედრეს:

4 ივლისს ქართულ გიმნაზიის მეორე სართულიდან ახალგაზრ-  
დებს ყუმბარა გადმოეცდოთ პეტრე ლიდის ქუჩაშე, სადაც ამ დროს  
ეტლით მიდიოდა ტფილისის პოლიცეისტერი პოლკოვნიკი მარტი-  
ნოვი. მარტინოვი მხოლოდ დაიჭრა ფეხში, გადმოხტა ეტლიდან და  
რეკოლეტერის სროლა დაიწყო. მოცვიედენ მეფის ნაცვლის სასახლის  
მოდარიჯე ყაზახთა რაზმის ჯარისკაცები, პოლიციელები; პათ ალყა  
შემოარტყეს გიმნაზიას, შეცვიედენ შივ და დაიწყეს იქაურობის აქ-  
ლება. როგორც შემდეგში იქ იმ დროს მყოფმა მასწავლებელმა და  
ჩენი პარტიის წევრმა ხარ. ლლონ ტმა გვიამბო, იმ საღამოს მას-  
წავლებელთა თათბირი უნდა გამართულიყო. ზოგიერთი მათგანი—  
ს ერგო გორგა ძე, იუსტინე აბულა ძე და სხვები უკვე შე-  
გროვდიყვნენ. შიო ჩიტაძეს თავის თახაში ეძინა. როცა მასწავლე-  
ბლებს ყუმბარისა და გიმნაზიის აკლების ხმაურობა გაეგონათ, გა-  
რეთ გამოსულიყვნენ, უკანა პატარა ეზოში. შიო ჩიტაძე ყუმბარის  
ხმამ გააღვიძა, გადაიხედა ფანჯარაში და მასწავლებელს სოხოვა,  
ზევით ასულიყვნენ. როცა ხმაურობა გაძლიერდა და ჩიტაძის კაბი-  
ნეტს მიუახლოვდა, ჩიტაძე გავიდა ამბის გასაცებად და შესაძლებელ  
ღონისძიებათა მისაღვბად. დაუნახავს მისკენ მომავალი ყაზახები და  
უკითხავს:

— Что тут происходит, что вы тут делаете?

ყაზახებს მაშინვე თოთვი დაუხლიათ შებლში და განგმირული  
შიო იქვე წაქცეული. მოცვიედენ სხვა ყაზახებიც, მიგარდენ ღლონტს  
და იუსტინე აბულაძეს, დასჭრეს ისინი და უეჭველად მოჰკლავდენ,

7 ივლის შიო ჩიტაძე მიხეილის სახვადეცოფოლის კუნძულის საფლაოზე გიგასვენეთ. დიდიალი ხალხი მოგროვდა. იყვნენ ყველა წარტიის წარმომაღენლები წითელარშიან გვირგვინებით. პროცესიას წინ მოუქმოდა პოლიციელთა ძლიერი რაზმი, უკან ყაზახთა ცხენოსანი რაზმები. საფლავზე სიტყვები წარმოსთვეს ს.-ფ., ს.-დ პარტიის წარმომაღენლებმა.

დაითხოვეს.  
გამოძიება დატუსალებულ მასწავლებელთა შესახებ კარგა ხასს  
გაგრძელდა. ნამეტურ ხელს უჭირდენ ხარლამპი ღლონტს. ამ-  
ტკიცებდნენ, რომ მონაწილეობა მიიღო ყუშბარის გადაგდების საქ-  
მეში და, საერთოდ იმეორებდენ: ქართული გიმნაზიის რევოლუციო-  
ნერ მოსწავლე ახალგაზრდობის ხელმძღვანელიათ. დიდი მეცადინეო-  
ბის შემდეგ მოხერხდა შიოთ განთავისუფლება სატუსალოდან და გა-  
მოძიებისაგან: ესცე იმიტომ, რომ შედარებით სინილისიერსა და გო-  
ნიერ პროფესიონალს ჩაუვარდა ხელში საქმე. ღლონტი მაინც სამშენე-  
დარჩა პოლიციის თვალში და თვალყურს არ აშორებდენ; ბოლოს  
იძულებული გახდა ბაქმში გადასულიყო მასწავლებლად.

გავიდა ზემოთაღწერილ ტრაგედიის შემდეგ ერთი თუ ორი გავიდა ზემოთაღწერილ ტრაგედიის შემდეგ ერთი თუ ორი თვე, ჩემს ოთხში გზივარ. ვიღაც კარი დააკაუნა. შემოვიდა მა- ბალი, ახალგაზრდა ოფიცერი ბრწყინვალე გვარდიის მუნდირში გა- მოწყობილი. გამეცნო, შიო ჩიტაძის ცოლის ძმა გირი.



— პეტერბურგიდან ჩამოვედი, განაგრძო მან, ჩემი უბედული დისა და სიძის ამბის გასაგებად. თქვენთან მიმასწავლეს, მითხრეს, რომ თქვენ შევიძლიათ ამისნათ, რაშია აქ საქმე?

მე დაწვრილებით მოვუყევი, რაც ვიცოდი შიოს მოკვლის შესახებ. ავუსტინი, რომ იგი არაფერ შუაში იყო, რომ იმ წუთს დამშეცდებით ეძინა თავის თათაში, მაშასადამე, არც კი იცოდა, რომ იქ ყუმბარა უნდა გაესროლათ — შემდეგ დაწვრილებით გადავცი, რა მდვომარეობა შეიქნა საზოგადოდ კაგვასიაში და კერძოდ შეფილისში, როგორ დარაზმა აღმინისტრაციამ და ოფიცირობამ შევრაზმელობა, რა და რა სახის პროვოკაციები ხდება, როგორ აწიოკებენ ხალხს, რამდენიმე უდანაშაულო მსხვერპლი შეიიწირა შირინკინების, გრიაზნოვებისა და გოროდცოვების პოლიტიკამ.

— ეს მიბრძანეთ, გამაშუებულინა სიტყვა ოფიცირმა, შიო მართლა იყო სარევოლუციით პარტიის წევრი?

— იყო, ს.-ფ. პარტიის წევრი.

— აი ეს გარემოება შემიშლის ხელს დამნაშავეები მოვქებნოდა ჩემი დის დამღვაწევლინი დავსაჯო. პირში ბურთს ჩამჩრიან, — თქვენი სიძე რევოლუციონერი იყოვთ. აქ მაინც ვერაფერს მოვახერხებ, პეტერბურგში ვეცდები. თუ რომე გავაშუვე, გაცნობებთ ჩაიწერა ჩემი მისამართი და გამომეთხოვთ. ამის შემდევ ის არც მინახავს და არავითარი ცნობა მისგან არ მიმიღია. ალბალ დაარწმუნეს, რომ შიო ბარბაროსულად მოკვლის ღირსი იყო.

\* \* \*

შიო ჩიტაძის დასაფლავების შემდეგ ისევ გაგრძელდა ჩვენი კონფერენცია. ახლა შევიკრიბეთ სოფელ რეხაში, ძეელ ნაროლნიკის ასიკო ერთის თავის სახლში. გაგრძელდა კამათი საპროგრამო საკითხებზე. გოგელიამ წამოაყენა თავისი კონტრ პროექტი, რომლის დედააზრი იყო: საზოგადოებრიობა შეიძლება სახელმწიფოს გარეშე, სოციალიზმი უნდა აშენდეს არასახელმწიფოებრივ ფორმებშით. მოლოს წარმოდგენილ იქნა ორი რეზოლუცია: ერთი მთავარ კომიტეტის პროგრამის მიხედვით, მეორე ანარქისტ-მემარცხენებისა. უკანასკნელს ხმა მისცა თერთმეტ ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ამრიგად ფაქტოურად პარტიაში განხეთქილება მოხდა, ბევრნი, უმეტესად მემარჯვენეები, პარტიიდან გავიდენ. შემდეგ ხანგბში საქართველოში ამ ელემენტებისაგან დაარსდა ნაციონალ-დემოკრატების პარტია. მთავარი დამარსებელი ამ პარტიისა იყო ჩვენი პარ-

ტის ყოფილი წევრი—სპირიდონ კედია, ენერგიული პოლი-  
ტიკური მოღვაწე და კარგი ორატორი. მასაც ბევრი გაჰყენა ჩვენ-  
გან მემარჯვენე ფრთიდან.

ამნაირად ჩვენი პარტია თავისთვად გაიწმინდა, ჯერხანად  
შემცირდა, მაგრამ შემდეგ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა, ვიდრე  
ოდესმე ყოფილიყო. შემდეგ წელს ტფილისში გაიმართა გიორგი  
ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით მეოთხე კონფერენცია, რომელ-  
ზედაც საბოლოოდ დამტკიცდა გრ. რცხილაძის მიერ შემუშა-  
ვებული პროგრამა.

დაახლოებით ამდროინდელ ჩვენი პარტიული კრიზისის დასა-  
ხასიათებლად მომყავს ამონაწერი გიორგი ზდანოვიჩის ერთ-  
ერთ მეგობართან მიწერილ პარათიდან: „-ის დიუქერენციაცია,  
რომელიც ახლა ჩვენს მიმართულებაში ხდება, უსათუოდ დაუ-  
კარგავს ფედერალისტებს იმ ხასიათს, რომლის გამოც თქვენ  
ბრძანებთ, რომ ისინი ხანდახან ორ სამჩე სხედანო. ჩემის ფიქრით,  
ნაციონალურ იდეასა და სოციალიზმს შორის არავითარი შეური-  
გებლობა არ არსებობს, მაგრამ წინააღმდეგობა უსათუოდ იჩენს  
თავს იმ მიმართულებაში, სადაც ზოგიერთი სოციალისტია, ზოგი-  
ერთი კი—არა, და იმავე დროს ორივეს აერთებს ნაციონალური  
კითხვა—ბოლოსდაბოლოს უსათუოდ იდეური კრიზისი უნდა დად-  
გეს და ასეც ხდება ახლა ჩვენში“.

ცოტა ხნის შემდეგ რუსეთსა და ჩვენშიაც დაიწყო არჩევნები  
მეორე სათათბიროს დეპუტატებისა. ახლაც არჩევნებს წინ უძლოდა  
სოციალისტურ პრესაში კამათი ბოიკოტის შესახებ. ჩვენს გაზეთში  
სადისკუსიო წერილები იბეჭდებოდა, კიდევ იყვნენ ბოიკოტის მომ-  
ხრენი, მაგრამ გაცილებით შეარბობდა ამ აზრის მოწინააღმდეგეთა  
რიცხვი. ბოლოს მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა არჩევნებში  
მონაწილეობის მიღება და გამოსცა საარჩევნო პლატფორმა, რომ-  
ლის შინაარსი დაახლოებით ახეთი იყო: სახელწიფე სათათბირო  
იარაღია საჩვენლურიო ბრძოლის განსაზღვრობად; ბრძოლის უახ-  
ლოესი მიზანია—დამფუძნებელ კრების მოწვევა, რომელიც საბო-  
ლოოდ დამყარებს მშრომელი ხალხის უფლებას და შექმნის დემო-  
კრატიულ სახელმწიფოს, ფედერატიულ საფუძვლებზე; ამასთანავე  
დამფუძნებელი კრება მშრომელ ხალხს გადასცემს საერთო სამფლო-

ბელოდ მიწას და შემოიღებს ფართო მუშათა კანონმდებლობას. სათათბიროს დეპუტატებს უნდა დავალებოდათ ბრძოლა რეპრესიების მოსპობისა და დაპირებულ თავისუფლებათა დაკანონებისათვის, აგრეთვე ბრძოლა დაცულენებელ კრების მოწვევისათვის, საარჩევნო ტაქტიკა იყო — სადაც შესაძლებელია საკუთარ დეპუტატების არჩევა, სადაც არა შეთანხმება იმ პარტიებთან, რომელთაც დაახლოებით ჩვენი საარჩევნო პლატფორმა ექნებათ.

მასხსევს ამ პლატფორმის შესახებ — ს. — და „ტალღა“ აგვი-ჯანყდა: რა იქნა სოც.-ფედერალისტების სოციალიზმი, რატომ სა-არჩევნო პლატფორმაში არაფერიაო. რა უნდა ყოფილიყო ამ ხანებში საარჩევნო პლატფორმაში იმაზე მეტი, რაც ჩვენ გვქონდა, ეს ისევ საიდუმლოებად დარჩა, რომელიც ხანგრძლივ კამათშიაც ვერ გამოვარკეთ.

მაშინ ხმები დადგოდა, რომ საარჩევნო კანონი შეცვლილი იქნებათ, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა და არჩევნები ძველის კანონით დაიწყო. სამაგისტროდ მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები, აკრძალეს კადეტთა პარტიის კონფერენცია, არ დაამტკიცეს მშვიდობიან რეფორმათა პარტიის დებულება, ხოლო სარევოლუციო პარტიების ლიდერები დაატუსალეს, ან იძულებული გახდეს არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყვნენ, ბეჭვდითი სიტყვა შეჩერულულ იქმნა. კრებები და ავიტაცია აკრძალეს. მიუხედავად ასეთი ზომებისა, მთავრობა მაინც დამარცხდა; მეორე სათათბიროც უმთავრესად ოპოზიციის და რევოლუციის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა: საქართველოდან დეპუტატებად ყველა სოც.-დემოკრატები აირჩიეს. ქალაქ ტფილისის წარმომადგენლად ახლა არშაკ ზურაბიანი გავიდა.

დაიწყო ისევ ბრძოლა თვითმპურობელ ბიუროკრატებსა და სახალხო წარმომადგენლობას შორის. მთავრობა დიდი უკმაყოფილო იყო და მხოლოდ საბაბს ეძებდა ამ სათათბიროს დათხოვნისათვის. ამ სათათბიროშიაც შესდგა ავტონომისტების ფრაქცია სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან. ოდესელ დეპუტატის პერგამენტის მეთაურობით საქართველოს დეპუტატები ამ ფრაქციებში არ შესულან.

\* \* \*

იმ ხანებში საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ის უკვე 70-იან წლებში გაიცა ევროპაში და ცხოვრობდა უმთავრესად ლონდონში. მეგობარი იყო ყველა ცნობილ ანარქისტებისა—კროპოტკინის, ელიზე რეკლიუსი და სხვებისა. ამავე დროს იქიდან მთაწილეობას იღებდა ჩვენს პრესაში. თავგამოლებული დამცველი და მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა. უცნაური იყო, რომ ეს უკიდურესი სოციალისტი, საქართველოს დამოუკიდებლობის, ან ავტონომიის საკითხს „იცავდა არა საერთო სამართლიანობის“ მიხედვით, არა სოციალისტურ თვალსაზრისით, არავედ ქართველ ერის ისტორიული უფლებით. ყოველთვის კამათში წინ აყენებდა ჩვენი მეფეების ტრაქტატებს რუსთის თვითმშეკრობელებთან. ამ საკითხზე მან ტფილისში ჩამოსვლისას ჩამდენიმე ლექცია წაიკითხა. ერთმა ლექციაში. ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში დიდძალი ხალხი მიიზიდა. კამათი მეტად გამჭვავდა; მოწინააღმდეგენი უზილენ მომსენებელს, განხრახვა პეტრიდათ კრება ჩემშალათ, ატყვა აურზაური. საზოგადოება ირია, ჩერქეზიშვილს შემოერტყნენ შეიარაღებული ახარქისტები. გაისმა მიხაკო წერეთლის რიხიანი ხმა მოწინალი ახარქისტები. გაისმა მიხაკო წერეთლის რიხიანი ხმა მოწინალი აღმდეგეთა მიმართ; ამან უფრო ააღვლვა კრება და თავმჯდომარე იძულებული გახდა იგი შეეწყვიტა. ასეთ პირობებში იმართებოდა ხშირად იმ დროს ავტონომიაზე აკადემიური კამათიც კი.

ვარლამ ჩერქეზიშვილს იმდენად სწამდა ჩვენი ერის ისტორიული უფლების სიძლიერე, რომ დაუცხრომლად შეუდგა პროპაგანდას—მომავალ ჰავაის საერთაშორისო კონფერენციას უნდა წარედგინოს ჩვენი ერის მოხოვნა საქართველოს ავტონომიისამ. წარინგ მართლაც დაიწერა ამის შესახებ დასაბუთებული მემორანული და ჰავაის კონფერენციას წარედგინა. არ ვიცი, რა ბედი ეწია ამ მემორანულს, მაგრამ ვარლამ ჩერქეზიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თუ ახლა არა, მალე მთელი ევროპა იცნობს დარწმუნებული, რომ თუ ახლა არა, მალე მთელი ევროპა იცნობს ქართველ ერის ისტორიულ უფლებას და დაეხმარება ქართველ ერს თავის უფლების მოპოებაში, თუ რასკვირველია, ქართველი ხალხი ბრძოლის განაგრძობს.

ამ დროს დაკეტეს ჩვენი გაზეთი „მეგობარი“. შემდეგი გაზე-თის ორგანიზაციის საქმიანობას შეეუდევქით, როცა სამი უცნაური ტიპის, შეხედულების და ტანსაცმელის კაცი შემოვიდა რედაქციაში. ტიპის, შეხედულების და ტანსაცმელის კაცი შემოვიდა რედაქციაში. იმ დღეებში გაგე-ერთი უკვე ხანში შესული, ხრი ახალგაზრდა. იმ დღეებში გაგე-

ბული გვქონდა, რომ ტუილიში სპარსეთიდან ჩამოვიდენ ფერეიდანელი ქართველები. მაშინვე მიეხვდით, რომ რედაქციაში სწორედ ესენი მოვიდენ. გაგვეცნენ — სპარსელი ქართველები ვართო ონიკა-შვილი და ხუციშვილები. დაისუით. ჩვენი საქმე მივატოვეთ და გარს შემოვუსხდით; სტამბიდან გამოვიდენ ჩვენი ასოთამ-წყობებიც და შემოვიერთდენ. ყურს, ვუგდებდით ამათ უწანურ ბაასს და მეტად საინტერესო ამბებს შორეულ ქართველების შესახებ. დაფიქრებული და თან გაკვირვებული ვუსმენდი მეც ონიკა-შვილის საუბარს. არ მჯეროდა და ჩემს თავს უკითხებოდი: ნუ თუ ეს იმ მრავალ კახელთა შთამომავლობაა, რომელიც 300 წლის წინად სპარსეთის მპყრობელმა შაპ-აბაზმა საქართველოს მოსწყვიტა და შორს, ირანის მთებში გადასტუროცნა? როგორ შეინარჩუნა ამ ხალხმა არსებობა, როგორ შეინარჩუნა ენა და ზნე-ჩვეულება?

80 იან წლებში სპარსეთში გაემგზავრა ჩვენი მწერალი ლადო აღნიაშვილი საგანგებოდ ფერეიდანის დასათვალიერებლად. თავისი მოგზაურობა და ფერეიდანელ ქართველების ცხოვრება მან აგვიშერა უურნალ „მოამბებში“, ონიკა-შვილს ენაზ მაშინ ლადო აღნიაშვილი და, მგონი, იმას წაქეშებით გაებედნათ საქართველოში წამოსვლა.

ფერეიდანელების ჩამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია მაშინ ქართველ საზოგადოებაში. შესდგა კომიტეტი, რომელსაც დაევალი მათთვის მზრუნველობა. წიყვანეს კახეთში და საქართველოს სხვა კუთხებშიც; შემდევ შეაგროვეს ფული, შეიძინეს „დედა-ენა“ და სხვა სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები, მოიწვიეს მასწავლებელი იმ განზრახვით, რომ ფერეიდანში ჩვენი წერა-ეითხვის საზოგადოების სახელით პირებით ქართული სკოლა გაეხსნათ. თითქმის ერთი წელიწადი დაცყვეს სპარსელმა ქართველებმა საქართველოში და დაბრუნდენ მასწავლებლის თანხლებით, მაგრამ ეს უკან დაბრუნება უბედური გამოდგა; საზღვარზე მათ თავს დაესხა ავაზაკთა ბრძო, გაძარცვეს, მასწავლებელი დასჭრეს და ის იძულებული გაბრა უკან დაბრუნებულიყო. რამდენიმე წლის შემდეგ ერთი მათგანი კვლავ ესტუმრა საქართველოს, მაგრამ ყოველი გეგმა კეშირის დაცერისა და იქ ქართულ სკოლის დაარსებისა სრულ დავიწყებას მიეცა.

\* \* \*

1907 წ. აპრილის დამლევს ესერების ცეკასაგან მოგვივიდა მოწვევა ქონჯრესზე. ფინლანდიაში დანიშული იყო რუსეთის სხვადასხვა სარეკოლუციო პარტიათა კონგრესი ეროვნულ საკითხის გასარგვე-

ვად და ზოგიერთ პრაქტიკულ სარევოლუციო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. კონგრესის მოწვევა ითავა ს.-ჩევ.-ის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ყოველ მოწვეულ პარტიას უნდა წარმოედგინა მოხსენება თავის ქვეყნის საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის შესახებ და აგრძელებულ მოთხოვნებზე. ჩვენმა კომიტეტმა გიორგი ზდანოვი იჩი და მე გაგვიზანა კონგრესშე. გიორგიმ შეიმუშავა მოხსენება აგრძელულ პრობლემის შესახებ საქართველოში. მე დავწერე მოხსენება საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობისა და ეროვნულ პრობლემაზე. ჩავედით, თუ არა პეტერბურგში, მე იმ დღესვე მივედი „რუსსკოე ბოგატსტოვ“ რედაქციაში, სადაც ერთი თანამშრომელი ქალი უნდა მეხახა. იმისგან უნდა გამეგო, სახელდობრ, სად უნდა მივსულიყავით ფინანსთა მინისტრი. მივედი ზენებულ ქალთან და უთხარი მისვლის მიზეზი.

— სხვას ორაფერს მეტყვით? მეკითხება ქალი და გაჩუმებული დგას, მე არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ისევ გავუმეორე, რომ მინორისაგან წერილი მივიღე, რომელშიც ნაჩენები იყო ეს გზა კონგრესის მისამართის გასახებად.

ბოლოს ქალი მეკითხება: „პაროლი“ მითხარით. მე ვუპასუხე, რომ მინორის წერილში ორავითარი პაროლი არ ყოფილა.

ქალმა ერთხელ კიდევ აქცედ-დამხედა და შითხრა:

— გენდობით... გარდა ამისა, შორიდან, კავკასიიდან ჩამოსულნართ... თორემ უკან გაგაბრუნებდით.

მომცა მისამართი — ჰელსინგფორსის იქით ერთი სოფლისა, სამწერაოდ სახელი დამავიწყდა, და დასხინა: სადგურზე ფინლანდელი აქტივისტი შეგვხვდებათ და იმას ესა და ეს პაროლი უთხარით.

იმავე ლამეს მე და გიორგი ფინანსთა რეინის გზით გავიმართეთ. დილას ადრე ჰელსინგფორსში მივედით და ჩენი ვაგონის ფანჯრიდან საუცხოვო სურათი გადაგვეშალა წინ: დიდა ვოგზალი გაქცედილი იყო ხალხით; ქალი და კაცი, სულ ახალგაზრდები — ერთ და იმავე ფერად ფორმაში გამოწყობილი; აუარებელი დროშა ფრიალებდა. ეს წლევა ხალხი ეროვნულ პიმნას მღეროდა; შევამჩნიეთ, რომ იქვე ერთ დროშის ქვეშ რუსის ეანდარმი იდგა. ქუდთან აწელლი ხელით ეროვნულ დროშებს სამხედრო სალაში იძლევდა: გავიგეთ, რომ ფინლანდიელი „შევარდენის“ საზოგადოება აცილებდა პრაგიდან ჩასულ ჩეხელ „შევარდენის“. გაათავეს სიმღერა, გაისმა ორკესტრის ხმა და სტუმრების მატარებელი დაიძრა. პატარა ხანს იქით ჩენი მატარებელიკ წავიდა. მე და გიორგი ვაგონში შევბრუნდით და შე-

ვამჩნიერ იქნა ახლოს მჯდომი ორი ქალი, რომელნიც ყურადღებით გვათვალიერებდენ. ერთი მათგანი, მოხუცებული, მაღალი, რამდენ-ჯერმე თითქო ჩვენსკენ წამოვიდა კიდეც. მალე დანიშნულ ადგილზე მივედით. ის ორი ქალიც ჩამოვიდა და მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდენ.

— მე მივხვდი, მოგვიძრუნდა მოხუცებული ქალი, რომ თქვენც კონგრესზე მოდინხართ... მე „ბაბუშკა“ უარ, ბრეშო-ბრეშოვსკაია. თქვენი გვარები.

გიორგიმ თავისი ვინაობა დაასახელა და „ბაბუშკა“, დიდის ალერსით გადაეხება.

— გიცნობ, 50 პროცესის მონაწილე ხარ... ეს ვინდა არისო, მოაშეირა ჩემსკენ ხელი. ესეც ძველი ნაროვოლეცი არისო, მიუ-გო გიორგიმ, ახლა ს.-ფ. პარტიის წევრიო. ბრეშო-ბრეშოვსკაია მეც გადამეხვია. მერე გაგვაცნო თავისი თანამგზავრი,—ეს ცნობილი რევოლუციონერი ქალია ივანოვა, ცეკას წევრიაო. შეგვხვდა ახალ-გაზრდა აქტივისტი, რომელმაც სოფელში წაგვიყვანა და ერთ დაღ სახლში მიგვიყვანა კონგრესის ბინაზე. იქ უკვე ბევრი ხალხი ირეო-და. წარვუდექით საორგანიზაციო ბიუროს, წარვუდგინეთ ჩვენი მან-დატები.

კონგრესზე მოშვეული ყოფილიყო თერთმეტი სარევოლუციო პარტია სხვადასხვა ერისა, რომელთაგან ზოგ პარტიას სხვადასხვა მიზეზის გამო წარმომადგენლები არ გამოეგზავნა, იყვნენ: ს.-რევ., პოლონენტის სოც. პარტია, ბელორუსების „გრომადა“, ფინლანდიის „აქტიური წინააღმდეგობის“ პარტია, ებრაელთა პროლეტარიატის სოც. პარტია („სერპ“) საქართველოს სოც.-ფუდ. პარტია, სომხური „დაშნაკუტუნა“. კონგრესმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ეროვნული საკითხი და სოციალიზმი;
2. ფედერაცია და ავტონომია;
3. მცირე ერების უფლებათა გარანტია;
4. ავრარული საკითხი სხვადასხვა რაიონსა და ერში;
5. რუსეთის თვითოული ერის დღევანდელი პოლიტ-სოც-მდგომარეობა და

#### 6. პრაქტიკული საკითხები.

პირველად კონგრესს წარედგინა მოხსენებანი თეორიული სა-კითხების შესახებ: „სოციალიზმი და ეროვნული პრობლემა“. მომ-ხსენებლები სხვადასხვა მხრით შეეხნენ ამ საკითხს: რა არის ხაცია, ეწინააღმდეგება თუ არა ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა მშრომელ ქლასის თანამედროვე ბრძოლას. ეროვნული საკითხი

კლასთა ბრძოლის შინედვით, ეროვნული პრობლემა ბურუუაზიული და სოციალისტურის თვალთახედვით და სხვა.

საერთოდ მომხსენებლებმა იღიარეს უდიდესი მნიშვნელობა ეროვნულ პრობლემისა, კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრებაში საზოგადოდ და სოციალისტურ მოძრაობისათვის კერძოდ; დამტკიცეს, რომ თუ ეროვნული საკითხი დღესვე არ გადაწყდა ჯეროვანად, იყი დიდი შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცევა სოციალისტურ მოძრაობისათვის; თანამედროვე ეროვნული ქიშინაბა და ერთი ერისგან მეორის დაჩაგრია ხელს უშლის სწორედ მშრომელ კლასთა საქმეს: აგვიანებს მათ გათვითცნობიერებას და აფერხებს მათ კლასობრივი ბრძოლასათ.

როგორ უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი თანამედროვე ბურუუაზიულს ხანაში და უმთავრესად რუსეთში, ამ მრავალ ერის სახელმწიფოში? ამ საკითხის განხილვას შეუდგნენ მეორე რიგის მომხსენებლები, რომელთაც წარუდგინეს კონგრესს მოხსენებანი ფედერაციის და ავტონომიის შესახებ და აგრეთვე იმ ლონისძიებათა შესახებ, რომელებით უზრუნველყოფილი უნდა იქმნან მცირე ერთა უფლებანი. ფედერაციის პრინციპი კონფერენციის მიერ ერთხმად აღიარებულ იქმნა, როგორც აუცილებელი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო მომავალი რუსეთის სახელმწიფო წყობილება. კერძოდ ავტონომიის საკითხში კონგრესშე: ერთი (ს.-რევ., პოლონელები და ქართვ. ს.-ფედ.) იცავდენ ტერიტორიალურ ნაციონალურ ავტონომიებს; იმ ერებს, რომელთაც განსაზღვრული ტერიტორია აქვთ, უნდა მიენიჭოთ ავტონომიური წყობილება სრულ დემოკრატიულ საფუძველზედათ, ხოლო ამათ საზღვრებში მცხოვრებ სხვა მცირე ეროვნულ ერთეულების უფლებანი უზრუნველყოფილ უნდა იქმნას საზოგადო სახ. კანონებით და ავტონომიურ კანონებითაც (თავისუფალი სეილა, ეკლესია, პრიაპორციონალური წარმომადგენლობა აღვილობრივ სეიმებში და სხვა გარანტიები).

უნდა აღნიშნოთ იქვე, რომ კონგრესში ერთხმიდ აღიარა: ტერიტორია განსაზღვრება რყალურისა და ორა ისტორიულის პრინციპის მიხედვითათ.

მეორენი (ებრაელთა სოც. პ., სომხ. „დაშნაკც.“) იცავდენ წმინდა ეროვნულ ავტონომიებს. გარდა ტერიტორიალურ ავტონომიებისათ, ამჟობდენ ისინი, ყოველ ერს, მიუხედავად ტერიტორიისა, ნება უნდა ჰქონდეს შეაღგინოს ეროვნული კავშირი იძულებითის ხესიათისა, რომელმაც უნდა განავოს ამ ერის კულტურული საქმეებით. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ებრალები: ამათ საკუთარი ტერიტორია

არა აქვთ; ამიტომ ისინი გაბდებიან ან პოლონეთის, ან უკრაინის ან ველიკოროსის ავტონომიების მოქალაქებად. ამ ავტონომიებში მათ უნდა მიენიჭოთ ყველა უფლება; ზემდეგ ჟეველა ებრაელი, სადაც კი უნდა ცხოვრობდენ, ზეაღვენენ განსაკუთრებულ ეროვნულს კავშირს, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობანი ექნება (პოლონეთში, უკრაინაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა) და ერთი ცენტრალური ებრაელთა სეიმი, რომელსაც საკრონმდებლო უფლება ექნება კულტურულ საქმეებში და რომელსაც ყოველმა ტერიტორიალურმა ავტონომიაზ ბიუჯეტის ნაწილი უნდა დაუთმოს თავის საქმეების განსახორციელებლად.

ამ ტიპის აეტონომიების დამცველი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უამისოდ არ შეიძლება მცირე ერთა უფლებების დაცვა ისეთ აქტე-ლებულს ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. ყოველს ახალს ტერიტორია-აში მოხვდება რამოდენიმე სხვა ერი, რომელიც ისევ დაჩაგრულნი იქნებიან, როგორც ცენტრალისტურს რუსეთში იყვნენ, თუ მათი საეროვნო-საკულტურო საჭიროებანი გამოყოფილ არ იქმნენ ტერ. აეტონომიის კომპენტენციიდან და არ გადაეცნენ ეროვნულ კავში-რებს დამოუკიდებელ წარმოებისათვის.

შემდეგ კონგრესმა მოისმინა ოვითეულ პარტიის მოკლე მოხ-  
სენებანი თვის ეროვნების სოც. პოლიტიკური მდგომარეობის შე-  
სახებ. საერთოდ გამოირკეთ, რომ ყველანი ბეჭითად მიისწოდა  
ავტონომიურ წესწყობილებისაკენ, რომ ამ მხრით ყველან შედარე-  
ბით ერთსულოვნება სუფექს. ამ მოხსენებამ მცირე კიბათი გამოი-  
წვდო კერძოდ საქართველოს შესახებ. კონგრესმა დიდის ყურადღებით  
მოისმინა ჩემი მოხსენება, რადგან ძლიერ ნაკლები წარმოლენია პე-  
ნდათ ყველას ჩვენი ქვეყნის მაზინდელ ჭირ-ვარამხე. კონგრესი დაინ-  
ტერერესდა და უმთავრესად შემდეგ შეკითხვებს მაძლევდენ: რით აიხ-  
სნება, რომ საქართველოს წარმომადგენლებად გარტო ს.-დ. არიან  
სათათბიროში, თუმცა საქართველო უფრო მიწათმოშედების შევ-

յանա լծ առա ցանցութարկեթվու մհե՞լցըլողածուս. հոտ օսեսնցձա, հոմք յարտզելու և-լ. Քինածլմդցոյա ազթոնոնմուսու, հոռպա պացըլ յրուս ևո- ւուալուսթյուրո քարթոյցի առա տու ազթոնոնմուսու, ևրուլս գամուցիւ- թլութասաց արհեցցոն ճա ևնցա. Տանըթուրցու ոյու, ևնցատա Շոհուս, աց- թոնոմունչ քացասուամու „Ժամնակությունիս“ Քարմումաւենցութա անհո. մատուս Ցեցելուլցիտ ամոյր-քացասուամու մանոնցը շնճա ցանեսրուցըլու- նցլուսու ցուցըրացու, հոմելմծուաց Ցյուլցիմաւագարած մոյթպածուծու ցրոցեյլ-Երկորուրուրուալուրո ազթոնոնմուցիւ; Ամոյր-քացասու լա- ցու Ցրաթէիծալ; Ցոցի, հոցուրու մացալութա յարտզելութէն, Ցյու- յոցա Ցրաթէիծալ; Ցոցի, հոցուրու մացալութա յարտզելութէն, հուցան մատ ցանեսածլու- լցիւթա Ցմոնճա ցրոցեյլ Ցրաթէիծա Ցյուլին, հուցան մատ ցանեսածլու- րուլու Ըստուրուրու այցտու. ևնցա ցրութէն յու պայրու հուունուլ Ցրա- թէիծա լաւահսցիւ մուշեցիւթատու; Տայրութա ամ Ցրաթէիծա ցրու Տայ- լու միուու ցրություլու շնճա Ցյուլցինոնք քացասուսու Տայրութա Տայ- լու միուու ցրություլու շնճա Ցյուլցինոնք քացասուսու Տայրութա Տայ-

“შემდეგ კონგრესშია მოისმინა მოხსენებები თვითეულ პარტიის აგრძარულ საქითხის შესახებ. გორგი ზდანოვიჩი ს მოხსენებამ დაიდი ინტერესი გამოიწვია. საზოგადოდ გამოირკვა ყველა ერის ს.-რევ. პარტიების აგრძარული პროგრამის ნათესაობა. ესერების პროგრა- მასთან უფრო შორეული აღმოჩნდა პ. პ.-ს.-ის პარტიის პროგრამა, რომელიც მახლობელ დროში ვერ სცნობდა შესაძლებად სოციალი- ზაკიის პრინციპის ჭარბორციელებას პოლონეთში.

ბოლოს კონგრესმა შემდეგი რეზოლუცია მიიღო: აგრძელებლი  
საკითხი უნდა გადაწყვდეს ადგილობრივ ავტონომიებში; ხოლო თუ  
ეს საკითხი მთელს რუსეთში უფრო აღრე გადაწყვდა, ვიდრე ავტო-  
ნომიები დაარსდება, მაშინ ეროვნულ ს.-რევ. პარტიები ემხრობიან  
ნომიები დაარსდება, მაშინ ეროვნულ ს.-რევ. პარტიები ემხრობიან  
ესრების პროგრამას იმ ცვლილებით, რომელსაც დაინტერესებული  
პარტიები უჩენებენ. მეცუთე დღე კონგრესმა მოინდომა პრაქტიკულ  
საკითხების განხილვას. სხვათა შორის გადაწყვდა რუსეთის ერთა სოც.-  
რევ. პარტიების კონგრესი მულმივ დაწესებულ ბაზ გადაჭიდულიყო.  
რევ. პარტიების კონგრესი მულმივ დაწესებულ ბაზ გადაჭიდულიყო.

ფინლანდის ძეტივისტებმა დიდი სტუმართმოყარებული გარშობის დროის პატივი გვცეს. კონგრესისთვის მოხერხებული სადგომი იყო

მოძებნილი დიღი დარბაზით სხდომებისათვის, კაბინეტებით ფრაქციებისათვის, სასადილო ოთახით და სხვა. საუზმეს და სადილს იქვე გვაძლევდენ, ძალიან იაფად და გარგს. მთელი დღე იქვე ვიყავით და გრძელდებოდა სხდომა. საღამოს ჩვენს ბინაზე მივღილოდით. ბინები გვერნდა გლეხების სახლებში. ყველა, ვინც პირველად გიყავით ფინლანდიაში, გაგვიკირვა ადგილობრივ გლეხთა ყოფა-ცხოვრებამ. მშვენიერი სახლები, კარგი ჭამა-სმა, შრომისმოყვარე და მეტად პატიოსანი ხალხი. დიღი კულტურა აშეარად ეტყობოდა ამ ხალხის ყოფა-ცხოვრების ყოველ მხარეს: გიორგი და მე პირველად რომ მივეღით ჩვენთვის დანიშნულ ბინაზე, განციფრებული ვათვალიერებდით ყველაფერს. გრძელსართლიანი მშვენიერი სახლი ოთხი დიღი ოთახისგან შესდგებოდა. ერთ ოთხში მოთავსებული იყვნენ ცოლ-ქმარი, მეორეში მათი ქალები, მესამეში ვიუები, მეოთხეში საერთო სასადილო და სტუმრების მისაღები ოთახი იყო. იატაკი ყველა ოთახში ლინოლეუმით იყო დაფენილი, საუცხოვო სისუფთავე იყო. სასადილო ოთახის ერთ კუთხეში მაგიდა იდგა და ზედ ტელეფონი, სხვადასხა წიგნები, საანგარიშო და სხვა.

ჩეკონტივის ვაკების ოთახი დაეთმოა. შიგ დაგვეხდა ორი კრა-  
ოტი, სუფთა და მშენებელის ლოგინ-მოწყობილობით. მეორე დღეს  
გამოვიკითხეთ და აღმოჩნდა, რომ სხვა დელეგატების ბინებიც ასე-  
თივე იყო. საღამის და დილით ჩეკონი მასპინძლები მიგვიწვდენ ყა-  
ვასა და საუზმეზე. ყავასთან მოგვიტანდენ რძეს, კარაქს, ყველს და  
რამეს ხორცეულს. პირველ საღამოსვე ჩეკონი მასპინძელმა გლეხმა და  
იმის უფროსმა შეილმა ბაასი გააძეს ჩეკონან, შევდური ენა საქმიანდ  
ჰეგავს გერმანულს და გიორგი ზდანოვის ცოტათი ესმოდა  
მათი ლაპარაკი. გლეხმა რაღაც სოქვა და შერში აიშვირა ხელი,  
თან მამაცა და შეილიც გულიანად იცინოდენ. გიორგიმ ვერ გაიგო,  
რაში იყო საქმე, გლეხმა უფრო ვრცლად გაიმეორა და ხელით ჰერს  
გვანიშნებდა. როცა შეგვატყო, რომ ვერაფერი გავიგეთ, აიღო მაგიდი-  
დან შევდური გაზეთი და გიორგის ანიშნა ერთი ადგილს; გიორგიმ გა-  
დაათვალიერა გაზეთი, იპოვა იქ, რომ ლაპარაკი სახელმწიფო სა-  
თათბიროს ეხება და მაშინ მივხვდით, რაზე იცინოდა მამა და შეი-  
ლი: რამდენიმე კვირის წინ სახელმწიფო სათათბიროს შენობაში,  
თავრიდის სასახლეში, სწორედ საპარლამენტო სხდომების დარბაზ-  
ში, ჰერი ჩამოინგრა. სხდომის დროს რომ მომზდარიყო ეს სამარც-  
ხებინ ამბავი, ძალიან ბეჭრი დეპუტატი გაისრისებოდა. შევდელი  
გლეხები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს უბრძური შემთხვევა კი არ  
იყო, არამედ მთავრობამ განზრას დააზიანა ჰერი, უნდოდა დეპუტა-

ტების გაფლეტა, მხოლოდ ჭერი შემთხვევით აღრე ჩიმოინგრა და დეპუტატები გადარჩენენ.

ვინ იცის, იქნებ ამ გლეხთა იჭვი სიმართლეს მოკლებულიც არ იყო.

შეეჭვს დღეს კონგრესი დასრულდა და მონაწილენი დაიშალნენ. გიორგის და მე ებლა დღისით მოვგიხდა ფინლანდიაში მგზავრობა. და მთელი გზა ფანჯარასთან ვიდექით. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ყველაფურმა, რასაც ვხედავდით. ეს ხრიკი ქვეყანა, ლარიბი ბფებით, ნამდვილი დასავლეთ ევროპა იყო და არა რუსეთი. კარგად დამუშავებულ მიწა, ფაბრიკა-ქარზნები, მოსახლეობის კეთილდღეობა, ქალაქის გარეგანი კეთილ-მოწყობა, სასოფლო მეურნეობის, უმთავრესად საქონლის მოვლა-მოშენების საქმის განვითარება—ყველაფერს ეტყობოდა მაღალი კულტურა და მოსახლეობის დიდი ენერგია.

საღამოს პატერბურგში ჩავედით. გიორგი იქვე დარჩა მარგანეცის საქმეებზე, მე მხოლოდ დღენახვარი გავწერდი, რათა კვლავ არ მიმექცია პოლიციის დეპარტამენტის ყურადღება. მეორე დღეს თავრიდის სასახლეში წავედით და სათათბიროს სხდომას დავესწარით. მოვისმინეთ ს.-დ. ოზორის გრძელი სიტყვა: რაღაც შეკითხვას იცავდა რიგის სატუსაღოში, „ოხრანკაში“ მომხდარ ამბების შესახებ. მოვისმინეთ პური შეკევიჩი, კადეტების რომელიდაც ორატორი. შემდეგ ვესტუმრეთ ს.-რევ. ფრანკციას. იმათი პრეზიდიუმი დი დ ფაცა-ფუცში იყო: ჩერნოვის ხელმძღვანელობით მზადდებოდა სათათბიროში წარსადგენად ესერების აგრარული კანოპროექტი. ს.-რ. დეპუტატები პესიმისტურად უყურებდენ მეორე სათათბიროს მომავალს. სათათბიროს მაღალ აუცილებლად გარეუკვენო, ამბობდენ ისინი. მთავრობა მხოლოდ მარჯვე საბაბს ეძებს; აქამდისაც დაითხოვდა, არ მოერცდებოდა, მაგრამ ამჟამად ევროპაში დიდი სესხის აღება უნდათ და ეშინიათ, სათათბიროს დახურვამ ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს. იქ და სესხის საქშე არ დაბრკოლდეს. ყოველ შემთხვევაში სათათბიროს დღეები დათვლილია, დასძინეს დეპუტატებმა. და ისიც მოსალოდნელია, რომ მთავრობა შეეცდაბა საარჩევნო კანონის შეხღუდვისათ.

იმ ხანებში სათათბიროში შეტანილი იყო შეკითხვა ა/კავკასიის საქმეებზე, მაგრამ ამ შეკითხვასაც ის ბედი ეწია მეორე სათათბიროში, როგორიც პირველ სათათბიროში შიო ჩიტაძის მოკვლის გამო შეტანილ შეკითხვას: სათათბიროს დათხოვნის გამო მას არ ჰლირსებია კანონიერი და ნორმალური მსვლელობა-დამთავრება.

### XXX

მეორე ხათათბიროს დახოვნა.—სტოლიპინის coup d'etat და მე-III ხათათბიროს არჩევნები.—ბოიკოტის თაქტიკა და ვ. ჩერქეზიშვილი.—რეაქციის გაძლიერება. —ილია ჭავჭავაძის ტრაგიული ხიკვდილი და დახაცლავება. —ქართული ხაზოვანობრივი დაწესებულებანი.—აკაკი წერეთლის თებაზე.

ტფილის დავბრუნდი მაისში. არ გაუვლია ამის შემდეგ ერთ რესაც და დეპეშითა სააგენტომ გვაცნობა მეორე სათათბიროს გარეკანის ამბავი. მთავრობამ საბაბი მალე იშოვა. მაისში, დეპუტატ თზოლის ბინაზე დაატუსაღეს პეტერბურგის გარნიზონის ჯარისკაცთა ჯგუფი. ჯარისკაცთა აქ სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის წევრები ენახათ და მასთან მოლაპარაკება გაემართათ. „ოხრანკას“ წინადაც შეუმჩნევია დეპუტატების კავშირი ჯარისკაცებთან. აქედან მთავრობამ დაასკვნა, პეტერბურგში იჯანყება მშადდებაო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ხელმძღვანელობითათ. დეპუტატები „შეიძყრეს და მალე გაასამართლეს, გაგზავნეს კატორდაში; მათ შორის იყო კაკი წერეთელი. ეს ის წერეთელია, რომელზედაც წინათ მქონდა უკვე ლაპარაკი, დავით მელიქიშვილს რომ ეკამათებოდა. როგორც სტუდენტობაში მიიპყრო მან ყურადღება, ისე ახლაც ყველა მტერიცა და მოყვარეც დიდის ყურადღებით უსმენდა ძლიერ მჭერიერ მუშაობას დეპუტატს.

სათათბიროს დათხოვნას მოჰყვა ის, რაც პეტერბურგში ყოფნის დროს ს.-რ. დეპუტატებმა იწინასწარმეტყველეს და რაზედაც მე და გიორგი ზდანოვის გვესაუბრნენ: საარჩევნო კანონის შეზღუდვა დამახინჯება. იმ დროის დიქტატორი სტოლიპინი ნამდვილ coup d'estat-საც არ მოერიდა. დაარღვია სახელმწიფოს ძირითადი კანონები და პარლამენტის გარეშე გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც გააძლიერა მემატულეთა უფლებანი და შეზღუდვა მშრომელ ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებაში. ახალი საარჩევნო კანონი 3 ივნისს გამოცხადდა. ორი დღის შემდეგ სტოლიპინმა უკვე არჩევნების ინსტრუქცია დაუგზავნა გუბერნატორებს და განკარგულება გასცა, დაუყოვნებლივ შესდგომოდენ საარჩევნო სიების დამშადებას. ყველა ეს ცხადად მოწმობდა, რომ მთავრობას კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მე-III სათათბიროს



გარეება და წინდაწინვე დაეწყო მზადება ახალ სათათბიროსთვის არჩევნებისა.

რეაქცია შეუჩერებლივ და მტკიცე ნაბიჯით მიღიოდა წინ. ახალი საარჩევნო კანონი და ის მოურიდებელი რეპრესიები, რომლითაც სტოლიპინი გაუმასპინძლდა ქვეყანას, ცხადად მოწმობდენ, რომ მთავრობა ახლა ისეთ სათათბიროს მიიღებდა, როგორიც მის უნდოდა: ყურმოჭრილ მონასა და მისი ზოგახვების მორჩილად ამსრულებელს. ეს მით უფრო ცხადი იყო, რომ სარევოლუციო პარტიები და ყველა აქტიური მებრძოლნა იძულებულნი გახდენ მაშინ ისევ არალეგალურ მდგომარეობაზე გაფასულიყვნენ.

ამისთანა /პირობებში გასაკვირელი არ იყო, თუ ბოიკოტის ტური განშეყობილება გაიზრდებოდა და მართლაც, მესამე სათათბიროს არჩევნების წინ ასეთი განშეყობილება მეტად თვალსაჩინო შეიქნა. კერძოდ, ჩვენს პარტიაში ახლა დიდი უმრავლესობა გახდა ბოიკოტის შომხრე. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელიც დაეინებით და ცხარედ მოიხოვდენ მონაშილეობის მიღებას. განსაკუთრებით იცავდა ამ აზრს კიტა აბაშიძე. გაზათებშიაც, კრებებზედაც ის მხურვალედ ეშინააღმდეგებოდა ბოიკოტისტებს. ახლა, როცა რევოლუციის ტალღა დაბლა დაეცა, მმბობდა კიტა, როცა ხალხი დაქსაჭილებულია, როცა რეაქცია შეუჩერებლად იზრდება, რა აზრი აქვს ხელიდან გაფუშვათ ის ერთადერთი იარაღი, რომლითაც შეიძლება აშეარა ბრძოლა გაფარალოთ მთავრობასთანაო. ეს ნამდევილი ბავშვური ბუტიაობა არისონ, მუშაოე ღიმილით ხშირად იმეორებდა ხოლმე კიტა. მოულოდნებლად მას ისეთმა ადგინანძა დაუჭირა მხარი, რომლისგან ამგვარ პოზიციის დაჭრას არავინ მოელოდა და საკვირველიც იყო. ეს გახლდათ ჩვენი მეგობარი, თანამგრძნობიდა გაზეთის თანამშრომელი, ანარქისტი ვარლამ ჩერქევზიშვილი. ანარქისტი და რუსეთის მაბინჯ პარლამენტში მონაშილეობის მიღების დაწილები — ეს რაღაც უცნაურობა იყო. როცა გაკვირებულნი ამგვარ სიტყვით, შევეკითხეთ ვარლამს, თუ რაში იყო საქმე, მან ვეიპასუხა:

—პარლამენტისთანა უსინიდისო დაწესებულება სხვა არ შეუქმნია ბურუუაზიას. ეს არის დიდი საგამორო ბირეა, საღაც ხალხს ჰყოდიან, საღაც თვალმაქცობენ და ქვეყანას ატყუებენ... მაგრამ თქვენ, ს. ფედერალისტები, ასე ხომ არ უყურებთ პარლამენტს, თქვენ ხომ გწამთ მისი პოლიტიკური სიძლიერე. და თქვენს ადგილზე რომ ვიყო, თქვენს აზრს რომ ვიზიარებდე, ბოიკოტის იდეა უაზრობად მეჩვენებოდა. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას რომ ითვალისწინებ, ყო-

ველგვარ საშუალებას უნდა მიჰმაროთ. უნდა განვიდეთ საპარლამენტო ტრიბუნაზე და უნდა იყვიროთ საქართველოს ისტორიულ უფლებაზე. დევ ევროპამ და მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ქართველ ერს ისტორიული უფლება აქვს თავისუფალ დამოუკიდებელ არსებობისათვის. ხომ იცით, რომ ჩვენი ქვეყნიდან წარმომადგენლებად წასვლას ისევ ოქვენი მოწინაღმდეგენი—ს.-დ. აპირებენ. ხოლო ისინი ჩვენი ერის ისტორიულ უფლებაზე იქ კრინტსაც არ დასძრავენ. არა, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ბოიკოტის აზრი ერთი წუთითაც ვერ გამიტაციებდათ.

მიუხედავად მომხრეების ცხარე მუშაობისა, პარტიის მთავარ დაწესებულებათა ორგანოებმა ბოიკოტი გადასწყვიტეს. მალე არჩევნები მოხდა. საქართველოდან კვლავ ს.-დ. გავიდენ დეპუტატებად, მაგრამ რუსეთის სხვა აღკილებში უმთავრესად მემარჯვენებმა გაიმარჯვეს. მესამე სათათბირო გაცილებით მემარჯვენე იყო I დ II სათათბიროებთან შედარებით; სქარბობულ ზომიერი და უკიდურესი მემარჯვენენი—ოქტომბრის ცეკვი და სხვადასხვა ჯურის მონარქისტები. თითქმ მთავრობამ ის მიიღო, რაც სურდა—მორჩილი სათათბირო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძნობდა სათათბიროს წინააღმდეგ ბრძოლასა და ცდილობდა მის დამცირებას, ესოდენ პრინციპიალურიად მიუღებელი იყო რუსეთის თეითმპურობელობისათვის სახალხო წარმომადგენლობა.

იმავ 1907 წლის 30 აგვისტოს გვიან საღამოთი ვზივარო რედაქციაში გაზეთის მომუშავენი და ვათვალიერებოთ მასალას შემდეგი ნომრებსათვის. შემოდის მოსამსახურე და ახლად მიღებულ რაღაც დეპერატის მაწვდის. ეს იყო თავზარდამცემი დეპუტატი ილ ი ა ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ. იმ დღეს შემთხვევით მცხეთაში მყოფი ჩვენი ამხანაგი ვლ. ლორთქიფანიძე გვატყობინებდა:

დღეს ნაშუადლენ, წიწამურის გზაზე, თავის მამულ საგურამოში ეტლით მიმავალ ილ ი ა ჭავჭავაძეს თავს დაესხა ავაზითა ბრბო. ილია მოპკლეს, მის გვერდით მყოფი მეუღლე ოლღა მძიმედ დასჭრეს. მიედინვარ საგურამოს დაწვრილებით ამ საზარელ ამბის გასაგებად.

იმდენად მოუღლოდნელი და საშინელი იყო ეს ამბავი, რომ პირველი წაკითხვით ვერაფერი გავიგე, არ მჯეროდა და მეორედ წავიკითხე. თავბრუ დამესხა, ძალზე გაფითრებულს მომვარცნ იქ მყოფი თანამშრომლები და დეპუტატებისა და გამომტაცეს. იმდენად დიდი იყო ჩვენი მწუხარება, რომ მისი აღწერა მე არ შემიძლია. ახ-

ლაც, ოცი წლის გასვლის შემდეგ, ტანში ურუანტელი მივლის იმ წუ-  
თების გახსნებაზე.

მესამე დღეს ილია საგურამოდან ჩამოასვენებს. ოლღას ქუჩის დასაწყისში (ახლა ლენინის ქუჩა) საქართველოს სამხედრო გზის ბოლოში, ძვირფასს ცხედარს მთელი ტფილისი დახვდა. მხურვალე სიტყვები წარმოსთვევს ვლ. მიერადებ, ილია ზურაბი-შვილმა, ვასილ ჩერეკეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, სილოვან ხუნდაძემ და სხვებმა, ორი დღის შემდეგ პოეტის გვამი სიონის ტაძრიდან გაასვენებს მთაწმინდაზე. არც მანამდის, არც შემდეგ, აღმად ტფილის არ უნახავს ასეთი დასაფლავება. ზღვა ხალხი მოაწყდა ქუჩებს. დეპუტაციები იყო საქართველოს ყველა კუთხიდან. აუარებელი გვირგვინები-ცოცხალ ყვავილების დაშერცხლისა—დიდი წესრიგით გაემართა პროცესია. იმ დღეს მეთვალყურენი ამბობდენ, პროცესის თავმა გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტიდან მთაწმინდის ქუჩას რომ შეუხვია, პროცესის—ბოლო ჯერ კიდევ ერევნის მოედანზე იდგა და ნელ-ნელა მიდიოდა წინო. ვორონ(კოვ-დაშვილის) ბრძანებით ქუჩებში ჯარიც იდგა და სამხედრო სალამს აძლევდა ცხედარს, რადგან ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო.

სიტყვები წარმოითქვა მრავალი: ჯერ სიონში, შემდეგ ერევნის მოედანზე და საფლავთან, მაშადავითზე. ღიძი ამაღლვებელი მომენტი იყო, ოოცა სასახლის ჭუჩაზე პროცესია გააჩერეს და სასტუმრო „კავკაზიდან“ ხელით ჩამოიყანეს მაშინ ავადმყოფი აკაკი წერეთელი, რომელმაც გრძნიაბით საცსე სიტყვა წარმოსთქვა. ბოლოს ატირდა და მიაძახა: „მეც მალე მოვალ შენთან, ილია“. მამადავითზე სიტყვები წარმოსთქვეს ვაჟა-ფშაველამ, ი. ევლოშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, სისიკო მდივანმა, კარლოჩევიძემ, ვლასა მგელაძემ, ნინო ნაკაშიძისამ, გიორგი გვაზავამ, ექვთ. თავაიშვილმა, მოსწავლე ახალგაზრდობის და მუშების წარმომადგენლებმა, ქართულ-რუსულ და ხომხურ

პრესის წარმომადგენლებმა და სხვამ მრავალმა. ლამდებოდა, როცა მიწაში ჩავისვენეთ დიდებულ ადამიანის გვამი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელები მალე დატუსალეს. ერთი წლის შემდეგ სამხედრო სასამართლომ ამათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. აშ გარემოებამ იქ ხანად გამოიწვია დიდი აღვლება. უპირველეს ყოვლისა განსვენებული პოეტის მეუღლემ, ოლღა თადეოზის ასული, მხურვალე წერილით მიჰმართა ტფილისის გენერალ გუბერნატორს და სოხოვა:

ჩემი ქმრის მკვლელთ სიკვდილით ნუ დასჯითო.

ამ შესანიშნავმა და კეთილშობილმა წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

\* \* \*

რევოლუციის ხანაში (1905-1906) ჩვენმა საზოგადოებრივმა, დაწესებულებებმა თითქო მიიძინეს. უფრო აქტიური ელემენტი სხვა-გან წავიდა, უფრო დიდი და ბასუხსაგები საქმეებით იყო დატვირთული; წერა-კითხვის და დრამატ. საზოგადოებისათვის არ სცალდა. კულტურულ სარბიელზე მუშაობა დროებით თითქო შეწყდა. დათ. კულტურულ მუშაობისა მოხვენებითი ყოფილა. ცხოვრების სილრმეზი, ტურქულ მუშაობისა მოხვენებითი ყოფილა. ცხოვრების სილრმეზი, პირიქით, შეუჩერებლად სწარმოებდა ზრდა ინტერესისა კულტურულ მუშაობისადმი. უფრო თვალსაჩინო იყო ეს ზრდა ჩვენს პროვინციაში. სხვადასხვა კუთხიდან მოითხოვდენ წ.-კ. საზოგადოების იდგილობრივ განყოფილებათა გახსნას; ბევრგან დაარსდა და მოიმავრა ფეხი ადგილობრივმა სახალხო თეატრმა; დიდი იყო მოთხოვნა სახალხო კითხვათა საქმის მოწყობისა და სხვა. ცენტრშიაც 1907 პროგრამებში განსხვავება არ ყოფილა. როგორც ერთს, ისე მეტო პროგრამებში განსხვავება არ ყოფილა. როგორც ერთს, ისე მეტო მხარეს სურდა კულტურული მუშაობის გაცხოველება,—სკოლების გამრავლება და შათო საქმეების მოწესრიგება, ბიბლიოთეკების ქადაგის გაძლიერება, წიგნების გამოცემისა და გავრცელების საქმის წინ წაშეგა, სახალხო კითხვათა მოწყობა და სხვა. არ იყო განსხვავება არც მიმართულებაში: ორივე მხარეს სურდა მშრომელ ხალხისათვას მუშაობა და თვით ამ ხალხის ჩაბმა კულტურულ მუშაობაში. მოსალოდნელი იყო, ამ პირობებში, შეთანხმება მომზღარიყო და ურთიერთშორის ცხარე ბრძოლის მაგივრ ერთიდ ემოლევაწნათ საკულტურო ფრონტზე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენმა და-

სელებმა თავიდანევე მიზნად დასახეს ამ ორონტზე მარტო თავისი ბატონობის განმტკიცება. ამ გარემოებამ ბრძოლა გამწვავა უკიდურესობამდე. მიგალითად, ქუთათური ს.-ფეხურალისტების გაზეთი „შრომა“ გადაჭრით აყენებდა საკითხს: რა უნდათ დასელებს ქართულ კულტურულ დაწესებულებებში. ისინი ხომ ქართველებად არ სთვლიან თავის თავსო.

„შორმა“ ტფილისელ ამხანაგებს უსაყვედლურებლა—რისთვის დაგჭირდათ დასელებთან კომპრომისით. მეორე მხრით დასელებიც უკიდურესობაში ვარდებოდენ: ფედერალისტებს და ნაციონალისტებს არ სურთ კულტურულ დაწესებულებათა კარი გაულონ მუშებსა და მშრომელ ხალხსაო, ყვიროლენ ისინი.

უფრო გვიან ეს პარტიული ბრძოლა მაინც დასრულდა შეთანხმებით, და, მაგალითად. წ. კ საზოგადოების გამგეობაში ჰყველა მიმართულებას ჰყავდა თავის წარმომადგენლები, მაგრამ იმ ხანებში, რომელზედაც ახლა ვწერ, ამ უაზრო ბრძოლით მოშაამული იყო საზოგადოებრივი ატმოსფერი.

1908 წელს წ.-კ. საზოგადოებას თავი დაანეხა მისმა ძველმა  
მოამაგემ და უცვლელმა თავმჯდომარემ ნიკო ცხვედაძემ. მის  
მაგიერ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გენერალი  
გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი ევრო-  
პულად განათლებული და განვითარებული ადამიანი იყო. უმეტეს  
ხანს რუსეთში მსახურებდა: უკინასკნელ დროს იყო ვარშავის კომენ-  
დანტი, ხოლო რუსეთ-იაპონის მშის დროს ვლადივოსტოკის  
გენერალ—გუბერნატორი. ამ თანამდეობაზე რეაქციის ერთგულობა  
ვერ გამოიჩინა საკმარისად და სამართლშიაც უპირებდენ მიცემას,  
მაგრამ პატივებ და მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს. გიორგი  
ყაზბეგი ერთგული და მუყაბი მოღვაწე აღმოჩნდა წერა-კიოხვის  
საზოგადოებისათვის. ყველა ის გაუმჯობესება, რომელიც იმ წლები-  
დან საზოგადოების საქმიანობას დაეტყო, მისი ინიციატივის და  
მო-  
ღვაწეობის შედეგი იყო. როგორც თავმჯდომარემ, ყაზბეგმა შეორე  
უკიდურესობაში ჩაგვადო. ნიკო ცხვედაძეს ბევრი ლაპარაკი არ  
უყვარდა. რაც უნდა მძიმე საკითხი ყოფილიყო გასაჩინევი, კიმათს  
ერიდებოდა; ერთი-ორი კაცი რომ გამოსთქვამდა თავის აზრს, გა-  
ვიხედავდით—ის უკვე რეზოლუციას სწერდა. ხშირად ამ რეზო-  
ლუციის წინააღმდეგი ვიყავით უმრავლესობა. მაგრამ ნიკო უმეტეს  
შემთხვევაში კამათის განვითარებაზე უარს ამბობდა და თავის რეზო-  
ლუციის მიგვაღებინებდა. პირველ ხანებში ეს გარემოება დიდ უკმა-

ყოფილებას იწვევდა ჩვენში, მაგრამ თანდათან შეგვაჩვია თავმჯდომარეობის ახეთ უცნაურ წესს. გიორგი ყაზბეგი, წინააღმდეგ ამისა, გრძელი კამათის მოყვარული იყო; უმნიშვნელო საკითხებზედაც „პრინციპიალურ“ ბაასს გააბამდა ხოლმე. ჯერ თითონ ილაპარაკებდა, მერე ყველას ათქმევინებდა თავის აზრს და ბოლოს დაიწყებოდა რეზოლუციების გაუთავებელი შემუშავება. ნიკო ცხევდაძის დროს გამგეობას ჰქონდა ერთი ძველად შემუშავებული ინსტრუქცია, რომლითაც თითქმის არ ვსარგებლობდით, ყაზბეგი კი თითქმის ყოველ თვეს ახალ-ახალ ინსტრუქციებს სწერდა და ბეჭითად თვალყურს ადევნებდა მათ ასრულებას.

როგორც ვთქვით, იმ ხანებში დარსდა წ.-კ. საზოგადოების განყოფილებანი ქუთაისში, ბათომში, ბაქოში და პროკინციის სხვა დაბა-ქალაქებში. შემცირებულ იქნა საწევრო გადასახადი და ამან გამოიწვია წევრთა რიცხვის თვალსაჩინო გადიდება. თვით გამგეობაში დაარსდა სხვადასხვა სექციები: სასკოლო, საბიბლიოთოებო, წიგნების გამოცემისა, სამუზეუმო, სახალხო კითხვათა. ყველა ამ ცვლილებამ, თქმა არ უნდა, გააცხოველა ჩვენი საზოგადოების მუშაობა, როგორც პროვინციაში, ისე ცენტრში.

ასეთივე გაცხოველება დაეტყო სახალხო თეატრის საქმესაც. ტუილისში აგვიალის აუდიტორიის გარდა სახალხო თეატრის საქმე გაჩაღდა ვერაზე, ავლაბარში, ნაძალადევში. პროფინციაშიაც ბეჭრ ადგილას მოეწყო სახალხო თეატრი.

მალე კიდევ შემოვემატა ახალი კულტურული დაწესებულება: ეს იყო ტფილისის სახალხო უნივერსიტეტი. იმ შლებზივე თითქმის დასრულებული იყო ზუბალაშვილის სახალხო სახლის აგება და ახლად დაარსებულმა სახალხო უნივერსიტეტმა იქ დაიწყო მუშაობა. უნივერსიტეტის ქართვული სექცია შეუდგა სისტემატიურ სახალხო ლექციების კითხვას სამეცნიერო და სალიტერატურო თემებზე და სახალხო წარმოდგენების მოწყობასაც. ერთი სიტყვით, იმ წლებში თვალსაჩინოდ გაცარველდა კულტურულ ფრონტზე მუშაობა და, რაც ყველაზედ უფრო აღსანიშნავია, თვით ხალხის მასა ჩაება ამ მუშაობაში.

იმავე წელს ქართველმა ერმა მოაწყო დიდი კულტურული ზომი. ეს იყო აკაკი წერეთლის იუბილე. ჩემს გახსოვრობაში ეს იყო მეორე კულტურული დღესასწაული. რაფიელ ერისთავის იუბილეს შემდევ, რომელმაც დიდი აღფრთვანება გამოიწვია ქართველ ხალხში, სახაზინო (ოპერის) თეატრი, სადაც გაიმართა საიუბილეო დღესასწაული, გაჭედილი იყო სალხით: დეპუტატები საქარ-

თველონ ყველა კუთხიდან მოვიდენ, ყველა ძლიტაცებით ეგებებოდა მცხოვან იუბილარს და საყვარელ მგოსანს. ბევრი საჩუქარი მიიღო და უმალეს ღონილიც იქნა დაარსებული, რომელიც მაღლ საგრძნობლად გაიზარდა. ტფილისის შემდეგ სხვა ჩვენმა დაბა-ქალაქებმაც მოისურვეს აკაცის იუბილეს აღნიშვნა და მგოსანს ბევრგან გაუმართეს დღესასწაული.

ა კა გი ს მე ბა გშობილან ვე პარადა დ ვი ცნობდი. პატარობისას ხშირად მინახავს ქუთაისში ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. მესმოდა უფროსებისაგან, დიდი პატარიათ და მესხიერებაში ჩამოჩა შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ხახვა და ეს ლაპარაკი ჩემზე ახდენდა. შემდეგ, გიმნაზიის მე-7 კლასში ყოფნის დროს ასეთი შემთხვევა შახსოვს. გარდაიცვალა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ჩენ, გიმნაზიელებმა გადავსწყვიტედ გვირგვინის და სამგლოვიარო დეპეშის გაგზავნა. გიმნაზიის მაშინდელმა მთავრობამ როგორლაც კეთილის თვალით შეხედა ამ ჩენს განზრახვას: ნება მოვცა ფულის შეგროვებისა, დეპეშის და გვირგვინის გაგზავნისა. დეპეშა შევადგინე და შევუტანე დირექტორს — ასეთი იყო განკარგულება, ალბად საცენზუროდ. სტოიან ოვამა მირჩია: „გენიალური“-ს მაგიერ, როგორც დეპეშაში მეწერა „მასტიტი“ ჩამეწერა. ნამეტანი არ ვარგაო. მაშინ ასეთი გასწორება ძალიან გვეწყინა: ჩენი ეროვნული კრძნობა შეურაცყოფილად ჩავთვალეთ. მხოლოდ შემდეგში მივხედი, რომ სტროიანვი მართალი იყო. გვირგვინი რომ დაუამზადეთ, რაძლენიმე გიმნაზიელმა წაცულეთ იგი ა კა გის: გაგონილი გვენდა, რომ აკაცი ტფილისში მიემგზავრებოდა გრ. ორბელიანის დაკრძალვაზე დასასწრებლად. ვთხოვთ ჩენი გვირგვინის წალება და ჩენ მაგიერ ორიოდე სიტყვის თქმა. აკაციმ განზრახვა მოვციწონა, ხმამაღლა წაიკითხა ლენტზე წარწერა:

„მიცით ნიერა გზა ფართო.“

თაყვანისცემა ღირსებას“ და სხვ.

დაგვპირდა თხოვნის ასრულებას და შემდეგ ღიმილით მოგვმართა:

— ყმაწვილებო! დარწმუნებული გარ, როცა მოვკედები, მეც შემამკობთ გვირგვინით. მოდით, ასე გავრიგდეთ: რაც გვირგვინისათვის ფული იქნება საჭირო, ახლაცე მომეცითო.

შემდეგ აკაცის შევხედი ციმბირიდან დაბრუნებისას მარიამ დემურიას სახლში. როგორც ყოველთვის, ჩენი მოლვაწე მწერლებთან პირველ შეხვედრის დროს, ლაპარაკი პოლიტიკაზე და ჩენი ქვეყნის მფლობელობაზე ჩამოვაგდე. აკაციმ სიტყვა ბანზე ამიგდო, ლაპარაკში არ გამომყვა; დაიწყო თავისებური ოხუნჯობა და პოლი-

ტიკური ანეკდოტებიც მოაყოლა. ერთი მის მიერი ნამპლი სასაცი-  
ლო ამბავი კარგად დამახსოვნდა. არ ვიცი ნამდვილი ამბავია, თუ  
ანეკლოტი:

— რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროსამ, სოჭვა აკაიმ, გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპონდენტად იყო ფრონტზე, ქობულეთში მომქმედ არმიისთან. დიდის იმედებით იყო ალ-ფრონვანებული. მმში ინგლისი ჩიერევამ, გვარშმუნებდა ჟველას, გამოგზავნის ძლიერ ფლოტს შავ-ზღვაზე და საქართველოს განათვისუფლებს. ისე იყო ამაში დარწმუნებული გიორგი, რომ უშიშრად რაღაც მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ქობულეთის წარჩინებულ მაპ-მადიან ქართველებთან. თან ჩეენ ინტელიგენციას და საზოგადოებასაც ელაპარაკებოდა ამაზე, — მართავდა კრებებს ტუილისსა და ქუთაისში. ერთ ამისთანა კრებაზე ქუთაისში ამტკიცებდა — მაღვ ინგლისელები შემოვლენ ჩეეს ქვეყანაში. კრებაზე სხვათა შორის, გლისელები შემოვლენ ჩეეს ქვეყანაში. კრებაზე სხვათა შორის, ცნობილი ცემამულე სიო ბერიძეც იყო. გაიგონა თუ არა ინგლისელების საქართველოში მოსვლის ამბავი, სიო ბერიძემ მაშინ ისტოგა გაიცემორინა გიორგის და უთხრა:

— თუ ლმერითი გშამს გორგი, თავი დაგვაანგბე.. ძლიერსძლიერით  
ორი ღერი რუსული ვისწავლე, ახლა ინგლისურს რა მასწავლის...  
არ გვიჩვა, ბარონო, არაო.

— მერე, როგორ დასტული გიორგი წერეთელმა თავისი პოლო-  
ტკორი მუშაობა? შევეკითხე აქვის.

— ცოტა დაკლდა, კინაღამ ჩამოაღრჩეს, მიპასუხა აკაკიმ. შემ-  
დევ გუბრუნდა მარიამ დემურიას პატარა ვაჟებს და მათთან დაიწყო  
სუმრობა. საზოგადოდ, აკაკის ძლიან უყვარდა პატარა ბავშვები,  
შეიჩინა შეიავ ბივრჯილ მინახავს იგი პატარებში გართული.

როცა „ივერიაში“ გმუშაობდი, აკაკიმ რამდენჯერმე ლექსები  
მოგვიტანა დასაბეჭდად, ჰინორარს კარგს ვაძლევდთ. არ შესხვები  
რამდენს, მაგრამ ჩვეულებრივზე ბევრად მეტს, მაგალითად 3-4 ჯერ  
მეტს, ვიდრე ვაჟა-ფშაველას. თურმე ამ ნიაღაგზე უსიამოვნო ინცა-  
დენტს ჰქონდა ადგილი ილიასა და აკაკის შორის და ილიას გან-  
კარგულება მოეხდინა — აკაკის მიეცით, რაც მოითხოვოს. მიუხე-  
დავად ამისა, აკაკი მაინც უქმაყოფილო იყო. მე თვითონ გამოიწია  
მისგან: „ივერიაში“ არაფერს მაძლევენო. ეს ჩვეულებრივი სენი იყო  
ჩვენი დიდი მგლისნისა: მუდამ ჩიოდა, ნაკლებ ყურადღებას მაჭვევი-  
ნო, თუმცა საქართველოში აკაკიზე შეტაც არც ერთი პოეტი არ  
უყვარდით, არავის ისეთ პატივს არ სცემდენ, როვორც მას. როცა  
ჩააცილებოდენ და დაუინებით ამ უყურადღებობის საბუთებს შოს-

თხოვდენ, აკაკი ხშირად უცნაურს რასმეს შეთხზავდა, რასაც არა-სოდეს ადგილი არ ჰქონია. ამ მის შეთხზულ ფანტასტიურ ამბებს ხანდისხან მეტად უსიამოვნო ხასიათი ჰქონდა.

ერთხელ, შახსოვს, წ.-კ. საზოგადოების გამგეობის კრებაზე ვი-ორ გი ყაზბეგი ძალიან იღელვებული მოვიდა. ერთ ოჯახშიო, ვაღმოგვცა მან, აკაკიმ დიდი ბრალდება წიმოაყენაჲვენი საზოგადოე-ბის წინააღმდეგო.

— თუ ეს მართალია, დასძინა ყაზბეგმა, მე ერთ წუთსაც ვერ გავჩირდები აქ.

ჩეუნ შევეკითხეთ:

— რაშია საქმე?

ყაზბეგმა გვითხრა:

— აკაკი არწმუნებდა იქ დამსწრეთ, რომ წ.-კ. საზოგადოებამ უული შეუჭიმა. გამოსცეს ჩემი თარგმანი — კრილოვის „იგავ-არაქე-ბი“, გაპყიდეს და მე კაპიკი არ მომცესო...

ჩეუნ სიცილი დავიწყეთ და ვამშვიდებლით ყაზბეგს. — ეს ჩეუ-ლებრივი ფანტაზიებია აკაკისი და არავინაც არ უჯერის-თქო, მაგრამ ყაზბეგი არ მშვიდებოდა. მაშინ სა მს ი ფირცხალავამ მოიტანა დავთრები, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ აკაკის მეტიც ჰქონდა წაღებული ამ წიგნის ანგარიშში წინასწარ, ვიღრე წიგნების გაყიდვისაგან ერგებოდა: მერე შიციყანა გიორგი თაროსთან მაღაზი-ში და უჩვენა ბევრი ჯერ გაუყიდავი წიგნი. ერთი ამოდენა საწყობ-შიაც გვაქვსო, დასძინა ფირცხალავამ...

ყაზბეგი ძალიან გაწყრა და სთქვა — ბოდიში უნდა მოვახდევი-ნო ასეთ მოგონილ ქორისათვისო. მეორე დღეს ყაზბეგი მისულიყო აკაკისთან და უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონოდა. როცა შევეკითხეთ ყაზ-ბეგს, როგორ გათავდა მისი ლაპარაკი აკაკისთან, მან გვიპასუხა:

— მეტისმეტად ახირებული კაცია. იციო რა შითხრა? გიორგი, შენ ახალი კაცი ხარ იქ და არაფერი იცი იმათი მახინაციებისაო. პირველი გამოცემა „იგავ-არაქებისა“, სულ გაიყიდა-, ხოლო შენ რომ გაჩვენეს თაროებზე, ის შემდეგ საიდუმლოდ არის გამოცემულიო. რო-ცა მოვთხოვე ამის დამტკიცება, სიცილით მიპასუხა: ჩემთვის ეს დამ-ტკიცებულია და თუ შენ არ გჯერა, დამამტკიცებელი საბუთები შენ თითონ ეძიეო...

ყაზბეგს დიდხანს არ დაპირიშებია ეს ამბავი, მაგრამ მხოლოდ სიცილით მოიგონებდა ხოლმე მას.

აკაკი მუდამ ფულის ძებნაში იყო. მას ქუთაისის საადგილ-მა-მულო ბანკიდან პენსია ეძლეოდა თვეში 100 მანეთი, მაგრამ რასაკ-

ვირფელია, ეს ფული არ ეყოფოდა: ბევრს ხარჯავდა, ცხოვრობდა ხან ქუთაისში, ხან საჩხერეში, ხან ტფლისში; მოვზაურობასა და ხშირად სასტუმროებში ცხოვრებას ბევრი ფული უნდოდა; კარტის თამაშიც უყვარდა. რუს პრეტ ნეკრასოვივით ისიც ხშირად ღამეებს ათენებდა კლუბებში. მაგრამ მეტად გულექეთილი იყო: ფულს, თუ გაჭირებულებისათვის იყო საჭირო, არ დაიშურებდა, უკანასკნელსაც მიაწოდებდა.

ერთხელ, ზაფხულის დამდევს, მარიამ დემურიასთან შევდი, ა კაკი იქ დამხვდა.

დემურიას შეეჩივლე:

—არჩილის (ჯორჯაძის) გაგზავნაა აუცილებელი აგარაქზე. ამ ზაფხულს თუ აქ დარჩა, ცუდად იქნება მისი საქმე. ფული კი არა გვაქს: კამიტეტი ველარ იძლევა რამდენსაც წინად იძლეოდა არჩილისათვის, რედაქციასაც არა აქვს. იქნება რაიმე მოგვიხერხოთ, ქალბატონო მარიამ.

—რამდენია საჭირო? მომიბრუნდა აკაკი.

მე ვუპასუხე, რომ ერთიდროულად საჭიროა ხუმიტი-ოცი თუ-მანი აგარაკის ქირის, მგზავრობისთვის და რაღაცეები უნდა ვუყი-დოთ—მეტქი.

—ვირგი, წაილეთ ჩემი ფონდიდან ოცი თუმანი. ბარათს მი-გიშერთ წ.-კ. საზოგადოებაში. როცა შესძლებთ, სესხს დააბრუნებთ: თუ ვერ შეიძლოთ, თქვენი ჭირი წაულიაო.

აკაკიმ ბარათი მომცა და ეს მითუფრო სასიამოვნო იყო, რომ წ.-კ.ს გამგეობამ აკაკის დაუკითხავიდ, დონებით ისესხა კიდეც მის ფონ-დიდან ასი მანეთი იმავ არჩილ ჯორჯაძისათვის. იხლა წამოვიდეთ ასი მანეთი. შემდეგში მარიამ დემურიამ რაღაც საღამო გამართა და აკაკის ფონდი შევავსეთ.

ხანდახან აკაკისა და ქართველ ინტელინგენციის შორის დიდი უსია-მოვნება ჩამოვარდებოდა ხოლმე. პოეტი, რასაკვირველია, კარგად ხედავდა ჩვენი ინტელიგენციის სუსტსა და ცუდ მხარეებს. ირ ზოგავდა კიდეც მას წერითა თუ სიტყვით. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ბრძოლით გატაცებული, ის ხშირად თითქო ინტელიგენციის ჯიბრით, მხარს უჭერდა ამ ინტელიგენციის უფრო მავნე და უფრო ცუდ ელემენტს. ას იყო, მაგალითად, ქუთაისის ინტელიგენციის ბრძოლის დროს კალისტრატო ჩიკვაიძის წინააღმდეგ. აკაკი კულისტრატოს მიემზრო: ჯერ თავისებურად ოხუნჯობდა და დასკი-ნოდა კიდეც კალისტრატეს; მასსოვს ერთი მისი მოსწრებული უი-

ლეტონი, რომელიც ასე თავდებოდა: „Калистрат, коль истратиш — пройдет“, რაზედაც წინათაც ვილაპარაკეთ.

მაგრამ, შემდეგში აშკარად და გადაჭრით გადვიდა კალისტოს მხარეზე. შემდეგ კალატოზიშვილს უჭერდა მხარს გიორგი ზდანოვიჩის წინააღმდეგ. მისი ასეთი პოზიცია გაცხარებულსა და უსიამოვნო იქრიშს იწვევდა ხოლმე ინტელიგენციის მხრით.

მიუხედავად ბევრი უცნაური ოვისებისა და ნაკლისა, აკაკი, როგორც ვთქვი, ძალიან უყვარდა ქართველ ხალხს, არა მარტო როგორც დიდი პოეტი და დიდებული პატრიოტი, არამედ როგორც აღმიანი გულკეთილი, ტკბილი მოსაუბრე, მოსწრებული სიტყვა-პასუხის და იშვიათი მცერმეტყველი, თავის მრავალფეროვანი ბუნებითის მეტად ხიბლავდა თანამედროვეებს.



### XXXI

ეგზარჩოსის ნიკონის მოკვდა. — ქართველი სამღვდელოების დევნა. — ვლ. ლიროტემუანიძე. — კოლელი შვილის კომუნა კახეთში. — ჩვენი პარტიის კომიტეტის დატუშალება. — მაშინდელი მეტები და პოლიტიკურები. — მცორედ ჩემი გადასახლება.

1908 წლის 20 მაისი იყო. რაღაც საქმეზე სასოფლო-სამეურნეო ბანკში მივედი, სასახლის ქუჩაზე. უეცრად ქუჩაში რაღაც არა-ჩეულებრივი მოძრაობა შევამჩნიეთ. ჩქარის ნაბიჯით ყაზახთა ცხენოსანი რაზმი გაემართა ერევნის მოენისკენ; უკან მისდეველენ ეტლებით პოლიტეისტერი და სასამართლოს მოხელენი... იმავ წუთს ვიღაც შემოვიდა ბანკში და სენსაციური ამბავი გაღმიოგვცა: ეს არის ახლა მოჰკლეს საქართველოს ეგზარხოსი, არქიტექტონის ნიკონი. ეგზარხოსი დიდი წარჩინებული სასულიერო ბიუროკრატი იყო იმხანებში კავკასიაში. მეფის ნაცვლის შემდეგ, ეგზარხოსი ითვლებოდა მთავარ ჭარბომადგრენლად ცენტრალურ მთავრობისა. ამიტომაც ასეთ ბობოლას მოკვდა ოფალსაჩინა ტერორისტული აქტი იყო, რომელმაც ააღაპარაკა მთელი რუსეთი.

პირველ დღეებში ტფილისს ვიღაც პროვოკატორებმა ხმა გაავტოლეს, ეგზარხოსი ს.-ფედ. პარტიამ მოჰკლაო. ეს ნამდვილი ჭორი იყო: ჩვენს პარტიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სამღვდელოების მაშინდელ მოძრაობასა და საექლესით საქმეებში და ფიქროდაც არავის მოგესლია ამგვარ ტერორისტულ აქტის მოხდენა. დღესაც არ ვიცი დანამდვილებით, ვინ იყვნენ მკვლელები, მაგრამ, ცხადია, ეს ტერორისტული აქტი დამზადდა და განხორციელდა თვით სამღვდელოების წრეებში. ამ მკვლელობის შემდეგ უფრო გამწვავდა და გაძლიერდა ის ბრძოლა, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადი სწარმოებდა უმაღლეს ცენტრალურ სასულიერო მთავრობასა და ქართველთა სამღვდელოებას შორის. რასაკვირველია, პოლიცია და საერთოდ რეაქცია დიდ დაბმარებას უწევდენ სინოდს და ჩვენს სამღვდელოებას, ეკლესიას უმოწყალო სდევნიდენ. 1905 წელს სამღვდელოების კრება მოხდა ტფილისს, სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში. კრებაზე დიდძალი გარეშე ხალხიც მივიდა იმის გასაგებად, თუ რა პოზიციას იადგებოდა და რას მოითხოვდა განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში ქართველი სამღვდელოება. ხალხს თან მოჰყვა პოლიცია და ყაზახები. ჯერ ქუჩაში მოხდა რაღაც შე-

ტაკება, მერე პოლიცია და ჯარი შეესია სემინარისა და მათრახებითა და თოფის კონდახებით გაპფანტა შექრებილი მღვდლები. მთავარი მოთხოვნა, რომელიც მშინ წამოაყენა ქართულმა ექლესიამ, ეს იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა—ავტოკეფალია. ამ საკითხის გარშემო დიდი კამათი და აგიტაცია ასტყალდა. ქართველ სამღვდელოებას ორიოდე თანამგრძნობი და დამხმარე თვით რუსულ უმაღლეს იერარქიაში აღმოჩნდა; აღმოუჩნდა ასეთი თანამგრძნობი პრესაშიაც, მაგალითად ცნობილი კონსერვატიული უურნალისტი დურნოვთ თავგამოიდებით იცავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. სინოდთან და სინოდის გარეშე დაიწყო დაუსრულებელი კამათი და თათბირები ამ საკითხზე; სასულიერო პირთა გარდა კამათში მონაწილეობას იღებდენ მოწვეული მეცნიერებიც; ჩვენი ექლესიის დამოუკიდებლობის დამცველად, მაგალითად გამოვიდა პროფესორი ნიკო მარტი.. მიუხედავად მისია, რომ სიმართლე ქართველთა ეკლესიის მხარზე იყო და მიუხედავად მძღვრის იერიშისა, ამ საკითხს მაიც არ ედირსა გადაშეცვეტა ძველი რეეიზის დროს... ხოლო სანამ საკითხი იჩიეოდა, რუსეთის სასულიერო და საერთო თვითმყრობელი ბიუროკრატია დროს არ ჰყარგავდა და ენერგიულად განაგრძნობდა ქართველთა ეკლესიის შევწროებასა და ურჩ სამღვდელოების დევნას.

გამანადგურებელი პოლიტიკა უფრო გამწვევდა ეგზარხოსის მოკვლის შემდეგ. ეპისკოპოსები ამბროსი და კიოიონი რუსეთის მიყრუებულ მონასტრებში გამოამწყველის, ლეონიდი გაჩრიკეს და პოლიციის ზედამხედველობაში მისცეს; ბევრი დაატუსაღეს და სხვა.

სარეკოლუციო პარტიები, რასაკვირველია, ამ ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ. მათი მოაგარი მოთხოვნა იყო— მექლესიის დაუყოვნებლივი განცალკევება სახელმწიფოსგან, სულერეთია, დამოუკიდებელი იქნებოდა ის, თუ რუსეთის ეკლესიასთან შეერთებული. მაგრამ ჩვენი გაზეთი, „ცნობის ფურც.“, ყურადღებით ერთეული. მაგრამ ჩვენი გაზეთი, „ცნობის ფურც.“, ყურადღებით და თანაგრძნობითაც აღვნებდა თვალურს საქართველოს ეკლესიის და თანაგრძნობითაც აღვნებდა თვალურს საქართველოს ეკლესიის გარშემო გამართულ ბრძოლას. ამ ყურადღებას უფრო ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პრინციპიალური. მიუხედავად ამისა, პარტიის ფედერალურ საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე გაზეთის რესა, პარტიის ფედერალურ საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე გაზეთის დაქციას დიდი საყვედური გამოეცხადა; მოითხოვეს, რომ გაზეთის თავი დაენებებია ავტოკეფალიის საკითხზე წერილების ბეჭვდისთვის. კრებაზე რედაქციას დამცველებიც აღმოუჩნდენ. ისინი ამტკიცებდენ, რომ დაწყებული საექლესიო ბრძოლა თვალსაჩინო ეპიზოდია, პატარა ნაწილია დიდი ეროვნული ბრძოლისა და საკითხისა,

ამიტომ ყოველდღიურ გაზეთს, რომელიც ამასთანავე ოფიციალურად არ არია; პარტიული ორგანო, არ შეუძლია გვერდი აუხვითს მწვავე საზოგადოებრივ საკითხსაო. ბოლოს, ფედერალურმა საბჭომ გადასწყვითა ეს საკითხი შეეტანა პარტიის უახლოეს კონფერენციის ღღის წეს-რიგში და მოხსენების დამზადება დაავალა ცენტრ. კომიტეტისა და რედაქციის წევრს ვლ. ლორთქიფანიძეს.

\* \* \*

ვლ. ლორთქიფანიძეს არ დასცალდა პარტიის ახალი დავალების ასრულება. სწორედ იმ წელს ის მძიმედ ავად გახდა და ლოგინში ჩაწეა: ძეველმა სენამა—კლექტმა გაუხსენა. შემდევ წლის (1909) ზაფხულის დასაწყისში ის წაიყვანეს აბასთუმანში, საიდანაც 28 ივნისს მის მეუღლის ეკატერინესაგან სამწუხარო დეპეშა მივიღეთ ვლადიმერის გარდაცვალების შესახებ. იმავ ღღეს. მე და ქართულ კიმნაზის მაშინდელი გამგე და ამასთანავე ჩვენი პარტიის წევრი ალ. მდივანი აბასთუმანს გავემგზავრეთ ძეირუასი ამხანაგის ცხედრის ტფილისში მოსასვენებლად. აბასთუმანში გვიან ღამე ჩავედით; კუბო უკვე დასვენებული იყო ეტლზე და ვლადიმერის შეუღლე ეკატერინე და ერთი მისი ნათესავი ის იყო გამომგზავრებას აპირებდენ. მეორე ღღეს უკვე ტფილისში ვიყავით და განსვენებული ამხანაგი კუკიის სასაფლაოზე, შიო ჩიტაძის გვერდით დაგასაფლავეთ. დაკრძალვას დიდი ხალხი დაესწრო; იყვნენ ყველა სარევოლუციო პარტიების წარმომადგენელნი, ადგილობრივ ქართულ, რუსულ და სომხურ გაზეთების თანამშრომლები, პედაგოგები, განსვენებულის მოწაფეები და სხვანი. იყო გვირგვინები ჩვენი პარტიის და გაზეთია, ს.-დ. და ს.-რევ. ადგილობრივ საოლქო კომიტეტებისა და სხვა.

უდროოდ გამოვგტაცა ხელიდან ულმობელმა სენა ეს დაუღლავი მუშავი და ფრიად სასარგებლო ადამიანი ორგორუც საზოგადოდ ჩვენი საზოგადოებრივობისათვის, ისე კერძოდ ჩვენი პარტიისათვის. ვლადიმერი სულ იყო მაშინ 35—36 წლისა. ერთ და იმავე ღრის ის მუშაობდა ორგორუც პედაგოგი ქართულ გიმნაზიაში (ასწავლიდა ისტორიას), მუშაობდა გაზეთში, სადაც სწერდა პრინციპიალურ წერილებსაც, სხარტულ ფელეტონებსაც—ყოველდღიურ ვარამზე, აწარმოებდა ინფორმაციასაც საზოგადოებრივ დაწესებულებათა ცხევრებისას სა ამასთანავე დაუღლავად მოღვაწეობდა პარტიაშიც, სადაც დაარსებიდანავე იყო ცეკას წევრი... ამ მოუსვენარმა მუშაობამ და ყველგან შესამჩნევ ნერვიულ გატაცებით მო-

ლვაშვერბაშ, უმჭველია, ხელა შეუწყო მის დააგადებასა და უდროოდ გარდაცვალებას.

\* \* \*

მეორე ჩვენი ავადმყოფი არჩილ ჯორჯაძე იმ წლის ზაფხულში თელავს გაემგზავრო. ზაფხულის დასასრულს არჩილი საგრძნობლიდ ჟეკო შეიქნა, ლოგინიდან ადგა და მუშაობას შეუდგა. აგვისტოში მე წავედი არჩილის სანახვად თელავში. იქაურ ჩვენი კომიტეტის წვერებმა, სხვათა შორის ჭინაძადება მომცეს სოფელ გულგულაში წავსულიყავი ცნობილ ივ. კოლეგი შვილის მიერ მოწყობილ კომუნის გასაცნობად. კომიტეტის წვერის ანტონ ყაზახაშვილის თანხლებით გულგულაში წავედი და სხენებული საინტერესო დაწესებულება დავთვალიერე.

ივ. კოლეგი შვილმა რამდენსამც მეზობელ გლეხს ურჩია მაჟულების შეერთება და საზოგადოებრივ მეურნეობის წარმოება. ავითონ თავისი ბამული შესწირა კომუნას, მიიმზრო იქაური გლეხები; და მართლაც გააჩალა კოლექტიური მეურნეობა. თუ მებსიერება არ მღალატობს, იმხანად სულ 17 მამული გააგროიანა კოლელიშვილმა. მის მამულში საგანგებოდ დაინიშნულ ბინაჟე ყოველ სილამოს მუშაობის შემდეგ იკრიბებოდენ გლეხები და საერთოდ ადგინდენ ვეგშის ზემდეგი დღის მუშაობისას. რიგრიგად ყველანი ერთ დღეს ერთ მამულში მუშაობდენ, მეორე დღეს მეორეში და სხ. კოლექტიურმა დამუშავებამ კარგი ნაყოფი გამოილო. ყველა მონაწილეთა ვენახები, სახნავი მიწები და ხეხილის ბალები, თავის დროზე და კარგად იყო დამუშავებული. მოსავლის მილების შემდეგ უწინა მომხდარიყო ნისი განაწილება თვითეულ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. კოლელიშვილის და სხვების მოწმობითაც კომუნაში მუშაობამ დიღი კულტურული ზეგავლენაც მოახდინა წვერებზე: ლოთობას, უწმაწურ გინებას და უსაქმოდ იქეთ-იქით ხეტიალს სოფელში იდგილი ილარ ჰერნდა; გლეხები ძმურად დაუხალოვდენ ერთმანეთს, იჩენდენ ინტერესს წიგნისა და გაზეთისადმი; გლეხთა კოლექტიურ მუშაობა-ცხოვრებაში ქალებიც ჩიებნენ.

ივ. კოლეგი შვილმა შემდეგში ასწერა ეს თავისი კომუნა, ხელნაწერი წამიკითხავს, მაგრამ არ მახსოვე—დაიბეჭდა თუ არა... პირველ ხანებში—ეს იყო განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს—კოლელიშვილის დაწებულობას ადგილობრივმა მთავრობამ თუმცა აღმაცერად შეხედა, ხელს არ უშლიდა, მაგრამ დაიწყო თუ არა რჟაჭურია, ადმინისტრაცია წეუდგა კომუნის მონაწილეთა დევ-



ნას—გლეხების ჩერეკას და დაპატიმრებას. ბოლოს ივ. კოლელიშვილს შეატყობინეს, რომ საგუბერნიო მართველობას გადაეწყვიტნა მისი დაპატიმრება და საქართველოდან განდევნა. კოლელიშვილი გაიქცა და საზღვარგარეთ გაიხიზნა. ამგვარად გულგულის კომუნა დაინგრა.

ივ. კოლელიშვილი საკმიანდ განათლებული ინტელიგენტი იყო, მი ხანებში ანარქისტი და ლევ ტოლსტოის მიმდევარი. გატაცებული იყო სასოფლო-სამეურნეო კომუნების დაარსების იდეით, ადამიანი მტკიცე პრინციპებისა, თვითონ მცირე მოთხოვნილების, უბრალო ცხოვრების მოყვარული; მტკიცედ იცავა ვეგმიტარიანობას და ხილისა და პურის მარცვლის გარდა თითქმის არაფერს ეკარებოდა.

უკვე დიდი რევოლუციის შემდეგ, ერთ დღეს, ივი კვლავ ვნახე სამშობლოში დაბრუნებული, უკვე მოხუცებული ჩემთან იყო და მიამორ: კახეთს მივემგზავრები და განხრახვა მაქვს კვლავ დავუბრუნდე ჩემი კომუნის ამშენებლობასთ. სამშუხაროდ, ამის შემდეგ აღარაფერი გამიგია ამ საინტერესო პიროვნებაზე.

\*  
\*\*

რუსეთის და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ ხანად, როგორცა ვთქვით, დიდი რეაქცია და ეგრეთწოდებული „რევოლუციის ლიკვიდაცია“ დაიწყო. სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოები მთელ იმპერიაში განუწყვეტლივ არჩევდნენ პოლიტიკურ საჭერებს, ხვრეტდენ, ან ციმბირში ისტუმრებდენ მრავალ ხალხს. ჩემნშიაც იყო დაუსრულებელი პროცესები, ეგრეთწოდებულ „რესპუბლიკებისა—გურიის, შორაპნის, სოხუმის, ზუგდადის, ლეჩხუმის და სხ... ჩენი პარტიის ხალხიც ბევრი იქმნა იმ ხანებში ციმბირში გადასახლებული, ხოლო 1910 წელს მოხდა ჩენი პარტიის სათავის —ტფილისისა და მთავარ კომიტეტის ლიკვიდაცია.

30 აპრილს, საღამოს სტუმრად ვიყავი ილიკო ალლაძე სთან, რომელიც მაშინ ელისაბედის ქუჩაზე ცხოვრობდა. უცრიდ მოვიდა კოჯასპირული წვიმა, რომელმაც თითქმის სამ საათს გასტარია: ქუჩაზი ნიაღვარი დადგა და შეუძლებელი გახდა ჩემი სახლში დაბრუნება. მხოლოდ ღამის ორ საათზე დავაპირე წასვლა, მაგრამ ამ დროს გაისმა ძლიერი კარის ზარის რაკუნი და ბინაზე შემოვიდენ პოლიციელები და ენდარმები. ჩარეკამ დილამდე გასტანა. ამის შემდეგ ალლაძე დაატუსაღეს, ხოლო მე და ორი სტუმარი სახლში გვევიშვეს ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ.

ქციის შევრები და პარტიის სხვა შევრებიც დატუსალებლლი იყნენ. დაპატიმრებული იყნენ არა პარტიულნიც, თანამერძნობი და რედაქტორიში მომუშავენი, როგორც, მაგალითად, შაქრი ბილანი - შვილი.

ჯერ ჩამსვეს ეგრეთშოდებულ „ახალ შენობაში“, ერთსართულიან, აღაყაფის კართან ახლოს მიშენებული ფლიგელში, სადაც „სმერტნიკების“ კამერა იყო ჭინად. ჩემს გვერდით, კამერაში, ძღმონდა რუსი ნეკლიუდოვი, რაღაც ექსპროპიის საქმეზე შეპყრობილი. მეტად უცნაური პიროვნება იყო ეს ტუსალი. რაღაც არაივეულებრივი და თავისებური მაქსიმალისტი. ყველაფერს უარყოფდა, მოელ თანამედროვე ცივილიზაციასა და კულტურას. ყველაფერი უნდა დაინგრეს, ნაციონალური უნდა იქცესო.

როცა მე გამოევა პათებოდი და წინააღმდეგის რწმუნებას დავიწყებდი, წამოვარდებოდა თავის კრაოტიდან და დაკოდილ მხეცივით დაიწყებდა კამერაში ტრიალს; ანთებულის თვალებით, გაჩერილ გრძელ თმებით, გიუს ჰერცელა; დარბოდა და ხრუიანის ხმით გაიძახდა:

— სულ ტყუილია ყველაფერი. ჩვენი მეცნიერება და ლიტერატურა მანილოვის ზღაპრებიათ.

ერთი კვირის შემდეგ უანდარმთა სამსართველოში წამიყვანეს დასაკითხავად. ს.-ფედერალისტების საქმე გამოსახიებლად ჩაებარებინათ პოლკოვნიკ ბაშინსკის ათვის. ამას რაღაცნაირად ჩემი ძველი საქმე გამოენახა და ეხლა მექითხებოდა ნაროდოვოლცების პარტიაში მონაწილეობაზე, ციმბირში გადასახლებაზე და სხვა... ეს იყო და ეს. მეტი მე არ გაუუწვევივართ, არც არაფერი უკითხავთ; დანარჩენ ამხანაგებსაც თითოვან დაპეტიონს და საქმე სრულიად გამოუშებლად გაათავეს მხოლოდ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მათ ჰქონდათ აგენტებისა და პროვოკატორებისაგან.

ერთი თვის შემდეგ მომაშორეს ჩემ დაღვრებილ მაქსიმალისტს და ძველ კორპუსში გადამიყვანეს, შეორე სართულში, რომლის ფანჯრები ეზოში გამოიყურება. დამხვდა ბევრი ამხანაგი: გიგო რცხილა, სამსონ ფირცხალავა, ექიმი ალ. მაღალაშვილი, ილია ალლაძე, ალ. ჯაბადარი, მიხ. ჯავახიშვილი, ს. გრძელიშვილი (სანგანიძე), ქაიხოსრო ქავთარაძე, ესტატე ავალიშვილი, მიშა სუციშვილი, გილიაძე და სხვანი. ჩემს სართულში ბევრი იყო ს.—დემოკრატიკ; მახსოვეს ივ. გომართელი, სევ. ჯულელი და სხვანი; ს.-დ. ისხდენ ჩემს პირდაპირ კორპუსში; იქ, სხვათა შორის, იმდროს იქ-

და ნოე უორდანიაც. გარდა ამისა, ჩვენს კორპუსშივე ისხდენ დაშნაკელები, რომელთაც დიდი პროცესი მოელოდათ...

ცახეში მაშინ მყაცრი რეეიმი სუფევდა, კამერები მუდამ დაჭიტილი იყო; დღეში ერთჯერ გამოგვიყენენ ეზოში სასეირნოდ, ნახევარი საათით. გარედან მოსულების დანახვის ნება კვირაში ერთჯერ იყო „რეზოტებში“, „გაღმოცემა“ კვარაში ორჯერ. ციხის უფროსი იყო მაშინ რიცკევიჩი; გადარეულივით დარბოზი ეზოში დახშირდა ისმოდა მისი უშვერი ლანძლებ-გინება... გაზეობის კითხვა სასტიკად აკრძალული იყო და, თუ ვისმე უპოვნიდენ გაზეთს, აუცილებლად დასჯიდენ: ან „ნახვის“ ნებას წაართმევდენ რამდენიმე ხნით, ან კარცერში ჩასვამდენ.. წიგნების კითხვა შეიძლებოდა, მხოლოდ წიგნებს მეტებისავე პატარა ბიბლიოთეკა გვაწვდიდა. გარედან წიგნის გამოვზარა კი შეიძლებოდა მხოლოდ პროკურორის საშუალებით, პროკურორის ნებადართვით... სასტიკად-საშელ-საჭმელი სახაზინო იყო: დილასალამოს ჩაი, საცილად 1/4 გირვანქა ხორცი და წვენი; პურს გვაძლევდენ საკმარისად, მაგრამ წითელს—მეორე ხარისხისას; თეთრ პურს ილებდენ მხოლოდ ის პოლიტიკურები, რომელთაც სასამართლოს დაღვენილებით „კრეპოსტში“ დამწუცდევა პქონდათ მისჯილი. ჩით აიხსნებოდა „კრეპოსტშივების“ ეს პრივილეგია, ახლაც არ მესმის. შედარებით მცარე კვებას გავსებდით გარედან კუირაში ორჯერ მოტანილ საჭმლით. მუდამ ჩაკეტილ პატარა კამერაში უსაქმილ ჯდომა მეტად ძნელი ასატანი იყო. ამვეარ რეეიმში მოტელი თვეობითა და წლობით ციხეში ყოფნა ძალიან ცუდად მოქმედებს აღამიანის ფინანსები და ჯანმრთელობაზედაც. ბევრი ვერც უძლებდა ასეთ სასტიკი იზოლაციასა და ვინ ჩამოსთვლის, რამდენი კაცი დაუღუბდეს რუსეთის ძევლი რეეიმის ციხეს, რამდენი დაგვადებულა სულით და ხორცით. მე ყოველთვის მაკვირვებდა და ეხლაც მაკვირვებს, როგორ, გასძლო მაგალითად, ნიკ. შორის 28 წელიწადს პეტრებავლეს ციხეში, დამწყდევის უსასტიკეს პარობებში. მე ვნახე და გავიცანი მოროზევი ციხიდან გამოსვლის შედევ: ის ჯანსაღი იყო სულითაც და ხორცითაც, არა—თუ ჯანსაღი, ძლიერიც, თითქო არაფითარი საშინელება არ გადაეტანოს.

მეტებში იმ დროს სხვადასხვა სახელოსნო იყო: სახარაზო, სადურგლო, წიგნების ასაკინძი, ბოლოს სტამბაც. მაგრამ იქ ამჟავებდენ მხოლოდ სისხლის სამართალში მიცემულთ, პოლიტიკურებისა-თვის-კი სასტიკად აკრძალული იყო სახელოსნებში მუშაობა... ერთ ხანს ჩვენც ვიშოვეთ მეტებში თავგასართობი საქმე. ვოხვეთ რიმკვეთის ნება მოეცა საეკლესიო გუნდის შედგენისა. იმან ნება



დაგვრთო და მეორე დღესვე შევადგინეთ დიდი სია; ბევრი ჩატურა ისეთიც, რომელთაც გალობის არაური გაეგებოდათ. რიმეე-კიჩა სია შეაწყლა, მაგრამ 30—40 კაცი მაინც დავრჩით. დილის გაგვიწვიერს სასკოლო ოთაში „სპეციაზე“. ჩეენ შორის აღმოჩნდა ერთი მასწავლებელი, თუ არა ვცდები ნაცვლიშვილი, რომელ-მაც კარგად იცოდა ქართული საექლესიო გალობა და ცოტა რუსულიც. შევადგინეთ ორი გუნდი; რუსულ გუნდს ხანდახან მეც ვლოტ-ბარობდი: გიმნაზიაში რვა წელიშადს ვგალობდი კლიროსზე და აი-ტომ რუსული წირვა-ლოცვის გალობა კარგად ვიცოდი. მძიარად კვირაში სამჯერ დაგდილით ჩეენ „სპეციაზე“, სხვადასხვა პარტიის ხალხი ვიკრიბებოდით, ვლაპარაკობდით, ვმღეროდით. ეს კარგი თავ-შესაქცევი გამოვებნეთ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ, სამწუხაოდ, ესეც მოგვისპო. ერთ კვირა დღეს მეფის რაღაც დღესასწაული იყო; წირვის შემდეგ დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის თითქმის გათავევები-სას არის მეფის ერთი სადღეგრძელო საგალობელი, „დმერთო, აც-ხონე ერთ შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“. ამის გალობაზე პოლიტიკურებმა უარი სთქვეს და როცა დრო მოვიდა, ყველანი ძირს ჩავიდენ. დავრჩით მარტო მე,—ლოტბარი და ორი სისხლის სამართ-ლის პატიმარი. მოვდელი გვიძახის ქვეიდან: „Спаси господи, Спа-си господи“, მაგრამ ჩეენ ვდუმვართ. ჩეენც ჩავედით ქვევით, გზა-ში შემოვეუფა ციხის უფროსი—პოლკოვნიკი ლეონტი ივანი, (რო-მევის რაღაც უული შემოვეულანგა და სამსახურიდან დაითხვეს) მოვგიბრუნდა და მრისხანედ შეგვეკითხა: „Почему не пели? я об этом сообщу Пастрюлину—(ეანდართმა სამართველოს უფროსი იყო). არ ვიცი შეასრულა თავისი მუქარა თუ არა, მაგრამ იმ დღი-დან გუნდი მოისპო.

ეს ახალი ჩვენი უუროსი გულკეთილი კაცი იყო, მაგრამ ცო-ტა ახირებული. სხვადასხვა შელავათი მოგვეცა პოლიტიკურებს, მაგ-რამ განიზრახა ერთი სამხედრო ჩეეულების შემოლება და ამის გამო ჩვენი ურთიერთობა გამჭვადა. სეირნობის დროს ზედამხედ-ველს, როცა უფროსს დაინახვდა, უნდა დაეძახა: „Смирно!“ და ჩვენ უნდა გამოვჭიმულიყვით ფრანტში. ეს, რასაკვირველია, ზეე-არ ავასრულეთ. პირველი მე დავისაჯე ამ ამბის გამო. პარველ წყე-ბაში, ვიღევით მე და სომხის დაშნაკების ცნობილი ლიდერი ხა-ჯაკი. გავიგონეთ კომინდა „Смирно!“, მაგრამ ჩეენ წინ წავედით. ლეონტი ივანი ძალიან გაჯავრდა, სეირნობა შეჩერა, ხოლო მე კარ-ცერში გამგზავნა. შეუ ზაფხული იყო და დიდი სიცხე იდგა. კარ-ცერის სამი კედელი საშაროეულოს კედლებიც იყო. ბნელ კარცერში

აუტანელი სიცხე იდგა და ჰაერი მეტად შეხუთული იყო. კარებში ჩავიკეცე და პატარა კურჭულანაში ჰაერს ვყლაბავდი. ერთი საათის შემდეგ კარცერის კარები გაიღო და ოვითონ ლეონტიევმა გამოგვიშავა. ძალიან გაბრაზებული ვიყავი უსამართლო დასჯით და ჩივილსაც ვაპირებდი, მაგრამ გულზე მომეშვა, როცა ეს მოხუცებული დავინახ. ძალიან დარცხვენილი იყო და ბოდიშიც მოიხადა: ვი მენა პროსტიტ, ის არ ვარ და მაგრამ ვარ განწყობილებაში იყო, ჩემ თჯახთან პირისპირი ნახვის ნებას მაძლევდა და სხვა...

ერთ დღეს ლეონტიევი ჩეენს კამერაში შემოვიდა, რომელშიაც 5 ს.-ფ. ვიჯექით და გვახარა:

— გუშინ საღამოს თქვენი სტამბაც მოვვივიდა მეტებში. პარტიაც აქ არის და მისი სტამბაც.

მართლაც ჩეენი პატარა სტამბა რედაქციისათვის წაერთმიათ და მეტების სტამბის გასაძლიერებლად მოეტანათ ციხეში.

აღნიშნავ აქვე რომ ჩეენი ვაზეთის გამოსხვლა ერთი დღითაც არ შეჩერებულა, თუმცა მთელი რედაქცია დაგვაპატიმრეს. ჩეენს შემდეგ რედაქციაში ჩამდგარიყვნენ: გერონტი ქიქოძე, სვიმონ მაჭავარიანი და სხვები; იყვნენ გალარჩენილებიც, როგორც მაგალ. არჩილ ჯაჯანაშვილი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მეტებში, რედაქციის ეს ახალი შემაღენლობაც მოიყვანეს და ვაზეთის გამოცემა განაგრძო არ. ჯაჯანაშვილმა. ამრიგად, მეტების პატიმრებს მოემატენენ გერონტი ქიქოძე და სვ. მაჭავარიანი. მასთან ერთად დააპატიმრეს ფერეიდანელი ონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან მეორედ იყო ჩამოსული; ონიკაშვილიც, როგორც სოც.—ფედერალისტი იყო დატუსალებული, ძლიერ-ძლიერბათ მოხერხდა მისი განთავისუფლება.

ასე ვისხედით იმ წლის დეკემბრამდე, 7 თვის განმავლობაში. დეკემბრის დამდეგს გამოვვიცხადეს განაჩენი: წუთ-წუთი წლით აგვიკრძალეს კავკასიის სამეფოსნაცვლოში ცხოვრება. ორი დღით გაგვათავისუფლეს ციხიდან და მესამე დღეს ჩეენ მიერ არჩეულ ქალა. ქებში გაგვისტუმრეს. მე საცხოვრებელად ავირჩიე ხარკოვი, სადაც გადავწყვიტე შემთხვევით მესარებლნა და ჩემი თვალები მეწამლნა, რუსეთში ცნობილ პროფესორ — ოქულისტ გირშმანთან. დანარჩენი ჩემი ამხანაგები, თითქმის ყველანი, როსტოკში გადასახლდენ, მხოლოდ ს. ფირცხალავამ ქალ. ტვერი აირჩია საღაც იმ დროს ცხოვრობდა მისი მეგობარი, ავადმყოფი სტუდენტი კ. მიქელაძე.

XXXII

სარკოვში. — ბაქოში გადასული. — ბაქოს ქართველობა. — ჩემი მონაწილეობა გაზრდ „პატიში“. — მეოთხე სათავი-როს არჩევნები. — ჩემი პოზიცია. — ჩემი დაბრუნება ციფისში.

ხარჯოვში იმხანად ბევრი ქართველი ახალგაზრდობა სწავლობდა. მე მყავდა ერთი ქარგი ნაცნობი, სვიმონ სარლიონის ძე. მე მყავდა ერთი ქარგი ნაცნობი, სვიმონ სარლიონის ძე. ამირ ეჯიბი, რომელიც დატოვებული იყო უნივერსიტეტის მიერ პროფესორობისათვის მოსამართებლად. იმის შემოწმებით გავიცანი პროფესორობისათვის მოსამართებლად. ნათი შვილი და ოლადა-შვილი. მყავდა აგრეთვე ნაცნობი სტუდენტები: გიგო ყიფშიძის შვილი—ვასილი, და ჩვენი პარტიული ამხანაგის ეს ტატე ავალიშვილის ძმა—სოსო ავალიშვილი. ამათი შემწეობით ბევრი ქართველი სტუდენტობა გავიცანი.

“გემოხსენებული სკ. ამირეჯიბი, ნათიშვილი და ალადაშვილი  
ამეამად ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორები არიან. მე  
დავვესწარი ხარკოვში სამეცნიერო სხდომას, რომელზედაც აღ ადა-  
შვილი თავის პირველ დისერტაციას იცავდა ბორჯვის წყლის  
სამკურნალო ცვისებების შესახებ. ს. ამირეჯიბი ბაქტერიოლოგი  
იყო და მუშაობდა ხარკოვის საექიმო საზოგადოების რუსეთში გან-  
თქმულ ბაქტერიოლოგიურ სადგურზე. ჩასვლისთანვე მოვქმნე ერ-  
თი ძელი ნარდოვოლეცი, რომელთანაც გავიცანი რამდენიმე ადგი-  
თი ძელი ნარდოვოლეცი, რომელთანაც გავიცანი რამდენიმე ადგი-  
ლობრივი სოც.-რევოლ. დროვამოშევებით დავდოოდი მათთან, მაგ-  
რაც მალე კივეში სტოლიპინი მოჰკლეს, რის გამოც ხარკოვში  
ჩხრეკა და დატუსადება დაიწყო; მე თავი ავარიიდე ჩემ ახალ ნაცნო-  
ბებს, რათა ტყულ-უბრალოდ არ დავსჯილიყივი, მით უმეტეს, რომ  
იმუშად, როგორც ჩემმა ნაცნობმა სტუდენტება, გადმომცეს, „შპი-  
კიპი“ დამდევდენ.

ქუთა დამდეცველი: ტეილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების მომანდეს ხარჯოვის საად-მამულო ბანკში გილ-მამულო ბანკების მომანდეს ხარჯოვის საად-მამულო ბანკის საქმეთა მმართველობის და საერთოდ ბანკის საქმეთა ორგანიზაციის გაცნობა. ხარჯოვის ბანკი საუკეთესო საად-მამულო ბანკად ითვლებოდა იმ დროს რუსეთში და, მართლაც, საუცხოვოდ იყო იქ დაყენებული მამულების დაფასების, სესხის გაცემის, დარჩენილ მამულების პატრიონობის და სხვა საბანკო საქმე. ერთ თვეში შეტანილი მოვანურობები მამულების და ვრცელი მოხსენება გავუგზავნე ჩვენ ბანკებს.

შერე განვიზრახე ალგილობრივ გაზეთებში მუშაობა. გეგმაც შევადგინე ჩემთვის. ვიფიქრე, ადგილობრივ მოწინავე საზოგადოები-სათვის ინტერეს მოქლებული არ იქნება გავაუნო ამიერ-კავკასიაში განმათავისუფლებელ მოძრაობის მთავარი ეტაპები და საყურადღებო მომენტები: მუშათა და განსაკუთრებით გლეხთა მოძრაობა, მთავარი პარტიების მოლვაწეობა, ეროვნულ საკითხის ვითარება, სომებ-თათართა ურთიერთობა, კავკასიისთვის უახლოესი და უსაჭიროესი რეფორმები და სხვა. ხარჯოვში იმ დროს ორი პროგრესული გაზეთი გამოიღოდა: „ნოვორისისის ტელეგრაფ“ და „უტრო“. პირველი გაზეთი ეკუთვნოდა რუსეთში ცნობილ უურნალისტ იოზიფ ოვიჩს. ეს იოზეფოვიჩი წინაა რეაქციონერი იყო, მოსკოველ კატკავის მიმდევარი. ოთხმოციან წლებში ის იმავე „ნოვორის. ტელეგრაფს“ სცემდა ხარჯოვში, ერთხელ სტუდენტობაში დიდი დემონსტრაცია გაუმართა, რედაქციის ფანჯრები ქვებით ჩაულეწეს და თვით იოზეფოვიჩი შემთხვევით გადაურჩა ცემის ტემდეგში იოზეფოვიჩმა ფერი იცვალა და ლიბერალობა დაიწყო. „ბოროტი ენები“ ამბობდენ, რომ ასეთი „ფერისცვალება“ გამოწვეული იყო მატერიალური მოსახრებით. რეაქციონურ გაზეთებს გისავილი არ ჰქონდათ და იოზეფოვიჩმა ლიბერალურ გაზეთის გამოცემა ამჯობინაო.

მეორე გაზეთი „უტრო“ რადიკალური იყო და მეც ის აირჩიე. წავედი რედაქციაში, ვიკითხე რედაქტორი, მაგრამ მითხრეს, სადარბაზო ბარათი უნდა შეგზავნოთ. ავიდე ქალალდი, დავწერე ჩემი გვარი და სახელი და ქვევით მოვაწერ აქართველი უურნალისტი ტფილისიდან“. ასეთი ცერემონიები ის მომწერნა რადიკალურ გაზეთის რედაქციაში; ვაძახსენდა ჩენი რედაქციები, სადაც ყოველთვის და ყველასათვის კარი ღია იყო. პატარა ცნის ლოდინის შემდეგ მისალებ ითახში გამოვიდა მაღალ-მიღალი. შუახნის კაცი, მოვიდა ჩემთან, გამეცნო, — რედაქტორი ვარო და მკითხა: რა საქმე გაქვთო. მე ვუპასუხე, რომ მაინცა და მაინც საქმე არაფერი მაქვს; კიდევ გაცუმეორე, რომ ტფილისიდან ჩამოსული უურნალისტი ვარ, გაზრახვა მაქვს გაზეთში ვიმუშაო-მეთქი.

— თუ დასაბეჭდი რამე მასალა გაქვთ, მოგვიტანეთ, გავსინ-ჯავთ, მომიტრა სიტყვა რედაქტორმა. შევატყვე, აუდიენცია გათავებული იყო, თავი დავუკარი და რედაქციიდან გავედი. გადავწყვიტე, რომ ამგვარ მიღების შემდეგ იქ არასოდეს მარტევს უურნალისტი. გული. დამწყვიტა ასეთმა ცივმა მიღებამ, გამახსენდა, როგორის სტუმარმოყვარეობით, ალერსითა და თავაზიანობით ვევებებოდით ხოლმე რუსეთიდან ჩამოსულ უურნალისტებს...

შემდეგ ამისა, ჩემთა ნაცნობმა ხარკოველმა ქართველებმა მაცნობეს რომ ერთი ხარკოველი ებრაელი ექიმი ყოველკვირეულ გაზეთის გამოცემას აპირებს და თანამშრომლებს ეძებსო. მიცედი, აღმოჩნდა, რომ მას უმთავრესად უნდოდა კორექტორი:

— გაზეთი სპეციალური საექიმო ფურცელი იქნება. მითხრა ექიმშა, თქვენ დაგჭირდებათ ხელთნაწერის გადაკითხვა და გასწორება სტილის მხრით, შემდეგ-კი კორექტურის გასწორება.

იმ დროს მე პროფ. გრიშმანთან თვალებს გაქიმობდი და წერა-კითხვა თითქმის აკრძალული მქონდა. ამიტომ კორექტურის გასწორება ვერ ვიკისრე.

ამგვარად, უშედეგოდ დამთავრდა ხარკოვში ჩემი ცდა უურნალისტურ მუშაობის გამოქებისა.

ხარკოვში ხშირად გამომივლიდენ ხოლმე პეტერბურგში მიმავალი, ან იქიდან დაბრუნებული ქართველი მოღვაწეები; რამდენსამე საათს, ან ერთ დღეს ჩერდებოდენ ჩემთან. ხშირად მნახულობდა გიორგი ზდანოვი ი. ერთერთ ჩამოსვლაზე მან მიამდი: პირველ სათათბიროს ყოფილმა წევრმა პროკოფი შარვაში ძეგმილითქვა, მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშვილის ვთხოვ გიორგი ლასნიშვილს ნება მისცეს საქართველოში დაბრუნებისამ.

გაიარა ამის შემდეგ ერთმა თვეშ და გიორგისაგან წერილი მივიღე, რომელშიაც მწერდა: შარგაშიძე დაპირებისამებრ ელაპარაკა შენს შესხებ მეფის ნაცვალს, უთხოვა: დააბრუნეთ ეს ქართველი მშეიღობიანი მოღვაწეო. მეფის ნაცვალმა ამაზე უპასუხა: თქვენ ლასნიშვილის ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს იცნობთ; ჩენ კი ვიცით, რომ ის არის ისეთ სარევოლუციო პარტიის წევრი, რომელიც ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებათ.

მაგრამ, შარვაშიძის შუამდგრმლობამ, მეურნი მაინც გასჭრა: ხარკოვში ყოფნის მესამე წელიწადს ნება მომცეს ბაქოში გადასვლისა.

\* \* \*

ბაქოში იმქამად ცხოვრობდა ჩემი და ცნობილ ქართველი პედაგოგის და მოღვაწის მიხეილ თაჭთავიშვილის მეუღლე-იმათ ოჯახში დაგსახლდი და დავიწყე ბაქოს გაცნობა. ბაქოში იმ ხანებში დიდალი ქართველი საზოგადოება ცხოვრობდა: მუშა-მოსამსახურე, ვაჭრები და სხვები. იქ დამზღვდენ ბევრი ჩემი ძევლი ნაცნობ-მეგობრები. ექიმი კონსტანტინე ლორთქიფანიძე განაგებდა ნავთის მრეწველთა სტანციაზე საცავდმულოს, ექიმი ივანე

ულიაშვილი (ტფ. სახ. უნიცერსიტეტში სოციალურ პიგიენაზე ლექციებს კითხულობს) ჩვენი პატიული ამხანაგებია- პლატონ გელოვანი, სვიმონ კვიტაშვილი, ვლ. ახმაძაძე. იქვე ამზედა ჩემსავით საქართველოუნ გამოძევებული ჩვენი რედაციის და კოშიტეტის წევრი იღია აღლაძე და ბევრი სხვა.

ბაქოს ქართველი საზოგადოება გულმოლგინედ ეწეოდა ეროვნულ საზოგადოებრივ მუშაობას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საუკეთესო განყოფილება სწორედ ბაქოში გვყავდა. განყოფილებამ ქალაქის თვითმართველობისაგან მიიღო ქალაქის ცენტრში, ბირების მოედანზე მიწა და ცნობილ ნავთის მრეწველის იაკობ მანსვეტაშვილის მიერ გაღებულ საშუალებით ააგო მშენებირი ორსართულიანი შენობა, საზაც ქართული სკოლა მოათავსა. გარდა თავის საქმეების მოწყობისა, ბაქოს განყოფილება წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ კომიტეტსაც თვალსაჩინო მატერიალურ დახმარებას უწევდა. განყოფილების კომიტეტის ენერგიული თავმჯდომარე იყო ხსნებული მის. თაქთაქიშვილი, მაშინ ბაქოს კომერციულ სეწავლებლის დირექტორი—ხოლო წევრებად ჰედა გოგები მიხეილ კალანდარაშვილი, რ. ნაცვლიშვილი, შემდეგ კვიტაშვილი, თედეშვილი, პლ. გელოვანი, ვლ. ახობაძე და სხვები. შემდეგში განყოფილების თავმჯდომარედ იყო ცნობილი ქართველი ნავთის მრეწველი და ინჟინერი იოსებ დადიანი. ახსებობდა იმ ხანად ბაქოში იმავ თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით ქართული დრამატიული სექცია, რომელიც ქართულ წარმოდგენებს მართავდა „სომებ-კავთმოყვარე საზოგადოების“ სათეატრო შენობაში.

ბაქოს ქართველებში ბევრი იყო შეძლებული, სხვადასხვა სპეციალისტი, გაჭარი და მრეწველი, და იმათგან სხვადასხვა ქართულ დაწესებულებანი დიდი მატერიალურ შემწეობას ლებულობდნენ.

განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ბაქოში ჩვენ პარტიის ბევრი წევრი ჰყავდა და აღგილობრივი კომიტეტიც იყო არჩეული, რომელსაც პლატონ გელოვანი თავმჯდომარეობდა. შემდეგში, როცა საქართველოში ნაციონალ-დემოკრატია პარტია დაარსდა, ზოგი ბაქოელი ს.-ფ. იქით გადავიდა.

ბაქოში იმ წელებში გამოდიოდა ორი პროგრესიული ვაჭეთი „კასპი“, და „ბაკუ“. უკანასკნელ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ჩემი ძევლი ნაცნობი, ტფილისის ქალაქის თავად ნამყოფი ქ. ვერმიშვილი. მალე იმასთან მიედი რედაქტიაში და გამოფუცხადჲ

თანამშრომლობის სურვილი. ვერმიშევმა სიამოცნებით მიიღო ჩემი წინადაღება და მითხრა:

— სწერეთ, რამდენიც გინდათ და რაზედაც გინდათ, მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ისე ფართოდ და აშკარად სოციალისტურ საკითხებზე წერა არ შეიძლება, როგორც ამას ქართული გაზეთები სხალიან ტფილისშით.

რამდენსამე თვეს მართლაც ვმუშაობდი გაზეთ „ბაკუში“ „განის“ ფსევდონიმით, ხანდახან ჩემი წერილების გამო პრინციპიალური შეტაკება მჭონდა ვერმი შევთან, მაგრავ მაინც და მაინც ხელს არ შიშლიდა.

„ბაკუ“-ში მუშაობის გარდა მაშინ მომიხდა კიდევ პეტერბურგის და დიდ გაზეთის „სტოლიჩნაია მოლვაში“ მუშაობა. ეს გაზეთი რადიკალურ მიმართულებისა იყო: ის იყო მაშინ დაარსდა პეტერბურგში და მე წინადაღება მივიღე რეზაქციისაგან კავკასიის შესახებ მეწერა, ბაქოში ყოფნის დროს მართლაც დავბეჭდე ამ გაზეთში რამდენიმე წერილი — ზოგი კერძოდ ბაქოს ცხოვრების შესახებ, ზოგიც საზოგადოდ კავკასიაზე. მაგრამ, მალე სამშობლოში მომიხდა დაბრუნება და დროებით შევწყვიტე „სტოლ. მოლვაში“ მუშაობა. შემდეგისათვის გაპირებდი ფართოდ გამომყენებინა სატახტო გაზეთის ფურცლები საქართველოს ცხოვრების, მის ეამთა სიავის აღწერისათვის, მაგრამ გარემოებამ შევიწალა ხელი და ამასობაში ეს გაზეთიც დაიხურა.

\* \*

ხარჯოვსა და ბაქოში ჩემი ყოფნის დროს დაურა სული მესამე სახელმწიფო სათათბირომ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სახალხო წარმომადგენლების მუშაობა სრულიად უნაყოფო გამოდგა. სახელმწიფო მუშაობის და შემოქმედების ხელმძღვანელი პარტიის როლი ამ სათათბიროში დაეკისრათ ოქტომბრისტებს. თითქმის ხუთი წლის განმავლობაში ამ პარტიიამ ვერ გადასწყვიტა გადაჭრით, ეს მხარეზე დამდგარიყო; ხან მორჩილად მისდევდა თვითმშევრობელ ბიუროება. ტიას, ხან ოპოზიციონერობასაც ეპოტინებოდა. ამ სამარცხებინ ქანაობაში ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ, ვერ დააღწია თავი გამოურჩეველ მდგომარეობას და ყველა საჭიროობრო საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. განსაკუთრებით ითქმის ეს ამიერ-კავკასიის შესახებ: არც ერთი საკითხი, რომელიც ცხოვრებამ კარგა ხანია წამოაყენა, მესამე სათათბიროს არ განუხილავს.

ამ პირობებში შეუდგა რუსთი 1912 წ. მეოთხე სათათბიროს დეპუტატების აღჩევას. უდა აღვნიშნო, რომ ამ არჩევნების შედეგი მრავალმნიშვნელოვანი იყო იმ მხრით, რომ მიუხედავად სამი იქნის საარჩევნო კანონისა, მიუხედავად ათასგვარ შევიწროებისა, ქვეყანაშ მაინც გამოიჩინა ოპოზიციონური სულისკეთება. მე-III სათათბირო ოპოზიციამ კადეტებიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენებამდე, არა თუ არ დაპკარგა ძველი აღგილები, რამდენადმე გაიზარდა კი-დეც. ამასთანავე სასტიკად დამარცხდა პარლამენტის ცენტრი — ოქტომბრის სტები, რომელთა უმსგავსო პოლიტიკამ ხუთი წლის განმავლობაში, გაუვალ კრიზისიდან ვერ გამოიყანა ქვეყანა. გაიზარდა ავრეთვე მემარჯვენეთა ფრთა. ბევრი მაშინ წინასწარმეტველებდა, რომ მე-4 სათათბიროს ხანგრძლივი სიცოცხლე ვერ ექნება. არ შეუძლია მუშაობა ისეთ პარლამენტს, რომელშიც ძლიერია ფრთები, სოლო ცენტრი არ არსებობს. მაგრამ თვითმკრობელმა მთავრობამ შოახერხსა მემარჯვენე დეპუტატების შემწოდით ისევე იქტომბრის ტების ცენტრის შექმნა, ე.ი. ისევ მორჩილი პარლამენტი მიიღო.

საქართველოში ეს მეოთხე პოლიტიკური არჩევნებიც იმავე პირობებში მიმდინარეობდა, როგორც წინანდელი. ბრძოლა იყო არა რეაციასა და ოპოზიციას შორის, როგორც შიდარუსეთში, არამედ, ოპოზიციონურ ჯვეუფებს შუა. ახლაც უმეტესობა ს.-დ. ხედი, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაში ერთი ს.-ფედერალისტი მაინც აირჩიეს — ვარლამ გელოვანი. გელოვანის არჩევა შემთხვევით იყო იმ მხრით, რომ ს.ფ.-ის კანდიდატი იყო კიტა აბაშიძე, მაგრამ რადგან მთავრობამ გააბათილა იმ ამომრჩეველთა ჯვეუფის არჩევნები, სადაც კ. აბაშიძე იყო ამომრჩევლად, პარტიაშ მის მავივრად წამოაყენა ვ. გელოვანის კანდიდატურა.

ტფილისის გუბერნიაში ს.-ფ. მხარს უჭირდენ ლუარსაბ ან-დრონიკა შვილის კანდიდატურას. ორ მებრძოლ ჯაშტს თითქმის თანაბარი ძალა ჰქონდა, მაგრამ უბარტიო სომეხმა ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს ს.-დემოკრატებს და გამარჯვება მათ არგვნეს.

ამ გარემონბამ იმ ხანში დიდი კამათი გამოიწვია ქართულ პრესაში. „სახალხოელები“ (ს.-ფ.-ბი) უსაყველურებდენ სომებს ამომრჩევლებს, რომ მათ, წინააღმდეგ თავის აწმენისა, მხარი დაუჭირეს ს.-დ.-ს. მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე კანდიდატი მიმართულებით დემოკრატი და პროგრესისტი — ამავე დროს ქართველთა ეროვნულ მოთხოვნილებათა დამცველად გამოდიოდა. შეიქმნა უცნაური სიტუაცია: სომები თავის ქვეყანაში დეპუტატებად ირჩევდნ ისეთ პროგრესიულ მოაზროვნე მოღვაწეთ, რომელთაც ეროვნული საკითხი და

ეროვნული საქიროებანი აინტერესებდათ, ხოლო საქართველოში მხარს უჭერდენ ს.დ., რომელთათვისაც ეროვნული საკითხი, ყოველ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი საკითხი იყო.

ქართულ პრესის და ქართულ საზოგადოების ეს საყვედური რომ სამართლიანი იყო, იქიდანაც კი სჩანს, რომ თვით სომხის ერის წარმომადგენლები უკმაყოფილებას აცხადებდენ სომებს ამომრჩეველთა პოზიციის წინააღმდეგ. ამგვარი საყვედურები და პროტესტები გამოაცხადეს მაგ. გ. მ. თუმანიშვილმა და ა. ევანგულოვმა ტფილისში. ხოლო ქ. რ. ვერმიშვილმა ბაქოში. ასეთსავე პოლემიკაში მცც მომიხდა ჩარევა. ბაქოში იმ დროს გამოდიოდა ყოველყვირეული ქართული გაზეთი „წყარო“, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმხანად საქართველოდან გაძევებული ფ. მახარაძე. აი ამ „წყაროსთან“ მომიხდა მე პოლემიკა იმავ საგანხე, რომლის გარშემო დიდი აურზაური იყო ტფილისის პრესაში.

\* \*

დადგა 1913 წელიშადი, როცა რომანოვების სამეცნ გვარმა თავისი არსებობის 300 წყლის იუბილე გადაიხადა. ამ დღესასწაულის გამო გამოცხადდა მანიფესტი, რომელიც ცოტაოდნად პოლიტიკურებსაც შეეხო, უმთავრესად აღმინისტრატიულის წესით დასჯილებს. მე არ მოვუკადე არავითარ განკარგულებასა და მანიფესტის განმარტებას, მაშინვე ტფილისში დაგვბრუნდი. ბაქოს პოლიციას ეს გარემოება ტფილისისათვის ეცნობებინა და რამდენიმე დღის შემდეგ დამიბარეს მეფის ნაცვლის სამმართველოს საპოლიციო ნაწილში. ამ ნაწილის გამჯერ მრისხანედ მკითხა:

—რა ნება გქონდათ ტფილისში ჩამოსელისა?

მე ვუპასუხე, ეს ნება მანიფესტია მომცა მეთქი. ამაზე საპოლიციო უფროსმა დამიწყო განმარტება: მანიფესტი სისრულეში მოყვავთ მთავრობის აგენტებს და არა თვით დასჯილებს. ამიტომ, დაბოლოვა მან, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეთ ბაქოში და იქ უცადოთ ჩვენ განკარგულებასათ.

ამაზე მე გადაჭრით უარი ვუთხარი და გამოვუცხადე, ჩემის ნებით ტფილისიდან არსად წავალ მეთქი.

მაშინ ამ ვაჟაბატონმა იკადრა და თვითონ მოსძებნა გამოსავალი: თქვენ დროებით ხართ ჩამოსული ტფილისში, მანამდის—კი ჩვენ ამ საქმეს გადავწყვეტთ; დასწერეთ მეფის ნაცვლის სახელზე განცხადება, რომ თქვენზედაც გავრცელებულ იქნას მანიფესტის ძალათ.

ამრიგად თითქმის ორი წლით შემიმოკლდა სასჯელი და მე ისევ სამშობლოში დაგვბრუნდი.

### XXXIII

„ხახალხო გაზეთი“ და ჩვენი პარტიის ახალი თაობა.—  
 არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება და დახაულავება.—  
 ჩვენი პარტიის ახალგაზრდობის დატუხალება.— ტფი-  
 ლისის ხაადგილ-მამულო ბანკებში ჩემი მუშაობა.

რასკვირველია, ჩამოსელისთანავე ჩვენს გაზეთსა და პარტიის  
 მივაშურე. ორთავესთან მჭიდრო კავშირი მქონდა შორიდანაც, მაგ-  
 რამ მაინც ვიჩქაროდი, ჩემის თვალით მენახა, როგორ არის საქმეე-  
 ბი და როგორი ცვლილებები მოხდა სამი წლის განმავლობაში.

მაშინ გამოდიოდა „სახალხო გაზეთი“, რომლის ოფიციალური  
 რედაქტორი ნიკო კურდელაშვილი იყო; იგივე ასრულებდა  
 რედაქციის მდივნის როლს. გაზეთს ხელმძღვანელობდენ და მუშაობ-  
 დენ სულ ახალგაზრდანი, ჩვენი პარტიის მეორე თაობა: არჩილ ჯა-  
 ჯანაშვილი, ქრ. რაჭელიშვილი, აკაკი პაპავა, არი-  
 სტო ჭუმბაძე, გ. ჭუმბურიძე, მიხ. საყვარელიძე. ჩე-  
 მი ჩამოსელისას, პირველსავე თვეებში, ამათ მიემატათ კიდევ ერთი  
 ახალგაზრდა მწერალი თვევდ: ლლონტი. ძველებიდან განაგრძობ-  
 დენ მუშაობას გრ. რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ილია ნა-  
 კაშიძე და იოსებ გელევანიშვილი.

პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებებიაც ბევრი ახალგაზრდა  
 წევრი დახვდა: შალვა მესხიშვილი, შალვა მიქელაძე,  
 ვ. ეგნატაშვილი, ვ. კარბელაშვილი, სამსონ დადია-  
 ნი, მუშები ბესო (იულონ) ქელბაჭიანი, ერასტი ტო-  
 როტაძე და მრავალი სხვა. საერთოდ პარტია იმ ხანებში ძლიერ  
 გაიზარდა, რაც ახლად დასრულებულმა მეოთხე სათათბიროს არჩევ-  
 ნებმაც გამოამჟღავნა; ამ არჩევნებში, რომელმედიც მეუკვე მქონდა  
 ზემოთ ლაპარაკი, საქართველოში არჩეულ იქმნა 38 ს.-დემოკრატი  
 ამომრჩეველი, 36 ს.-უცდერალისტი...

ტფილისში დაბრუნებისთანავე გავიგე მეტაც სამწუხარო ამბა-  
 ვი, რომ არჩილ ჯორჯაძე უარესად შეიქნა. იმუამდი ის იმყო-  
 ფებოდა ბათომში და თურმე კარგა ხანია ლოგინიდან ვერ დგებოდა.  
 ჩვენი ქვეყნის დარწუხეთის სხვადასხვა აღვილებიდან რედაქციას მოსდიო-  
 და წერილები, რომლებშიაც პარტიული ამხანაგები და არაპარტიული  
 ხალხი თანაგრძნობას უცხადებდენ ავადმყოფ მწერალს და განჭურნე-  
 ბას უსურვებდენ.

შარტის დამდეგს სისიკო მდივნისაგან მომავიდა დეპე-  
შა ბათომიდან, არჩილს ჟენი ნახვა უნდა და ჩამოღიო. იმ ღამესვე  
გათომს გავემგზავრე და დილას სასტუმრო „ფრანციაში“ მიეღი,  
სადაც არჩილის ბინა იყო. არჩილი იწვა დიდ, მზით უხვად განა-  
თლებულ ოთაში. ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი იყო, მხო-  
ლოდ ფერმიხდილ სახეზე ისევ ძვლებურად ანათებდენ მისი შავი  
თლები. სუნთქვა გაძნელებული ჰქონდა და ბევრი ლაპარაკი აღარ  
შეეძლო, ირგვლივ მჯდომანი ვლაპარაკობდით ერთმანეთში და არჩი-  
ლი ხანდახან ორიოდე სიტყვით ჩამოვერეოდა. ბევრი ზალხი მოდიო-  
და არჩილის სანახავად სასტუმროში; მოდიოდენ სხვა პარტიების წარ-  
მომადგენლებიც: ს.-დ., ს.-რევ., ნაც. დემ., და აგრეთვე უპარტიონიც.  
არჩილის მეგობრებიდან იმუამად ბათომში იყვნენ: ქუთაისიდან ჩა-  
მოსული კიტა აბაშიძე, ბათომში მცხოვრები ს. მდივანი და  
ანდრია დეკანოზიშვილი.

დიდის მღელიარებით შემეცვება არჩილი, გამომკითხა, როგორ მოვა-  
ხერხე დაბრუნება, შემდეგ გიანგრძო:

— გახსოვს გიორგი, ზენ რომ ხარკოვში გაგგზავნეს, მე და  
რამდენიმე ამხანაგმა ნავთლულამდე გაგაცილეთ. მატარებელი რომ დაი-  
ძრა, მე და სანდრო დასამიძე კარგ მანძილზე მოვდევდით და ფან-  
ჯარაში მდგომს გელაპარაკებოდით. თითქო გუშინ იყო ეს ამბავი,  
რა მარდად მივდევდი შატარებელს, ახლა კი... არჩილმა ხელები გა-  
შალა და თავის დაუძლურებულ დავრდომილ სხეულს დახედა.

სამ დღეს დაგრჩი ბათომში; მე და კიტა თითქმის არ მოვშო-  
რებივართ მის ლოგინს და ვცდილობდით სასიამოვნო მოგონებებით  
გავვერთო. ეს საკირვლად სულით ძლიერი ადამიანი კიდევ შედგ-  
რად ებრძოდა საშინლად მორეულ სენს, მაგრამ ცხადი ხდებოდა,  
მისი დღეები დათვლილი იყო.

არასოდეს დამავიწყდება გამოთხოვების დღე. არჩილი რამდენ-  
ჯერმე გამომეშვიდობა და ხელის ქნევით უკანე შეძაბლა. ბოლოს  
მითხრა:

— წადი, წადი, გიორგი, საქმეებს მიხედვე.

თვალებზე ცრემლი მომადგა, გამოუსხლტი ხელიდან და გარეთ  
გამოვვარდი.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ არ გაუვლია ათ დღესაც, დი-  
ლით რედაქციაში დეპეშა მოვიდა: Вчера, 21 марта, в 11 часов  
ночи тихо скончался Арчил, окруженный друзьями. С. Мди-  
вани.

თუმცა მოულოდნელი არ იყო, მაგრამ ძვირფასი ამხანაგის დაკარგვის ამბავმა ლრმა მწერარება გამოიწვია ჩვენში. ამბავი სწრაფად ტფილის მოედო და იმავ დღეს მრავალი ხალხი მოაწყდა რედაქციას.

23 მარტს არჩილის გვამი შეგობრებმა და ამხანაგებმა ტფილისში წარიასვენებს; ყველ სადგურზე მათ ხელებოდათ აუარებელი ხალხი, ამბობდენ სიტყვებს და ამკობდენ კუბოს გვირგვინებითა და ყვავილებით. 24 მარტს დილით დიდაღილი ხალხი მოაწყდა ტფილისის სადგურს. სადგურის წინა მოედანი, დარბაზი და დებარწყდა აუარების გამჭვილი იყო ხალხით. აქ იყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენლებიც. მატარებელი გაჩერდა: ვაგონი, რომელშიაც ესვენა არჩილი, სწორედ იქ გაჩერდა, სადაც ჩვენ ჩისი ამხანაგები და რედაქციის წევრები ვიდესით. გათომელმა შეგობრებმა კუბო გადმოსვენებს და გადმოგვცეს; ახალგაზრდებმა და მუშებმა ძლიეს გაგვიკაფეს გზა და პროცესია გაემართა რუსთაველის პრისპექტისაკენ.

შეორებლების მოხდა არჩილის დასაფლავება ჰიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. პროცესია უთვალავ ხალხისაგან შესდგებოდა, აუარებელი იყო გვირგვინები. კუბოს წინ ქალები მიღიოდენ და ყვავილებს აპნევდენ.

საოცარი იყო ამ ადამიანის ცხოვრება. მე ის გავიცანი 1901 წელს; მაშინ იყო 27-28 წლისა; მხოლოდ რამდენიმე წლის წინადაამთავრა სწავლა და ის იყო გამოვიდა სამწერლო და საპოლიტიკო ასპარეზზე, უკვე მაშინ იყო საშინელი სენიორ შეპყრობილი და 12 წლის განმავლობაში ჩემ თვალშინ იწვოდა, როგორც ლამპარი. საოცარი ძლიერი სულათ ებრძოდა დავრდომილ სხეულს და ერთწუთსაც არ გაუგდია კალამი ხელიდან, დიდი ნიჭის პატრონს, იშვიათი კეთილშობილებით აღვსილს.

აქვე უნდა იღვნიშნო, რომ მაშინვე გადაწყდა არჩილის საფლავზე ძეგლის აგება. ფულიც შეგროვდა, პროექტიც შევუკვეთეთ და წარმოგვიდგინა ჩვენმა მოქანდაკემ ი. ნიკოლა ადემ, მაგრამ იმ ხანად ტფილისში არ აღმოჩნდა შესაფერისი მარმალილოს ქვა; გამოწერა იტალიიდან დაგვიანდა, ხოლო შეორებელს, დიდი ომი დაიწყო და გზები შეიკრა. ამგვარად ჩვენი განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.

ეს უხერხული მდგომარეობა ქართველმა მუშებმა გამოასწორეს. არჩილ ჯორჯ ადეს მუშების ინიციატივით დაუდგეს პატარა ძეგლი, მოკლე წარწერით: „არჩილს—მუშებისაგან“. ასეთივე ბედი ეწია მეორე მაშინდელ განზრახვას. არჩილი ყველა თავისი თხზულებანი წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა. „საზოგადოებას“

გამეობამ გადასწყვიტა მათი შეკრება და გამოცემა. წინად უკვე იყო გამოცემული ოთხი ტომი (მეხუთე სიკვდილის შემდეგ), მაგრამ ეს გამოცემა მაღვე გასაღდა და ბაზარზე აღარ იშოვებოდა. გარდა ამისა, ამ გამოცემის შენდეგ არჩილმა კიდევ ბევრი რამ დასწერა, მათ შორის ღიღი მონოგრაფია დამიტრი ყიფიანშე. ასე რომ ახალი გამოცემა უკველად საჭირო იყო; მაგრამ მაღვე რამ დაიწყო, ქალალდის ფასმა ძალიან აიწია, მეშახელიც ნაკლები იყო, მაშინ სიგროვანი გარდა ხნით შეჩერდა გამომცემლობა და არჩილის თხზულებათა სრული კრებული ვეღარ ვიხილეთ.

\* \* \*

იმ დროისთვის ტფილისში იგრეთვე დაბრუნდენ ტიტქის ყველა ჩემთან ერთად კავკასიონან გატევებული ამხანაგები—სამსონ ფირცხალავა, ალ. ჯაბადაღარი, ს. გ. მაჭავარიანი და სხვანი. ჩენი დაბრუნდება ამ დროისთვის უნებურად მიზანშეწონილი გამოიყიდა, რადგან სწორედ ამ დროს მოხდა ჩენი პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციისა და რედაქციის მეორე დიდი დარბევა და ხალხის დაქსასვა. ივნისში, დღისით უცრად გაჩერიეს რედაქცია, წინა ღამით არალეგალურ კრებაზე თავს დაესხნენ და დაატუსაღეს (1913 წ.) ქრ. რაჭველიშვილი, მ. საყვარელიძე, ვახტანგ მუხარელიშვილი, ი. გედევანიშვილი და რამდენიმე მუშა, მათ შორის ბესო (იულო) ქელბაქიანი. თავის ბინებზე დაპატიმრეს არჩ. ჯავანაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, სიმ. მდივანი, ვ. კარბელაშვილი და ბევრი სხვა. ეს იყო მეორე დიდი აწიოვება ჩენი პარტიისა, ამჟამად უმთავრესად ჩენი „მეორე თაობისა“. რამდენიმე თვის შემდეგ არჩ. ჯავანაშვილი, ვ. მუხარელიშვილი და ი. გედევანიშვილი განათავსეულეს, დანარჩენები—კი კავკასიონი გააძევეს სხვადასხვა ვალით. ამ მასობრივმა დატუსალებამ გამოიწვია ჩენი, ახლადდაბრუნებულების—მაჲინვე მუშაობაში ჩაბმა.

\* \* \*

ცოტა უფრო ადრე ცხოვრების ულმობელმა პირობებმა მაიძულეს რამე სამსახური მომექმნა. ხუთმეტი წლის განვაელობაში, ავადიყო თუ კარგად, ლიტერატურულმა შრომამ გვაცხოვრა მე და ჩემი რკაბი. მაგრამ ბოლოს, უურნალისტის შემოსავალი შემცირდა და რამე სამსახურის მოძენა ჩემთვის აუცილებელი შეიქნა. მეტად ძნელი იყო ეხლა პროფესიის გამოცვლა და უკვე ჩემულ მოღვაწეობაში.

ბისათვის აავის დანებება. მაგრამ მე მაინც დავიწყე აღგილის ძებნა იმ იმედით, რომ საგაზეთო ასპარეზიდან წასვლა დროებითი იქნებოდა და იმ განზრანვით, რომ გაზეთში გარედან მუშაობა მაინც განმეგრდო.

იმ დროისთვის აღგილი განთავისუფლდა ტფილისის საადგილ-მაშულო ბანკში, სახელდობრ ზედამხედველ კომიტეტის მდივნისა. ამ კომიტეტის თავმჯდომარებ, ექ. გ. რ. მაღალაშვილმა ეს ადგილი შემომთავაზა, მეც დავთანხმდი; ყოველ შემთხვევაში აქ სამსახური სჯობდა სახელმწიფო მოხელეობას; მით უმეტეს, რომ ბანკში მუშაობდენ ჩემი ძეველი ნაცნობები, ქართველი მოლვაშენი და მწერლები—ან ტონ ფურცელაძე, კოტე მაყაშვილი, კ. აფხაზი, ს. ვახვახიშვილი და სხვანი.

უნდა ვთქვა, რომ მაინცდამაინც გამოსადეგი მოსამსახურე ვერ ვავხდი. ზედამხედველ კომიტეტის მოვალეობა იყო თვალყურის დევნება ბანკის მუშაობისათვის, ზედამხედველობა, რევიზია და სხვა, რაც შეადგენს მთავარ ხაკონტროლო თრგანოს ფუნქციებს. ამისათვის კი მდივანი მოვალე იყო კარგად სცოდნოდა ბანკის მუშაობა და მუდმივ კურსში ყოფილიყო. იმისა, თუ რა ხდებოდა ბანკის ყველა განყოფილებაში. ჩემი გულისყური კი ისევ პარტიისა და გაზეთისაკენ იყო მიპყრობილი; უმეტეს დროს ისევ პარტიისა და გაზეთს ვანდოშებდი და საბანკო მუშაობისათვის თავი მაინცა და მაინც არ შევიწუხე.

მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის შემდეგ, როცა განთავისუფლდა ბანკის საქმეთა მმართველის ადგილი, ან ტონ ფურცელაძემ ეს თანამდებობა მეშემომხმავაზა. ქეც ვიკისრე, მაგრამ მალე დავრწყუნდი, რომ ეს ადგილი უფრო ძნელი იყო, უფრო დიდ დროსა და დიდ ენერგიას მოითხოვდა. აუარებელი „ზავი სამუშაო“ იყო. განსაკუთრებით ბევრი იყო საკითხევი და საწერი, რაც ჩემი ბეცი თვალებისათვის ერთობ გასაჭირი შეიქნა. ვერც ამ ადგილზე გამოვდები და ის იყო სასოწარევეთილებამ შემიყრო, ვიფიქრე,—ჩემთვის უიმედოა ყოველგვარი სამსახური მეთქი. მაგრამ ამ დროს, მოულოდნელად, იმავ საბანკო „კარიერაში“ დაწინაურება მხვდა წილად. ჩემმა ქუთათურმა მეგომრებმა—კიტა აბაშიძემ და გიორგი ზდანოვი იჩქა—წინადადება მომცეს ქუთაისის საადგილ-მაშულო ბანკში გადასულიყავი სამუშაოდ, სახელდობრ ბანკის გამგეობის წევრობა მექისრა. მართლაც ამირჩიდეს ამ თანამდებობაზე და დამავალეს ქუთაისის ბანკის ტფილისის განყოფილების მართვა. ჩემამდე ამ ადგილზე იყო ჩემი პარტიული ამხანგი, მწერალი და საზოგადო

მოლვაშე იაკობ ფანც ხავა. იმას საქმე კარგად ჰქონდა დაყენებული და ამიტომ არც მე გამძნელებია პირველ ხანებში მუშაობა; შემდეგში კი საქმე გავიცანი და დამშეიდდი, რომ ამ საქმეს რიგიანად გავუძლვებოდი.

ცოტა უფრო ადრე ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის  
საბჭოს წევრად ამირჩიეს, ამ ბანკის მართველად იყო ჩემი კარგი  
ძევლი ნაცნობი, აგრეთვე ქართველი მწერალი და მოღვაწე ვლა-  
დიმერ მიქელ ადე. მიქელაძე წინად პედაგოგი იყო, მაგრამ მალე  
თავი დაანება სამსახურს, დაიწყო მწერლობა და საზოგადო მოღვა-  
წეობა. სწერდა რუსულ გაზეთებში, უმთავრესად „ვიტერბინის“ ფსევ-  
დონიმით, ქართულ გაზეთებში-კი უფრო „დავითშებული მწერლის“  
ფსევდონიმით. იყო ნიჭიერი და ჰყვიანი ადამიანი, ძალიან ეხერხე-  
ბოდა ლაპარაკი. საზოგადოებაში მის გამოსვლას ყოველთვის დი-  
დი ყურადღებით უსმენდენ. მაგრამ უნდა ვთქა, რომ ბანკშიაც, სა-  
ქალაქო თვითმართველობაშიაც და საზოგადოდ ყველა იმ დაწესებუ-  
ლებაში, რომელშიაც ის მოღვაწეობდა, საქმის საფუძვლიანად და  
ღრმად შესწავლა მაინცადამაინც არ ეხერხებოდა. ბანკში, მაგალი-  
თად მთელი საქმის გამძლოლი და საბანკო პოლიტიკის ხელმძღვა-  
ნელი იყო გამგეობის წევრი ვასილ როსტომის-ძე ყიფიანი. მაგრამ წენარი, უჩინარი მუშავი იყო, საზოგადოებაში თავის გამო-  
ჩენა არ უყვარდა და მუდამ ჩრდილში რჩებოდა. მის მაგიერ საზო-  
გადოებაში მისი აზრი და გეგმები ვლადიმერ მიქელ ადეს გა-  
მოჰქონდა და ბრწყინვალედ დაიცავდა ხოლმე. როგორც ქართული,  
ისე რუსული ლაპარაკიც კარგი იცოდა და ყველგან ყურადღებით  
უსმენდენ.

იმ ხანებში პეტერბურგს მოწვეული იყო მთელი რუსეთის სა-  
ბანკო მოღვაწეთა ყრილობა. იქაც კი მოიხერხა ვლადიმერმა თავის  
გამოჩენა იმდენად, რომ ახლად დაირჩებულს რუსეთის ყველა საურ-  
თიერთო კრედიტის საწოვადოებათა ცენტრალურ ბანკში გამგეობის  
წევრად იქნა არჩეული. პოლიტიკური რწმენით კადეტებს უახლოვ-  
დებოდა; სახელმწიფო სათათბიროშიც უნდოდა გასვლა და არჩევ-  
ნების დროს ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდა. თავისი მრწამსი გან-  
საკუთრებულ ბროშურით ამცნო ამომრჩეველთ, აღარ მახსოვეს, რა-  
ღაც პრეტენზიონული სათაური ჰქონდა ამ ბროშურას—„მე ეს გახ-

ლაგარო“ თუ „ვინა ვარ მეო“. სოციალიზმი და სოციალისტები ია-  
ლიან ეჯავრებოდა.

— კაცო, ერთი რამ გამავებინე, ხშირად მეტყოდა ხოლმე,  
თქვენ ხომ ამბობთ, ეს სოციალიზმი მომავალში უნდა განხორციელდესო.  
ხვალინდელი და მომავალი სოციალისტი მეცა ვარ.. მაგრამ დღეის-  
თვის თქვენც შინიმუშპროგრამა გაქვთ: მეც დაახლოებით ამგვარიე  
სადღეისო პროგრამა მაქეს... შაშ, რაღა საჭიროა ეს სოციალისტობა,  
მოდით, დღეს ერთად ვიმუშაოთ...



## XXXIV

ახალი საზოგადოებრივი დაწესებულებანი.—ჩვენი ქვეყნის კულტურული ზრდა.—აბებალომ და ეთერი.—საქართველოს თეატრის მოღვაწეთა პირველი ყრილობა.—რუსეთის მაშინდელი პოლიტიკური ვითარება.—საერთაშორისო ომის დახაცყისი.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, პარტიისა და გაზეთის შემდეგ, ჩემი ყურადღება საზოგადოებრივ დაწებულებებმა მიიპყრეს. უკანასკნელ წლებში ორ ჩევნებურ ძეველ საზოგადოებას,—წერა-კითხებისას და დრამატიულს,—მარტო ტფილისში მიემატა ხუთი ახალი საზოგადოება: ქართული სასოფლო-სამეურნეო, საისტორიო-საეთნოგრაფიო, სიმფონიური, ტფილისის ქალთა და ქართულ კულტურის მოყვარულთა.

უკვე იქიდანაც სჩანს, რომ იმ ხანებში ქართველთა კულტურულ ფრონტზე მუშაობა საკვაოდ გაიზარდა. წინად თუ წ.-კ. საზოგადოებას რამდენიმე ასი წევრი ჰყავდა, ახლა მის წევრთა რიცხვი ათასობით ითვლებოდა. შესაფერისად გაიზარდა ამ დაწესებულების ბიუჯეტი და ფონდებიც. ამის მიხედვით გაძლიერდა მუშაობაც, განსაკუთრებით სკოლა-ბიბლიოთეკების და გამომცემლობის დარგებში. შეიცვალა თვით საზოგადოების წყობილებაც. იგი გადაკეთდა ფედერატიულ საფუძველზე. სახელდობრ ტფილისისა და პროვინციის კულტურულ დაბა-ქალაქში მუშაობდენ განყოფილებანი თავიანთი გამგეობებით, ხოლო საზოგადოების უზენაეს ორგანოდ გადაიქცა ამ განყოფილებათა მიერ არჩეული სადელეგატო კრება, რომელიც ირჩევდა ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოს,—მთავარ კომიტეტს. ამავე დროს სხვა ჩამოთვლილ საზოგადოებათაც საკვაო რიცხვი წევრებისა ჰყავდათ და მხნე მუშაობა სწარმოებდა; განსაკუთრებით ენერგიული მუშაობა სწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებში. ღლვნიშნავ, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოება ამჟამადაც ასებობს და მის მუშაობას ხელმძღვანელობს ჩვენი ცნობილი მეცნიერი და ყველასაგან დიდად პატივურები მოღვაწე პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ის გარემოება, რომ ყველა აღნიშნულ საზოგადო დაწესებულებათ თავისი მოზრდილი კადრი წევრებისა ჰყავდათ, ამგარად მოწმობს იმ ხანებში ერთის მხრით ჩვენი ინტელიგენციის ფრიად თვალ-საჩინო ზრდასა და ხალხის ჩამას კულტურულ მუშაობაში, მეორე

მხრით. საერთოდ უნდა იღნიშნო დიდი პროგრესი ჩვენი კულტურულ ცხოვრებისა იმ ხანასთან შედარებით, როცა მე გამოვედი საზოგადოებრივ ასპარეზზე სამუშაოდ, ესე ივი, 15 წლის გამავლობაში.

მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს. 90-იან წლების დასაწყისში ჩვენში ძლიერ დაფავდა სულს ერთი ყოველდღიური გაზეთი „ივრია“, ერთი კვირეული „კვალი“ და ერთიც ოვიური გამოცემა „მომბე“; 10—15 წლის შემდეგ—კი, ცხრასიან წლებში, უკვე გამოდის ტფილისში ყოველდღიური სამი გაზეთი—ს.—დემოკრატებისა, სოც.-ფედერალისტებისა და ნაც.-დემოკრატებისა; რამდენიმე კვირეული გამოცემა—„მოგზაური“ (ს.-დ.), „კლდე“ (ნაც.-დემ.), „მიწა“ (ს.-ფ.), „ცლიონი“ (ს.-დ. აგტონომისტთა ჯგუფისა), „თემი“ (უპარტიო გრ. დიასამიძის რედაქტორობით); ყოველთვიური ურნალი „მომბე“ და „განათლება“ და სხვა; ამავე დროს ქუთაისში გამოდის ორი ყოველდღიური გაზეთი, ს.-დ. და ს. ფ. და ერთიც ბათომში, მაშინ როდესაც 90-იან წლებში „ივერიის“ ტირაჟი ძლიერ და 600—800-მდე, ცხრასიან წლებში მარტო ყოველდღიურ გაზეთების ტირაჟი ავიდა 20—25 ათასამდე.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა ზრდის შესახებ უკვე ვილაპარაკე ზემოთ. აქ შეეჩერდები კიდევ ორიოდე მაგალითზე, მით უმეტეს, რომ ამის დაკავშირებით მოსაგონებელი შექვე ორი ამბავი, რომელსაც იდგილი ჰქონდა სწორედ 1913—1914 წლებში. ეს ამბები იმ დროს ეროვნულ დღესასწაულებად გადაიქცა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე. ჯერ მოგახსენებთ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების მიერ გამართულ ერთ დიდ კონცერტზე, როცა ქართველმა საზოგადოებამ პირველად მოისმინა ახალგაზრდა კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მიერ ახლად დასრულებული პირველი ქართული ოპერა „აბეგსალომ და ეთერი“. ამ კონცერტს მეც დავვეშარი და მოწმე ვარ იმ ღრმა შთაბეჭდილებისა, რომელიც მან მოახდინა მაშინ. ამ კონცერტზე მე დავბეჭდე შერილი „სახალხო გაზეთში“, რომელშიც სხვათა შორის ვსწერდი შემდეგს:

ის, ვისაც ახსოეს, რა მდგომარეობაში, რა საცესურზე იდგა ქართულ სიმღერის საქმე ამ ოცი წლის წინად, როცა ლადო აღნია შვილმა და რატიოლმა იკისრეს შძიმე და დიდი ტვირთი მომღერალ გუნდის ორგანიზაციისა და ქართულ სახალხო მოტივების პირველად საკონცერტო სცენაზე გამოტანა, დაგვეთანხმება,

რომ ამ მხრით დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. მაშინ ერთ ხორცს, რომელიც ასრულებდა უკომპანიმენტოდ უბრალო ხალხურ სიმღერებს, აღტაცებაში მოვყავდით; ახლა დახელოვნებული და ნიჭიერი მცოდნენიცა გვყავს ჩვენის მუსიკისა, ბევრი კარგი ხორცი, რომელიც ხელოვნურად ასრულებენ რთულ მოტივებს ორკესტრის აკომპანიმენტით, ხშირად ორიგინალურ და ლამაზ ჰარმონიზაციით გამშვენიერებულთ.

ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ: მოვისმინეთ პირველ ქართულ ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პირველი აქტი და რამდენიმე ნაწყვეტი დანარჩენ აქტებისა, რომელთაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზე და იმედი ჩაგვისახეს, რომ ახლო მომავალში ქართული ხელოვნება, ქართული მუსიკა თავის ხაკადრისს, შესაფერის თვალსაჩინო ადგილს დაიჭირს განათლებულ ქვეწების ხელოვნებაში. ოპერა, რამდენადაც ესა სჩანს ერთის აქტიდან, ნამდვილ ქართულ ბუნებისაა, ლამაზი და მომხილავი მელოდიებით, გმირულ და აღმაცროვანებულ ხოროებით. მეტად სასიამოვნო და ნაზი არიები აძლესალომისა და ეთერისა, საუცხოვო საფინალო ხორო მესამე მოქმედებისა, აგრეთვე ცალქი ასრულებული ოპერის მეორე აქტიდან მშვენიერი კვარტეტი და ხორო „დილდება აბით მეფეს“, ჩვენის აზრით, საუცხოვო მარგალიტებით, რომელთაც ნამდვილად ატყვია ნიჭიერ შემოქმედების ძალა და სხვა.

ამგვარად (უნდა დავიკვეხო) პირველი რეცენზია „აბესალომ და ეთერზე“ მეკუთხის მე, არა სპეციალისტ მუსიკალურ რეცენზენტს, არამედ მუსიკის უბრალო მოყვარულს. თუ ჩემ წერილში აღნიშნულს დავუმატებო კიდევ იმ გარემოებას, რომ დაახლოებით იმავ ხანებში დაიწერა მეორე ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორის დიმ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, დაერწმუნდებით, რომ ამ სცენომიაც ჩვენმა ერმა თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ.

მეორე ამბავი, რომელზედაც მინდა აგრეთვე ცოტა შევჩერდე, შეეხება ჩვენი თეატრის და სათეატრო ხელოვნების ზრდის საქმეს. იმ ხანში, რომელზედაც ახლა გვაქვს ლაპარაკი, ქართული თეატრი უკვე დიდი და ძლიერი დარგია ჩვენი კულტურული ცხოვრებისა. ჩვენ უკვე რამდენიმე მუდმივი დასი გვყავს ტფილისში და ქუთაისში, ბევრი პროფესიონალი არტისტი და რეჟისორი; გარდა ამისა გაძლიერდა და გაუმჯობესდა სახალხო თეატრის საქმე არა მარტო ტფილისში, არამედ ქუთაისშიაც და ზოგიერთ სხვა დაბა-ქალაქებშიაც. სათეატრო საქმის ზრდა იმ ხანებში ბრწყინვალედ დაამოწმა

ჩვენში პირველად მაშინ მოშუობილმა სრულიად საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა ყრილობამ. ყრილობას ასზე მეტი დელეგატი დაესწრო საქართველოს ცენტრალური კუთხიდან. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩვენი დიდი მგლისანი აკაკი წერეთელი, პრეზიდიუმში ვიყავით — მე (თავმჯდომარე) — ლალო მესხი შვილი და კიტა აბაშიძე (თავმჯდომარის ამხანაგები) საშა კრინიცე, ი. გელევანი შვილი.

ყრილობამ რამდენიმე დღეს გასწავანა; მომხსენებლად გამოვიდენ და კამათში მონაწილეობას იღებდენ აკაკი ფალავა, არისტო ჭუმბაძე, ლალო მესხი შვილი, ალ. წუწუნავა, კიტა აბაშიძე, აკაკი პაპავა, იოსებ გელევანი შვილი, კ. ანდონი კაშვილი და ბევრი სხვა.

სხდომებს დიდადი გარეშე ხალხი ცენტრებიდა და დიდის ყურადღებით უშენდა შეკრებილ სათეატრო ხელოვნების საქმის მოღვაწეთა მცუკულობას. მახსოვს, დიდ აღტაცებაში იუნენ ამ კრების გამო ჩვენი ძევლი თაობის წარმომადგენლები. მათ აკვირებდათ განსაკუთრებით ის გარემობა, რომ ბევრი მშვენიერი ორატორი იყო და საერთოდ, დიდადი ახალგაზრდობა ქართულად თავისუფლად და მჟერმეტყველურად კამათობდა განყენებულ თემებზე.

ვერ გამიგია, გაიძახდა მაგალითად ნიკო რევაზის-ძე ერისთავი, რესულმა სკოლამ როგორ აღზარდა ეს ამოდენა ქართველი ორატორი, ქართულად ასე თავისუფლად მოლაპარაკეო.

იმ დროს კულტურულ ფრონტზე მუშაობის სურათი სრული არ იქნება, თუ ორითდე სიტყვით მაინც არ გავიხსენებთ ტფილისის საადგილ-მამულო ბანქის მაშინდელ მუშაობას. საადგილ-მამულო ბანქს წლიურად წმინდა მოვება 800 ათას მანეთამდე ჰქონდა. ამ თანხიდან მცარე ნაწილი იხარჯებოდა აპარატის შენახვასა და წარმომადგენლობაზე, დანარჩენი — კი ხარდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეს.

პირველად ყოვლისა, უნდა გავიხსენო ამ დაწესებულების მოღვაწეობა ტერიტორიის საკითხში. წინად მქონდა აღნიშნული კიდეც, რომ საქართველოს ტერიტორიის საკითხი იმ ხანებში კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. სახელმწიფო ბანქის ხელში მროვდებოდა აუარებელი მიწა. მთავრობა ხელს უშენდა რუსეთის შიდაგუბერნიების გლეხობას გადასახლების საქმეში და შეღავათიანის პირობებით უთმობდა მათ ამიერ-კავკასიაში დაგროვილ მიწის ფონდიდან მამულებს. საქართველოს გლეხობა — უმიწოდებულოქან მცირებამულიანი, ისეთ შევიწროებულ პირობებში იყო, რომ ვერ ახერხებდა სახელმ-

წიფო ბანკის ხელში დაგროვილი მიწების შეძენას. საჭირო იყო გა-  
 რეშე დახმარება, რათა ქართველ გლეხობას შესძლებოდა მეტოქეობა  
 გაეწია უცხო ელემენტებისათვის, რომელთა ხელში გადადიოდა სა-  
 ქართველოს ტერიტორია. იმ ამ დახმარებისათვის დაარსებულ იქნა  
 „საადგილ-მამულო კომისია“, რომლის მმართველად მოიწვიეს ოლ-  
 ყიფ შიძე. (ა. ფრონელი). საადგილ-მამულო კომისია ყოველგვარ  
 დახმარებას უწევდა გლეხებს მამულების შეძენის საქმეში: მართავდა  
 მოლაპარაკებას ბანკოან, მემამულეებთან, უდგენდა გლეხებს თხოვ-  
 ნებსა და საჭირო ღოკუმენტებს და, რაც უფრო საჭირო იყო, შე-  
 ლავათიან პირობებში აძლევდა გლეხებს სესხს მამულების შესაძენად.  
 პირველსავე წლებში საადგილ-მამულო კომისიამ ამგვარის დახმარე-  
 ბით მოახერხა საკმაო დიდი მამულების გადაცემა ქართველ გლეხო-  
 ბის ხელში.

ამასთან დაკავშირებულია შეორე საქმეც, რომელიც მაშინ  
 მოეწყო. ეს იყო ტუილისის გუბერნიის მიწათშეცლობელობისა და  
 სოფლის ეკონომიურ ცხოვრების სხვა მხარეთა სტატისტიკური გა-  
 მოკვლევა. ამ საქმის მოსაგვარებლად მოწვევულ იქნა ჩენი ცონბი-  
 ლი საზოგადო მოღვაწე და სტატისტიკოსი ფილიპე გოგიჩია შეიაროვა და  
 გადამუშავა ფრიად საინტერესო და დიდი სტატისტიკური მისალა.

გარდა ამისა, ბევრი რამ გაკეთდა მოხარე თაობის აღზრდა-  
 განათლების საქმისოვის. ბანკი ინახავდა ტფ. ქართულ - გიმნაზიას,  
 ჰყავდა ბევრი სტიბენდიანტი უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში,  
 ძილებიდა სუბსიდიას წერა-კითხვის და სხვა საზოგადოებრებსაც. ერ-  
 თის სიტყვით, იმ ხანებში ის ასრულებდა ჩენიში ეროვნის ფუქ-  
 ციებს, იმ ეროვნისას, რომლის წეროლებასაც რუსის ბიუროკრა-  
 ტია მრავალ წლის გინავლობაში გვპირდებოდა და ისე მოკვდა-  
 რომ ამ დაპირების შესრულება ვერ მოახერხა.

\* \* \*

რევოლუციის შემდეგ რვა წელიწადმა განვლო. ხშირადა ვფიქ-  
 რობდი და ვწერდი კიდეც მაშინ იმის ჩესახებ, თუ რა მოუტანა  
 რუსეთს ეგრეთწოდებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და  
 1905—1906 წლის რევოლუციამ.

განვლილმა რვა წელიწადმა ცხადად გვიჩვენა, რომ თითქმის არე-  
 აფერი, შეცელილიყო. რუსეთი კვლავ დარჩა იმ გაუვალ ჩიხში,  
 რომელშიაც ის მიიყვანა ძევლმა რეჟიმმა. 17 ოქტომბრის მანიფესტი ყი-  
 ნულზე დაწერილი დაბირება გამოდგა; არც ერთი „მოქალაქობრივი

თავისუფლება“ არ განხორციელებული. უკვე მეოთხე სახალხო წარმომადგენლობა შეიქრიბა, მაგრამ ის „კულტოკლე“ კონსტიტუციაც კი ვერ დაკანონდა, რომელზედაც 20 წლის განმავლობაში ოცნებობდა ახლადფეხადგმული რუსის ბურჟუაზია.

რუსთს პვლავ მართავდა თვითმპრობელი ბიუროკრატია, რომლის მთავარი წარმომადგენელი—რუსთის სამეცნ სახლი—იმდენად დაცუცა სულიერად და გონიერიყვად, რომ სათამაშო ბურთი გახდა გარეუნილ რასპუტინებისა, მასხარა მაკლაკოვ ე-ბისა და გაიძვერა წვრ სტოვების ხელში.

რუსთის ბურჟუაზია, რომელიც 1905 წელსვე ჩამორჩა განმათავისუფლებელ მოძრაობას, იმდენად დაშინებული გამოდგა, რომ კრისტიან წინააღმდეგობას ვერ უშევდა თვითმპრობელობასა და მეშამულეთა ბლოკს. რეაქცია სავსებით გამეფდა და რუსთი 1914 წლისთვის,—იმ წლისათვის, როცა მას ისტორიაშ უდიდესი განსაკულელი მიაყენა კარს, ისევ ისეთი უძლური, ჩამორჩენილი და ნახევრად ფეოდალური პოლიტიკური წესწყობილების ქვეყანა იყო, როგორც 1905 წლისათვის.

სამაგიეროდ, რუსთის Drang und Sturm-ის ხანძმ მუშა ხალხის თვითცნობიერების საქმეს გაუწია დიდი სამსახური. მუშათა უპარტიო მასებშიაც-კი დაიმსხრა ის ილუზიები, თითქო მეფეს, ან „მოწინავე“ სახეოგადოებას შესძლებოდეს—ხალხს რამე უშეველოს,— ის ილუზიები, რომელთაც თავის დროზე შესაძლებელი გახადეს გიორგი გაბონის ავანტურა. განვლილ რვა წლის კანმავლობაში, ამიტომაც, ძალიან გაიზარდა რუსთის პროლეტარიატის თვითშეება და ორგანიზაცია. ხოლო როცა ამას მიემატა საშინელი საერთაშორისო ომის გაკეთილებიც, მაშინ რუსთიში ცხადად მოძიფედა სოციალურ რევოლუციის შესაძლებლობისათვის საჭირო სუბიექტური პირობები. ეს ბრწყინვალედ დამტკიცა შემდეგში ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ.

1914 წლის ივლისს პირველ რიცხვებში საქმეების გამო ქუთაისში მომიხდა წასელი. რამდენიმე დღის შემდეგ—გამოვედი თუ არა სასტუმროდან ქუჩაში, რაღაც არაჩვეულებრივი ხმაურობა, მოძაობა შევამჩნიე. აქა-იქ ხალხი შეგროვილიყო და რაღაც წითელ აფიშებს კითხულობდა. იღმოჩნდა, რომ ეს იყო მანიფესტი ომის გამოცხადებისა და მაბილიზაციის შესახებ.

აღსრულდა. მოხდა ის, რასაც მოელო განათლებული კაცობრიობა კარგა ხანია შიშითა და თრთოლვით მოელოდა: ერთშანეთს დატაკა ორი დიდი იმპერიალისტური კალიცია. დაიწყო დიდი.

ჯერ ისტორიაში გაუგონარი, უმაგალითო ომი, რომელიც ოთხ წელიწადს გაგრძელდა და რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო აამორჩავა და საშინელებაში ჩააგდო.

ქუთაისში ამის შემდეგ კიდევ დავყავი ორ-სამ დღეს. ხალხში დიდი მღელვარება სუფევდა, ხოლო ინტელიგენციაში უკვე დაიწყო ის კამათი, რომელიც დამახასიათებელია იმ დროის სულიერ განწყობილებისათვის, — კამათი იმის შესახებ, თუ ვინ, რომელი კოალიცია გაიმარჯვებდა. უმეტესობას ღრმად სწამდა იმ კოალიციის გაცია გაიმარჯვებდა. რადგან სწამდათ, რუსეთის დამპრცხება და ჯვეფის გამარჯვება, რადგან სწამდათ, რუსეთის დამპრცხება და გერმანის გამარჯვება აუცილებლად გამოიწვევდა ქვეყნის განახლებას საერთოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას. უმცირებას საფრანგეთის მხარეზე იყო და შეურვალედ ამტკიცებდა: საფრანგეთის დამარცხება ცივილიზაციისა და პრივატუსის დამარცხება იქნებათ. ინტელიგენციის ამ უმცირესობაში, მახსოვს, ყველაზე მეტებათ. ინტელიგენციის ამ უმცირესობაში, მახსოვს, ყველაზე მეტებათ გაცხარებული კიტა აბაზიდ იყო. საფრანგეთის დამარცხებული უბედურება იქნება და განთავისუფლებულ ქვეყანას კვლავ ბარბაროსობის ეპოქისაკენ დააქანებსო — ამტკიცებდა ის...

დიდის გაქირვებით ჩაეაწიე ტფილისში. ორისოდეს მენახა ამოდენა ამოძრავებული ხალხი. რკინისგზის მატარებლების რიცხვს მოუმატეს, მაგრამ ეს ორაფერს შეველოდა. ყველა სადგური გაჭიდილი იყო მობილიზაციით ამოძრავებული ხალხით. ყოველ სადგურზე ხალხს ნამდვილი იერიში მოქვენდა მატარებლებზე. შემდეგში ამნაიხალხი სურათი ხშირად გვინახავს, მაგრამ ომის პირველ დღეებში ეს რი სურათი ხშირად გვინახავს, მაგრამ ომის პირველ დღეებში ეს არაჩვეულებრივი რამ იყო და ძალიან აძლიერებდა საერთო მღელარჩებას... უნდა აღნიშნო, რომ ომში გაწეულ ხალხის სულიერი განწყობილება მეტად ნერვიული იყო, მაგრამ სასოწარ ვეთილებაში იყვნენ და ტიროდენ მხოლოდ გამცილებლები.

ტფილისშიაც დიდი მღელვარება სუფევდა, ქუჩებში დიდიალი ხალხი მოძრაობდა, განსაკუთრებით სამხედრო ხალხი. გასაკეირველია, რომ აქ ამ ხალხში, ჩემთვის გაუგებარი მხიარული და აღფრთოვანებული სულისკვეთება იყო.

საზოგადოებაში, როგორც ქუთაისს, ისე აქაც უკვე დაწყებული იყო კამათი ორიენტაციაზე, როგორც მაშინ ვამბობდით. უმრავლესობა აქაც გერმანიას ქმნიობდა და სრულიად დარწმუნებული იყო გერმანიის გამარჯვებაში; უმცირესობა, პირიქით, გაცხარებით ვე იცავდა იმ აზრს, რომ გაიმარჯვებს კოალიცია, რომლის შეთაურად ინგლისი გამოვიდათ. ამავე დროს ორივე მხარეს სწამდა, რომ

ეს დიდი ერების შეხლა-შემოხლა ტყუილად არ ჩაივლიდა და ბოლოს, განახლებას მოუტანდა კაცობრიობას.

მართლაც, დიდი და განუზომელია ამ ომის შედეგები. მან და-სცა სამი დიდი სამეფო ტახტი—ჰოგენცოლერნებისა, ჰაბსბურგებისა და რომანოვებისა. სამი უკიდურესად რეაქციონური შონარქიები რეს-პუბლიკებად შესცვალა; შექმნა და საისტორიო ასპარეზზე გამოიყვანა ახალი სახელმწიფოები—პოლონეთი, ფინლანდია, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, ჩეხო-სლოვაკია და სხვანი. ამასთანავე, რაც უვილაფერზე უფრო დიდმნიშვნელოვანია, საგრძნობლად შეაჩყარა ძევლი კაპიტალისტური ქვეყნის საძირკველი და დააჩქარა სოციალური განახლების ხანა.

და მე, სიბერის უამს, ბედმა მარგუნა დამენახა ის, რაზედაც ცხოვრების რიცრაუზე მხოლოდ ვოცნებობდი; დავინახე პირველი სხივები ამომავლის დიდებულის მხისა. ღრმად მწამს, შორს აღარ არის ის დიადი უამი, როცა კაცობრიობის განახლების მზე მთლიანობრივი დემოციური განათებს და გაათბობს მაშერალთა და ჩაგრულების ოფლითა და სისხლით გაუღენთილ ქვეყანას...



## සෙක්වලුතා සභකිවැවලි

۵

- අභ්‍යිජ්‍ය ග්‍රාගුලු (ඇරිඹා) (1866—1904) පෞද්‍රී. ֆ. 4, 53, 84, 89, 93.  
 අභ්‍යිජ්‍ය ශාස්‍ය (1854—1926). ජාත්‍යවෝලු මිශන්‍යාධික, දුරාමාංශුරුගි දා සාංචි-  
 ගාදම මෙලුවාත්‍රී. 119, 120.
- අභ්‍යිජ්‍ය කිතා (ග්‍රැන්ඩ්)—සැපුරාලු-සුදුදුරාලුවාස්‍තා යුති ලිඛිතාතාගාමි. සා-  
 ත්‍රේගාදම මෙලුවාත්‍රී දා කිතිත්‍රියාවන. 84, 89, 90, 103, 135, 136, 137,  
 139, 144, 174, 196, 214, 215, 253, 279, 281, 282, 285, 291, 294.
- අගාලින් දායාත (ආන්-වාලින්) ගාත්. „ප්‍රත්‍යාව්‍යාධියි“ කුරුස්පාන්දුව්‍යාන්  
 ජුර්නාලුවාස්‍තා. 226.
- අගාල්‍යාලු තැක්කාඩ—මුදුග්‍රායාරිය දා මුදුලුවාරිය, ප්‍රත්‍යාව්‍යාධියි  
 ජුර්නාල්-සා. ග්‍රියාලුවායා. 160.
- අගාල්‍යාලු ග්‍රැන්ඩ්—සැපු. -සුදුදු. මුද්‍රායා. ගාරුද. 1918 අ. 270, 274.
- අභ්‍යුත්‍රී ග්‍රැන්ඩ්—යුරුරි, උරුවාලුවා පරිවෝගාත්‍රාධික. 174, 177, 181, 206.
- අලුත්තාන්ත-අගාර්ස්‍යා—මුදුවා ගුණුරාලු, රැමුදුල්‍යා දාසාවලුවාති සාක්ෂාත්‍යාවලි,  
 පාස්‍යාතා. මුදුලුවා උරුරාධිකාස්‍තාධික ගුණුරාන්ති 1907 අ. 189, 229.
- අමිරුජ්‍යාධිය තැලුවා—සැපු. -සුදුදු, මුදුවා නායුත්‍රාලු-සුදුදුවාත්‍රියාධියි  
 දායාලුවාස්‍තා. 269.
- අමිරුජ්‍යාධිය සුම්ඩන—අභ්‍යාමාද පරිවෝගාත්‍රාධික සාත්. සූ-සා. 274.
- අන්දහාන්ත-අගාල්‍යාලු ලුණාර්කාඩ—ප්‍රත්‍යාව්‍යාධියි සාත්. සූ-සා. පරිවෝගාත්‍රාධික. 279,  
 අරාය්‍යාලුවාලු දායාත්‍රියා—කුම්බන්සිත්‍රාධික දා මුදුවාස්‍තා මුදුලුවා-  
 රායා. 290.
- අලුවාදේ මුදුවා (ඇ. 1872) ලිංගුරාත්‍රාධික දා ජුර්නාලුවාස්‍තා, „දායාත්‍රියියා“  
 රුදායාත්‍රාධික. මාතාරුගමන්දාලි. 84, 129, 135, 136, 139, 140, 213, 217,  
 237, 268, 270, 277.
- අරාගුවාධිය මුදුවා (ඇඟාජ්‍යාලුවාස්‍තා) (1867—1926) දේශුදුත්‍රියියාස්‍තා. 136.
- අත්‍යාල්‍යාලුවාස්‍තා—මුදුවාලු දා මාතාරුගමන්දාලි, „පුද්‍රාරියා-ම්‍රාවමධ්‍ය-ප්‍රන. ඩුන්-  
 උලුවා“ තානාම්ජ්‍රාමනයාලි. ගාරුද. 84.
- අභ්‍යිජ්‍යාලුවා ලාභය—මුදුවාලි දා මුදුවාස්‍තා. 244, 289.
- අක්‍කාණ්ඩාරුවා අර්ථා (හිමින්) — „පුද්‍රාරියා“ තානාම්ජ්‍රාමනයාලි, වෙශ්‍යාලි. 84, 87.
- අත්‍යාල්‍යාලුවා ලාභය—මුදුවාලි රුදාලුවාස්‍තා ලුදුවාස්‍තා. 277.

ඥ

පාරාතාලුවාලුවා මෙත්‍රේ (ම්‍රියා) (ඇ. 1872 අ.)—නායුත්‍රා පුද්‍රාලුවා, I සාතාත්මිකාලු  
 දුප්‍රත්‍රාත්‍රි, සාජ්. දාමුත්. කුරුදාලි ජුරුරා. 154, 201, 233, 233, 239.  
 දුශ්‍යාන්ත-අගාල්‍යාලු—මෙලුවාත්‍රී ජාලි, මුදුවාලු ට. අලුවාදේ මුදුලුවා. 140.

ბილანიშვილი შექრო—ლიტერატორ-უზრნალისტი. 134, 135, 136, 168, 171, 269, 270.

ბრეშეო-ბრეშეოფეხაია—ცნობილი ლიდერი ესერების პარტიისა, „რევოლუციის ბებიად“ წოდებული. 246.

## 8

გაბაშვილი ეკატერინე—ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე. 201.

გაბაშვილი რევაზ—ჯერ სოც.-ფედერალისტი, მერე ნაც.-დემოკრატების ლიდერთაგანი, ემიგრაციაშია. 237.

გორგაძე ხერგი—პედაგოგი და ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1929. ჭ. 238. გაბუნია-ცაგარლისა ნატალია (1860—1910)—ცნობილი მსახიობი, დრამატურგი. ა. ცაგარლის მეუღლე. 119, 129.

გაბუნია სანდრო (ისკანდერ) —სოც.-ფედ. I კონფერენციის მონაწილე და მუშაკი. გარდაიცვლილია, 162, 174, 176, 177.

განდეგილი (დომინიკა მდევრისა) (1865—1929) მეცნიერი ქალი, 84, 87 136.

გელეგანიშვილი იაკობ—სოც.-ფედ. ჭოფ. სამხედრო პირი, რევოლუციის შემძებელი. გენერალ-დრამატურგი. ამჟამად კომპარტიაშია. 136, 171, 231, 281, 284, 291.

გელაშვილი პლატონ—საზოგადო მოღვაწე. 277.

გელაშვილი ვარლამ—სოც.-ფედ., ნაუ. ვექილი, IV სათათბიროს დეპუტატი. 279.

გოგებაშვილი იაკობ—(1840—1912) ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი, „დედა-ენისა“ და „ბერძენის“ კარის ავტორი. 82, 83, 84, 85, 86, 201 გოგელია კომინდო—ცნობილი ანარქისტი. გარდაიცვ. 1922 ჭ. 162, 182, 236, 237.

გოგიჩაშვილი ფილიპე(დ. 1872 ჭ.) უზრნალისტი, ფილოსოფის დოქტორი, ამჟამად სას. უ-ტის პროფესორი. 139, 147, 221, 231, 292.

გოლუა პართენ (დ. 1872 ჭ.)—ცნობილი უზრნალისტი, გაზ. „Закавказская Речь“-ის რედაქტორი. 210, 229.

გომართელი ივანე—ექიმი, ლიტერატორი, I სათათბიროს დეპუტატი სოც.-დემ. 270.

გუნია ვალერიან (დ. 1862 ჭ.) მსახიობი, დრამატურგი და უზრნალისტი. 7, 112, 113, 119, 139, 140.

გურიელი მაზია—(1836—1891) პოეტი. 51, 53, 54.

გრძელიშვილი სანდრო (ხანგანძე) —სოც.-ფედ. უზრნალისტ-ლიტერატორი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1922 ჭ. 270.

## 9

დადიანი სამხონ—(დ. 1884)—ექილი, უზრნალისტი, საქ. დამფ. კრების ჭოფ. ჭევრი. 281.

დიახამიძე გიგო—ურნალისტი, განს, „თემის“ რედაქტორი 1911—13 წლებში. ვეკილი, ემიგრაციაშია. 94, 119, 154, 289.

დიახამიძე ალექსანდრე—(დ. 1872 წ.) ექიმი და საზოგადო მოღვაწე. 160, 195, 199, 214, 229, 282.

დეკანზიშვილი გიორგი—ინჟინერი, სოც.-ფედ. პარტიის ცნობილი მოღვაწე. საზღვარგარეთ, გარდაცვალა 1912 წ. 105, 106, 126, 136, 139, 140, 141, 149, 159, 160, 176, 204, 206.

დეკანზიშვილი ანლია—ბელეტრისტი. ემიგრაციაშია. 136, 139, 141, 147, 148, 282.

დემურია მარიამ—საბაქტეო ქურნალ „ნაკადულის“ დამარსებელი და რედაქტორი. გარდ. 1910 წ. 118, 127, 129, 130, 146, 156, 259, 262.

დონდუკოვ-კორსაკოვი—კავკასიის მთავარმართებელი 1882-დან 1890 წლამდე რუსიფიკატორი. 5, 6, 74, 75, 112.

## 3

ეგნატაშვილი ვასილი—(დ. 1888 წ.) ქურნალისტი, მთარგმნელი. 281, 284.

ევდოშვილი ილიანონ (ზონტაშვილი) (1873—1915) პოეტი და ბეჭედტერისტი. 255.

ეკალაძე და (ცონცაძე)—(1872—1933 წ.) ბელეტრისტ-ურნალისტი და პედაგოგი. 84, 107.

ელიაშვილი ივ.—ექიმი და საბაქტეო მწერალი. გარდაცვლილია. 13, 277.

ერისთავი რაფიელ—(1824—1901) ცნობილი პოეტი და დრამატურგი. 3, 77, 78, 83, 84, 98, 97, 99, 107, 132, 258.

## 3

ვარა-ფშაველა (რაზიყაშვილი ლუკა) (1861—1915)—ცნობილი პოეტი. 93, 255, 260.

ველიჩკო (1860—1903)—რუსის პოეტი, განს. „Кавказ“-ის რედაქტორი. 99, 109, 112, 113, 114, 115, 117, 153.

ვერშიშვილი ქრისტეფორე—სომხის მოღვაწე და ქურნალისტი, ტუ. ქალაქის მოურავი, 199, 200, 277, 278, 280.

ვოლესკა (უმშივარიძე) გრ.—ურნალისტი, ქართველი პოეტი და მოღვაწე. პროფესიით ექიმი იყო, გარდ. 1908 წ. 87, 88, 105, 106, 108, 167.

ვორონცოვ-დაქუფოვი—კავკასიის მეფისაცვალი 1904-დან 1916 წლამდის. 109, 113, 192, 276.

## 4

ვლანიფიში გიორგი (ფხევლი. მაიაშვილი) (1855—1917) პუბლიცისტი. ნართვისტი დოკოდეცი, 50-ს პროცესის მომაწილე. მიესაჯა 1877 წ. 6 წლის გატორდა. კატორდიდან სამშობლოში დაბრუნდა 1883 წ. სოც.-ფედ. პარტიის ლიდერთაგანი. 39, 67, 68, 105, 106, 108, 138, 156, 157, 174, 194, 196, 213, 214, 215, 216, 224, 225, 241, 245, 246, 249, 250, 251, 252, 263, 276, 285.

ჰურაპიშვილი ივანე—ქართველი მოღვაწე და მწერალი. ვეჭილი. 110, 112, 136, 201, 203.

ჰურაპიშვილი ილია (ელეფონიძე) (დ. 1872) მოღვაწე, ბეჭედრისტი და სცენის მოყვარე. 255.

## 3

თაქთაქიშვილი მიხეილ—პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 126, 277, 278.

თაყაიშვილი ექვთიმე—ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი. საქ. დამუ. კრების თავმჯდომარის მოადგილე. ნაც.-დგმ. ემიგრაციაშია. 131, 132, 148, 151, 255.

თუმანიშვილი გიორგი (თუმანოვი)—ცნობილი ჰურნალისტი და მოღვაწე, გახეთ „Новое Обиозрение“-ს რედაქტორი. გარდაცვლილია. 108, 109, 113, 116, 117, 119, 154, 211, 280.

თუმანიშვილი-ჭერეთლასა ანასტაზია —საბაზშვილ ჟურნ. „ჯეჯილის“ დამა-არსებელი, მწერალი და მოღვაწე, გიორგი ჭერეთლის მეუღლე. გარდ. 1930 წ. 108.

## 4

კარბელაშვილი ივანე—სოც.-ფედ., იურისტი და ჰურნალისტი. წერდა სა-ბაზშვილ მოთხრობებსაც თამროშვილის ფსევდონიმით რევოლუციის დროს აღმიანიშნილი საბუთებით—უანდარნების საიდუმლო თანამშ-რომელი. გარდ. 1919 წ. 281, 284.

კარიკაზვილი დავით—ცნობილი მოღვაწე და ისტორიკოგი. გარდ. 1927 წ. 148, 150.

კედა სპარადან—სოც.-ფედ., შემდგომ ნაციონალ-დემოკრატია პარტიის ლიდერი. ემიგრაციაშია. 241.

კიკნაძე მიხეილ—სოც.-ფედ., მუშა, ჟურნალ „საქართველოს“ ამწყობი პა-რონიში. გარდაცვლილია. 159, 178, 204.

კურდლელაშვილი ნიკ. (წარკანი) (1874) მწერალი, ჰურნალისტი, მთარ-გმელი. 281.

## 5

ლომთათიძე ალექსანდრე—სოც.-დემოკრატი, საქ. დამუ. კრების თავმჯდო-მარე. გარდ. 1925 წ. 81.

ლორთქიფანიძე იოხებ (დ. 1865)—მოსამსახურე და საზოგადოებრივი მუ-შავი. 13, 14.

ლორთქიფანიძე კირილე—(1837—1918) მოღვაწე და ჰურნალისტი. თანამ-ზრომელი და რედაქტორთაგანი ს. მესხის „დროებისა“, „შრომისა“ და სხვ. 137.

ლორთქიფანიძე ანტონ—(1850—1894) ეგებილი და მოღვაწე. 53, 118.

ლორთქიფანიძე გლადიმერ (1872—1909 წ.) სოც.-ფედ. პარტიის დამარ-სებელი და ლიდერთაგანი. ჰურნალისტი და პედაგოგი, მთარგმნელი ტარაგულიდან რომის, საბერძნეთს და სხვ. ისტორიკისა. 133, 135, 138, 139, 140, 141, 146, 147, 174, 205, 212, 220, 264, 266.

- შამინააზევილი ევტინი—სოც.-უედ. მუშაკი და პარტიის დამფუძნებელი კრების მონაწილე გარდაცვლილია, 139, 140.
- შანივეტუშვილი იაკობ—მოღვაწე და უურნალისტი, „ივერიის თანამშრომელი (ფსევდ. დონ-იაგო). 277.
- შაჩაბელი ივანე—ცონბილი მოღვაწე და მწერალი. გან. „დროების“ რედაქტორი 1883—85 წ. ჭ. შექსპირის მთარგმნელი. უკალოდ დაიკარგა 1899 წ. 84, 86, 93, 94, 95, 96.
- შაჭაფარიანი ივანე—უურნალისტი და ცონბილი მთარგმნელი. (დ. 1862) 119, 131, 132.
- შაჭაფარიანი სიმონ—სოც.-უედ. მუშაკი, კოოპერატორი. გარდ. 1924 წ. 273, 284.
- შდივანი სიმონ (ხიხივი) —ევეკილი, მოღვაწეობდა ბათომში. საქ. დამფ. კრების თავმჯდომარის მთაღილე. ემიგრაციაშია. 255, 282, 284.
- შდივანი ალექსანდრე (დ. 1874)—მოღვაწე და პედაგოგ. უურნალისტი. 266.
- შეგრილი დურუ (ხიშტარია) (დ. 1867)—მგრანი და მოღვაწე. 13.
- შესხი კოტე—ნარიალოვალეცი, გ. ლასხიშვილთან ერთად გადასახლებული. გარდ. 1932 წ. 14, 29, 34, 37, 57.
- შესხა კოტე—ცონბილი მსახიობი და დრამატურგი. გარდ. 1916 წ. 55, 100, 119, 128.
- შესხაშვილი ლადო—ცონბილი ქართველი მსახიობი. გარდ. 1920 წ. 119, 120, 121, 122, 291.
- შესხიშვილი შალვა—ევეკილი, საქ. დამფ. კრების ყოფ. წევრი. 281,
- შიქელაძე დავით (ზეველე) —მოღვაწე და უურნალისტი. (1844—1918) 83, 84, 88, 89, 93, 101, 102, 103, 105.
- შიქელაძე შალვა—ექიმი, ამერამად სარ. უ-ს პროფესორი. 281.
- შიქელაძე ვლ.—უურნალისტი და საბანკო მოღვაწე. გარდ. 106, 113, 116, 201, 255, 286.
- შუსხელიშვილი ვახტანგ—ცონბილი თვალის ექიმი, სახ. უ-ს პროფესორი. გარდ. 1932 წ. 195, 284.
- ნ-კაშიძე ილია (1866—1923) მწერალი და სახოგადო მოღვაწე 59, 90, 103, 114, 146, 147, 190, 191, 281.
- ნაკაშიძე ნინო (დ. 1872) მწერალი და მოღვაწე. მ. დემურიას შემდეგ საბ. უურნალ „ნაკაშულის“ რედაქტორი. 139, 255.
- ნანეიშვილი ალ. (უცხევდ. ნალი) —მწერალი და მოღვაწე, „დროების“ და „შემდეგ“ „ივერიის“ თანამშრომელი. გარდაიცვალა 1904 წ. 75, 105, 106, 108, 131, 138.
- ნიკოლაძე ნიკო (1842—1928)—ცონბილი პუბლიცისტი და სახოგადო მოღვაწე. სამოცი. ნიჭლების მოწინავე ჯეულის ერთი მეთაურთაგანი, ქართულ-რუსული ბეჭდვითი ოთვანოების თვალსაჩინო თანამშრომელი 85, 86, 108, 132, 140, 153, 20

ნიკოლაძე იაკობ — ცონბილი მოქანდაკე, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტის ხარისხის მქონე. 179, 283.

### ო

ონიკაშვილები — ფერეიდანელი ქართველები, 1907 წ. საქართველოში ჩამოსული. 244, 273.

ორბელიანი გრიგოლ (1804—1883) — ცონბილი პოეტი. 259.

### პ

პალმი — ცონბილი შევრაზმელი უურნალისტი, რესის შოვინისტური გაზეთის „Черноморский Вестник“-ის რედაქტორი შეფის დროს. 157.

პაპავა აკაკი — მწერალი და კრიტიკოსი, „სახ. გაზეთისა“ და „სახალხო საქმის“ მუდმივი თანამშრომელი. ამჟამად საზღვარგარეთა. 281, 291.

პეტრიაშვილი ვახოლ (1843—1908) ოდესის უ-ტის ცონბილი პროფესორი ქართველი მოღვაწე და მწერალი, გან. „დროების“ და შემდგომ „ივერიის“, „მოამბისა“ და სხვ. თანამშრომელი. 272.

### ჟ

ჟორდანია ნინო — პუბლიცისტი, საქ. მენშევიკური პარტიის მეთაური, ბოლო 1918—21 წ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ემიგრაციაში. 81, 105, 106, 113, 143, 160, 162, 271.

ჟურული გოორგი — უურნალისტი და მოღვაწე, შემდგომ ნაც.-დემოკრატის პარტიის თვალსაჩინო წევრთაგანი. 75, 84.

### რ

რაჭიგაშვილი თენა (გარდ. 1923 წ.) — მწერალი და ჩალხური პოეტის ნიმუშების შემკრები. 255.

რაშიშვილი ისაბარე (დ. 1859) — უურცესი სოც.-დემ. მენშევიკი. I სახ. სათაბიროს დეპუტატი. საქ. დამფ. კრების წევრი. 209.

რატოშვილი ივანე (1864—1933) — თვალსაჩინო პეტავოგი და მოღვაწე. 13, 14.

რაჭელიშვილი ქრისტეფორე (დ. 1891) ლიტერატორი და უურნალისტი. გაზ. „სახალხო საქმის“ რედაქტორი (1918—21 წ.) 281, 284.

რცხილაძე ვახოლ — თვალსაჩინო აგრონომი და მოღვაწე. გარდაცვლილია. 131.

რცხილაძე გრიგოლ (გიგო) (დ. 1875 წ.) — სოც.-ფედ. პარტიის დამაარსებელი და ლიდერთაგანი. უურნალისტი და ლიტერატორი (ფსევდ. ზანგი). საქ. დამფ. კრების ყ. წევრი. ვექილი. 135, 136, 139, 163, 192, 195, 196, 229, 230, 236, 237, 241, 270, 271, 281.

### ს

საფაროვაბაშიძესა მ. (დ. 1860) ცონბილი მსახიობი-ქალი, ვასო აბაშიძის მეუღლე. 119, 120, 129.

სარავა ზვილი ალექსანდრე (1851—1914) მწერალი, ისტორია-ლიტერატურის მეცნევარი და მოღვაწე. „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძის შემდეგ (1897 წ.). 105, 152.



სარაჯიშვილი დაფით—ცნობილი მწერელი. გარდაიც. 1911 წ. 113.  
საყვარელიძე ზიქელ (დ. 1891 წ.)—უურნალისტი. გან. „სახალხო საქმის“  
რედაქტორის წევრი. 281, 284.  
სახოკია თედო (დ. 1868 წ.) მწერალი და მოღვაწე. „ივერიის“, „მოამბის“,  
„ცნობის უურლისა“ და სხვ. თანამშრომელი. ცნობილი მთარგმ-  
ნელი. 126, 160, 167, 174, 178, 180, 204, 205.  
სტარიშვილები—ქუთაისის გუბერნატორი 1905 წ. ლიბერალ-დემოკრატი.  
207, 208, 229.  
სტრუვ პ.—მწერალ-პუბლიცისტი, ყაფ. ლეგალური მარქისტი, შემდგომ  
კადეტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი. ემიგრაციაშია. 181, 182, 202.  
სურგულაძე პეტრე—უურნალისტი და პედაგოგი. უურნალ „ერის“ რედაქ-  
ტორი 1908—10 წ. ნაციონალ-დემოკრატი. გარდ. ემიგრაციაში  
1932 წ. 81, 189, 192.

## უ

უშიკაშვილი პეტრე (1938—1904), მწერალი, „დროების“, „ივერიისა“ და  
„მოამბის“ თანამშრომელი. 118, 119.

## ფ

ფანცხავა რომანიშ (ხომლელი)—მწერალი და კრიტიკოსი, „კვალის“ თა-  
ნამშრომელი. გარდ. 1929 წ. 18.  
ფანცხავა იაკობ—პუბლიცისტი. ამჟამად კომპარტიის წევრი. 286.  
ფალიაშვილი ზაქარია—კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1933 წ. 289.  
ფარცხალავა სამხონ (ფერდ. ხიტუვა, კალაში) —პუბლიცისტი, სოც-ფედ.  
პარტიის ლიდერთაგნი. ემიგრაციაშია. 135, 136, 139, 157, 174,  
191, 201, 213, 217, 237, 261, 269, 270, 273, 284.  
ფურცელაძე ანტონ (1836—1913)—ბელეტრისტი და პუბლიცისტი. 83, 84,  
85, 86, 87, 91, 92, 201, 285.

## ქ

ქვეთარაძე ქაიხოსრო (ფხევლ. ქაქუჩელა) —გან. „ცნობის ფურცლის“, „სახ  
საქმისა“ და სხვ. თანამშრომელი. 135.  
ქელიაქიანი გესო (იულო) —მექა-დურგალი. 1913 წ. დაპატიმრების შემ-  
დეგ გადასახლებულ იქნ. კავკასიის საზღვრებიდან. 281, 284.  
ქიქოძე გვირინტი—მწერალ-პუბლიცისტი, „დროების“, „სახალხო საქმის“,  
მერე „საქართველოს“ თანამშრომელი. მთარგმნელი. 273.  
ქორქაშვილი შარიაშ—გიორგი ზდანოვიჩის (ნახ. ეს სიტყვა) დედა.

## ლ

ლლონტი ჩარლამპი—პედაგოგი. 201, 207, 238, 339.

ლლონტი თედო—უურნალისტი. ამჟამად კომპარტიაშია. 281.

ლლონტი ნიკო (გარდ. 1916 წ.) მრეწველი და მოღვაწე. 154, 174, 179

## ც

- ჟაზარაშვილი ანტონ—სოც.-ფედ. პარტიული მუშავი. გარდ. 1924 წ. 267.  
 ჟაზბეგი გიორგი—გენერალი, წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარე. გარდ.  
 1922 წ. 257, 261.
- ჟიფიანი პეტრე—პედაგოგი და უურნალისტი. გარდაცვლილია. 174, 207,  
 226, 237.
- ჟიფიანი ვასილ—მწერალი და მოღვაწე. 116, 123, 201, 286.
- ჟიფშიძე გრიგოლ (1859—1922 წ.)—ეურ. „იმედის“, (1881 წ.), „შემდგომი  
 „ივერიის“ და „მოამბის“ თანამშრომელი. ცნობილი მთარგმნელი. 83,  
 84, 86, 274.
- ჟიფშიძე ალექსანდრე (ფრონცელი)—გარდ. 1919 წ. უურნალისტი და ის-  
 ტორიკოსი (თხ. მთავრული 1804 წ.) „ქართის აჯანყება“ და  
 სხვა). 83, 207, 229, 292.

## ჩ

- ჩერნოვი ვიქტორ—რეს. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერი.  
 ემიგრაციაში. 177, 181, 185.
- ჩერქეზიშვილი ვარლამ (1844—1925) ექრაპაში ცნობილი ანარქისტი და  
 მწერალი. 105, 106, 152, 243, 252, 233, 243, 253.
- ჩერქეზიშვილი ვასილ (1857—1910)—უურნალისტი, ტფილისის მოურავი,  
 1907-დან სიკედილამდე. 111, 112, 167, 255.
- ჩერქეზიშვილი ელიზაბედ (დ. 1863)—დამასახურებული მსახიობი. 117  
 119, 129.
- ჩიკვაძე კალიხტრატე—ვექილი, ქუთაისის მოღვაწე. 155, 262, 163.
- ჩიტაძე შია (ფსევდ. ჭვავი) (1872—1906) პუბლიცისტი და სოც.-ფედ. პარ-  
 ტიის თვალსაჩინო წევრთაგანი. ბარბაროსულად მოკლეს ყაზახებმა  
 135, 217, 229, 232, 237, 238, 239, 240, 251.
- ჩოდრიშვილი მიხა—მუშა, ბოლშევიკი, გარდ. 1930 წ. 80.

## ც

- ცაგარელი ახიკო (გარდ. 1904)—მსახიობი და დრამატურგი, უურნალისტი,  
 136.
- ცხვედაძე ნიკო (1845—1911) მოღვაწე და პედაგოგი. 147, 148, 149, 150,  
 152, 257.

## ჭ

- ჭერთელი აკაკი (1840—1915)—ცნობილი პოეტი 3, 85, 86, 97, 98, 100,  
 130, 144, 252, 255, 258, 259, 260, 261, 262, 291.
- ჭერთელი ვასილ (დ. 1862 წ.)—ექიმი, პუბლიცისტი. „ივერიის“, „ცნო-  
 ბის ფურცლის“ და ქუთაისის გაზეობის (კოლნიდა“, „გრი“) თანამ-  
 შრომელი. 13, 14, 16, 38, 79, 89, 107.

შერეფელი გომრვი (1842—1900)—ცნობილი ბელეტრისტი. გან. „დღოების“ დარარსებელი (1866 წ.), „ქრებულის“, „კვალის“ რედაქტორი. 75, 85, 108, 116, 260.

შერეფელი მიხეილ (ფსევდ. Bâton)—ცნობილი ანარქისტი და პუბლიცისტი, ქართულ უურნალ-განეობის თანამშრომელი. ამჟამად ემიგრანტი. 181, 243, 255, 236, 237.

შერეფელი ინაკლი (კაჯი)—ცნობილი სოციალ-დემოკრატი. ემიგრანტი. 252.

## შ

შავჭავაძე ილია (1837—1907)—ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი. „ივერიის“ დამასრებელი და რედაქტორი. მოკლეს 1907 წ. 3, 71, 72, 75, 82, 83, 84, 85, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 98, 100, 101, 103, 104, 105, 116, 119, 132, 134, 149, 152, 153, 196, 231, 235, 252, 254, 260.

შავჭავაძე ოლდა (გარდ. 1928 წ.)—გურამიშვილის ასული, ილია შავჭავაძის მეუღლე. 89, 256.

შრელაშვილი სტეფანე (1859—1917)—ნაროდნიკი, უურნ. „იმედის“ თანამშრომელი. 131, 138.

შუონია ალ. (1855—190) —მშერალი და მოლვაშვი. 131, 132, 152.

შუმბაძე არისტო—ბელეტრისტი და უურნალისტი. 281.

შუმბურიძე გომრვი—პედაგოგი და უურნალისტი. 281.

## შ

ჩატიხაოვი ალ —ტფილისის მოურავი, რევოლუციის შემდეგ სომხ. დემოჭრ.

რეპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ემიგრანტი. 196, 197.

ხელოულიშვილი მიხეილ—„საქ. განაკვის უულების დიგის“ თავმჯდომარე (1894 წ.), ავტორი წიგნისა „Вступление Грузии в состав Рес. Империи“. გარდაცვლილია. 4.

ხერხეულიძე ლევან—სოც.-ფუდ. სტუდენტი. ყუშბარა ესროლა პოლიცეისტერს კოვალევს' 1906 წ. პოლიციაშ შმლ.თ აკუშა. 213.

ხიჭანიშვილი (ფსევდ. ურბნელი, Plebs) (1851—1906) პუბლიცისტი და მკლევარი. „ივერიის“ მთავარი თანამშრომელთაგანი. 83, 84, 86, 91, 92.

ხუდაფიშვი ნ.—ცნობილი მოლვაშვი, ნაროდნიკი, ექვმი. გარდაცვლილია. 118, 124, 125, 214, 215.

ხუნდაძე სილოვან (1860—1928)—ცნობილი პედაგოგი და გრამატიკოსი. 255.

ხუნდაძე სიმონ (გარდ. 1933 წ.) პუბლიცისტი და ქრიტიკოსი—მკვლევარი, სახ. უ-ტის პროფესორი. კომპარტიის წევრი. 76, 80.

## ჰ

ჯაბადარი ალექსანდრე (1861—1933)—ცნობილი მოლვაშვი და მესტაშვი, „ცნობის უურლების“ და „მომბის“ ოფიციალური რედაქტორი, ქართვ. ბეჭდე. ამ-ბის დამარსებელი. 131, 132, 133, 134, 136, 139, 143, 152, 207, 222, 229, 229, 270, 284.

- ჭაპაშვილი გ. დამისახურებული სცენის მოყვარე. 127.
- ჭავაძენაშვილი არჩილ (დ. 1884 წ.)—უურნალისტი, მწერალი, „სახალხო განეთის“ ფაქტიური რედაქტორი რამდენიმე წლის განმავლობაში. 273, 282, 284.
- ჭავაძიშვილი ივანე (დ. 1876 წ.)—ცნობილი ისტორიკოსი, სახ. უ-ტის პროფესორი.
- ჭავაძიშვილი შინეილ (დ. 1880 წ.)—ცნობილი ბელეტრისტი. 269, 270, 217, 218.
- ჯორჯაძე არჩილ (1872—1913)—ცნობილი პუბლიცისტი, სოც.-ფედ. პარტიის ლიდერი. 135, 136, 138, 139, 140, 141, 143, 146, 147, 149, 151, 152, 159, 162, 163, 174, 179, 181, 182, 183, 184, 199, 204, 262, 267, 281, 282, 283.
- ჯუდედი ხევერიანე—ცნობილი სოც.-დემოკრატი მოღვაწე, II სახ. სათათბიროს დეპუტატი. გარდ, 1910 წ.

9510-8 336.

951 2 336.

9510-8 336.  
951 2 336.